

ნელი საყვარელიძე

თარგმანის თეორიის
საკითხები

(ლინგვისტური და ექსტრალინგვისტური ასპექტები)



თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა
თბილისი 2001

УДК 800.801
ს 341

ნაშრომში თარგმანი განხილულია როგორც ენათშორისი და კულტურათშორისი კომუნიკაციის სპეციფიკური საშუალება. გაანალიზებულია თარგმნის პროცესის მოდელირების განსხვავებული კონცეფციები თანამედროვე კომუნიკაციის თეორიისა და ინფორმაციის თეორიის კონტექსტში; გამოვლენილია თარგმანის ტექსტის კონსტრუირების მექანიზმზე მოქმედი ლინგვისტური და ექსტრალინგვისტური ფაქტორები; განხილულია შეპირისპირებულ ენათა /ინგლისური - ქართული/ სტრუქტურული არაიზომორფულობით განპირობებული ტრანსფორმაციების ტიპები. განსაკუთრებით აქცენტირებულია ენობრივ უნიკალიზმთა ანუ „უთარგმნელ ელემენტთა“ მეორე ენის სისტემაში ტრანსპოზიციის საშუალებები; დადგენილია თარგმანის კომუნიკაციურ-პრაგმატული ეკვივალენტურობის ძირითადი დეტერმინანტები.

განკუთვნილია თარგმანის თეორიით დაინტერესებული სპეციალისტებისა და პრაქტიკოსი მთარგმნელებისათვის.

რედაქტორი რ. ენუქიძე
რეცენზენტი მ. პანიჭაძე

© თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2001

ს 4602000000
608(06)-01

ISBN 99928-33-38-6

შ ე ს ა ვ ა ლ ი

თარგმანის პრაქტიკის ოცსაუკუნოვანი ისტორიის მიუხედავად, თარგმანმცოდნეობა, ფილოლოგიური მეცნიერების სხვა დისციპლინებისაგან განსხვავებით, შედარებით ახალია. მაგრამ თარგმანის თეორია თავის ემბრიონულ ფორმაში, რაგინდ პრიმიტიულიც არ უნდა ყოფილიყო იგი, თითქმის იმავდროულად გაჩნდა, როგორც კი ჩაეყარა საფუძველი ერთა შორის კულტურულ ფასეულობათა გაცვლის პრაქტიკას და ამ გარემოებასთან დაკავშირებულ თარგმანის ფენომენს, როგორც ლიტერატურულ ურთიერთობათა დამყარების საშუალებას. ბუნებრივია, ეს არ იყო მკაცრი, მეცნიერული თეორიის რანგში აყვანილი სისტემა, არამედ პირველი არაკვალიფიციური ცდები იმისა, რომ დაძებნილიყო ტექსტის ერთი ენიდან მეორეზე გადატანის ტექნიკა, დადგენილიყო ზოგადი კანონზომიერებანი და შემუშავებულიყო სავალდებულო ან უფრო სწორად, სარეკომენდაციო ნორმები, რომელთა დაცვაც სასურველი იყო თარგმანის შესრულების პროცესში. იმავდროულად ერთგვარად გამოიკვეთა თარგმანის შეფასების კრიტერიუმებიც და ჩამოყალიბდა მისი მეთოდოლოგიური საფუძვლები, რაც ისტორიულად, კულტურული დროის მოთხოვნათა შესაბამისად და ლიტერატურულ სტანდარტთა ცვლასთან კავშირში, მოითხოვდა ხელახალ მოაზრებას.

თარგმანის თეორიის განვითარების ისტორია თითქმის უახლეს დრომდე უდავოდ მოწმობს, რომ მიუხედავად არაერთი საგულისხმო და ღირებული ნააზრებისა, რომელთაც დღემდე არ დაუკარგავთ აქტუალობა, თარგმანის ფენომენი ბოლო დრომდე მოკლებული იყო ღრმა მეცნიერულ შესწავლას. უფრო მეტიც, მოვლენებს არ ეძლეოდა ზუსტი მეცნიერული კვალიფიკაცია, დამახასიათებელი იყო ტერმინოლოგიური ეკლექტიკა (რაც ამჟამადაც იჩენს ხოლმე თავს თეორიულ ნაშრომებში), არ იყო დადგენილი თარგმანის შემსწავლელი დარგის საზღვრები, მისი კავშირის ხასიათი მონათესავე დარგებთან ან მათგან განმასხვავებელი ნიშნები და, რაც მთავარია, ბოლო დრომდე თარგმანმცოდნეობას არც კი ჰქონდა მოპოვებული დამოუკიდებელი არსებობის უფლება ფილოლოგიური მეცნიერების და-

ნარჩენ დისციპლინათა გვერდით.* ასე მაგალითად, ა. რეფორმატსკიმ კატეგორიულად უარყო ცალკე თეორიის არსებობის საჭიროება თარგმანისათვის, რასაც იმით ასაბუთებდა, რომ თარგმანის შესწავლის პრაქტიკა, იმის გამო, რომ იყენებს ენათმეცნიერების სხვადასხვა დარგის მონაცემებს, არ საჭიროებს თავის თეორიას /2/.

თარგმანის ფენომენი კარგა ხანია იზიდავს ენათმეცნიერთა, ფსიქოლოგთა, ლიტერატურათმცოდნეთა და ეთნოგრაფთა ყურადღებას. თარგმანის თეორიას ერთნი ლინგვისტიკის ქვედარგად მიიჩნევენ, მეორენი — ლიტმცოდნეობის განაყოფად. ეს გარეგობა სავსებით ბუნებრივია, რადგან მეცნიერება თარგმანის შესახებ თავისი მეთოდოლოგიით პირველ რიგში დაკავშირებულია სწორედ ამ დისციპლინებთან. თარგმანის თეორიასთან არაცალსახა მიდგომა დღესაცაა დამახასიათებელი. არის ასევე მისი გაიგივების ცდები შეპირისპირებით ლინგვისტიკასთან, ერთი მხრივ, და შეპირისპირებით ლიტერატურათმცოდნეობასთან, მეორე მხრივ. ყოველივე ამის ძირითადი მიზეზი კი ის არის, რომ თარგმანის თეორია და განსაკუთრებით მისი ერთ-ერთი სახეობა — მხატვრული თარგმანის თეორია, ინტერდისციპლინარული ხასიათისაა და ბუნებრივია, რომ სარგებლობს როგორც ერთი, ასევე მეორე დარგის ცნებითი აპარატით, კვლევის მეთოდებითა და ტერმინოლოგიით.

ყოველივე ზემოთქმულის მიუხედავად, და მიუხედავად მრავალი, ჯერ კიდევ გადაუჭრელი პრობლემისა თარგმანთან მიმართებაში, თარგმანმცოდნეობა, შეიძლება ითქვას, მანც განმტკიცდა დამოუკიდებელი დარგის უფლებებში და თუმცა იგი შედარებით ახალ დარგად ითვლება, ისიც ცხადია, რომ მას უკვე აქვს თავისი კლასიკაც.**

* ზემოთქმულთან დაკავშირებთ ვფიქრობთ, უადვილო არ იქნება გაეხსენოთ ვ ენოგრაფიის მიერ ერთ დროს გამოთქმული აზრი სტილისტიკის თაობაზე, კერძოდ ის, რომ სტილისტიკა კარგა ხანს იზრდებოდა როგორც ჯანარი ლიტერატურათმცოდნეობასა და ლინგვისტიკას შორის. სანამ მოიპოვებდა და განიმტკიცებდა დამოუკიდებელი არსებობის უფლებას ფილოლოგიური მეცნიერების სხვა დარგთა შორის /1/. იგივე, სავსებით სამართლიანად, შეიძლება თქმულიყო თარგმანმცოდნეობაზეც.

** ჩვენი საუკუნის სამოციან წლებში პენრი ვან პოოფის (მიუნხენი) მიერ შედგენილი ბიბლიოგრაფია, რომელშიც შეტანილია თარგმანის საკითხებთან დაკავშირებული შედარებით ღირებული გამოკვლევები, შეიცავს სხვადასხვა ქვეყანაში და განსხვავებულ ენებზე დაწერილ სამი ათასამდე ავტორის 4 600-ზე მეტი ნაშრომის დასახელებას. ამასთან, როგორც აღნიშნავს პ. ტოპერი, ბიბლიოგრაფია არ არის სრული და, გარდა ამისა, მასში შეტანილია ბევრი ისეთი გამოკვლევაც, რომელიც შეიძლება თამამად მიეკუთვნოთ შედარებით ლიტმცოდნეობას, ლიტერატურის კრიტიკას, ესთეტიკას, შემოქმედების ფსიქოლოგიას, კიბერნეტიკას, სემიოტიკას და სხვ. რაც კიდევ ერთი საბუთია იმისა, რომ საზღვრები, რომლებიც თარგმანმცოდნეობას გამოყოფენ მოიხედავე დარგებისაგან, ძალზე არამყარია /3/.

დროთა განმავლობაში, განსაკუთრებით კი ჩვენი საუკუნის 60-იან წლებში, თანდათანობით გამოიკვეთა თარგმანის ლინგვისტური კვლევის პრობლემატიკა, რაც გარკვეულწილად გამოემიჯნა თარგმანის ლიტმცნოდნობითი ხასიათის პრობლემებს. თარგმანმცოდნეობა, როგორც ერთიანი და კომპლექსური დარგი დაიყო უფრო კონკრეტულ თეორიულ დისციპლინებად.* 79

უახლეს მნიშვნელოვან გამოკვლევებს თარგმანმცოდნეობაში უდავოდ ძლიერი სტიმული მისცა, ერთი მხრივ, თანამედროვე ცხოვრების პირობებმა, როცა თარგმანი სულ უფრო მზარდ როლს ასრულებს არა მარტო საზოგადოების კულტურულ ცხოვრებაში, არამედ ყოველდღიურ ყოფაშიც. შემთხვევითი არ იყო ის გარემოება, რომ პიერ ფრანსუა კაიემ, თარგმანის ცნობილმა თეორეტიკოსმა, მე-20 საუკუნეს „თარგმანის საუკუნე“ უწოდა და დაუპირისპირა იგი მე-19 საუკუნეს, როგორც „ორიგინალური ლიტერატურისას“,** მეორე მხრივ, არანაკლები სტიმული იყო ცალკეულ ეროვნულ ლიტერატურებში სპეციალური განათლების მქონე ახალი ტიპის მთარგმნელთა მოსვლა და ძველი ყაიდის შემთხვევით მთარგმნელთა წასვლა ლიტერატურული ასპარეზიდან. ამ ახალი ტიპის მთარგმნელებს უდავოდ დიდი წვლილი შეაქვთ თარგმანის თეორიის განვითარებაშიც, როგორც თარგმანის ლიტმცოდნეობითი პრობლემატიკის შესწავლის, ასევე თარგმანის ლინგვისტური ანალიზის მეთოდთა დამუშავების თვალსაზრისით.

მიუხედავად გარკვეული სუბიექტივიზმისა, რაც, რიგ შემთხვევებში, ახასიათებს პრაქტიკოს მთარგმნელთა შეხედულებებს, მათი დასკვნების მნიშვნელობა მაინც ძალზე დიდია, რამდენადაც ისინი თარგმანის პროცესთან უშუალო შეხების საფუძველზეა გამოტანილი. ამიტომ, სავსებით ვეთანხმებით დ. ფანჯიკიძეს იმაში, რომ თარგმანის პროცესის ანალიზი, რომელსაც გეთავაზობენ პრაქტიკოსი მთარგმნელები, „ნაკლებ ჰიპოთეტური შეიძლება აღმოჩნდეს, ვიდრე იმ თეორეტიკოსებისა, რომლებიც მთარგმნელის ქმედებას მხოლოდ „საწყისი“ და „საბოლოო“ ტექსტის საფუძველზე იკვლევენ, ვინაიდან ყველაზე უკეთ მთარგმნელმა შეიძლება აღწეროს ენათშორისი ტრანსფორმაციების ის გზა, რომელმაც მიგვიყვანა საბოლოო ტექსტამდე“ 15-41.

* თარგმანმცოდნეობაში შემავალ დისციპლინათა სრული ჩამონათვალი იხ. (4-28).
** სტატიაში Pour une théorie de la traduction ("Diogenes", 40, Octobre-Décembre 1962. გვ. 118).

თარგმანმცოდნეობის განვითარებას განსაკუთრებით შეუწყო ხელი ადამიანის შესახებ არსებულ მეცნიერებათა კონსოლიდაციამ, რასაც შედეგად მოჰყვა მეცნიერებათა შესაყარზე ახალი დისციპლინების ჩამოყალიბება. ასეთი დისციპლინებია: ტექსტის ლინგვისტიკა, ფსიქოლინგვისტიკა, სოციოლინგვისტიკა. უახლესმა მიღწევებმა ამ დისციპლინებში ბევრი მნიშვნელოვანი მონაცემით შეავსო თარგმანმცოდნეობა და განაპირობა მისი, როგორც კომპლექსური ფილოლოგიური დარგის შემდგომი განვითარება. თარგმანის ანალიზიც, თავის მხრივ, არანაკლებ სამსახურს უწევს ზემოხსენებულ მომიჯნავე დისციპლინებს, რომელთა საერთო მიზანია ენისა და საზოგადოების კავშირის შესწავლა, ენის ფუნქციონირების დინამიკაზე დაკვირვება რეალურ, კონკრეტულ სამეტყველო სიტუაციებში. ეჭვს არ იწვევს ის გარემოება, რომ თარგმანი ამ თვალსაზრისით დაკვირვებისათვის ძალზე მნიშვნელოვანი ობიექტია, რამდენადაც იგი განსაკუთრებული სახით დაფიქსირებული მეტყველების აქტია — სამეტყველო კომუნიკაციის სპეციფიკური კომპლექსური სახეობა. ეს არის ორი განსხვავებული სოციალურ-კულტურული ფონის მქონე ენობრივი კოლექტივის კომუნიკაცია ორი განსხვავებული ენის ნიშნებით სარგებლობის პირობებში. ენათშორის კომუნიკაციაში კი მთელი სიცხადით ვლინდება არა მარტო ენის კომუნიკაციური ფუნქცია, არამედ ენობრივ ნიშნებთან კომუნიკანტთა განსხვავებული დამოკიდებულების განმაპირობებელი გარეენობრივი, სოციალურ-კულტურული და ფსიქოლოგიური ფაქტორები, რაც ენისა და საზოგადოების კავშირზე დაკვირვებისათვის ძალზე მდიდარ მასალას იძლევა.

მიუხედავად ბევრი სიცხადისა, რაც ბოლოდროინდელმა მეცნიერულმა გამოკვლევებმა შესძინა თარგმანმცოდნეობას, თარგმანის უზომოდ მდიდარი პრაქტიკა ჯერ კიდევ საჭიროებს შემდგომ თეორიულ გააზრებას. კვლავ გრძელდება კამათი ისეთ ტრადიციულ და აშკარად ფუნდამენტურ პრობლემებზე, როგორიცაა: თარგმანის თეორიის სტატუსი, მისი ადგილი ფილოლოგიური მეცნიერების დარგებს შორის, თარგმანის მეთოდოლოგიური საფუძვლებისა და სტრატეგიის საკითხები, თარგმანის შეფასების კრიტერიუმები და სხვა კონკრეტული თუ ზოგადი საკითხები; მათ შორის კომუნიკაციურ-პრაგმატული ეკვივალენტურობის პრობლემა თარგმანში, როგორც არა მარტო ენათშორისი, არამედ კულტურათშორისი კომუნიკაციის აქტში, როგორადაც მივიჩნევთ თარგ-

მანს, ისევე როგორც თარგმანის ტექსტის კონსტრუირებაზე გარეუბრები ფაქტორთა მოქმედების პრობლემა და სხვა კონკრეტული საკითხები, რომლებიც უკავშირდება თარგმანის პრაგმატიკას, ამ სიტყვის ფართო გაგებით, უდავოდ საჭიროებს შემდგომ მეცნიერულ შესწავლას.

იმ მიზნით, რომ განვსაზღვროთ, თუ რა ადგილი უჭირავს თანამედროვე თარგმანის თეორიაში თარგმანის პრაგმატულ ასპექტებს, საჭიროდ ვცნობთ, მოკლედ მიმოვიხილოთ თარგმანმცოდნეობის კომპლექსურ სტრუქტურაში გაერთიანებული ძირითადი მიმართულებები და მათი კვლევის სფეროში მოქცეული პრობლემატიკა.

თარგმანმცოდნეობაში თარგმანის კვლევის ორი ძირითადი მიმართულებაა გამოკვეთილი. ამათგან პირველი, რომელშიც უფრო მეტად დომინირებს თარგმანის, როგორც ლიტერატურული შემოქმედების განსაკუთრებული სახეობის იდეა, ქრონოლოგიურად უფრო ადრეულია თარგმანის მეცნიერული შესწავლის ისტორიაში. ეს მიმართულება კრიტიკულად შეისწავლის მთარგმნელობითი შემოქმედების, კერძოდ — მხატვრული თარგმანის პრაქტიკას საზოგადოებრივ-ისტორიული და საზოგადოებრივ-იდეოლოგიური საფუძვლების გათვალისწინებით, რაც უდავოდ წარმოაჩენს თარგმანის ისტორიის ეტაპურ მომენტებს და თარგმანის მეთოდთა მუდმივი სახეცვლის განმაპირობებელ ფაქტორებს. ასეთებია: თარგმანის იდეოლოგიური და სოციალურ-მორალური ფუნქციონირების სპეციფიკა ადამიანთა საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა ისტორიულ პერიოდებში და ასევე ეროვნულ ლიტერატურებში მიმდინარე პროცესები, რომელთა ანარეკლი მუდამ აისახება მხატვრული თარგმანის პრაქტიკაში.

ამ მიმართულების დაკვირვების რკალში ექცევა ასევე მთარგმნელობითი შემოქმედების როლი ეროვნული ლიტერატურების ჟანრობრივი გამდიდრების საქმეში, ზოგადლიტერატურული სტანდარტების ჩამოყალიბებაში, რადგან ძნელი წარმოსადგენია რომელიმე ეროვნული ლიტერატურის განვითარება იზოლირებულად, სხვა ლიტერატურებთან კავშირის გარეშე, რომელსაც ამყარებს მხატვრული თარგმანი. ეს მიმართულება შეისწავლის ასევე მთარგმნელის შემოქმედებითი კრედოსა და მსოფლმხედველობის ანარეკლს თარგმანში, თარგმანის იდეოლოგიური ტენდენციურობის პრობლემას, მის უტილიტარულ დანიშნულებას მთარგმნელობითი

კულტურის განვითარების სხვადასხვა ისტორიულ პერიოდებში და მრავალ სხვა კონკრეტულ საკითხსაც, რაც, ფაქტობრივად, მეტ კავშირს აკლენს ლიტერატურის თეორიასა და შეპირისპირებით ლიტმცოდნეობასთან, ვიდრე ლინგვისტიკასთან.

ამავე მიმართულების კვლევის ორბიტაში ხვდება თარგმანის კრიტიკის ისტორიაც, იმ ტენდენციებსა და შეფასების კრიტერიუმებზე დაკვირვება, რომლებიც თარგმანის კრიტიკას ახასიათებდა განსხვავებულ პერიოდებში.

როგორც ზემოთ ითქვა, ამ მიმართულებას საფუძველი ჩაეყარა ლიტერატურულ ურთიერთობათა დამყარების ადრეულ ხანაში და, ამდენად, ტრადიციულად დაკავშირებული იყო თარგმანის ყველაზე ადრეულ ფაზასთან — მხატვრულ თარგმანთან ან, უფრო სწორად, გადაკეთების, მიბადების, ადაპტაციის ისეთ ლიტერატურულ ფაქტებთან, რომლებიც ლიტერატურულ ურთიერთობათა საწყისი ხანისათვის იყო დამახასიათებელი და რისთვისაც საკუთრივ თარგმანის სტატუსის მინიჭება ერთგვარად უმართბულოც კი იქნებოდა. ამის გამო სავსებით ბუნებრივი იყო ის გარემოება, რომ ასეთი მასალის შესწავლაში ბოლო დრომდე, ჩვენი საუკუნის თითქმის სამოციან წლებამდე მძლავრობდა ლიტერატურათმცოდნეობის კვლევის მეთოდები.

ქართული მეცნიერული აზრიც ბოლო დრომდე თითქმის მარტოდონდენ ამ მიმართულებით ვითარდებოდა. გარდა ცალკეული გამოკვლევებისა, რომლებიც აისახა სპეციალურ კრებულებში (6, 7, 8), მხედველობაში გვაქვს კ. კეკელიძის (9), ალ. ბარამიძის (10), დ. კობიძის (11), გ. იმედაშვილის (12), ლ. ასათიანის (13) გამოკვლევები ძველი ქართული მთარგმნელობითი მემკვიდრეობის საკითხებზე, რასაც შემდგომ შეემატა გ. გაჩეჩილაძის პირველი კომპლექსური ხასიათის გამოკვლევები მხატვრული თარგმანის თეორიის საკითხებზე (14, 15, 16) და ქ. ბურჯანაძის ვრცელი მონოგრაფია მე-19 საუკუნის მხატვრული თარგმანის ისტორიის საკითხებზე (17), რომელიც, ფაქტობრივად, პირველი ცადა წარმოგვიდგინოს თარგმანის მეთოდთა და პრინციპთა კავშირი ლიტერატურულ მიმდინარეობებთან საქართველოში, თარგმანის ისტორიის ისეთ გადამწყვეტ ეტაპზე, როგორც იყო მე-19 საუკუნე.

თარგმანის მეცნიერული შესწავლის შედარებით ახალი მიმართულების ჩამოყალიბება, რომელიც თარგმანს განიხილავს საკუთრივ ლინგვისტიკის პოზიციებიდან, უკავშირდება ენათმეცნიერებაში

ახალი ტენდენციების გაჩენას და კერძოდ, — კომუნიკაციის თეორიის განვითარებას.)

თარგმანის თეორიის ეს მიმართულება თავის კვლევის ორბიტაში აერთიანებს ისეთი თეორიული ხასიათის პრობლემებს, როგორცაა: თარგმანის პროცესის, ანუ ენათშორისი კომუნიკაციის მოდელირება, თარგმანის ზოგადლინგვისტური პრობლემები, ენათშორისი სინონიმების გამოვლენა თარგმანის გზით, ზოგადლექსიკოლოგიური საკითხები (სიტყვებისა და ფრაზოლოგიზმების ენათშორისი სინონიმია, უეკვივალენტო ლექსიკა), კანონზომიერ შესაბამისობათ საკითხები, ენათა სტრუქტურული განსხვავებულობით პირობადებული პრობლემები თარგმანში (უეკვივალენტო გრამატიკული კატეგორიები და მათი ფუნქციური ტრანსფორმები შეპირისპირებულ ენებში); ამავე მიმართულების კვლევის სფეროში შედის ასევე თარგმანის სტილისტიკისა და პრაგმატიკის საკითხები, ანუ მთარგმნელობითი სტრატეგიის კავშირი ტექსტთა ფუნქციურ ტიპოლოგიასთან, ენობრივი კონტაქტის პრობლემები კომუნიკაციის თეორიასთან მიმართებაში და ა. შ.)

(პრობლემათა ეს არასრული ჩამონათვალიც კი ცხადყოფს, რომ მათზე დაკვირვება მოითხოვს თარგმანმცოდნეობაში ლინგვისტური ანალიზის მეთოდთა მოზიდვას.)

(თარგმანის ლინგვისტური ორიენტაციის თეორიაში გამოიკვეთა რამდენიმე სპეციალიზებული დისციპლინა — ზოგადი და კონკრეტული თეორიული დისციპლინები. კონკრეტული თეორიებისაგან განსხვავებით, თარგმანის ზოგადი თეორია არ არის ორიენტირებული არც თარგმანის რომელიმე ჟანრულ სახეობაზე (სამეცნიერო-ტექნიკური, პუბლიცისტური, მხატვრული), არც თარგმანის ისეთ ნაირსახეობებზე, რომლებიც შესრულების პირობების მიხედვითაა გაიჯნული (სიმულტანური, ცალმხრივი, ორმხრივი, წერილი, ზეპირი), და არც ენათა რომელიმე კონკრეტული წყვილის შეპირისპირებაზე.)

აბსტრაგირებული თარგმანის ზემოხსენებული სახეობებისაგან ზოგადი თეორია შეიმუშავებს თარგმანის აღწერის მეთოდოლოგიურ საფუძვლებს, შეისწავლის თარგმანის ზოგად კანონზომიერებებს და ინვარიანტულ მახასიათებლებს. იგი მუდმივად მდიდრდება კონკრეტულ თეორიათა მონაცემებით, რომელთა განზოგადების საფუძველზე ქმნის კონცეპტუალურ აპარატს კონკრეტულ პრობლემათა გადასაწყვეტად ცნებათა და ტერმინთა ერთიან სისტემაში.)

მიუხედავად გარკვეული სიცხადისა, რაც გამოიკვეთა ზემოხსენებულ ორ ძირითად მიმართულებას შორის კვლევის სფეროთა განაწილების თვალსაზრისით, მათი ერთგვარი დაპირისპირების ცდა და მსჯელობა ან ერთი, ან მეორე მიმართულების სასარგებლოდ ჯერ კიდევ არ არის მოხსნილი დღის წესრიგიდან. სამაგალითო იყო ის ვნებათაღელვა, რომელიც მოჰყვა ა. ვ. ფიოდოროვის წიგნის (18, 19) როგორც პირველ, ასევე მეორე გამოცემას. ფაქტობრივად, ეს იყო პირველი სერიოზული ცდა თარგმანის გაშუქებისა ლინგვისტიკის პოზიციებიდან. მიუხედავად იმისა, რომ ა. ვ. ფიოდოროვის კვლევის მეოთხედი კატეგორიულად არ გამორიცხავს თარგმანთან ლიტერატურათმცოდნეობითი მიდგომის საჭიროებას, რაც ჩანს კიდევაც საილუსტრაციო მასალის მის მიერ წარმოდგენილ ანალიზში, მაინც, ძველ ტრადიციათა მიმდევარნი წუნს სდებდნენ აღნიშნულ გამოკვლევას არასაკმარისად ლიტერატურულობის გამო (20, 21, 22), ხოლო ლინგვისტიკა პირიქით — უწუნებდნენ არასაკმარის ლინგვისტურობას (23, 24).

თარგმანის ლინგვისტური პოზიციებიდან შესწავლის პირველი ცდების კრიტიკა უმეტესად სტრუქტურული ლინგვისტიკით, კერძოდ კი, სამანქანო თარგმანის იდეით გადაჭარბებული გატაცების პერიოდში, კატეგორიულად მოითხოვდა თარგმანის აღწერას ფორმალურიზებული სიზუსტით, რაც საზოგადოდ ახასიათებს სტრუქტურულ ლინგვისტიკას. მაგრამ აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ თარგმანში და განსაკუთრებით კი მის ისეთ უანრულ სახეობაში, როგორცაა მხატვრული თარგმანი, ბევრი რამ, ყოველ შემთხვევაში თარგმანის თეორიის დღევანდელ ეტაპზე, არ ექვემდებარება მკაცრ ფორმალიზაციას.

თარგმანის ლინგვისტური თეორია, როგორც შედარებით ახალი მიმართულება თარგმანის შესწავლაში, ნაკლებადაა შეზღუდული მეცნიერული შესწავლის რაიმე მკაცრი კანონებით. იგი შეიცავს როგორც კვლევის მეოთხედს დივერგენციის, ასევე მათი სინთეზის პერსპექტივებსაც.

ჩვენი რწმენით, *თარგმანმცოდნეობის, როგორც კომპლექსური ფილოლოგიური დისციპლინის, უპირველესი ამოცანაა არა განსხვავებათა ძიება თარგმანის შესწავლის მეთოდებსა და ორიენტაციებს შორის, არამედ, პირიქით, მათი კორელაციის და ინტეგრაციის საშუალებათა გამოჩენა*. ამ მოსაზრებას ზურგს უმაგრებს ის ტენდენციები, რომლებიც საკმაოდ ხშირად იჩენს თავს ბოლო-

დროინდელ გამოკვლევებში. კერძოდ, კვლევის მიმართულებათა კატეგორიული დაშორების ტრადიციის საპირისპიროდ, ჩანს ასევე ზემოხსენებული ორი ძირითადი მიმართულების დაახლოების ტენდენციაც: — ბარზუდაროვი ლ. ს. (25), ლევი ი. (26), ლილოვა ა. (27), ფანჯიკიძე დ. (5, 28, 29). ლიტმცოდნეობით ორიენტაციის გამოკვლევებში აშკარად იგრძნობა ენობრივ ფორმათა, როგორც ორიგინალისა და თარგმანის საშენი მასალის, ლინგვისტური პოზიციიდან გაშუქების ცდები — კაშინი ი. (30), ეტკინდი ე. (31), პოპოვიჩი ა. (4), ხოლო ლინგვისტური ორიენტაციის თეორიებშიც, თავის მხრივ, გვერდს ვერ უვლიან თარგმანში აქტივიზებულ ენობრივ ფორმათა სელექციაზე მოქმედ გარეენობრივ ფაქტორთა, და მათ შორის ლიტერატურულ ტრადიციათა გავლენას (შევიცერი ა.დ. (32, 33), ფიოდოროვი ა. ვ. (18).

ჩვენში, ამ თვალსაზრისით, გარდა ცალკეული ნაშრომებისა თარგმანის პრაქტიკოლოგიის საკითხებზე,* თვალსაჩინოა გ. გაჩეჩილაძის მხატვრულ თარგმანთან დაკავშირებული გამოკვლევები და სახელმძღვანელოები (14, 15, 16, 44). მათში აშკარად ლიტმცოდნეობის პოზიციასზე მდგომი მკვლევარი, მხატვრული ნაწარმოების ლიტერატურული მხარის ენობრივთან მიმართების საილუსტრაციოდ მოძიებულ მასალაში საჭიროდ სცნობს ლინგვისტური ანალიზის მეთოდთა მოშველიებასაც.

კვლევის მეთოდთა სინთეზის აუცილებლობის იდეას მხატვრული თარგმანის თეორიაში ავითარებს დ. ფანჯიკიძეც თავის გამოკვლევებში (5, 28, 29). „მხატვრული თარგმანის კვლევაში, წერს იგი, აუცილებლად მიგვანია ლინგვისტური და ლიტერატურათმცოდნეობითი მეთოდების სინთეზი, სადაც თარგმანის ენობრივი სპეციფიკის, ორი ენის შეპირისპირებით კვლევას ვატარებთ ლინგვისტიკის პოზიციიდან. ხოლო ექსტრალინგვისტურ ფაქტორებს კი ძირითადად ლიტმცოდნეობითი კვლევის მეთოდებით ვუდგებთ“. ავტორი ამასთან თვლის, რომ „თარგმანის ანალიზი თუ არ იქნა განმტკიცებული ექსტრალინგვისტური ფაქტორებით, იგი ნორმატული სტილისტიკის დონეს ვერ ასცდება“. (5-50). იმავე პრინციპს ვიცავთ ჩვენს წერილებში თარგმანის პრაქტიკოლოგიის საკითხებზე ე. ჰემინგუეის, რ. კიპლინგისა და ჯ. ჯოისის ქართულ თარგმანებთან დაკავშირებით (45, 46, 47.)

* იხ. მოთხოვნილი და ციტირებული ლიტერატურის სია (34-44).

(ძირითადი თეზისი, რომელსაც ემყარება წინამდებარე გამოკვლევა, იმაში მდგომარეობს, რომ თარგმანი არა მარტო ენათშორისი კომუნიკაციის აქტია, არამედ კულტურათშორისი კომუნიკაციის დამყარების საშუალებაც. აქედან გამომდინარე, თარგმანის სრულყოფილი შესწავლა საჭიროებს თარგმანის ტექსტის კონსტრუირების არა მარტო ძირითადი, ენობრივი სისტემის, არამედ გარეენობრივ სისტემათა გათვალისწინებასაც. ისეთ კომპლექსურ ენობრივ წარმონაქმნზე დაკვირვება, როგორცაა თარგმანი, ჩვენი აზრით, უნაყოფო იქნება ერთი რომელიმე დარგის ავტონომიურ საზღვრებში.

თარგმანის ტექსტში აქტივობებულ ენობრივ მასალაში შეუძლებელია არ აისახოს როგორც ორიგინალის ტექსტის, ასევე თარგმანის ტექსტის შექმნის სიტუაციური ფაქტორები. იმის გამო, რომ ორიგინალსაც და თარგმანსაც ქმნის ადამიანი, მისი სუბიექტური დამოკიდებულება ენობრივი გამოხატვის ფორმებთან და ამ ფორმათა სელექციის პროცესში მისი პრაგმატული ორიენტაცია პოტენციურ ადრესატზე შეუძლებელია არ აისახოს ტექსტის ენობრივ ქსოვილში. ნებისმიერი ჟანრობრივი სახის თარგმანი, მხატვრული იქნება ის თუ ინფორმაციული, განხილული უნდა იქნეს ფართო კონტექსტში, იმ სუბიექტურ-ფსიქოლოგიურ თუ სოციალურ-კულტურულ გარეენობრივ ფაქტორთა გათვალისწინებით, რომელთა ფონზეც იქმნებოდა, ერთი მხრივ, ორიგინალის და, მეორე მხრივ, თარგმანის ტექსტები. აქედან გამომდინარე, მივგაჩნია, რომ თარგმანზე დაკვირვება უნდა წარიმართოს არა მარტო ენათა სტრუქტურული განსხვავების საფუძველზე წარმოქმნილ დაბრკოლებათა ნეიტრალიზაციის მეთოდების ანალიზით, არამედ მომიჯნავე დისციპლინათა — ფსიქოლინგვისტიკის, სოციოლინგვისტის და, საერთოდ, ადამიანის სამეტყველო ქმედების შემსწავლელ მეცნიერებათა ინტერდისციპლინარული ასპექტების მოზიდვითაც.

(თარგმანის ლინგვისტურ თეორიათა კვლევის ორბიტაში) თავიდანვე აღებული ორიენტაციით, რასაც სტიმული მისცა სამანქანო თარგმანის იდეით გადაჭარბებულმა გატაცებამ, მეტწილად აღმოჩნდა ტექსტის კონსტრუირების ძირითადი, ენობრივი სისტემა და საკითხთა ისეთი რიგი, როგორცაა ენათშორისი სტრუქტურული და სემანტიკური შესაბამისობა ან განსხვავება, ენათშორისი სინონიმის საკითხები, შემუშავდა კანონზომიერ შესაბამისობათა თეორიული პრინციპები და სხვ. თარგმანის მეცნიერულ შესწავლასთან ასეთმა მიდგომამ განაპირობა შეპირისპირებით ლინგვისტიკასთან

თანაზიარი პრობლემატიკის აქცენტირება. ამიტომ ბუნებრივი იყო ის გარემოება, რომ თარგმანის ლინგვისტური თეორია განიხილებოდა, და ხშირად ახლაც განიხილება, როგორც შეპირისპირებითი ლინგვისტიკის ერთ-ერთი განაყოფი.

ინტერდისციპლინარულ ასპექტთა ჩართვა თარგმანის კომუნიკაციური პლანის ნიშან-თვისებათა შესწავლაში გვაძლევს საშუალებას, გამოვავლინოთ სოციალური, კულტურული და ფსიქოლოგიური თვალსაზრისით ტიპიზებული გარეენობრივი მოვლენები, რომელთა მოქმედება თარგმნის პროცესზე საბოლოოდ ვლინდება ამ პროცესის რეზულტატში (თარგმანის ტექსტში) იმ ცვლილებათა სახით, რომლებიც ამ ტექსტს განასხვავებს ორიგინალის ტექსტის ენობრივი ქსოვილისაგან.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, თარგმანის ტექსტის კონსტრუირების პროცესს ვაკავშირებთ არა მარტო საკუთრივ ენობრივ პირველად სისტემასთან, არამედ გარეენობრივ სისტემებთანაც. ასეთად მივიჩნევთ ორიგინალისა და თარგმანის განსხვავებულ გარეენობრივ სოციალურ-კულტურულ რეალობას და კომუნიკაციის აქტში მონაწილე სუბიექტთა ფაქტორებს. ამთგან პირველის — სოციალური რეალობის და ასევე თარგმანის ადრესატის ფაქტორთა მოქმედება თარგმნის პროცესზე წარმოქმნის საწყისი შეტყობინებისა და მეორადი შეტყობინების კომუნიკაციური ეფექტის გაწონასწორების საჭიროებას. ეს ფუნქცია ეკისრება მთარგმნელს, რომლის პრაგმატული ინტენცია პირველადი შეტყობინების კომუნიკაციური ეფექტის ანალოგიზაციაში მდგომარეობს.

საკითხთა რიგი, რომელიც დაკავშირებულია თარგმანის ტექსტის კონსტრუირებაში გარეენობრივ განზომილებათა როლთან, ჯერ კიდევ საჭიროებს შემდგომ შესწავლას.

ის დებულება, რომ თარგმანი კულტურათშორისი ურთიერთობის აქტია, ახალი არ არის, მაგრამ მეცნიერული აზრი ამ თვალსაზრისით მეტწილად მიმართული იყო საკუთრივ ლიტერატურული პრობლემებისაკენ, როგორცაა თარგმანის როლი ლიტერატურულ ურთიერთობებში, მისი უტილიტარული დანიშნულება, კულტურათა დიალოგი თარგმანის საშუალებით, მთარგმნელის, როგორც კულტურტრეგერის როლი და სხვა. რაც შეეხება იმ კომუნიკაციურ ურთიერთობებს და პრაგმატულ მიზანმიმართობებს, რომლებიც მყარდება ენათშორისი კომუნიკაციის აქტში მონაწილე კომუნიკანტთა შორის, რაც ამ ურთიერთობათა ენობრივი

მარკერების სახით დაშრევებულა თარგმანის ტექსტის ენობრივ ქსოვილზე. მათ შესწავლას ჯერ კიდევ ძალზე მოკრძალებული ადგილი ეთობბა ტრანსლაციურ ლინგვისტიკაში.

თარგმანის პრავმატიკასთან დაკავშირებით სპეციალურ ლიტერატურაში მეტწილად აქცენტირებულია ენის ნიშანთა პრავმატული მნიშვნელობების, ანუ მათი კონოტაციური ობერტონების გადატანის ტექნიკა თარგმანის ტექსტში. თარგმანის პრავმატიკა უკავშირდება ასევე განსხვავებული ფუნქციონალური დანიშნულების ტექსტთა თარგმნის მეოდიკას და იმ ნორმატიულ მოთხოვნებს, რომლებსაც უნდა პასუხობდეს თითოეული ფუნქციონალური სახეობის ტექსტის თარგმანი. მტკიცებას არ მოითხოვს ის გარემოება, რომ ენის ფუნქციონირების განსხვავებული გამოვლინებანი, რომელთა მიხედვითაც არის შემუშავებული ტექსტთა ფუნქციონალური ტიპოლოგია, თარგმანის ტექსტის კონსტრუირების ზოგადი პრავმატული დეტერმინანტია და ამდენად, მას ეუთობოთ კიდევაც სპეციალურ განაკვეთს წინამდებარე ნაშრომში. მაგრამ ჩვენი დაკვირვება მეტწილად მიმართულია საწყისი შეტყობინებისა და მისი თარგმნითი ვარიანტის კომუნიკაციური ეფექტის ტოლფასოვნების ან არატოლფასოვნების დეტერმინანტებზე და ისეთ პრავმატულ-ფუნქციონალურ ტრანსფორმაციებზე, რომლებიც განხორციელებულია შეპირისპირებული ტექსტების ადრესატთა (ორიგინალის ადრესატისა და თარგმანის ადრესატის) ეთნოლინგვისტური, ეთნოფსიქოლოგიური და ეთნოკულტურული განსხვავებებით წარმოქმნილი დამაბულობის გასანეიტრალეზად და საწყისი შეტყობინების კომუნიკაციური ინტენციის შესანარჩუნეზად მეორად შეტყობინებაში.

ჩვენი დაკვირვების ფოკუსში ექცევა უმთავრესად მეტალინგვისტური ხასიათის მოვლენები – თარგმანში აქტივიზებული ენობრივი ფორმების კავშირი სამეტყველო სიტუაციასთან, გარეენობრივ სოციალურ-კულტურულ ფონდთან, განსხვავებულ ენობრივ კოლექტივთა არაერთგვაროვანი დამოკიდებულება აზრის ექსტერიორიზაციის ენობრივ ფორმებთან ადამიანთა საზოგადოებრივი ცხოვრების სტანდარტიზებულ სიტუაციებში; ვგულისხმობთ სამეტყველო რეფლექსებს, დაკავშირებულს ადამიანთა კომუნიკაციის სხვადასხვავარ სოციალურ სიტუაციებთან, მათ სოციალურ როლებთან საზოგადოებრივ ცხოვრებაში და სხვა. ვუკვირდებით ასევე საწყისი შეტყობინების არაზუსტი ინტერპრეტაციის და

მცდარი ასოციაციური ალბათობის მიზეზებს, რომლებშიც ვლინდება ლინგვისტურ პროცესთა კავშირი სუბიექტურ პერცეფციასთან. გვიანტერესებს ასევე სემანტიკურ განსხვავებათა ეთნოფსიქოლოგიური ლოგიკა და ასევე ეთნოლინგვისტური წინააღმდეგობების დაძლევის მექანიზმი, მიზანმიმართული ორიგინალის კომუნიკაციური ინტენციის ანალოგიზაციაზე თარგმანის ტექსტში.

საკითხთა ჩამონათვალი, ვფიქრობთ, ეპასუხება თარგმანის ზოგადი თეორიის პრობლემატიკას, კერძოდ, მის ისეთ განაყოფს, რომელსაც იხსენიებენ როგორც მოძღვრებას ეკვივალენტურობის დონეთა შესახებ. თარგმანის კომუნიკაციურ-პროგნოზული ეკვივალენტურობის პრობლემა, იმ ნიშნით, რომ დაკავშირებულია შეპირისპირებულ ორენოვან ტექსტთა აზრობრივ და ექსპრესიულ-სტილისტურ ეკვივალენტურობასთან, როგორც შეტყობინების პრაგმატული ინტენციის აუცილებელ კომპონენტებთან, განსაკუთრებით მჭიდრო კავშირს ამჟღავნებს თარგმანის სემანტიკურ თეორიასთან. მეორე მხრივ, გამომდინარე იქიდან, რომ საანალიზოდ მეტწილად ვიყენებთ მხატვრული თარგმანის მასალას, ნაშრომში განხილულია ასევე თარგმანის ერთერთი ყანრული სახეობის — მხატვრული თარგმანის თეორიასთან თანაზიარი ცალკეული საკითხები.

ანალიზში გამოყენებულია ძირითადად კომუნიკაციის აქტში დაპირისპირებული ორი ენის მასალა - ინგლისურიდან ქართულზე თარგმნილი ტექსტები. კერძო შემთხვევებში, ცალკეულ მოსაზრებათა მართლზომიერების გადასამოწმებლად, ვიყენებთ რუსული თარგმანის ნიმუშებსაც, რის საფუძველზეც გამოვლენილია ზოგიერთი ობიექტურად არსებული კანონზომიერება, რომელიც ექვემდებარება განზოგადებას.

მიუხედავად იმისა, რომ ნაშრომის პრობლემატიკა გარკვეულად პასუხობს თარგმანის ზოგად თეორიას, ორენოვანი ტექსტების კომპარატიული ანალიზი გვაძლევს საშუალებას, განვიხილოთ საკითხთა ისეთი რიგიც, რომელიც ენათა აღნიშნული წყვილის შეპირისპირებაზე მიზანმიმართული გამოკვლევის სფეროს განეკუთვნება.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, თარგმანის ზოგადი თეორიის ცალკეული პრობლემები შეადგენს წარმოდგენილი გამოკვლევის საგანს, ხოლო კონკრეტულ თეორიათა მონაცემები მის საფუძველსა და მასალას.

საანალიზოდ განზრახ მოზომილად ვიყენებთ თარგმანის სხვა

ჟანრულ სახეობებს (ინფორმაციული, პუბლიცისტური და დოკუმენტური ტექსტების თარგმანებს), იმ მოსაზრებით, რომ ბოლო ათწლეულებში, განსაკუთრებით კი სამოციანი წლების შემდგომ, ზემოაღნიშნული ფუნქციონალური დანიშნულების ტექსტთა თარგმნის მეთოდოლოგია საკმაოდ ფართოდაა გაშუქებული სპეციალურ ლიტერატურაში.* მხატვრული თარგმანი კი, მისი ფუნქციონალური დიაპაზონის სიფართოვით და განსხვავებული ფუნქციონალური სტილების ინტერფერენციის პერსპექტივით, ძალზე უხვ მასალას შეიცავს არა მარტო თარგმანის ზოგადი თეორიის საკითხთა გადასაწყვეტად, არამედ თანამედროვე კომუნიკაციური ლინგვისტიკის დებულებათა გადასამოწმებლადაც.

თარგმანის თეორია, ზოგიერთი თეორეტიკოსის აზრით, უნდა შეისწავლიდეს მარტორდენ თარგმანის პროცესს, როგორც ენის ფუნქციონირების გამოვლენას მეტყველების სპეციფიკურ სახეობაში და არა მის რეზულტატს, ე.ი. თარგმნილ ტექსტს. მათი აზრით, ორიენტაცია თარგმანის, როგორც რეზულტატის ანალიზზე, მისი შეფასების კრიტერიუმთა დადგენაზე, თარგმანის თეორიას აქცევს ნორმატიულ დისციპლინად, მაშინ, როცა მეცნიერება, რომელმაც უნდა შეისწავლოს თარგმანი უნდა იყოს არა ნორმატიული, არამედ თეორიული (51-20). სავსებით ვეთანხმებით ა.დ. შვეიცერს, რომელიც თვლის, რომ ასეთი დაპირისპირება თეორიული და ნორმატიული მიდგომებისა არ არის მართებული. თარგმანის პროცესი გამიზნული სამეცნიერო აქტია და ბუნებრივია, რომ მთარგმნელი მიისწრაფვოდეს გარკვეული შედეგისაკენ, რაც კომუნიკაციის სრულყოფილებაში მდგომარეობს. თარგმნის პროცესში იგი ეძიებს საშუალებებს ამ სრულყოფილების მისაღწევად და თუ ამ ძიებებისას არ იქნა გათვალისწინებული გარკვეული ნორმები და თუ ეს ნორმები არ დაედო საფუძვლად მთარგმნელის შემფასებლურ დამოკიდებულებას თავისი შემოქმედებისადმი, მაშინ, როგორც წერს შვეიცერი, „სრულიად გაუგებარი რჩება მთარგმნელობით ძიებათა ლოკა“ (33-6).

* მხედველობაში გვაქვს განსაკუთრებით ა.დ. პუშინსკის, ლ.ს. ბარხუდაროვის, ა.დ. შვეიცერის და მათ თანაავტორთა მიერ დამუშავებული სამეცნიერო ტექნიკური და პუბლიცისტური ლიტერატურის თარგმნის მეთოდოლოგია (48, 49, 50) და ასევე მოსკოვის მ. ტორეზის სახელობის უცხოურ ენათა ინსტიტუტის შრომების სერია, გამოქვეყნებული პერიოდულ გამოცემაში „Тетради переводчика“.

პრაგმატული ასპექტები შიდაენობრივ და ენათშორის კომუნიკაციაში

§1. შიდაენობრივი კომუნიკაციის პრაგმატული ასპექტები

პრაგმატიკა ლინგვისტიკის ის სფეროა, რომელიც სისტემურ კავშირთა თვალსაზრისით ჯერ კიდევ არ არის სრულყოფილად შესწავლილი. მით უფრო ნაკლებადაა შესწავლილი პრაგმატიკის არსი ენათშორისი კომუნიკაციის აქტში ანუ თარგმანში. ბუნებრივია, თარგმანის პრაგმატიკის წვდომა ბევრადაა დამოკიდებული შიდაენობრივი კომუნიკაციის კანონზომიერებათა გამოვლენასა და შესწავლაზე, რაც, უდავოდ, წარმოაჩენს კომუნიკაციის პროცესზე პრაგმატული ასპექტის მოქმედების ნიშნებს ენობრივი და გარეენობრივი ფაქტორების სახით. ამდენად, ყოველ მეცნიერულ გამოკვლევას, რომელსაც წვლილი შეაქვს შიდაენობრივი კომუნიკაციის თეორიაში, დიდი მნიშვნელობა ენიჭება ენათშორისი კომუნიკაციის აქტის შესწავლისათვისაც, თარგმანის პრაგმატიკის არსის გააზრებისა და მისი ცნებითი აპარატის შემუშავებისთვის.

ვერბალური კომუნიკაციის თეორია შედარებით ახალი თეორიაა ენათმეცნიერებაში და, როგორც ცნობილია, შეისწავლის ენობრივ საშუალებათა ფუნქციონირების კანონზომიერებებს ადამიანთა სამეტყველო ურთიერთობაზე დაკვირვებით რეალურ სამეტყველო აქტებში. მისი კვლევის სფეროში ერთიანდება ადამიანის სამეტყველო ქმედების ყოველგვარი ფორმა საზოგადოებრივი ცხოვრების გლობალურ კონტექსტში. იგი მიზანმიმართულია, გამოავლინოს ვერბალური კომუნიკაციის ნებისმიერ კონკრეტულ აქტში ენის კომუნიკაციური ფუნქციის ზოგად კანონზომიერებათა მოქმედების ნიშნები. ამდენად, „ვერბალური კომუნიკაციის თეორია, სავსებით სამართლიანად, შეიძლება მივიჩნიოთ სამეტყველო აქტთა თეორიად, განურჩევლად იმისა, თუ რა სახეობით (მონოლოგიური თუ დიალოგიური) და რა ფორმით (წერითი თუ ზეპირი) არის განხორციელებული კომუნიკაციის აქტი“ (52-27).

კომუნიკაციური ორიენტაციის განვითარებამ ენის შესწავლაში, რისი დასტურიცაა არაერთი საგულისხმო გამოკვლევა ჩვენი საუკუნის სამოციანი წლებიდან მოყოლებული, Dickens M. (53); Berlo D. (54); Barlung D. (55) Ross R. S. (56); Леонтьев А.

Budd R. W. (58), როგორც ზემოთ ითქვა, დასახა ტაქსონომიური და სტრუქტურული ლინგვისტიკისაგან ბევრად განსხვავებული ამოცანები და მეთოდოლოგიური ორიენტაცია, რომელსაც გაცილებით უფრო ფართო მასშტაბის შედეგებამდე მიყვევართ, ვიდრე ტრადიციული ლინგვისტიკის ამოცანებსა და მეთოდებს.

მოდერნებაში ადამიანთა სამეტყველო ურთიერთობის შესახებ, როგორც შესავალშიც ითქვა, თავს იყრის ენისა და მეტყველების, ადამიანისა და საზოგადოების შემსწავლელ დარგთა პრობლემატიკა და ეფექტურად გამოიყენება ამ დარგებთან დაკავშირებული ცნებითი აპარატი; მათ შორის განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს ინფორმაციის თეორიის ცნებათა და მეთოდთა მისადაგება ზოგადად ჰუმანიტარულ მეცნიერებებთან და კერძოდ — ვერბალური კომუნიკაციის შემსწავლელ დარგთან, რამაც ბოლო ათწლეულებში საკმაოდ ფართო მასშტაბები მიიღო Лотман, Ю. М. (59), Гальперин И. Р. (60), Кухаренко В. А. (61), Степанов Ю. С. (62), Арнольд И. В. (63).

ინფორმაციის თეორიის ცნებათა მნიშვნელობა კომუნიკაციური ლინგვისტიკისათვის, ისევე როგორც მეცნიერების სხვა დარგებისათვის, იმაში მდგომარეობს, რომ იგი ხელს უწყობს ინფორმაციის გადაცემისა და მიღების ზოგადი კანონზომიერებების აღწერას ცნებათა და ტერმინთა ერთიან სისტემაში. ეს გარემოება, თავის მხრივ, შეიცავს ცოდნის განსხვავებულ სფეროთა მონაცემების საფუძველზე მათი ურთიერთგამდირებისა და დაკავშირების პერსპექტივას.*

ინფორმაციის თეორიის ცნებათა და ტერმინთა გამოყენება წინამდებარე ნაშრომში იმითაცაა გამართლებული, რომ იგი ერთგვარად გვაზღვევს ტერმინოლოგიური ეკლექტიკის გავლენისაგან, რაც ასე დამახასიათებელია არა მარტო ადრეული, არამედ ბოლოდროინდელი გამოკვლევებისათვისაც თარგმანის თეორიაში.** მეორე მხრივ, ეს კანონზომიერიცაა, რადგან ადამიანთა კომუნი-

* როგორც ამას მართებულად შენიშნავს ი. ვ. არნოლდი, „მეცნიერების განვითარება დამოკიდებულია ორ ურთიერთდაპირისპირებულ პროცესზე: ცალკეულ დარგთა დიფერენციაციასა და პირიქით — მათ ინტეგრაციაზე და ნიშანდობლივია, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი შედეგები სწორედ განსხვავებულ დარგთა შესაყარზე იჩენს ზოლმე თავს“ (63-24).

** ამასთან დაკავშირებით, უადგილო არ იქნება, თუ მოვიყვანთ რ. ბაუმის ენამოსწრებულ გამონათქვამს, რომ „იენი დროის ლინგვისტიკა შეგნებულად ან შეუგნებლად ცდილობს ააშენოს ახალი ტერმინოლოგიური ბაზილიონის გოდოლი“ (64). რ. ბაუმი ამ შემთხვევაში გულისხმობდა იმ აღრევას, რომელიც სუფევდა შეპირისპირებით ლინგვისტიკაში არა მარტო ტერმინთა, არამედ მეთოდთა და ცნებათა თვალსაზრისით, მაგრამ, ვფიქრობთ, იგივე სრულიად მართებულად შეიძლება თქმულიყო თარგმანის თეორიის შესახებაც.

კაცია, თავისი არსით, მის ნებისმიერ გამოვლინებაში, სწორედ ინფორმაციის გადაცემის აქტია; ტექსტი კი — ინფორმაციის გადაცემის საშუალება ან, თუ ინფორმაციის თეორიას დავესესხებით ტერმინს, იგი ინფორმაციის გადაცემის „არხია“.

კომუნიკაციის თეორია ენობრივ ერთეულთა ფუნქციონირებას შეისწავლის ე. წ. „კომუნიკაციურ ბლოკებში“ ანუ ტექსტში, ამიტომ ხშირად იგი ტექსტის თეორიის სინონიმადაც კი არის ხოლმე მოაზრებული (52). მისი შესწავლის ორბიტაში ექცევა ტექსტის, როგორც კომუნიკაციის ერთეულის შინაგანი სტრუქტურა, მაგრამ ამავე დროს, რამდენადაც კომუნიკაციის თეორია უკვირდება ვერბალური კომუნიკაციის კომპონენტებს ადამიანის სოციალურ-გნოსეოლოგიური ქმედების პროცესში, ტექსტის პრაგმატიკამაც დაიმკვიდრა ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი კომუნიკაციის თეორიაში. პრაგმატიკის თავდაპირველმა, ჩ. მორისისეულმა გაგებამ (მოძღვრება იმ დამოკიდებულებათა შესახებ, რომლებიც არსებობს ენის ნიშნებსა და მათ მომხმარებელთა შორის (65)), თანამედროვე ლინგვისტიკაში არაერთი განსხვავებული ინტერპრეტაცია შეიძინა. ვერ ვიტყვით, თითქოს, პრაგმატიკა ამჟამად არსებობდეს როგორც ერთიანი, დამოუკიდებელი მოძღვრება, მეცნიერული კვლევისათვის მკაცრად დადგენილი და საყოველთაოდ აღიარებული პროგრამით. უფრო მართებულია თუ ვიტყვით, რომ იგი ლინგვისტიკაში განვითარდა რამდენიმე ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად აღმოცენებული და ურთიერთგანსხვავებული კონცეფციის სახით. ამ მიმართულებათა ერთადერთი საერთო ნიშანი კი ისაა, რომ ყოველი მიმართულება ზოგად შტრიხებში აღიარებს ადამიანის (ენის მომხმარებლის) ფაქტორის გათვალისწინების აუცილებლობას ენის ფუნქციონირებაზე დაკვირვებისას.

პრაგმატიკის მორისისეულ იდეას მოჰყვა მისი პოპულარიზაცია ფილოსოფიასა და ლოგიკაში, რისი დასტურებაცაა ის, რომ ფორმალურ ლოგიკაში გაჩნდა „წმინდა პრაგმატიკის“ შექმნის იდეა. ფორმალური ლოგიკის გავლენით ერთ-ერთი მიმართულება ძირითადად უკვირდება ინდექსალურ (დეიქტიურ) ელემენტებს ენაში, რომლებსაც განეკუთვნება არა მარტო ნაცვალსახელები და ზმნიზედები, არამედ ბევრი სხვა ეგოცენტრისტული სპეციფიკატორიც (ზმნის დროთა ფორმები, ასპექტი და სხვ.), რომლებშიც ჩანს მოსაუბრის, ანუ დამკვირვებლის პოზიცია, რაც იმას ნიშნავს, რომ „მოსაუბრეს მის მიერ აღწერილ სიტუაციაში

ერთერთ ობიექტად შემოჰყავს ისეთი ობიექტი, რომელთანაც საკუთარი თავის იდენტიფიკაციას ახდენს“ (74-334).

ხანგრძლივი დროის განმავლობაში კვლევის ეს მიმართულება, რომელსაც, ფაქტობრივად, მეცნიერული კვლევა გადააქვს ენობრივ აბსტრაქციათა სფეროში, ითვლებოდა ლინგვისტური პრაგმატიკის ძირითად ობიექტად. შემდგომ ყურადღებამ საგრძნობლად გადაინაცვლა მეტყველების აქტებზე. ეს მიმართულება, რომლის სათავეში დგანან მეტყველების აქტთა თეორიის ცნობილი ფუძემდებლები ჯ. სერლი და ჯ. ოსტენი, ამჟამად, შეიძლება ითქვას, ყველაზე პოპულარული მიმართულებაა ლინგვისტური პრაგმატიკის სფეროში. გამონათქვამთა ილოკუციური ბუნება, ილოკუციის ექსპლიციტური და იმპლიციტური ფორმები, იმპლიკატურათა სისტემა გამონათქვამებში და სხვ. საკმაოდ ფართოდაა გაშუქებული სხვადასხვა ენის მასალაზეც და შეპირისპირებით პლანშიც.*

პარალელურად ვითარდებოდა ე. წ. აღწერილობითი პრაგმატიკაც, რომელიც ემპირიულად იკვლევს ისეთ ენობრივ ნიშნებს, რომელთა სემანტიკურ სტრუქტურაში ინკორპორირებულია საკუთრივ პრაგმატული, ანუ მათი კონოტაციური მნიშვნელობებიც.

განსხვავებული პრინციპული მიდგომით ვითარდება ლინგვისტური პრაგმატიკის კიდევ ერთი მიმართულება, რომელიც შეისწავლის ე. წ. დისკურსს, ანუ ტექსტის პრაგმატიზებულ ფორმას, მის კომუნიკაციურ მარკირებულობას, რისი შესწავლაც შეუძლებელია კომუნიკაციის სუბიექტისა და მისი ადრესატის ფაქტორებისაგან განყენებულად, იმის გაუთვალისწინებლად, თუ რამ განაპირობა კომუნიკაციის აქტი, რაგვარი კომუნიკაციური ინტენცია მართავს ამ აქტს და ვინაა მისი ადრესატი. პრაგმატიზებული ტექსტის პირობათა გამოვლენა კი, თავის მხრივ, მოითხოვს ფსიქოლოგიური და სოციალური ფაქტორების მხედველობაში მიღებას. ამასთან დაკავშირებით შემუშავდა კომუნიკაციური მაქსიმები, განსხვავებული პრაგმატული მიზანმიმართების ტექსტთა ტიპოლოგია და სხვ. მიგვაჩნია, რომ თარგმანის პრაგმატულ პრობლემებზე დაკვირვებისათვის განსაკუთრებით რელევანტურია სწორედ ეს ბოლო მიმართულება.

პრაგმატიკის მორიხისეულ გაგებას ტრადიციულად არაერთი მკვლევარი დღესაც იაზრებს როგორც ე. წ. „ბიჰევიორისტულ

* ამ თვალსაზრისითაა შესწავლილი მეტყველების აქტები. საკუთრივ კი - ექსპრესიული სინტაქსის სტრუქტურა ქართული და ინგლისური ენების მასალაზე, მ. ესაიას გამოკვლევაში (112).

სქემას“ (სტიმული – რეაქცია), ანუ, სხვა სიტყვებით თუ ვიტყვით, დაკანონებული ტრადიციის თანახმად, ამა თუ იმ სამეტყველო ერთეულთა პრაგმატული ნიშნადობის საზომად მიჩნეულია მარტოოდენ მათი არასამეტყველო ეფექტი – საპასუხო ფიზიკური ქმედების გამოწვევა. ასეთი გაგება შესაძლოა მართებულიც იყოს იმ შემთხვევაში, თუ კომუნიკაციის სუბიექტისაგან მომდინარეობს ბრძანება, მოწოდება რაიმე მოქმედებისაკენ, ინსტრუქტაჟი და სხვა. მაგრამ დაუყოვნებელი სამოქმედო რეაქცია ადრესატის მხრივ, როგორც ამაზე მართებულად მიუთითებს ა. ნოიბერტი, „ზოოფიზიოლოგიაში“ უფრო მოქმედებს, ვიდრე ადამიანთა კომუნიკაციაში. ადამიანთა ნებისმიერი კომუნიკაციური აქტის განსხვავება ზემოაღნიშნული „ბიჰევიორისტული სქემისგან“ სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ პრაგმატიკა არ არის უშუალოდ მიბმული დროსა და ადგილთან და არც, მით უფრო, დაუყოვნებელ სამოქმედო რეაქციასთან“ (66-185). დაახლოებით იგივე აზრისაა გ. ვ. კოლშანსკი, რომელიც თვლის, რომ „სემანტიკის რეალიზაციის იდეა არა სამეტყველო გარემოცვის კონტექსტში, არამედ მოქმედების მატერიალურ კონტექსტში, სხვა არაფერს ნიშნავს, თუ არა გამონათქვამის აზრის ტრანსფორმაციას ცნებითი სფეროდან სუბსტანციურ, ფიზიკური მოქმედების სფეროში“ (52-130), რაც, მისი აზრით, არ არის მართებული.

პრაგმატული ეფექტი, ა. ნოიბერტის მიხედვით, პოტენციურია და მისმა რეზულტატმა, ანუ კომუნიკაციის აქტის შედეგად მიღებულმა ინფორმაციამ, და, ამდენად, გარკვეულმა „ცოდნამ“, შესაძლოა, თავი იჩინოს ბევრად გვიან ან არც არასოდეს გამომჟღავნდეს, თუკი კომუნიკანტს საამისო არც სურვილი აქვს და არც საჭიროება.*

კომუნიკაციის აქტის მონაწილე კომუნიკანტებს, იმის გამო, რომ კომუნიკაციას ამყარებენ, ყველა ცალკეულ შემთხვევაში, განსხვავებული მიზნით, განსხვავებულ კომუნიკაციურ სიტუაციაში, აქვთ განსხვავებული როლი ურთიერთმიმართებაში, ამჟღავნებენ განსხვავებულ ფსიქოლოგიურ-ემოციურ განწყობას და ა. შ. ბუნებრივია, რომ ასევე არაერთგვაროვან დამოკიდებულებებს ავლენენ ისინი-

* ნოიბერტი ამ მოსაზრებას საკმაოდ თვალსაჩინოდ ამტკიცებს რომელიმე ხელსაწყოს მოხმარების ინსტრუქციის მაგალითზე: ხელსაწყოს დამამზადებელი ადგენს ტექსტს მისი მოხმარების წესებზე. თუ მომხმარებელი სწორად ამოკითხავს ამ ტექსტს, ე. ი. თუ ჩასწვდება მის პრაგმატულ მიზანმიმართებას, იგი გარანტირებულია, რომ საჭიროების შემთხვევაში სწორად მოიხმარს ამ ხელსაწყოს, მაგრამ ამისი საჭიროება შესაძლოა შეიქმნას არა იმწამიერად, არამედ კარგა ხნის შემდეგ ან არც არასოდეს (66-185).

ნი ფორმატივთა სელექციისას, თუ „ფორმატივებს“ ა. ნოიბერტის კვალდაკვალ მოვიაზრებთ როგორც გადასაცემი შეტყობინების ენობრივი ხორცშესხმის სხვადასხვა პლანის ელემენტებს. „ფორმატივი“ ა. ნოიბერტის განსაზღვრებით, ენობრივი ნიშნის ნაწილია, მისი მარტოოდენ მატერიალური ბაზა, რომელიც შეიძლება აღწერილ იქნეს ფონოლოგიურად, მორფოლოგიურად და სინტაქსურად. ფორმატივები ადამიანთა ენობრივი კოლექტივების განმასხვავებელი ნიშნებია. ისინი პროდუცირებული არიან კომუნიკაციის სუბიექტის მიერ და აღქმული და გაგებული კომუნიკაციის ადრესატის მიერ (66-185).

საერთოდ, ენის ნიშანთა სელექცია, ერთი მხრივ განპირობებულია კომუნიკაციის მიზნებით და კომუნიკაციის განხორციელების ფორმით (წერითი, ზეპირი, მონოლოგიური, დიალოგიური), მეორე მხრივ, მათი სელექცია ბევრადაა დამოკიდებული ასევე კომუნიკანტთა სუბიექტურ ფაქტორზე, მათ ასაკობრივ სხვაობაზე, ნათესაურ კავშირზე, სოციალურ როლებზე ურთიერთდამოკიდებულებაში, მათ სოციალურ სტატუსზე და ასევე მათ ინტელექტუალურ დონესა და სხვა გარეენობრივ ფაქტორებზე, რომლებიც ჯერ კიდევ მოითხოვენ შემდგომ გამოვლენასა და აღწერას.

კომუნიკაციისას აქტივიზებული ენობრივი ფორმების დიაპაზონი, ზემოხსენებული ფაქტორების გამო, ძალზე ფართოა და შეიცავს როგორც დაბალი რეპუტაციის ენობრივ ნიშნებს (ინტიმურს, შინაურულს, უხეშს, ვულგარულს, უწმაწურს და ა. შ.), ასევე პირიქით – ოფიციალურ, საქმიან, ცივ, მაღალფარდოვან, ნეიტრალურ და სხვა კონოტაციათა შემცველ სამეტყველო ერთეულებს. ამავე კატეგორიას შეიძლება მივაკუთვნოთ ასევე ემოციური სინტაქსის ნორმით გაწყობილი კონსტრუქციები, ენის ნორმებთან დაუდევარი ან პირიქით – მკაცრი დამოკიდებულების ინდიკატორები.

იმის გამო, რომ კომუნიკაციის აქტი მუდამ დაკავშირებულია ადამიანთა საზოგადოებრივი ცხოვრების რაიმე კონკრეტულ აუცილებლობასთან, ასევე კომუნიკანტთა განსხვავებულ ურთიერთობასა და ფსიქოლოგიურ განწყობასთან, ყველა ცალკეულ შემთხვევაში შეუძლებელია არ დავინახოთ კომუნიკაციის აქტზე მოქმედი ამა თუ იმ სოციალურად ტიპიზებულ ფაქტორთა მოქმედების კვალი. განსხვავებულ გარეენობრივ ფაქტორთა მოქმედება, წესით, არ უნდა ქმნიდეს დაბრკოლებას კომუნიკაციის განხორციე-

ელებისათვის, თუ ეს აქტი აკმაყოფილებს უმთავრეს პირობას, რომელიც კომუნიკაციის დამყარების საწყისშივეა ჩადებული. ეს პირობაა აზრის გადაცემის და მისი ადეკვატური გაგების პოტენციური შესაძლებლობა, პირობადებული იმ გარემოებით, რომ ენობრივ საშუალებათა სისტემა, ერთი ენობრივი კოლექტივის მიერ მისი გამოყენების საზღვრებში, მუდმივად ერთიანია, საყოველთაო და სოციალურად დეტერმინირებული. „ენობრივი ნიშანი, წერს ბ. ფონზუა, არ არის ნებისმიერი. არანებისმიერობას აპირობებს გაგებინების საჭიროება. მეტყველს გარკვეული თავისუფლება აქვს ენობრივ საშუალებათა გამოყენებაში, ოღონდ ეს თავისუფლება გასაგებობის ფარგლებს არ უნდა გასცდეს“ (67-25).

როგორი ინდივიდუალურიც არ უნდა იყოს ესა თუ ის კონკრეტული შემთხვევა შიდაენობრივ კომუნიკაციაში, მის კომუნიკაციურ ვარგისიანობას არეგულირებს ობიექტურად არსებული ენის სისტემის უნივერსალობა.

კომუნიკაციის ყოველი კონკრეტული აქტი, როგორც ზემოთ ითქვა, შეიცავს პრაგმატულ მიმართებას ამ აქტში მონაწილე პარტნიორზე და გათვლილია რეალური, კონკრეტული ადრესატის ან პოტენციაში არსებულ ადრესატთა კრებითი მოდელის ენობრივ გამოცდილებასა და იმ სათანადო ცოდნის მარაგზე, რომლის ფონზეც რეალიზებადი უნდა იყოს ადრესატის მხრივ მიღებული შეტყობინების გაცნობიერება. ამდენად, კომუნიკაციის განხორციელების უმთავრესი პირობის გარდა, რომელიც ენობრივი კომპეტენციის ტოლფასოვნებაში მდგომარეობს (ანუ როცა საკომუნიკაციო ენა კომუნიკანტებისათვის საერთოა), არსებობს კიდევ მეორე არანაკლებ მნიშვნელოვანი პირობა, დაკავშირებული შემეცნებით მხარესთან – ადრესატის მხრივ მიღებული შეტყობინების სრულყოფილი დეკოდირების უნარი. ეს უკანასკნელი განხილული უნდა იქნეს კომუნიკანტთა თეზაურუსის ტოლფასოვნების ან არატოლფასოვნების პლანში. თეზაურუსში, ჩვენი გაგებით, იგულისხმება არა მარტო ენობრივი კომპეტენცია, არამედ კომუნიკანტის მეხსიერებაში თავმოყრილი მთელი მისი გამოცდილება. „მეხსიერება“, ამ შემთხვევაში, გააზრებულია უფრო ფართოდ, ვიდრე მისი ანალოგიური ფსიქოლოგიური ტერმინის საგნობრივი შინაარსი. „მეხსიერება“, ინფორმაციის თეორიის თანახმად, არის მთელი ის ინფორმაცია, რომელიც გააჩნდა შეტყობინების ადრესატს ახალი ინფორმაციის მიღებამდე. მასში შედის: მისი მსოფლალქმა, მეტყვი-

დრეობით თუ ცხოვრებისეული გამოცდილებით შექმნილი შეხედულებანი გარემომცველ სამყაროზე, კულტურის დონე, ნაკითხობის ხარისხი, ასოციაციათა დამყარების უნარი, მოკლედ, მთელი მისი სოციალურ-კულტურული გამოცდილების ფონი.

როგორც ზემოთქმულიდან ჩანს, კომუნიკაციის სრულყოფილებაში, თვით ენობრივი კომპეტენციის ტოლფასოვნების დროსაც კი, გარეენობრივმა ფაქტორებმა შესაძლოა შექმნას ერთგვარი დაბრკოლება შეტყობინების დეკოდირების პროცესში და ხელი შეუშალოს კომუნიკაციის სუბიექტის ინტენციის სასურველ რეალიზებას. ინფორმაციის გამგზავნის მხრივ ყველა იმ ფაქტორის გაცნობიერებული გათვალისწინება ან, შესაძლოა, გაუცნობიერებელი, მაგრამ ინტუიციური შეგრძნობა უდევს ხოლმე საფუძვლად ენობრივი გამოხატვის საშუალებათა სათანადო შერჩევას აზრის ექსტერიორიზაციისთვის, რასაც შეისწავლის პრაგმატიკა ამ ცნების შინაარსის ფართო გაგებით.

შეტყობინებას მუდამ დიალოგური ბუნება ახასიათებს; ერთი და იგივე ინფორმაცია, თუნდაც, მაგალითად, ციურ სხეულებზე, შეუძლებელია ერთნაირად იყოს კოდიფიცირებული ენობრივი ნიშნებით სამეცნიერო-დარგობრივი ლიტერატურის ჟანრში, რომელსაც კითხულობს კვალიფიციური მკითხველი, ამ დარგის სპეციალისტი, და სამეცნიერო-პოპულარული ლიტერატურის ჟანრში, რომლის ადრესატი სპეციალურ, პროფესიულ ცოდნას მოკლებული მკითხველია.* ამდენად, ვერბალური კომუნიკაციის პროცესში ძალზე დიდი მნიშვნელობა ენიჭება როგორც გადასაცემაში ინფორმაციის მოცულობას, ასევე სათანადო ენობრივ ფორმათა შერჩევას.

ჩვენი დაკვირვებით, ბოლოდროინდელ გამოკვლევებში, რომლებიც ეხება პრაგმატიკის საკითხებს, განურჩევლად იმისა, შიდა-ენობრივია კომუნიკაციის აქტი თუ ენათშორისი, ლინგვისტიკის პრობლემათა კვლევის სპექტრის გაფართოების შედეგად გარკვეულწილად მოიშალა საზღვრები არა მარტო საკუთრივ ლინგ-

* საინტერესოდ გვესახება ი. ვ. არნოლდის მიერ გამოთქმული აზრი მხატვრული ლიტერატურის დეკოდირების თაობაზე: „კოდები, რომლებიც მხატვრული ლიტერატურის მკითხველს გააჩნია, და ყოველივე, რასაც მისი მენსიერება მოიცავს, შეუძლებელია ზუსტად ემთხვეოდეს ავტორის კოდებსა და თეზაურუსს. ასე რომ იყოს, აღმოჩნდებოდა, რომ ტექსტი არაფერს ახალს არ შეიცავს მკითხველისათვის და ამდენად, არც იქნებოდა მხატვრული ლიტერატურის ფაქტი. მაგრამ ეს კოდები სრულიად რომ არ ემთხვეოდეს ერთმანეთს, მაშინ მკითხველი წაკითხულიდან ვერაფერს შეიტყობდა“ (63-25).

ვისტიკის ქვედარგთა შორის, არამედ, როგორც შესავალშიც ითქვა, ლინგვისტიკასა და მის მომიჯნავე დარგებს შორისაც (ფსიქოლოგია, ეთნოგრაფია, სოციოლოგია, ლიტერატურათმცოდნეობა და სხვა). ეს იმის მაჩვენებელია, რომ პრაგმატიკა, როგორც ამაზე მართებულად მიუთითებდნენ ნ. დ. არუტიუნოვა და ე. ვ. პადურევა, უდავოდ ამჟღავნებს ენასთან და მის კომუნიკაციურ ფუნქციასთან სინთეზური მიდგომის საჭიროებას და მოითხოვს მონათესავე დარგთა ცნებების გათვალისწინებას (68-4). მართლაც, ისეთ ფაქტორთა თანაარსებობა ამ ხასიათის გამოკვლევებში, როგორცაა: მეტყველებაში აქტივიზებულ ენის ნიშანთა მიმართება გარეენობრივ ფაქტორებთან, სამეტყველო კონტაქტის პირობათა ფაქტორი, ამ კონტაქტის ექსპლიციტური თუ იმპლიციტური მიზანსწრაფვა, დამოკიდებულებათა ცვლა კომუნიკანტთა შორის, პირობადებული სამეტყველო სიტუაციის ცვლით დროსა და სივრცეში და ა. შ., მოწმობს იმას, რომ „პრაგმატიკა ქმნის ფართო მოზაიკურ კონტექსტს და კარს უღებს მომიჯნავე დისციპლინებს პრაგმატიკაში შესასვლელად“. ამავე დროს, უნდა შევნიშნოთ ისიც, რომ პრაგმატიკას ენიჭება ამ დისციპლინათა გამაერთიანებლის მისია (68-7).

საკითხთა რიგი, რომელიც პრაგმატიკის ამ ერთ-ერთი მიმართულების კვლევის სფეროშია გაერთიანებული, ერთი შეხედვით, თითქოსდა იგივეა, რასაც შეისწავლის ფუნქციონალური სტილისტიკა ან უფრო ადრეული, ტრადიციული რიტორიკა; კერძოდ, ენობრივ ერთეულთა არსებული რეპერტუარიდან ისეთი ფორმების გამოყოფას, რომლებიც აზრისათვის ხორცშესასხმელად უფრო ზუსტია და უფრო ეფექტური მსმენელსა ან მკითხველზე ზემოქმედებისათვის, მისი დარწმუნების, ემოციური აღელვებისა თუ მისთვის ესთეტიკური სიამოვნების მინიჭებისათვის; მაგრამ თანამედროვე პრაგმალინგვისტიკის განსხვავება ტრადიციული სტილისტიკისა და რიტორიკისგან იმაში მდგომარეობს, რომ კომუნიკაციური ლინგვისტიკის მონაცემთა გათვალისწინებით, იგი არა მარტო ემპირიულად აღწერს ამ ენობრივ ფორმებს, არამედ იმასაც, თუ რა სოციალური ფაქტორები განაპირობებს აზრის ენობრივი რეალიზაციის ამა თუ იმ ფორმას ადამიანთა ვერბალური კომუნიკაციის აქტში. „პრაგმატიკა შეისწავლის იმ ენობრივ საშუალებებს, რომელთა ინტერპრეტაცია შესაძლებელია მარტოოდენ მათი გამოყენების პირობებთან კავშირში და რომელთა აღწერა შესაძლე-

ბელია მხოლოდ იმ კონტექსტთან მიმართებაში, რომელშიც ისინი იჩენენ თავს“ (69-3).

ზემოთქმულიდან გამომდინარე, პრაგმატიკა, ტრადიციული სტილისტიკისა და რიტორიკისაგან განსხვავებით, ენის ნიშნებთან მათი მომხმარებლის დამოკიდებულებას შეისწავლის ადამიანის სამეტყველო აქტივობის ფართო სოციალურ-კულტურული კონტექსტის ფონზე და, რაც მთავარია, თავად კომუნიკაციის სუბიექტთან დაკავშირებით, რომელიც, როგორც ამაზე მიუთითებენ სპეციალურ გამოკვლევებში, თანამედროვე პრაგმატიკის ცენტრალურ კატეგორიას წარმოადგენს (52, 32, 70, 71, 72).

„პრაგმატიკა, ვკითხულობთ ი. ს. სტეპანოვთან, ამჟამად შეიძლება განისაზღვროს როგორც დისციპლინა, რომლის შესწავლის საგანია გაბმული და საკმაოდ დიდი მოცულობის ტექსტი – დისკურსი, კომუნიკაციის სუბიექტთან, ანუ მთელი ტექსტის „ეგოსთან“ კავშირში, რომელიც ქმნის ამ ტექსტს“ (71-325). პრაგმატიკის დაახლოებით იგივე განსაზღვრებას გვთავაზობს კ. ჩერიც, რომლის მიხედვით, „პრაგმატიკა ანალიზის უზოგადესი და უმაღლესი დონეა, რაც მოიცავს ისეთ პიროვნულ და ფსიქოლოგიურ ფაქტორებს, რომლებიც კომუნიკაციის ერთ აქტს განსხვავებენ მეორისაგან. მისი კვლევის ორბიტაში თავს იყრის საკითხთა რიგი, დაკავშირებული კომუნიკაციის მიზნებთან და იმ პრაქტიკულ შედეგებთან, რომლებიც კომუნიკაციის სუბიექტისთვის სასურველია და მნიშვნელოვანი“ (72-337).

ზემოთქმულიდან გამომდინარე, *ლინგვისტური პრაგმატიკა შეიძლება განვსაზღვროთ როგორც ზოგადი ცნება იმ მრავალგვარი, ერთმანეთზე დაშრეკებული ურთიერთობების ფორმებისათვის, რომლებიც მყარდება ენობრივ ნიშნებთან და მათ ერთობლიობასთან (ტექსტთან) ადამიანთა ვერბალური კომუნიკაციის პირობებში. ეს ურთიერთობები, დეტერმინირებული კომუნიკაციის მიზნით, მისი განხორციელების სიტუაციით და კომუნიკანტთა ინდივიდუალური ფაქტორით, თავის მხრივ, ვლინდება ენობრივ ფორმათა იმგვარ სელექციაში, რომელიც უზრუნველყოფს კომუნიკაციის აქტის განხორციელებას.*

სპეციალურ გამოკვლევათა გაცნობა ცხადყოფს, რომ პრაგმატიკა უმეტესად უკავშირდება გადასაცემი შეტყობინების ფუნქციურ სახეობას და კომუნიკაციის სუბიექტის (პროდუცენტის) ფაქტორს.

რაც შეეხება ინფორმაციის მიმღებს (რეცეპტორს), მიუხედავად იმისა, რომ ეს უკანასკნელი, ფაქტობრივად, ათვლის წერტილია პროდუცენტის მიერ ენობრივ ფორმათა სელექციისას, იგი ჯერ კიდევ საჭიროებს უკეთესად წარმოჩენას. ამისი მიზეზი უთუოდ იმაშია საძიებელი, რომ პრაგმატიკა მაინც მოაზრებულია როგორც აზრის რეალიზაციისათვის სათანადო ფორმათა ძიების პროცესი პროდუცენტის მხრივ, კომუნიკანტზე ინფორმაციულ-ინტელექტური, ემოციური თუ ესთეტიკური ზემოქმედების მიზნით. იგი ნაკლებად უკავშირდება პოტენციური რეცეპტორის ფაქტორს, რაც განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მეორადი კომუნიკაციისას, ე.ი. თარგმანში.

ამ საკითხს წინამდებარე ნაშრომში სპეციალურად ეძღვნება ცალკე განაკვეთი, ამჯერად კი შევნიშნავთ მხოლოდ იმას, რომ *ვერბალური კომუნიკაციის ნებისმიერი გამოვლინება განხილული უნდა იქნეს არა როგორც ავტონომიური სამეტყველო წარმონაქმნი, არამედ როგორც რთულ პრაგმატულ კომპლექსში ჩამონტაჟებული კომპონენტი. შეტყობინების პროდუცენტი და რეცეპტორი ერთ ორგანულ მთლიანობად უნდა იქნენ გააზრებული; მათი დაშორიშორება კომუნიკაციის პროცესში უმართებულო იქნებოდა.* კომუნიკაცია ერთიანი, განუყოფელი პროცესია, რომელშიც ერთ დონეზე მონაწილეობენ შეტყობინების გამგზავნიც და მისი მიმღებიც. მხოლოდ ასეთი წონასწორობა განაპირობებს ვერბალურ ურთიერთობათა განხორციელებას. *პრაგმალინგვისტიკის მიზანია, წარმოაჩინოს და აღწეროს ყველა ის ენობრივი და გარეენობრივი ფაქტორი, რომლებიც ვერბალური ურთიერთობის წონასწორობას უწყობს ხელს.*

ადრესატის ფაქტორის ზემოქმედება კომუნიკაციის სუბიექტზე, როგორც მის მიერ ენობრივ ფორმათა სელექციის დეტერმინანტისა, ნებისმიერი კომუნიკაციური აქტის თანმხლები მახასიათებელია. ეს ფაქტორი უმეტესად იმპლიციტურად მოქმედებს, მაგრამ კომუნიკანტის განსაკუთრებული ექსპლიკაციაც არ არის იშვიათი. რომ არაფერი ვთქვათ საკუთრივ აპელაციური ხასიათის ტექსტებზე (ქადაგება, პამფლეტი, პროკლამაცია, სააგიტაციო, პროპაგანდისტული და სარეკლამო ტექსტები), რომლებშიც აშკარად დომინირებს ზემოქმედების ფუნქცია, ადრესატის ექსპლიკაცია არანაკლებ დამახასიათებელია მხატვრული ლიტერატურის ზოგიერთი ჟანრისათვისაც. ასეთია მაგალითად, საყმაწვილო ლი-

ტერატურა, რომლის იმანენტური თვისებაა თხრობის ინტიმიზაცია და ამ მიზნით ყმაწვილის ცნობიერებისა და მისი მეტყველების იმიტაცია ან თუნდაც, ბოლოდროინდელ ინგლისურენოვან ბელეტრისტიკაში გავრცელებული „ტინიეჯერისტული“ ლიტერატურა, სადაც მთხრობელი-პროტაგონისტის ფამილიარული თხრობის მანერით, მკითხველთან გასაუბრებით, მისი მიზიდვით და ჩათრევით თხრობაში, კონკრეტული, მოზარდი მკითხველის კატეგორიისათვის გათვლილი ენობრივი ფორმების აქტივიზაციის გზით, ადრესატი არანაკლებაა ექსპლიციურებული.

ლინგვისტურ პრაგმატიკას არ ახასიათებს აშკარად გამოკვეთილი კონტურები. ყველა იმ პრობლემის სპექტრი, რომელიც დაკავშირებულია კომუნიკანტთა ურთიერთობებთან კომუნიკაციის პროცესში, იმდენად ფართოა, რომ მისი ამომწურავი ან თუნდაც, შედარებით ვრცელი გაშუქება შეუძლებელია წინამდებარე ნაშრომის ჩარჩოებში და, ფაქტობრივად, არც შეადგენს ჩვენს მიზანს. ჩვენი კონკრეტული მიზანია გამოვმიჯნოთ საკითხთა ის რიგი, რომელიც თარგმანის პრაგმატიკის შესავალში იყრის თავს და მეტ-ნაკლებად რელევანტურია პირველადი კომუნიკაციის პრაგმატულ მიმართებათა პროეცირებისას მეორად კომუნიკაციაში. პრაგმატული ურთიერთობანი თარგმანში, დაპირისპირებულ ენებში არსებული ზოგიერთი უნიკალიზმისა და ასევე განსხვავებული გარეენობრივი სამყაროს განზომილებათა ურთიერთმიმართებისას, განსაკუთრებით პრობლემატურია და მოითხოვს მთარგმნელისაგან ურთულეს ენობრივ ძიებებს, რასაც ცნობილმა გერმანელმა მთარგმნელმა და თეორეტიკოსმა ა. კურელამ „ჯოჯოხეთური სარჯელი“ უწოდა.

§2 თარგმანის პრაგმატული ასპექტები

თარგმანის პრაგმატიკა მრავალასპექტოვანია და მასში თავს იყრის როგორც საკუთრივ ენობრივი, ასევე გარეენობრივი ასპექტები. პირველს ვაკავშირებთ მთარგმნელის მიერ ენობრივი გამოხატვის ისეთ ფორმათა ძიებასთან, თარგმანის ენაში, რომლებშიც განფენილი უნდა იქნეს საწყისი შეტყობინების ტექსტის სიგნიფიკატური მნიშვნელობა და წარმოჩენილი მისი ფუნქციური დომინანტები, რაშიც საზოგადოდ ვლინდება საწყისი კომუნიკაციის სუბიექტის პრაგმატული ინტენცია. ყოველივე ეს ენათშორისი ორეტაპოვანი კომუნიკაციის მეორე ფაზაში, როცა ხდება პირველადი შეტყობინების ხელახალი კოდიფიცირება მეორე ენის ნიშ-

ნებსი, მოითხოვს მთარგმნელისაგან მიმღები ენის ისეთ ერთეულთა აქტივიზაციას, რომლებიც, ერთი მხრივ, შესაბამისობაში იქნება მოყვანილი წყარო ენის ტექსტით დაპროგრამირებულ ფუნქციურ დომინანტებთან, ხოლო მეორე მხრივ, – თარგმანის ენის ნორმებთან და თარგმანის მიმღები ენობრივი კოლექტივის რეცეპტორულ შესაძლებლობებთან.

თარგმანის პრაგმატიკაზე ლაპარაკისას, საკუთრივ ენობრივი და გარეენობრივი ასპექტების ერთმანეთისაგან გამიჯვნა, მათი ურთიერთგანპირობებულობის გამო, ძალზე პირობითია, რადგან ენობრივ ასპექტებს გარკვეულწილად მართავს სწორედ გარეენობრივი ფაქტორები, და პირიქით – თარგმანის ენა ხშირად არ შეიცავს ისეთ პოტენციურ შესაძლებლობებს, რომ ზუსტად და უდანაკარგოდ გამოხატოს თარგმანში საწყის ტექსტში აქტივიზებული არაერთი უნიკალიზმი, დაკავშირებული არა მარტო წყარო ენის სპეციფიკასთან, არამედ ეთნოკულტურულ რეალობასთანაც.

თარგმანისა და ორიგინალის, ანუ ორი სტატიკური ობიექტის შედარება წარმოაჩენს იმ გარემოებას, რომ საწყისი ტექსტი, როგორც ენობრივ ნიშანთა დიდი მასშტაბის ერთობლიობა, ისევე როგორც მცირე მასშტაბის ელემენტები – სიტყვები, შესიტყვებანი, ფრაზეოლოგია, მეორადი კომუნიკაციის ტექსტში განიცდიან მრავალგვარ მოდიფიკაციას. ეს გარემოება გვაძლევს საფუძველს, ვეძიოთ ამ მოდიფიკაციის მოტივაცია არა მარტო ენობრივ, არამედ გარეენობრივ განზომილებაშიც.

ტექსტთა შეპირისპირება წარმოაჩენს იმ გარემოებას, რომ ამ ტექსტთა კონსტრუირებაზე აშკარად გავლენას ახდენს როგორც ერთი, ასევე მეორე ენის სოციალურ-კულტურული ფონი და რომ ორივე ტექსტის უკან დგანან განსხვავებული ინდივიდუალური ცნობიერების მქონე სუბიექტები, რომლებიც ამყარებენ კომუნიკაციას ასევე განსხვავებულ ადრესატებთან. სწორედ ეს გარეენობრივი ცხოვრებისეული სინამდვილე – მეორადი კომუნიკაციის სუბიექტის ფაქტორი და მისი პოტენციური ადრესატის ფაქტორი, რომელიც ორეტაპოვანი კომუნიკაციის მთავარი ორიენტირია და ამ კომუნიკაციის ტერმინალური წერტილი, ის ფაქტორებია, რომელთაგან თითოეული, თავის მხრივ, მოქმედებს თარგმანის ტექსტის კონსტრუირების პროცესზე. ამ ფაქტორებს ვაკუთვნებთ თარგმანის ტექსტის კონსტრუირების მეორად, გარეენობრივ სისტემებს, გამომდინარე იმ ჭეშმარიტებიდან, რომ პირველ-

დი და ძირითადი სისტემა არის ენა და მისი მექანიზმი. მაგრამ *თარგმანის ანალიზის შეზღუდვა მარტოოდენ ენობრივ ტრანსფორმაციათა იმგვარ მექანიზმზე დაკვირვებით, რაც პირობადებულია კონტაქტში მყოფ ენათა სტრუქტურული არაიზომორფულობით, უთუოდ მთელი სისავსით ვერ გამოავლენს იმ რთულ და კომლექსურ გარდაქმნათა მიზეზებს, რომლებსაც განიცდის ტექსტი პირველადი შეტყობინების მეორად შეტყობინებაში ტრანსპოზიციისას.*

როგორც წერს ა. დ. შვეიცერი, „თარგმანზე დაკვირვება არ შეიძლება დაყვანილ იქნეს ორი განსხვავებული ენის ურთიერთმიმართებათა დადგენაზე და მარტოოდენ განსხვავებული ენობრივი მექანიზმების ანალიზის დონეზე. თარგმანის შესწავლა მოითხოვს განსხვავებული კულტურების ურთიერთმიმართებაზე დაკვირვებასაც (33-8). ამ თეზისის მართლზომიერება იმაში მდგომარეობს, რომ თარგმანი არა მარტო ენათშორისი, არამედ კულტურათშორისი კომუნიკაციის აქტიცაა, რაც იმას ნიშნავს, რომ „ტექსტის ტრანსპონირება ხდება არა მარტო მეორე ენის სისტემაში, არამედ მეორე კულტურის სისტემაშიც“ (73-15).

მიუხედავად იმისა, რომ ერთმანეთზე დაშრევებული პრაგმატული ურთიერთობები განფენილია თარგმანის ტექსტის მთელ სტრუქტურაში და ერთიანი ენობრივი წარმონაქმნის სახითაა განსხეულებული, მაინც შესაძლებელია ამოვიცნოთ თარგმანის ენობრივ ქსოვილში გარეენობრივ სისტემათა მოქმედების კვალი. ეს უკანასკნელი, როგორც ითქვა, პირველ ყოვლისა, უკავშირდება მთარგმნელის სუბიექტურ ფაქტორს, მის რეცეპტორულ შესაძლებლობებს და რეპროდუცირების უნარს, და ასევე — გარეენობრივ სოციალურ-კულტურულ ფონს და თარგმანის პოტენციური ადრესატის ფაქტორს.

გამომდინარე იმ მოსაზრებიდან, რომ *თარგმანის პრაგმატიკა ის სისტემაა, რომელიც არეგულირებს ერთი ენის კოდებში გამოხატული შეტყობინების მეორე ენაზე კოდიფიცირების პროცესს, ამყარებს წონასწორობას საწყისი შეტყობინების და მეორადი შეტყობინების კომუნიკაციურ ეფექტთა შორის და, რაც მთავარია, წარმართავს თარგმანის ტექსტის შინაგანი მოდიფიკაციის პროცესებს მისი მიმღები ენის სისტემისა და მიმღები კულტურის ფაქტორთა მკაცრი გათვალისწინებით, მიგვაჩნია, რომ თარგმანის პრაგმატიკაში სავსებით კანონზომიერად შეიძლება გაერთიანდეს როგორც ენობრივი, ასევე გარეენობრივი ასპექტები. გარეენობრივ*

განზომილებათა ყოველგვარი გამოვლინების ფორმას ვაერთიანებთ თარგმანის პრაგმატიკის გარეენობრივ ასპექტთა ზოგად ცნებაში.

თარგმანის კომუნიკაციურ-პრაგმატული ეკვივალენტურობა გვესმის როგორც ზოგადტრანსლაციური კატეგორია, ძირითადი მოთხოვნა ყოველგვარი სახის თარგმანისათვის, განურჩევლად მისი ჟანრული სახეობისა (სამეცნიერო-ტექნიკური, პუბლიცისტური, ბელეტრისტული) და განურჩევლად მისი შესრულების ფორმისა (წერილობითი, ზეპირი, სიმულტანური), იმ პირობით, რომ სწორედ შეტყობინების პრაგმატული ინტენციიდან გამომდინარე, სხვადასხვა შემთხვევაში ასევე სხვადასხვა სახის ეკვივალენტურობა შეიძლება იყოს ღომინანტური. მთარგმნელის პრაგმატულ მიზანს ერთ შემთხვევაში, საკუთრივ, „ინფორმაციული“ ტექსტების თარგმნისას (სამეცნიერო, დოკუმენტური) შეიძლება შეადგენდეს აზრობრივი სიზუსტის დაცვა, შინაარსობრივი ინვარიანტის შენარჩუნება; მეორე შემთხვევაში, დაუშვათ, აპელაციური ხასიათის ტექსტთა თარგმნისას, რომლებიც მიზანმიმართულია ადრესატის დარწმუნებაზე, მორალურ ან იდეოლოგიურ ზემოქმედებაზე, საჭირო ხდება იმპრესიული ეფექტის შემცველ ენობრივ ფორმათა ანალოგიზაცია, სხვა შემთხვევაში კი, კერძოდ, მხატვრულ თარგმანში, მთარგმნელის პრაგმატულ მიზანს შეადგენს ორიგინალის ფორმის, მისი ესთეტიკური ღირებულების ადეკვატური ეფექტის შექმნა.

წინამდებარე ნაშრომის ანალიზურ ნაწილში უპირატესობას ვანიჭებთ ნაწყვეტებს თარგმანის ურთულესი და ამავე დროს თარგმანის პრაქტიკაში ყველაზე მეტად გავრცელებული ჟანრული სახეობიდან, ეს არის მხატვრული თარგმანი. ამ არჩევანს თავისი გამართლება აქვს:

ა) პირველ ყოვლისა ის, რომ თარგმანის ლინგვისტური ასპექტების შესწავლისას თარგმანის ეს სახეობა ტრადიციულად და, შეიძლება ითქვას, ტენდენციურადაც, საკუთრივ ლინგვისტური დაკვირვების საზღვრებს მიღმა რჩება. იქიდან გამომდინარე, რომ მხატვრული თარგმანის ტექსტის კონსტრუირების პრინციპები უშუალო კავშირშია ორიგინალის ავტორის ინდივიდუალურ სამწერლო სტილთან, მის ხელწერასთან და ძირითადად ვლინდება ენის ნიშნებთან მის სუბიექტურ დამოკიდებულებაში, თარგმანის ამ სახეობაზე დაკვირვება ტრადიციულად თარგმანის ლიტმცოდნეობითი თეორიის პრეროგატივად ითვლება.

ეჭვს არ იწვევს ის გარემოება, რომ მხატვრული თარგმანი

კანონზომიერ შესაბამისობათა გამოვლენისათვის და შეპირისპირებული ენათა კონვენციონალური ენობრივი ფორმების მექანიზმზე დაკვირვებისათვის ნაკლებად ნაყოფიერი სფეროა. ისიც ცხადია, რომ მხატვრული თარგმანის პროცესი ძნელად ემორჩილება მოდელირებას. მაგრამ მისი საშენი მასალაც ენაა, ისევე როგორც თარგმანის ნებისმიერი ჟანრული სახეობისათვის, თუნდაც ამ მასალას არაკონვენციონალური ენობრივი ფორმები შეადგენდეს.

მხატვრული ნაწარმოების ავტორის კომუნიკაცია თავის პოტენციურ მკითხველთან მხატვრული ტექსტის საშუალებით, გულისხმობს არა მარტო ინფორმაციულ ზემოქმედებას (რომელსაც ხშირად „კონცეპტუალურ-ინფორმაციული“ ზემოქმედების სახელით იხსენიებენ სპეციალურ ლიტერატურაში), არამედ ესთეტიკურ-ემოციურსაც. ამ ზემოქმედების მიღწევა მრავალგვარი საშუალებით ხდება, რომელთა შორის განსაკუთრებულ ადგილს იკავებს ე. წ. არაკონვენციონალური ფორმები, ენობრივი უზუსიდან გადახვევა, ენობრივ ნიშნებთან ხშირად უკიდურესად სუბიექტური დამოკიდებულება.

მხატვრული ტექსტის დეკოდირებისას მკითხველი, ბუნებრივია, მხედველობაში იღებს მხატვრული ტექსტისათვის ალბათურ ენობრივ მოდელს და კონვენციონალურ ფორმათა ფონზე იგი შეუცდომლად შეიგრძნობს იმას, თუ ენობრივ ელემენტთა რაგვარი კომბინაციაა მოსალოდნელი და ნორმატიული და რომელია მოულოდნელი, ოკაზიური და არაკონვენციონალური.

ნორმატიული, კონვენციონალური ფორმებიდან გადახრა ტექსტის ენობრივ ქსოვილში უდავოდ ერთგვარად ანელებს დეკოდირების პროცესს, მაგრამ სწორედ ამ მიზეზით ამახვილებს მკითხველის ყურადღებას ამ ელემენტებზე და სწორედ ეს შეაგრძნობინებს მათ ექსპრესიულ ძალას.

კომუნიკაციის პროცესის თვალსაზრისით, ამ შემთხვევაში ვლახარაკობთ კოდების ცვლაზე, კონვენციონალური ფორმების ჩანაცვლებაზე უფრო მეტად ექსპრესიული ერთეულებით, რაც განპირობებულია შეტყობინების სპეციფიკური პრაგმატული მიზანმიმართებით — მოახდინოს ადრესატზე მეტი ემოციური ზემოქმედება. მაგრამ კოდების სისტემა ადაპტაციურია თავისი ბუნებით და რაც არ უნდა მოულოდნელი იყოს ესა თუ ის ელემენტი, იგი მაინც ასრულებს კოდის ფუნქციას შეტყობინების გადაცემის პროცესში, თუ, რა თქმა უნდა, ნორმიდან გადახვევა არ არის უკიდურესად

თვითნებური. არაკონვენციონალური ენობრივი ფორმებიც ემორჩილება გარკვეულ შეზღუდვას. ამ შეზღუდვებშიც ჩანს ის სისტემები, რომლებიც არეგულირებს ამ კოდებით გადაცემული შეტყობინების დეკოდირების პროცესს. ყოველი ინდივიდი, რომელიც ენას ფლობს, ფლობს ასევე მის ალბათურ სახეცვლილებებსაც, რომლებიც ენის სისტემის პერიფერიებზეა განთავსებული. უფრო მეტიც, არაკონვენციონალური ფორმებიც ექვემდებარება გარკვეულ აღწერას და სისტემატიზაციას. ასეთია, მაგალითად, მორფოლოგიური დონის არაკონვენციონალური ფორმები — მეტყველების ნაწილთა კატეგორიალური ნიშნების ტრანსპოზიცია, სინტაქსური დონის აზრნაცვალი სტრუქტურები, სიტყვათქმნადობის არაკონვენციონალური, არანორმატიული მოდელები, ენის ერთეულთა სტრატეგიკაციული ვარიანტულობა, ტექსტის არანორმატიული გრაფიკული გაფორმების შემთხვევები, სასვენ ნიშანთა არანორმატიული გამოყენება და ა. შ.

თარგმანის პრაგმატიკაში სწორედ ეს არაკონვენციონალური სპეციფიკური ფორმები იძენენ განსაკუთრებულ ნიშნადობას და დიქტომია: „კონვენციონალური“ — „არაკონვენციონალური“ — სწორედ თარგმანის პრაგმატიკისათვისაა რელევანტური.

ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ბულიგინას აზრი იმის თაობაზე, რომ „გრამატიკას აინტერესებს ენის გამოყენების კონვენციონალური ასპექტები, ხოლო ყოველივე ის, რაც არაკონვენციონალურია, მართალია, შეიცავს ინტერესს ლინგვისტი მკვლევრისათვის, მაგრამ ეს არ უნდა აისახოს ენის ლინგვისტურ-გრამატიკულ აღწერილობაში, რამდენადაც ენა ნიშანთა კონვენციონალური სისტემაა. არაკონვენციონალურ „იმპლიკატურათა“ შესწავლა პრაგმატიკის სფეროს განეკუთვნება (74-34).

მხატვრულ თარგმანსაც, ისევე როგორც თარგმანის სხვა ფუნქციონალურ სახეობებს, აქვს თავისი სპეციფიკა, მაგრამ მიუხედავად ყოველი ჟანრისათვის დამახასიათებელი თავისებურებისა, ნებისმიერი ტექსტის კონსტრუირება, რომელიც შეიძლება გაერთიანდეს ზოგად ცნებაში — თარგმანი, შეიცავს ინვარიანტულ პრაგმატულ ნიშნებს. ესენია: ორიგინალის შინაარსობრივი ინვარიანტის შენარჩუნება მეორე ენის ნიშნებში კოდოფიცირებულ ტექსტში და თარგმანის ტექსტის დამუშავების საჭიროება, განპირობებული ერთი მხრივ, შეპირისპირებულ ენათა სისტემების არაიზომორფულობით, მათი ზოგადსტილისტური მახასიათებლების

სპეციფიკურობით და მეორე მხრივ, გარეენობრივი ფაქტორების (მათ შორის თარგმანის ადრესატის ფაქტორის) განსხვავებულობით. ეს ის მოთხოვნებია, რომლებიც თარგმანის ნებისმიერ ჟანრულ სახეობაში მეტ-ნაკლებად მოქმედებს და ამყარებს კომუნიკაციურ-პრაგმატულ წონასწორობას ორიგინალისა და თარგმანის ტექსტებს შორის; ეს ის კატეგორიალური ნიშნებია, რომლებიც თარგმანს ანსხვავებს მასთან ახლოს მდგომი ლიტერატურული ფაქტებისაგან, როგორცაა: ტექსტის თავისუფალი გადამუშავება, ლიტერატურული ვერსია, ადაპტაცია, შემოკლება, რეფერირება, რეზიუმირება და სხვ.

ის ნიშანი, რომლითაც მხატვრული თარგმანი მართლაც განსხვავდება თარგმანის სხვა სახეობებისაგან, იმაში მდგომარეობს, რომ ტექსტის დამუშავების პროცესი ამ სახის თარგმანში განუზომლად უფრო რთულია, ვიდრე თარგმანის სხვა ჟანრულ სახეობებში, რადგან მთარგმნელის პრაგმატულ მიზანს ამ შემთხვევაში ეკვივალენტურობის ყველაზე რთული სახეობის – ფორმალურ-ესთეტიკური ეკვივალენტურობის შექმნა შეადგენს. ეს კი ნიშნავს ორიგინალის იმ სტილისმიერ ნიშანთა განმეორებას თარგმანის ტექსტში, რომლებშიც განსხეულებულია ორიგინალის ავტორის მხატვრული აზროვნება, გამოვლენილია მისი სუბიექტური დამოკიდებულება ენის ნიშნებთან და აზრის ექსტერიტორიზაციის ინდივიდუალური ხასიათი. ამ ერთეულთა ერთიანობა ქმნის ნაწარმოების სტილს. სტილისტურ მოვლენათა ანალოგიურობა კი ის პრაგმატული მიზანია, რომელიც განაპირობებს მხატვრული ტექსტის მთარგმნელის მოქმედებას.

„სტილი, წერს დ. ფანჯიკიძე, როგორც კომუნიკაციის მიზნის დომინანტურობა, უპირველეს ყოვლისა, მხატვრულ ლიტერატურას მიესადაგება. სტილი მხატვრულ ლიტერატურაში ნაკლებად სჯერდება იმპლიციტურ პირობებს, იგი აქ ზედაპირზე ამოდის და ექსპლიციტური ხდება (5-118).

ბ) მხატვრული თარგმანის ნაწყვეტთა ანალიზი ჩვენს ნაშრომში კიდევ იმ გარემოებით აიხსნება, რომ თარგმანის ეს სახეობა თავისი ფართო ფუნქციური დიაპაზონით, სხვადასხვა სტილთა ინტერფერენციით ძალზე უხვ მასალას გთავაზობს თარგმანში პრაგმატულ მიზანმიმართულებათა მონაცვლეობის პროცესზე დაკვირვებისათვის. მთარგმნელის პრაგმატული მიზნების ცვლა, პირველ ყოვლისა, დამოკიდებულია ფუნქციონალური დომინანტების ცვ-

ლაზე ორიგინალის ტექსტში. ეს არის, ერთი მხრივ, საავტორო თხრობითი პლანის ენობრივი მახასიათებლები, რომლებშიც გამოხატულია ავტორის ე. წ. „იდიოლექტი“. ორიგინალით დაპროგრამირებული სპეციფიკური ფორმების ანალოგთა ძიების რეზულტატი თარგმანის ენაში, საინტერესო მასალაა პრაგმატულ ტრანსფორმაციათა ლინგვო-სტილისტურ დეტერმინანტებზე დაკვირვებისათვის და ამდენად, საუკეთესო საშუალებაა შეპირისპირებულ ენებში ობიექტურად არსებული ფორმების ექსპრესიული და ესთეტიკური პოტენციალის განსხვავებათა გამოსავლენად. მეორე მხრივ, თარგმანის პრაგმატიკისათვის არანაკლებ რელევანტურია პერსონაჟთა სამეტყველო პლანი, განფენილი დიალოგებსა და შინაგან მონოლოგებში. განსაკუთრებით საინტერესოა მხატვრული თხრობის ისეთი სახეობა, რომელშიც ავტორს თავად პერსონაჟისათვის მიუხედავად თხრობა.

ყოველივე ზემოთქმულთან კავშირში, მხატვრულ ტექსტში უხვადაა ასახული ენის სტრატეგიკული და სიტუაციური ვარიანტულობის მახასიათებლები. აქედან გამომდინარე, მხატვრული თარგმანი ძალზე უხვად შეიცავს ისეთ ენობრივ მახასიათებლებს, რომლებიც თარგმნისას წარმოქმნიან სერიოზულ ლინგვო-სტილისტურ პრობლემებს. შემთხვევითი არ არის ის გარემოება, რომ ზოგიერთ ზემოხსენებულ ენობრივ მოვლენას სპეციალურ ლიტერატურაში დამკვიდრებული აქვს ე. წ. „უთარგმნელი ელემენტის“ სტატუსი. ამდენად, მხატვრული თარგმანის ტექსტის კონსტრუირებაში განუზომლად მეტია პრაგმატულ ტრანსფორმაციათა საჭიროებაც და ხვედრითი წონაც, ვიდრე თარგმანის სხვა ფუნქციონალურ სახეობებში.

გ) თარგმანის პრაგმატიკა, ისევე როგორც ნებისმიერი კომუნიკაციის პრაგმატიკა, უკავშირდება კომუნიკაციის სუბიექტის ფაქტორს და მის კომუნიკაციურ ურთიერთობას პოტენციურ ადრესატთან. ენათმორისი კომუნიკაციის აქტში კი მთარგმნელი ორი ფუნქციით მონაწილეობს: როგორც შეტყობინების რეცეპტორი (ორუტაპოვანი პროცესის პირველ ფაზაში, როცა იგი იღებს შეტყობინებას) და როგორც შეტყობინების პროდუცენტი (კომუნიკაციის პროცესის მეორე ფაზაში, როცა იგი თავადაა შეტყობინების გადამცემი). ამიტომ თარგმანის პროცესი ის საცდელი პოლიგონია, სადაც გამოცდას გადის მთარგმნელის რეცეპტორული შესაძლებლობებიც და მისი პროდუცირების უნარიც. ამ უკანასკნელში კი

შეუძლებელია არ გამოვლინდეს მთარგმნელის სუბიექტური ფაქტორი როგორც ინტერპრეტატორისა. თარგმანის ტექსტი ისეთი ენობრივი წარმონაქმნია, რომელშიც ერთდროულად ზედაპირზე ამოდის სწორედ მთარგმნელის სუბიექტურ ფაქტორთან დაკავშირებული არაერთი მახასიათებელი: მისი პერცეფტუული შესაძლებლობები, ფსიქოლოგიური განწყობა, შემოქმედებითი კრედი, ლიტერატურულ ტრადიციათა გავლენა მის შემოქმედებაზე, ენობრივი კომპეტენცია, ერუდიცია, ასოციაციათა დამყარების მისმიერი უნარი და სხვა, რაც პირობითად შეიძლება გაერთიანდეს მთარგმნელის კომუნიკაციური კომპეტენციის ზოგად ცნებაში.

დ) მხატვრული თარგმანი ასევე განუზომლად დიდ მასალას შეიცავს ისეთ გარეენობრივ ფაქტორზე დაკვირვებისათვის, როგორცაა ორიგინალისა და თარგმანის შექმნის სოციალურ-კულტურული გარემო, რომელიც, როგორც ზემოთ ითქვა, არანაკლებ კვალს ამჩნევს თარგმანის ტექსტის კონსტრუირების მექანიზმს, მის ენობრივ ქსოვილს.

ცხოვრებისეული რეალობის ის ფართო პანორამა, რომლის ფონზეც ვითარდება მოქმედება მხატვრულ ნაწარმოებში, აპრიორულადაც შეიძლება ითქვას, მრავლად შეიცავს ეთნოგრაფიულ, ისტორიულ, პოლიტიკურ, სოციალურ თუ სხვა სახის რეალიათა ენობრივ ექსპლიკატებს. ეს გარემოება, თავის მხრივ, წარმოქმნის თარგმანის ადრესატისათვის ამ რეალიათა იმგვარი მიწოდების საჭიროებას, რომ იგი პირისპირ არ დარჩეს ამოუხსნელი ენიგმების წინაშე. ამდენად, თარგმანის პოტენციური ადრესატის როლი თარგმანის ტექსტის კონსტრუირებისას უფრო მეტად თვალსაჩინოა მხატვრულ თარგმანში, ვიდრე თარგმანის სხვა სახეობებში. ამ სახის თარგმანი უხვად შეიცავს ტრანსფორმაციათა ისეთ სახეობებს, რომლებიც პირობადებულია ორიგინალისა და თარგმანის სოციალურ-კულტურული ფონის მკვეთრი დაპირისპირების გარკვეული ნეიტრალიზაციისა და კულტურული ბარიერის დაძლევისათვის.

ე) „სამეტყველო აქტი, წერს გ. ვ. კოლშანსკი, არის არა ინფორმაციის აბსტრაქტული გადაცემა და მიღება კომუნიკანტთა შორის, არამედ ურთიერთგაგებინება, რომელიც მრავალ კომპონენტს შეიცავს, ისეთსაც, როგორცაა კომუნიკანტზე ზემოქმედება“ (52-22), კომუნიკანტზე ზემოქმედების ეფექტი მართო მაშინ ექვემდებარება გარედან დაკვირვებას და შემოწმებას, როცა კომუ-

ნიკაციის სუბიექტის პრაგმატული მიზანია კომუნიკანტის სტიმულირება, შეასრულოს რაიმე ფიზიკური მოქმედება („დახურეთ, თუ შეიძლება კარი!“ „დადეთ ყურმილი!“ და ა. შ.). მაგრამ ისეთი შეტყობინების ეფექტი, რომელიც მიზანმიმართულია ემოციურ-ესთეტიკურ ზემოქმედებაზე, შეიძლება ითქვას, ლატენტურია და გარედან დაკვირვებას არ ექვემდებარება. მხატვრული ტექსტის ესთეტიკური ზემოქმედების ეფექტი კი შეიძლება გარკვეულწილად შემოწმდეს სწორედ მხატვრულ თარგმანში. მხედველობაში გვაქვს მთარგმნელის რეაქცია ორიგინალიდან მიღებულ მხატვრულ-ესთეტიკურ ზემოქმედებაზე. ეს რეაქცია ჩანს იმ ინტერპრეტაციაში, რომელსაც ორიგინალის ფუნქციონალური მახასიათებლები იღებენ მეორე ენის გამომხატველობით საშუალებებში, იმ ენობრივ მასალაში, რომელშიც მთარგმნელი ცდილობს ორიგინალის ინტენციის ანალოგის შექმნას. მკვლევარს, რომელიც ადარებს ტექსტის ორივე ენობრივ ვარიანტს, უკვე ხელთ აქვს ნივთიერი საფუძველი იმსჯელოს მთარგმნელის კომუნიკაციურ კომპეტენციაზე. კერძოდ, შეუძლია შეაფასოს, თუ რამდენად რეაგირებს მთარგმნელი სტილისტურ ნიუანსებზე, იმპლიკაციებსა და ქვეტექსტზე, შეიცნობს თუ არა სიახლესა და ორიგინალურობას ავტორის ხელწერაში, რამდენად სრულყოფილ ფუნქციონალურ ანალოგებს პოულობს ამ სიახლეებისათვის თარგმანის ენაში ანდა, პირიქით, ხომ არ აღარბეებს ორიგინალის შემოქმედებით ძალას და ამით ხომ არ ანეიტრალებს ავტორის პრაგმატულ ინტენციას. თარგმანის ტექსტში ჩანს ისიც, როცა მთარგმნელის მოჭარბებული შემოქმედებითი ინიციატივა სახეს უცვლის ორიგინალის ტექსტს და სრულიად განსხვავებულ სურათს იძლევა.

ამრიგად, თუკი გავიზიარებთ პოსტულატს იმის თაობაზე, რომ არაკონვენციონალური ენობრივი ფორმები პრაგმატიკის სფეროს განეკუთვნება, აშკარად დავინახავთ, რომ სწორედ მხატვრული ტექსტი თავისი პოლიფუნქციური ხასიათით და ყველა სხვა ზემოხსენებული პარამეტრით, უდავოდ უხვ მასალას უნდა შეიცავდეს თარგმანის პრაგმატულ ასპექტებზე დაკვირვებისათვის.

საკამათო არ არის, რომ მხატვრული ნაწარმოების თარგმანის ღირსებებზე ან ნაკლოვანებებზე მსჯელობა არ შეიძლება იზოლირებულად, ავტორის სამწერლო სტილის ზოგადი მახასიათებლებისა და კონკრეტული ნაწარმოების პრაგმატული ინტენციისა და იდეურ-კონცეპტუალური შინაარსისაგან მოწყვეტით. ავტორის პრაგმატული ინტენციის დანახვა ძნელია თითო-ორი იზოლირებული სემანტიკის ავტონომიურ საზღვრებში. მხატვრულ-ესთეტიკური ნიშნადობა უკეთ შესაცნობია, როცა დამკვირვებლის მხედველობის არეში ექცევა მთელი ტექსტის სტრუქტურა და როცა გვეძლევა შესაძლებლობა შევაფასოთ ენობრივ ფორმათა ღირებულება ნაწარმოების გლობალურ კონტექსტში, ან, უკიდურეს შემთხვევაში, გარკვეული თვალსაზრისით მნიშვნელოვან, მოზრდილ ტექსტობრივ მონაკვეთში. სწორედ ამ პრინციპით ვხელმძღვანელობთ წინამდებარე გამოკვლევის ბოლო განაკვეთში წარმოდგენილ ანალიზში, სადაც დაკვირვებას ვაწარმოებთ კონტრასტული პრაგმატული მიზანმიმართების მქონე ტექსტთა ნაწყვეტებზე, სხვადასხვა ავტორთა ინდივიდუალური სამწერლო სტილიდან. მაგრამ თარგმანის ტექსტის მოდიფიკაციის ისეთ სახეობათა განხილვამდე, რომლებშიც დასტურდება პრაგმატული ასპექტის იმპლიციტური ან ექსპლიციტური მოქმედება ტექსტის კონსტრუირების მექანიზმზე, საჭიროდ ვცნობთ, განვიხილოთ საკითხთა რიგი, რომელიც თარგმანის პრაგმატიკასთან პირველი მიახლოებისას იჩენს თავს და საჭიროებს განმარტებას ჩვენი შემდგომი მსჯელობის წარმართვის მართლზომიერებისათვის. ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვნად გვესაზება თარგმანის პროცესის მოდელირებისა და ამ პროცესში მთარგმნელის პრაგმატული მიზანმიმართების, ანუ მისი სტრატეგიის განმაპირობებელ ფაქტორთა აღწერა, აგრეთვე იმ მეცნიერული მონაცემების მიმოხილვა, რომლებიც უკავშირდება ამ კონკრეტულ საკითხებს.

ენათშორისი კომუნიკაციის პროცესის
 მოდელირება და მთარგმნელობითი სტრატეგიის
 განმსაზღვრელი ფაქტორები

§1. თარგმნის პროცესის მოდელირება

პრაგმატულ ასპექტთა მოქმედება თარგმანში თავს იჩენს უპირატესად იმ ურთიერთობებში, რომლებიც მყარდება კომუნიკანტთა შორის ენათშორისი კომუნიკაციის აქტის განხორციელებისას. ეს არის მთარგმნელი რეცეპტორის ურთიერთობა პირველადი შეტყობინების პროდუცენტთან საწყისი ტექსტის საშუალებით, რომელიც წყარო ენის ნიშნებით კოდიფიცირებული შეტყობინების ვარიანტია, და მთარგმნელი პროდუცენტის ურთიერთობა მეორადი კომუნიკაციის რეცეპტორთან მეორადი ტექსტის მეშვეობით, რომელიც ამჯერად უკვე მიმღები ენის ნიშნებითაა კოდიფიცირებული.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ენათშორისი კომუნიკაცია ორჯერადი აქტია, რომელშიც მონაწილეობს ორი პროდუცენტი, ორი ტექსტი და ორი რეცეპტორი, რომელთაგან ერთ-ერთი — მთარგმნელი, ერთდროულად ორი ფუნქციითაა წარმოჩენილი — როგორც პირველადი შეტყობინების მიმღები და მეორადი შეტყობინების გამგზავნი. თარგმნის პროცესი კი, კომუნიკაციის თეორიის თანახმად და ინფორმაციის თეორიის ცნებებში, საწყისი შეტყობინების დეკოდირებისა და ხელახალი, მეორადი კოდიფიცირების პროცესად უნდა მოვიაზროთ.

უახლეს თეორიულ გამოკვლევებში თარგმნის პროცესის მოდელირების რამდენიმე მეტ-ნაკლებად ცნობილი და გამორჩეული ვარიანტი არსებობს. გამორჩეულია ეს ვარიანტები სწორედ იმ ნიშნით, რომ მათში ორჯერადი კომუნიკაციის პროცესი მოდელირებულია ზემოხსენებულ ურთიერთობათა გათვალისწინებით და ინფორმაციის თეორიის ცნებათა გამოყენებით.

ვიდრე ამ მოდელთა განხილვაზე გადავიდოდეთ, გვინდა დავებრუნდეთ ინფორმაციის თეორიის ცნებათა გამოყენების საკითხს ენათშორისი კომუნიკაციის თეორიაში და მოკლედ განვსაზღვროთ, თუ რა შინაარსითაა დატვირთული ამ თეორიის შემქმნელის — კ. შენონის მიერ ინფორმაციის გადაცემის სქემა და მისი კომპონენ-

ტები კომუნიკაციის ამ სპეციფიკურ სახეობასთან ანუ ენათშორი-
სი კომუნიკაციის აქტთან მიმართებაში.

კ. შენონის სქემა, რომელიც შემუშავებული იყო ინფორმაციის
გადაცემის ტექნიკური საშუალებებისათვის, შედგება ხუთი ძირი-
თადი ნაწილისაგან: 1. ინფორმაციის წყარო, 2. ინფორმაციის
გამგზავნი, 3. ინფორმაციის არხი, 4. ინფორმაციის მიმღები, 5.
ინფორმაციის ადრესატი.

ინფორმაციის წყაროდ პირველად
კომუნიკაციაში უნდა მივიჩნიოთ კომუნიკაციის სუბიექტის გარე-
მომცველი სამყარო და მისი საზოგადოებრივი ცხოვრების, ადამი-
ანებთან ურთიერთობის საჭიროებით შექმნილი სხვადასხვა სიტუ-
აცია. მეორადი კომუნიკაციის პირობებში კი ინფორმაციის წყარო
არის უკვე შექმნილი და სხვა ენის კოდებში გამოხატული ტექს-
ტი, რომელიც შეიცავს რაიმე ინფორმაციას, გარკვეულ მიზან-
მიმართებას და მასთან შესაბამისობაში მოყვანილ ენობრივ ნიშ-
ნებს და ნიშანთა ერთობლიობებს ანუ კოდებს.

ინფორმაციის გამგზავნი, როგორც
შიდაენობრივი, ასევე ენათშორისი კომუნიკაციისას, ის სუბიექ-
ტია, ვინც თავისი ენობრივი კოლექტივის წევრებთან საზოგადოე-
ბრივი ცხოვრების რაიმე საჭიროებით ამყარებს კომუნიკაციურ
ურთიერთობას. ამასთან, ფილოსოფიური, ზნეობრივი, პოლიტიკური,
სოციალური ფაქტების მთელი კომპლექსიდან და კონკრეტულ
ყოფაში შექმნილი კომუნიკაციის მრავალგვარი აუცილებლობიდან
იგი ირჩევს ისეთ შეტყობინებას, რომელსაც კომუნიკანტისათვის
გადასაცემად ცნობს საჭიროდ, მისი არსებობის, მისი საზოგადო-
ებრივი ცხოვრების კონკრეტულ მონაკვეთში.

ინფორმაციის არხად, რომელიც კ.
შენონის სქემის მესამე კომპონენტია, პირველადი და მეორადი
შეტყობინების ტექსტები უნდა მივიჩნიოთ, განურჩევლად მათი
ფორმისა და სახეობისა. მეორადი კომუნიკაციის ტექსტი, კო-
მუნიკაციის სრულყოფილების მიზნით, და წყარო ენის შიდაენო-
ბრივი პრავმატული ურთიერთობების დაცვის საჭიროებით კო-
დიფიცირებული უნდა იყოს იმგვარი ენობრივი სიგნალებით, რომ-
ლებიც მაქსიმალურად გამოავლენს მეორად ტექსტში საწყისი
კომუნიკაციის სუბიექტის ინტენციას. ინტენციაში ვგულისხმობთ
არა მარტო საწყისი შეტყობინების იდეურ-შინაარსობრივ ინფორ-
მაციას, არა მარტო მის ფუნქციურ დანიშნულებას, არამედ აზრის

ექსტერიორიზაციის შესაბამის ენობრივ კოდებს და პრაგმატულ მიზანმიმართებას კომუნიკანტზე. კოდი კი კონტაქტში მყოფი ორივე ენის ნიშანთა პირველადი სისტემის შემადგენელი ელემენტია, თუმცა იმის გამო, რომ იგი ცვლადი, ხშირ შემთხვევაში არაკონვენციონალური ერთეულია (რაც განსაკუთრებით დასტურდება მეტაენების არსებობით), შეიძლება ცალკეულ შემთხვევებში მეორად სისტემასაც მივაკუთვნოთ. ი. ვ. არნოლდის აზრით, ასეთია, მაგალითად, მხატვრული ლიტერატურის კოდთა სისტემა იმ ნიშნით, რომ იგი ძალზე სპეციფიკურია, აღბეჭდილია სუბიექტურობის ნიშნით და შეიცავს განსხვავებული დეკოდირების შესაძლებლობას. არაცალსახა ინტერპრეტაციის მიზეზად ი. ვ. არნოლდი მიიჩნევს ავტორისა და მისი მკითხველის თუზაურუსთა განსხვავებას, რადგან „მკითხველის კულტურა, ინტელექტი და ემოციები შეუძლებელია, აბსოლუტურად ემთხვეოდეს ავტორისას“ (63-31).

როგორც ზემოთ ითქვა, კ. შენონის სქემა შემუშავებულია ტექნიკური სისტემებისათვის, ამიტომ მისი მეოთხე კომპონენტი — ინფორმაცია, ის აპარატია, რომელიც ახდენს შეტყობინების დეკოდირებას (მაგალითად, სატელეგრაფო სისტემაში), ხოლო მეხუთე შემადგენელი — ადრესანტი — ის პიროვნებაა, ვისაც გადაეცემა დეკოდირებული ინფორმაცია. შიდაენობრივი კომუნიკაციის აქტში სქემის მეოთხე და მეხუთე კომპონენტი, შეიძლება ითქვას, გაერთიანებულია ერთ პიროვნებაში, რომელიც მიღებული ენობრივი სიგნალების დეკოდირების გზით თავადვე უშუალოდ იღებს მისთვის განკუთვნილ ინფორმაციას. რაც შეეხება ენათშორისი კომუნიკაციის აქტს, სქემის მეოთხე კომპონენტი — ინფორმაციის მიმღები, — მთარგმნელი-რეცეპტორია, ვინც, შეტყობინების დეკოდირებისა და ხელახალი კოდიფიცირების შემდგომ, თარგმანის ტექსტის არხით გადასცემს ინფორმაციას ამჯერად მეორადი შეტყობინების ადრესატს — თარგმანის მკითხველს ან მსმენელს. ამ სქემის მიხედვით, მთარგმნელი ასრულებს მეოთხე კომპონენტის ფუნქციას, ხოლო მეხუთე კომპონენტი — ამ ორფაზოვანი კომუნიკაციის ტერმინალური პუნქტი თარგმანის ადრესატია.

ინფორმაციის თეორიის ცნებათა ექსტრაპოლაცია და მათი მისადაგება თარგმანთან, ფაქტობრივად, იმ ენთუზიაზმის შედეგი იყო, რომელიც დაკავშირებული იყო სამანქანო თარგმანით პირველ გატაცებასთან, მაგრამ შემდგომ გამოიკვეთა ამ სქემის გამოყ-

ენების ტენდენცია ისეთი თარგმნის პროცესის მოდელირებაში, რომელსაც ასრულებს ადამიანი, ანუ, როგორც მას უწოდებს ო. ეტინგერი, “flesh and blood translator” (75-32).

ა. დ. შვეიცერის მიხედვით, რომელიც უკვირდება თარგმნის პროცესის მოდელირების განსხვავებულ სქემებს, (33) ენათშორისი კომუნიკაციის ერთ-ერთი ადრეული მოდელი, შემუშავებული ინფორმაციის თეორიის შუქზე, ეკუთვნის თარგმანის ცნობილ თეორეტიკოსს ო. კადეს (76). მისი მოდელი ზოგადია და საერთო თარგმანის ნებისმიერი სახეობისთვის, რაც იმას ნიშნავს, რომ ო. კადე არ იზღუდება ტექსტის გრაფიკული თუ ბგერითი გადაცემის ფორმით და არც შეტყობინების ფუნქციური სახეობით.

თარგმნის პროცესი



P – საწყისი შეტყობინების გამგზავნი (პროდუცენტი), T_1 – ტექსტი წყარო ენაზე, R – მთარგმნელი-რეცეპტორი, P_1 – მთარგმნელი-პროდუცენტი, T_2 – ტექსტი მიმღებ ენაზე, R_1 – თარგმანის რეცეპტორი. წარმოდგენილი მოდელის მიხედვით, თარგმნის პროცესი სამ ფაზას შეიცავს: 1. კომუნიკაცია საწყისი შეტყობინების პროდუცენტსა და მთარგმნელ-რეცეპტორს შორის; 2. საწყისი ტექსტის კოდთა ჩანაცვლება მიმღები ენის კოდებით; 3. კომუნიკაცია მთარგმნელ-პროდუცენტსა და თარგმანის რეცეპტორს შორის.

საკუთრივ თარგმნის პროცესი, ო. კადეს მოდელის მიხედვით, როგორც ეს სქემაზეც ჩანს, მოიცავს პირველი ფაზის იმ ნაწილს, სადაც მთარგმნელი შეტყობინების რეცეპტორის ფუნქციაშია, მთელ მეორე ფაზას და მესამე ფაზის იმ ნაწილს, სადაც ხდება შეტყობინების რეალიზაცია მიმღებ ენაზე და მთარგმნელი უკვე ტექსტის პროდუცენტის ფუნქციას ასრულებს.

ენათშორისი ორჯერადი კომუნიკაციის სქემა შეიძლება შევადაროთ ორი კომუნიკანტის სამეტყველო ურთიერთობის ფორმას, რაც ერთი და იმავე კომუნიკაციური სქემის ციკლური განმეორე-

ბის პროცესია. ამ პროცესისას მონაცვლეობით ხდება აზრის გამოთქმა და აზრის მოსმენა და კომუნიკანტთაგან ორივე ხან კომუნიკაციის სუბიექტია და ხანაც ადრესატი. ანალოგიურად, მთარგმნელიც თარგმნის პროცესში ორივე ფუნქციას ასრულებს.

ო. კადე, როგორც მისი სქემიდან ჩანს, ცდილობს აბსტრაგირებას ყოველგვარი გარეენობრივი და სუბიექტური ფაქტორებისაგან, რომელთა მოქმედებას თარგმნის პროცესზე იგი შემდგომი მსჯელობისას გარკვეულ მნიშვნელობას ანიჭებს, მაგრამ მიაჩნია, რომ თარგმნის პროცესის ფენომენის კანონზომიერებათა გამოვლენისას საჭიროა „შემთხვევითი ფაქტორებისაგან აბსტრაგირება“. ამ ფაქტორებად იგი მიიჩნევს სუბიექტის ფაქტორსა და გარეენობრივ ფაქტორებს. „წინააღმდეგ შემთხვევაში, წერს ო. კადე, მივიღებთ მონაცემებს არა თარგმნის პროცესის არსზე, არამედ იმაზე, თუ რა მთარგმნელობით შესაძლებლობას ფლობს ადამიანი და სად არის ამ შესაძლებლობათა საზღვრები“ (75-78). ო. კადეს რწმენით, თარგმნის პროცესის არსის გამოსავლენად რელევანტურია სწორედ ის ფაქტორები, რომლებიც ობიექტურად მოქმედებენ, კომუნიკაციის სუბიექტისაგან დამოუკიდებლად. მისი მიზანია ორენოვანი კომუნიკაციის იდეალური მოდელის შექმნა. ამიტომ ო. კადეს მიერ შემუშავებული მოდელი, შეიძლება ითქვას, აბსტრაქტულია და მიზანსწრაფული, რომლის მთავარი დანიშნულებაა თარგმნის პროცესის წარმოჩენა ოპერაციათა განხორციელების პორიზონტალურ ღერძზე. ეს გარემოება საფუძველს აძლევს ა. დ. შვეიცერს შენიშნოს, რომ „ო. კადეს სქემაში თარგმნის პროცესი ისეა წარმოდგენილი, თითქოს იგი ვაკუუმში მიმდინარეობდეს, ყოველგვარი გარეენობრივი ფაქტორების გაუთვალისწინებლად“ (33-49).

ერთ-ერთი ასევე შედარებით ადრეული მოდელი (რომელსაც გვთავაზობენ ი. რეზვინი და ვ. როზენცვეიგი (51), ორენოვანი კომუნიკაციის ორგვარ ვარიანტს განასხვავებს: ინტერპრეტაციასა და თარგმანს. პირველ სახეობაში მთარგმნელი, სათარგმნი ტექსტის ენობრივ მასალაში გადმოცემული ინფორმაციის დეკოდირების შემდეგ გაიცნობიერებს მას, ააგებს საკუთარ წარმოსახვაში ობიექტური სინამდვილის სიტუაციას და შემდგომ ამისა, სრულიად აბსტრაგირებული საწყისი ტექსტის ენობრივი მასალისაგან და კონცენტრირებული მარტოოდენ აღწერილ სიტუაციაზე, ასახავს მას მეორე ენის ენობრივ მასალაში. ამ ვარიანტს ზემოხსე-

ნებული ავტორები განიხილავენ არა როგორც თარგმნას, არამედ როგორც ინტერპრეტირებას, რაც მათი თქმით, უფრო დამახასიათებელია მხატვრული ნაწარმოების სხვა ენაზე გადატანისას; მეორე ვარიანტში კი, რომელსაც ავტორები „საკუთრივ თარგმანს“ უწოდებენ, და რაც, მათი აზრით, მხოლოდ სინქრონულ თარგმანში იჩენს თავს, პროცესი სრულიად სხვაგვარადაა წარმოდგენილი: ერთი ენის სისტემიდან შეტყობინების მეორე ენის სისტემაში გადატანა წარმოდგენილია რაღაცა „შუამავალი ენის“ მეშვეობით, რომელიც ავტორებს გააზრებული აქვთ როგორც წინასწარ დეტერმინირებული, ენათა შესაბამისობის ფორმალიზებული და მზამზარეული სისტემა, რომლითაც სარგებლობს მთარგმნელი. ენობრივ ფორმათა დაკავშირება ობიექტურ სინამდვილესთან და მის სიტუაციებთან, ზემოაღნიშნულ ავტორთა აზრით, ხდება გაცილებით ადრე და უკვე გამზადებული სახითაა გამოხატული როგორც ერთი, ასევე მეორე ენის შესაბამის კატეგორიებში.

აქედან გამომდინარე, გარეენობრივ სინამდვილესთან ენის ნიშანთა მიმართების სისტემის ჩამოყალიბება, მათი აზრით, სინქრონული თარგმნის პროცესის წინმსწრები, წარსულის ფაქტია და არა უშუალოდ თარგმნის პროცესის ერთ-ერთი კომპონენტი.

ამ ე. წ. „შუამავალ ენაში“, ვფიქრობთ, ავტორები გულისხმობენ იმ ენობრივ კომპეტენციას, რომელიც ყოველი ბილინგვას მიერ თარგმნის პროცესში უცილობლად მოქმედებს და კონტაქტში მყოფი ორივე ენის აქტიურ ცოდნასა და მექანიკურ გამოყენებაში ვლინდება. ჩვენი აზრით, ეს დამახასიათებელია ნებისმიერი თარგმნის პროცესისათვის, განურჩევლად სათარგმნი მასალის უნარული სახესხვაობისა და შესრულების ფორმისა. „წარსულის ფაქტის“ კატეგორია, რომელიც ჩვენი გაგებით, იგივეა, რაც ენობრივი „მეხსიერების“ კომპონენტი, ანუ, სოსიურის მიხედვით — „ცნებების გამომხატველ ნიშანთა სისტემა, აუცილებელ პირობათა ერთობლიობა, რომელსაც ღებულობს კოლექტივი, რათა უზრუნველყოს სამეტყველო ქმედების უნარის რეალიზაცია და ფუნქციონირება“, არა გვეგონია, გამოდგეს მათ მიერ გამოიყენებული ორი ვარიანტის („ინტერპრეტაციისა“ და „საკუთრივ თარგმანის“) განმასხვავებელ მახასიათებლად.

მიუხედავად ზოგიერთი საკამათო დებულებისა, ამ მოდელის დადებითი ნიშანი მაინც ის არის, რომ ობიექტური სინამდვილის, ანუ სიტუაციის საკუთარ წარმოსახვაში აგება მიჩნეულია ენათ-

შორისი კომუნიკაციის პროცესის კომპონენტად თუნდაც ერთ ვარიანტში — „ინტერპრეტაციაში“. მაგრამ, მეორე მხრივ, ეს კომპონენტი არ შეიძლება მთლიანად იყოს უგულვებელყოფილი „საკუთრივ თარგმანის“ მათებურ ვარიანტში, თითქოს და სინქრონისტი მთარგმნელის მიერ ინფორმაციის წყაროდან (ამ შემთხვევაში კომუნიკაციის ერთ-ერთი სუბიექტის სამეტყველო პარტიიდან) მიღებული შეტყობინების უკან მდგომი ექსტრალინგვისტური სიტუაციის გააზრება და ინტერპრეტაცია არ იყოს დამახასიათებელი. საკამათო არ არის, რომ მხატვრული ნაწარმოების ორიგინალიდან მიღებული შეტყობინების თავისუფალი ინტერპრეტაციის ტენდენციას ლიტერატურული ნაწარმოების თარგმანი, განსაკუთრებით კი — პოეზია, უფრო მეტად ავლენს, ვიდრე არალიტერატურული, ფაქტუალური ინფორმაციის შემცველი ტექსტის თარგმანი, რომელიც უფრო მეტადაა მიზანმიმართული აზრის სიზუსტის დაცვაზე. მაგრამ ინტერპრეტაციის საჭიროების აბსოლუტური გამორიცხვა ამ უკანასკნელში, ჩვენი აზრით, ისევე არ არის გამართლებული, როგორც „წინასწარი განამზადის“ უგულვებელყოფა ლიტერატურულ თარგმანში.

საერთოდ, ტერმინი „ინტერპრეტაციის“ არადიფერენცირებული და უმისამართო ხმარება, ამჯერადაც და სხვა შემთხვევებშიც, გარკვეულ გაუგებრობას ქმნის. თუ იგი გვესმის მისი ადრეული, ტრადიციული შინაარსით, რაც გულისხმობდა უცხოენოვანი სიუჟეტის გადაკეთება-მიბაძვის პრინციპით შექმნილ ლიტერატურულ ფაქტს, ანუ, საბას თქმით — „ორიგინალის თავისად მოქცევას“, რისი შედეგიც იყო ლიტერატურის ისტორიაში კარგად ცნობილი არაერთი მთარგმნელი სიუჟეტის გავერცელება, მაშინ მიზანშეწონილია ვინმე ვთქვათ „თავისუფალი ინტერპრეტაცია“, „გადაკეთება, მიბაძვა“ ან ტექსტის ხელახალი დაბადების ნებისმიერი ისეთი სახეობის შესაბამისი სიტყვა, რომელიც თარგმანთან სტრუქტურულ მსგავსებას ავლენს. ხოლო თუ ამ ტერმინს მოვიაზრებთ შედარებით ახალი გაგებით, როგორც ის იხმარება თანამედროვე სპეციალურ ლიტერატურაში, ანუ როგორც წყარო ენიდან მომდინარე ინფორმაციის ამოკითხვის ერთ-ერთ შესაძლებელ ვარიანტს და იმგვარ შემოქმედებით გადამუშავებას, რომელიც იქნება მისადაგებული მიმღები ენობრივი კოლექტივის რეცეპტორულ შესაძლებლობებთან, მაშინ იგი სინქრონული თარგმანის მახასიათებლადაც უნდა მივიჩნიოთ. ა. პოპოვიჩის განმარტებით, „ინტერპრე-


ტაცია“ არის მთარგმნელის მოძრაობა კომუნიკაციური მოდელის პრაგმატულ-ოპერატიულ ღერძზე აზრობრივი ინვარიანტის შენარჩუნების მიზნით“ (4-86).

ნიშანდობლივია, რომ სინქრონულ თარგმანთან დაკავშირებულ გამოკვლევებში ხშირად ხაზგასმულია ის გარემოება, რომ თუ სინქრონისტს არა აქვს საუბრის საგანთან დაკავშირებული გარე-ენობრივი ფონის სათანადო ცოდნა და თარგმანის ადრესატის გარეენობრივი ფაქტორების გათვალისწინების უნარი, კომუნიკაციის სრულყოფილება თარგმანის გზით ძალზე საეჭვოა (77). ე. წ. კომენტირებული თარგმანი, დაკავშირებული სწორედ ზემოაღნიშნულ „პრაგმატულ-ოპერატიულ ღერძზე“ მოძრაობასთან, არსებითაა სინქრონისტთა საქმიანობაშიც და გულისხმობს შეტყობინების ღრმა გააზრებას, მისი მეტ-ნაკლებად ადეკვატური ინტერპრეტაციის უნარს ამ სიტყვის ზემოაღნიშნული გაგებით. სინქრონისტიც საჭიროებს შეტყობინების სოციოლინგვისტური მახასიათებლების და მათ უკან მდგომი ექსტრალინგვისტური ფაქტორების სწორ ამოცნობას და კომუნიკაციურ-პრაგმატული ეკვივალენტურობის დაცვას საკუთრივ მისგან მომდინარე მეორად შეტყობინებაში. ასე მაგალითად, თარჯიმანი, თუ ის ასრულებს, დავეუშვათ, საზოგადოებრივ-პოლიტიკური ხასიათის ტექსტის თარგმანს, აუცილებლად საჭიროებს არა მარტო პოლიტიკურ რეალიათა ცოდნას, არამედ იმ უახლეს კლიშეთა ცოდნასაც, რომლებიც უშუალოდაა დაკავშირებული ამ რეალიებთან წყარო ენის კომუნიკაციურ სიტუაციებში. მათი სიახლის გამო, ეს კლიშეები, შესაძლოა, არც იყოს ასახული ლექსიკონებში, მაგრამ ტიპური იყოს იმ პერიოდის მასობრივი ინფორმაციის წყაროთა (ტელევიზია, რადიო, პრესა) მეტაენისათვის. ამის გარეშე, თარგმანის ადრესატს, რომლის თეზაურუსში დაფიქსირებულია მისი ღრობის სამეტყველო სტერეოტიპები, უთუოდ გაუჭირდება განსხვავებულ ენობრივ ფორმებში გამოთქმული აზრის გაგება. ვ. ნ. კრუპნოვს მოჰყავს არაერთი საინტერესო მაგალითი ახალბედა თარჯიმანთა პრაქტიკიდან: секретная служба ითარგმნა როგორც – secret service workers, მაშინ, როცა სწორი ვარიანტი იქნებოდა: undercover agents; тайная торговля-ს არასწორ თარგმანად მიჩნეულია secret trade, სწორი ვარიანტად კი – illicit trade; прекращать военное противостояние ითარგმნა ასე: to stop military activities, მაშინ, როცა გავრცელებული კლიშეა: to cease hostilities (77-25).

სათანადო ტრანსფორმაციის გარეშე ზემოთ მოყვანილი დაწუნებული ვარიანტები, რომლებშიც ფრაზათა შინაგანი ფორმა პირველად და მეორად შეტყობინებაში ფაქტობრივად ემთხვევა ერთმანეთს და ენათშორისი სინონიმია დამყარებულია ლექსიკურ დონეზე, პრაგმატული თვალსაზრისით არასრულყოფილია და საჭიროებს მიმღები ენის უზუსისათვის უფრო ბუნებრივი ფორმების მოძიებას, ანუ მოძრაობას იმ „პრაგმატულ ოპერატიულ ლერძზე“, რომელსაც გულისხმობდა ა. პოპოვიჩი ზემოთ მოყვანილ ციტატაში და რასაც ჩვენ შემდგომ ტექსტის ადაპტაციური ტრანსფორმაციის, ანუ პრაგმატულ-ფუნქციონალური მოდიფიკაციის სახელით ვიხსენიებთ.

ჩვენი აზრით, თარგმანის პროცესის შედარებით სრულყოფილ სქემას გვთავაზობს ა. დ. შვეიცერი (33-50). მის სქემას საფუძველად დაედო ი. ნაიდას „დინამიკური ეკვივალენტურობის პრინციპი“, რაზედაც ლაპარაკი გვექნება ქვემოთ, თარგმანის ეკვივალენტურობასთან დაკავშირებით.


თავად ი. ნაიდასა და ს. ტაბერის სქემაში (95-202) ენათშორისი კომუნიკაციის პროცესი წარმოდგენილია ორფაზოვანი – პირველადი და მეორადი კომუნიკაციის სახით, რომელშიც გარეენობრივი განზომილებები არ არის ასახული.*



ა. დ. შვეიცერი ამ სქემას, როგორც პირველად, ასევე მეორად კომუნიკაციაში, აფართოებს ისეთი კომპონენტებით, როგორიცაა **ПС** (предметная ситуация) – საგნობრივი სიტუაცია, **Я** (язык) – ენა, **К** (культура) – კულტურა, **КС** (коммуникативная

* ა. დ. შვეიცერის გაფართოებულ სქემასთან შედარებით სიადილისათვის, კომპონენტებს ტრადიციული სიმბოლოების ნაცვლად, გამოეხატათ რუსულ შესატყვისთა სიმბოლოებით: **О** – отправитель, **Т** – текст, **П** – получатель, **ПС** – предметная ситуация, რომლებსაც პირველად და მეორედ კომუნიკაციურ სიტუაციებში შეცვლილი აქვთ როგობით ნიშანი (**О₁**, **О₂** და ა.შ.).

ситуация) – კომუნიკაციური სიტუაცია. ეს კომპონენტები ქვემოთ წარმოდგენილ სქემაზე პრაგმატულ-ოპერატიულ ვერტიკალურ ღერძზეა განლაგებული.




თარგმნის პროცესის სწორედ ასეთ გააზრებას ვანიჭებთ უპირატესობას ჩვენი უშუალო მიზნებიდან გამომდინარე, რაც თარგმნის პროცესზე მოქმედ ენობრივ და გარეენობრივ ფაქტორთა გამოვლენასა და შესწავლაში მდგომარეობს. გარეენობრივ ფაქტორებზე ყურადღების გამახვილება სრულიად არ ნიშნავს იმას, თითქოს ვასუსტებდეთ ენობრივი ფაქტორების როლს თარგმანში. რამდენადაც თარგმანი ენათშორისი კომუნიკაციის აქტია, ენა არის სწორედ ის პირველადი სისტემა, რომელიც თარგმნის პროცესის მოდელირების საშუალებას იძლევა და სათანადოდაცაა ასახული მოდელის ვერტიკალურ ღერძზე. რაც შეეხება გარეენობრივ სოციალურ-კულტურულსა და სუბიექტურ-ფსიქოლოგიურ ფაქტორებს, რაც მეტ-ნაკლებად მოქმედებს ნებისმიერი თარგმანის შესრულების პროცესზე, თუმცა გაცილებით მეტი ხვედრითი წონა აქვს პუბლიცისტური და ბელეტრისტული ტექსტების თარგმანში, ისინი შეიძლება თარგმნის პროცესის მოდელირების მეორად სისტემას მივაკუთვნოთ, მაგრამ ამავედროულად უნდა ვაღიაროთ მათი დიდი მნიშვნელობა თარგმანის, როგორც რეზულტატის კომუნიკაციური

სრულყოფილებისა და ადეკვატური პრაგმატული ეფექტის მიღებისათვის.

აქედან გამომდინარე, გარეენობრივ ფაქტორებზე დაკვირვება და იმ ენობრივ ფორმათა გარკვეული სისტემატიზაცია, რომლებშიც ვლინდება ამ ფაქტორთა მოქმედება, რის გამოც ისინი იძენენ რელევანტურობას თარგმანთან მიმართებაში, იმ ენობრივ ტრანსფორმაციათა შესწავლა, რომლებიც სწორედ ამ ფაქტორთა მოქმედებითაა განპირობებული, გვესახება ერთ-ერთ მნიშვნელოვან პირობად ტრანსლაციური მეცნიერების შემდგომი განვითარებისა და სრულყოფისათვის.

საყურადღებოა ენათშორისი კომუნიკაციის კიდევ ერთი მოდელი, შემუშავებული ცნობილი სლოვაკი თეორეტიკოსის ა. პოპოვიჩის მიერ (4). იგი მისადაგებულია თარგმანის კონკრეტულ სახეობასთან – მხატვრული ლიტერატურის თარგმანთან. ქვემოთ მოყვანილ სქემაში ასახული ერთ-ერთი კომპონენტი – ლიტერატურული ტრადიცია (T_p) აპირობებს ენათშორისი კომუნიკაციის აქტში ახალ მიმართებათა დამყარებას:



A – ორიგინალის ავტორი, T_1 – ორიგინალის ტექსტი, Π_1 – ორიგინალის მიმღები-მთარგმნელი, Tp_1 – ლიტერატურული ტრადიცია, P_1 – ორიგინალის რეალობა (შესაბამისად, მეორად აქტში იგივე კომპონენტებია წარმოდგენილი განსხვავებული რიგითი ნიშნით).

ა. პოპოვიჩის სქემის მიხედვით, ლიტერატურული თარგმანი ორი ტექსტის, ორი ლიტერატურული ტრადიციის, ტექსტის

ორი პროდუცენტისა და ორი რეცეპტორის ურთიერთკონტაქტის შედეგია. ვფიქრობთ, ა. დ. შვეიცერიის სქემის ერთ-ერთი კომპონენტი — k (კულტურა), გარკვეულწილად შეიცავს ლიტერატურული ტრადიციის იდეასაც. ა. პოპოვიჩის სქემაში კი ლიტერატურული ტრადიციის გამოძივნა კულტურისაგან ერთგვარად ავიწროებს თარგმნის პროცესზე მოქმედ ზოგად-კულტურულ ფაქტორთა სპექტრს, რაც, საზოგადოდ, ლიტერატურულ ტრადიციებსაც მოიცავს და კულტურული დროის სხვა გამოვლინებებსაც ადამიანთა სულიერ ცხოვრებაში. მაგრამ, მეორე მხრივ, ა. პოპოვიჩის სქემაში ლიტერატურულ ტრადიციებზე ყურადღების საგანგებოდ გამახვილება ძალზე არსებითია მხატვრული თარგმანისათვის, რომლის ესთეტიკური ინფორმაციის სრულყოფილი აღქმა ბევრადაა დამოკიდებული თარგმანის რეცეპტორისათვის ჩვეულ, გაშინაურებულ ლიტერატურულ ტრადიციათა ფონზე. შეიძლება ითქვას, რომ რაც უფრო მეტადაა დაშორებული ორიგინალისა და თარგმანის ლიტერატურული ტრადიციები და საერთოდ, კულტურული დრო, მით უფრო მეტ სიძნელეებს შეიცავს თარგმნის პროცესი, რადგან კულტურათა შორის დისტანცია პირდაპირ პროპორციულია თარგმანის რეცეპტორის პერცეფტული სიძნელეებისა.

ლიტერატურული კომუნიკაციის სპეციფიკა უდავოდ სახავს ახალ პერსპექტივებს თარგმანმცოდნეობაში: 1. მთარგმნელის სტრატეგიაზე დაკვირვებას მის მიერ სათარგმნი მასალის შერჩევის ფსიქოლოგიური დეტერმინანტების თვალსაზრისით და თარგმნის მეთოდის გამოყენების თვალსაზრისითაც, კერძოდ, რა მეთოდს ანიჭებს უპირატესობას მთარგმნელი საკუთარი შემოქმედებითი კრედოს საფუძველზე. 2. ორიგინალისა და თარგმანის შეპირისპირებას ჟანრულ-სტილისტური მახასიათებლების მიხედვით. ეს, ერთი მხრივ, უკავშირდება ტექსტთა ფუნქციონალური ტიპოლოგიის საკითხებს, მხატვრული თარგმანის განსხვავებულ ბუნებას სხვა ჟანრული სახეობების თარგმანთან შეპირისპირებისას და, მეორე მხრივ, — ინდივიდუალური სამწერლო სტილის დამახასიათებელ ნიშანთა თარგმანში რეპროდუცირების მექანიზმს. 3. დაკვირვებას თარგმანის მკითხველსა და ორიგინალის მკითხველის განსხვავებულ კომუნიკაციურ სიტუაციებზე. ასეთი კვლევა მიზანმიმართული უნდა იყოს არა მარტო იმ განსხვავებათა დაძლევის პერსპექტივების გამოვლენაზე, რომლებსაც იწვევს ორიგინალისა და თარგმანის კულტურათა შორის არსებული ქრონოლო-

გიური დისტანცია, არამედ ის დისტანციაც, რომელსაც ქმნის განსხვავებული ენობრივი კოლექტივების სულიერი და კერძოდ, ლიტერატურული ცხოვრების ტრადიციები. ამ უკანასკნელთან დაკავშირებით თავს იჩენს საკმაოდ მნიშვნელოვანი პრობლემა – როგორია თარგმანის ტექსტის მიმღები ენობრივი კოლექტივის კულტურულ-ლიტერატურული ტრადიციების როლი თარგმანის ტექსტის შექმნის პროცესში. ეს პრობლემა თარგმანის კრიტიკის ისტორიაში გააზრებული იყო როგორც სოციოლოგიური პრობლემა ან, უკეთეს შემთხვევაში, როგორც ლიტერატურათმცოდნეობითი. თარგმანის შესწავლის ახალმა ტენდენციებმა, თარგმანზე დაკვირვებამ კომუნიკაციური ლინგვისტიკის პოზიციებიდან აშკარად შეუწყო ხელი ამ პრობლემის ახალი კუთხით განჭვრეტას, კერძოდ იმის გამოვლენას, თუ ენობრივი მასალით რაგვარი მანიპულირება შეიცავს უცხოური და ეროვნული კულტურის კორელაციის პერსპექტივებს და ტექსტის რაგვარი მონდიფიკაცია ამჟღავნებს თარგმანის პრაქტიკაში მეტ-ნაკლებ პროდუქტიულობას ლიტერატურული კომუნიკაციის სრულყოფილი განხორციელებისათვის.*

როგორც ე. კარი წერს, „თარგმანის ზოგადი თეორია მოითხოვს ჩვენს დროში არსებული თარგმანის განსხვავებულ სახეობათა მაქსიმალურ აღწერას, ყოველგვარი სახეობის ღრმა ანალიზს, მაგრამ ეს სახეობები განხილულ უნდა იქნეს არა ცალკე-ცალკე, არა ერთმანეთთან შეპირისპირების გარეშე, არამედ სწორედ ერთმანეთთან მიმართებაში. მარტო ის თეორია შეიძლება ჩაითვალოს ზოგად თეორიად, რომელიც დაეყრდნობა ყველა იმ ფაქტს, რომელიც თავს იჩენს ჩვენს დროში და რომელიც, ერთი შეხედვით, ასე განსხვავებულია“ (ციტირებულია ა. ვ. ფიოდოროვის მიხედვით (18-19)).

თარგმანის ყოველი ჟანრი, განურჩევლად იმისა, სამეცნიერო-ტექნიკურია სათარგმნი ტექსტი, მხატვრული, პუბლიცისტური თუ სხვა, ერთიანდება „თარგმანში“ როგორც ენათშორისი კომუნიკაციის ზოგად ცნებაში. მთავარი კი ის არის, რომ მიუხედავად თითოეული ჟანრისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური ნიშნებ-

* იმის დასტურად, თუ რა მიმედ შეძლის ლიტერატურაში თარგმანის გზით ყოველგვარი ჟანრული სიახლე და უჩვეულო ენობრივი ექსპერიმენტი, საკმარისია. თუნდაც ის რეაქტია მკითხველთა და კრიტიკოსთა მხრივ, რომელიც მოჰყვა ცნობიერების ნაკადის მწვერლობის თარგმანის პირველ გამოჩენას ჩვენს ლიტერატურულ ცხოვრებაში (ამ საკითხს დაუბრუნდებით შემდგომ, ჩვენი ნაშრომის სათანადო განაკეთში).

ისა, არსებობს კიდევ ყველა ჟანრისათვის საერთო მახასიათებლებიც. ესენია: 1. ორიგინალის ინვარიანტული ინფორმაციის გადაცემის მიზანი თარგმანში; 2. შემოქმედებითი დამუშავება, პირობადებული შეპირისპირებულ ენათა სპეციფიკით, მათში არსებულ ენობრივ უნიკალიზმებთან შემოქმედებითი მიდგომის საჭიროებით, რაც შემდგომ გამოისატება სათანადო ენობრივ ტრანსფორმაციებში; 3. გარეენობრივ ფაქტორთა გათვალისწინების აუცილებლობა, რადგან თარგმანის კომუნიკაციურ-პრაგმატული ეფექტის ეკვივალენტურობა, პირველ ყოვლისა, დამოკიდებულია სწორედ ორიგინალისა და თარგმანის კომუნიკაციური ღირებულების თანხვედრაში.

მიგვაჩნია, რომ მთარგმნელის სტრატეგიის შემუშავების უმთავრესი დეტერმინანტი უნდა იყოს ტექსტის პრაგმატულ-ფუნქციონალური დანიშნულება, ხოლო თარგმანის სტრატეგიის სწორი არჩევანი და რეზულტატის სრულყოფილება დამოკიდებულია ტექსტის ღირებულებათა საერთო სკალაზე იმ ფუნქციურ დომინანტთა გამორჩევასა და გააზრებაზე, რომლებიც, ენათშორისი კომუნიკაციის კატეგორიულ ნიშანთა საერთოობის მიუხედავად, თარგმანის ერთ ჟანრულ სახეობას მაინც განასხვავებს მეორისაგან.

მომდევნო პარაგრაფი ეძღვნება სწორედ ტექსტის განსხვავებულ ფუნქციონალურ სახეობებს და მათი თარგმნის მეთოდოლოგიის საკითხებს.

§2. მთარგმნელობითი სტრატეგიის დეტერმინანტები

(ტექსტთა ფუნქციონალური ტიპოლოგია)

შეტყობინების სუბიექტის კომუნიკაციური ინტენცია ის ფაქტორია, რომელიც განაპირობებს ამა თუ იმ პრაგმატული მიზანმიმართების მქონე ტექსტის წარმოქმნას, რომელიც შეტყობინების ენობრივი განსხეულებისათვის საჭირო ფორმათა სელექციის რეზულტატია. ამდენად, თარგმანის პრაგმატიკის საკითხთა კვლევა, როგორც ამას მოწმობს არაერთი სპეციალური გამოკვლევა (66, 78, 79), უშუალოდ უკავშირდება ტექსტთა ფუნქციონალური ტიპოლოგიის პრობლემას და ყოველი ფუნქციური ტიპისათვის ნორმატიულ ენობრივ მახასიათებლებზე დაკვირვებას. არანაკლებ

მნიშვნელოვანია თარგმანის პრაგმატიკისათვის ჯ. ოსტინისა (80) და ჯ. სერლის (81) და მათი მიმდევრების მიერ დამუშავებული სამეტყველო აქტთა თეორია (თუმცა თავად ავტორები არ იყენებენ ტერმინს „პრაგმატიკა“), რამდენადაც სამეტყველო აქტები შეპირისპირებულ ენათა წყვილებში; მიუხედავად ანალოგიური პრაგმატული მიზანმიმართებისა, უმეტეს შემთხვევაში, განსხვავებულია ენობრივი გაფორმების თვალსაზრისით. ამ სამეტყველო აქტთა კატეგორიაში შედის გამონათქვამთა ისეთი სახეობანი, როგორცაა: ბრძანება, თხოვნა, მოთხოვნა, ნებართვის მიცემა, დაპირება, დათანხმება, შედავება, რჩევა, მუქარა და ასევე ქცევის ეტიკეტთან დაკავშირებული რიტუალური ფორმულები, ყოველივე ის, რაც სხვადასხვა ენობრივ კოლექტივთა ზმარებაში, განსხვავებული ეთნოფსიქოლოგიური და სოციალური ფონის გამო, შეუძლებელია არ ავლენდეს ენობრივი გამოხატვის არასტანდარტულ ფორმებს.

ტიქსტთა ტიპოლოგიის სქემის შემუშავება სამეტყველო ურთიერთობებში ენის განსხვავებული ფუნქციონირების მიხედვით პირველად სცადა ფსიქოლოგმა კ. ბიულერმა (82), რომელმაც თავის სქემას საფუძვლად დაუდო სამეტყველო კონტაქტში მონაწილე სამი კომპონენტის იდეა. ესენია: ორი კომუნიკანტი (მოლაპარაკე და მსმენელი) და გადასაცემი შეტყობინება. ამ კომპონენტებს უკავშირებს კ. ბიულერი ენის სამ ძირითად ფუნქციას, რომლებიც თავს იჩენს ნებისმიერ სამეტყველო კონტაქტში: პრეზენტაცია, ექსპრესია, აპელაცია. პრეზენტაციის ფუნქცია, ავტორის აზრით, განსაკუთრებით თვალსაჩინოა იმ შემთხვევაში, როცა ენა გამოყენებულია „ინფორმაციის გადასაცემად“ (იგულისხმება ის, რასაც შემდგომ „დენოტაციური“, „შინაარსობრივი“ ან „კონიტიური“ ინფორმაციის ტერმინებით იხსენიებენ სპეციალურ ლიტერატურაში); მეორე — ექსპრესიულ ფუნქციაში — ნიშანდობლივია კომუნიკაციის სუბიექტის ემოციათა ასახვა, ხოლო მესამე — აპელაციურ ფუნქციაში — იგულისხმება მიზანმიმართება კომუნიკანტზე, მისი სათანადო რეაქციის გამოსაწვევად.

კ. ბიულერის ასეთი დიფერენციაცია არასაკმარისი გამოდგა კომუნიკაციის აქტში ენის მრავალგვარი ფუნქციონირების აღწერისათვის. აღნიშნულ ტიპოლოგიას შემდგომ დაემატა ი. მუკარ-ჟოვსკის ახალი სქემა (83), რომელშიც აისახა კიდევ ერთი — პოეტური ფუნქცია. ამ უკანასკნელისათვის დამახასიათებელია არა

იმდენად გამოსახატავი აზრის, რამდენადაც ამ აზრის გამოხატველ ნიშანთა აქცენტირება. ი. მუკარფოვსკის აზრით, პოეტური ფუნქცია უპირისპირდება კ. ბიულერის სქემის სამ პრაგმატულ ფუნქციას.*

ტექსტთა ტიპოლოგიის შემდგომი განვითარება მომდინარეობს რ. იაკობსონისაგან (84). იგი თვლის, რომ სამეტყველო ურთიერთობის განხორციელებისათვის ზემოაღნიშნულ ოთხ ფუნქციას უნდა დაემატოს ასევე „კოდის“ ცნება, რადგან საჭიროა იმ სემიოლოგიური სისტემის გათვალისწინებაც, რომლის გარეშე განუხორციელებელია სამეტყველო ურთიერთობა და რომ ამავე თვალსაზრისით საჭიროა ასევე „კონტაქტის“ ცნების შემოტანაც ამ სისტემაში, რადგან მოსაუბრეთა შორის კონტაქტის დამყარების გარეშეც წარმოუდგენელია სამეტყველო ურთიერთობის დამყარება. ყოველივე ამის გათვალისწინებით რ. იაკობსონი გამოყოფს ასეთ ფუნქციებს: 1. რეფერატიული (შემდგომ ხმარებაში — „რეფერენტული“), რომელიც მიმართულია საუბრის საგნის ასახვაზე, 2. ექსპრესიული ფუნქცია, რაშიც გამოიხატება მოსაუბრის ექსპრესია, მისი პირადი დამოკიდებულება საუბრის საგანთან, 3. კონატიური ფუნქცია, რომელიც გულისხმობს პირდაპირ მიმართვას მოსაუბრისადმი, ნებელობით მოწოდებას რაიმე მოქმედებისაკენ, 4. ფატიკური ფუნქცია — ანუ მოსაუბრესთან კონტაქტის დამყარებაზე ან კონტაქტის უწყვეტელობაზე მინიშნება, მისი ყურადღების მიზიდვა, 5. მეტალინგვისტური ფუნქცია, რომელიც კვლავ მიზანმიმართულია მოსაუბრეზე და გამოიხატება შეტყობინების ისეთ ორგანიზაციაში, რომელიც უკეთ იქნება მისადაგებელი კომუნიკანტის აღქმით შესაძლებლობებთან, 6. პოეტური ფუნქცია, მიზანმიმართული შეტყობინების ფორმაზე, მის ყანრულ-ნორმატიულ მახასიათებლებზე.

ვ. ვ. ვინოგრადოვის შეხედულება ენის ფუნქციონალურ გამოყენებაზე აისახა იმ პრინციპში, რომლითაც მან გამოიჯნა ერთმანეთისაგან ე. წ. ფუნქციონალური სტილები (85). ეს არის სამი ძირითადი ფუნქცია: 1. სამეტყველო ურთიერთობა (общение), ანუ ყოველდღიური ყოფითი სამეტყველო კონტაქტი ადამიანებს

* აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ პოეტური ანუ ესთეტიკური ფუნქციის დაპირისპირება სამ დასარჩენ ფუნქციასთან იმ ნიშნით, თითქოს იგი არ შეიცავდეს არაერთარ პრაგმატულ მიზანმიმართებას, არ მიგვაჩნია მართებულად. ჩვენს აზრს ამის თაობაზე გამოეთქვამთ ქვემოთ, მსატერული ტექსტის ზემოქმედებით ფუნქციასთან დაკავშირებით.

შორის, 2. შეტყობინება(сообщение), 3. ზემოქმედება (воздействию).* როგორც ვხედავთ, ვ. ვ. ვინოგრადოვის „ზემოქმედებით ფუნქციაში“** გაერთიანებულია რ. იაკობსონის კლასიფიკაციაში ასახული მოსაუბრეზე მიზანმიმართული კონატიური, ექსპრესიული და პოეტური ფუნქციები. ამ პრინციპით გამოყოფს იგი სამ ძირითად ფუნქციონალურ სტილს: 1. ყოველდღიურ სასაუბროს, 2. საქმიან დოკუმენტურს, 3. ბელეტრისტულ-პუბლიცისტურს.

თარგმანცოდნეობაშიც ცნობილია თარგმანისათვის რელევანტურ ტექსტთა ტიპოლოგიის რამდენიმე სახეობა. შევჩერდებით მათგან ძირითად ვარიანტებზე.

ტრადიციულად მიღებული შეხედულების თანახმად, განსხვავება ინფორმაციული (არამხატვრული) ტექსტისა და მხატვრული ტექსტის თარგმნის ნორმათა შორის იმაში მდგომარეობს, რომ არამხატვრულ თარგმანში ენობრივ ფორმათა აქტივიზაცია პირობადებულია საწყისი ტექსტის ინფორმაციის ინვარიანტულობის, მისი ზუსტი განმეორების საჭიროებით. მხატვრულ თარგმანში კი ენობრივ ფორმათა სელექციის პრინციპი არა მარტო სიგნიფიკატური მნიშვნელობის შენარჩუნებაშია, არამედ მას ეკისრება ტექსტის მხატვრული ღირებულების, მისი ესთეტიკური ინფორმაციის გადაცემაც. ეს კი მთარგმნელისაგან მეტ ზემოქმედებით ძალისხმევას და სამწერლო ნიჭსაც მოითხოვს.

ენის ფუნქციონირების მიხედვით თარგმანის ჟანრულ სახეობათა გამოყოფის მართლზომიერება, ერთი მხრივ, ეჭვს არ იწვევს, მაგრამ, მეორე მხრივ, ისიც ცხადია, რომ ასეთი გამარტივებული სქემა საკმარისი არ არის, რამდენადაც ორივე სახეობაში, როგორც მხატვრულში, ასევე არამხატვრულში, შესაძლოა მრავლად შეგვხვდეს ისეთი ტექსტები, რომელთა თარგმნას შეუძლებელია საფუძვლად დაედოს მარტოდენ ჟანრული ნორმატივები.

* ამ სამი კატეგორიიდან პირველში ვ. ვ. ვინოგრადოვი გულისხმობს ენის ისეთ გამოყენებას, როცა მოსაუბრე არ აძირებს რაიმე ინფორმაციის დაუყოვნებლივ გადაცემას მსმენლისათვის, არამედ ცდილობს შექმნას საუბრისათვის ბუნებრივი, ძალდაუტანებელი სიტუაცია, მოამზადოს იგი ინფორმაციის მისაღებად, მოიყროს მისი ყურადღება და სხვა. ვფიქრობთ, ეს ფუნქცია თანხედება რ. იაკობსონის მიერ შემუშავებული ტიპოლოგიის „ფატიკურ“ ფუნქციას.

** თანამედროვე ხმარებაში „ზემოქმედების“ ცნება არ უკავშირდება მარტოდენ მხატვრულ და პუბლიცისტურ ტექსტებს. მასში გულისხმობენ ადრესატზე საკუთრივ კოგნიტურ (ინტელექტურ „интеллектуальную“) ზემოქმედებასაც, რაც განხორციელებულია ინფორმაციული ტექსტის მეშვეობით და ადრესატისათვის რაიმე ცოდნის გადაცემის აქტს შეიცავს (33, 86, 68, 71).

გაუმართლებელია, მაგალითად, ინფორმაციული ტექსტების კატეგორიაში გაერთიანებული სამეცნიერო ლიტერატურის, დოკუმენტური ტექსტების ან, თუნდაც, საქონლის სპეციფიკაციის ამსახველი ან ფილოსოფიური ტრაქტატების ტექსტთა ერთი და იმავე ნორმებით თარგმნა თუნდაც იმიტომ, რომ პირველს — იურიდიულ დოკუმენტებს, ახასიათებს არა მარტო სტანდარტიზირებული სტრუქტურული გაფორმება, არამედ გრაფიკულიც. ისიც ცხადია, რომ მხატვრულ ტექსტშიც ზოგადკანონზომიერებებთან ერთად მოქმედებს მრავალგვარი განსხვავებული ფაქტორიც, რაც განპირობებულია არა მარტო ჟანრის სპეციფიკით, არამედ მწერლის ინდივიდუალური ხელწერითაც. ამიტომ, შესაძლოა, მართალიცაა ვ. ნ. კომისაროვი, როცა პრინციპულად წინააღმდეგია თარგმანთან მიმართებაში ტექსტთა სხვადასხვა ფუნქციურ სტილებად დაყოფისა და მიიჩნია, რომ ეს იწვევს საკვლევი ობიექტის გაუმართლებელ დანაწევრებას და გაზვიადებულ ყურადღებას სხვადასხვა ტიპის ტექსტთა თარგმნის ტექნიკაში განსხვავებების ძიებისადმი (87-27).

ძირითადი ტენდენცია, რომელიც ახასიათებს თანამედროვე თარგმანის თეორიას, იმაში მდგომარეობს, რომ იგი ტექსტთა ფუნქციონალური ტიპოლოგიის სქემებს იღებს როგორც წინასწარ განამზადს და, თუ ტექსტთა შეპირისპირების ძირითადი მიზანია გამოავლინოს ენის ფუნქციონირების განსხვავებული შემთხვევები, *თარგმანის თეორიამ ყურადღება უნდა გაამახვილოს იმაზე, თუ საკუთრივ რაგვარია ტექსტის ფუნქციონალური დომინანტები და კონსტანტურია ისინი მთელი ტექსტის მასშტაბით, თუ მაინც ადგილი აქვს განსხვავებულ სტილთა ინტერფერენციას.*

მიუხედავად იმისა, რომ ზემოთ მოყვანილი გამარტივებული სქემის არასრულყოფილება ეჭვს არ იწვევს, მეორე მხრივ, დღემდე მაინც არ არსებობს ერთიანი კონცეფცია, რომელიც თარგმანისთვის რელევანტურ ტიპოლოგიას დაედებოდა საფუძვლად. ტექსტთა კლასიფიკაციის ზოგიერთ სქემას თარგმანთან მიმართებაში საფუძვლად უდევს თარგმანის განხორციელების მეთოდებისა და ნორმატიული მოთხოვნების განსხვავებული ხასიათი. ცალკეა გამოყოფილი ტექსტთა ისეთი ფუნქციონალური ტიპები, რომელთა თარგმნა მოითხოვს დარგობრივი ტერმინოლოგიის, სპეციალური ფრაზეოლოგიური კლიშეების და ტექსტუალური გაფორმების სტანდარტიზირებულ ნორმათა ცოდნას. ასეთადაა მიჩნეული, მაგალი-

თად, სამეცნიერო-ტექნიკური ლიტერატურა და მასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია (პატენტები, ტექნიკური ინსტრუქციები და სხვ.).*

ძირითადი მოთხოვნა, რომელსაც უნდა პასუხობდეს ინფორმაციულ ტექსტთა თარგმანი მდგომარეობს აზრობრივ სიზუსტეში, დენოტაციური პლანის ინვარიანტულობაში. მიუხედავად იმისა, რომ ინფორმაციულ ტექსტთა ყოველ სახესხვაობას უდავოდ გააჩნია თავისი სპეციფიკა, მათთვის საერთო თარგმნითი ნორმებია: შინაარსის უდანაკარგოდ შენარჩუნება, ინფორმაციის უტყუარობა და ენობრივი გამოხატვის ისეთ ფორმათა აქტივიზაცია, რომლებიც მხოლოდ ცალსახად შეიძლება იქნენ დეკოდირებული და არ უნდა შეიცავდნენ განსხვავებული ინტერპრეტაციის შესაძლებლობებს.

თუ მთარგმნელის პრაგმატულ მიზანმიმართებას შეადგენს ადრესატისათვის სიგნიფიკატური მნიშვნელობის უდანაკარგო გადაცემა, მისი დამოკიდებულება ენობრივ ფორმებთან უნდა გამოიხატოს მის ორიენტაციაში თარგმანის ენის და არა წყარო ენის ენობრივ ნორმებზე, რადგან კომუნიკაციური ეფექტი მაშინაა სრულყოფილი, როცა იგი აზრისათვის უფრო მეტად გარანტირებული დამაჯერებლობის მინიჭების მიზნით, თარგმანის ადრესატს მიეწოდება მისთვის ჩვეული ენის ნორმებში.

თუ გადავხედავთ ქვემოთ მოყვანილი ქართული სამეცნიერო ლიტერატურის ნიმუშიდან ერთ-ერთი ნაწყვეტის რუსულ და ინგლისურ თარგმნით ვარიანტებს, პირველი, რაც თვალშისაცემია, ეს არის მათი აზრობრივი ადეკვატურობა, შინაარსის პლანის მაქსიმალური სიზუსტე:

1. აფხაზთა მეფეების ეთნიკური კუთვნილება ცნობილი არ არის; ამაზე არ არსებობს არავითარი მითითება წერილობით წყაროებში.
2. ზოგი მკვლევარი მათ საკუთრივ აფხაზებად თვლის, ზოგი ბერძნებად, ზოგი ქართველებად.

* უნდა ითქვას, რომ სამეცნიერო-ტექნიკური ლიტერატურა განსაკუთრებული ყურადღების საგანია ბოლო ხანებში, როცა ასე გაფართოვდა სამეცნიერო კონტაქტები და გაიზარდა სამეცნიერო აზრის გავრცელების ოპტიმალური საშუალებების საჭიროება. დამახასიათებელია, რომ თანდათან შემუშავდა საყოველთაო ნორმები ჰიპოთეზების, არგუმენტაციის, აღმოჩენების და ანალოგიურ შეტყობინებათა განთავსებისათვის ტექსტის სტრუქტურაში ისევე, როგორც ტექნიკური და დიპლომატიური დოკუმენტაციის (პაქტები, ხელშეკრულებები და სხვ.) ტექსტუალური გაფორმების პარალინგვისტური საშუალებები (შრიფტი, სქემა, ფერადი ნაბეჭდი და სხვ.).

3. სამივე თვალსაზრისი მოსაზრებათა სფეროში რჩება და სამივეს ერთნაირად აქვს არსებობის უფლება.

4. მაგრამ ეს არ არის მთავარი, არსებითია ის, რომ აფხაზთა სამეფო ენით, დამწერლობით, კულტურით, სარწმუნოებით, პოლიტიკით ქართული სახელმწიფო იყო, ხოლო მისი მეფეები ამავე ნიშნებით ქართველები იყვნენ.

5. აღბათ ისიც სათქმელია, რომ X-XI სს. ზოგიერთი სომეხი ისტორიკოსი ამ სახელმწიფოს „ეგრისს“ უწოდებს, მათ მეფეს – „ეგრისის მეფეს“, ხოლო მცხოვრებთ – „ეგრისელებს“.*

1. Этническая принадлежность царей Абхазии неизвестна.

По этому вопросу в письменных источниках нет никаких указаний.

2. Ряд исследователей считает их собственно абхазами, некоторые – греками, ряд – грузинами.

3. Все эти мнения остаются в сфере предположений, с одинаковым правом на существование.

4. Но главное не это, существенно то, что Абхазское царство по языку, письменности, культуре, религии и государственной политике было грузинским государством, а цари абхазов, по этим данным, были грузинами.

5. Следует учесть и то обстоятельство, что армянские источники X-XI вв. это государство именуют “Эгриси”, их царей – “царями Эгриси” а жителей – “эгрисцами”.

1. The ethnic origin of Abkhazian kings is unknown for there is no indication on this in the written sources.

2. Some researchers consider them Abkhazians, some believe them to have been Greeks, and some – Georgians.

3. The three views remain within the hypothetical sphere with an equal right of existence.

4. However, this is not essential. Important is the fact that with its language, writing, culture, religion and policy the Abkhazian Kingdom

ციტირებულია მ. ლორთქიფანიძის წიგნიდან „აფხაზები და აფხაზეთი“, ქართულ-რუსულ და ინგლისურ ენებზე, გამომცემლობა „განათლება“, 1990.

was a Georgian state and their kings – judged by these characteristics

– were Georgians.

5. It should perhaps be noted here that some Xth XIIth cent. Armenian historians refer to this state as “Egrisi”, and to their king as “the kings of Egrisi” and the inhabitants – as “Egrisians”.

მცირედი განსხვავებანი, რომლებიც აღინიშნება წარმოდგენილ ვარიანტებში, ამ ენათა სტრუქტურული არაიზომორფულობის შედეგია. კერძოდ, I სეგმენტში – მსაზღვრელ-საზღვრულის კომბინაციათა განსხვავებული განლაგება, სახელადი შემასმენლის ანტიონიმური თარგმანი – ქართული ზმნის ფორმაში გამოხატული უარყოფა შეპირისპირებულ ვარიანტებში მტკიცებითი ფორმის ზმნით და უარყოფითი წინსართიანი სახელადი ნაწილითაა გამოხატული (неизвестна, is unknown). II სეგმენტში ქართულსა და რუსულ ვარიანტებში სინტაქსური კომპრესია გვხვდება, ელიფსური წინადადებები, რომელთა ნაკლები წვერი შევსებადია სინტაგმატურ დონეზე: (ზოგი თვლის ბერძნებად, некоторые считают греками). ამის სანაცვლოდ ინგლისურ ვარიანტში შემოდის ინფინიტივიანი კონსტრუქცია, რომელიც შეპირისპირებული ენებისათვის უცხო სტრუქტურაა, მაგრამ საკვებით ნორმატიული ინგლისურისათვის (consider them Abkhazians, believe them to have been Greeks).

ამ სტრუქტურულ სხვაობათა ფონზე, რაც მორფოლოგიური და სინტაქსური დონის ტრანსფორმაციებში გამოიხატა, არსებითია მაინც კომპონენტური დონის სემანტიკური ეკვივალენტურობა, რადგან სწორედ ეს უზრუნველყოფს ორიგინალის აზრის სიზუსტეს. გარდა იმისა, რომ წარმოდგენილ ვარიანტებში გათვალისწინებულია სიტყვათა ენათშორისი სინონიმია, ნიშანდობლივია ასევე არგუმენტაციის ტექსტუალური გაფორმებისათვის დამახასიათებელი, რიტორიკულ ფიგურაში გამოხატული ექსპრესიულობა: განმეორება წინარე წინადადების ელემენტის ატაცებით (მაგრამ მთავარი ეს არ არის. არსებითია ის, რომ; This is not essential. Important is; Но главное не это, существенно то, что...). ნიშანდობლივია ისიც, რომ ატაცებული ელემენტი სინონიმური სიტყვითაა წარმოდგენილი (მთავარი – არსებითი; essential – im-

portant; главное – существенно). სამივე ვარიანტში გამოყენებულია სემანტიკურად ტოლფასოვანი კლიშირებული ფრაზა (არსებობის უფლება; right of existence; право на существование).

საბოლოო ჯამში, შეიძლება ითქვას, რომ ორივე თარგმნით ვარიანტში დაცულია მიძღვნილი ენის ნორმები. და ამავე დროს აზრი გადაცემულია უდანაკარგოდ და არც ერთი ელემენტი არ შეიცავს განსხვავებული დეკორირების შესაძლებლობას.

კ. რაისის სქემაში, რომელსაც საფუძვლად უდევს კ. ბიულერის კლასიფიკაცია, დამატებულია გარდამავალი სახეობები. ასეთად მიჩნეულია ისეთი ტექსტები, რომელთა თარგმნა სპეციალური, დარგობრივი ტერმინების ცოდნის გარდა, მოითხოვს ავტორის აზრის განვითარების ლოგიკურ საფუძველთა ამოცნობას, რიტორიკულ ფიგურათა გამოყენებისა და აზრის მეტაფორიზაციის უნარსაც, რაც მეორე ძირითადი სახეობისათვის – ზემოქმედებაზე მიზანმიმართული ფუნქციონალური ტიპისათვისაა დამახასიათებელი (79). ასეთადაა მიჩნეული: საზოგადოებრივ-პოლიტიკური, ფილოსოფიური და პოლემიკური ტექსტები.

თარგმანის შესრულების მეთოდთა მიხედვით დიფერენცირებულ ტექსტთა მეორე ტიპს განაკუთვნიებენ ბელეტრისტიკას და, ზოგ შემთხვევაში, პუბლიცისტურ ტექსტთა ნიმუშებს. მთარგმნელის დამოკიდებულება ენის ნიშნებთან ამ კატეგორიის ტექსტთა თარგმნისას, შეიძლება ითქვას, დაპროგრამირებულია ორიგინალის ავტორის პრაგმატული ინტენციით – შესძინოს გამოსათქმელ აზრს მეტი ექსპრესიულობა და ემოციურ-ესთეტიკური ზემოქმედების უნარი. ზემოთ მოყვანილ კლასიფიკაციათა სქემებში, ამგვარ ტექსტებში, ენას ენიჭება „ექსპრესიულობის ფუნქცია“ – კ. ბიულერთან, „პოეტური ფუნქცია“ – ი. მუკარჟოვსკისთან, „ზემოქმედებითი ფუნქცია“ – ვ. ვ. ვინოგრადოვთან, ა. ნოიბერტთან, ფ. მუნენტან; ხოლო იაკობსონთან – „კონოტაციური ფუნქცია“.

რა ტერმინებითაც არ უნდა მოვიხსენიოთ აღნიშნული ფუნქცია, ძირითადი მოთხოვნაა, რომელიც დგას მთარგმნელის წინაშე, შემდეგში მდგომარეობს: ორიგინალის ტექსტში აქტივიზებული ექსპრესიულ-ემოციური საშუალებების და ტიპიზებული სტილისტური ხერხებით ან ოკაზიური გამომსახველობითი საშუალებებით მიღწეული ეფექტის ანალოგიზაციის გზით თარგმანშიც მიიღოს ტოლფასოვანი კომუნიკაციურ-პრაგმატული ეფექტი. მაგრამ ეფექტის ტოლფასოვნება, როგორც აღრე ითქვა, პირობითია, ფარ-

დობითი, რადგან, როგორც წერს აა.ლეონტიევი, „როგორ შეიძლება ეფექტის მაქსიმალურ ტოლფასოვნებაზე ლაპარაკი ენათშორის კომუნიკაციაში, თუ იგი შიდაენობრივი კომუნიკაციის დროსაც კი განსხვავებული შეიძლება იყოს. სხვადასხვა პარტნიორის შემთხვევაში. საქმე ის არის, რომ მთარგმნელი ამ ეფექტის შექმნას უნდა ცდილობდეს პრინციპში, მაგრამ მას არ შესწევს უნარი გაითვალისწინოს ყოველი ინდივიდუალური შემთხვევა. მან უნდა შექმნას მაქსიმალური ფსიქოლოგიური და ესთეტიკური პირობები ამ ეფექტისათვის, მაგრამ თავად ეფექტზე, ყოველი კონკრეტული პარტნიორის შემთხვევაში, როგორც ამას წერს ო.კადე, „იგი პასუხს ვერ აგებს“. (150-36). ტექსტის ესთეტიკური ინფორმაციის შენარჩუნების მიზანს შესაძლოა ნაწილობრივ შეეწიროს სტრუქტურულ-სემანტიკური ეკვივალენტურობა, შესაძლოა საჭირო გახდეს ესთეტიკურად ნიშნადი ელემენტების დონეთშორისი ტრანსფორმაცია, სეგმენტთა გადაადგილება ტექსტის კომპოზიციურ მოდელში და ა. შ. მაგრამ მთავარია შენარჩუნებულ იქნეს ესთეტიკური ეკვივალენტურობის ეფექტი, რა დონეზეც არ უნდა იყოს იგი გამოხატული: ფონოსტილისტურ ელემენტებში, სტილისტური კონოტაციის შემცველ ლექსიკურ ერთეულებში, სინტაქსურ ფიგურებში თუ სხვ. ხოლო პოეზიის თარგმანში ვერსიფიკაციულ მოდელებს საჭიროა მოედებნოს ეკვივალენტური მოდელები მიმღები ლიტერატურის სალექსო ფორმათა არსენალში. ყოველივე ეს მხატვრული ტექსტის მაკონსტრუირებელ საშუალებათა რიგს განეკუთვნება და მათი ეფექტის შენარჩუნება თარგმანში არ შეიძლება ისე იქნეს გაგებული, თითქოს მთარგმნელს მოეთხოვებოდეს მონური მორჩილება ორიგინალის ფორმისა. პირიქით, ანალოგიური ეფექტის შემცველ საშუალებათა ძიებისას, რაც უმეტეს შემთხვევაში მოითხოვს ტრანსფორმაციისა და ფუნქციური კომპენსაციის მეთოდთა აქტიურ ამოქმედებას, საჭირო ხდება მეტი შემოქმედებითი თავისუფლების გამოვლენა.

თუ მხატვრულ ფორმაზე მიზანმიმართული ტექსტის თარგმანში არ არის მიღწეული ფორმის ანალოგიურობის ეფექტი, მაშინ შეიძლება ლაპარაკი შინაარსის გადაცემის ნებისმიერ სახეობაზე — ადაპტაციით დაწყებული, თავისუფალი ვერსიით დამთავრებული, მაგრამ არა მაღალმხატვრულ თარგმანზე.

როგორც აღვნიშნეთ, პირველი კატეგორიის ტექსტების თარგმ-

ნისას მთარგმნელის სტრატეგიის განმაპირობებელი ფაქტორია აზრის სიზუსტის მოთხოვნა, *ხოლო მხატვრულ ფორმაზე ორიენტირებული ტექსტის თარგმნისას კი მთარგმნელის მეთოდს განაპირობებს ორიგინალის მხატვრული ღირებულება, მისი ენობრივი და კომპოზიციური ფორმების იმგვარი ანალოგიზაციის საჭიროება, რომელიც განსხვავებული ლინგვოკულტურული გამოცდილების მქონე ადრესატისათვის განკუთვნილ შეტყობინებას, მინიმალური დანაკარგით, შეუნარჩუნებს ორიგინალის ესთეტიკურ ღირებულებას და ემოციური ზემოქმედების პრაგმატულ ეფექტს.*

თარგმანის ადეკვატურობა, ამ შემთხვევაში, ჟ. მუნენის სიტყვებით რომ ვთქვათ, „მოწმდება იმით, თუ რამდენად შეძლო მთარგმნელმა ლინგვისტურ ოპერაციათა საფეხურიდან გადასვლა ლიტერატურულ ოპერაციათა საფეხურზე და შეიცავს თუ არა თარგმანი ისეთ ხარისხობრივ მახასიათებლებს, როგორცაა ესთეტიკური კომპონენტი და ლიტერატურული სრულყოფილება“ (88-113).*

კომუნიკაციის თეორიის პრინციპთა ექსტრაპოლაციამ, მათმა გავრცელებამ თარგმანის თეორიაზე და თარგმანის მოაზრებამ როგორც ენათშორისი და კულტურათშორისი კომუნიკაციის სახეობისა, გარკვეული გავლენა მოახდინა ტექსტთა კლასიფიკაციის პრინციპებზეც. კერძოდ, ა. ნოიბერტის (66), რ. ვ. იუმპელტის (89). ჟ. მუნენის (88), კ. რაისის (79) და სხვათა სქემებში თავი იჩინა ტექსტთა ისეთმა ფუნქციონალურმა ტიპებმა, რომლებშიც გარკვეულწილად აისახა შეტყობინების ადრესატის ფაქტორი და ასევე თარგმანის ტექსტის რეალიზაციის ტექნიკური პირობებიც. ასეთია კ. ბიულერის სქემიდან აღებული „მიმართვის“ ტიპის ტექსტი და „აუღო-მეღიაღური“ ტექსტი, რომლის იდეა მოდის ჟ. მუნენის ტიპოლოგიური სქემიდან. ეს უკანასკნელი ტექსტთა ისეთი კატეგორიაა, რომლებიც წერილობითი სახით არსებობის მიუხედავად, გათვლილია ზეპირი გახმეურებისათვის სცენაზე, ეკრანზე, მასობრივი ინფორმაციის ისეთ საშუალებებზე, როგორცაა რადიო და ტელევიზია.

განსაკუთრებული ყურადღების ღირსია „მიმართვის“ ტიპის ტექსტთა თარგმნის ნორმები, რაც მდგომარეობს იმაში, რომ ადრესატზე იდეოლოგიური, პოლიტიკური და სხვა ზემოქმედების

* მხატვრულ ფორმაზე ორიენტირებული ტექსტის თარგმანის ანალიზისაგან ამჯერად თავს ვიკავებთ, რამდენადაც ნაშრომის მომდევნო თავებში ამ ფუნქციონალური სახეობის ტექსტთა თარგმანის მრავალი ნიმუშია წარმოდგენილი.

ეფექტურობისათვის საჭიროა მხედველობაში იქნეს მიღებული ადრესატის ეთნოფსიქოლოგიური თავისებურებები, ანგარიში უნდა გაეწიოს ასევე მის დამოკიდებულებას გარე სამყაროს მოვლენებთან, რაც შესაძლოა ბევრად იყოს განსხვავებული ორიგინალის ადრესატის დამოკიდებულებისაგან.

ადრესატის ფაქტორის გათვალისწინება, ბუნებრივია ყოველგვარი ტექსტის თარგმანს მოეთხოვება, მაგრამ ამ კონკრეტული სახეობისათვის (სამისიონერო ტექსტები, აგიტაციური, პროპაგანდისტული, სარეკლამო და სხვა) ეს უმთავრესი ნორმატიული პირობაა; მასში გაცილებით მეტია ადრესატის ექსპლიკაციის ხვედრითი წონა. ეს კი გამოიხატება ტექსტის ისეთ ცვლილებებში, რომლებსაც იწვევს მისი ადაპტაციისა და ასიმილაციის საჭიროება მიმღები ეთნოკულტურული კოლექტივის ენობრივ და გარეენობრივ ფონთან. ამის გარეშე გამორიცხული არ არის, რომ დაეუშვათ, სამისიონერო ტექსტმა პრაგმატული ინტენციის საპირისპირო ეფექტიც კი იქონიოს მიმღებ ენობრივ კოლექტივზე.

რაც შეეხება აულო-მედიალურ ტექსტთა თარგმანს, მათი მისადაგება განხორციელების ტექნიკურ პირობებთან, ხშირ შემთხვევაში, ტექსტის მთელი არქიტექტონიკის დანგრევასაც კი საჭიროებს. ამა თუ იმ ენისათვის დამახასიათებელი გრძელი პერიოდების სმენითი აღქმა მათი ზეპირი რეპრეზენტაციისას (მაგალითად, რადიო და ტელეგადაცემისას) შესაძლოა ძალზე მძიმე აღმოჩნდეს იმ აუდიტორიისათვის, რომლის მშობლიური ენის სამეტყველო სინტაქსისათვის უცხოა ასეთი სპეციფიკა. ყველა ენას თავისი რიტმიკა და ფრაზულ მახვილთა თავისებური სისტემა ახასიათებს, რაც უფრო მეტად შესაგრძნობია ტექსტის გახშიერებულ ვარიანტში, ვიდრე წერილობითში. ამდენად, ფორმის თვალსაზრისით უცხოენოვანი სინტაქსური სპეციფიკა ძალზე აბრკოლებს კომუნიკაციური ეფექტის განხორციელებას.

იგივე უნდა ითქვას სასიმღერო ტექსტთა თარგმანთან დაკავშირებით. განსხვავებულ ენებში ასევე განსხვავებულია პროსოდიული ელემენტები, რომლებთანაც უშუალოდაა დაკავშირებული მუსიკალური ელემენტები. საოპერო პარტიათა და სასიმღერო ლექსის ზუსტი თარგმანი, თუ მხედველობაში არ არის მიღებული რიტმიკა, მუსიკალური აქცენტები და სხვა სპეციფიკა, ხშირად ძალზე ხელოვნურია და კომიკურ ეფექტსაც კი შეიცავს. სასცენო ტექსტის თარგმანში კი, თუ დავესესხებით აზრს ჯ. მუნენს, „მთარგმ-

ნელის უპირატესი საზრუნავი უნდა იყოს სასცენო სინამდვილის რეპრეზენტაცია და მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება ფიქრი ნაწარმოების ლიტერატურული და პოეტური ღირებულების წარმოჩენაზე“ (88-145). აუდო-მედიალური ტექსტის თარგმანის შეფასებისას მთავარია შევფასოთ ის, თუ რამდენად მოახერხა მთარგმნელმა ტექსტისა და გარეუბრები ტექნიკური საშუალებების შერწყმით შეექმნა შერეული სახის ლიტერატურული ფორმა და იმ ეფექტის ანალოგიური ეფექტი, რომელსაც ორიგინალი იწვევდა თავის უშუალო აუდიტორიაში.

თარგმანთან მიმართებით შემუშავებულ ზემოთ მოყვანილ კლასიფიკაციათა სქემებში ტექსტთა ტიპები გამოყოფილია იმ ნორმატიულ მოთხოვნათა მიხედვით, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს თითოეული ფუნქციონალური სახეობის ტექსტის თარგმანი. ტექსტთა ტიპოლოგიის განსხვავებული ხასიათი სხვადასხვა ავტორთან გამოწვეულია თვითონ ტექსტის, როგორც რთული და მრავალგანზომილებიანი ენობრივი წარმონაქმნის, ბუნებით, რაც ენის ფუნქციონირების თვალსაზრისითაც და თარგმანისათვის რელევანტური ნიშნებითაც მკაცრ ტიპიზაციას ძნელად ექვემდებარება. საუკესით შესაძლებელია, რომ ერთსა და იმავე ტექსტში ერთდროულად იჩინოს თავი ენის განსხვავებულმა ფუნქციონალურმა დანიშნულებამ. ამითაა გამოწვეული ე. წ. გარდამავალ სახეობათა არსებობა ტიპოლოგიურ სქემებში. თუ ერთ რომელიმე სეგმენტში პირველ პლანზეა რეფერენციალური ფუნქცია, მეორეში შესაძლოა გამოვლინდეს პრაგმატული მიზანმიმართება ზემოქმედებაზე. ფუნქციითა ინტერფერენცია განსაკუთრებით დამახასიათებელია ისეთი სახეობებისათვის, როგორიცაა პუბლიცისტური, ესეის ჟანრის, ჰუმანიტარული პროფილის სამეცნიერო ლიტერატურა, საზოგადოებრივ-პოლემიკური ხასიათის ნაწერები და ა. შ. მაგრამ ისიც ნიშანდობლივია, რომ ენის ესა თუ ის ფუნქცია ამ ხასიათის ტექსტებში მეტწილად არათანაზომიერია და იმის მიხედვით, თუ რომელი ფუნქცია დასტურდება როგორც დომინანტური, შესაძლებელი ხდება ტექსტის მიკუთვნება რომელიმე ფუნქციონალური სტილისათვის. *მაგრამ თარგმანისათვის იმას კი არა აქვს გადაწყვეტი მნიშვნელობა, თუ რომელი ფუნქციონალური სტილის სტატუსი შეიძლება მიენიჭოს სათარგმნელ მასალას, არამედ იმას, რომ სტილთა ინტერფერენცია, ენობრივი ქსოვილის სახეცვლის ყოველგვარი კონკრეტული გამოვლინება ადეკვატურად*

აისახოს თარგმნით ვარიანტშიც.

განსხვავებულ ფუნქციონალურ სტილთა ინტერფერენციის მაგალითად (ფართო კონტექსტის გარეშე) მოგვყავს ნაწყვეტი ქართული სამეცნიერო-პოპულარული ლიტერატურის ერთ-ერთი ნიმუშის ინგლისური და რუსული ვარიანტებიდან, რომელიც თავისი ამაღლებული, პათეტიკური ინტონაციითა და მხატვრული სახეობრიობით აშკარად გამოირჩევა საქმიანი, მშრალი, სამეცნიერო ლიტერატურის სტილის ნორმებით დაწერილი კონტექსტის ფონზე:

"Rustaveli's poem vividly reflects the idea of admiration for woman. The seclusion of a woman in the harem was alien to the Georgian people... The age of Rustaveli was prepared to accept and reflect in literature "the cult of woman". It found expression in the general ideological trend of the Georgian poet's work, in the rapturous hymn to woman's honour and woman's liberty to choose her lover, in his unfolding of the image of Nestan-Darejan. Nestan's letter to her beloved is a most striking poetic expression of the magnanimity of a woman's spirit, of the triumph of reason over passions; it is an inspired confession of one capable of any heroic exploit and any sacrifice in the name of lofty ideals, in the name of pure love. The creator of Nestan's fascinating image furnishes as a proof of the equality of men and women the following poetical simile: "lion's cubs, whether male or female, are equal".*

В поэме Руставели ярко отражена идея преклонения перед женщиной. Грузинскому народу был чужд гаремно-замкнутый образ жизни женщины... Век Руставели идейно был вполне подготовлен для восприятия и отражения т. н. "культы женщины". Это нашло свое выражение в общей идейной направленности творчества грузинского поэта, в его восторженном гимне женской чести и свободной женской любви, в неувядаемом художественном образе Нестан-Дареджан.

Письмо Нестан-Дареджан к возлюбленному – ярчайшее поэтическое выражение величия женской души, торжества разума над страстями, вдохновенная исповедь человека, готового на любые подвиги и на любые жертвы во имя возвышенных идеалов, во имя чистой любви.

Создатель чудесного образа Нестан поэтически

* A. G. Baramidze, D. M. Gamezardashvili; "Georgian Literature", Tbilisi University Press, Tbilisi, 1968.

დაცემის საჭიროებამ. ეს ტექსტები შესაძლოა შეიქმნა B ენის მატარებელი ადრესატის დაკვეთითაც კი. ამდენად, A ენაზე შექმნილ საწყის ტექსტში ორიენტაცია აღებულია B ენის მატარებელ ადრესატზე. ასეთი ტექსტი იდეაში არ უნდა შეიცავდეს უცხოენოვანი ადრესატისათვის ნაკლებად ცნობილ რეალიებს A ენის მატარებელი კოლექტივის მატერიალური თუ სულიერი ცხოვრების სფეროდან.

თარგმანისათვის მაქსიმალურად დამყოლი ტექსტის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ დაკვეთით შექმნილი ინფორმაციული ტექსტები უცხოენოვანი მკითხველისათვის განკუთვნილი პერიოდიკიდან (საზოგადოებრივ-პოლიტიკური ხასიათის ან ლიტერატურული თემატიკის შემცველი ჟურნალები), საექსპორტო საქონლის სპეციფიკაციის ამსახველი ტექსტები (მედიკამენტთა აღწერილობა, დანიშნულება; საყოფაცხოვრებო და ლაბორატორიული ტექნიკის ინსტრუქციები და სხვ.). ამავე კატეგორიას შეიძლება მივაკუთვნოთ უცხოენოვანი აუდიტორიის წინაშე გამოსვლისათვის განკუთვნილი ტექსტები (მოხსენება, ტელერადიოგადაცემაში ან პრესკონფერენციების მსვლელობაში სინქრონისტი მთარგმნელის შუამავლობით სარეალიზაციო ტექსტები და სხვა). ინფორმაციის ამგვარი გადაცემისას მაქსიმალურადაა მოგვარებული პირუკუ კავშირი მთარგმნელს^{7ა} და დამკვეთს შორის და ტექსტი მეტნაკლებად დაზღვეულია დამახინჯებისაგან მთარგმნელის მხრივ საგნობრივი სიტუაციის ცოდნით და დამკვეთის მხრივ შუამავლის ნდობით.

მეორე საპირისპირო კატეგორიას, რომელიც მინიმალურადაა დამყოლი თარგმანისათვის, შეიძლება მივაკუთვნოთ ტექსტთა ისეთი ტიპები, რომლებშიც რეალიზებულ შეტყობინებას არა აქვს არც ერთი შეხების წერტილი უცხოენოვან აუდიტორიასთან და მათში გადმოცემული ინფორმაცია არც შეიცავს არავითარ ინტერესს სხვა ენობრივი კოლექტივისათვის. ასეთია ოფიციალური განკარგულებები, კანონთა კრებულები, შინაგანაწესები, ადგილობრივი მნიშვნელობის განცხადებები, არასაერთაშორისო მნიშვნელობის სამართლებრივი დოკუმენტაცია და სხვა. შიდაენობრივი კომუნიკაციისათვის ვარგისი ასეთი ტექსტები, ბუნებრივია, რომ შეიცავდნენ მრავალ ისეთ რეალიას, რომლებიც დაკავშირებულია კონკრეტულ ისტორიულ, ეკონომიკურ, კულტურულ სიტუაციასთან ამა თუ იმ ენობრივი კოლექტივის ცხოვრებაში და რომლებსაც, შესაძლოა, არც გააჩნდეს ანალოგები მეორე ენობრივი კოლექ-

ტივის ცხოვრებისეულ რეალობაში.

ამ ორ უკიდურესად საპირისპირო სახეობას შორის თავსდება ტექსტთა ისეთი ტიპები, რომლებიც არ იყო შექმნილი სათარგმნელად, მაგრამ პოტენციაში შეიცავენ ინტერესს უცხოენოვანი კოლექტივისათვისაც. ასეთია პირველ ყოვლისა სამეცნიერო-ტექნიკური ლიტერატურა. ამავე შუალედურ პოზიციას იკავებს საზოგადოებრივ-პოლიტიკური ლიტერატურა, პუბლიცისტიკა და ბელეტრისტიკა. ეს არის ტექსტთა ისეთი კატეგორია, რომელიც იქმნებოდა გარკვეულ საზოგადოებრივ-კულტურულ ვითარებაში და მიზანმიმართული იყო კონკრეტულ ენობრივ კოლექტივთან კომუნიკაციაზე, მაგრამ მათი განსხვავება მეორე კატეგორიის ტექსტებისაგან იმაში მდგომარეობს, რომ ასეთმა ლიტერატურამ შესაძლოა გადალახოს საკუთარი აუდიტორიისა და ისტორიული დროის საზღვრები და შეიძინოს გარკვეული ღირებულება ზოგადად ადამიანთა საზოგადოებისათვის. მათ შეიძლება აღმოაჩნდეთ ისეთი ხარისხობრივი თვისებები, რომ მომავალში ისინი შევიდნენ, და ფაქტობრივად შედიან კიდევაც, მსოფლიო ხალხთა ლიტერატურულ საგანძურში.

ამ ბოლო კატეგორიაში შემავალ ტექსტთა სახეობანი დიალექტიკურად შეიცავენ პრაგმატულ ორიენტაციას როგორც წყაროების აუდიტორიაზე, ასევე უცხოენოვანზედაც. როგორც ითქვა, ეს ნიშანი მათ მხოლოდ პოტენციაში გააჩნიათ, მაგრამ, მეორე მხრივ, როგორც ამას ადასტურებს თარგმანის მრავალსაუკუნოვანი პრაქტიკა, სწორედ ამ კატეგორიის ლიტერატურის თარგმანი ამჟღავნებს პრაგმატული გაწონასწორების ჭარბ საჭიროებას და ჩვენთვის კი მთავარია ის, რომ ამ კატეგორიის ტექსტთა თარგმანებში ვლინდება იმ ტრანსფორმაციათა ფართო სპექტრი, რომლებიც ჩვენი დაკვირვების საგანს შეადგენს. ამისი მიზეზი კი საძიებელია იმაში, რომ სწორედ ამ სახის ტექსტებში განუზომლად დიდია თარგმანის ტექსტის კონსტრუირებაზე მეორადი სისტემების (გარეენობრივი ფაქტორების) გავლენის ხვედრითი წონა.

თარგმანის კომუნიკაციურ-პრაგმატული ეკვივალენტურობის ცნება შედარებით ახალია თარგმანმცოდნეობის ცნებით აპარატში და უშუალოდ უკავშირდება თარგმანის, როგორც ენათშორისი კომუნიკაციის აქტის მოაზრებას. იმ მიზნით, რომ უკეთ განვსაზღვროთ ის საცნობრივი შინაარსი, რომელსაც მოიცავს ეს ცნება, საჭიროდ მიგვაჩნია განვიხილოთ, თუ როგორაა გაშუქებული თარგმანის ეკვივალენტურობის პრობლემა თარგმანის ლინგვისტური თეორიის უახლეს გამოკვლევებში, რასაც ეძღვნება ნაშრომის მომდევნო თავი.

ეკვივალენტურობის პრობლემა თარგმანის
უხსლეს თეორიათა კონტექსტში

იმ დროიდან მოყოლებული, როცა ჯერ კიდევ არ იყო შემუშავებული თარგმანის შეფასების კრიტერიუმები, იმ ნორმატიულ მოთხოვნათა შორის, რომლებსაც უყენებდნენ თარგმანს, უმთავრესი იყო, და ამჟამადაც რჩება, ეკვივალენტურობის მოთხოვნა. ამისი დასტურია ის, რომ ეკვივალენტურობის ცნება თავს იჩენს ყველა თეორიულ ნაზრევში, რომელიც ცდილობს პასუხი გასცეს კითხვაზე, თუ რა არის თარგმანი, იმ განსხვავებით, რომ თარგმანის განვითარების სხვადასხვა პერიოდებში და ხშირ შემთხვევაში დღესაც, ეკვივალენტურობის ცნებაში განსხვავებული შინაარსი იკითხება.

რომ არაფერი ვთქვათ ადრეულ მოსაზრებებზე, როცა თეორიული ბაზისის უქონლობის გამო თარგმანთან დაკავშირებული არაერთი საკითხი წყდებოდა ინტუიციის დონეზე, და თუ ჩვენთვის საინტერესო პრობლემის თვალსაზრისით გადავხედავთ შედარებით ახალ თეორიულ გამოკვლევებს, თვალში საცემია ის გარემოება, რომ ეკვივალენტურობის გაგება თარგმანთან მიმართებაში ზოგჯერ დაიყვანება ორიგინალისა და თარგმანის ტექსტებში აქტივიზებულ სიტყვათა ან შესიტყვებათა შეპირისპირების დონეზე.

საქმე ის არის, რომ ტერმინები „ეკვივალენტი“ ან „ეკვივალენტურობა“, საერთოდ, იხმარება ზოგადი გაგებითაც და ღიფერენციურებული შინაარსითაც (დენოტაციური ეკვივალენტურობა, კონოტაციური, ფორმალური, კომუნიკაციურ-პრაგმატული). ამდენად, კანონზომიერად შეიძლება ასევე ლაპარაკი სიტყვათა ან შესიტყვებათა ეკვივალენტურობაზეც, გააჩნია რა მიზნით და რომელი ენობრივი ერთეული ექცევა მკვლევრის ყურადღების ფოკუსში ყველა ცალკეულ შემთხვევაში. მაგრამ ამ ტერმინის არადიფერენციურებული ხმარება თარგმანის ტექსტთან მიმართებაში უთუოდ არ არის გამართლებული, რადგან თარგმანი შესაძლოა ამჟღავნებდეს ეკვივალენტურობას შინაარსის პლანში ან, დაეუშვათ, ფორმის თვალსაზრისით, მაგრამ არ იყოს ეკვივალენტური კომუნიკაციურ-პრაგმატული ეფექტი.

სამოციანი წლების დასაწყისში, სამანქანო თარგმანის იდეის გაჩენასთან დაკავშირებით, თავი იჩინა განსაკუთრებულმა დაინტე-

რესებამ ენათშორისი სინონიმის პრობლემით, ანუ დაპირისპირებულ ენათა სისტემებში „კანონზომიერ შესაბამისობათ“ ძიებით. ამასთან დაკავშირებით, ეკვივალენტურობა უმეტესად გააზრებული იყო როგორც ენის ნიშანთა შესაბამისობა წყარო ენასა და თარგმანის ენაში. ა. ეტინგერის მტკიცებით, თარგმანი შეიძლება განვსაზღვროთ როგორც ერთი ენის ელემენტთა შენაცვლება მეორე ენის ელემენტებით. ელემენტებში კი იგულისხმება ენის ნიშნები და მათი გამოვლინებანი. ეკვივალენტური თარგმანის პირობად ა. ეტინგერი მიიჩნევს ორიგინალში გამოვლენილი ენის ნიშანთა ისეთ ჩანაცვლებას თარგმანში, როცა თარგმნითი ვარიანტები იგივე ან „შეძლებისდაგვარად იგივე მნიშვნელობას ავლენენ“. თარგმანის ცენტრალურ პრობლემად ა. ეტინგერი მიიჩნევს „ორიგინალის ენის ნიშანთა ინვარიანტული მნიშვნელობის შენარჩუნებას თარგმანის ენის ნიშნებში“ (75).

ეკვივალენტურობის პრობლემასთან დაახლოებით იგივე მიდგომა ჩანს რუსეთში თარგმანის ლინგვისტური თეორიის ერთ-ერთი ფუძემდებლის ი. ი. რეცკერის კონცეფციაშიც (90 ა, ბ), რომელმაც საკმაოდ დიდი წვლილი შეიტანა კანონზომიერ შესაბამისობათა თეორიის შექმნაში. მიუხედავად იმისა, რომ ი. ი. რეცკერი თარგმანის ერთეულად მიიჩნევს როგორც სიტყვას, ასევე შესიტყვებას, წინადადებას და მთელ ტექსტსაც კი, და მიუხედავად იმისა, რომ თარგმანის სრულფასოვნებას ხედავს, როგორც თვითონ წერს, დედნის აზრის ზუსტ გადაცემასა და მისი ფუნქციურ-სტილისტური მახასიათებლების შენარჩუნებაში, ეს მტკიცება სუფთა დეკლარაციად რჩება იმის გამო, რომ იგი ეკვივალენტურობას უკვირდება მარტოოდენ ტექსტის მიკროელემენტთა — ცალკეულ სიტყვათა დონეზე. ამასთან დაკავშირებით ი. ი. რეცკერს შემოაქვს ისეთი ცნებები, როგორიცაა „სრული ეკვივალენტები“, „ნაწილობრივი ეკვივალენტები“ და „ვარიანტული შესატყვისები“. ამ შეხედულების მიხედვით, სრულ სემანტიკურ ეკვივალენტებად, როგორც ჩანს, უნდა მივიჩნიოთ ინგლისური „actress“ და ქართული „მსახიობი ქალი“; ინგლისური „jasmin“ და ქართული „უცვეთელა“; „Coral island“ და „მარჯნის კუნძული“ და სხვა. ეს ის შემთხვევაა, როცა, პროფესიული ჟარგონის ენაზე თუ ვიტყვით, „სიტყვა სიტყვაში ჯდება“. ხოლო იმ შემთხვევაში, როცა წყარო ენის რომელიმე ერთეულის ეკვივალენტად თარგმანის ენაში სიტყვის რამდენიმე მნიშვნელობიდან ერთ-ერთის შერჩევა ხდება საჭი-

რო, საქმე გვაქვს „ნაწილობრივ ეკვივალენტებთან“. ასეთ კატეგორიას, ი. ი. რეცკერის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, განეკუთვნება, მაგალითად, „big“ — „დიდი“ (ძირითადი მნიშვნელობა) და იგივე სიტყვის ისეთი ეკვივალენტური მნიშვნელობები ქართულში, როგორც იქნება „მოზრდილი“ (big boy), „ძლიერი“ (big noise) და სხვ. მიუხედავად იმისა, თუ როგორ ეკვივალენტურობას ამქ-
ლავნებენ შეპირისპირებული წყვილები — „სრულს“ თუ „ნაწი-
ლობრივს“, ი. ი. რეცკერს მიაჩნია, რომ სემანტიკური ეკვივა-
ლენტები „მუდმივი“ და „მდგრადი“ ეკვივალენტებია კონტექსტის
გარეშეც კი. მაგრამ პოლისემანტურ სიტყვათა შემთხვევაში, როგორ-
იცაა, მაგალითად, სიტყვა „pin“ და მისი თარგმნითი ვარიანტები:
„გულსაბნევი“, „თმის სამაგრი“, „ქინძისთავი“, „ჭიკარტი“ და ა.
შ., რასაც შეიძლება დაუმატოთ ასევე მისი რამდენიმე შესატყვის-
სი ტექნიკის სფეროდან („წიკრი“, „მანჭვალი“ და სხვა), ლა-
პარაკი შეიძლება მხოლოდ „ვარიანტულ შესატყვისებზე“, რომელთა
შერჩევა შესაძლებელია მხოლოდ კონტექსტის გათვალისწინებით.

ავტორის დაკვირვებით, განსხვავებულად ღვას საკითხი მხატვ-
რულ თარგმანში, რამდენადაც მხატვრული ტექსტისათვის დამა-
ხასიათებელია სიტყვათა ოკაზიურ მნიშვნელობათა აქტივიზაცია.
ოკაზიონალიზმები კი ი. ი. რეცკერის კონცეფციაში ენის ნიშანთა
სუბიექტური ხმარების შემთხვევებს განეკუთვნება და ამდენად,
ისინი „კანონზომიერ შესაბამისობათა“ საზღვრებს მიღმა რჩებიან
(90⁶-18).

ჩვენი მხრივ გვინდა აღვნიშნოთ, რომ ი. ი. რეცკერის კლასიფიკა-
ციაში არც თუ დამაჯერებლად გვესაზება „ნაწილობრივი ეკვივა-
ლენტებისა“ და „ვარიანტული შესატყვისების“ განსხვავების კრი-
ტერიუმები. გაუგებარია ასევე მათი შერჩევის მექანიზმი. თუ ასეთად
მიჩნეულია კონტექსტი, მაშინ, ჩვენი აზრით, კონტექსტის გათვა-
ლისწინება საჭიროა როგორც ერთ, ასევე მეორე შემთხვევაში.

ეკვივალენტურობის ი. ი. რეცკერისეულ გაგებასაც, როგორც
ჩანს, ენათმორისი სინონიმის გამოვლენის იდეა უღვეს საფუძე-
ლად, რის გამოც მის გამოკვლევებში ყურადღება უფრო მეტად
გამახვილებულია ენათა სემანტიკური პლანების შესაბამისობაზე,
ვიდრე ორიგინალისა და თარგმანის ტექსტთა კომუნიკაციურ ეკვი-
ვალენტურობაზე.

თარგმანის თეორიაში იზოლირებულ ერთეულთა შეპირისპირე-
ბის სანაცვლოდ თანდათან შემოდის ტექსტის ცნებაც, კერძოდ, ჯ.

ქეტფორდი (91) თარგმანს განსაზღვრავს როგორც ერთი ენის ტექსტობრივი მასალის ჩანაცვლებას მეორე ენის ტექსტობრივი მასალით: ავტორი ტექსტობრივ მასალაში, როგორც თვითონ წერს, გულისხმობს „წერიითი ან ზეპირი მეტყველების ნებისმიერ მონაკვეთს, რომელიც შესაძლოა არ დაემთხვევს არც ერთ ლიტერატურულ ან ლინგვისტურ ერთეულს“. მისი აზრით, ეს შეიძლება იყოს სიტყვა, შესიტყვება, წინადადება და მთელი ნაწარმოებიც კი. საკმაოდ გაუგებარია, რა პარამეტრებითაა გამოყოფილი ეს სეგმენტები ან, საერთოდ, რაგვარი ენობრივი წარმონაქმნია მიჩნეული ტექსტად ქეტფორდის კონცეფციაში.

თარგმანის განხორციელების ძირითადი პირობა, ჯ. ქეტფორდის აზრით, რასაც უდავოდ ვიზიარებთ, მდგომარეობს თარგმანის ენაში თარგმნითი ეკვივალენტების დაძებნაში, ხოლო თარგმანის თეორიის მიზანია ამ ეკვივალენტთა ბუნების შესწავლა და თარგმანის ეკვივალენტურობის პირობათა აღწერა.^{*} მაგრამ ძნელია დავეთანხმოთ ავტორს იმაში, თითქოს ამ ეკვივალენტურობის ერთდაერთი კრიტერიუმი საძიებელია მარტოოდენ სემანტიკურ შესაბამისობაში საგნობრივ შინაარსთან, ანუ მხოლოდ რეფერენციალურ დონეზე, გამონათქვამის კომუნიკაციური ღირებულების უგულებელყოფით და თარგმანის ადრესატის ფაქტორის გაუთვალისწინებლობით. წინამდებარე ნაშრომის ბოლო განაკვეთში, სადაც ლაპარაკი გვექნება თარგმანის ჰეტეროვალენტურობის დეტერმინანტებზე, შევეცდებით ვაჩვენოთ, რომ ცალკეულ ელემენტთა სალექსიკონო შესატყვისების აქტივიზაცია თარგმანში ზოგჯერ გამონათქვამის საპირისპირო კომუნიკაციური ეფექტის მიზეზი ხდება.

ჯ. ქეტფორდის გამოკვლევის მიზანრივ ნაკარნახევია სამანქანო თარგმანისათვის ალგორითმების შედგენის საჭიროებით.

ეკვივალენტურობის პრობლემას გარკვეულად ეხმიანება ასევე ა. კ. ჰელიდის გამოკვლევა (92), რომლის ძირითადი მიზანია

* ჯ. ქეტფორდის კონცეფციის ტენდენციურობას მოწმობს ეკვივალენტურობის გამოვლენის ის პროცედურაც, რომელსაც იგი იყენებს: ენის მატარებელ ცდისპირებს სთავაზობენ კონტექსტისაგან იზოლირებულ, სინონიმური რიგის ერთეულებს, საიდანაც ისინი ირჩევენ მათი თვალსაზრისით ყველაზე მართებულ ვარიანტს რომელიმე კონკრეტული ერთეულისათვის. შემდგომ, საშუალო არითმეტიკულის დანაგარიშების გზით ხდება „მუდმივი ეკვივალენტების“ და „პირობითი ეკვივალენტების“ გამოვლენა. ეს გარემოებაც მოწმობს, რომ ჯ. ქეტფორდის გამოკვლევაშიც საუბარია არა ახალი ტექსტის შექმნის დინამიკაზე, არამედ ენობრივ ნიშანთა კორელაციაზე განსხვავებულ ენებში.

წარმოაჩინოს თარგმანი როგორც უცხოური ენის მშობლიურთან შეპირისპირების გზით შესწავლის ეფექტური საშუალება.

გამომდინარე კონცეფციიდან, რომ სინტაგმატურ პლანში შეიძლება გამოიმიჯნოს ხუთი რანგი, რომლებსაც შეესაბამება ხუთი ენობრივი სიდიდე — მორფემა, სიტყვა, სინტაგმა, წინადადების ერთი წევრის სახით გაერთიანებული სიტყვათა ჯგუფი და წინადადება — ავტორი ცდილობს გამოავლინოს, თუ რომელ რანგში შეიძლება დამყარდეს ეკვივალენტურობა. ალაღბედად აღებული ფრანგული მარტივი წინადადებისა და ყველა ზემოაღნიშნული რანგების გათვალისწინებით შედგენილი ინგლისური ბწყარედის მაგალითზე ა. კ. ჰელიდის გამოაქვს დასკვნა, რომ ეკვივალენტურობის აღბათობა თანდათან იზრდება უმარტივესი რანგიდან (მორფემიდან) შემდეგ რანგებზე გადასვლის პროცესში და საბოლოოდ დასტურდება მარტოოდენ მთელი წინადადების დონეზე; ხოლო რაც უფრო დაბლა ვეშვებით უკუსვლით — უმაღლესი რანგიდან (წინადადებიდან) უმარტივესი რანგისაკენ (მორფემა), ეკვივალენტურობის აღბათობა თანდათან კლებულობს და საბოლოოდ ქრება, რადგან მორფემა უთარგმნელი ელემენტია. აქედან გამომდინარე, თარგმანის ერთეულად ა. კ. ჰელიდე მიიჩნევს წინადადებას და არა უფრო დაბალი რანგის სიდიდეს.

ამავე გამოკვლევაში ყურადღებას იპყრობს თარგმნის სამფაზოვანი პროცესის ჰელიდეისეული იდეაც. პირველ ფაზაში აღინიშნება წყარო ენის თითოეული რანგის ერთეულისათვის (მორფემა, სიტყვა და ა. შ.) ყველაზე მეტი ეკვივალენტური აღბათობის შემცველი ერთეულის მექანიკური შერჩევა აღბათობის იმ სკალაზე, რომელიც მთარგმნელის გონებაშია დაფიქსირებული. როგორც ჩანს, ავტორს მხედველობაში აქვს მთარგმნელი-ბილინგვას ენობრივი კომპეტენციის (ენობრივი მეხსიერების) ფაქტორი. მეორე ფაზაში ხდება შერჩეული ერთეულის ხელახალი გადამოწმება ლინგვისტური გარემოცვის ფონზე. ასე მაგალითად, ყველაზე მეტად სააღბათო ვარიანტი ინგლისური სიტყვისათვის “head” ფრანგულ ენაში იქნებოდა “tête”, მაგრამ თუ ეს სიტყვა გვხდება ისეთ ენობრივ გარემოცვაში, როგორცაა “the head of the department”, მაშინ მისი ფრანგული შესატყვისი იქნებოდა “chef de section”. ამგვარად, მეორე ფაზაში ერთეულის შერჩევისათვის საჭირო ინფორმაციას გვაწვდის უფრო მაღალი რანგის ერთეული — შესიტყვება. ასე და ამგვარად, ყოველი მომდევნო ერთეული, თანმიმდევრულად შერჩე-

ვა უფრო მაღალი რანგის ერთეულისგან მომდინარე ინფორმაციის საფუძველზე.

მესამე ფაზაში მთარგმნელი უკვე ყურადღებას აფიქსირებს თარგმანის ენის შიდაენობრივ გრამატიკულ და ლექსიკურ თავისებურებებზე და ამ პროცესში წყარო ენას უკვე აღარავითარი ინფორმაციის მოწოდება არ შეუძლია.

ბუნდოვანი და საკამათო გვერვენება ა. კ. ჰელიდის ერთ-ერთი კომენტარი, დაკავშირებული თარგმნის პროცესის მეორე სტადიასთან, როცა მთარგმნელი ენობრივი ერთეულის შერჩევისას მხედველობაში იღებს ლინგვისტურ გარემოცვას. ავტორის მტკიცებით, ეს სტადია შეიძლება გაგებული იქნეს უფრო ფართო მნიშვნელობით, კერძოდ, — „როგორც სიტუაციის მხედველობაში მიღება“. შემდგომი მსჯელობიდან ირკვევა, რომ სიტუაცია, ავტორის თვალსაზრისით, შეიძლება იყოს ფორმალური (რამიც იგი გულისხმობს კონკრეტული ერთეულის საკუთრივ ლინგვისტურ გარემოცვას ტექსტის წერით ვარიანტში) და კონტექსტუალური. ამ უკანასკნელში ავტორი ზეპირი (და არა წერითი) ვარიანტის ფუნქციონირების სიტუაციას გულისხმობს. შემდგომ იგი აწვითარებს აზრს იმის თაობაზე, რომ წერითი სახის თარგმანი „დეკონტექსტუალიზებულია“, ხოლო ზეპირი თარგმანი, პირიქით — „კონტექსტუალიზებულია“ იქამდე, ვიდრე ჩაიწერება, დაუშვავთ, მაგნიტოფირზე ან სხვაგვარად, რის შემდეგაც ეს სახეობაც დეკონტექსტუალიზებული გახდება ისევე როგორც წერითი ვარიანტი (92-32). ჩვენთვის ბუნდოვანია ჰელიდისეული გაგება ცნებისა „კონტექსტი“. თუ იგი თარგმნის პროცესის გარეენობრივ სიტუაციას აღნიშნავს, რასაც თანამედროვე კომუნიკაციის თეორიის ტერმინოლოგიაში „კომუნიკაციური სიტუაცია“ ჰქვია, მაშინ გაუგებარია, რის საფუძველზე მიიჩნევს იგი წინადადების რანგს ენობრივ ერთეულთა შერჩევის განმაპირობებელ კონტექსტად. როგორც ჩანს, აქაც ტერმინოლოგიურ შეუთანხმებლობასთან გვაქვს საქმე ისევე, როგორც ბევრ ანალოგიურ გამოკვლევაში.

როგორც ვხედავთ, *ზემოთ მოყვანილ სხვადასხვა ავტორთა კონცეფციაში, ეკვივალენტურობა თარგმანში გააზრებულია უმეტესად როგორც ენობრივ ნიშანთა რეფერენციალური შესაბამისობა*; კერძოდ, — როგორც კონტექსტუალურად რელევანტური სემანტიკური მახასიათებლების ერთგვაროვნება თარგმანსა და ორიგინალში (ჯ. კეტფორდი, მ. ჰელიდი); როგორც ორიგინალის

ენობრივ ნიშანთა ინვარიანტული მნიშვნელობის შენარჩუნება თარგმანის ენაში (ა. ეტინგერი); როგორც ენის ნიშანთა მიერ წყარო ენის კონტექსტში გამოვლენილ მნიშვნელობათა შენარჩუნება თარგმანის ენის ნიშნებში (ი. ი. რეცკერი) (აქცენტი ყველა ცალკეულ შემთხვევაში გამაზვილებულია ენის ნიშანთა თარგმნითი ეკვივალენტების ანუ ენათშორისი სინონიმის გამოვლენაზე.)

(ეკვივალენტურობის ძიება მარტოოდენ მიკროელემენტთა დონეზე (სიტყვა, შესიტყვება) შესაძლოა მხოლოდ მაშინ იყოს გამართლებული, როცა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ლექსიკურ ერთეულთა დენოტაციური ეკვივალენტურობა; და ამდენად, შეიძლება კანონზომიერიც იყოს სამეცნიერო-ტექნიკური ან ლოკუმენტური ჟანრული სახეობის ტექსტთა თარგმნის მეთოდოლოგიის დამუშავებისათვის, რამდენადაც ენის ფუნქციონირების ამ სახეობებში მთარგმნელის ყურადღება, პირველ ყოვლისა, მიმართულია აზრობრივი სიზუსტის დაცვაზე, რისთვისაც ლექსიკურ კომპონენტთა ზუსტი შესატყვისობა, შეიძლება ითქვას, ტექსტის საგნობრივი შინაარსის ეკვივალენტურობის უმთავრესი პირობაა; მაგრამ ძნელი წარმოსადგენია, რომ ენათშორისი სინონიმის ძიება, ტექსტის მიკროელემენტთა დონეზე, ბევრის მომტანი იყოს განსხვავებული ფუნქციონალური დანიშნულების ტექსტთა თარგმნის მეთოდოლოგიისათვის. მხედველობაში გვაქვს აპელაციური ხასიათის ტექსტები, რომლებიც მიზანმიმართულია თარგმანის ადრესატზე იდეოლოგიური ან, დაეუშვათ, ესთეტიკურ-ემოციური ზემოქმედების მოხდენაზე.

ცხადია, რომ თარგმანის ეკვივალენტურობის ისეთი გაგება, რომელშიც უგულებელყოფილია სათარგმნი ტექსტის კომუნიკაციური დანიშნულების ფაქტორი, ისევე როგორც თავად კომუნიკანტთა და კომუნიკაციური სიტუაციის ფაქტორები, უფრო მეტად შეესაბამება ენის ნიშნებთან ლექსიკოგრაფიულ მიდგომას და გარკვეული ანარეკლია იმ ენთუზიაზმისა, რამაც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თავი იჩინა სამანქანო თარგმანის ტექნიკის დამუშავებასთან დაკავშირებით.

პრინციპულად განსხვავებულ მიდგომას ვხედავთ ი. ნაიდას კონცეფციაში (93, 94, 95), რამდენადაც ავტორი ცდილობს გაარღვიოს თარგმანთან ვიწრო სემანტიკური მიდგომის საზღვრები. ი. ნაიდა გამოარჩევს ორ განსხვავებულ ორიენტაციას თარგმანში — ერთი მხრივ, ფორმალური ეკვივალენტურობის მიღწევის

ცდას და, მეორე მხრივ — დინამიკური ეკვივალენტურობისაკენ სწრაფვას (95-74).

ნაიდასეული „დინამიკური ეკვივალენტურობის“ პრინციპი აშკარად უპირისპირდება ფორმალური ეკვივალენტურობის პრინციპს.) მასში პირველ პლანზე წამოწეულია თარგმანის პრაგმატული განზომილება — მთარგმნელის ორიენტაცია თარგმანის ტექსტის ადრესატზე. (ეს თარგმანის ისეთი ხარისხობრივი მახასიათებელია, როცა „ორიგინალის აზრობრივი შინაარსი ისეთნაირადაა გამოვლენილი მიმღები ენის ფორმებში, რომ თარგმანის ადრესატის რეაქცია (response) ადეკვატურია საწყისი ტექსტის ადრესატის რეაქციისა“ (94-202).) იმავდროულად ნაიდა არ გამორიცხავს ფორმალური ადეკვატურობის დაცვას გარკვეული ხასიათის ტექსტებში. შეტყობინების განსხვავებულ ტიპთა გამოჯენისას ი. ნაიდა ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ზოგიერთ ტიპში შინაარსი დომინირებს ფორმაზე. ასეთია, მაგალითად, თარგმანი, რომელიც მიზანმიმართულია შემეცნებითი (კოგნიტური) ხასიათის სიზუსტეზე. ზოგიერთ თარგმანში კი ფორმის ელემენტები მეტ მნიშვნელობას იძენენ. ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს იმას, თითქოს ი. ნაიდა გამორიცხავდეს ფორმისა და შინაარსის ერთიანობის პრინციპს, მაგრამ თარგმანის პრაქტიკა ცხადყოფს, რომ ფორმის შენარჩუნებას, მაგალითად, პოეზიაში, შესაძლოა ნაწილობრივ შეეწიროს შინაარსი, რაც პირობადებულია „შეტყობინების ჩატყდვის აუცილებლობით ლექსის ფორმალურ ჩარჩოებში“ (93-162).

დინამიკური ეკვივალენტურობის პრინციპის დაცვით შესრულებული თარგმანისათვის, ნაიდას აზრით, დამახასიათებელია გამოხატვის ფორმათა ბუნებრიობა და სიმსუბუქე. შეტყობინების მიმღებს, ამ შემთხვევაში, არ მოეთხოვება ესმოდეს ორიგინალის კულტურის კონტექსტი, პირიქით — მას სთავაზობენ ქცევის ისეთ მოდუსს, რომელიც მისი საკუთარი კულტურის კონტექსტს უფრო შეესაბამება.*

ახალმა ტენდენციებმა ლინგვისტიკაში, ახალმა მიმდინარეობებმა, რომლებმაც ორიენტაცია აიღეს ენის შესწავლაზე მის მოქმედება-

* ამ აზრის ნათესაყოფად ი. ნაიდას მოჰყავს „ახალი აღქმის“ ჯონ ფილიპსისეული თარგმანის ერთ-ერთი ნაწყვეტი, სადაც ნაცელად ასეთი სევმენტისა: “greeted each other with a holy kiss”, მთარგმნელს უპირატესობა მოწიჭებია ასეთი ინტერპრეტაციისათვის: “greeted each other with a hearty handshake” (მისალმება გულთბილი ხელის ჩამორთმევით), რაც აშკარად უფრო შეესაბამება ინგლისელის ქცევის მოდუსს (93-156).

ში და, ამასთან დაკავშირებით, ვერბალური კომუნიკაციის თეორიის განვითარებამ სამოციანი წლების შემდგომ, სავსებით კანონზომიერად მისცა სტიმული ახალ ტალდას თარგმანის თეორიაშიც — თარგმანის მოაზრებას როგორც ენათშორისი კომუნიკაციის აქტისა. იგივე გარემოებამ შეუწყო ხელი ინფორმაციის თეორიის ცნებათა გადმოტანას თარგმანის თეორიაში. ო. კადეს გამოკვლევები ერთ-ერთი პირველი ცდაა თარგმანის პროცესის გაშუქებისა საკუთრივ კომუნიკაციის თეორიის პოზიციებიდან. ჩვენთვის საინტერესო ეკვივალენტურობის პრობლემასთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ, ო. კადეს აზრით, გაუმართლებელი იქნებოდა ლაპარაკი საწყისი შეტყობინებისა და მეორადი შეტყობინების (თარგმანის) კოდთა აბსოლუტურ იდენტურობაზე, რაც აშკარად ფარდობითი ხასიათისაა, და ამდენად, ეკვივალენტურობის მინიმალურ პირობად ო. კადე მიიჩნევს საწყისი შეტყობინების აზრობრივი ინვარიანტის შენარჩუნებას თარგმანში, მაქსიმალურ პირობად კი თვლის სუბსტიტუციას, ანუ საწყისი შეტყობინების კოდთა უშუალო ჩანაცვლებას მიმღები ენის კოდებით. ეს უკანასკნელი პირობა, ო. კადეს აზრით, განხორციელებადია მარტოოდენ „ინფორმაციული ხასიათის“ ტექსტთა თარგმნისას (სამეცნიერო და ლოკუმენტური ხასიათის ტექსტები — ნ. ს.), როცა დაპირისპირებულ ენათა ნიშნები ან ნიშანთა ერთობლიობა უფრო მეტ ტოლფასოვნებას ამჟღავნებენ როგორც სემანტიკურ, ასევე სტრუქტურულ პლანებში“ (76-69).

ეკვივალენტურობის პრობლემა თარგმანში თანდათან უფრო მეტად უკავშირდება კომუნიკაციურ განზომილებებს. ეკვივალენტურობის ცნება ენის ცალკეულ ნიშანთა დონიდან აშკარად ინაცვლებს ტექსტის, როგორც ერთიანი ენობრივი წარმონაქმნის, კომუნიკაციური ღირებულების დონეზე. ასე მაგალითად, გ. ეგერის მტკიცებით (78), თარგმანის ეკვივალენტურობა მხოლოდ ტექსტის დონეზე შეიძლება გამოვლინდეს და მისი არსი თარგმანისა და ორიგინალის კომუნიკაციურ ღირებულებათა თანხვედრაში მდგომარეობს, რაც იმას ნიშნავს, რომ ორიგინალის კომუნიკაციური ღირებულება ინვარიანტულია თარგმანის ტექსტისათვის. ი. ნაიდას კვალდაკვალ გ. ეგერიც თვლის, რომ კომუნიკაციური ღირებულება ტექსტის ის თვისებაა, რომელიც იწვევს გარკვეულ კომუნიკაციურ ეფექტს ადრესატის ცნობიერებაში, სადაც აღმოცენდება იმ აზრთა იდენტური ნაკადი, რომელთა გადაცემაც მიზნად ჰქონდა ორიგინა-

ლის ავტორს. ბუნებრივია, რომ ამ აზრებს აქვს შესაბამისი ლინგვისტური ექსპლიკატები, და ისინი, გ. ეგერის აზრით, იმ სამ ღონეზეა საძიებელი, რომლებიც ლინგვისტურ აღწერას ექვემდებარებიან, ესენია: სინტაქსი, სემანტიკა და პრაგმატიკა. გ. ეგერს მიაჩნია, რომ ტექსტის კომუნიკაციური ღირებულება გამოძლინარეობს მისი ფუნქციური დანიშნულებიდან და კონსტრუირებულია სამივე ზემოთ ხსენებული ღონის ნიშანთა ფუნქციური ერთობლიობით (78-137).

ჩვენი მიზნებისათვის გ. ეგერის დებულებიდან ყველაზე მნიშვნელოვნად გვესახება მისი აზრი იმის თაობაზე, რომ ვერბალური კომუნიკაციისას ერთმანეთთან გარკვეულ იერარქიულ მიმართებაშია სემანტიკური ღონე, რომელსაც ექვემდებარება სინტაქსური ღონე და ორივე ერთად კი ექვემდებარება პრაგმატულ ღონეს. გ. ეგერის კონცეფციაში ჩვენთვის მნიშვნელოვანია ასევე ისიც, რომ იგი ეკვივალენტურობის ცნებას აკავშირებს ფუნქციური ინვარიანტის შენარჩუნებასთან; ეს უკანასკნელი კი ესმის როგორც აქტუალური მნიშვნელობის, აქტუალური დანაწევრებისა და შიდაენობრივი პრაგმატული მნიშვნელობის ინვარიანტთა შენარჩუნება თარგმანში, რაც ერთობლიობაში ქმნის გამონათქვამის კომუნიკაციურ ნიშნადობას.

ი. ნაიდას დინამიკური ეკვივალენტურობის პრინციპმა შემდგომში განვითარება ჰპოვა თანამედროვე თარგმანმცოდნეობაში, სადაც თანდათან გამოიკვეთა ერთი მხრივ, თარგმანთა თვისებრივი ტიპოლოგიის იდეა — როგორც მთარგმნელის სტრატეგიის შერჩევის ძირითადი დეტერმინანტისა და, მეორე მხრივ — ეკვივალენტურობის ფენომენთან დიფერენციალური მიდგომის ტენდენცია.

თუ ადრეულ გამოკვლევებში ეკვივალენტურობა უმეტეს შემთხვევაში უკავშირდება თარგმანის რეფერენციალურ ღონეს, შედარებით გვიანდელ შრომებში ვხვდებით მსჯელობას ეკვივალენტურობის ვარიანტულ ხასიათზე. ასე მაგალითად, რ. ე. კოლერი (96-186) ეკვივალენტურობის ხუთ ძირითად სახეობას განიხილავს: 1. დენოტაციური, ანუ რეფერენციალური ეკვივალენტურობა, რაშიც იგულისხმება საწყისი ტექსტის აზრის, მისი შინაარსის ინვარიანტის შენარჩუნება; 2. კონოტაციური ეკვივალენტურობა, როცა თარგმანის ენაში არსებული გამოხატვის სინონიმური საშუალებებიდან სტილისტური ეფექტის თვალსაზრისით ტოლფასოვანი ენობრივი საშუალებებია შერჩეული; 3. ტექსტუალურ-ნორმატიული ეკვივა-

ლენტურობა, რომელიც ტექსტის ჟანრული მახასიათებლებისა და მათი შესაბამისი სამეტყველო ნორმების დაცვას გულისხმობს; 4. პრაგმატული ეკვივალენტურობა, რომელშიც იგულისხმება ორიენტაცია თარგმანის მიმღების ფაქტორზე, მასში სათანადო რეაქციის სტიმულირებაზე; 5. ფორმალური ეკვივალენტურობა, ანუ ორიგინალის ისეთი ფორმალური ნიშნების შენარჩუნება თარგმანში, როგორცაა ინდივიდუალური სამწერლო სტილის მხატვრულ-ესთეტიკური მახასიათებლები.]

ვ. კოლერის ასეთი რელატივისტური მიდგომა თარგმანის ეკვივალენტურობასთან მნიშვნელოვანია ჩვენთვის იმდენად, რამდენადაც მასში ასახულია თარგმანის წინაშე დასახული ნორმატიულ მოთხოვნათა მრავალგვარობა, რომელთა შორის პრაგმატულ-კომუნიკაციურ ეკვივალენტურობას მიჩენილი აქვს მისთვის კუთვნილი ადგილი.

ეკვივალენტურობის დიფერენცირებულ გაგებას ვხვდებით ვ. ნ. კომისაროვის კონცეფციაშიც (97-95). იგი ორიგინალისა და თარგმანის ტოლფასოვნებაში გამოყოფს ხუთი ტიპის ეკვივალენტურობას: 1. კომუნიკაციის მიზანთა ტოლფასოვნება, რომელშიც გამოხატულია გამონათქვამის როლი, მისი დანიშნულება კომუნიკაციის აქტში, რაც ნებისმიერი გამონათქვამის დამახასიათებელი ნიშანია, თუნდაც ეს გამონათქვამი იყოს სრულიად ნეიტრალური და უბრალოდ რაიმე ფაქტის კონსტატაციას ახდენდეს; ვ. ნ. კომისაროვის აზრით, ორიგინალისა და თარგმანის ლექსიკური და სინტაქსური ტოლფასოვნება ყველაზე დაბალ ხარისხშია გამოვლენილი. მოგვყავს მისივე მაგალითი:

“May be there is some chemistry between us doesn't mix”.

“Бывает, что люди не сходятся характером”.

2. აღწერილი სიტუაციის იდენტურობა, რომელიც მოაზრებულია როგორც შეტყობინება რაიმე კონკრეტულ სიტუაციაზე, რაიმე ფაქტზე, რაც შეტყობინების საგანს შეადგენს. სხვა თეორეტიკოსთა ტერმინოლოგიაში ასეთ ეკვივალენტურობას „დენოტაციური“ ეწოდება; 3. სიტუაციის აღწერის საშუალებათა იგივეობა; 4. სინტაქსურ სტრუქტურათა ტოლფასოვნება; 5. სიტყვიერ ნიშანთა ტოლფასოვნება.

ამ შემთხვევას იგი მიაკუთვნებს ისეთ თარგმნით ვარიანტებს, როცა ორიგინალში და თარგმანში აღწერილი სიტუაციები იდენ-

ტურია, მაგრამ მათი ასახვის ხერხები განსხვავებული: “He answered the telephone” – “Он снял трубку”. მესამე ტიპისათვის – სიტუაციის აღწერის საშუალებათა იგივეობა – დამახასიათებელია საწყისი შეტყობინებისა და თარგმანის ტექსტთა მეტი ტოლფასოვნება არა იმდენად აზრის მიხედვით, რამდენადაც მათში აქტივიზებულ ენის ნიშანთა ერთტიპურობის თვალსაზრისით: “Scrubbing makes me bad-tempered. “От мытья полов у меня характер портится”.

მეოთხე ტიპისათვის – სინტაქსურ საშუალებათა ტოლფასოვნება – დამახასიათებელია სინტაქსურ სტრუქტურათა ინვარიანტის შენარჩუნება:

“I told him what I thought of him”.

“Я сказал ему свое мнение о нем”.

მეხუთე ტიპში – სიტყვიერ ნიშანთა ტოლფასოვნება – შენარჩუნებულია ორიგინალის ყველა სიტყვიერი კომპონენტი:

“I saw him at the theatre”.

“Я видел его в театре”.

ჩვენი დაკვირვებით, გ. ეგერისაგან განსხვავებით, რომლის კონცეფციაში ეკვივალენტურობა წარმოდგენილი იყო როგორც იარუსებად განლაგებული სისტემა, რომლის ყოველი მომდევნო იარუსი განაპირობებდა წინა იარუსის ელემენტების შერჩევის მექანიზმს, კომისაროვი იერარქიას აგებს სხვა სისტემით, სადაც ეკვივალენტურობის ტიპები ერთზომიერი სისტემითაა განლაგებული. ამ სისტემაში, ჩვენი აზრით, ტიპებს შორის განსხვავება გამოვლენილია არა კომუნიკაციური ტოლფასოვნების, არამედ მათ ფორმალურ მახასიათებელთა დონეზე. საკამათოდ გვესახება მტკიცება, თითქოს ბოლო, მეხუთე ტიპი მეტ სემანტიკურ ეკვივალენტურობას ამჟღავნებდეს საწყის შეტყობინებასთან, ვიდრე დანარჩენი ოთხი ტიპი. აზრობრივი ინვარიანტი, ანუ სემანტიკური ეკვივალენტურობა ხუთივე ტიპში აღინიშნება იმ განსხვავებით, რომ პირველ მაგალითში შეიმჩნევა გამონათქვამის დემეტაფორიზაცია, და ამდენად – მისი მხატვრული ღირებულების ნაწილობრივი გაუფასურება. სამ მომდევნო მაგალითში სემანტიკური ეკვივალენტურობა დამყარებულია რეფერენციალურ დონეზე და ტრანსფორ-

მაციათა ხასიათი (კომპონენტთა ჩანაცვლება, სინტაქსური მატრიცის ცვლილება) განპირობებულია მიმღები ენის სისტემისათვის უფრო მეტად ბუნებრივი ფორმების სელექციით. ხოლო მეხუთე ტიპი სტრუქტურული და სემანტიკური სუბსტიტენციის ტიპური მაგალითია. ამდენად, კომისაროვის მაგალითები უფრო მეტად გამოდგებოდა თარგმნით ტრანსფორმაციათა ტიპების საილუსტრაციოდ და არა ეკვივალენტურობის განსხვავებულ სახეობათა გამოსავლენად, რადგან ხუთივე მოყვანილ შემთხვევაში ეკვივალენტურობა სემანტიკურ დონეზე გარანტირებულია, თუმცა პირველ მაგალითში, ჩვენი აზრით, ტრანსფორმაციის მოტივაცია სწორედ პრაგმატულ დონეზეა საძიებელი.

ვ. გ. გაკი და ი. ი. ლვინიც (98-10) იზიარებენ ეკვივალენტურობის პრობლემასთან დიფერენცირებული მიდგომის იდეას და თავის მხრივ, გამოყოფენ ეკვივალენტურობის სამ სახეობას: 1. ფორმალური ეკვივალენტურობა. ეს ის შემთხვევაა, როცა აზრის სინუსტე თარგმანის ენაში გამოხატულია ორიგინალში აქტივიზებულ ფორმათა ტოლფასოვანი ენობრივი საშუალებებით, როგორც ლექსიკურ კომპონენტთა, ასევე სინტაქსურ კონსტრუქციათა დონეზე; 2. აზრობრივი ეკვივალენტურობა. ეს ის შემთხვევაა, როცა ეკვივალენტური აზრი განსხვავებული ენობრივი ფორმებითაა გამოხატული (იგულისხმება, რომ სემები ანალოგიურია, მაგრამ ცვლილებები გამოვლენილია მორფოლოგიურ დონეზე). 3. სიტუაციური ვარიანტულობა.* ამ შემთხვევაში ერთი და იგივე სიტუაცია აღწერილია განსხვავებული გრამატიკული ფორმებით და ასევე ამ ფორმებში აქტივიზებული სემებითაც.

ამდენად, ავტორთა სქემაში ფორმალური ეკვივალენტურობა გულისხმობს იდენტური სემებისა და ასევე ტოლფასოვანი სინტაქსური მატრიცების აქტივიზაციას შეპირისპირებულ ტექსტებში და ცვლილება ჩანს მარტოოდენ დაპირისპირებულ ენათა მორფოლოგიურ თავისებურებებში (არტიკლი, ბრუნვის კატეგორია და სხვ.). თუ პირველ კატეგორიაში მოქმედებს სუბსტიტუციის

* ვფიქრობთ, რომ ტერმინი „სიტუაციური ეკვივალენტურობა“ გარკვეულ უხერხულობას ქმნის იმის გამო, რომ განსხვავებული ინტერპრეტაციის შესაძლებლობას შეიცავს. იგი შეიძლება გაგებულ იქნეს როგორც კომუნიკაციის აქტის განხორციელების სიტუაცია. ასეთი მნიშვნელობით გვხვდება ეს ტერმინი კომუნიკაციის თეორიაში (პირველადი კომუნიკაციური სიტუაცია, მეორადი სიტუაცია) და თარგმნის პროცესის მოდელირების სქემებშიც. ამდენად, უპირატესობას ვანიჭებთ ტრადიციულ ტერმინს „დენოტაციური ეკვივალენტურობა“ ან ა. დ. შვეიცერიის მიერ გამოყენებულ ტერმინს „სემანტიკური ეკვივალენტურობა რეფერენციალურ დონეზე“.

სქემა, ორ დანარჩენ შემთხვევაში ეკვივალენტურობა დამყარებულია არა სინტაქსური სტრუქტურის ან ლექსიკური კომპონენტების, არამედ აზრობრივ, ანუ რეფერენციალურ დონეზე.

ვ. გ. გაკისა და ი. ი. ლეინის სქემაში ასახვას არ ჰპოვებს სემიოზისის მესამე განზომილების – პრაგმატიკის დონე. სწორედ ამ დონეს მიიჩნევს უპირატესად ა. დ. შვეიცერი, რომელიც თვლის, რომ თარგმანის ეკვივალენტურობის ძიებისას საკმარისი არ არის შვეიზლდოთ სტრუქტურული და სემანტიკური დონის ეკვივალენტურობით, აუცილებელია სემიოზისის სამივე განზომილება იქნეს მიღებული მხედველობაში. პრაგმატიკის დონე, მისი აზრით, უმთავრესი დეტერმინანტია იმ ტრანსფორმაციებისა, რომლებსაც განიცდის ორიგინალის ფორმა და შინაარსი მაღალხარისხოვან, ადეკვატურ თარგმანში. ამის საბუთად ავტორს მოჰყავს ძალზე მარჯვედ შერჩეული პრაგმატულ ტრანსფორმაციათა სამი ტიპური მაგალითი:

“Остается две недели до шоппинга. “Шоппинг” – значит ходить по магазинам, прицениваться, делать покупки. До сих пор политический шоппинг был удачнее для республиканцев“.

“The shopping season will last two weeks.
As to political shopping, so far it has favoured the Republicans“.

“Ничего, до свадьбы заживет“.
“As the Russian saying goes it will heal in time for a wedding“.

“Many happy returns of the day!
“С днем рождения Вас“! (33-86).

როგორც ვხედავთ, პირველი მაგალითის თარგმნით ვარიანტში გამოტოვებულია ინგლისურენოვანი მკითხველისათვის სრულიად ზედმეტი კომენტარი მისივე სოციალური სინამდვილიდან აღებული რეალიის – “Шоппинг”-ის თაობაზე; მეორე მაგალითში, პირიქით – დამატებული სემანტი ინგლისელი მკითხველისათვის აუცილებელი განმარტებაა, რათა მან შეიცნოს გამონათქვამის სახეობრიობა

(ანდაზის ეფექტი) და არ გაიგოს იგი პირდაპირი მნიშვნელობით. მესამე მაგალითში კი — წყარო ენისათვის სტანდარტიზებული გამონათქვამი მთლიანად ჩანაცვლებულია მიმღები ენის უზუსისათვის დამახასიათებელი ანალოგიური რიტუალური გამონათქვამით.

ამგვარად, სამივე თარგმნით ვარიანტში გამოვლენილი ცვლილებები განპირობებული იყო პრაგმატული ორიენტაციით თარგმანის ადრესატზე. სწორედ ამან შექმნა საჭიროება საწყის შეტყობინებათა იმგვარი მოდიფიკაციისა, რომელიც მათ შესძენდა სათანადო კომუნიკაციურ ღირებულებას მეორე ენის ტექსტობრივ მასალაში.

ტრანსფორმაციათა იმ სახეობებს, რომლებსაც წარმოქმნის საწყისი შეტყობინების ტექსტის (ორიგინალის) **ა რ ა კ ო ნ ვ ე ნ ც ი ო ნ ა ლ უ რ ი** ენობრივი ფორმებისა და გარეენობრივი ფაქტორებით შექმნილი **ე. წ. უ ნ ი კ ა ლ ი ზ მ ე ბ ი ს** ტრანსპოზიციის საჭიროება მეორად შეტყობინებაში, და რომლებიც განსაკუთრებით მოითხოვს პირველადი და მეორადი შეტყობინების ტექსტთა შორის პრაგმატული წონასწორობის დამყარებას, ეძღვნება ჩვენი გამოკვლევის სპეციალური განაკვეთი. ამჯერად კი შემოვიფარგლებით ეკვივალენტურობის ცნების ჩვენეული გაგებით, ხოლო ნაშრომის მომდევნო განაკვეთში განვიხილავთ ტრანსფორმაციათა იმ სახეობებს, რომლებსაც განაპირობებს შეპირისპირებულ ენათა სტრუქტურული სხვადასხვაობა და რომლებშიც აისახება **კ ო ნ ვ ე ნ ც ი ო ნ ა ლ უ რ ენობრივ** ფორმათა კანონზომიერი ენათშორისი შესაბამისობა.

თარგმანის კომუნიკაციურ — პრაგმატული ეკვივალენტურობა გვესმის როგორც ზოგადტრანსლაციური კატეგორია, ძირითადი ნორმატიული მოთხოვნა ყველა სახის თარგმანისადმი, განურჩევლად მისი ჟანრული სახეობისა (სამეცნიერო-ტექნიკური, ბელეტრისტული, პუბლიცისტური და სხვ.). თუ თარგმანს განვიხილავთ როგორც კომუნიკაციის სპეციფიკურ სახეობას — ენათშორისი კომუნიკაციის აქტს, მაშინ მისი ეკვივალენტურობის უპირველეს პირობად უნდა მივიჩნიოთ ორიგინალის ტექსტის ანუ საწყისი შეტყობინების კომუნიკაციური ინტენციის და კომუნიკაციური ეფექტის შენარჩუნება მეორადი კომუნიკაციის ტექსტში, რაც მოითხოვს შიდაენობრივ პრაგმატულ ურთიერთობათა ფუნქციურ გამეორებას მეორე ენის მასალაში და მეორადი ადრესატის ფაქტორის, მისი ენობრივი და გარეენობრივი (ცხოვრებისეული) გამოცდილების მკაცრ გათვალისწინებას.

ყოველგვარი განსჯა და კამათი თარგმანის შესაძლებლობასა თუ შეუძლებლობაზე, მის ეკვივალენტურობასა თუ ჰეტეროვალენტურობაზე, რაც ემბრიონალური ფორმით მაინც არსებობს თარგმანთან დაკავშირებულ ყოველგვარ მსჯელობაში, სხვა არაფერია თუ არა კამათი იმის თაობაზე, თუ რამდენად შესაძლებელია ერთი ენის ნიშნებით კოდიფიცირებული ტექსტის კომუნიკაციური ეფექტის შენარჩუნება მეორე ენის ნიშნებით კოდიფიცირებულ ტექსტში.

სასურველი კომუნიკაციური ეფექტი მეორადი კომუნიკაციის არხში, როგორცაც მივიჩნევთ თარგმანის ტექსტს, უმეტეს შემთხვევაში, და განსაკუთრებით სტრუქტურულად არაიზომორფულ ენებში, რომელთა უკან, ამავე დროს, დგას თვისებრივად განსხვავებული სოციალური და კულტურული რეალობა, ვერ შეიქმნება შეტყობინების ენობრივი კომპონენტების მექანიკური შენაცვლებით და მარტოოდენ ენათშორისი შესაბამისობების ძიებით სტრუქტურულ-სემანტიკურ დონეებზე. სათანადო კომუნიკაციური ეფექტი იქმნება უმეტესად ისეთი სტრუქტურულ-ფორმალური და ლექსიკური კომპონენტების ტრანსფორმაციებით, რომლებიც თარგმანის ტექსტს მიანიჭებს საწყისი შეტყობინების ანალოგიურ კომუნიკაციურ ეფექტს მეორადი შეტყობინების მიმღები ენობრივი კოლექტივისათვის.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, *თარგმანი, კომუნიკაციური ლინგვისტიკის ცნებათა გათვალისწინებით, გვესმის როგორც განსხვავებულ ენებზე მოლაპარაკე და განსხვავებული სოციალურ-კულტურული გამოცდილების მქონე ადამიანთა შორის ვერბალური კომუნიკაციის დამყარების საშუალება. ხოლო თარგმანის ეკვივალენტურობას ვხედავთ პირველადი შეტყობინების კომუნიკაციური ეფექტის ანალოგიურობაში მეორადი კომუნიკაციისას, თუნდაც ეს ანალოგიურობა დამყარებული იქნეს პირველადი და მეორადი შეტყობინების ტექსტთა სტრუქტურულ-ფორმალური და სემანტიკური კომპონენტების განსხვავებულ ენობრივ გამოვლინებებში (ვეულისხმობთ, რომ საწყისი ტექსტის ინტერტექსტუალურ სემენტებთან შედარებით, თარგმანის შესაბამის სემენტებში სინტაქსური მატრიცაც შეიძლება შეიცვალოს, ლექსიკურ-სემანტიკური კომპონენტებიც, მაგრამ კომუნიკაციური ეფექტი მაინც იყოს ტოლფასოვანი. ასეთ ეკვივალენტურობას პირობითად ვუწოდებთ კომუნიკაციურ-პრაგმატულ ანუ ფუნქციონალურ ეკვივალენტურობას.*

თუკი ეკვივალენტურობას დაეუკვირდებით სემიოზისის სამივე განზომილების გათვალისწინებით, აშკარად დავინახავთ, რომ ეკვივალენტურობა სამივე დონეზე მხოლოდ იდეაშია შესაძლებელი და არა თარგმანის რეალურ პრაქტიკაში. ისიც აშკარაა, რომ ეკვივალენტურობის მიღწევა სინტაქსური მატრიცის შეუცვლელად ინგლისური და ქართული ენების შეპირისპირებულ წყვილში, როცა მოქმედებს ამ ენათა სტრუქტურული არაერთგვაროვნებით განპირობებული გამონათქვამის სინტაქსური გაწყობის რადიკალურად განსხვავებული ნორმები, თითქმის მიუღწეველია. სინტაქსური მატრიცის უცვლელობა შეიძლება დადასტურდეს მარტოოდენ მცირე ზომის ინტერტექსტუალურ სეგმენტებში, თითო-ოროლა მარტივ გაუერცობელ წინადადებაში ან სინტაგმაში და ისიც მეტწილად უხარისხო თარგმანში, რომელშიც იგრძნობა ორიგინალის ენობრივ ფორმათა ჭარბი ინტერფერენცია.

აღნიშნული მდგომარეობის მიზეზი საძიებელია ინგლისური ენის სუსტად განვითარებულ ბრუნვით სისტემაში და სიტყვათა შორის მიმართებების დამყარების სინტაქსურ ფორმათა დომინანტურობაში მორფოლოგიურ ფორმებთან შედარებით. ეს უკანასკნელი, რა თქმა უნდა, თავის მხრივ, განაპირობებს წინადადების წვერთა დისპოზიციის მკაცრ ნორმებს ინგლისურ წინადადებაში. სწორედ ამას გულისხმობს ლ. ა. ჩერნიახოვსკაია, როცა წერს, რომ „გამონათქვამის კომუნიკაციური სტრუქტურა ინგლისურ ენაში კომპონენტთა ლინეარულ განლაგებაზე უფრო მეტადაა დამოკიდებული, ვიდრე ბრუნვითი მიმართებების მორფოლოგიურ მარკერებზე“ (99-24).

გამონათქვამის სტრუქტურაზე თავის მხრივ მოქმედებს ასევე ზმნასთან დაკავშირებული დროთა სისტემის, ქცევის, გვარის, კონტაქტის კატეგორიათა სინთეზური და ანალიზური ფორმების ოპოზიცია ინგლისურსა და ქართულში. გამონათქვამის სტრუქტურული სახეცვლის ერთ-ერთი მიზეზი მდგომარეობს ასევე ინგლისურისათვის დამახასიათებელ აზრის კონდენსაციის ზოგიერთ სპეციფიკურ საშუალებაში (უპირო ფორმიანი საქცევები და კონსტრუქციები) და ფრაზათა ლექსიკალიზაციის ძლიერ ტენდენციაში (ფრაზის ვერბალიზაცია, ატრიბუტიზაცია და სხვ.), რაც განაპირობებს მარტივ წინადადებათა განუზომელ სიჭარბეს ინგლისურ ტექსტში ქართულთან შედარებით. ფორმალურ-სტრუქტურულ განსხვავებათა ეს მცირე ჩამონათვალი, რომელიც შეიძლებოდა კიდევ გაგვეგრძელებინა, იმის მაჩვენებელია, რომ ენობ-

რივ ფორმათა ასეთი ოპოზიციის პირობებში ეკვივალენტურობის ძიება სინტაგმატურ დონეზე ან გამონათქვამის მთელი სტრუქტურის ფორმალურ ელემენტებში უნაყოფო ცდა იქნებოდა.

რაც შეეხება ეკვივალენტურობას სემანტიკის დონეზე, აქ შეიძლება გამოიმიჯნოს ერთმანეთისაგან ორი განსხვავებული სახეობა: 1. ეკვივალენტურობა გამონათქვამის ლექსიკურ-ფრაზეოლოგიურ კომპონენტთა დონეზე და 2. ეკვივალენტურობა რეფერენციალურ დონეზე. პირველ შემთხვევაში, ფორმალურ-სტრუქტურული არაერთგვაროვნების ფონზე ეკვივალენტურობა მყარდება ტოლფასი სემების აქტივიზაციით, ხოლო მეორე შემთხვევაში, როცა არც სტრუქტურული ერთგვაროვნება აღინიშნება და არც სემანტიკური კომპონენტები შეიცავს იდენტურ სემებს, თარგმანში მაინც შენარჩუნებულია აზრობრივი ინვარიანტი განსხვავებული სემების აქტივიზაციით.

რამდენიმე მაგალითის საფუძველზე განვიხილოთ, თუ რას ვგულისხმობთ ამ ორ განსხვავებულ სახეობაში.

კომპონენტური დონის სემანტიკური ეკვივალენტურობა დასტურდება, მაგალითად, ქვემოთ წარმოდგენილ ფრაზეოლოგიზმებში, რომლებშიც აქტივიზებულია მეტ-ნაკლებად ტოლფასი სემები:

a new broom sweeps clean – ახალი ცოცხი კარგად გვის.

to add oil to the fire – ცეცხლზე ნავთის დასხმა.

to play with the fire – ცეცხლთან თამაში.

to sit on the thorns – ელებზე ჯდობა.

to soil one's hand – ხელის გასერა და მრავალი სხვა.

ფრაზეოლოგიზმები, საზოგადოდ, ე. წ. „უთარგმნელ ელემენტთა“ კატეგორიას განეკუთვნებიან, მაგრამ ზოგიერთ ფრაზეოლოგიურ შესიტყვებას ან გამონათქვამს შეიძლება აღმოაჩინდეს აზრობრივადაც და შინაგანი ფორმითაც ტოლფასი ფრაზეოლოგიური ეკვივალენტი, რომელთაგან ზოგი საკუთრივ თარგმნითი ვარიანტია, მაგრამ უკვე დაფიქსირებული ენის ფრაზეოლოგიურ ფონდში და ფართოდ გავრცელებული ხმარებაში.

კომპონენტური დონის ეკვივალენტურობას უმეტესად ამჟღავნებს ე. წ. „ინტერნაციონალური ფრაზეოლოგიზმები“, რომლებიც თარგმანში არ საჭიროებს ტრანსფორმაციას სემანტიკური კომპონენტების დონეზე. ასეთ კატეგორიას განეკუთვნება მეტწილად ადვილად შესაცნობი „ბიბლეიზმები“ ან მითოლოგიური წყაროე-

ბიდან მრავალი ენის ფრაზეოლოგიურ ფონდში დამკვიდრებული ფრაზეოლოგიზმები, ან ისეთი, რომელიც სხვადასხვა ენაში შევიდა პოპულარული ფოლკლორული წყაროებიდან. ასეთია, მაგალითად, ბიბლიური პროტოტიპის მქონე ფრაზეოლოგიზმები:

daily bread – хлеб наш насущный – პური ჩვენი არსობისა.

thirty pieces of silver – тридцать серебряников – ოცდაათი ევრცხლი.

to throw a stone – бросить камень – ქვის სროლა.

to wash one's hands – умыть руки – ხელის დაბანა და სხვა.

ა. ვ. კუნინის კლასიფიკაციაში ცალკე ჯგუფადაა გამოყოფილი ისეთი ბიბლიური ან მითოლოგიური ფრაზეოლოგიზმები, რომლებსაც უშუალო პროტოტიპი არ მოეძებნება აღნიშნულ წყაროებში, მაგრამ ამ წყაროთა სიუჟეტური ხდომილებების საფუძველზეა წარმოქმნილი (100-59). ასეთ ჯგუფს განეკუთვნება, მაგალითად, ფრაზები:

ურწმუნო თომა – Doubtful Thomas – Фома неверный.

აკრძალული ხილი – forbidden fruit – запретный плод.

აქილევსის ქუსლი – a heel of Achilles – Ахилова пята.

პროკრუსტეს სარეცელი – Procrustean bed – Прокрустово ложе.

განხეთილების ვაშლი – the apple of discord – яблоко раздора. და მრავალი სხვა.

კომპონენტური ღონის სემანტიკური ეკვივალენტურობის შემთხვევაში იშვიათია, რომ ეკვივალენტური ფრაზა ან მთელი გამონათქვამის სტრუქტურა ყველა ფორმალურ-სტრუქტურული პარამეტრით დაემთხვეს ორიგინალის შესაბამის სემენტს. მასში შეუძლებელია არ აისახოს შეპირისპირებულ ენათა სისტემებისმიერი სპეციფიკა, მაგრამ, როგორც ითქვა, ეს არ ქმნის არსებით დაბრკოლებას სემანტიკური ტოლფასოვნების მიღწევისათვის თარგმნით ვარიანტიში. ასე მაგალითად:

“Young Jolyon frowned ... To shut up a lion or tiger in confinement was surely a horrible barbarity. But no cultivated person would admit this” (1-173).

„ახლაგაზრდა ჯოლიონმა წარბები შეჰყარა... ლომისა და ვეფხვის გალიაში გამომწყვდევა საშინელი ველურობაა, მაგრამ არც ერთ კულტურულ ადამიანს არ სურს ამის გაგება“ (15-162).

თარგმანში აისახა შემდეგი ფორმალურ-გრამატიკული ცვილებები: ა) ქართულ ვარიანტში ვხედავთ ორმაგ უარყოფას, რაც ინგლისური წინადადებისათვის არანორმატულია. ბ) თარგმანში ზმნა-შემასმენლის ახლანდელი დროის ფორმაა ნახმარი, მაშინ როცა ინგლისურ ტექსტში ზმნა წარსულის ფორმაშია.

საქმე ის არის, რომ მოყვანილი მაგალითი „განცდილი მეტყველების“ სტრუქტურაში განფენილი შინაგანი მონოლოგის ნაწყვეტია (ამაზე მიგვიითობს სამეტყველო პლანთა ცვლის გამაფრთხილებელი სიგნალი – „ჯოლიონმა წარბები შეჰყარა“). ამდენად ინგლისურ ტექსტში პერსონაჟის სამეტყველო პლანში ზმნის დროის ფორმის გადანაცვლება ნამყოში „არასაკუთრივ-პირდაპირი მეტყველების“ სტრუქტურის ერთ-ერთი კატეგორიულ ნიშანია, რომელიც ქართულში „განცდილი მეტყველების“ სავალდებულო სტრუქტურულ ნორმას არ წარმოადგენს. გ) მოდალობა, რომელიც ინგლისურ ტექსტში მოდალური ზმნითაა გამოხატული, ქართულ თარგმანში დონეთშორის ტრანსფორმაციაში აისახა – გამოიხატა ლექსიკური საშუალებით – („არ სურთ“).

სემანტიკური ეკვივალენტურობის მეორე სახეობა – ეკვივალენტურობა რეფერენციალურ დონეზე, როგორც ითქვა, თავს იჩენს მაშინ, როცა აზრობრივი ინვარიანტი შენარჩუნებულია ორიგინალის ლექსიკური კომპონენტებისაგან განსხვავებული სემების კომბინაციებით.

“Hilton was professor of physics in the high school. He was possessor of a large family, a meagre salary and a select fund of parrot-learned knowledge” (2-107).

„ჰილტონი ფიზიკას ასწავლიდა მაღალ კლასებში. ჰყავდა მრავალრიცხოვანი ცოლ-შვილი, ჰქონდა მცირე ჯამაგირი და თუთიყუშით გაზეპირებული ცოდნის დიდი მარაგი“ (16-84).

როგორც ვხედავთ, ამ შემთხვევაში, გრამატიკული ტრანსფორმაციის გარდა, რაც გამოიხატა „ქონა“ და „ყოლა“ ქართული ზმნების ოპოზიციაში, ნიშანდობლივია ასევე შესიტყვებების: “pro-

fessor of physics”, ” high school”, “large family” სემანტიკური კონკრეტიზაციის მოვლენა („ასწავლიდა“, „მაღალ კლასებში“, „მრავალრიცხოვანი ცოლ-შვილი“).

სემანტიკური ეკვივალენტურობის რეფერენციალურ დონეს განეკუთვნება ასევე ქვემოთ მოყვანილი ფრაზეოლოგიზმები და მათი ფრაზეოლოგიური ანალოგები თარგმანის ენაში:

“The school building was near, next to the church,
just a stone’s throw” (12-57).

„სკოლის შენობა ორ ნაბიჯზე იყო, ეკლესიის გვერდით“ (26-64).

“I thought the game wasn’t worth the candle” (3-37).

„ჩიტი ბღღუნად არ ღირს-მეთქი, გავიფიქრე“ (17-47).

ეკვივალენტურობა რეფერენციალურ დონეზე საერთოდ უფრო მეტად დამახასიათებელია მხატვრული თარგმანისათვის, რომელიც ორიგინალის აზრის ინტეპრეტაციის ძალზე ფართო შესაძლებლობებს იძლევა და რომელშიც ხშირად, არც თუ მოცულობით ტექსტუალურ მონაკვეთში, სემანტიკური ტრანსფორმაციების გზით სრულიად შეცვლილია გამონათქვამის სემანტიკური სტრუქტურა, მაგრამ სწორედ ამ გზითაა შენარჩუნებული აზრობრივი ინვარიანტი.

“There had been a morning fête at the Botanical Gardens, and a large number of Forsy – that is, of well-dressed people who kept carriages – had brought them on to the Zoo, so as to have more if possible, for their money, before going back to Rutland Gate and Bryanstone Square” (1-172).

„იმ დღით ბოტანიკურ ბაღში დიდი სეირნობა იყო გამოცხადებული და ფორსაიტთა დიდი ჯარი, ერთი სიტყვით, კარგად ჩაცმულ-დახურული ხალხი, ვისაც საკუთარი კარეტები ჰყავდა, ყველანი ზოოპარკში მოსულიყვნენ, რათა ენახათ ყველაფერი, რისი ნახვაც კი საკუთარი ფულით შეიძლებოდა, ვიდრე უკან რეტლანდ გეიტში ან ბრაინსტონ სკვერში მიბრუნდებოდნენ“ (15-161).

დაუკვირდეთ ტრანსფორმაციათ ხასიათს და მათ გამომწვევ ფაქტორებს:

ა) ფრანგული სიტყვა "fête" ჩანაცვლებულია მისი ქართული ეკვივალენტური შესიტყვებით – „დიდი სეირნობა“, თუმცა, ჩვენი აზრით, უცხოური სიტყვის გადმოქართულება, ამ შემთხვევაშიც და სხვა დროსაც, სტილისტურად გაუმართლებელი ტრანსფორმაციაა, რადგან გამონათქვამს უცვლის ტონალობას.

ბ) მეტონიმური პარაფრაზითა თარგმნილი "a large number of Forsy" – „ფორსაიტთა ჯარი“, რომელშიც საკუთარი სახელი საზოგადო სახელადაა გადაქცეული.

გ) ფართო სემანტიკური ექსტენციონალის მქონე სიტყვა "dressed" დაკონკრეტებულია ქართული ვარიანტის რთულ სიტყვაში – „ჩაცმულ-დახურული“.

დ) არადიფერენცირებული მნიშვნელობის ზმნა "to have" დაკონკრეტებულია მნიშვნელობაში „ენახათ“.

რაც შეეხება თარგმანის ეკვივალენტურობის პრაგმატულ განზომილებას, იგი დაშრევეებულია და განფენილი მთელი ტექსტის სტრუქტურაში და მიზანმიმართულია დაამყაროს პირველადი და მეორადი შეტყობინების კომუნიკაციური ეფექტის ტოლფასოვნება. ეს იმას ნიშნავს, რომ პრაგმატიკა თარგმანში ის წარმმართველი ძალაა, რომელიც დაშრევეებული ტექსტის ეკვივალენტურობის განსხვავებულ დონეებზე, იმპლიციტური თუ ექსპლიციტური სახით, არეგულირებს ყოველგვარ ტრანსფორმაციას და გამონათქვამის ფუნქციური მოდიფიკაციის პროცესებს. პრაგმატულ დონეზე ხდება ყველა იმ ლინგვისტური თუ ექსტრალინგვისტური წინააღმდეგობის ნეიტრალიზაცია, რომლებიც შეუძლებელია არ წარმოიქმნას ენათშორისი და კულტურათშორისი კომუნიკაციის პირობებში. თარგმანის ტექსტის შეპირისპირებისას ორიგინალთან, აშკარა ხდება, რომ მას აქვს თავისი ავტონომიური გრამატიკაც და სემანტიკაც, მაგრამ თუ იგი ისე იკითხება, როგორც ორიგინალი და არ გაგრძნობინებს ორიგინალის ენის არსებობას, ცხადია, რომ მასში კარგადაა გადმოტანილი ორიგინალის პრაგმატიკა, მისი კომუნიკაციური ფუნქცია.

პრაგმატულ განზომილებათა მოქმედება თარგმანის ტექსტის კონსტრუირების მექანიზმზე, კერძოდ, კონვენციონალურ ენობრივ ფორმათა კორელაციის პროცესის რეგულირებისას, შეიძლება ითქვას, რომ „ფარულია“ და იმპლიციტური და მარტოლოდენ მაში-

ნაა თვალშისაცემი, როცა მიზანმიმართულია ისეთი ენობრივი უნიკალიზმის ან გარეენობრივი რეალიის ენობრივი ექსპლიკატის ტრანსპოზიციაზე თარგმანის ტექსტში, რომელიც განსაკუთრებულ წინააღმდეგობას წარმოქმნის ტექსტის ინფორმატიულობის, მისი სიგნიფიკატური მნიშვნელობის შენარჩუნებისა ან მისი კომუნიკაციური ეფექტის ანალოგიზაციისათვის. ვნახოთ ამისი მაგალითიც:

“There was nothing out of the ordinary about the play. It had run for three years during the war. I’d missed it being in Stalag 1000 at the time it was produced... I enjoyed it for the same reason, that people enjoy Mrs. Dale’s Diary” (3-47).

„არც პიესა წარმოადგენდა რაიმე განსაკუთრებულს. ომის დროს სამი წელიწადი ზედიზედ იდგმებოდა იგი სცენაზე და თუ აქამდე არ მენახა, მხოლოდ იმიტომ, რომ ტყვეთა ბანაკში იმყოფებოდი. მიუხედავად ამისა, მაინც კმაყოფილი დავრჩი წარმოდგენით, ალბათ იმავე მიზეზით, რა მიზეზითაც კმაყოფილი არიან ხოლმე რადიომსმენელები ბი-ბი-სის „მისის დელის“ „დღიურის“ გადაცემებში“ (17-57).

განსხვავებული შრიფტით გამოყოფილი შიდატექსტობრივი კომენტარები რომ არა, რომლებიც კომუნიკაციურ-პრაგმატულ წონასწორობას ამყარებენ ტექსტში, ქართველი მკითხველისათვის უთუოდ სრულიად გაუგებარი იქნებოდა ისეთი რეალიები, როგორცაა “Stalag 1000” და “Mrs. Dale’s Diary”.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ პრაგმატული დონე იკავებს უმაღლეს პოზიციას თარგმანის ეკვივალენტურობის დონეთა იერარქიაში, რომელშიც იკვეთება შემდეგი კანონზომიერება: კომპონენტური ეკვივალენტურობა, როგორც სემანტიკური ეკვივალენტურობის ერთ-ერთი სახეობა, შეიძლება მიღწეულ იქნეს სტრუქტურული ეკვივალენტურობის გარეშე; რეფერენციალური ეკვივალენტურობა, როგორც სემანტიკური ეკვივალენტურობის მეორე სახეობა, შეიძლება დამყარდეს როგორც კომპონენტური, ასევე სტრუქტურული ეკვივალენტურობის გარეშეც; ხოლო პრაგ-

მატული ეკვივალენტურობა მიღწევადია როგორც სემანტიკური, ასევე სტრუქტურული ეკვივალენტურობის გარეშე.

პრაგმატული ეკვივალენტურობა თარგმანში ხშირ შემთხვევაში მოითხოვს თარგმნით ტრანსფორმაციებს არა მარტო მიკრო კონტექსტის – გამონათქვამის ჩარჩოებში, არამედ მთელი ტექსტის სტრუქტურის მასშტაბითაც. პრაგმატული ასპექტი თარგმნითი ტრანსფორმაციის ნებისმიერ სახეობაში მოქმედებს. იგი არეგულირებს იმ სახის ტრანსფორმაციებს, რომლებიც დაკავშირებულია ენათა სტრუქტურული სპეციფიკით წარმოქმნილ წინააღმდეგობებთან, მაგრამ რაც მთავარია, იგი არეგულირებს ტრანსფორმაციას იმ შემთხვევებსაც, რომლებიც დაკავშირებულია ორიგინალის ენის ისეთ არაკონვენციონალურ ფორმათა ტრანსპოზიციასთან თარგმანში, რომლებსაც არ მოეძებნებათ დენოტაციური და კონოტაციური მნიშვნელობით ანალოგიური ფორმები თარგმანის ენაში. ამ შემთხვევაში პრაგმატული ასპექტის მოქმედება უფრო ექსპლიციტურია.

შეპირისპირებულ ენათა სისტემური
საკვიფოკით დეტერმინირებული თარგმნითი
ტრანსფორმაციები

ტრანსფორმაციის ცნება უკვე კარგა ხანია თარგმანის ანალიზის კონცეპტუალურ აპარატსაც განეკუთვნება. ტერმინი „ტრანსფორმაცია“ იმ მნიშვნელობით, რომლითაც იგი გამოიყენება თარგმანის ლინგვისტურ თეორიაში, საკმაოდ პირობითია, რამდენადაც მასში იგულისხმება არა შიდაენობრივი პროცესი (დაუშვათ, ბირთვულ სტრუქტურათა გარდაქმნის მეთოდი მეორად სტრუქტურებად, ან პირიქით – მეორად სტრუქტურათა ბირთვულზე დაყვანის პროცედურა), ანუ არა ის მნიშვნელობა, რომლითაც ეს ტერმინი ტრადიციულად გამოიყენება ლინგვისტიკაში, არამედ ერთი ენის ფორმათა ფუნქციური შენაცვლება მეორე ენის ფორმებით ლ. ს. ბარხუდაროვი, რომელმაც დიდი წვლილი შეიტანა ტრანსფორმაციათა ტიპოლოგიის დამუშავებაში (მისი ტიპოლოგიის მიხედვით, ტრანსფორმაციები ოთხ ძირითად სახეობაშია დაჯგუფებული: ჩანაცვლება, გადაადგილება, გამოტოვება, დამატება), ტრანსფორმაციებში გულისხმობს იმ მრავალრიცხოვან და თვისებრივად განსხვავებულ ენათშორის ოპერაციებს, რომელთა საშუალებით მიიღწევა თარგმანის ეკვივალენტურობა, მიუხედავად თარგმანის ენის ფორმალური და სემანტიკური სისტემების განსხვავებისა ორიგინალის ენის შესაბამისი სისტემებისგან (25-109).

თარგმნითი ტრანსფორმაცია თარგმანის პროცესის არსებითი და გარდუვალი ოპერაციაა. მისი ზოგიერთი სახეობა მიზანმიმართულია იმ წინააღმდეგობათა ნეიტრალიზაციაზე, რომლებიც, როგორც ზემოთ ითქვა, კონტაქტში მყოფ ენათა ფორმალურ-სტრუქტურული და სემანტიკური არაერთგვაროვნების საფუძველზე წარმოიქმნება. მათ საჭიროებას იწვევს ზოგიერთი ენობრივი ლაკონი, რომელიც შეიძლება აღმოაჩნდეს თარგმანის ენას ორიგინალის ენასთან კონტაქტისას. ასეთი თარგმნითი ოპერაცია, ბუნებრივია, რომ ექვემდებარებოდეს ლინგვისტურ აღწერას, რის საფუძველზეც ვლადიმერ პოპოვიმ გრამატიკულ ანუ ფორმალურ-სტრუქტურულ ტრანსფორმაციებზე და ლექსიკურ-სემანტიკურ ტრანსფორმაციებზე გრამატიკულ ტრანსფორმაციებში გამოვარჩევთ ისეთ ტიპებს, რომლებიც ენის ერთი და იმავე დონეზეა განხორციელებული.

ბული და ისეთს, რომლებიც განსხვავებულ დონეებზეა რეალიზებული. ამ უკანასკნელს მივაკუთვნებთ დონეთშორისი ტრანსფორმაციების კატეგორიას. პირველ სახეობაში, მაგალითად, ერთი მორფოლოგიური ფორმა შენაცვლებულია თარგმანის ენის განსხვავებული მორფოლოგიური ფორმით, ან ერთი სინტაქსური საშუალება შენაცვლებულია მეორეთი, ხოლო დონეთშორისი ტრანსფორმაციის შემთხვევაში მორფოლოგიური ფორმა შესაძლოა შენაცვლებული იყოს სინტაქსურით, ან სინტაქსური ფორმები გადავიდეს ლექსიკურ ან ფრაზოლოგიურ ტრანსფორმებში.

რაც შეეხება ტრანსფორმაციებს ლექსიკურ კომპონენტთა დონეზე, მათი მიზეზები, როგორც ეს ნაჩვენებია იქნება ქვემოთ, საძიებელია თარგმანის ენის ლექსიკურ ლაკუნებში, რომელთა არსებობა სხვადასხვა ენობრივ კოლექტივთა მიერ გარეენობრივი სინამდვილის ინტერპრეტაციის განსხვავებული ხასიათითაა პირობადებული. ეს განსაკუთრებით თვალსაჩინოა საგანთა და მოვლენათა (რეფერენტთა) სახელდების ტენდენციებში (ვგულისხმობთ, რა თქმა უნდა, წარმოებულ, მოტივირებული შინაგანი ფორმის ერთეულებს).

ტრანსფორმაციის საჭიროება, ხშირ შემთხვევაში, წარმოიქმნება ასევე ენათა სემანტიკური ველების განსხვავებულობის ნიადაგზე, სიტყვათა ლექსიკური ან სინტაქსური ვალენტობის არაერთგვაროვნების გამო და, მით უფრო, შეპირისპირებული ენების სახეობრივი მეტყველების განსხვავებულ სისტემათა საფუძველზე, რაშიც, საზოგადოდ, ყველაზე მეტადაა გამოვლენილი ეთნოკულტურული სპეციფიკა და ამდენად, — ეროვნული კოლორიტიც. ამიტომაც, რომ სახეობრივი მეტყველების (ანდაზა, აფორიზმი, ფრაზოლოგიზმი) ტრანსფორმაცია თარგმანში განსაკუთრებულ ზომიერებას მოითხოვს, რამდენადაც სწორედ ამ შემთხვევაში იქმნება, ყველაზე მეტად რომელიმე ერთის — ან ორიგინალის, ან თარგმანის ეროვნული კოლორიტის გადაჭარბების საფრთხე.

თარგმანის ტექსტის მოდიფიკაციის ერთ-ერთი მიზეზი შეიძლება ორიგინალის სოციალურ-ლინგვისტური მახასიათებლების ანალოგიზაციის საჭიროებაში მდგომარეობდეს, ანუ ენის სტრატეფიკაციული და სიტუაციური ვარიანტულობის ეფექტის შენარჩუნების აუცილებლობაში. სხვა შემთხვევაში ეს შეიძლება იყოს ორიგინალის ესთეტიკურ-ემოციური და სტილისტური ეფექტის ანალოგიზაციის საჭიროება და სხვ. ამ შემთხვევების გარდა, თარგ-

მანის პრაგმატიკისათვის განსაკუთრებით რელევანტურია თარგმანის ტექსტის მოდიფიკაციის ისეთი სახეობანი, რომლებიც დაკავშირებულია ორიგინალის სოციალური ფონის რეალიათა და ეთნოკულტურული სპეციფიკის ენობრივ ექსპლიკატთა ტრანსპოზიციასთან მეორე ენობრივ და კულტურულ სამყაროში, რაც, თავის მხრივ, მოითხოვს თარგმანის პოტენციური ადრესატის ფაქტორის, მისი ზოგადი თეზაურუსის მკაცრ გათვალისწინებას ენობრივ ფორმათა შერჩევისას. ასეთ სახეცვლილებებს ტექსტში ვიხილავთ როგორც პრაგმატულ-ფუნქციონალური ტრანსფორმაციის სახეობებს, რომლებიც მეტწილად მოითხოვენ უფრო ფართო მასშტაბის ცვლილებებს სუპერსემანტიურ დონეზე როგორც შინაარსის, ასევე გამოხატვის პლანში. ეს ცვლილებებია ტექსტის კომპრესია ან პირიქით, მისი გაფართოება ისეთი ახსნა-განმარტებითი ელემენტებით, როლებსაც არა აქვთ ფორმალური გამოხატულება ორიგინალის ტექსტში. ამ შემთხვევაში ვლაპარაკობთ ტექსტის ადაპტაციურ მოდიფიკაციაზე.

ჩვენს შემთხვევაში კონტაქტში მყოფი ენების – ინგლისურისა და ქართულის – სტრუქტურულ მსგავსება-განსხვავებათა შესწავლა არ შეადგენს ჩვენი დაკვირვების უშუალო მიზანს. მიგვაჩნია, რომ ეს უპირატესად შეპირისპირებითი ლინგვისტიკის პრეროგატივაა და თარგმანთან მიმართებაში ასეთი შეპირისპირება მეტწილად მაშინ იძენს მნიშვნელობას, როცა მიზნად გვაქვს დასახული გამოვავლინოთ ის, თუ რა ანალოგიურ ან კონტრასტულ საშუალებებს შეიცავს კონტაქტში მყოფი ენები ამა თუ იმ ხასიათის ექსპრესიულ-ემოციური კონოტაციისა და სტილისტური ნიუანსების გამოსახატავად.* რაც მეტწილად არ აკონცენცირდება ენობრივ ფორმებსა და ხშირად ისეთ ენობრივ უნიკალიზმებშია ხოლმე რეალიზებული, რომლებიც წარმოქმნიან პირველადი და მეორადი შეტყობინების ტექსტთა შორის პრაგმატული წონასწორობის დამყარების საჭიროებას. სწორედ ამ თვალსაზრისით ვუკვირდებით სხვადასხვა ენობრივ საშუალებებს წინამდებარე ნაშრომის იმ განაკვეთში, რომელშიც საუბარი გვექნება თარგმანის ტექსტის პრაგმატულ-ფუნქციონალური მოდიფი-

* სწორედ ამ თვალსაზრისით, გრამატიკულ კატეგორიათა კონვერგენციისა და დივერგენციის დადგენის საფუძველზე შეისწავლის დ. ფანჯიკიძე ქართული და გერმანული ენების მიმართებით ფუნქციონირებას და მათ ზოგადსტილისტურ იერსახეს (4). ამავე თვალსაზრისით გამოიძინა და უკვირდება ზოგიერთ ენობრივ ფორმას სამეზობლო მასალაზე მ. ნათაძე (101).

კაციის მიზეზებზე; ხოლო შეპირისპირებულ ენათა სტრუქტურულ-სემანტიკურ განსხვავებებს და მათთან დაკავშირებულ ტრანსფორმაციებს ჩვენი კვლევის მიზნებთან ვაკავშირებთ იმდენად, რამდენადაც თარგმანის პრაგმატიკა, მიუხედავად იმისა, რომ ძირითადად კონცენტრირებულია, როგორც ითქვა, იმ ენობრივ მოვლენებზე, რომლებიც განსაკუთრებულ ლინგვისტილისტურ პრობლემებს წარმოქმნის თარგმანში, იმავდროულად, ვერ დარჩება გულგრილი აზრის ენობრივი ხორცშესხმის იმ საშუალებების მიმართაც, რომლებიც თარგმანის ტექსტის კონსტრუირების პირველად, სისტემისმიერ ფორმებს განეკუთვნება. ორიენტაცია თარგმანის მიმღებ ენობრივ კოლექტივზე, რაც თარგმანის პრაგმატიკის არსს შეადგენს, პირველ ყოვლისა საჭიროებს თარგმანის ენის ისეთ ფორმათა აქტივიზაციას და რეგულირებას, რომელთა გზით თარგმანის ადრესატი ინფორმაციას მიიღებს მისთვის ჩვეულ, ბუნებრივ ფორმებში და არა უცხო ენიდან კალკირებულ ხელოვნურ გამოშახველობით საშუალებებში. „ენას, წერს მნათაძე, საზოგადოდ ყველაფრის გამოხატვა ძალუძს, იმისაც კი, რაც მისი აღქმისათვის უცხოა. ენის სპეციფიკას შეადგენს ის, თუ როგორ შეუძლია მას ამა თუ იმ შინაარსის გამოხატვა, ადვილად, ბუნებრივად, მისთვის სტრუქტურულად დამახასიათებელი გზით თუ აღწერისად და ხელოვნურად“ (101-23)

აქედან გამომდინარე, საჭიროდ ვცნობთ შევჩერდეთ ზოგიერთ კანონზომიერებაზე, რომელიც განაპირობებს ფორმალურ-გრამატიკულ და ლექსიკურ-სემანტიკურ ტრანსფორმაციათა საჭიროებას ინგლისური ტექსტის ქართულ ენაზე თარგმნისას. ტრანსფორმაციათა ეს სახეობანი, ვიმეორებთ, განეკუთვნება ენათშორისი ოპერაციების იმ კატეგორიას, რომელიც უშუალოდაა დაკავშირებული შეპირისპირებული ენების, როგორც ორიგინალისა და თარგმანის ტექსტთა კონსტრუირების ძირითადი, პირველადი სისტემების სტრუქტურულ-სემანტიკურ არაერთგვაროვნებასთან.

§1. ფორმალურ-სტრუქტურული ტრანსფორმაციები

ფორმალურ-სტრუქტურული ტრანსფორმაციაზე ვლაპარაკობთ იმ შემთხვევაში, როცა თარგმანში ცვლილებას განიცდის გამონათქვამის არა სემანტიკური კომპონენტები, არამედ მარტოოდენ ფორმალური. მთარგმნელის შედარებით თავისუფლებას სემანტიკურ კომპონენტთა შერჩევისას რადიკალურად უპირისპირდება გრამა-

ტიკულ მნიშვნელობათა იძულებითი, სავალდებულო ასახვა თარგმანის ტექსტში, რამდენადაც გრამატიკულ მნიშვნელობებთან თვითნებურ მიდგომას შეუძლებელია არ მოჰყვეს კომუნიკაციური სტრუქტურის დაშლა. შეუძლებელია, მაგალითად ინგლისურ გამონათქვამში გამოვიყენოთ რაიმე ზმნა ისეთნაირად, რომ არ ავსახოთ სათანადოდ მისი ისეთი კატეგორიალური ნიშნები, როგორცაა ასპექტი ან გვარი; შეუძლებელია რუსულ წინადადებაში ვიხმაროთ ზედსართავი და არ ავსახოთ მისი რიცხვის, სქესისა და ბრუნვის კატეგორიები, ანდა ქართულში, მაგალითად, არ ავსახოთ მეტყველების სახელად ნაწილებში ბრუნვის კატეგორიალური ნიშანი, ან ქართულ ზმნაში არ გამოვხატოთ ქცევის, პირის, რიცხვისა და გვარის ნიშნები და ა.შ. მაგრამ ამგვარ კატეგორიალურ ნიშანთა გადატანა ენიდან ენაში შეუძლებელიცაა და არც არავითარ საჭიროებას არ შეადგენს, რამდენადაც ყოველ კონკრეტულ ენაში კატეგორიალურ ნიშანთა და კატეგორიათა ურთიერთმართვის განსხვავებული სისტემები მოქმედებს. ხოლო ის გარემოება, რომ გრამატიკული მნიშვნელობები განსხვავებულ ენებში არ არის ტოლფასი და მთლიანად არ ფარავს ერთმანეთს განაპირობებს ისეთ ენათშორის ოპერაციებს, როგორცაა მოითხოვს გამონათქვამის კომუნიკაციური სტრუქტურა მიმღებ ენაში.

ტრანსფორმაციათა ამგვარი სახეობანი კანონზომიერ შესაბამისობათა სახით, როგორც წინასწარი განამზადი, დაფიქსირებულია მთარგმნელი ბილინგვას ენობრივ მეხსიერებაში, იგი ავტომატურად მოქმედებს და არ საჭიროებს განსაკუთრებულ დაძაბვასა და ენობრივ ძიებებს. მთარგმნელისათვის (თუკი, რა თქმა უნდა, იგი სრულყოფილად ფლობს დაპირისპირებულ ენებს) არავითარ სიძნელეს არ შეიცავს, მაგალითად, ქართული ბრუნვებით გამოხატულ მიმართებათა ასახვა ინგლისურ ტექსტში, არ უხდება ფიქრი იმაზე თუ როგორ გამოხატოს ქართულ ენაზე ინგლისური სპეციფიკური სტრუქტურები - there is, there are ან, ვთქვათ, ინგლისური დისკრეტული უპირო წინადადების - it is raining მნიშვნელობა. რომელი რიცხვის ფორმა მისცეს რიცხვითი სახელით განსაზღვრულ არსებით სახელს ინგლისური შესიტყვების - six boys თარმნისას და ა.შ. აქედან გამომდინარე, კატეგორიალური ნიშნები თარგმანისათვის არ არის კომუნიკაციურად რელევანტური. უფრო მეტ რელევანტურობას შეიცავს ისეთი გრამატიკული ფორმები, რომელთა ტრანსპოზიციისას თარგმანის ენაში ჩნდება უცხოენოვანი ფორმე-

ბის ინტერფერენციის საფრთხე და ისეთიც, რომელიც იწვევს თარგმანის ტექსტში გამონათქვამის კომუნიკაციური სტრუქტურის რადიკალურ მოდიფიკაციას.

მაგალითისათვის, ფორმალურ-სტრუქტურული ტრანსფორმაციების დიდი სიმრავლიდან შევაჩეროთ ყურადღება რამდენიმე ისეთ სახეობაზე, რომლებშიც დასტურდება სინტაქსური მატრიცის საგრძნობი ცვლილება თარგმანის შესაბამის სეგმენტში, ანდა გრამატიკული ლაკუნებით პირობადადებული დონეთშორისი ტრანსფორმაციების სახეობანი.

დაკვირვება გვიჩვენებს, რომ ისეთ გრამატიკულ ტრანსფორმაციათა შორის, რომლებშიც რადიკალურადაა შეცვლილი გამონათქვამის სინტაქსური კონსტრუქცია, ყველაზე მაღალი სიხშირით ქართულ თარგმანში გამოირჩევა წყარო ენის პასიურ ფორმათა აქტივიზაციის შემთხვევები. ქართულისათვის ვნებითი გვარის ფორმა, როგორც პირიანი ასევე უპირო ფორმებისათვის, ნაკლებ დამახასიათებელია და თუ მაინც გვხვდება, ეს არის ხოლმე მეტწილად მეშველზმნიანი ფორმები (განხილულ იქნა, დამტკიცებულ იქნა), რაც მეტწილად სამეცნიერო-ტექნიკური და საქმიანი დოკუმენტების ფუნქციონალური სახეობის ტექსტებისთვისაა დამახასიათებელი.

განსაკუთრებული სიხშირით გამოირჩევა ზმნის პირიან ფორმათა ტრანსფორმაცია ვნებითიდან მოქმედებით გვარში. ქვემოთ მოყვანილ მაგალითში სტრუქტურული ტრანსფორმაცია ქვეწყობის პრინციპით გაწყობილი სამივე წინადადების აქტივიზაციაში გამოიხატა:

“When some houses were built in Dufton, it wasn’t considered that baths might be needed by working class” (3-24).

„როცა დაფტონში სახლებს აშენებდნენ, არავის მოსვლია აზრად, რომ მუშა ხალხსაც შეიძლებოდა ესარგებლა აბაზანით“ (17-30).

ასეთი ტრანსფორმაცია შინაღონეობრივია.

ქვემოთ მოყვანილ ნაწყვეტში კი სტრუქტურის აქტივიზაცია შეეხო არა მარტო პირიან, არამედ ზმნის უპირო ფორმასაც:

“Mr. Pickwick’s hat was knocked over his eyes, nose, mouth by one poke of a Buff flag staff, very early in the proceedings... He represents

himself as being forced from the carriage by some unseen power, and being personally engaged in a pugilistic encounter; but with whom, or how, or why, he is wholly unable to state” (6-187).

„ალიაქოთის დასაწყისშივე მისტერ პიკვიკს „ვეითლების“ დროშის ტარით ქუდი ზედ ცხვირპირზე ჩამოაფხატეს... იგი მოგეითხრობს, რაღაც უხილავმა ძალამ როგორ ისროლა იგი ეტლიდან და როგორ ჩაება თვითონაც მუშტიკრეში. მაგრამ ვისთან, რატომ და რისთვის – ეს კი არ იცოდა“ (20-202).

წარმოდგენილი ნაწყვეტის თარგმანში, როგორც ვხედავთ, აქტივიზაციას განიცდის არა მარტო ზმნის პირიანი ფორმა, არამედ მიმღებობიანი ფრაზების ვნებითი გვარის ფორმებიც.

ანალოგიური ტრანსფორმაცია აღინიშნება ასევე ინფინიტივიანი საქცევების ტრანსპოზიციისას ქართულ თარგმანში:

“For a true Forsythe, sentiment, even the sentiment of social position, was a luxury only to be indulged in after his appetite for more material pleasure had been satisfied” (1-77).

„ნამდვილი ფორსაიტისთვის გადაჭარბებული მგრძნობელობა, თუნდაც ეს საზოგადოებრივ მდგომარეობასთან ყოფილიყო დაკავშირებული, ფუფუნება გახლდათ. ამაზე ფიქრიც კი ადამიანს მხოლოდ მაშინ შეუძლია, როცა უფრო მნიშვნელოვან სურვილებს დაიკმაყოფილებს“ (15-59).*

ამ შემთხვევაში მოქმედებითი გვარის ფორმაში ტრანსფორმირებულია ინფინიტივის პასიური ფორმით გამოხატული ატრიბუტივი (ტო ბე ინდულგედ ინ) და პირიანი ფორმაც (ჰის აპპეტიტიე ჰად ბენ სატისფიედ)

აქტივიზაცია შეიძლება განიცადოს გერუნდიანმა ფრაზამაც:

* თარგმანის ამ ვარიანტში, ეფიქრობთ, სიტყვა „ადამიანის“ ხმარებამ განუსაზღვრელი პირის ინდიკატორის ფუნქციით, საკმაოდ შეიცვალა გამონათქვამის აზრობრივი სტრუქტურა. საქმე ის არის, რომ ორიგინალში ლაპარაკია ფორსაიტთა ოჯახის ნებისმიერ წარმომადგენელზე და არა ზოგადად ადამიანზე, რამდენადაც სწორედ მათთვისაა დამახასიათებელი ის, რომ მატერიალურ ზრახვათა დაკმაყოფილებამდე, თავს უფლებას არ აძლევენ აყენონ რაიმე სხვა გრძნობებს.

“There is only one thing in the world worse than being talked about and that is not being talked about”

ოსკარ უაილდის ეს ცნობილი პარადოქსი შეიძლება ასე გვეთარგმნა:

„ერთადერთი რამაა ამ ქვეყნად იმაზე უარესი, როცა ყველა

შენზე ჭორაობს და ეს ისაა, როცა არავინ ჭორაობს შენზე“.

ყველაზე მაღალი კვანტიტატური მაჩვენებლების მქონე ერთეულები უპირო ფორმათა შორის არის: მიმღეობა, მიმღეობიანი ფრაზა და მიმღეობიანი კონსტრუქციები. იმისდა მიხედვით, თუ რა სინტაქსურ ფუნქციაშია წარმოჩენილი ეს ერთეულები, იცვლება ტრანსფორმაციის სახეობაც. ერთ შემთხვევაში მიმღეობიანი ფრაზა, მაგალითად, შეიძლება შენაცვლდეს თარგმანში მორფოლოგიური დონის განსხვავებული ფორმით, მეორე შემთხვევაში კი, კერძოდ, პირიან ფორმაში გადასვლისას, შეიძლება შენაცვლებული იყოს სინტაქსური დონის ტრანსფორმით.

“I’m sure I’ll miss him soon,” she said smiling sarcastically /12-37/

„დაწმუნებული ვარ, მალე მომენატრება“, თქვა მან ზიზღნარევი ღიმილით“ (26-45).

ტრანსფორმაცია ამჯერად განხორციელდა მორფოლოგიურ დონეზე, რადგან მიმღეობიანი ფრაზით გამოთქმული აზრი თარგმანში გამოიხატა სახელწმინდის სათანადო ბრუნვითი ფლექსიით. ანალოგიური შიდადონეობრივი ტრანსფორმაცია შეიძლება განიცადოს მიმღეობიანმა კონსტრუქციამაც, რომელიც წყარო ენის რთული დამატების ფუნქციაშია:

“The night was dark and wild. The clouds – black, black... ink black.

The wind tore the chimney pots from the roofs of the old houses and sent them whirling through the desolate streets” (5-73).

„ბნელი და შფოთიანი ღამე იყო. ღრუბლები შავი, შავი...

მელანივით შავი. მძაფრი ქარი დაძველებული სახლების

სახურავებიდან ბუხრის მიღებს გლეჯდა და უკაცურ ქუჩებში

ბზრიალ-ტრიალით მიაქროლებდა“ (19-86).

ამ შემთხვევაში მიმღობიანი კონსტრუქცია (სენტ ტკემ წპირლ-ინგ) ტრანსფორმირებულია შეწყვილებული მასდარის ბრუნვიან ფორმაში, ხოლო მიმღობიანი ფრაზა ატრიბუტის ფუნქციაში მეტწილად დონეთშორის ტრანსფორმაციას მოითხოვს. ენახოთ ასეთი მაგალითიც:

“In Swithin’s orange and light-blue dining room facing the yard, the table was laid for twelve” (1-61).

„სუითინის ყვითელ და ღია ლურჯფრად შელებილ სასადილო ოთახში, რომელიც პარკს გადაჰყურებდა, თორმეტი კაცისათვის გაწყობილი სუფრა დაედგათ“ (15-42).

გარდა იმისა, რომ თარგმანში თავი იჩინა ორმა, ორიგინალში არარსებულმა სინტაგმამ (შელებილ ოთახში, თორმეტი კაცისათვის გაწყობილი), რაც ბევრად უფრო ბუნებრივია ქართულისათვის, ვიდრე „ლურჯი ოთახი“ ან „თორმეტისთვის გაწყობილი“, საჭირო აღმოჩნდა დონეთშორისი ტრანსფორმაციაც, კერძოდ, – მიმღობიანი ფრაზის ტრანსფორმაცია ატრიბუტულ დაქვემდებარებულ წინადადებაში („რომელიც პარკს გადაჰყურებდა“). გარდა ამისა, ამჯერადაც გამოვლინდა სტრუქტურის აქტივიზაციის ტენდენცია (სუფრა დაედგათ).

დავუკვირდეთ კიდევ ერთ საინტერესო შემთხვევას, რომელშიც განსაკუთრებით თვალსაჩინოა ინგლისური ენის უნიკალური შესაძლებლობა – უპირო ფორმათა მაქსიმალური და პირიან ფორმათა მინიმალური გამოყენებით, მარტივი წინადადების სტრუქტურაში მოაქციოს საკმაოდ მოზრდილი გამონათქვამი. ნაწყვეტის თარგმნით ვარიანტში კი ასევე თვალსაჩინოა ქართული ენისათვის დამახასიათებელი განსაკუთრებული ზმნური ბუნება, პირიან ფორმათა სიჭარბე აზრის გაწყობისას და, აქედან გამომდინარე, გამონათქვამის მეტი დინამიკურობა.

“The tolling of the bell over, the head of the family with his hands thrust in his great tail pockets of his great blue coat, without waiting for a further announcement, strode downstairs alone, scowling over his shoulder at the four females” (5-156).

„ზარის რეკვა რომ შეწყდა, ოჯახის უფროსმა ხელები თავისი

უშველებელი ქურთუკის ვეება ჯიბეებში ჩაიწყო, აღარ და-
ვლოდა შემდეგ მოწვევას, მარტო გაემართა ქვემოთ და თან
უკან მიმავალ ოთხ დიაცს უბღვერა“ (19-184).

ინგლისური ტექსტის ერთადერთი პირიანი ფორმისა და, შე-
საბამისად, ერთი ზმნა-შემასმენლის ნაცვლად თარგმანში უპირო
ფორმათა პირიანში ტრანსფორმაციის შედეგად, გაჩნდა ხუთი
დამატებითი ზმნა-შემასმენელი, ხოლო აბსოლუტური ნომინატი-
ური კონსტრუქციის სრულწევრა სტრუქტურაში ტრანსფორმაციის
შედეგად კი – კიდევ ერთი სრულწევრა წინადადება (ზარის რეკვა
რომ შეწყდა). ყოველივე ამან სრულიად შეცვალა გამონათქვამის
შინაგანი სტრუქტურაც და მისი რიტმული ქარგაც.

საკმაოდ ხშირია ასევე ტრანსფორმაციის ისეთი სახეობა, როგორ-
იცაა უპირო ფორმიანი საქცევებით გამოხატული აზრის მოქცევა
თარგმანის ენის ერთ სიტყვაში, რის საშუალებასაც იძლევა სიტყვათ-
ქმნადობის ისეთი გავრცელებული სახეობა ქართულში, როგორიცაა
სინტაგმის ლექსიკალიზაცია, რისი მაგალითიც მოგვყავს ქვემოთ:

“She was sitting in the corner with her hands clasped together”

(12-137).

„გულხელდაკრეფილი მიყუყულიყო კუთხეში“ (26-148).

განსაკუთრებით დამახასიათებელია უპირო ფორმათა (კერძოდ,
მიმლეობის ან მიმლეობიანი ფრაზის) შენაცვლება პირიანი ფორ-
მით დრამატული ჟანრის ე. წ. საავტორო რემარკებისათვის, რომ-
ლებიც მიუთითებს რეპლიკის წარმოთქმის თანმხლებ მოქმედებაზე:

Algernon – Where have you been since last thursday?

Jack – (sitting down on the sofa) In the country.

Algernon – What on earth do you do there?

Jack – (pulling off his gloves) When one is in town one

amuses oneself. When one is in the country he

amuses other people” (4-282).

„ალჯენონი – გასულ ხუთშაბათს აქეთ სად დაიკარგე?

ჯეკი – (ტახტზე ჯდება) სოფელში გახლდი.

ალჯენონი – საინტერესოა, რა მოღვაწეობას ეწევი იქ?
ჯეკი – (ხელთათმანებს იძრობს) როცა ქალაქში ხარ
თვითონ ერთობი, სოფლად კი სხვებს ართობ“ (18-146).

ზემოაღნიშნული საავტორო რემარკა ინგლისურ ტექსტში ქართულისათვის ტიპურ ფორმაშიც გვხვდება – აწმყო დროის პირიან ფორმაში, მაგრამ ამ ორი ალტერნატიული ფორმიდან თითოეულს თავისი დანიშნულება აქვს: თუ პირველ შემთხვევაში პერსონაჟის მოქმედება რეპლიკის წარმოთქმის პროცესში სრულდება (აღნიშნული ერთეული, ფაქტობრივად, საავტორო რემარკის ელიფსური ვარიანტია; სრული ვარიანტი იქნებოდა “he said sitting down...”), მეორე შემთხვევაში, ანუ პირიან ფორმაში, ეს მოქმედება ან წინ უსწრებს რეპლიკის წარმოთქმას, ან სრულდება იმ უსიტყვო პაუზის დროს, რომელიც ჩნდება რეპლიკის წარმოთქმის პროცესში. ქართული ტექსტის საავტორო რემარკაში კი ამ ნიუანსის გამოხატვა ვერ ხერხდება და ამდენად, ეს პირობითობა არც არის მისთვის დამახასიათებელი. აღნიშნულ შემთხვევას განეკუთვნება ქვემოთ მოყვანილი მაგალითი, რომელიც ადრე წარმოდგენილი ნაწყვეტის უშუალო გაგრძელებაა:

“Algernon – How immensely you must amuse them! (goes over and takes sandwich) By the way, Shopshire is your country, isn't it?” (4-282).

„ალჯენონი – ძალიან გამოგიდვია თავი იმათ გართობაზე
(მაგიდასთან მიდის და იღებს სენდვიჩს), კაცმა რომ იკითხოს,
ხომ შოპშირში ბრძანდებოდი?“ (18-146).

გვინდა დავუბრუნდეთ წინა მაგალითს და დავუკვირდეთ ინგლისური განუსაზღვრელი პირის ნაცვალსახელის, “one”-ის ტრანსფორმს თარგმანში. საქმე ის არის, რომ განუსაზღვრელი პირის ნაცვალსახელი “one” კიდევ ერთი ენობრივი ფორმაა, რომელიც მუდამ საჭიროებს ტრანსფორმაციას ქართულ თარგმანში. მისი ტრანსფორმი ქართულში მეტწილად ზმნის მეორე პირის მხოლობითი ან პირველი პირის მრავლობითი ფორმაა. აქედან გამომდინარე, ამ კონკრეტული შემთხვევისათვის ალტერნატიული თარგმნითი ვარიანტი იქნებოდა „როცა ქალაქში ვართ...“ „სხვებს ვართობ“. უნდა ითქვას, რომ ქართული მეორე პირის ნაცვალსახელის ფარ-

დი ფორმა "you", განუსაზღვრელი პირის მნიშვნელობით, ინგლისურშიც გვხვდება, მაგრამ ეს დამახასიათებელია არალიტერატურული, მდაბიური მეტყველებისათვის. ნაცვალსახელების – "one" და "you"-ს ოპოზიცია კარგადაა ასახული ჯეკ ლონდონის რომანის – „მარტინ იდენის“ ერთ-ერთ ნაწყვეტში, სადაც რუთი ენობრივ შეცდომებს უსწორებს მარტინს:

"What is b o o z e? You used it several times, you know".

"Oh, booze, he laughed, it's slang. It means whiskey and beer – anything that will make you drunk".

Don't use "you" when you are impersonal. "You" is very personal, and your use of it just now was not precisely what you make".

(მაგალითი ა. ვ. ფიოდოროვისაა).*

დონეთშორისი ტრანსფორმაციის საჭიროებას ინგლისურიდან ქართულ ენაზე შესრულებულ თარგმანში წარმოქმნის ასევე ზოგიერთი განსხვავება ზმნის დროთა სისტემის ფორმებსა და მათ მნიშვნელობებში. რომ არაფერი ვთქვათ ზმნის დროთა გამოხატვის სინთეზურ ან ანალიზურ ფორმებზე, რაც, თავის მხრივ, იწვევს გარკვეულ სტრუქტურულ განსხვავებებს გამონათქვამის სინტაქსურ მატრიცაში, და თუ მხოლოდ სტრუქტურათა სემანტიკურ მხარეს დაუკვირდებით, ნიშანდობლივია, რომ ინგლისური ზმნის ზოგიერთი დროის ფორმის მნიშვნელობა ქართულ თარგმანში ლექსიკურ კომპონენტთა მოშველიების, ანუ დონეთშორისი ტრანსფორმაციის გარეშე ვერ გამოიხატება. ასეთ მაგალითად, წარსულში შესრულებული მოქმედებებიდან ერთ-ერთის წინარეობა, რაც ინგლისურში Past Perfect დროის ფორმას მოითხოვს, რომლის ფარდი ფორმა ქართული ზმნის სისტემაში არ აღინიშნება, საჭიროებს კომპენსაციას ლექსიკური ერთეულებით:

"I'd arranged my lodging through an advertisement in the "Warley Courier" and hadn't actually seen her, but I knew immediately who she was" (3-18).

* ნაწყვეტის ქართული თარგმანი აბჯურად არ მოგვეყავს, რამდენადაც მის სრულ ვარიანტს კიდევ ერთხელ დაეუბრუნდებით ნაშრომის სათანადო განაკვეთში, ენის სტრატოფიკაციული ვარიანტულობის თარგმანში ტრანსპოზიციის საკითხის განხილვასთან დაკავშირებით.

„ოთხი „უორლი კურიერში“ გამოქვეყნებული განცხადებით
ვიქირავე წ ი ნ ა ს წ ა რ და ამიტომ ჩემი დიასახლისი
ა დ რ ე თვალთ არ მენახა, მაგრამ მაშინვე შევიცანი“ (17-22).

მოქმედებათა წინარეობა კონტექსტში აღწერილ სიტუაცია-
სთან მიმართებაში გამოიხატა სიტყვებით: „წინასწარ“ და „ადრე“.

“He hadn“ tbeen near “Disunion”/კლუბის სახელწოდებაა. ნ.ს./ for
months and the house had undergone the piebald decoration which
people bestown old houses and old ships when anxious to sell them”
(1-51)

„თვეები ისე გავიდა, თავის კლუბში ფეხი არ შეუდგამს. ა მ ა -
ს ო ბ ა შ ი უ კ ვ ე მ ო ე ს წ რ ო თ კლუბის შეთითხნა
ფერად-ფერადი საღებავებით ისე, როგორც გასაყიდად გამიზნულ
ძველისძველ სახლებსა და დაფაცხავებულ გემებს აჭრელებენ
ხოლმე“ (15-31).

ზემოთ მოყვანილ ორივე შემთხვევაში გრამატიკული ლაკუნის
კომპენსაცია განხორციელებულია დონეთშორისი ტრანსფორმაციით.
აღნიშნული შემთხვევა გამონაკლისი არ არის; ინგლისური და
ქართული ზმნის დროთა ფორმები, მიუხედავად მათი სიმრავლისა,
როგორც ერთ, ასევე მეორე ენაში, ერთმანეთის მნიშვნელობას
ზუსტად არ ფარავს. ანალოგიურ დონეთშორისი ტრანსფორმაცი-
ის საჭიროებას წარმოქმნის ინგლისური Future Continuous, Past
Perfect Continuous-ის ფორმებით გადმოცემული მნიშვნელობებიც.

სინტაქსური სტრუქტურის ცვლილებას მოითხოვს ასევე
სპეციფიკური ინგლისური კონსტრუქციები, ისეთი როგორიცაა:
„to be too tired to do it“; „to be clever enough to do it“

ასეთ შემთხვევებში უმეტესად საჭირო ხდება ინფინიტივიანი
საქცევის ნაცვლად კიდევ ერთი ზმნის პირიანი ფორმის აქტივ-
იზაცია ქართულ წინადადებაში. მაგალითად: „He was too old to
become a liberal“ (1-51)

„ახლა უკვე ძალზე მოხუცი იყო და ლიბერალობას ვერ დაიწყებდა“
(15-31).

ღონეთაშორის ტრანსფორმაციას მოითხოვს ასევე მოდალობის კატეგორიასთან დაკავშირებული გრამატიკული მნიშვნელობებიც. გამონათქვამის კომუნიკაციურ სტრუქტურაზე განსაკუთრებით მოქმედებს ის გარემოება, რომ ინგლისურში მოდალობა მეტწილად მოდალური ზმნებით გამოიხატება, რომლებიც რთული შედგენილი შემასმენლის კომპონენტებს წარმოადგენენ, რასაც ქართულში უპირისპირდება იგივე გრამატიკული მნიშვნელობის განსხვავებული გამოხატვის ტენდენცია, კერძოდ, მოდალობის გამოხატვა ე.წ. „ჩართულების“ აქტივიზაციით (ჩართული სიტყვების, ფრაზებისა და წინადადებების მეშვეობით):

“A Forsyte might still be living in that house, to guard it jealously”
(1-253).

„ვინ იცის, ეგება, რომელიმე ფორსაიტი დღემდე ცხოვრობს იმ სახლში და ფხიზლად დარაჯობს თავის საკუთრებას“ (15-237).

“What could she have seen in that fellow Bosiney to send her mad”
(1-57).

„ნეტავ მაცოდინა, რა ნახა იმ ბოსინიში ისეთი, რამაც ასე დააკარგვინა ჭკუა“ (15-37).

ის გარემოება, რომ ცალკეულ გრამატიკულ ფორმათა მნიშვნელობა შეპირისპირებულ ენებში ხშირად არ თანხვდება და ისიც, რომ ამ ენებში არსებული ფარდი ფორმები შეიძლება განსხვავებულ კონოტაციას შეიცავდეს, სავსებით ბუნებრივი მოვლენაა. გარე სამყაროს მოვლენათა შემეცნების სპეციფიკა, რაც აისახება განსხვავებულ ენებში, და რაც მეტწილად უკავშირდება ენათა ლექსიკურ სისტემებს, გამოხატვას პოულობს გრამატიკულ სისტემებშიც, რომლებშიც შესაძლოა ნაკლები სიცხადით, მაგრამ მაინც ასახულია გარე სამყაროს მოვლენათა სპეციფიკური ხედვა, ამ მოვლენათა დაკავშირების ან დაპირისპირების განსხვავებული ტენდენციები. როგორც ცნობილია, ისტორიულად ჩამოყალიბებულ გრამატიკულ მნიშვნელობათა სხვადასხვაობაში გამოხატვას პოულობს შემეცნების პროცესის განსხვავებულობა, საგანთა და მოვლენათა დანაწევრების შერჩევითი ხასიათი, რაც გარე სამყაროს მოვლენათა სემანტიკური ინტერპრეტაციის ერთ-ერთი მნიშ-

ვენელოვანი ასპექტია. სწორედ შემეცნების პროცესის თავისებურებებთან აკავშირებენ, მაგალითად, ვ. ვ. ვინოგრადოვი (102-497) და ა. ი. სმირნიცი (103-322) ზმნის კატეგორიაში ოპოზიციური ფორმების, კერძოდ, სრული და უსრული ასპექტების, მოქმედებითი და ვნებითი გვარის ოპოზიციური ფორმების არსებობას განსხვავებულ ენებში.

ჩვენ მიერ განხილული შემთხვევებით, რა თქმა უნდა, არ ამოიწურება ინგლისური და ქართული ენების სტრუქტურული სხვადასხვაობის დამადასტურებელი გრამატიკული მოვლენები და მათთან დაკავშირებული ტრანსფორმაციები. განსხვავებულ ენობრივ ფორმათა სიმრავლიდან ყურადღება შევაჩერეთ ძირითადად ისეთებზე, რომლებიც გამოირჩევა ხმარების განსაკუთრებული სიხშირით და ამავე დროს იწვევს მნიშვნელოვან ცვლილებებს გამონათქვამის სტრუქტურულ აგებულებაში. ეს გარემოება, თავის მხრივ, გამოვიყენეთ იმისთვის, რომ განგვესხვავებინა ტრანსფორმაციათა სხვადასხვა ტიპები, როგორცაა, დონეთშორისი და შიდადონობრივი ფორმალური ტრანსფორმაციები. გრამატიკული ტრანსფორმაციები, როგორც ნაჩვენები იყო ზემოთ, განპირობებულია შეპირისპირებულ ენათა სტრუქტურული სხვაობის ნიადაგზე წარმოქმნილ წინააღმდეგობათა განეიტრალების საჭიროებით.

ნიშანდობლივია, რომ გრამატიკულ ტრანსფორმაციათა კვანტიტატიური მაჩვენებელი გაცილებით სჭარბობს ტრანსფორმაციათა სხვა ფუნქციონალურ სახეობებს წმინდა ინფორმაციული ხასიათის ტექსტთა თარგმანში (სამეცნიერო-ტექნიკური ლიტერატურა, საქმიანი დოკუმენტაცია და სხვ.), სადაც აზრობრივ სიზუსტეზე მიზანმიმართული თარგმნის პროცესი, მკაცრად რეგლამენტირებული ლექსიკური კომპონენტები – ტერმინოლოგია, კლიშირებული ფრაზები, ტექსტის კონსტრუირების, მისი სტრუქტურულ-კომპოზიციური აგების ნორმები და სხვა, მეტწილად გამორიცხავს აზრის თავისუფალი ინტერპრეტაციის შესაძლებლობას.

სიმპტომატურია, რომ ფორმალურ-სტრუქტურულ ტრანსფორმაციებში ფაქტობრივად ასახულია კონვენციონალურ ენობრივ ფორმათა კანონზომიერი შესაბამისობა, რომელიც ერთგვარად დაფიქსირებულია მთარგმნელი-ბილინგვას ენობრივ „მეხსიერებაში“ და, შეიძლება ითქვას, ავტომატურად მოქმედებს გამონათქვამის კომუნიკაციური სტრუქტურის მოწესრიგებისას თარგმანის ტექსტში. არასათანადოდ ტრანსფორმირებული ენობრივი

ფორმები კი, რომლებიც მთარგმნელის ენობრივი კომპეტენციის არასრულყოფილებას მოწმობს, საზოგადოდ, განიხილება როგორც თარგმანის ენაში უცხოენოვან ფორმათა ინტერფერენციის შემთხვევები, რაც შეუმჩნეველად არ რჩება თარგმანის კრიტიკას.*

გრამატიკული ლაკუნები თარგმანის ენაში, როგორც ადრე ითქვა, არ ქმნის დაბრკოლებას აზრობრივი ინვარიანტის შენარჩუნებისათვის და მარტო მაშინ საჭიროებს ფუნქციონალურ ტრანსფორმაციას, როცა რომელიმე უნიკალური გრამატიკული ფორმა შეიცავს რაიმე იმპლიკაციას, ან როცა დატვირთულია რაიმე ესთეტიკური ფუნქციით. ამ დროს საჭირო ხდება მისი კომპენსაციის საშუალებათა ძიება. ასეთ შემთხვევებს ვიხილავთ ქვემოთ, ფუნქციონალურ ტრანსფორმაციებთან კავშირში.

ამჯერად კი სტრუქტურულად განსხვავებული ენების კონტაქტისას გრამატიკულ ტრანსფორმაციათა მაღალი კვანტიტატური მაჩვენებლების საილუსტრაციოდ მოგვყავს სრულიად ალაღბებულად (და არა ტენდენციურად) შერჩეული ნაწყვეტი მხატვრული პროზიდან და მისი თარგმანი. ანალიზისთვის თვალის გადავების გასაადვილებლად დანომრილია ყველა შესაპირისპირებელი სეგმენტი.

1. "Martin Eden, with blood still crawling from contact with his brother-in-law, felt his way along the unlighted back hall and entered his room, a tiny cubbyhole with space for a bed; a wash-stand, and one chair. 2. Mr. Higginbotham was too thrifty to keep a servant when his wife could do the work. 3. Besides, the servant's room enabled them to take in two boarders instead of one. 4. Martin placed the Swinburne and Browning on the chair took off his coat, and sat down on the bed. 5. A screeching of asthmatic springs greeted the weight of his body, but he did not notice it. 6. He started to take off his shoes, but fell to staring at the white plaster wall opposite him, broken by long streaks of dirty brown where rain had leaked through the roof. 7. On

* უცხოენოვანი ფორმების ქართულ თარგმანში ინტერფერენციის მკვლე პრაქტიკის წინააღმდეგ მიმართულ ბოლოდროინდელ გამოკვლევათა შორის გვინდა განსაკუთრებით გამოვყოთ რ. თვარაძის (104), გ. წიბახაშვილის (105), თ. კოპლატაძისა და ზ. ჭუმბურიძის (106) ნაშრომები ქართულ თარგმანმცოდნეობაში.

this befouled background visions began to flow and burn. 8. He forgot his shoes and stared long, till his lips began to move and he murmured, "Ruth!" (2-51).

1. მარტინი ჯერ კიდევ დამშვიდებული არ იყო სიძესთან შეხვედრის შემდეგ, როცა შევიდა თავის ვიწრო ოთახში, რომელშიც ძლივს ეტეოდა მხოლოდ ტახტი, პირსაბანი და სკამი.
2. პიგინ-ბოტამი მეტად მომჭირნე იყო და არ მიაჩნდა საჭიროდ მოსამსახურის დაქირავება, რაკი მის ცოლს მუშაობა შეეძლო.
3. ამასთან, მას საშუალება ეძლეოდა მოსამსახურისთვის საჭირო ოთახიც გაექირავებინა და ერთის ნაცვლად ორი მღვდური ჰყოლოდა.
4. მარტინმა სუინბერნისა და ბრაუნინგის ტომები სკამზე დააწყო, ქურთუკი გაიხადა და ტახტზე ჩამოჯდა.
5. ზამბარა აჭრიალდა მისი ტანის სიმძიმის ქვეშ, მაგრამ ეს არც შეუძნებია.
6. დაიხარა ფეხსაცმლის გასახდელად და უცებ მიაშტერდა მოპირდაპირე კედელს, რომელიც აჭრელებული იყო ჭერიდან ჩამონაჟონი წვიმის წვეთების ლაქებით.
7. მაგრამ ამ ჭუჭყიან ფონზე ანაზღად გამოჩნდა ნათელი ზმანება.
8. დაავიწყდა ფეხსაცმელები და დიდხანს შეჰყურებდა კედელს, სანამ მისმა ბაგეებმა არ დაიწყეს ჩურჩული: „რუთი!“ (16-33).

თუ მკაცრად განვსჯით და აღვწვსავთ მცირეოდენ ცვლილებებსაც კი, სინტაქსური მატრიცის აბსოლუტური დამთხვევა, წევრთა დისპოზიციისა და კომპონენტური შემადგენლობის შეცვლის გარეშე, თარგმანის არც ერთ სეგმენტში არ დასტურდება. შეპირისპირებულ ტექსტთა განსხვავება შემდეგ მაჩვენებლებშია ასახული:

ა) ინგლისური მიმღებობიანი ფრაზის სემანტიკური ტევადობის საფუძველზე, ის აზრი, რომელიც ინგლისური ტექსტის პირველ სეგმენტში კომპაქტურად, მარტივი წინადადების სახითაა გამოთქმული, თარგმანის შესაბამის სეგმენტში ქვეწყობის პრინციპით გაწყობილ სამ წინადადებაშია განფენილი.

ბ) ორიგინალის მეორე სეგმენტში უნიკალური ფორმა – “too

thrifty to keep a servant”, რომელიც ასევე კონდენსაციის სპეციფიკურ მოდელს განეკუთვნება ინგლისურ ენაში, ტრანსპონირებულია თარგმანის შესაბამის სეგმენტში შერწყმული წინადადების სტრუქტურით.

გ) ქვემდებარის ექსპლიკაცია ნაცვალსახელში (he), მე-5, მე-6 და მე-8 სეგმენტში, რაც სავალდებულოა ინგლისურისათვის, რამდენადაც ინგლისურში ზმნა-შემასმენელს პირის დისტინქცია არ ახასიათებს (“he did not notice, he forgot, he started), ქართულ თარგმანში საჭირო აღარ აღმოჩნდა (არ შეუმჩნევია, დაავიწყდა, მიაშტერდა).

დ) მე-4 სეგმენტში, რომელშიც კომპონენტური შემადგენლობა არ შეცვლილა, სამაგიეროდ შეიცვალა მათი დისპოზიცია; ორიგინალში ზმნა წინარე პოზიციას იკავებს (took off his coat, he sat down on the bed), თარგმანში კი ბოლოკიდურ პოზიციაშია წარმოდგენილი (ქურთუკი გაიხადა, ტახტზე ჩამოჯდა). მიუხედავად იმისა, რომ ქართულ წინადადებაში ზმნა-შემასმენელს ნაკლებად ახასიათებს ფიქსირებული პოზიცია, შემასმენელთა ბოლოკიდური პოზიცია უკეთ შეეწყო ნაწყვეტის დინჯი და აუქჩარებელი თხრობის ტემპს.

ე) მე-6 სეგმენტის სინტაქსური მატრიცაც თითქმის არავითარ მსგავსებას არ ამჟღავნებს თარგმანის შესაბამის სეგმენტთან. აქ აბსოლუტურად შეცვლილია სინტაქსურ კავშირთა ხასიათიც და კომპონენტური შემადგენლობაც.

ვ) ინგლისურისათვის დამახასიათებელ კუთვნილებით ნაცვალსახელში გამოხატული მსაზღვრელების სიხშირე (his coat, his shoes, his lips), რაც თარგმანის ენისათვის სრულიად არ არის დამახასიათებელი, ფაქტობრივად არც აისახა თარგმანში.

გარდა ფორმალურ-სტრუქტურული ცვლილებებისა, ნაწყვეტის თარგმანში გამოვლინდა ასევე რამდენიმე ცვლილება სემანტიკურ კომპონენტთა დონეზეც: ა) თარგმანში არ აისახა აპოზიციური ფუნქციით წარმოდგენილი შეკვეცილი შედარება “a tiny cubbihole”, და აქ იგი გადმოვიდა სტილისტურად ნეიტრალური შესიტყვებით – „იწრო ოთახი“. ბ) იგივე პირველ სეგმენტში დემეტაფორიზაცია განიცადა ფრაზამ: “with blood still crawling...”, რომელიც ითარგმნა როგორც „დამშვიდებული არ იყო“. ანალოგიურ დემეტაფორიზაციას ვხვდებით მე-5 სეგმენტშიც: “a screeching of asthmatic springs greeted...”, რომელიც თარგმანში გადმოვიდა სრული-

ად ნეიტრალური წინადადებით: „ზამბარა აჭრიალდა მისი ტანის სიძიძის ქვეშ“. გ) მე-4 სვემენტში პრაგმატულმა ორიენტაციამ მკითხველის ფაქტორზე საჭირო გახადა დამატებითი კომპონენტის შეტანა თარგმანში („ტომები“), რაზეც ინგლისურ ტექსტში მიგვანიშნებდა საკუთარ სახელზე დართული არტიკლი, ზოლო თარგმანში შიდატექსტობრივი კომენტარის საშუალებით მკითხველისათვის აღვილი შესაცნობი ხდება, თუ ვინ ან რა იგულისხმება მისთვის შესაძლო ნაკლებად ინფორმატულ ერთეულებში – “the Swinburne and Browning”.

§2. თარგმნითი ტრანსფორმაციები გამონათქვამის ლექსიკურ კომპონენტთა დონეზე

თუ გრამატიკულ ტრანსფორმაციათა მიზეზები საძიებელია იმაში, რომ კონტაქტში მყოფ ენათა სტრუქტურული სპეციფიკის გამო მათში იშვიათად დასტურდება სტრუქტურულ-ფორმალური ტოლფასოვნება, ტრანსფორმაციათა საჭიროებას ლექსიკურ კომპონენტთა დონეზე წარმოქმნის ფარდი ლექსიკურ-ფრაზეოლოგიური ფორმების ლაკუნები თარგმანის ენაში. მაგრამ, თუ გრამატიკულ ტრანსფორმაციათა ტიპიზაცია და მათი მოტივაციის დადგენა შედარებით ნაკლებ სირთულეს წარმოადგენს, რამდენადაც ეს დაკავშირებულია მკაცრად რეგლამენტირებულ, გრამატიკულ სისტემებში ასახულ და კანონიზირებულ კონვენციონალურ ფორმებთან, ლექსიკურ ტრანსფორმაციათა მოტივაციის დადგენა ყველა ცალკეულ შემთხვევაში და მათი ტიპიზაცია შედარებით უფრო რთულია. ნათქვამი უმეტესად მხატვრულ თარგმანს ეხება, რამდენადაც ლექსიკურ-ფრაზეოლოგიურ ერთეულებში განსხეულებული აზრის სუბიექტური ინტერპრეტაცია მთარგმნელის მხრივ ამ ჟანრული სახეობის თარგმანის იმანენტური თვისებაა და ხშირად მთარგმნელის ენობრივ და კომუნიკაციურ კომპეტენციაზე უფრო მეტადაა დამოკიდებული, ვიდრე ობიექტურად არსებულ ენობრივ შესაბამისობებზე. მაგრამ, მიუხედავად ზემოთქმულისა, ზოგიერთი ტიპური სახეობის გამომიჯვნა და აღწერა მაინც შესაძლებლად გვესახება.

ლექსიკურ ტრანსფორმაციათა საკითხის განხილვის წინა პირობად მიგვაჩნია ისეთი ძირითადი ცნებების დაზუსტება, როგორცაა „მნიშვნელობა“ და „აზრი“. საზოგადოდ, თარგმანის სემანტიკურ

ასპექტებთან დაკავშირებით უფრო მართებულია ვილაპარაკოთ ენობრივ ერთეულთა აზრზე, ვიდრე მათ მნიშვნელობაზე, რამდენადაც *თარგმანში მთავარია აზრობრივი ინვარიანტის შენარჩუნება, რასაც ქმნის არა ცალკეულ ლექსიკურ კომპონენტთა მნიშვნელობათა ჯამი, არამედ ის აზრი, რომელსაც ეს ერთეულები ქმნის კონკრეტულ სამეტყველო წარმონაქმნში და ერთმანეთთან მიმართებაში.*

სხვა ავტორთა კვალდაკვალ (33, 108, 109), ჩვენც მიგვაჩნია, რომ დიქტომია „ენა და მეტყველება“ შეესაბამება დიქტომიას „მნიშვნელობა“ და „აზრი“, რამდენადაც მნიშვნელობა ენის სისტემის ერთეულია, აზრი კი ენობრივ ერთეულთა ის მნიშვნელობაა ან იმ მნიშვნელობათა ჯამია, რომლებიც მეტყველებაშია აქტივიზებული. ეს თვალსაზრისი შეიძლება გავავრცელოთ ნებისმიერი მასშტაბის ერთეულზე; ამიტომ შეიძლება ლაპარაკი სიტყვათა და კონსტრუქციათა არა მარტო მნიშვნელობაზე, არამედ მათ აზრზეც. როგორც ლ. ს. ვიგოტსკი წერს, „სიტყვის მნიშვნელობა ის პოტენციაა, რომელიც ცოცხალ მეტყველებაში აზრის სახით შეიძლება იყოს რეალიზებული“ (110-370). იმის გამო, რომ მნიშვნელობა სისტემისმიერი კატეგორიაა, სავსებით შესაძლებელია, რომ განსხვავებულ ენათა ერთეულების მნიშვნელობები არ ფარავდეს ერთმანეთს სხვადასხვა პარამეტრებით. აზრი, როგორც ითქვა, კომუნიკაციური კატეგორიაა, ამდენად იგი ნაკლებადაა დამოკიდებული ენათა სისტემურ განსხვავებაზე და განსხვავებულ ენებში ასევე განსხვავებული საშუალებებით შეიძლება იყოს გამოთქმული. „თუ ერთი და იგივე აზრი, წერს ვ. დ. ლვოვსკაია, შინაენობრივ კომუნიკაციაშიც კი შეიძლება გამოიხატოს განსხვავებული სიგნიფიკატური მნიშვნელობის მქონე წინადადებებით, მაშინ თარგმანში, ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული ლინგვისტური და ექსტრალინგვისტური მიზეზებით, ამგვარი შესაძლებლობა არა მარტო მატულობს, არამედ გარდუვალიცაა“ (108-117).

ზემოთქმულიდან გამომდინარე, *თარგმანის ტექსტის სემანტიკური ანუ აზრობრივი ეკვივალენტურობა შეიძლება დადასტურდეს თარგმანში არა მარტო სემანტიკური კომპონენტების დონეზე, რომლის დროსაც თარგმანში აქტივიზებულია მეტ-ნაკლებად ტოლფასი სემები და ამ ვითაა შენარჩუნებული აზრობრივი ინვარიანტი, არამედ რეფერენციალურ დონეზეც, როცა აზრობრივი ინვარიანტი შენარჩუნებულია არა ეკვივალენტური სემებით, არამედ განსხვავებულ სემათა კომბინაციებით.*

ლექსიკურ-კომპონენტური ტრანსფორმაციების კვანტიტატიური მაჩვენებელი დაპირისპირებულ ენებში, შეიძლება ითქვას, პირდაპირ-პროპორციულია ამ ენებისათვის დამახასიათებელი გარე ენობრივი სინამდვილის განსხვავებული ინტერპრეტაციისა. ინტერპრეტაციის განსხვავებული ტენდენცია თავს იჩენს არა მარტო აზრის გაწყობის მორფოლოგიურ-სინტაქსურ მახასიათებლებში, რომლებიც, როგორც ზემოთ ითქვა, ნებისმიერი ბუნებრივი ენის ისტორიულად ჩამოყალიბებული ტენდენციის შედეგია, არამედ *გაცილებით უფრო თვალსაჩინოა საგანთა და მოვლენათა სახელების ტენდენციებში. ვგულისხმობთ საგანთა და მოვლენათა დომინანტური ნიშნის განსხვავებულ ხედვას და შერჩევას მოტივირებული ნომინაციის შემთხვევებში.* ეს ხედვა, რომელიც ასახულია დენოტატის რეპრეზენტაციისათვის გამოყენებულ ნიშანში, ხშირად თანხედება შეპირისპირებულ ენებში, მეტწილად კი – სრულიად განსხვავებულია. როგორც ერთი, ასევე მეორე შემთხვევა ექსპლიცირებულია ამ ენათა სიტყვებისა და ფრაზების შინაგან ფორმაში.

სიტყვების შინაგან ფორმათა თანხვედრა უფრო მეტად დამახასიათებელია მეცნიერული, დარგობრივი ტერმინოლოგიისათვის, რომელშიც სჭარბობს სხვა ენიდან შემოსული თარგმნითი ვარიანტები. ეს ნაკლებად აღინიშნება საყოველთაოდ ხმარებად, ყოფითი ხასიათის ლექსიკაში, თუმცა არც აქ არის გამორიცხული.

უსაფუძვლო დეკლარაციად რომ არ დარჩეს ის, რაც ითქვა, საჭიროდ მიგვაჩნია მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითი იმისა, თუ როგორ ვლინდება მოტივირებულ რთულ სიტყვათა შინაგან ფორმაში ანუ აღმნიშვნელში რეფერენტის დომინანტური ნიშნის მსგავსი ან განსხვავებული ხედვა სხვადასხვა ენაში.

საყოველთაოდ ხმარებადი სიტყვები, როგორცაა ცხოველთა და მცენარეთა სამყაროსთან, ბუნებრივ მოვლენებთან, ეთნოგრაფიული ხასიათის მოსახმარ ნივთებთან, რიტუალებთან დაკავშირებული ლექსიკა, როგორც ცნობილია, ენის ლექსიკური ფონდის უძველეს ნაწილს განეკუთვნება, მასში ასახულია მეცნიერებამდელი დაუნაწევრებელი წარმოდგენები გარე სამყაროზე და ამდენად, ამ ენობრივ ერთეულებში „უფრო მეტადაა გამოვლენილი სიტყვათქმნადობის უშუალობა და ბუნებრიობა, რაც, თავის მხრივ, აიხსნება იმ ასოციაციებით და წარმოდგენებით, რომლებსაც ესა თუ ის საგანი ან მოვლენა იწვევს ადამიანში“ (111-8), ასე მაგალითად,

შინაგანი ფორმის დამთხვევას ვხედავთ შემდეგ მოტივირებულ აღმნიშვნელებში: „მტირალი ტირიფი“, „плакучая ива“, „weeping willow“, რომელთა მოტივაცია, ვფიქრობთ, საძიებელია მცენარის ჩამოშვებული ტოტების მეტაფორულ ასოციაციაში მგლოვიარე ადამიანთან ან, შესაძლოა, იმაში, რომ ტირიფს გამუდმებით სცვივა ცრემლებით პატარა, მოგრძო ფოთლები. ანალოგიურ შინაგან ფორმათა დამთხვევას ვხედავთ სიტყვებში: „მარადმწვანე მცენარეები“, „вечнозеленые растения“, „ever-green plants“. რეფერენტის დომინანტურ თვისებად, რამაც თავი იჩინა აღმნიშვნელში, მიჩნეულია მცენარის მწვანე ფერი წელიწადის ნებისმიერ დროს. მაგრამ არ არის გამორიცხული, რომ ზემოთ მოყვანილი ერთეულებიდან რომელიმე იყოს თარგმნითი ნასესხობა. ამიტომ მოტივაციის ანალოგიურ ხასიათზე, ანუ დომინანტური ნიშნის ერთნაირ ხედვაზე ლაპარაკი უფრო მართებულია ისეთ შემთხვევებში, როდესაც ენობრივი ერთეულები ხალხურობის ნიშნითაა აღბეჭდილი. ასეთია მაგალითად, „გორგორა“ (ანუ „ქარქექეტა“), „перекати-поле“, „tumble-weed“. სამივე შემთხვევაში აღმნიშვნელი მოტივირებულია მცენარის თესლის გავრცელების, გამრავლების სახეობით – თესლის გადაგორებით ადგილიდან ადგილზე, მისი გაბნევით, რაზეც მიუთითებს სამივე ვარიანტის კომპონენტური სემები: „გორვა“, „катить“, „tumble“.

მოტივაციის განსხვავებული ხასიათი და დომინანტური ნიშნის განსხვავებული ხედვა კი დასტურდება, მაგალითად, სიტყვებში: „ბაბუაწვერა“ და „одуванчик“. თუ ქართულ ვარიანტში მცენარის ბეწვისმაგვარი საფარი (რომელსაც ბოტანიკურ ტერმინოლოგიაში „ქოლგა“ ან „ქოჩორი“ ეწოდება, რაც ასევე მოტივირებული სიტყვებია) წარმოქმნის ასოციაციას მოხუცის თეთრ წვერთან, რუსულ აღმნიშვნელში დომინანტურ თვისებად მიჩნეულია მცენარის ნაზი საფარის თვისება – ადვილად გაიფანტოს ქარის (ნიავის) მობერვაზე („дуть“). ასეთივე განსხვავებულია სახელდების მოტივაცია სიტყვებში: „სათბური“, „теплица“ და „green-house“. თუ ქართულ და რუსულ ვარიანტებში არქისემაა „სითბო“ და მოტივაცია ნაგებობის ტექტურატურის მუდმივობასთანაა დაკავშირებული, ინგლისურ ვარიანტში სახელწოდება მოტივირებულია ამ ნაგებობაში მოყვანილი მცენარეულობის მუდმივი სიმწვანით.

თუ მოტივაცია ასეთი თვალსაჩინო შეიძლება იყოს სიტყვებში, მით უფრო ექსპლიციტურია იგი ფრაზეოლოგიურ შესიტყვებებსა

და გამონათქვამებში, რომელთა სახეობრივი კონოტაცია ან ერთსა და იმავე მხატვრულ სახეზეა აგებული და ადასტურებს ასოციაციის ანალოგიურობას, ან პირიქით – ასოციაციის განსხვავებულობას, ანუ მოვლენათა განსხვავებულ „ხედვას“. ანალოგიური მეტაფორიზაცია იგრძნობა, მაგალითად, ფრაზეოლოგიზმებში: “to sit on the throns” და „ეკლებზე ჯდომა“; “to break the word” და „სიტყვის გატეხვა“; “not worth a straw” და „ჩალის ფასად არ ღირს“ და მრავალ სხვა ფრაზეოლოგიზმში. ხოლო ასოციაციის განსხვავება ჩანს, მაგალითად, ისეთ ფრაზეოლოგიზმებში, როგორცაა: “to plough the sands” და „წყლის ნაყვა“; “to be born with a silver spoon in the mouth” და „ბედნიერ ვარსკვლავზე გაჩენა“; “his bark is worse than his bite” და „ისე არ წვიმს, როგორც ქუხს“.

სემანტიკური ტრანსფორმაცია თარგმანში შეიძლება აისახოს ან ცალკეულ სიტყვათა, ანუ ლექსიკურ დონეზე, ან ლექსიკურ და სინტაქსურ დონეებზე ერთდროულად. განვიხილოთ პირველი შემთხვევა, როცა ესა თუ ის ლექსიკური კომპონენტი შენაცვლებულია თარგმანის შესაბამის სეგმენტში ან უფრო ზოგადი მნიშვნელობის ერთეულით, ან პირიქით – უფრო კონკრეტული, უფრო ვიწრო სემანტიკური ექსტენციონალის ერთეულით.

ლექსიკურ-სემანტიკური ტრანსფორმაციის მიზეზი ცალკეული კომპონენტების დონეზე შეიძლება მდგომარეობდეს შეპირისპირებულ ენათა სემანტიკური ველების სტრუქტურათა განსხვავებაში. მაგალითად, ნათესაობის აღმნიშვნელ სიტყვათა სემანტიკურ ველში გაერთიანებული სიტყვები ქართულში, ისევე როგორც ინგლისურში, შეიძლება ერთნაირად გადაჯგუფდეს ცალკეულ ქვეჯგუფებში სხვადასხვა ნიშნის გათვალისწინებით:

ა) სქესის ნიშნით: და – ძმა; ქალიშვილი – ვაჟიშვილი; რძალი – სიძე; დედამთილი – მამამთილი და სხვ.

ბ) თაობათა აღმავალი ან დაღმავალი ხაზით: შვილიშვილი – დედ-მამა; ბებია – ბაბუა; ან პირიქით – ბებია-ბაბუა – დედ-მამა – შვილი;

გ) ნათესაობა დედმამიშვილობის ნიშნით: და – ძმა;

დ) ნათესაობა დედის ან მამის ხაზით: დეიდა – მამიდა; დეიდა-შვილი – მამიდაშვილი;

ე) ნათესაობა მეუღლის ხაზით: დედამთილი – მამამთილი; სიდედრი – სიმამრი; მული, მახლი, მძახალი, ქვისლი, მძახლე-ბი, მოყვრები და სხვა.

ფაქტობრივად, ეს ნიშნები ორივე ენაშია გამოვლენილი, მაგრამ ზოგ ქვეჯგუფში ქართული ვარიანტებისათვის ნიშანდობლივი კონკრეტიზაციის ტენდენციას ინგლისურ ვარიანტებში უპირისპირდება გენერალიზაციის ტენდენცია. ასე მაგალითად, სიტყვა „aunt“-ს შეესაბამება ქართული „დეიდაც“, „მამიდაც“ და „ბიცოლაც“. სიტყვა „cousin“ შეიძლება გაგებულ იქნეს როგორც „ბიძაშვილი“, „მამიდაშვილი“ ან „დეიდაშვილი“. ინგლისურ ვარიანტებში ასეთი კონკრეტიზაცია არ ვლინდება, თუ საგანგებოდ არ დაემატა ისეთი სემები, რომლებიც დისკრეტულ მნიშვნელობებს შესძენს მათ – „on father's side“, „on mother's side“. ასეთივე დისკრეტული მნიშვნელობის სემაა „in-law“. მაგრამ ამ შემთხვევაშიც მნიშვნელობა არ იქნება მაქსიმალურად ზუსტი, რადგან „father-in-law“ შეიძლება იყოს „მამამთილიც“ და „სიმამრიც“, ან „brother-in-law“ შეიძლება იყოს „მაზლიც“, „ქვისლიც“ და „ცოლის ძმაც“.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ინგლისური სიტყვის „cousin“ ქართული დისკრეტული ვარიანტებით შენაცვლებისას აღინიშნება კონკრეტიზაცია, ანუ ჰიპონიმური ტრანსფორმაცია, ხოლო ინგლისური სიტყვების – „niece, nephew“ შენაცვლებისას ქართული სიტყვით – „დისწული“, ზდება ლექსიკური კომპონენტის გენერალიზაცია, ანუ ჰიპერონიმული ტრანსფორმაცია.

აქედან გამომდინარე, ამ სიტყვათა სემანტიკური ექსტენციონალი ამ ორ ენაში სრულიად განსხვავებულია.

ანალოგიური ჰიპერონიმული ან ჰიპონიმური ტრანსფორმაცია შეიძლება გამოვლინდეს ბევრ სხვა სემანტიკური ველის ერთეულში. მაგალითად, ქვემოთ მოყვანილ ქართულ თარგმანში სიტყვა „წვეულება“ უფრო ზოგადი მნიშვნელობის სიტყვაა, ვიდრე ინგლისური „dinner party“.

“He hadn't given a dinner party for months” (1-62).

„რამდენიმე თვე ისე გავიდა, მის სახლში წვეულება არ გამართულა“ (15-43).

ინგლისური ლექსიკური ერთეულის ჰიპერონიმული ტრანსფორმაციის შემთხვევას ვხვდებით ქვემოთ მოყვანილ მაგალითშიც, რომელშიც „სათვალე“ უფრო ზოგადი მნიშვნელობისაა, ვიდრე მისი უფრო კონკრეტული და მოტივირებული რთული სიტყვა „nosenipper“, ე. ი. ისეთი სათვალე, რომელიც ცხვირზე მარწუხი-

ვითა მოჭერილი (nipper — მარწუხი) (ეფიქრობთ, ფრანგული სათვალის ფრანგულივე სახელწოდება „პენსნე“ უფრო გამართლებული იქნებოდა იმ კონტექსტში, რომელშიც „პარიზულ“ ყაიდაზე ჩაცმულ მანდილოსანზეა საუბარი).

“His wife, in a Parisian frock and gold nosenippers reproved him;

How can you laugh, Harry? (1-173).

„მისმა ცოლმა, რომელსაც პარიზული კაბა ეცვა და ოქროს

ჩარჩოიანი სათვალე ეკეთა, უსაყვედურა მას — რა გაცინებს, პარი?

(15-161).

ზემოხსენებული ნათესაობის სემანტიკური ველის სიტყვათა არადიფერენცირებული გამოყენება ინგლისურში ხშირად იწვევს თარგმნით უზუსტობებსა და კურიოზულ შეცდომებსაც. ასე მაგალითად, ჩ. სნოუს რომანის, „ჟამი იმედისა“ ერთ-ერთი პერსონაჟი “Aunt Millie” მთხრობელი გმირის მამის დაა და არა დედისა. იგი ასეთი დისკრეტული სემებით მოიხსენიება რომანის დასაწყის თავებში („მამიდა მილი“). ხოლო ნაწარმოების ბოლო თავებში, რომელთა თარგმანი ნაუცბათევად და უყურადღებოდაა შესრულებული მეორე მთარგმნელის მიერ, იგივე პერსონაჟი „დეიდა მილის“ სახელითაა მონათლული.

ანალოგიური თარგმნითი უზუსტობა იჩენს თავს ჯ. გოლზუორთის რომანის, „მესაკუთრეს“ ქართულ თარგმანში. რომანის პირველ თავში აღწერილია ფორსაიტთა ოჯახის მესამე თაობის წარმომადგენელთაგან ერთ-ერთის — ჯუნ ფორსაიტის ნიშნობასთან დაკავშირებული წვეულება. ჯუნის პაპის დები — ენი, ჰესტერი და ჯული — „პაპიდებად“ არიან მოხსენიებული, რაც შესაძლოა გამართლებულიც იყოს, რამდენადაც ამ თავში აღწერილ ხდომილებათა ცენტრში მესამე თაობის წარმომადგენელია და ნათესაობითი კავშირი აღმავალი ხაზითაა გამოხატული. მაგრამ რომანის შემდეგ თავებში, სადაც იგივე ქალბატონებზე საუბრობენ ოჯახის მეორე თაობის წარმომადგენლები, რომლებსაც ისინი მამიდებად ერგებიან, „პაპიდა ენი“ და „პაპიდა ჰესტერი“ უკვე გაუმართლებელია, მაგრამ მთარგმნელი უთუოდ ვერ გამოდის თავიდანვე აღებული ინერციიდან და მამიდის დაკრძალვიდან შინ მობრუნებულ ძმისწულს (სომს ფორსაიტს) ათქმევინებს, პაპიდა ენი რომ არ მომკვდარიყო, ამაღამ თეატრში წავიდოდითო.

ამ ერთის შეხედვით უმნიშვნელო უზუსტობაზე ყურადღება შევაჩერეთ იმდენად, რამდენადაც ლექსიკურ კომპონენტთა სემანტიკურად არადიფერენცირებული შინაგანი ფორმა შეიძლება თარგმანის უფრო სერიოზული უზუსტობის მიზეზი შეიქნეს.*

თარგმნითი ტრანსფორმაციები ლექსიკურ კომპონენტთა დონეზე, რომლებიც რომელიმე სიტყვის კონკრეტულზაციაში ვლინდება, ხშირად დაკავშირებულია ინგლისური ენის ისეთ სპეციფიკასთან, როგორცაა არადიფერენცირებული მნიშვნელობის ზმნათა სიმრავლე. ამ კატეგორიას განეკუთვნება, მაგალითად, შემდეგი ზმნები: to get, to take, to have, to do, to make, to give და სხვა. ჩამოთვლილიდან თითოეულს შესაძლოა აღმოაჩნდეს არაერთი შესატყვისი მეორე ენაზე, იმისდა მიხედვით, თუ რა სიტყვასთანაა შესიტყვებული. ამ ზმნათა მნიშვნელობის ექსტენციონალი მით უფრო ფართოვდება, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ შემთხვევებსაც, როცა ისინი შედიან ფრაზეოლოგიზმების შემადგენლობაში. განვიხილოთ ზემოთ მოყვანილ ზმნათა ჰიპონიმური ტრანსფორმაციის რამდენიმე შემთხვევა:

“– Are you hungry? I asked him. “No, he said. “You know I couldn’t eat, Harry!”

“All right”, I told him, “You can have one (13^a-37).

„გშია?“ კითხე. „არა, ხომ იცი ასე ვერ შეეჭამ ვერაფერს, ჰარი!“

– „კარგი, ვუთხარი, „მაშინ ცოტა გააღაპკარე“ (27^a-17).

“Remember what father said? He thought we smelt so strongly that we’d have to marry each other because nobody would take us” (3-32).

„გახსოვს, მამაჩემმა რა გვითხრა? არაფერი დაგრჩენიათ

გარდა ერთმანეთთან დაქორწინებისა, რადგან ისე ხართ გაუღენთილი ხახვის სუნით, რომ სხვა არავინ დაგთანხმებდათ დაქორწინებაც“ (17-39).

გამონათქვამის ტრანსფორმაციის ზოგიერთი სახეობა შესა-

* ასეთ შემთხვევებზე საუბარი გვექნება შემდგომ, ნაშრომის სათანადო განაკვეთში, თარგმანის ტექსტის პრაგმატულ-კომუნიკაციური გაწონასწორების პრობლემასთან დაკავშირებით.

ძლოა განპირობებული იყოს შეპირისპირებული ენების სიტყვათა სინტაქსური ვალენტობის განსხვავებულობით. ინგლისურისთვის, მაგალითად, დამახასიათებელია გამონათქვამის ისეთი სტრუქტურული მოდელი, როცა ზმნა-შემასმენლისა და დამატების ფუნქციებში ერთი და იგივე სემაა დუბლირებული:

She lived a long lonely life; he died a terrible death; she sighed out a sigh of despair; she brushed her hair with a slow brush.

გამონათქვამის ასეთი მოდელი ქართულისათვის უცხოა და უფრო ბუნებრივია ითქვას: მთელი ცხოვრება მარტობაში გაატარა; საშინელი წამებით მოკვდა; სასოწარკვეთილს გმინვა აღმოხდა; ნელ-ნელა (სვენებ-სვენებით) ივარცხნიდა თმას. ამდენად, ანალოგიური შემთხვევები თარგმანში იწვევს გამონათქვამის კომუნიკაციური სტრუქტურის რადიკალურ ცვლილებებს კომპონენტურ დონეზეც და ფორმალურ-სტრუქტურულ დონეზეც.

“Mrs. Nickolas, an effete woman, smiled a smile of frightened jollity behind his back” (1-65).

„ავადმყოფობისაგან მისუსტებულ მისის ნიკოლასს, რომელიც მის ზურგსუკან იდგა, გაელიმა. ეს იყო შიშნარევი სიხარულის ღიმილი“ (15-46).

მაგრამ მიუხედავად ზემოთქმულისა, გარკვეული სტილისტური ეფექტის შენარჩუნების მიზნით, შეიძლება აღნიშნული სტრუქტურული მოდელი ქართულ თარგმანში ტრანსფორმაციის გარეშეც გადმოვიდეს:

“Presently the Parsee came by and found the skin, and he smiled one smile that ran all round his face two times. Then he danced three times round the skin and rubbed his hands” (11-53).

მოყვანილი ნაწყვეტის იუმორისტული ეფექტი აბსტრაქტული არსებითი სახელის პერსონიფიკაციაში მდგომარეობს, რამაც განაპირობა კომუნიკაციური სტრუქტურის კომპონენტთა ზუსტი შენარჩუნება თარგმანში:

„ამ დროს პარსიმაც ჩამოიარა და ტყავს გადააწყდა.

მან ერთი ისეთი ღიმილით გაიღიმა, რომელმაც ორგზის შემოურბინა მის პირისახეს. მერე სამგზის შემოუცეკვა ტყავს გარშემო და კმაყოფილებით მოიფშენიჭა ხელები“ (25-42).

ხშირია, როცა ინგლისური შესიტყვების ყოველი კომპონენტი-სათვის სირთულეს არ შეადგენს ზუსტი სემანტიკური ეკვივალენტის გამონახვა თარგმანის ენაში, მაგრამ ამ ეკვივალენტურ ერთეულებს, წყარო ენისაგან განსხვავებით, შესაძლოა არ აღმოაჩნდეთ ურთიერთშეწყობის, ურთიერთშესიტყვების ანალოგიური უნარი, რამდენადაც ყოველ ენაში მოქმედებს შესიტყვების სპეციფიკური ნორმები, რომელთა თანხვედრა მეორე ენის ნორმებთან არც თუ ხშირია.

დაკვირვება გვიჩვენებს, რომ ინგლისურისათვის დამახასიათებელია აქტიურ ზმნა-პერფორმატივთან ქვემდებარული ფუნქციის მქონე აბსტრაქტული არსებითი სახელის შესიტყვების აშკარად გამოკვეთილი ტენდენცია, რაც ნაკლებ დამახასიათებელია ქართულისათვის და აღინიშნება მართლოდენ გამონათქვამის მეტაფორიზაციის შემთხვევაში (სიყვარულმა დააბრმავა, ბედმა გაუღიმა, შიშმა ენა დაუბა და სხვ.).

იმ აბსტრაქტულ სახელთა სპექტრი, რომელიც შეიძლება შეგვხედეს ქვემდებარულ დამოკიდებულებაში ისეთ ზმნა-შემასმენლებთან, რომლებიც საზოგადოდ გამოხატავენ სუბიექტისგან მომდინარე გარდამავალ მოქმედებას პირდაპირი და არა გადატანითი, არა მეტაფორული მნიშვნელობით, ინგლისურში ძალზე ფართოა. ასე მაგალითად, ინგლისურისთვის სავსებით ბუნებრივია გამონათქვამის ასეთი გაწყობა:

“An airliner crush in Illinois killed seventy-eight persons”.

“Bad weather brought Concorde 002 down on a sudden visit to London’s Heathrow airport yesterday.”

“Split in the Democratic Party elected Lincoln.”

ა. დ. შვეიცერიის აზრით, მოყვანილი მაგალითების ანალოგიური შემთხვევები, როცა უსულო, აბსტრაქტულ ცნებათა გამომხატველ სახელებს მიეწერება ისეთი მოქმედებების შესრულება, რისი უნარიც მათ საერთოდ არ შესწევს, ინგლისურისათვის ტიპურია (33-128).

ქართულში გარდამავალ ზმნას, პირიან ფორმაში, რომელიც გამოხატავს ასეთ აქტიურ მოქმედებას, იშვიათად შეეწყობა ქვემდებარედ აბსტრაქტული სახელი. საეჭვოა, რომ ქართული ენის ნორმებს შეესაბამებოდეს ასეთნაირად გაწყობილი გამონათქვამი: ავიაკატასტროფამ ილინოისში მოკლა სამოცდათვრამეტი კაცი ან – უამინდობამ დასვა თვითმფრინავი ლონდონის აეროპორტში, ან – პარტიულმა გათიშულობამ აირჩია ლინკოლნი. საქმე ის არის, რომ ქართულში ზმნა-პერფორმატივის გარდამავალ პირიან ფორმას ძირითადად შეეწყობა მოქმედების აგენსი და არა ისეთი აბსტრაქტული სახელი, რომელიც გამოხატავს განხორციელებული მოქმედების ან არსებული მდგომარეობის მიზეზს. მიუხედავად ამისა, ქართულშიც ითქმის: სიღარიბემ აიძულა ქურდობა დაეწყო; გათიშულობამ დალუპა საქართველო; ან – ღალატმა გადაწყვიტა ომის ბედი. ყველა ამ კონკრეტულ გამონათქვამში ქვემდებარე (აბსტრაქტული სახელი) არის მიზეზი შემასმენლით გამოხატული მოქმედებისა (სიღარიბე არის ქურდობის დაწყების მიზეზი, „გათიშულობა“ დალუპვის მიზეზია, „ღალატი“ კი – ომის ბედის გადაწყვეტისა), მაგრამ ყველა მოყვანილ შესიტყვებაში გამონათქვამი, როგორც ითქვა, გადატანითი, მეტაფორული მნიშვნელობითაა გააზრებული და არა პირდაპირი, მაშინ, როცა ზემოთ მოყვანილ ინგლისურ ზმნებში (killed – მოკლა, brought down – დასვა, elected – აირჩია) ძნელია შევიცნოთ მეტაფორიზაციის ეფექტი. შეპირისპირებულ ენათა სპეციფიკა, ამ შემთხვევაში, იმაში მდგომარეობს, რომ აღნიშნულ ზმნა-პერფორმატივებთან შეწყობის უნარის მქონე აბსტრაქტულ სახელთა სპექტრი ინგლისურში გაცილებით უფრო ფართოა, ვიდრე ქართულში.

იმის გამო, რომ აღნიშნული მიზეზებით თარგმანში ზშირად ვერ ხერხდება წყარო ენის სტრუქტურულ-სემანტიკური მოდელის შენარჩუნება, მისი შენაცვლება ხდება ამ ფორმათა კონვერსიებით (კატასტროფაში დაილუპა სამოცდათვრამეტი ადამიანი; უამინდობის გამო თვითმფრინავს ლონდონში მოუხდა დაჯდომა; პარტიული გათიშულობის გამო არჩევნებში ლინკოლნმა გაიმარჯვა).

ვნახოთ კიდევ ერთი მაგალითი, რომელშიც ზემოხსენებულ მიზეზებით წყარო ენის კომუნიკაციური სტრუქტურის ზმნური კომპონენტი შენაცვლებულია მისი მეტაფორული კონვერსიით:

“The watchmen shrank into their boxes, whither the searching rain

followed them – where the crushing thunderbolt fell and destroyed them” (5-74).

„დარაჯები ჯიხურებში შეკრუნჩხულიყვნენ, ოღონდ აქაც არ ასვენებდათ მათ აედარი... მგრგვინავი მეხი ეცემოდა და ანადგურებდა მათ“ (19-86).

როგორც ვხედავთ, ზმნა “follow” შენაცვლებულია მეტაფორული ტრანსფორმით, რამდენადაც პირდაპირი თარგმანი („აედარი (ან „წვიმა“) იქაც მისდევდა მათ“) ქართული ენის თვალსაზრისით არაბუნებრივი შესიტყვება იქნებოდა.

სემანტიკურ ტრანსფორმაციათა განსაკუთრებული სახეობა, რომელშიც აღინიშნება სემანტიკური ერთეულების კონოტაციური მნიშვნელობათა თარგმანში შენარჩუნება ან ნეიტრალიზაცია, უმეტესად დაკავშირებულია ფრაზეოლოგიის სფეროსთან და თავს იჩენს მეტწილად მხატვრულ თარგმანში. ამ შემთხვევაში მხედველობაში გვაქვს შეპირისპირებულ ენათა ლექსიკურ-ფრაზეოლოგიურ ფონდებში დამკვიდრებული და აღნუსხული ფრაზეოლოგიზმები და არა ოკაზიური, სიახლისა და სუბიექტივიზმის ნიშნით აღბეჭდილი ენობრივი წარმონაქმნები, რომლებსაც ვიხილავთ ქვემოთ, ენობრივ უნიკალიზმებთან დაკავშირებულ განაკვეთში.

გამომდინარე იმ გარემოებიდან, რომ ე. წ. ფრაზეოლოგიზმებს განეკუთვნება უმეტესად ისეთი სიტყვათშეთანხმებანი, რომლებიც შეიცავს გარკვეულ ხატოვანებას, მეტაფორისა და მეტონიმის ეფექტს, ტრანსფორმაციის სახეობებს, რომლებსაც ეს ენობრივი ერთეულები საჭიროებს თარგმანში, განსხვავებთ სწორედ მათი კონოტაციური მნიშვნელობის შენარჩუნების, შეძენის ან პირიქით – მათი ნეიტრალიზაციის ნიშნით. აქედან გამომდინარე, თარგმნით ტრანსფორმებში ამ ერთეულებმა შეიძლება განიცადონ:

ა) რემეტაფორიზაცია:

ეს იმას ნიშნავს, რომ თარგმნით ვარიანტში ფრაზეოლოგიზმები შენაცვლებულია ლექსიკური კომპონენტებით განსხვავებული, მაგრამ სემანტიკურად და ექსპრესიულ-სტილისტური ეფექტი ეკვივალენტური ტრანსფორმებით. მაგალითად,

“I do not set my life at a pin's fee” (14^b-37).

„ჩემი სიცოცხლე ჩალის ფასად არ მიმაჩნია“ (28^b-107).

“I take off my hat to him. In his way he's the cleverest of all of us”

(12-137).

„ქედს ვიხრი მის წინაშე, ასე თუ ისე, ჩვენში ყველაზე ჭკვიანი გამოდგა“ (26-148).

ბ) დემეტაფორიზაცია:

“They talked about the sea as a career, a subject which Martin had at his finger-ends and Mr. Morse remarked afterward that he seemed a very clear-headed young man” (2-48).

„ისინი ლაპარაკობდნენ საზღვაო სამსახურზე როგორც კარიერაზე. ამ საქმეს მარტინი ერთობ კარგად იცნობდა და მისტერ მორზმა შემდეგ დაახასიათა იგი, როგორც ერთობ გონებამახვილი ახალგაზრდა“ (16-345).

ამ შემთხვევაში ფრაზეოლოგიზმი შენაცვლებულია თარგმანში ადეკვატური მნიშვნელობის თავისუფალი შესიტყვებით.

გ) დემეტონიმიზაცია:

“We used to go on long walks in the Dales and live on onions and cheese washed down with mild and bitter” (3-32).

„ველ-მინდერებში რომ ვხეტიალობდით, მარტო ხახვსა და პურს ვჭამდით და მერე ყელის ჩასასუფთავებლად ლუდს დავაყოლებდით ხოლმე“ (17-39).

მეტონიმი “mild and bitter”, რომელიც აღსანიშნის, ანუ სასმელის მეტონიმიური აღმნიშვნელია (მისი გემოს მიხედვით), ჩანაცვლებულია სასმელის სახელწოდებით – „ლუდი“.

დ) მეტაფორიზაცია:

“Swithin had indeed an impatience of simplicity and a love of ormolu” (1-61).

„სუითინი სრულიად ვერ იტანდა უბრალოებას და სული მისდობდა მოოქროვილ ნივთებზე“ (15-42).

ნეიტრალური კონოტაციის სიტყვა “love” შენაცვლებულია ფრაზეოლოგიზმით – „სული მისდიოდა“.

“Relatives are simply a tedious pack of people, who haven't got the remotest knowledge of how to live, nor the smallest instinct about when to die” (4-300).

„ისინი (ნათესაები – ნ. ს.) ხომ ყველაზე უფრო მოსაბეზრებელი ხალხია. უბრალოდ რომ ვთქვათ, მათ წარმოდგენაც კი არა აქვთ, როგორ უნდა იცხოვრონ, არც იმის მიხედვრა აქვთ, როდის უნდა წაიღონ წერილი“ (18-153).

ნეიტრალური გამონათქვამის ფრაზეოლოგიზაციასთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ ამგვარი ტრანსფორმაციისას განსაკუთრებული ზომიერებაა საჭირო. სიკვდილის ცნებასთან, მაგალითად, ქართულშიც ისევე, როგორც მრავალ სხვა ენაში, არაერთი ეფემიზმი და ფრაზეოლოგიზმია დაკავშირებული: სული განუტევა, მიიცვალა, აღესრულა, სული დალია, სამუდამო განსასვენებელი პოვა, უფალს ჩაბარდა, ჩაბარდა პატრონს, ფეხები გაფშოკა, გაღმა გავიდა, მოუსავალში წავიდა, წერილი წაიღო და ა. შ. ამათგან ზოგიერთს არასალიტერატურო, სასაუბრო ან უხეში კონოტაცია აქვს, ზოგს კი – სალიტერატურო, ზეაწეული და პოეტურიც კი. მთავარია, თუ რომელი ალტერნატიული ვარიანტი მიესადაგება კონკრეტულ კონტექსტს, საგნობრივ სიტუაციას. სწორი არჩევანი დამოკიდებულია, რა თქმა უნდა, მთარგმნელის ენობრივ და კომუნიკაციურ კომპეტენციაზე. ამ ბოლო მაგალითში აქტივიზებული ვარიანტი („წერილის წაღება“) უხეში სასაუბრო ფორმაა, მაგრამ არც თუ უადგილოა ამ კონკრეტულ სიტუაციაში, რამდენადაც ეს რეპლიკა ეკუთვნის ნათესაებზე გულმოსულ ადამიანს, რომლის ცხოვრების წესი გაკილევისა და ჭორაობის საგანია ნათესავთა წრეში.

“A tall woman a beautiful figure, which some member of the family had once compared to a heathen goddess, stood looking at these two with a shadowy smile” (1-35).

„კოხტად ნაქანდაკარი ქალი, ფორსაიტთა ოჯახის რომელიღაც წევრმა

წარმართთა ღვთაებას რომ შეადარა, იქვე იღვა და ჯუნსა და

ბოსინის ოღნავ გაღიმებული შესცქეროდა“ (15-13).

ამ შემთხვევაში ტრანსფორმი „კოხტად ნაქანდაკარი“ მეტაფორიზირებული ფორმა ინგლისური ნეიტრალური კონოტაციის მქონე შესიტყვებისათვის “A tall woman with a beautiful figure”. მისი მოტივაცია თვითონ კონტექსტშია საძიებელი, სადაც ნათქვამია, რომ მას “წარმართთა ღვთაებას“ ადარებდნენ, რამაც მთარგმნელში გამოიწვია ფსიქოლოგიური ასოციაცია სწორედ ქანდაკებასთან, როგორც ამ ღვთაებათა ვიზუალური წარმოდგენის ერთადერთ, ადამიანისათვის ხელმისაწვდომ მატერიალურ ფორმასთან.

რაც შეეხება კიდევ ერთ შესიტყვებას ამ ნაწყვეტში – “shadowy smile”, რომელიც ჩანაცვლებულია თარგმანში შესიტყვებით „ოღნავ გაღიმებული“, ანუ, რომელიც დემეტაფორიზებულია, მისთვის მონახულია ქართულისათვის უფრო ბუნებრივი ფორმა და მსაზღვრელის (“shadowy) სემებიდან: “full of shade” (ჩრდილიანი); “causing shade” (მაჩრდილობელი); “unsubstantial” (არაარსებითი, არანითვითერი, არარეალური); “unreal” (არანამდვილი); “dimly seen” (არააშკარა, ბუნდოვანი); “obscure”*. (ბუნდოვანი, გაუგებარი, გაურკვეველი) აქტივიზებულია სემა „ბუნდოვანი“, „არააშკარად გამოკვეთილი“. აქედან წარმოსდგა თარგმანში ქართულისათვის უფრო ბუნებრივი „ოღნავ გაღიმებული“ (და არა აშკარად გაღიმებული).

ე) ა ნ ტ ო ნ ი მ უ რ ი თ ა რ გ მ ა ნ ი :

“Aunt Ann had kept her room for many days.”

„პაპიდა ენი ზომ კარგა ხანია გარეთ ვეღარ გამოდიოდა“.

ვ) სემანტიკური ტრანსფორმაციის ერთ-ერთი სახეობაა ასევე უ ც ხ ო უ რ ი ს ი ტ ყ ვ ი ს ა ნ ფ რ ა ზ ი ს თ ა რ გ მ ნ ი თ ი ვ ა რ ი ა ნ ტ ი თ შ ე ნ ა ც ვ ლ ე ბ ა თარგმანის ტექსტში:

“Family dinners of the Forsytes observe certain traditions. There are for instance, no hors d’anvres. The reason for this is unknown”

(1-66).

* New Webster's Dictionary...

„ფორსაიტების ოჯახურ სადილებს თავისი ტრადიცია ჰქონდა.

ეს ტრადიცია იმაში მდგომარეობდა, რომ სადილზე საუზმე არ მოჰქონდათ“ (15-47).

ტრანსფორმაციის ასეთი შემთხვევები მართებულად არ მიგვაჩნია. საქმე ის არის, რომ უცხოენოვან სიტყვებს, და ზოგჯერ საკმაო მოცულობის ტექსტებსაც, მუდამ განსაკუთრებული სტილისტური დატვირთვა აქვს ორიგინალში. ზოგ შემთხვევაში, როცა ამას მოითხოვს ნაწარმოების სიტუაცია, უცხოენოვან ერთეულთა ინტერფერენცია ორიგინალის ენაში უცხოური კოლორიტის ეფექტის შექმნას ემსახურება, სხვა შემთხვევაში, განსხვავებულ იმპლიკაციას შეიძლება შეიცავდეს. მაგალითად, ფრანგული სიტყვების ან გამოთქმების შეჭრა ორიგინალის ენობრივ ქსოვილში (რისი მაგალითიც იყო წარმოდგენილი ზემოთ), განსაკუთრებით ისეთ კონტექსტში, სადაც ლაპარაკია კერძებზე, ჩაცმა-დახურვაზე, აღწერილია სალონური სიტუაცია საზოგადოების მაღალ ფენათა ცხოვრებიდან და სხვ., მიზნად ისახავს ევროპული და ზოგიერთი სხვა ქვეყნების ცხოვრების სხვადასხვა სფეროებზე ფრანგული მოდის და ქცევის ეტიკეტის დიდი გავლენის და მიმბაძველობის ტენდენციის აქცენტირებას, რაც განსაკუთრებით დამახასიათებელი იყო მე-19 საუკუნის ევროპული ცხოვრების წესისათვის. ამდენად, ამ იმპლიკაციის განეიტრალება თარგმანის ტექსტში, პრაგმატიკის თვალსაზრისით, არ უნდა იყოს გამართლებული.

როგორც ითქვა, ტრანსფორმაციათა ზემოთ აღწერილი სახეობები უმეტესად მხატვრული თარგმანისა და მასთან ახლოს მდგომი ჟანრული სახეობებისთვისაა დამახასიათებელი და ძალზე ხშირია, როცა შედარებით მცირე ტექსტობრივ მონაკვეთში თავს იჩენს რამდენიმე ამ სახის ტრანსფორმაცია, რაც სრულიად ცვლის გამონათქვამის კომუნიკაციურ სტრუქტურას.

განვიხილოთ კიდევ ერთი ნაწყვეტი, რომელშიც თარგმანის ტექსტი, ერთმანეთზე დაშრევებული კომპლექსური ტრანსფორმაციების შედეგად, ორიგინალთან შედარებით, ძალზე სახეცვლილია. ეს გამოწვეულია არა მარტო სემანტიკური კონვერსიების სიჭარბით, არამედ ფორმალურ-სტრუქტურული ტრანსფორმაციებითაც.

“The club which Old Jolyon entered on the stroke of seven was one of those political institutions of the upper middle class which have

seen better days. In spite of being talked about, perhaps in consequence of being talked about, it betrayed a disappointing vitality. People had grown tired of saying that the "Division" was on its last legs. Old Jolyon would say it too, yet disregarded the fact in a manner truly irritating well constituted Clubmen" (1-51).

„კლუბი, რომელშიც მოხუცმა ჯოლიონმა ზუსტად შეიღ საათზე შესდგა ფეხი, მსხვილი ბურჟუაზიის ისეთი დაწესებულება გახლდათ, ერთი ნეტარი დრო რომ უკვე გამოვლილი ჰქონდა. მიუხედავად იმისა, რომ ამ კლუბზე ამბობდნენ, სულს დაფავს და მალე დაიშლებაო, იგი ალბათ სწორედ ამ მოლაყბეთა ჯიბრზე, დიდ სიცოცხლისუნარიანობას იჩენდა და იმედებს უცრუებდა თავის არაკეთილმოსურნეებს. ბოლოს და ბოლოს მოლაყბენი „დაიშლება“, „დაიშლებას“ ძახილით მოიღალნენ და მიწყნარდნენ. მოხუცი ჯოლიონიც იტყოდა ხოლმე ნამდვილ კლუბმენტა გასალიზიანებლად, დაიშლებაო, მაგრამ თვითონ მაინცა და მაინც თავს არ მოიკლავდა, თუ მართლაც დაიშლებოდა კლუბი“ (15-30).

ტექსტის ამ ორენოვანი ვარიანტის ბწყარედული შეპირისპირებისას თავს იჩენს ის გარემოება, რომ სემანტიკური ტრანსფორმაციები გამონათქვამის სტრუქტურულ აგებულებაშიც იწვევს რადიკალურ ცვლილებებს. მაგალითად, ორიგინალის მარტივ წინადადებაში მეტაფორულად გამოთქმული აზრი – “it betrayed a disappointing vitality” (რომლის ზუსტი თარგმანი იქნებოდა: კლუბი ამჟღავნებდა იმედისგამაცრუებელ სიცოცხლისუნარიანობას) გამოხატულია შერწყმული წინადადებით და ამდენად, ორი ზმნა-შემასმენლით: „იგი სიცოცხლისუნარიანობას იჩენდა“ და „იმედებს უცრუებდა არაკეთილმოსურნეებს“. მიმღეობის ტრანსფორმაციამ გარდამავალი ზმნის პირიან ფორმაში მოითხოვა დამატებაც, რასაც შედეგად მოჰყვა დამატებითი ლექსიკური ერთეულის შეტანა თარგმანში (არაკეთილმოსურნეებს). ამას გარდა, ნიშანდობლივია სემანტიკური ბლოკების განსხვავებული განლაგება ორიგინალსა და

თარგმანში. თარგმანი ერთგვარად „წინ უსწრებს“ ორიგინალს, კერძოდ, ორიგინალში მეტაფორულად გამოთქმული აზრი კლუბის დაშლის თაობაზე (“Division was on it’s last legs” – „კლუბი სულს ღაფავს და მალე დაიშლება“), როგორც ერთ-ერთი სემანტიკური ბლოკი, უფრო ადრეა ჩამონტაჟებული თარგმანის ტექსტში, ვიდრე ორიგინალში, სადაც თავდაპირველად, ორ სემანტში ზედინედ, მხოლოდ ისაა თქმული, რომ კლუბის თაობაზე ჭორები ვრცელდებოდა (“in spite of being talked about: “in consequence of being talked about”), ხოლო ის, რომ ჭორი კლუბის დაშლას შეეხებოდა, ამას ორიგინალიდან უფრო გვიან ვიტყობთ, ვიდრე თარგმანიდან.

გარდა ამისა, ნეიტრალურ შესიტყვებაში გამოთქმული აზრი – “Jolyon disregarded the fact” – თარგმანში ფრაზეოლოგიზებულია – „თვითონ მაინცა და მაინც თავს არ მოიკლავდა“. ასეთივე ნეიტრალური კონოტაციის მქონე სიტყვა “people” შენაცვლებულია უფრო ექსპრესიული, კონტექსტით მოტივირებული ერთეულით „მოლაყენი“. ზემოაღნიშნულ ცვლილებებს, რომ არაფერი ვთქვათ მორფოლოგიური დონის ტრანსფორმაციებზე, შედეგად მოჰყვა ის, რომ თარგმანის ტექსტი რადიკალურადაა მოდიფიცირებული, სახეცვლილია გამონათქვამის მთელი სტრუქტურულ-სემანტიკური ნიშნები, მაგრამ, მიუხედავად ამისა, აზრობრივი ინვარიანტიც შენარჩუნებულია და კონოტაციური მახასიათებლებიც. შეიძლება ითქვას, რომ მოყვანილი ნაწყვეტი ერთ-ერთი იმ იშვიათ შემთხვევათაგანია, როცა თარგმანში არ აღინიშნება არც დენოტაციური და არც კონოტაციური მნიშვნელობის დანაკარგები. რაც მთავარია, თარგმანის მკითხველს მიეწოდება ინფორმაცია მისთვის ბუნებრივ ენობრივ ფორმებში. ეს ყოველივე კიდევ ერთხელ მოწმობს ადრე გამოთქმული თეზისის მართლზომიერებას – თარგმანში ეკვივალენტურობა მიღწევადია არა მარტო ეკვივალენტური სემების აქტივიზაციით და არა მარტო სტრუქტურულ-გრამატიკულ ფორმათა ეკვივალენტურობით, არამედ განსხვავებულ ენობრივ ფორმათა კომბინაციებით და რომ ენათა სისტემების განსხვავებულობა არ არის ხელისშემშლელი ფაქტორი აზრობრივი ინვარიანტის შენარჩუნებისათვის.

პრაგმატულ-ფუნქციონალური
ტრანსფორმაციების

ლინგვისტური დეტერმინანტები

ნაშრომის იმ განაკვეთში, რომელშიც ვიხილავდით თარგმანის ეკვივალენტურობის განსხვავებულ დონეებს, აღენიშნეთ, რომ პრაგმატული დონის ეკვივალენტურობა უმაღლესია ეკვივალენტურობის დონეთა იერარქიაში, რამდენადაც გულისხმობს პირველადი შეტყობინების კომუნიკაციური ეფექტის შენარჩუნებას მეორად კომუნიკაციაში, განურჩევლად ტექსტის ფუნქციონალური სახეობისა. კომუნიკაციური ეფექტის შენარჩუნება კი ნიშნავს ტექსტის ფუნქციონალურ დომინანტთა ანალოგიზაციას თარგმანში. ადრე ითქვა ისიც, რომ პრაგმატიკის მოქმედება თარგმანის ტექსტის კონსტრუირებაზე განსაკუთრებით საგრძნობია, ანუ ექსპლიციტურია მაშინ, როცა საჭირო ხდება არაკონვენციონალური ენობრივი ფორმების, მრავალგვარი ენობრივი უნიკალიზმების, ანუ ე. წ. „უთარგმნელი ელემენტების“ ფუნქციათა ტრანსპოზიცია თარგმანში. ითქვა, აგრეთვე, რომ სწორედ ასეთი შემთხვევები წარმოქმნის იმ საგანგებო ენობრივ ძიებათა საჭიროებას, რომელთა საშუალებით შესაძლებელი ხდება ორიგინალისა და თარგმანის კომუნიკაციური ეფექტის გაწონასწორება. ტრანსფორმაციათა იმ სახეობებს, რომლებიც დაკავშირებულია არა იმდენად ენათა სისტემისმიერ სპეციფიკასთან, რამდენადაც ენის მოხმარების ხშირად უკიდურესად სუბიექტურ შემთხვევებთან, არაკონვენციონალურ, ოკაზიურ ენობრივ წარმონაქმნთა თარგმანში ტრანსპოზიციასთან, პირობითად ვუწოდეთ პ რ ა გ მ ა ტ უ ლ - ფ უ ნ ქ ც ი ო ნ ა ლ - უ რ ი ტ რ ა ნ ს ფ ო რ მ ა ც ი ე ბ ი. ასეთი არაკონვენციონალური ენობრივი გამოხატვის ფორმები მეტწილად შეიცავს ექსპრესიულ, ემოციურ კონოტაციას და ამდენად, მათი გამოყენების სფერო აპელაციური ხასიათის ტექსტები და ბელეტრისტიკაა. აქედან გამომდინარე, მხატვრული ტექსტის თარგმანი ძალზე მდიდარ მასალას შეიცავს ამ ენობრივ ფორმათა მეორე ენაში ტრანსპოზიციის შემთხვევებზე დაკვირვებისათვის.

მხატვრული ტექსტის პრაგმატული ინტენცია, როგორც ადრე ითქვა, მკითხველზე ემოციურ-ესთეტიკურ ზემოქმედებაში მდგომარეობს, რაც ასახვას პოეებს მის ფუნქციონალურ დომინანტებ-

ში. ასეთად მივიჩნევთ ექსპრესიულობის ნიშნით აღბეჭდილ და ზემოქმედებითი პოტენციის შემცველ სხვადასხვა დონისა და მრავალგვარი კონოტაციური მნიშვნელობის მქონე ენობრივ საშუალებებს, რომლებიც განფენილია მხატვრული ტექსტის მთელ სტრუქტურაში. მკითხველზე ზემოქმედების ყოველგვარი საშუალება მხატვრულ თარგმანში, შეიძლება ითქვას, „დაპროგრამებულია“ ორიგინალის ტექსტით, რომელშიც აშკარადაა გამოკვეთილი ენობრივ ფორმათა შერჩევის ავტორისმიერი ტენდენცია. ეს კი ხშირად ძალზე სუბიექტურ და ინდივიდუალურ ხასიათს იღებს. მაგრამ *რავგვარიც არ უნდა იყოს ტექსტის კონსტრუირების ავტორისმიერი ტექნიკა, მთარგმნელის ამოცანაა არა ენობრივ ფორმათა რეგულარიზაცია, არამედ სწორედ არარეგულარული გამოხატვის ფორმების ფუნქციონალური ანალოგიზაცია.* ამ ანალოგიზაციის სრულყოფილება კი ბევრადაა დამოკიდებული მთარგმნელის რეცეპტორულ შესაძლებლობებსა და რეპროდუცირების მისმიერ უნარზე, რომელიც გათვლილი უნდა იყოს თარგმანის ადრესატის ენობრივ კომპეტენციასა და ზოგად თეზაურუსზე.

§1. ენობრივ უნიკალიზმთა ტრანსპოზიცია თარგმანში

მხატვრულ ტექსტში მკითხველზე ემოციურ-ესთეტიკური ზემოქმედებისათვის მობილიზებულია ექსპრესიულ საშუალებათა და ტიპიზებულ სტილისტურ ხერხთა მთელი „არსენალი“, მაგრამ, როგორც ზემოთ ითქვა, *თარგმანის პრაგმატიკისათვის, რომელიც მიზანმიმართულია კომუნიკაციური ეფექტის გაწონასწორებაზე, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ის შემთხვევები, როცა ორიგინალის ტექსტში რაიმე იმპლიკაციით ან სტილისტური ნიშნადობით დატვირთულია ისეთი ენობრივი კატეგორია, რომლის ანალოგი თარგმანის ენას არ გააჩნია, ან თუ გააჩნია, იგი არ ამჟღავნებს სასურველი ეფექტის გამოხატვის უნარს. სწორედ ამგვარი ენობრივი ლაკუნები წარმოქმნის პრაგმატულ-ფუნქციონალური ტრანსფორმაციების უკიდურეს საჭიროებას.*

ის იმპლიკაცია, რომელსაც შეიძლება შეიცავდეს, მაგალითად, არტიკლის კატეგორია იმ ენებში, რომელთა სისტემაშიც იგი არსებობს, შესაძლოა სრულიად განეიტრალებდეს ტექსტის ტრანსპონირებისას იმ ენაზე, რომელსაც ეს კატეგორია არ გააჩნია, თუ

მისი იმპლიკაცია არ გამოიხატა სხვა დონეთშორისი საშუალებით. აქედან გამომდინარე, არტიკლი ენათა ისეთ წყვილებში, როგორცაა: ინგლისური და ქართული, ან ინგლისური და რუსული, უნდა მივიჩნიოთ ინგლისურის უნიკალიზმად;* ან მაგალითად. იგივე დაპირისპირებულ წყვილებში, ქართული და რუსული ენების უნიკალურ ენობრივ მოვლენად, ინგლისურთან შეპირისპირებისას, უნდა მივიჩნიოთ მოსაუბრეთა ფამილიარული, ან პირიქით – ოფიციალური ურთიერთობის ისეთი ინდიკატორი, როგორცაა ნაცვალსახელებში გამოვლენილი ოპოზიცია – „შენობით“ და „თქვენობით“ მიმართვის ფორმები – რომლის გამოხატვაც ინგლისურ ენას არ ძალუძს.

ენობრივი ლაკუნები შეიძლება ენის ნებისმიერ დონეზე გამოვლინდეს. განვიხილოთ, მაგალითად, ქართულ ენაში არსებული ერთ-ერთი გრამატიკული ლაკუნის არსებობის ნიადაგზე წარმოქმნილი პრაგმატული, დონეთშორისი ტრანსფორმაციის საჭიროების საინტერესო შემთხვევა. ქართული ენისათვის, ინგლისური და რუსული ენებისაგან განსხვავებით, არ არის დამახასიათებელი სქესის დისტინქცია ნაცვალსახელებში და თუ ინგლისურ ტექსტში ნაცვალსახელის სქესის რომელიმე ოპოზიციური ფორმა შეიცავს რაიმე იმპლიკაციას, ქართული ენის სისტემა არ იძლევა ამ ეფექტის გამოხატვის საშუალებას იმავე გრამატიკული კატეგორიით, ანუ შიდადონეობრივი ტრანსფორმაციით.

ქვემოთ მოყვანილ ნაწყვეტში შექსპირის ერთ-ერთი კომედიიდან გათამაშებულია ასეთი სიტუაცია: უკურნებელი სენით შეპყრობილ მეფეს, რომელიც იმედგადაწურული, საუკეთესო მკურნალებსაც კი აღარ იკარებს (და მით უფრო არ გაიკარებს ექიმბაშ ქალს, რადგან იმხანად, როგორც ჩანს, ქალი, როგორც მკურნალი, დიდ ნდობას არ იმსახურებდა), ეახლა სასახლეში ექიმბაშში ქალიშვილი. ერთ-ერთი დიდებული, რომელმაც უნდა ამცნოს მეფეს მისი მოსვლა, ცდილობს ექიმბაშის გადაჭარბებული შექებით თან განაწყოს მეფე მისადმი ნდობით და თანაც ფრთხილად შეაპაროს ის, რომ მკურნალი ქალია და არა მამაკაცი.

Lafeau: I've seen a medicine

* რამდენადაც ინგლისური არტიკლის ტრასპოზიციის საშუალებები ქართულ თარგმანში სრულადაა განხილული მ. ნათაძის გამოკვლევაში (101). ამ საკითხზე ურადლებას აღარ შევანერებთ.

That's able to breath life into a stone,
Quicken a rock and make you dance canary
With spitelly fire and motion whose simple touch
Is powerful to arise King Pepin, ney,
To give great Charlemain a pen in's hand
And write to her a love line.

King: What her is this?

Lafeau: Why, doctor's she, My Lord. There' one arrived"

(14th-26).

მღედრობითი სქესის ნაცვალსახელში გამოხატული იმპლიკაცია ზუსტად გადადის რუსულ თარგმანში, რამდენადაც რუსულ ნაცვალსახელში გამოხატული სქესის დისტინქცია ამის საშუალებას იძლევა:

Лафе: Лекарство есть, что оживит и камень;
Встряхнет скалу, вас танцевать заставит
Кананский танец, живо и с огнем!
Пипина воскресит, даст в руки Карлу
Великому перо, чтоб написать ей

Любовное письмо!

Король: Что значит "ей"?

Лафе: Да, врач – она, к вам этот врач приехал
и ждет приема" (29-640).

მეფის გოცება და რისხვა ინგლისურ და რუსულ ტექსტებში გამოხატულია მის რეპლიკაში: "What her is this?" "что значит ей?" ხოლო სასურველი ეფექტი ქართულ თარგმანში მარტოოდენ დონეთშორისი ტრანსფორმაციით გახდა შესაძლებელი:

ლაფე: არის მკურნალი საოცარი, ამბობენ ქვასაც
შეუძლიაო მან სიცოცხლე ჩაუდგას ძარღვში,
დააწყებინოს კლდეებს როკვა და ხეიბარსაც
მუხლის თავებზე აცეკვებსო მისი შეხება,

1 / თვით პიპინ მოკლეს გააღვიძებს ცივ სამარეში,
აალებინებს ზელში კალამს მეფე კარლოსსაც
და სასწაულქმელს, ვინაც მკვლრეთით ის აღადგინა,
იგი ამ კალმით სატრფიალო ბარათებს მისწერს.“

მეფე: ს ა ტ რ ფ ი ა ლ ო ს ო ?

ლაფე: ეგ მკურნალი ქალია, მეფეც

ეს წუთი არის აქ გეახლათ“ (28^ბ-37).

სასურველმა ეფექტმა, როგორც ვხედავთ, ნაცვალსახელიდან გადაინაცვლა სიტყვაზე „სატრფიალოსო?“ მეფის გაოცების საბა-
ბი გახდა ის, რომ კარლოსმა სატრფიალო წერილები უნდა მის-
წეროს იმას, ვინც მის წარმოდგენაში მამაკაცია და არა ქალი.
სათანალო ეფექტის კომპენსაცია ღონეთშორისი ტრანსფორმაცი-
ით გახდა შესაძლებელი.

ინგლისური ბელეტრისტული, პუბლიცისტური, განსაკუთრე-
ბით კი საგაზეთო ფუნქციონალური სტილის ტექსტებში აქტივი-
ზებულ უნიკალიზმებში დიდი ზვედრითი წონა აქვს ა რ ა კ ო -
ნ ვ ე ნ ც ი ო ნ ა ლ უ რ, ო კ ა ზ ი უ რ მ ო დ ე ლ ე -
ბ ზ ე ა გ ე ბ უ ლ რ თ უ ლ ს ი ტ ყ ვ ე ბ ს, რომლებშიც
კონდენსირებულია მთელი სინტაგმა ან წინადადებაც კი. ამ თვალ-
საზრისით, ქართულიც არანაკლებ მდიდარია სიტყვათქმნადობის
მოდელებით, იმ განსხვავებით, რომ ქართული უფრო მეტად ავ-
ლენს სხვადასხვა მეტყველების ნაწილთა ზმნად მოქცევის ტენ-
დენციას, მათ კონვერსიას ზმნურ ფორმაში,* ინგლისურისათვის
კი დამახასიათებელია არა მარტო ცალკეულ სიტყვათა ვერბალი-
ზაცია, არამედ ფრაზათა და სინტაგმათა ატრიბუტიზაციის გან-
საკუთრებული სიხშირეც, ანუ მათი კონდენსირება ერთ სიტყვა-
ფორმაში. დამახასიათებელია ასევე სიტყვათა პიბრიდიზაცია, რაც
ასევე ოკაზიური სიტყვათქმნადობის შემთხვევებს განეკუთვნება.
სიტყვათქმნადობის ეს ტენდენციები განსაკუთრებულ მნიშვნელობას
იძენს თარგმანის პრაგმატიკისათვის, რამდენადაც ოკაზიური ნე-

* დ. ფანჯიკიძე, როცა გამოთქვამს აზრს იმის თაობაზე, რომ ქართული გერმანულ ენასთან შედარებით უფრო „ზმნური ენაა“, გეთავაზობს ქართული პოეზიიდან ამოკრეფილ სიტყვათა ზმნად მოქცევის არაერთ შესანიშნავ მაგალითს (4-80). ქართული ენის იგივე ტენდენციაზე მიუთითებენ შ. ძიძიური (113-6) და რ. თვარაძე (104-161).

ოლოგიზმების ექსპრესიული, შემფასებლური ან ემოციური პოტენცია და მათი წვლილი ორიგინალის სტილისტური იერსახის ანალოგიზაციაში ხშირად ძალზე დიდია. მიუხედავად ასეთი ეფექტის ანალოგიზაციის სირთულისა, ქართულ მთარგმნელობით პრაქტიკაში შედარებით იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდება ორიგინალის სპეციფიკით სტიმულირებული ოკაზიური სიტყვათქმნადობის მაგალითები. მხედველობაში გვაქვს, პირველ ყოვლისა, ივ. მაჩაბლისეული ვირტუოზული ნეოლოგიზმები შექსპირის ტრაგედიათა მისმიერ თარგმანებში.

„ივ. მაჩაბელი“, წერს ვ. ჭელიძე, „სარგებლობს ქართული ზმნის საოცარი ელასტიკურობითა და მოქნილობით; ხშირად იგი გაბედულად იყენებს ამ შესაძლებლობას და ისეთ სიტყვას მოაქცევს ხოლმე ზმნის ფორმაში, რაც ადრე ლიტერატურაში და სასაუბრო ენაშიც კი არ ხმარებულა“ (114-257). ვ. ჭელიძის დაკვირვებით, ივ. მაჩაბელი ნეოლოგიზმებს მარტო თარგმანში როდი ქმნის, ეს სპეციფიკური და ძალზე შთაბეჭდავი ფორმები ხშირად გვხვდება მის პუბლიცისტიკასა და პირად წერილებშიც. ამის დასტურად ვ. ჭელიძეს ივ. მაჩაბლის ნაწერებიდან მოჰყავს სიტყვათა თხზვის ძალზე საინტერესო მაგალითები: „გულწრფელმა კაცმა მარტო სხვის შესახებ კი არ უნდა „გ უ ლ წ რ ფ ე ლ ო ს,“ „რა გითხრათ, როცა ევროპული განათლება ვერ გ ა ი ძ ვ ა ლ რ ბ ი ლ ე თ“ და სხვ. რთული სიტყვის ვერბალიზაციის შემთხვევას ვხედავთ ასეთ მაგალითში: “Be not a niggard of your speech” „ყველა მითხარი, ნუ ს ი ტ ყ ვ ა ძ ვ ი რ ო ბ“.

ზმნად მოქცევის გარდა, რაზეც მიუთითებს ვ. ჭელიძე, ივ. მაჩაბლის ნაწერებში თავს იჩენს მოულოდნელი კონვერსიის სხვა შემთხვევებიც: „უ ჩ ე მ ს ი ტ ყ ვ ო ლ ა ც ყველაფერს გამოამჟღავნებს“, „უ მ ა გ დ ი ღ ე ბ ო ღ ველარ იცოცხლებს“ და ა. შ.

აქვე უნდა აღვნიშნოთ ერთი გარემოება, ივ. მაჩაბლის მთარგმნელობითი სტილისათვის ნეოლოგიზმების თხზვა დამახასიათებელია ისეთ სეგმენტებშიც, სადაც ორიგინალის მიხედვით თავისუფალი შესიტყვებაა და ნეოლოგიზმის შექმნის საჭიროება არ ჩანს. მაგრამ მთარგმნელის მხრივ ასეთი „თვითნებობა“, ჩვენი აზრით, საკვებით გამართლებულია, რამდენადაც ხელს უწყობს ორიგინალის ავტორის სტილისმიერი ნიშნის წარმოჩენას თუნდაც სხვა სეგმენტში, რომელიც უფრო დამყოლია ასეთი ეფექტისათვის,

ვიდრე ორიგინალის შესაბამისი სეგმენტი თარგმანში. საქმე ის არის, რომ თარგმანში მუდამ მოქმედებს ს ტ ი ლ ი ს ტ - უ რ ი ი რ ა ღ ი ა ც ი ი ს ე ვ ე ქ ტ ი, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ თარგმანის ტექსტში თითო-ორი სხვადასხვა სასურველი სტილისტური ან კონოტაციური ეფექტის შემცველი ერთეულის გამორევაც საკმარისია, რომ მთელ ტექსტზე გავრცელდეს მისი მოქმედება და მთელ ტექსტს მისცეს სასურველი შეფერილობა. ვნახოთ ამის ორიოდ მაგალითი ივ. მაჩაბლის თარგმანებიდან:

“I that am curtailed of this fair proportion,
Cheated of feature by dissembling nature,
Deformed, unfinished, sent before my time
Into this breathing world half made up” (14^ა-37).

„მუხთალ ბუნებას აუუვისვარ უსახურობით
და უსახური, შეთითხნილი გაუურევივარ
ცოცხალთა შორის ნადრევად მ უ ც ლ ი თ ნ ა ს ხ ლ ე -
ტ ი“ (28^ა-6).

ორიგინალის ორი ფრაზის იმპლიკაცია (“sent before my time” და “half made up”) გაერთიანებულია მართლაც ვირტუოზულ ნეოლოგიზმში – „ნადრევად მუცლითნასხლეტი“ (ცნობილია, რომ რიჩარდ მესამე შეიღთვიანი დაიბადა).

მაჩაბლისეული ნეოლოგიზმების შთამბეჭდავი სიახლე და ამავე დროს მათი ქართულისათვის ბუნებრივ ფორმაში მოქცევა, როგორც ვ. ჭელიძე შენიშნავს, იმით აიხსნება, რომ იგი მათ ქმნის ქართულ ხალხურ მეტყველებაში გაგონილი სიტყვების ანალოგიით („წყალძვირი“, „პურძვირი“). ასეთია მისი ნეოლოგიზმი „სიტყვაძვირი“ ქვემოთ მოყვანილ ნაწყვეტში:

“Stay you, imperfect speakers, tell me more.”

„აქ შეიცადეთ, ს ი ტ ყ ვ ა ძ ვ ი რ ნ ო, ყველა მაუწყეთ.“

“My Lord Buckingham, if my weak oratory
Can from his mother win the Duke of York...” (14^ა-27).

„მილორდ ბუკინგამ, თუკი ჩემი მ წ ი რ მ ე ტ ყ ვ ე ლ ე ბ ა

დაათხოვნინებს თავის დედას იორკის მთავარს...“ (28ა-37).

ამ შემთხვევაშიც „მწირმეტყველება“ უთუოდ „მჭვერმეტყველები“ ანალოგიით შეიქმნა (კარდინალს, ვისაც ეს სიტყვები ეკუთვნის, ეტყობა თავისი მჭვერმეტყველების იმედი არა აქვს).

არანორმატიული სიტყვათქმნადობის შედეგად წარმოქმნილი ერთეულები საავტორო თხრობაში მოწმობს ავტორის სუბიექტურ დამოკიდებულებას ენობრივი გამოხატვის ფორმებთან და ხშირად გვიზიდავს თავისი მოულოდნელობით, სიახლით და სითამამითაც.*

არაკონვენციონალურ სიტყვაფორმებს ხშირად მეტალინგვისტური ფუნქციითაც ვხვდებით, კერძოდ, ბავშვური მეტყველების ან უცხოელის მეტყველების ინდიკატორებად.**

ზემოაღნიშნული არაკონვენციონალური ფორმები გამონათქვამს მეტწილად ემოციურ-ექსპრესიულ სიმძაფრეს მატებს, მაგრამ შეიძლება სრულიად ნეიტრალურიც იყოს და ინგლისური ენის ზოგადენობრივი ტენდენციის თანახმად აზრის კომპარესიის მიზნით იქნეს აქტივიზებული, მაგრამ ქართულთან შეპირისპირებისას, ენობრივ უნიკალიზმად უნდა მივიჩნიოთ. ასე, მაგალითად, სიტყვათქმნადობის ერთ-ერთი სპეციფიკური მოდელი ინგლისურში, რომელიც საკმაოდ გავრცელებულია და სწორედ აზრის კომპარესიის საშუალებას წარმოადგენს, არის ალფაბეტის რომელიმე ასოს კონვერსია რთული სტრუქტურის სიტყვის კომპონენტად. გამომდინარე რაიმე საგნის მსგავსებიდან რომელიმე ასოს მოხაზულობასთან, ეს ასო სიტყვაფორმის სახით შედის რთული შედგენილი სიტყვის შემადგენლობაში და ატრიბუტულ დამოკიდებულებაშია მეორე კომპონენტთან: “V-neck” კაბაზე ღრმად ამოჭრილი ყელი (დეკოლტე); “V-formation” ჯარის განლაგების ისეთი ფორმა, როცა ყოველ მომდევნო რიგში მატულობს ჯარისკაცთა ან საბრძოლო ტექნიკის (თვითმფრინავების, ტანკების და სხვ.) რაოდენობა; “X-engine” – ძრავის ერთ-ერთი სახეობა; “T-shirt” – მოკლესახელოებიანი მაისური; “X-braces” – გადაჯვარედინებული

* ასეთი უკიდურესად თამამი დამოკიდებულებით ენობრივ ერთეულებთან ინგლისელ მწერალთა შორის განსაკუთრებით გამოირჩევა, მაგალითად, ჯ. ჯოისი, რომლის ცნობილი ენობრივი ექსპერიმენტის ერთ-ერთი გამოვლინება სწორედ ამგვარი არაკონვენციონალური, ოკაზიური ერთეულებიცაა.

** განსაკუთრებით დამახასიათებელია მათი ამგვარი გამოყენება საყმაწვილო ლიტერატურისათვის, კერძოდ, რ. კიპლინგის, ა. მილნის, ლ. კეროლისა და სხვათა ინდივიდუალური სამწერლო სტილისათვის.

თასმები; "X-cart" — ორთვალა ურიკა, ეტლი და სხვა. გვხვდება ცალკეულ ასოთა კონვერსიის ისეთი შემთხვევებიც, როცა იგი დამოუკიდებელი სიტყვის და წინადადების დამოუკიდებელი წევრის ფუნქციამია: ამ თვალსაზრისით, ვფიქრობთ, საინტერესოა ტრანსფორმაციის ის სახეობა, რომელიც გამოუყენებია ივ. მანაბელს „ანტონიუსი და კლეოპატრას“ ერთ-ერთი ნაწყვეტის თარგმანში:

"I had a wound here that was like "T" and now it's become "H" (14^c-37).

„ჰო, აქ ჭრილობა მქონდა, ქერის მარცვლის ოდენი,

აწ კი პირი ქნა“ (28^b-73).

ჭრილობის შედარება ქერის მარცვლის ზომასთან ვფიქრობთ, შემთხვევითი არ არის. მთიელ ხალხთა ტრადიციის თანახმად, თუ ვინმე დაჭრიდა მეორე კაცს, ეს ამბავი ან სისხლის აღებით მთავრდებოდა, ან დამნაშავეს იმდენი ცხვარი უნდა მიეცა დაზარალებულისათვის, რამდენი ქერის მარცვალიც დაეტეოდა მისი ჭრილობის სიგრძეში... ნატურალისტ მთარგმნელს უთუოდ არ გაუჭირდებოდა ქართულ ალფაბეტშიც მოენახა ორი ისეთი ასო, რომელთაგან ერთი თავისი მოხაზულობით უფრო მცირე იქნებოდა, ვიდრე მეორე (თუნდაც მაგალითად, ასოები „ა“ და „ჰ“), მაგრამ რამდენადაც ქართულისათვის სრულიად უცხოა ანალოგიური გამოხატვის ფორმა, მთარგმნელს ინგლისური კულტურის სპეციფიკისათვის ძალზე მარჯვედ მოუძებნია კომპენსაცია ქართული კულტურის სპეციფიკიდან. კულტურულ რეალიათა ურთიერთჩანაცვლების შემთხვევები, რაც საკმაოდ ხშირია თარგმანის პრაქტიკაში და თარგმანის თეორიაში კ უ ლ ტ უ რ ა თ ა
კ რ ე ო ლ ი ზ ა ც ი ი ს სახელითაა ცნობილი, საზოგადოდ ძალზე ფრთხილ მოპყრობას საჭიროებს. თარგმანის მიმღები კულტურის რეალიათა აქტივიზაცია უცხოური ცხოვრებისეული რეალობის ამსახველ ტექსტში ხშირად იწვევს მიმღები კულტურის კოლორიტის მოჭარბებას, რაც მეტწილად თარგმანის საზიანოდ მოქმედებს. მაგრამ წარმოდგენილ ნაწყვეტში ასეთი საფრთხე, ვფიქრობთ, ნაკლებ მოსალოდნელია, რადგან ის ასოციაცია (მთიელთა ზნე-ჩვეულებასთან), რომელიც შესაძლოა გაუჩნდეს თარგმანის ერთ მკითხველს, დასაშვებია, სრულიად განეიტრალებს მეორე მკითხველის აღქმაში და „ქერის მარცვალი“ გაგებულ იქნეს როგორც სიმცირის გამომხატველი შედარების საფუძველი.

ვერბალიზაცია, ანუ ზმნად მოქცევა ინგლისურში შეიძლება მეტყველების ნებისმიერმა ნაწილმა განიცადოს, კონვერსიისათვის ნაკლებად დამყოლმა თვით ისეთმა სიტყვამაც, როგორცაა ნაცვალსახელი. ცნობილია, რომ ნაცვალსახელი "thou" და მისი ფორმები "thee", "thy", "thine", როგორც ფამილიარული მიმართვის ფორმა, თანამედროვე სასაუბრო ინგლისურში აღარ იხმარება. იგი ამ მნიშვნელობით ძალზე იშვიათად გვხვდება, ისიც მარტოოდენ დიალექტებში, ხოლო ლიტერატურულ ნაწარმოებში ზოგჯერ ტექსტის არქაიზაციის ფუნქციითაა აქტივიზებული. აღინიშნება ამ ფორმათა გამოყენება ადგილობრივი კოლორიტის ეფექტისათვის, მაგალითად, ე. ჰემინგუეის პროზაში ეს ფორმები გვხვდება იმ უცხოელ პერსონაჟთა მეტყველებაში, რომელთა მშობლიურ ენებზე (იტალიური, ესპანური) ეს ფორმები ნორმატიულია. ამ ფორმათა გამოყენების ნორმები ინგლისურში დროთა განმავლობაში ბევრად შეიცვალა. მაგალითად, შექსპირის დროს, როცა ეს ფორმები ნორმატიული იყო, „შენობით“ ლაპარაკი უცხო ადამიანთან მის არაფრად ჩაგდებას, მის დამცირებას ნიშნავდა. ნაცვალსახელის "thou" ვერბალიზაციის საინტერესო შემთხვევას ვხვდებით სწორედ შექსპირის „მეთორმეტე ღამის“ პერსონაჟის ერთ-ერთ რეპლიკაში სერ ტობი ასეთ რჩევას აძლევს სერ ენდრიუსს, რომელიც ეძებს საბაბს, ორთაბრძოლაში გამოიწვიოს თავისი მეტოქე:

"If thou thoust him some thrice it shall not be amiss" (14-17).

„კარგი იქნება, თუ ექვსიოდჯერ შენობითა ც
მოიხსენიებ“ (28ა-299).

ქართულში, როგორც ვხედავთ ნაცვალსახელი ზმნიზებად გარდაისახა და საჭირო შეიქნა სხვა ზმნის შემოყვანა გამონათქვამში.

კონვერციის ისეთი სახეობა, როცა სამუშაო იარაღის სახელწოდება კონვერტირებულია ზმნაში, რომელიც იმ მოქმედებას გამოხატავს, რომელიც ამ იარაღით სრულდება, რისი საკმაოდ დიდი ტენდენცია აღინიშნება ინგლისურში, უცხო არ არის ქართულისთვისაც (ბარავს, თოხნის, ცელავს და სხვ.), მაგრამ ქართულში, როგორც ირკვევა, მაინც შეზღუდულია სახელთა რიცხვი, რომლებიც ასეთ კონვერსიას ექვემდებარება. თუ ინგლისურში შეიძლება ითქვას: he has never penned a line; he penciled down his ideas; he forked in (out) something; it is impossible to knife it off და სხვა, ქართულში

საჭირო ხდება ამ ზმნათა ჩანაცვლება შესიტყვებით (ჩანგლით ამოიღო, დანით გაჭრა). ამდენად, ქართული ენის ნორმათა მიხედვით ეს შემთხვევაც შეიძლება განვიხილოთ შეპირისპირებული ენის უნიკალიზმად.

"As Cedric was spooning out some mashed potatoes for me, Mrs. Thompson stopped him" (3-38).

„როცა სედრიკმა დააპირა კოვზით გაღებულ ჩემთვის კარტოფილის პიურე, მისის თომპსონმა შეაჩერა იგი“ (17-38).

ოკაზიური სიტყვათქმნადობის შემთხვევას მივაკუთვნებთ ასევე ფრაზათა ვერბალისაციის მაგალითებს:

"Whenever he met a great man he grovelled before him, and m y - l o r d e d h i m a s o n l y a f r e e - b o r n B r i t o n c a n d o" (5-159).

„როცა დიდკაცს შეეყრებოდა, ფიანდაზად ეგებოდა ფეხქვეშ, თაყვანსა სცემდა და დიდის მოწიწებით მიმართავდა, როგორც ეს მხოლოდ თავისუფალ ბრიტანელს შეუძლია“ (19-187).

დამახასიათებელია, რომ ზოგიერთი რთული სიტყვა ნაწარმოებია არა სიტყვათმწარმოებელი კონვენციონალური მოდელით, არამედ სინტაგმის მოდელით. ეს ის შემთხვევაა, როცა ერთ ერთეულშია მოქცეული მთელი შესიტყვება, ფრაზა და მთელი წინადადებაც კი. ასეთი რთული სიტყვებია, მაგალითად: "the might-have-been-husband", "Miss-what's-her-name".

სიტყვათქმნადობის ეს ოკაზიური შემთხვევები ე.წ. ეგზოცენტრული მოდელებითაა აგებული, რაც იმას ნიშნავს, რომ მათი ცალკეული კომპონენტები არ განეკუთვნება სიტყვათა იმ ლექსიკურ-გრამატიკულ ჯგუფს, რომელშიც შედის თავად წარმოებული სიტყვა ანუ რთული კომპოზიტი. მაგალითად, "Mr. Saw-bones", რომელიც სიტყვა „ქირურგის“ სახუმარო მეტონიმიური ფორმაა; ანდა "never-never-ness", რომელიც ს. მაუნტის ერთ-ერთი მოთხრობის სიმბოლური სათაურია და ნიშნავს სახლს (ბუდეს), რომელ-

შიც სახლობ, მაგრამ იგი შენი არასოდეს იქნება (მოთხრობის სიუჟეტის მიხედვით, ახალშეუღლებული წყვილი სახლსაც განვაღებით შეიძენს, საოჯახო ნივთებსაც, მაგრამ მათი საფასურის გადახდას ვერასოდეს ვერ შეძლებს); “boy-freind-in-chief” — შეყვარებულთაგან ერთერთი, რომელსაც უპირატესობა ენიჭება და ა. შ.

მოყვანილ ლექსიკურ ერთეულთა სახუმარო ეფექტი მათ უჩვეულო შეხამებაშია, ანუ სიტყვათა კონვენციონალური ვალენტობის დარღვევაში, მაგალითად, “in-chief”, როგორც რთული სიტყვის კომპონენტი, მეტწილად გეხვდება ისეთ შედგენილ სიტყვებში, როგორიცაა “editor-in-chief” ან, დაეუშვათ, სიტყვაში “commander-in-chief” და სრულიად მოულოდნელია მისი კომბინაცია ისეთ კომპონენტთან, როგორიცაა “boy-freind”.

ანალოგიურ მოდელზეა აგებული ასევე ბავშვურ მეტყველებაში აქტივიზებული ისეთი რთული სიტყვებიც, როგორიცაა “secret-surprise-thought” ან “ah-noise” (რ. კიპლინგი). ასეთი ერთეულები განსაკუთრებით უხვადაა გაბნეული საყმაწვილო ლიტერატურის ზოგიერთი ნიმუშის მთელი ტექსტის ენობრივ ქსოვილში იმ ავტორებთან, რომელთა ინდივიდუალური, სამწერლო სტილის ერთერთი ფუნქციური დომინანტი, როგორც ზემოთ ითქვა, ბავშვური მეტყველების იმიტაციაა არა მარტო ყმაწვილი პერსონაჟების სამეტყველო პარტიებში, არამედ საკუთრივ ავტორისმიერ თხრობაშიც. ამ მოვლენებზე საუბარი გვექნება ქვემოთ, თარგმანში ენის მეტალინგვისტური ფუნქციის ტრანსპონირებასთან დაკავშირებით. ამჯერად კი განვიხილოთ კიდევ ერთი ოკაზიური კონვერსია, როცა ერთ სიტყვა-ფორმაში მოქცეულია მთელი ფრაზა:

“I heard Jem rattling about in his room. His go-to-bed-noises were so familiar to me that I knocked on his door and asked...” (10-151).

„ჩემი ძმის ყოველ გაფაჩუნებას კარგად ვცნობდი და მივხვდი, რომ რაღაც უჩვეულო ხდებოდა. კარზე მივუკაკუნე და ვკითხე

— რატომ არ წვები?“ (24-ნაწ. II-9).

იმის გამო, რომ რთულ სიტყვად კონვერტირებულმა ფრაზამ თარგმანში ერთგვარი გენერალიზაცია განიცადა („გაფაჩუნება“ და არა ისეთი ფაცაფუცის ხმები, დასაძინებლად დაწოლას რომ უძღვის ზოლმე), თარგმანში საჭირო გახდა სეგმენტის დამატება: „მივხვდი, რომ რაღაც უჩვეულო ხდებოდა“.

ფუნქციონალურ ტრანსფორმაციათა მიზეზი თარგმანში ხშირად დაკავშირებულია ენობრივი უნიკალიზმის ისეთ გამოვლინებასთან, როგორცაა ცალკეულ ლექსიკურ ერთეულთა პოლისემანტიური ბუნება ან ენაში თანახმიანი ერთეულების არსებობა, რომელთა ერთდროული რეალიზაციისას გამონათქვამში მიიღება სახუმარო აზრობრივი ეფექტები. ასეთებია: სიტყვებით თამაში ანუ კალამბური და მისი მსგავსი სტილისტური ეფექტის მქონე მოვლენები, რაც განსაკუთრებით ჭარბად გვხვდება ბელეტისტიკაში, თუმცა, არანაკლებ პოპულარული ხერხია პუბლიცისტიკასა და სარეკლამო ტექსტებშიც.

ორიგინალის ფორმათა უნიკალურობას, ამ შემთხვევაში, ვხვდავთ იმ გარემოებაში, რომ კალამბურის ორწევრა წარმონაქმნის პირველ კომპონენტს, ანუ მის ე.წ. „საფუძველს“, ენის სისტემაში მოეპოვება ობიექტურად არსებული თანახმიანი, ან ფორმალურად მსგავსი და აზრობრივად განსხვავებული მეორე ერთეული, – ე.წ. „რეზულტანტა“, როგორც მას უწოდებენ სპეციალურ ლიტერატურაში, (116, 107) რომელიც ორწევრა სტრუქტურის მეორე კომპონენტს წარმოადგენს. ხოლო პირველი კომპონენტის სემანტიკურად ტოლფასი ერთეული თარგმანის ენაში, შესაძლოა, კალამბურის ეფექტისათვის ასეთ აუცილებელ მონაცემს არ ამჟღავნებდეს.

მთარგმნელობით პრაქტიკაში კალამბურის სტრუქტურა მეტწილად სიტყვა-სიტყვით გადააქვთ თარგმანში და კომენტარში უთითებენ ხოლმე, რომ ეს არის სიტყვების გათამაშება, რაც თარგმანს არ ექვემდებარება. მტკიცებას არ საჭიროებს, რომ ასეთი მიდგომა მთარგმნელის მხრივ საკუთარი კომუნიკაციური კომპეტენტურობის, არასრულყოფილების აღიარების ტოლფასია. ზღვება ისეც, რომ კალკირებულ კონსტრუქციას ასეთი კომენტარიც კი არ ახლავს, რის გამოც ორიგინალის კალამბური თარგმანის ტექსტში ლოგიკურად დაუკავშირებელი ფრაზების კომბინაციის სახეს იღებს. ასე, მაგალითად:

“We’ve been entertraining some Buffalo friends of Mrs.

Antolini’s. Some buffaloes, as a matter of fact (-185).

„მისის ანტიოლინის ბუფალოელი მეგობრები გვეწვივნენ.

სიმართლე თუ გინდა, თვითონაც კაი გამწვევი ხარები არიან“

(-287).

საქმე ის არის, რომ ქალაქი „ბუფალოს“ სახელწოდება (რომელიც, სხვათა შორის, ტრანსლიტერაციით გადმოვიდა ქართულშიც და რუსულშიც და რომლის ტრანსკრიპციული ვარიანტი „ბაფალოა“) ფორმალურად ემთხვევა სიტყვას „buffalo“, რომელიც „კამერს“ ნიშნავს. კალამბურის ასეთმა საფუძველმა ორიგინალში განაპირობა მისი რეზულტანტაც (თვითონაც გამწვევი ხარები არიან), თარგმანში კი, კომენტარის გარეშე, როგორც ვხედავთ, აზრობრივი ეფექტის სახუმარო ხერხიც განეიტრალდა და აზრიც ალოგიკურია. ეს სწორედ ის შემთხვევაა, როცა მთარგმნელს უხდება არჩევანის გაკეთება მხატვრულ-ესთეტიკურ ეკვივალენტურობასა და დენოტაციურ ეკვივალენტობას შორის, როცა უნდა გადაწყვიტოს, თუ რომელ დანაკარგს ჯობს შეეგუოს და თუ არჩევანი მხატვრული ფორმის ანალოგიზაციაზე შეჩერდება, ანუ თუ ვთარგმნით არა სიტყვებს, არამედ სახეებს, მაშინ სასურველია, რომ ანალოგიური ეფექტი შენარჩუნებული იქნეს თუნდაც განსხვავებული დენოტაციური მნიშვნელობის მქონე ერთეულების აქტივიზაციით, მაგრამ ისე, რომ არც სახუმარო ტონალობა დაიკარგოს და არც მოულოდნელობის ეფექტი. სწორედ ამ ხერხის გამოყენებით ახერხებს, მაგალითად, ივ. მაჩაბელი, შექსპირული კალამბურების კომპენსაციას თავის თარგმანებში:

I Clown. There is no ancient gentlemen but gardeners,
ditchers and grave-makers: they hold up Adam's profession.

II Clown. Was he a gentleman?

I Clown. A' was the first that ever bore a r m s.

II Clown. Why, he had none.

I Clown. What, art a heathen? How dost thou understand the
Scripture? The Scripture says, Adam digg'd:
could he dig without a r m s?" (14^b-96).

I *მესაფლავე*: ყველაზე დიდი თავადები მებაღეები, მიწის
მოხრელები და მესაფლავეები არიან, მათ
ადამის ხელობა უჭირავთ.

II. *მესაფლავე*: მერე, ადამი თავადი იყო?

I. *მესაფლავე*: თავდაპირველად ის გაჩნდა და თავადი არ იქნებოდა? თავადიც ის იყო, მთაც იმას ეჭირა ხელში და ბ ა რ ი ც ა.

II. *მესაფლავე*: სტყუი...

I. *მესაფლავე*: ურჯულო ხომ არა ხარ, საღმთო წერილი არ იცი? იქა სწერია, ადამი მიწას თხრიდაო. რითი გათხრიდა თუ ბ ა რ ი ხელში არა სჭეროდა. (28-209)

თუ ამ შემთხვევაში ეფექტი განმეორდებოდა სუპერასეგმენტურ დონეზე, მომდევნო მაგალითში იგი ერთი წინადადების საზღვრებში ხერხდება:

"Polonius - Will you walk out of the air, my lord?

Hamlet - Into my grave?

Polonius - Indeed that is out of the air" (14^b-40).

„პოლონიუსი - ქ ვ ე ვ ი თ ჩ ა ბ რ ძ ა ნ ე ბ ა ს ხომ არ ისურვებდით, ჩემო ბატონო? (ისინი ამ საუბრისას სასახლეში იმყოფებიან)

ჰამლეტი - საფლავეში?

პოლონიუსი - მართლა რომ ეგეც ქ ვ ე ვ ი თ ჩ ა ბ რ ძ ა ნ ე ბ ა იქნებოდა (28-82)*.

ბევრად იშვიათია ისეთი შემთხვევები, როცა კალამბურის სიტყვა-სიტყვითი თარგმანიც ამართლებს და ინარჩუნებს სათანადო ეფექტს.

რ. კიპლინგის ერთ-ერთ საყმაწვილო ზღაპარში თავმომწონე კენგურუ თხოვნით მიმართავს ნქნოგს — პატარა ღმერთს — მქმენ განსხვავებული სხვა ცხოველებისაგან, ისეთი, რომ ყველამ კულში მდიოსო. ნქონგიც მოიხმობს ძალღ-დინგოს და ასეთი სიტყვებით მიმართავს:

* ციტირებულია ვ. ჭელიძის წიგნის მიხედვით (114).

“He wants to be popular and very truly run after. Dingo, make him such. /.../ And Dingo ran after him” (11-93).

„მას სურს, რომ უზომოდ სახელგანთქმული იყოს და უკანს დიონ“ (...) ღინგოც ადგილს მოსწყდა და უკანს დაეღევენა“ (25-57).

ფრაზული ზმნა „to be run after“ ისევე, როგორც მისი ქართული შესატყვისი (უკან ღევენა), შეიძლება გაგებულ იქნეს პირდაპირი მნიშვნელობითაც (უკან დაღევენა, კვალში ჩადგომა) და ფიგურა-ლურადაც (ვისიმე კულში ღევენა, მისი თანაგრძნობის ან ყურადღების მოსაპოვებლად).

ასეთსავე ორაზროვნებას შეიცავს ქვემოთ მოყვანილ ნაწყვეტში და მის თარგმნით ვარიანტში სიტყვების „ბარისა“ და „ნიჩბის“ გათამაშება:

“Cecily - This is no time for wearing the shallow mask of manners. When I see a spade I call it a spade”.

Gwendolen - I am glad to say that I have never seen a spade; It is obvious that our social spheres have been greatly different“ (4-327).

„სესილი - ახლა ზრდილობის ნიღბის ტარების დრო და უამბო რაღია. ბარს რომ ვხედავ, ვამბობ, ეს ბარია - მეთქი და არა ნიჩაბი. ვარჩევ როგორმე ერთმანეთისაგან.

გვენდოლენი - არასოდეს მინახავს ბარი ან ნიჩაბი. აქედან ამკარაა, რომ სხვადასხვა სოციალურ სფეროს ვეკუთვნით“ (18-165).

მიუხედავად იმისა, რომ ქართულ ფრაზეოლოგიაში იგივე აზრის გამოხატველი სხვა ფრაზეოლოგიზმებიც არსებობს, (ყველაფერს თავის სახელს ვარქმევ, თეთრზე არ ვამბობ შავია – მეთქი და სხვა), სიტყვა-სიტყვით თარგმანი, ამ შემთხვევაში, სავსებით გამართლებულია, რამდენადაც „ბარი“ და „ნიჩაბი“ გარკვეულ იმ-

პლიკაციას იძენს კონტექსტში — თანამოსაუბრეთაგან ერთ-ერთს — ამბიციურ ქალბატონს, თავი რომ მოაქვს თავისი ქალაქელობით, სურს ხაზი გაუსვას თავის უპირატესობას სოფელში მცხოვრებ თანამოსაუბრესთან შედარებით.

აზრობრივ ეფექტთა სახუმარო გათამაშებასთან ახლოა ასევე რაიმე ფრაზეოლოგიზმის, რთული შედგენილი სიტყვის, ან წარმოებული სიტყვის დეკომპოზიცია და კომპონენტთა პირდაპირი მნიშვნელობით აქტივიზაცია. ქვემოთ მოყვანილ მაგალითში სიტყვებით თამაშის ეფექტი განხორციელებულია სიტყვა „entailment“-ის ასეთი დეკომპოზიციით:

“I asked Jem what entailment was, Jem described it as a condition of having your tail in a crack” (10-25).

„მე ვკითხე ჯემს, თუ რას ნიშნავდა ხელმოკლეობა და მანაც ამიხსნა, აი, ხ ე ლ ი რ ო მ დ ა გ ი მ ო კ ლ დ ე ბ ა ო“
(24-23).

პრეფიქსი „en“ ინგლისურში, როგორც ცნობილია, სიტყვაწარმოების ძალზე პროდუქტული საშუალებაა. ეს პრეფიქსი სხვადასხვა მეტყველების სახელთა ზმნად გარდაქმნისას გამოიყენება და გამოხატავს: ა) ვისიმე ან რისიმე რამე მდგომარეობაში მოყვანას - „enslave“ - დამონება; „encourage“ - გამხნეება, ან ბ) სადმე მოთავსებას - „encage“ - გალიაში გამომწყვდევა; „entruck“ - საბარგულში მოთავსება. აქედან გამომდინარე, ბავშვს სიტყვა „entailment“ ესმის როგორც კულის ღრეჭოში ან ხაფანგში მოყოლება, დაწეწკება და არა როგორც მიწაზე საკუთრების კანონთან დაკავშირებული იურიდიული ტერმინი. ბუნებრივია, რომ თარგმნით ვარიანტში საჭირო შეიქნა ეფექტის კომპენსაცია განსხვავებული ერთეულების გათამაშებით, რამაც, ბავშვის ფსიქოლოგიიდან გამომდინარე, საკმაოდ ბუნებრივი სახე მიიღო ქართულშიც.

სახუმარო აზრობრივი ეფექტის კომპენსაციის ერთ-ერთი საუკეთესო მაგალითსა ვხვდებით ნ. დუმბაძის რომანის „მე, ბებია, ილიკო და ილარიონის“ პირველი თავის დასაწყისში, სადაც ეს ეფექტი მიღებულია ქართული სიტყვის — „პირი“ პოლისემურობით:

„ – რასაა რომ იზუთხავ, შვილო?

– ზმნის პირიანობას ესწავლობ, ბებია.

– ზმნის პირიანობა ვის გაუგია, ბიჭო, პირიანობა კაცი ვიცი მე.“

იგივე სიტყვაა გათამაშებული რუსულ თარგმანშიც „лицо“

– Что это ты зурришь, сынок?

– Лицо глагола, бабушка.

– Где это слыхано, лицо у глагола!

– Лицо может быть только у человека.“

ინგლისურში კი ეფექტმა გადაინაცვლა განსხვავებული მნიშვნელობის, მაგრამ ორ თანახმიან სიტყვაზე: "modal" და "model"

– What is it you're swotting, sonny?

– Modal verbs, granny.

– Model verbs? Do they make them to a pattern? /.../

What's so model about them?"

§2. ენობრივ ფორმათა ექსპრესიულ-ემოციური კონოტაციის ტრანსპოზიცია თარგმანში

წინამდებარე განაკვეთში ჩვენი მიზანია დაუკვირდეთ სხვადასხვაგვარი კონოტაციის მქონე არაკონვენციონალური ენობრივი ფორმების ტრანსპოზიციას თარგმანში, ხოლო ის ნიშანი, რომლის საფუძველზეც მათ არაკონვენციონალურ ფორმებად მივიჩნევთ, მათ პეტეროგენულ ვალენტურობასა და კატეგორიკალურ ნიშანთა ტრანსპოზიციაში, ანუ არანორმატიულ მორფოლოგიურ ვალენტურობაში მდგომარეობს.

არსებით სახელში ასეთ არაუზუალურ ფორმად მივიჩნევთ, მაგალითად, მრავლობითი რიცხვის სუფიქსის დართვას ისეთ არსებით სახელებზე, რომლებსაც ნორმატიული გრამატიკის მიხედ-

ვით რიცხვის დისტინქცია არ ახასიათებს. აქედან გამომდინარე, ნივთიერებათა ან აბსტრაქტული სახელის მრავლობითი ფორმა იძენს გარკვეულ კონოტაციას. ი. ვ. არნოლდის დაკვირვებით, ასეთი შემთხვევები მეტწილად აღინიშნება პეიზაჟის აღწერაში, როცა ეს ფორმები „მასშტაბურობისა და გრანდიოზულობის ეფექტს სძენს ნაწყვეტს“ (63-144). საილუსტრაციოდ ავტორს მოჰყავს ასეთი მაგალითები ინგლისური პოეზიიდან: “The lone and level sands stretch far away” (Shelly), “Waters on starry night are beautiful and fair” (Wordsworth). ჩვენი აზრით, სწორედ ასეთი მასშტაბურობისა და გრანდიოზულობის ეფექტითაა მოტივირებული ე. კემინგუეის ერთ-ერთი ნაწარმოების სათაურიც “The Snows of Kilimanjaro”, რაც ქართულ ვარიანტში არ აისახა – („კილიმანჯაროს თოვლიანი მთა“).

ანალოგიური შემთხვევები ხშირად გვხვდება ასევე ენის მეტალინგვისტური ფუნქციის საილუსტრაციოდ. ორიგინალის ინტენციას ამ შემთხვევაში პრიმიტიული, არასალიტერატურო მეტყველების მახასიათებელთა წარმოჩენა შეიძლება შეადგენდეს, ან ბავშვური მეტყველების იმიტაცია. სწორედ ამ უკანასკნელი შემთხვევის მაგალითს ვხვდებით რ. კიპლინგის ერთ-ერთ საყმაწვილო ზღაპარში, რომლის შინაარსიდან ვიტყობთ, რომ ერთ დილას ავაზამ და ეთიოპელმა მონადირემ ვერაფერი მოინადირეს, რადგან ყველა მხეცი მათი ტყიდან სხვა ადგილებში გადახვეწილიყო.

“The Leopard and the Ethiopian ran about over the
“sclusively greyish-yellowish-reddish High Veldt
outside, wondering where all their b r e a k f a s t s,
their d i n n e r s and their t e a s had gone” (11-60).

„პირშიჩალაგამოვლებული ავაზა და ეთიოპი კი ენაგადმოვლებულები დარბოდნენ გ ა ნ ს ა კ უ თ რ ა დ მოყვითალო მოქვიშისფრო მოწითალო ზემო ველდში და ტვინს იჭყლებდნენ იმაზე ფიქრით, ნეტავ სად გაქრა მთელი ჩვენი საუზმე, სადილი და სამხარიო“ (25-46).

ქართულ თარგმანში, შესაბამისი ერთეულების მხოლოდობითი ფორმის გამო, ეფექტი ნაწილობრივ განეიტრალებულია, მაგრამ, მეორე მხრივ, იუმორი, რომელიც დედანში ნორმის დარღვევითაა

გამოწვეული, კომპენსირებულია დამატებულ ლექსიკურ ერთეულებში: „პირშიჩაღაგამოვლებული“, „ენაგადმოვლებული“ და ასევე სიტყვის (wondering) ფრაზეოლოგიზაციით (ტენის იჭყელტდენ), რაც ასევე მატებს ნაწყვეტს სახუმარო განწყობილებას.

ის, რომ მოყვანილ ნაწყვეტში ავტორის ინტენცია ბავშვური მეტყველების იმიტაციაში მდგომარეობს, დასტურდება სხვა ოდიოზური ფორმითაც: („sclusively), რომლის შესაბამისი ქართული ვარიანტიც („განსაკუთრად“) იმ ყაიდაზეა დამახინჯებული, როგორც მოსალოდნელი იქნებოდა ბავშვურ მეტყველებაში თარგმანის ენაზე. ამდენად, ბავშვური მეტყველების იმიტაციის ეფექტი და ნაწყვეტის სახუმარო განწყობილება კომპენსირებულია „ე ფ ე ქ ტ ი ს გ ა დ ა ა ღ გ ი ლ ე ბ ი ს“ მეთოდით.

ექსპრესიულ ეფექტს მორფოლოგიის დონეზე ხშირად ქმნის ზედსართავთან დაკავშირებული არაკონვენციონალური ფორმებიც.

ზედსართავი, საზოგადოდ, განსაკუთრებით კი თვისებრივი ზედსართავი თავისი კონოტაციური პოტენციით ძალზე მდიდარია, და მას, მეტყველების სხვა ნაწილებთან შედარებით, გაცილებით უფრო მრავალფეროვანი ობერტონების შექმნა ახასიათებს. მაგრამ თარგმანის პრაგმატიკისათვის განსაკუთრებით ის შემთხვევებია რელევანტური, როცა ზედსართავი მსაზღვრელ-საზღვრულის გრამატიკულ კომბინაციაში არ ამჟღავნებს სემანტიკურ კავშირს საზღვრულთან, ანუ ირღვევა კონვენციონალური კავშირი რეფერენტთან. ასე მაგალითად, თვისებრივ ზედსართავთა ჯგუფი, რომელიც ლოგიკურად უკავშირდება ადამიანს, მის ხასიათს, გონებრივ და გარეგნულ თვისებებს, მსაზღვრელის გრამატიკულ ურთიერთობაში უსულო საგნის გამოხატველ საზღვრულთან განიცდის ერთგვარ დესემანტიზაციას და შეიცავს შეფასებით კონოტაციას. იგი მეტწილად გამოხატავს უარყოფით დამოკიდებულებას საუბრის საგანთან: დაცივნას, ზიზღს, სიძულვილს და სხვა. ხმარების განსაკუთრებული სიხშირით ინგლისურში გამოირჩევა ზედსართავები: silly, crazy, stupid, lousy, რომლებიც შეიძლება შეგვხდეს შესიტყვებაში ნებისმიერი სემანტიკური ველის სიტყვასთან, რითაც ფაქტობრივად ირღვევა აღნიშნულ ერთეულთა ლექსიკური ვალენტურობა:

“He was one of those very, very tall guys with lousy teeth”
(7-43).

„ერთი ახმახი ბიჭი იყო – კ ბ ი ლ ე ბ რ ა მ კ ა ლ ი“
(21-32).

“I was standing next to this c r a z y cannon” (7-30).

„იმ დ ა ფ ხ ა ვ ე ბ უ ლ ი ზარბაზნის გვერდით ვიდექი“
(21-8).

(სიტყვა „დაფხავებული“ მოტივირებულია უშუალო კონტექსტით, სადაც ნათქვამია, რომ ზარბაზანი საუკუნენახევარი იდგა იმ ადგილას).

“We decided to take a bus into Agerstown and have a hamburger and may be see a l o u s y movie” (7-57).

„გადაეწყვიტეთ ავტობუსში ჩამეჯდარიყავით და ეგერსტაუნში თითო შნიცელიც გვეჭამა, მერე კი იქნებ რამე ბ ი თ უ რ უ ლ ი ფილმიც გვენახა“ (21-58).

“The goddamn table was l o u s y with glasses” (7-11).

„გულისამრევად იყო მიყრილ-მოყრილი ჭიქები იმ ო ხ ე რ მაგიდაზე“ (21-19).

ქართულ თარგმნით ვარიანტებში, როგორც ეს ჩანს მოყვანილ მაგალითებში, ანალოგიური ეფექტი, შექმნილია არა ზემოხსენებულ ელემენტთა ზუსტი შესატყვისებით ქართულ ენაზე, არამედ ნეგატიური კონოტაციის შემცველი განსხვავებული ლექსიკური ერთეულებით: ჩამპალი (კბილები), დაფხავებული (ზარბაზანი), ბითურული (ფილმი); ხოლო იმ შემთხვევაში, თუ აქტივიზებულია ზუსტი სალექსიკონო შესატყვისი, შესიტყვება, როგორც ეს ჩანს ქვემოთ მოყვანილ თარგმანში, აშკარად არაბუნებრივი და ხელოვნურია ქართულისათვის.

“I was standing on that stupid hall” (7-30).

„ვიდექი იმ იდიოტურ გორაკზე“ (21-8).

ნიშანდობლივია, რომ მთარგმნელს ქვემოთ მოტანილ მაგალითებში რუსული ენიდან ინგლისურზე თარგმნისას სწორედ ეს დესემანტიზებული ზედსართავი უხმარია იმ ნეგატიური, დამცინავი კონო-

ტაციის ეფექტის ანალოგიზაციისას, რომელსაც შეიცავს რუსულში კინობითი სუფიქსი. ა. დ. შვეიცერს დონეთშორისი ტრანსფორმაციის საილუსტრაციოდ მოჰყავს ასეთი მაგალითი:

“Как, и ты здесь, князь? Все в штиблетишках, э-эх!

(Достоевский)

“Good Lord! You are here too, Prince? Still in your stilly gaiters?”

ყველა ზემოთ განხილულ შემთხვევაში სათანადო კონოტაცია თარგმანში გამოიხატა ემოციურად შეფერილი ერთულების ექსპრესიული კორელატივით.

ზედსართავში გამოხატული თვისების ინტენსიფიკაცია, რაც ასევე ახლოა ექსპრესიულობის სტილისტურ ეფექტთან, კვლავ დაკავშირებულია ნორმიდან გადახვევასთან, კერძოდ, მორფოლოგიური ვალენტობის დარღვევასთან: სუპერლატიური სუფიქსით გამოხატული ელატივი, ისევე, როგორც შედარებითი ხარისხის სუფიქსი, ინგლისური ნორმატიული გრამატიკის მიხედვით, დამახასიათებელია კვალიტატური და კვანტიტატური ზედსართავისათვის, ხოლო ხარისხის მაწარმოებელ სუფიქსთა დართვა განსხვავებული ტიპის ზედსართავისათვის, რომლისთვისაც ეს კატეგორია არ არის დამახასიათებელი, ამჟამად აძლიერებს მასში გამოხატულ თვისებას და გამონათქვამს მეტ ექსპრესიულობას ანიჭებს:

“You cannot be deader than the dead”

(Hemingway)

„მკვდრებზე უფრო მეტად მკვდარი ვერ იქნება“

ხარისხის არანორმატიული წარმოება ზედსართავებში უმეტესწილად მეტალინგვისტური ფუნქციითაა ნაკარნახევი განსაკუთრებით საყმაწვილო ლიტერატურის ისეთ ნიმუშებში, სადაც ტექსტის ფუნქციონალური დომინანტები ბავშვური მეტყველების იმიტაციაში გამოიხატება. ამდენად, ლ. კეროლის, რ. კიპლინგის, ა. მილნის საყმაწვილო ზღაპრებში უხვად გვხვდება ისეთი არანორმატიული ფორმები, როგორცაა: “the most beautifullest”, “the most difficultest”, “curiouser” და სხვა, რაზედაც ლაპარაკი გვექნება ქვე-

მთ, ენის სტრატეგიკაციულ ვარიანტულობასთან დაკავშირებით ამჯერად კი ყურადღებას შევაჩერებთ კიდევ ერთ საკითხზე, რომელიც ასევე უკავშირდება ზედსართავის ინტენსიფიკაციის ხერხს. საზოგადოდ, ზედსართავში გამოხატულ თვისებას სიმძაფრეს მატებს მასზე დართული ადვერბიალური ინტენსიფიკატორი “so”, მაგრამ იმ შემთხვევაში, როცა ამ თვისების უფროობას ან ოდნაობას არა აქვს რაიმე ლოგიკური საფუძველი (შეიძლება ვინმე იყოს „უფრო გამხდარი“, ან „ისეთი გამხდარი!“ ან „უფრო ლამაზი“, ან „ისეთი ლამაზი“, მაგრამ ვერაფერი იქნება „უფრო წუხანდელი“ ან „უფრო შარშანდელი“, ან „ისეთი შარშანდელი და მით უფრო – „ისეთი მკვდარი“), ელემენტი “so” ისევე გაუმართლებელია ლოგიკურად, როგორც უფროობითი სუფიქსი. ამდენად, ასეთი ოკაზიური ფორმაც, თავის მხრივ, ამძაფრებს ექსპრესიას: პატარა ბიჭის ემოცია სიკვდილთან პირველი შეხვედრისას, როცა იგი მამის ცხედარს დაჰყურებს, გამოხატულია ზემოხსენებული ინტენსიფიკატორის სწორედ ასეთი არანორმატიული და არალოგიკური გამოყენებით:

“He was so pale, so lifeless, so dead! (13^b-17).

„ის ისეთი გაფითრებული იყო, ისეთი უსიცოცხლო,

ი ს ე თ ი მ კ ვ დ ა რ ი!“ (27^b-209).

ანალოგიური არანორმატიული შესიტყვება ქართულ თარგმანშიც მოტივირებულია მთარგმნელის პრაგმატული ინტენციით შეუნარჩუნოს საწყის შეტყობინებას მისი სიმძაფრე და ექსპრესიულობა.

შემთხვევითი არ არის ის გარემოება, რომ საილუსტრაციო მასალა ნაშრომის წინამდებარე განაკვეთში მეტწილად მოყვანილია ისეთი ლიტერატურული ნაწარმოებიდან, სადაც თხრობა განხორციელებულია ფამილიარული-სასაუბრო სტილის ნორმებში და სუბიექტური აღსარების ჟანრში. ეს კი მხატვრული თხრობის ის ფუნქციონალური სახეობაა, რომელთანაცაა ასოცირებული მეტწილად ენობრივ ერთეულთა მნიშვნელობაში საკუთრივ ემოციური კომპონენტის აქტივიზაცია, რაც გარკვეულად „აძეგებს“ მათი მნიშვნელობებიდან დენოტაციურ კომპონენტს. აქედან გამომდინარე, მოყვანილ მაგალითებში *განსხვავებული გრამატიკული და სემანტიკური მნიშვნელობის ერთეულთა საერთოობას ვხვდავთ მათ პოტენციაში – შექმნან მსგავსი ემოციური და ექსპრესიული კონოტაციის ეფექტი.*

ნაცვალსახელის კონოტაციური პოტენციის ერთ-ერთი გამოვლინებაა ჩვენებითი ნაცვალსახელის დ ე ს ე მ ა ნ ტ ი ზ ა ც ი ა ა ტ რ ი ბ უ ტ უ ლ პ ო ზ ი ც ი ა შ ი, როცა ძირითადი კატეგორიალური გრამატიკული და სემანტიკური ნიშნების გაქრობის შედეგად იგი იძენს მარტოოდენ უარყოფით კონოტაციას. ასეთ შემთხვევაში ეს ნაცვალსახელი შეიძლება გამოხატავდეს გაღიზიანებას საუბრის საგნის მიმართ, უდიერ დამოკიდებულებას, ზიზღს და სხვ.

დესემანტიზებული ნაცვალსახელის განსაკუთრებით ჭარბ გამოყენებას ნეგატიური კონოტაციით ვხვდებით ჯ. სელინჯერის რომანის მთხრობელი გმირის, ყველასა და ყველაფერზე გაბოროტებული ჩვიდმეტი წლის ყმაწვილის სამეტყველო პარტიაში:

“This teacher that taught biology, Mr. Zambesi, stuck his head out of the window and told us to go back to the dorm” (7-30).

„ერთი ბიოლოგიის მასწავლებელი რომაა, მისტერ ზამბესი, გამოყო თავი ფანჯრიდან და საერთო საცხოვრებელში წაღი-
თო, დაგვიძახა“ (21-9).

(უდიერი დამოკიდებულება გამოიხატა სიტყვებში „ერთი მასწავლებელი რომაა“). უდიერი დამოკიდებულება იმ სასწავლებლის მიმართ, სადაც იგი სწავლობს, ჩანს ასევე შემდეგ სიტყვებში:

“Pency Prep is this school that’s in Agerstown” (7-28).

„პენსი ეგერსტაუნის მოსამზადებელი სკოლა გახლავთ“ (21-8).

(აქ ირონიის ეფექტმა გადაინაცვლა ექსპრესიულ სიტყვაზე – „გახლავთ“).

“She had on these falsies that point all over the place” (7-29).

„ის ოხერი ლიფიც ისე გამოუტენა რალაციო, რომ აქეთიქით უყანყალებდა“ (21-6).

(სათანადო ეფექტი კომპენსირებულია სიტყვით – „ოხერი“).

“He started laughing in this very high falsetto voice” (7-46).

„აქეთ ეკლის აუტყდა ქირქილი. ს ა ზ ი ზ ლ ა რ ი,
წ რ ი პ ი - ნ ა ხმა აქვს“ (21-39).

(გალიზიანება გამოიხატა სიტყვებით „საზიზლარი“, „წრიპი-ნა“).

ყველა ზემომოყვანილ შემთხვევაში სათანადო ეფექტი მიღებულა კონოტაციური ობერტონის გადანაცვლებით გამონათქვამში შეტანილ დამატებით, უარყოფითი ემოციის გამომხატველ ერთეულ-ებზე.

იმ სინტაქსურ კონსტრუქციათა შორის, რომლებიც შეიცავენ ექსპრესიულ ან ემოციურ კონოტაციას, პირველ რიგში ყურადღება უნდა შევაჩეროთ ისეთ სტრუქტურულ ფორმებზე, რომელთა არაკონვენციონალურობა მათი კ ო მ უ ნ ი კ ა ც ი უ რ ი ფ უ ნ ქ ც ი ი ს ც ვ ლ ა შ ი მდგომარეობს. ასეთია, მაგალითად, უარყოფითი ელემენტის გარეშე გამოხატული უარყოფა, ანუ კონსტრუქცია, რომელშიც არ აღინიშნება არც უარყოფითი სიტყვა და არც უარყოფითი ნაწილაკი, მაგრამ კონტექსტის ლოგიკით აზრი უარყოფითია. ო. ესპერსენი, იმის გამო, რომ ამგვარი კონსტრუქციები მუდამ შეიცავენ კონსტანტურ ლექსიკურ ერთეულებს (hell, damn, dash), თავის „გრამატიკის ფილოსოფიაში“ აღნიშნავს მათ იდიომატურობას. დამახასიათებელია, რომ ასეთი კონსტრუქციები მუდამ ამჟღავნებენ სტრუქტურულ კავშირს წინარე წინადადებასთან – (“Did he give you the money? – The hell he did”; “I think you know what I mean? – Well, dash me if I do.”). სათანადო კონოტაცია ქართულში კვლავ დონეთშორისი ტრანსფორმაციით გამოიხატება: „კი, როგორ არა!“, „ღმერთი გამიწყრეს, თუ ვიცოდე“ და ა.შ.; ან უფრო ხალხური, სასაუბრო იდიომებით – „მეტი არაა ჩემი მტერი“, „მეტი საქმე არა მაქვს“ და სხვა.

“Did you give her my regards? –

– Yeah!

– The hell he did, Bastard! (7-63).

„ – გადაეცი ჩემი მოკითხვა? –

– ხო!

– გ ა დ ა ს ც ა, რ ო გ ო რ ა რ ა, ნაბუშარი!“ (21-68).

ექსპრესიული კონოტაცია მუდამ ახლავს ასევე ისეთ აზრ-
ნაცვალ სინტაქსურ ფორმებსაც, რომლებშიც კითხვითი წინადადე-
ბის ინვერტირებული წყობით გადმოცემული აზრი არც შეკითხ-
ვას შეიცავს, არც პასუხს მოითხოვს, მხოლოდ ამძაფრებს
გამონათქვამის რომელიმე სემანტიკური კომპონენტის მნიშვნე-
ლობას:

“He started walking around the room, very slow and all... He always
picked up your personal stuff and looked at it. B o y, c o u l d h e
g e t o n y o u r n e r v e s !” (7-43).

„ღინჯად გაიარ-გამოიარა, ვითომც არაფერიო... ასეთი
ჩვეულება ჰქონდა, აიღებდა შენს ნივთებს და კარგად
დაათვალიერებდა. უ ჰ, ნ ე რ ვ ე ბ ს მ ი შ ლ ი დ ა!“
(21-33).

ანალოგიური ინვერტირებული კონსტრუქცია, მისთვის უცხო
დენოტაციურ ფუნქციაში, იძენს ინტენსიფიკატორის დანიშნულე-
ბას და აძლიერებს სემანტიკური კომპონენტის უარყოფით კონო-
ტაციას.

“Then I left the bar and went out where the telephones were.

I kept keeping my hand under my jaket to keep the blood from
dripping. B o y, w a s I d r u n k !” (7-157).

„ბარიდან გამოვედი და ტელეფონის ჯიხურისაკენ გავემართე.
ხელი ისევ მუცელზე მიდევს, რომ სისხლმა არ იდინოს.

ჰ ო ი, ბ ი ჯ ო, რ ო გ ო რ ი მ თ ვ რ ა ლ ი
ვ ი ყ ა ვ ი!“ (21-237).

თარგმანში, როგორც ვხედავთ, კვლავ დონეთშორისი ტრანს-
ფორმაციაა; ანალოგიური ეფექტი იქმნება შორისდებულებისა და
გამაძლიერებელი ზმნიზელის აქტივიზაციით („როგორი“, „ჰოი,
ბიჭო!“).

აზრნაცვალ სინტაქსური კონსტრუქცია შეიძლება ირონიულ
კონოტაციასაც გამოხატავდეს:

“He stopped reading and put my paper down.

– your essay, shall I say, ends here. – he said in this very sarcastic voice (7-36).

„კითხვა შეწყვიტა და რვეული დასდო.

(იგულისხმება მოსწავლის უბადრუკი საგამოცდო ნაწერი – ნ.ს.).

– აქა თავდება თქვენი, უკაცრავად პასუხია, ესეი“, მითხრა მან გამჭირდავი კილოთი“ (21-20).

ამ შემთხვევაში გამონათქვამმა ირონიული კონოტაცია შეიძინა სტანდარტიზებული შეფასებითი ხასიათის ჩართულით – „უკაცრავად პასუხია“.

როგორც ვხედავთ, ინგლისური აზრნაცვალ სინტაქსური კონსტრუქციების სანაცვლოდ ყველა განხილულ შემთხვევაში საჭირო გახდა მათი ფუნქციური შენაცვლება დონეთშორისი ტრანსფორმაციებით.

რიტორიკული კითხვა, როგორც ცნობილია, ასევე განეკუთვნება აზრნაცვალ სინტაქსურ კონსტრუქციებს და, ფაქტობრივად, ემფატიკური მტკიცებაა და არა კითხვა. ზემოთ განხილულ კონსტრუქციათა მსგავსად, ისიც შეიცავს ექსპრესიულ კონოტაციას იმ ნიშნით, რომ თითქოს თანამოსაუბრისგან მოითხოვს სათანადო დასკვნის გამოტანას, რითაც საკუთარი განცდების თანამოზიარედ აქცევს მას. ასეთი კომუნიკაციური ფუნქცია რიტორიკულ კითხვას ნებისმიერ განვითარებულ ენაში აქვს და სრულიად უმტკივნეულოდ გადადის ენიდან ენაში. ამდენად, მას ვერ ჩავთვლით რაიმე უნიკალურ მოვლენად:

“Being your slave what should I do but tend

Upon the hours and times of your desire?”

(Shakespeare)

„შენს მონას განა რა მექნება სხვა სამსახური,

შენი სურვილის, შენი ჟინის ლოდინის გარდა?“

მაგრამ ენობრივი ფორმა, რომელიც რიტორიკული კითხვის მსგავსი მოვლენაა კომუნიკაციური ფუნქციის სახეცვლის ნიშნით, მაგრამ საპირისპიროა იმის გამო, რომ კითხვა რეალიზებულია

მტკიცებით კონსტრუქციაში, არანაკლები ემოციურობითაა აღბეჭდილი. ეს ის შემთხვევაა, როცა ის, ვინც სვამს კითხვას, წინასწარ დარწმუნებულია თანამოსაუბრის პასუხსა ან მის განზრახვაში და ამგვარ არაკონვენციონალურ ფორმაში გამოხატავს თავის ემოციურ განწყობას მოსალოდნელი პასუხის მიმართ. ეს ემოცია მის გაღიზიანებაში ან უკმაყოფილებაში მდგომარეობს. ამ ტიპის კონსტრუქციაში მეტწილად აქტივიზებულია ზმნები: hope, suggest, believe ან იგივე იდიოგრაფიული ტიპის სიტყვები.

“He hasn’t returned from town yet, I suppose? (4-308).

„დარწმუნებული ვარ, ჯერაც არ დაბრუნებულა ქალაქიდან“ (18-156).

გამონათქვამი უფრო ნეიტრალური იქნებოდა ასეთ ვარიანტში: ალბათ ჯერ არ დაბრუნებულა ქალაქიდან. მაგრამ ამ შემთხვევაში მხოლოდ ემოციურად შეუფერავი ვარაუდი იქნებოდა გამოთქმული. წარმოდგენილ თარგმნით ვარიანტში კი გამონათქვამს ემოციური სიმძაფრე შემატა ისეთმა ელემენტებმა, როგორცაა „დარწმუნებული ვარ“ და „ჯერაც არ“, რომლებშიც ამკარად იგრძნობა უკმაყოფილო ინტონაცია იმ პირის მიმართ, რომელიც კარგა ხნის დაბრუნებული უნდა ყოფილიყო.

ირონიული კონოტაცია და გაღიზიანება ჩანს ასევე ქვემოთ მოყვანილ გამონათქვამშიც:

“And you want me to believe you know nothing, I suppose? (4-305).

„მეც ვგრევე დაგიჯერებ, რომ არაფერი იცოდი“ (18-158).

საინტერესოა თავისი ექსპრესიული ხასიათით ე გ ზ ი ს ტ ე ნ ც ი ა ლ უ რ ი ან შ ე ფ ა ს ე ბ ი თ ი ე რ თ წ ე ვ რ ა წ ი ნ ა დ ა დ ე ბ ე ბ ი ც, რომლებიც სინტაქსური კომპრესის ერთ-ერთი სპეციფიკური საშუალებაა. როგორც ა. ი. სმირნიცი წერს, ამ სინტაქსურ ფორმებს ახასიათებს სტრუქტურული მდგრადობა (რამდენადაც გააჩნიათ სინტაქსური დონის მხოლოდ ერთი მაჩვენებელი), გამოხატავენ დასრულებულ აზრს, კონტექსტისა და სიტუაციის გასრეშეც, და აქვთ ინტონაციური დასრულებულობა. (109-106).

საერთოდ, სინტაქსური კონსტრუქციები „თავისი ლაკონიურობით“ ან პირიქით — კომპონენტთა სიჭარბით, ორივე შემთხვევაში დაკავშირებულია აზროვნების განსაკუთრებულ წყობასთან და მხატვრულ ნაწარმოებში გამოხატავს იმ პიროვნებათა აღქმითი უნარის ინდივიდუალურ ხასიათს, ვისგანაც მომდინარეობს შეტყობინება. (63-188). სწორედ ამ ნიშნით, ერთწევრა სტრუქტურათა სიჭარბე განსაკუთრებით დამახასიათებელია „განცდილი მეტყველების“ ან „ცნობიერების ნაკადის“ ტექნიკით გადმოცემული შინაგანი მონოლოგებისათვის, ანუ ავტოკომუნიკაციური მეტყველებისთვის, რომელიც მაქსიმალურად ეკონომიური და კონდენსირებულია.

საავტორო თხრობაში ერთწევრა ნომინაციური სტრუქტურები ან ინფინიტივური სტრუქტურები მიზანმიმართულია იმაზე, რომ მკითხველის ცნობიერებაში გამოიწვიონ მეტ-ნაკლებად იზოლირებული წარმოდგენა რაიმე საგანსა ან მოვლენაზე და ჩრდილში მოაქციონ მათი კავშირი სხვა მოვლენებთან. შინაგან მონოლოგში კი მათი აქტივიზაცია მიზნად ისახავს შინაგანი მეტყველების, როგორც ფსიქოლოგიური მოვლენის, ერთ-ერთი არსებითი ნიშნის იმიტაციას. ამ ერთწევრა წინადადებებში ძირითადად გამოხატულია ხოლმე პერსონაჟის ცნობიერებაში ამოტივტივებული რაიმე ხილვა, სურათი, ასოციაცია და სხვა. რაც უფრო ცდილობს ავტორი შინაგანი მეტყველების ლიტერატურული ვარიანტი დაუახლოვოს მისი ფსიქოლოგიური პროტოტიპის ნატურალურ სახეს, მით უფრო მეტია მონოლოგის ტექსტში სინტაქსური კომპრესიის მაგალითები.*

შინაგანი მონოლოგის გაბმულ ტექსტში ერთწევრა წინადადებების უეცარი გამოჩენა მეტწილად მიგვიითითებს პერსონაჟის ფიქრის საგნის უეცარ შეცვლაზე. ჯეიმზ ფორსაიტის შინაგან მონოლოგში, რომელიც რამდენიმე გვერდზეა გაშლილი ჯ. გოლზუორთის რომანში „მარყუჟში“, არაერთი ძირითადი თემა შეიძლება გამოიკვეთოს: სომსი, როჯერი, ჩემბერლენი, მდგომარეობა ბირჟაზე და მრავალი სხვ. ყოველი ახალი თემის გაჩენა მის ფიქრთა ნაკადში ერთწევრა ნომინაციური სტრუქტურით იწყება და შემდგომ მოჰყვება აზრის გაშლა მსჯელობის ტიპის ტექსტში. ქვემოთ წარმოდგენილ ნაწყვეტში ვაფიქსირებთ სწორედ ასეთ მომენტებს

* არასრულწევრა და ერთწევრა წინადადებების ფუნქციას შინაგანი მონოლოგის ტექსტში უფრო დაწვრილებით ვიხილავთ ჩვენს ნაშრომში (117-20).

და შეკვეცილი სახით ვიძლევი თემის განვითარების სურათს:

“The family was breaking up... Soames! The only solid spot in a vanishing world! Soames was careful, he was a warm man but he had nobody to leave his money to... Roger! Roger in the coffin! He remembered how they came up from school together from the West in 1824... a funny fellow Roger! An original! Younger than himself and in his coffin!... Consols at 116! There must be a lot of money in the country...” (1-40).

მონოლოგში ერთწევრა წინადადებათა სახით დროდადრო ჩამონტაჟებულია ასევე პერსონაჟის წამიერი აზრითი რეაქცია ქუჩიდან შემოსული დიდი მანქანის გრუხუნზე, ოთახის მეორე ბოლოში მოჩურჩულე ოჯახის წევრთა საუბარში გაგონილ სიძის სახელზე:

“Ugly great lumbering rattling to the dogs!” “Monty! That fellow Dartie! Always that fellow Dartie!” (1-40).

თარგმანში ერთწევრა კონსტრუქციათა ამ ეფექტის შენარჩუნება ყველა ცალკეულ შემთხვევაში არ ხერხდება და ერთწევრა შეფასებითი წინადადებები, როგორც კი შედარებით გავრცობილ სახეს მიიღებს მსაზღვრელთა ხარჯზე და როგორც კი შეიძენს შეფასებით, ემოციურ კონოტაციას, უკვე ორწევრა წინადადების სახეს იღებს: „სომსი! ერთადერთი დასაყრდენი ეს-ღა დარჩა ცხოვრებაში“, „სასაცილო ბიჭი იყო როჯერი“, „მასზე უფროსია და კუბოში კი წევს!“ „რამხელა ურჩხულია და რა გულისშემადონებლად თუხთუხებს!“ „კონსოლებიც უკვე 116-ზე ავარდა!“ და ა. შ. (15-402).

განვიხილოთ ემოციური კონოტაციის შემცველი ენობრივი ფორმები სიტყვათქმნადობის დონეზე.

ნაშრომის წინა განაკვეთში, რომელშიც ვიხილავდით სიტყვათქმნადობის ოკაზიურ მოდელებს, საკუთრივ კი – მეტყველების სხვადასხვა ნაწილთა და ფრაზათა ლექსიკალიზაციის შემთხვევებს, ნათქვამი იყო, რომ ასეთი ფორმები ქართულ თარგმანში მეტწილად თავისუფალი შესიტყვებით გადმოიდის. ერთ-ერთი სახეობა, რომელიც

უფრო დამყოლია ფრაზისა და შესიტყვების ვერბალიზაციისათვის, ეს ის სახეობაა, როცა თანამოსაუბრის გამოჯავრებით, ანუ მისი რეპლიკიდან ატაცებული რაიმე ლექსიკური ერთეულის გაზმნურებით გამოხატულია განრისხება და მუქარა. გაზმნურებული ერთეული ამ შემთხვევაში იღებს მომავალი დროის ფორმას:

“We were playin’ strip-pocker up younder by the fishpool, he said.

“Gamblin’ in my fishpool? I’ll strip-pocker you, Sir! (10-59).

„ – იციო, პოკერს ვთამაშობდით გახდაზე, ზემოთ,

გუბურასთან – თქვა მან.

– აზარტული თამაშები ჩემს გუბურასთან? ერთი ამათ დამიხედეთ!

გ ა გ ა პ ო კ ე რ ე ბ მ ე შ ე ნ ა!“ (24-55).

სხვა შემთხვევაში ექსპრესიული ვერბალიზებული ფრაზა შეიძლება შენაცვლელი იყოს თარგმანში მეტაფორული კონვერსიებით, რითაც ფიგურალური ეფექტი მაინცდამაინც არ ნეიტრალდება, ასეთი შემთხვევები ხშირია იმპერატიულ-ექსპრესიულ სტრუქტურებში:

“Don’t try to strong-arm it away from me!” (5-37).

„იცოდე, ძალით ვერაფერს გამომრჩები!“ (19-27).

“Don’t dear-father me!” (5-127).

„ნუ მელაქუცები, თუ კაცი ხარ!“ (19-118).

ექსპრესიულ კონოტაციაზე საუბრისას, რომელიც სიტყვათქმნადობის დონეზეა განხორციელებული, უნდა მოვიხსენიოთ ასევე სიტყვათქმნადობის ის შემთხვევები, როგორცაა “chit-chat” – ის ტიპის გ ა რ ი თ მ უ ლ ი კ ო მ ბ ი ნ ა ც ი ე ბ ი. ასეთ ლექსიკურ ერთეულებში ერთ-ერთი კომპონენტი ან აზრნაცვალია, ან დესემანტიზებული, ან საერთოდ არ შეიცავს დამოუკიდებელ მნიშვნელობას და შეწყვილებულია მეორე კომპონენტთან მარტოოდენ ფონეტიკური მსგავსების საფუძველზე.

ქართულისათვის უცხო არ არის სიტყვათქმნადობის ეს მოდელი. ასე მაგალითად: chit-chat – ლაქლაქი; helter-skelter – არეულ-დარეულობა (ხათქახუთქი). როგორც გრამატიკული ფორმის, ასევე ალტერნატიული ვარიანტებიდან ერთ-ერთის შერჩევა კონტექსტ-

თან კავშირში უნდა მოხდეს (razzle-dazzle – გაწამაწია (აურზაური, მიწვე-მოწვევა); riff-raff – (ნაყარნუყარი); hoity-toity girl (გიჟმაჟი) და მრავალი სხვა).

სიტყვათქმნადობის ეს მოდელი ხშირად გამოიყენება სახუმარო ეფექტით და სწორედ ამაში ვხედავთ მის ექსპრესიულ კონოტაციას. ასეთია ზოგიერთი ინდივიდუალური წარმონაქმნი, რომელიც არ არის დამკვიდრებული ენის ფონდში, მაგრამ ხშირად გვხვდება ლიტერატურაში როგორც ცნობილ მოდელზე აგებული, მაგრამ კოპი-პასტილის ენა. პრაგმატული მიზანმიმართება, რაც ორიგინალის სტილის ანალოგიზაციაში მდგომარეობს, ხშირად მოითხოვს მთარგმნელისაგან არა იმდენად აზრობრივ სიზუსტეს, რამდენადაც მხატვრული ფორმის ანალოგიზაცია. საინტერესოა ამ თვალსაზრისით ის ინდივიდუალური ინტერპრეტაცია, რომელიც მომდინარეობს მთარგმნელისაგან ისეთი ოკაზიური რთული სიტყვების თარგმნისას რ. კიპლინგის საყმაწვილო მოთხრობებიდან, როგორიცაა პერსონაჟთა მეტყველი სახელები: “Stickly-Prickly Hedgehog” და “Slow-Solid Tortoise”.

პირველში ზედსართავად მოქცეულია სიტყვა “stick” და მისი შესაძლებელი სემებიდან (to pierce, to thrust as to wound and penetrate, to cling, to adhere)* აქტივიზებულია ის სემა, რომელიც აზრობრივად შეეწყობა მეორე კომპონენტს “prickly” (full of or armed with prickles). ქართულ ვარიანტში აქტივიზებულია „ჩხვლეტის“ და „ფხაჭნის“ სემები, რომლებიც დამოუკიდებელ სიტყვა-ფორმებად, ორი მსაზღვრელის სახით დაერთვის საზღვრულს – „ჩხვლეტია და ფხაჭნია ზღარბი“. მეორე რთული სიტყვა – “Slow-Solid Tortoise” თარგმანში შენაცვლებულია ასეთივე ალიტერაციის პრინციპით შეწყობილი ორი მსაზღვრელით – „ზანტი და ზღაზნია კუ“.

ასევე ინდივიდუალური წარმონაქმნის სახით და განსხვავებულად ხდება რთულ სიტყვათა რიტმული სიმეტრიისა და თანახმიანობის ეფექტის ანალოგიზაცია სხვა შემთხვევაში. ეს ეხება რთულ სიტყვას “twirly-whirly ill”. სასურველი ეფექტი გადანაცვლებულია ორ სემენტში, ანუ ორ გართმულ მსაზღვრელში, რომლებიც ასევე დამოუკიდებელი სიტყვაფორმების სახითაა წარმოდგენილი: (მუდამდღე მიირთმევდა) „მფრინავ თევზებს მანჭიებს და გველთევზებს პრანჭიებს“.

* New Webster's Dictionary...

სპეციფიკურ ენობრივ ფორმებს, რომლებიც თავისი უთარგმნელობის ნიშნით ასევე რელევანტურია თარგმანის პრაგმატიკისათვის, მივაკუთვნებთ ასევე ე. წ. მ ე ტ ყ ვ ე ლ ს ა ხ ე ლ ე ბ ს (tell-tale-names), რომლებიც გარკვეულ ექსპრესიას შეიცავენ იმ იმპლიკაციის წყალობით, რომელიც ჩადებულია ამ საკუთარ სახელებში – მათში მუდამ გამოვლენილია პერსონაჟის ხასიათის ან გარეგნობის ესა თუ ის ნიშანი. ინგლისურ ლიტერატურასა და ყოფაში ეს მეტად გავრცელებული ერთეულები უცხო არ არის ქართული ლიტერატურისა და სინამდვილისათვისაც. გავიხსენოთ თუნდაც ისეთი მეტყველი სახელები ქართული ლიტერატურიდან, როგორცაა: მკლავაძე, მუნჯაძე, უიშივილი და სხვა. მაგრამ მეტყველი სახელების ისეთი ტრანსპოზიცია თარგმანში, რომ იგი საკუთარი სახელის ილუზიასაც ქმნიდეს, მაგრამ არ მიიღოს ეროვნული შეფერილობა და თანაც შეინარჩუნოს მნიშვნელობაც, ერთ-ერთი გადაუწყვეტელი ამოცანაა თარგმანის პრაქტიკაში.* შედარებით ნაკლებ დაბრკოლებას ქმნის ზედმეტ სახელთა ტრანსპოზიცია თარგმანში, რისი მრავალი ჩინებული მაგალითი შეიძლება მოვიყვანოთ ქართული თარგმანებიდან. შევჩერდეთ ზოგიერთზე: Cheese-face (ჯ. ლონდონი) – პირღნოშა; Red-head (ჯ. ლონდონი) – წიქორია; Scout (ჰარპერ ლი) – ჭყიტა (სახელი მოტივირებულია პატარა გოგონას ხასიათით, რომელიც ყველაფერში ცხვირს ჰყოფს და პატარა „ჯაშუშით“ იქცევა. სიტყვა „scout“-ის განმარტება ასეთია: one sent out to gain and bring information;** Eyebrows (თეკერეი) – წარბა; Boo-Radley (ჰარპერ ლი) – რედლი-ბუა. სახელი მოტივირებულია, რამდენადაც შერქმეული აქვს ერთ-ერთ პერსონაჟს, რომელიც თავისი ცხოვრების წესით მუდამ შინაა გამოკეტილი

* საყოველთაოდ ცნობილია ო. უაილდის პიესის სათურის "The importance of Being Earnest" გადატანის არაერთი უშუალოდ ცდა მრავალ ენაში. თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ ამ გადაუქრელ ამოცანას ზოგიერთი მთარგმნელი მაინც უხერხებს გადაწყვეტას. მხედველობაში გვაქვს ცნობილი რუსი მთარგმნელის, ნ. მ. ლუბიშოვის მიერ რაბლეს „გარანტა და კანტარგულის“ ზოგიერთი გმირისათვის შერქმეული მეტყველი სახელები. მაგალითად, ერთ-ერთ გემოთმოყვარე, თფშის ტლექია პერსონაჟს თარგმანში ჰქვია "Мосье Блюдолиз", ხოლო მეორეს, რომელიც მლიქვნელობითაა გამორჩეული, რუსული სკაბრუზული ფრაზოლოგიის საფუძველზე შეთხზული აქვს სახელი "Мосье Задолбиз". ასეთი „თარგმნილი“ მეტყველი სახელები ფრანგული გვარის ილუზიასაც ქმნიან თავისი ფერადობით და მნიშვნელობასაც ინარჩუნებენ: რაც მთავარია, მთარგმნელის ასეთი „გამბედაობა“ არ მოდის წინააღმდეგობაში მთელი ნაწარმოების უწყალო სახუმარო განწყობილებასთან.

** New Webster's Dictionary...

და მხოლოდ ღამე გამოდის კარში, მართლაც საფრთხობელაა მეზობლის ბავშვებისათვის ("boo" – an exclamation used to frighten.)* ასეთივე მოტივირებული მეტსახელები მრავლადაა ლი ჰეიზის რომანშიც „ოლესლაც ამერიკაში“: Noodle – ატრია (უნებისყოფი); Cross-eye – ელამჭუტა; Fat-Moe – ძონძროხა; Chicken-Joe – წიწილა; Monstre – მაიმახი და სხვ.

უთუოდ ქართულში საკმაოდ გავრცელებული ტრადიციის გავლენით, დიდი ხნის ნანატრ შვილს ერთ-ერთი მთარგმნელი სახელად არქმევს „გელოდის“, ინგლისურში მას “Welcome Finch” ჰქვია:

“There were six rooms upstairs, four for the eight female children, one for Welcome Finch, the sole son; and one – for visiting relatives” (10-84).

„მეორე სართულზე ექვსი საწოლი ოთახი იყო. აქედან ოთხი – მღელრობითი სქესის რვა წარმომადგენლისათვის, ხოლო მეხუთე – გ ე ლ ო დ ი ფინჩისათვის, ერთადერთი და დიდი ხნის ნანატრი ვაჟიშვილისთვის, მეექვსე ოთახში სტუმრად ჩამოსულ ნათესაებს იღებდნენ“ (24-80).

ჩვენი აზრით, სახელს „გელოდი“, მისი ზედმეტად მდაბიურ-პროვინციული კონოტაციის გამო ქართულში, ინგლისური ჟღერადობის გვართან მეზობლობაში საკმაოდ არაბუნებრივი ელფერი ეძლევა. ასეთ შემთხვევაში, ვფიქრობთ, ჯობია შევეგუოთ დანაკარგს ან გარეტექსტობრივ კომენტარში გამოვხატოთ სახელის მნიშვნელობა.

მხატვრულ ტექსტში განსაკუთრებულ ექსპრესიას იძენს ს პ ე ც ი ა ლ უ რ ტ ე რ მ ი ნ თ ა ინტერფერენცია არაპროფესიონალთა ყოველდღიურ-სასაუბრო კონტექსტში. ამ ერთეულთა სემანტიკური შეუსაბამობა საკომუნიკაციო სიტუაციასთან აშკარად მატებს გამონათქვამს ეფემისტურ-სატირულ სიმძაფრეს, ხოლო თუ ეს ეფექტი დაკარგულია თარგმანში, როგორც ნაჩვენები იქნება ქვემოთ, ეს აშკარად ასუსტებს ორიგინალის შესაბამის სახუმარო განწყობილებას.

“All I need is an audience. I’m an exhibitionist” (7-52).

* New Webster’s Dictionary

„ოღონდ ვინმემ მიყუროს და ათსნაირ ოინბაზობას მოვიგონებ“ (21-48).

როგორც ორიგინალისთვის დართული კომენტარებიდან ირკვევა, ამერიკელ ფსიქოანალიტიკოსთა ეს ერთ დროს მოდური ტერმინი ფართოდ იყო გავრცელებული ორმოცი-ორმოცადაათიანი წლების ამერიკული მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში. ხოლო ამ ყურმოკრული ტერმინის გამოყენება ჩვიდმეტი წლის ყმაწვილის მიერ, აშკარად სასაცილოდ ჟღერს, რაც, სამწუხაროდ, თარგმანში არ შეიცავს სათანადო ეფექტს.

ანალოგიურ იუმორისტულ ობერტონს იძენს ქვემოთ მოყვანილ ნაწყვეტში მედიცინის დარგიდან ატაცებული ტერმინის უადგილო გამოყენება. ლამაზი ქალის გარეგნობაზე საუბრისას ერთ-ერთი ოფიცერი ხმარობს ტერმინს „frontal development“, რაც მედიკოსთა ენაზე „გულმკერდის არის განვითარებას“ ნიშნავს და არა „შუბლისას“, როგორც ეს თარგმანშია. მაგრამ ამ უზუსტობის მიუხედავად, სათანადო სახუმარო ეფექტი თარგმანში ნაწილობრივ მაინც შენარჩუნებულია:

“What a fool Rawdon Grawly has been”, Grump replied,

“to go and marry a governess! There was something about the girl too.”

“Green eyes, fair skin, pretty figure, famous frontal development”, Sqills remarked” (5-239).

„— რამ გაატუტუტა ეგ როუდონ კროული, რომ ადგა და აღმზრდელი

ქალი შეირთო, თუმცა გოგოსაც არა უშავდა!

— მომწვანო თვალები, თეთრი პირისახე, კოხტა ტანადობა, შუბლის არის შესანიშნავი განვითარება! — შენიშნა სკუილზმა“ (19-281).

* * *

ენობრივ ფორმათა ექსპრესიულ-ემოციური კონოტაციის თარგმანში ტრანსპოზიციის საშუალებებზე დაკვირვებისას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებთ ფრაზეოლოგიზმთა მეორე ენაზე ტრანსპონირების საკითხს. ფრაზეოლოგიზმები ისეთი სპეციფიკური ენობრივი წარმონაქმნებია, რომლებშიც გან-

საკუთრებით თვალსაჩინოა დენოტაციური და კონოტაციური მნიშვნელობების ერთდროული რეალიზაცია, რომლის ანალოგიზაციაც, როგორც ითქვა, მხატვრული თარგმანის ძირითადი ნორმატიული მოთხოვნაა.

ფრაზეოლოგიზმთა უთარგმნელობის საკითხი არაერთხელ წამოჭრილა თარგმანის თეორიაში. თარგმანში მათი ტრანსპოზიციის სირთულეზე მიუთითებს თითქმის ყველა თარგმანის თეორეტიკოსი და ყოველი პრაქტიკოსი მთარგმნელი საკუთარი გამოცდილებით რწმუნდება ამაში. მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ფრაზეოლოგიასთან დაკავშირებულ მეცნიერულ აზრს ლინგვისტიკაში, ორმოცდაათიანი წლებიდან მოყოლებული, შეემატა ათასობით მეცნიერული გამოკვლევა და ლინგვისტიკის ეს ერთ დროს კერძო საკითხი გადაიზარდა ენათმეცნიერების ერთ-ერთ მსხვილ ქვეგანაყოფად, თარგმანმცოდნეობის პოზიციიდან, შეიძლება ითქვას, იგი ჯერ კიდევ დაუმუშავებელ სფეროდ რჩება.

ფრაზეოლოგიზმები უთარგმნელია იმის გამო, რომ ყოველ ენას, მისი სპეციფიკიდან გამომდინარე, სახეობრივი აზროვნების თავისი საკუთარი საშუალებები გააჩნია, რომლებიც ზოგ შემთხვევაში შესაძლოა დაემთხვეს მეორე ენისას, უმეტესად კი განსხვავებულია. ასე მაგალითად, მეტისმეტი ჯაფის გაწვევა ქართულში გამოიხატება ფრაზეოლოგიზმით – „წელებზე ფეხის დადგმა“, ინგლისურში – “to put one’s nose to the grindstone”; როცა ვინმე სიტყვიერად უფრო მეტს ბაქიბუქობს და იმუქრება, ვიდრე საქციელით ამტკიცებს ამას, ქართულად იტყვიან – „ისე არა წვიმს, როგორც ქუხსო“, რაც ინგლისურად გამოიხატება ასეთი ფრაზეოლოგიზმით – “his bark is worse than his bite”. მაგრამ, როგორც ეს ზევითაც ვაჩვენეთ, როცა ლაპარაკი გვექონდა კომპონენტური დონის სემანტიკურ ეკვივალენტურობაზე, მრავალ ფრაზეოლოგიზმში შინაგანი ფორმის დამთხვევაც დასტურდება. ენათა განვითარების დღევანდელ ეტაპზე ძალზე ჭირს ფრაზეოლოგიზმთა სადაურობის გარკვევა, ანუ იმის დადგენა, თუ შინაგანი ფორმით ეკვივალენტური ფრაზეოლოგიზმებიდან რომელია თარგმნითი ვარიანტი და რა შემთხვევაში გვაქვს უბრალოდ დამთხვევა. თუ, მაგალითად, სავსებით ცხადია, რომ ფრაზეოლოგიზმებს „ხელის დაბანა, to wash one’s hands; умыть руки ერთი საერთო პირველწყარო გააჩნიათ, მეორე მხრივ, ძნელი სათქმელია, თუ საიდან წარმოსდგა ისეთ იდიომთა შინაგანი ფორმის მსგავსება, როგორიცაა: „ხელის მოთბობა“, “нагреть руки”,

ან 'სზვის საქმეში ცხვირის ჩაყოფა', "to poke one's nose into other people's business", "Совагы нос в чужие дела".

ა. თაყაიშვილი ზოგიერთი საკმაოდ გავრცელებული ქართული იდიომის წარმოშობის ძირების კვლევისას, ძველი ქართული სასულიერო ლიტერატურის თარგმანთა შეჯგერების გზით ანალოგიურ წყაროებთან (კერძოდ, სომხურ და ბერძნულ ვერსიებთან), გამოავლენს ბევრი ისეთი იდიომის ქართულ წარმომავლობას, რომლებიც კარგა ხანს თარგმნით ვარიანტებად იყო მიჩნეული (115).

ფრაზეოლოგიზმთა უთარგმნელობის იდეა, ჩვენი აზრით, ფარდობითია, რამდენადაც დღეს ნებისმიერ ენაში ხმარებადი მრავალი ფრაზეოლოგიზმი სწორედ თარგმნითი სესხებით დამკვიდრდა. ერთი რამ ცხადია, რომ ფრაზეოლოგიურ შენაზარდთა თარგმნა, საკუთრივ ისეთების, რომელთა მოტივაცია დროთა განმავლობაში დაიკარგა, მართლაც, შეუძლებელია. ასეთია მთელი რიგი იდიომები, რომელთა წარმოქმნა უკავშირდება ენობრივ კოლექტივთა ისტორიულ წარსულსა და ეროვნულ ყოფას. მაგრამ უთარგმნელობის იდეის ფარდობითობაზე ვლასპარკობთ ისეთ ფრაზეოლოგიზმთა კალკირების შესაძლებლობიდან გამომდინარე, რომელთა მოტივაცია საკმაოდ ტრანსპარანტულია.

ის გარემოება, რომ თარგმანის გზით ენაში შესულ ფრაზეოლოგიზმებში მდგრადი კომპონენტები განსხვავებულ ლექსიკურ ერთეულებთან შედიან შესიტყვებაში, არ ნიშნავს იმას, თითქოს ისინი არ განეკუთვნებოდნენ თარგმნილი ფრაზეოლოგიზმების კატეგორიას. მაგალითად, ინგლისური — to make a sacrifice, რუსული — приносит жертву და ქართული — მსხვერპლის გაღება, ანუ სიტყვათა ურთიერთშეწყობით განსხვავებული ფრაზეოლოგიზმები, სავსებით შესაძლებელია, თარგმნითი სესხების გზითაა შესული ამა თუ იმ ენაში.

თარგმნითი გზით დამკვიდრებული იდიომების გარდა, ნებისმიერი ენა ასეთი ენობრივი წარმონაქმნებით მდიდრდება საკუთარი ლიტერატურული წყაროებიდანაც. ინგლისური ენის ფრაზეოლოგიურ ფონდში ასე დამკვიდრდა, მაგალითად, არაერთი „შექსპირიზმი“: "a fool's paradise (რომეო და ჯულიეტადან); a seamy side (ოტელოდან); every inch a king; cakes and ale; to have an itching palm (იულიუს კეისრიდან) და სხვ. ეს ფრაზეოლოგიზმები, ოდნავ სახეცვლილი ან რედუცირებული სახით მეორდება სხვა ავტორებთანაც, მაგრამ თარგმანში უმეტესად გადადის იმ მნიშვნელობით, რომელიც მათ

მეორადი ფრაზეოლოგიზაციისას შეიძინეს. მაგალითად, „შექსპირიზმი“ – to fool somebody to the top of his bent, რომელიც ვისიმე ბოლომდე, მთლად გასულელებას ნიშნავს, ენაში რედუცირებული ფორმით დამკვიდრდა (to the top of somebody's bent) და მეორადი ფრაზეოლოგიზაციის შედეგად შემორჩა მნიშვნელობა – ბოლომდე, მთლიანად, გულის მოკერებამდე. სწორედ ამ მნიშვნელობითაა იგი ნახმარი ჩ. დიკენსთან და იგივე მნიშვნელობითაა რეპროდუცირებული თარგმანშიც:

“By way of humouring him to the top of his bent I remarked,

“What a delicious country you have ‘about these lodgings of yours”

(6-237).

„მთლად გული მოკუფონე, როცა ვუთხარი, რა მშვენიერი ადგილი შეგირჩევიათ-მეთქი სამოსახლოდ“ (20-257).

ანალოგიური მნიშვნელობით იყენებს მას ჯეკ ლონდონიც:

“Go on an’ play hell to the top of your bent!”

„მიდი, მიდი და აკეთე, რაც მოგესურება, აკეთე სანამ გულს არ მოიკერებ!“

ასეთივე ვარიანტული სახით გვხვდება „შექსპირიზმი“ “every inch a king თეკერეისთან – “every inch a gentleman” (სულით ხორცამდე ჯენტლმენი).

თავიდანვე უნდა შევნიშნოთ, რომ თარგმანმცოდნეობისათვის ნაკლებ საინტერესოა ფრაზეოლოგიასთან დაკავშირებული ეტიმოლოგიური ძიებანი და ამ ენობრივ ფორმათა სკრუპულოზური ტიპოლოგია სტრუქტურულ-სემანტიკური აგებულების მიხედვით, მით უფრო, რომ მეცნიერთა აზრი ამ თვალთახედვით არამც თუ არ არის ერთგვაროვანი, არამედ ხშირად რადიკალურად შორდება ერთმანეთს. *თარგმანის თეორია განსაკუთრებული კუთხით უდგება ამ ენობრივ წარმონაქმნებს და ძირითადად ყურადღებას ამახვილებს ფრაზეოლოგიზმში ექსპლიცირებული აზრის ამოკითხვის სირთულეზე, ერთი მხრივ, და მისი ხატოვანების ხარისხის შენარჩუნებაზე, მეორე მხრივ. ამ ორ პირობაზეა დამოკიდებული თარგმნითი ვარიანტის აზრობრივი ეკვივალენტურობა და ემოციურ-ესთეტიკური ზემოქმედების ტოლფასოვნება.* პირველი დაკავშირე-

ბულია მთარგმნელის რეცეპტორულ უნართან, ხოლო მეორე – მის, როგორც ინტერპრეტატორის შესაძლებლობებთან, ანუ მის კომუნიკაციურ კომპეტენციასთან.

ი. ი. რეცკერი, მაგალითად, თავის გამოკვლევაში (90⁶-145), რომელშიც ფრაზეოლოგიზმთა საკითხს საკმაოდ მოზრდილი მონაკვეთი ეძღვნება, დიდ მნიშვნელობას ანიჭებს, ერთი მხრივ, წყარო ენის ფრაზეოლოგიზმთა უმცდარ ამოკითხვას და, მეორე მხრივ, – ამ ერთეულთა არა მარტო სემანტიკური, არამედ ექსპრესიულ-სტილისტური ფუნქციის შენარჩუნებას თარგმნით ვარიანტში.

ანალოგიურად აყენებს საკითხს ა. ვ. ფიოდოროვიც, რომელიც ხაზგასმით აღნიშნავს, რომ თარგმანმცოდნეობისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ფრაზეოლოგიზმთა ისეთ ნიშნებს, როგორიცაა შინაგანი ფორმის ტრანსპარანტულობა, მოტივაციის ხარისხი და ნაციონალური კოლორიტი (18-145).

თარგმანის პრაგმატიკისათვის ნაკლებ მნიშვნელოვანია ის, თუ კონკრეტული შესიტყვება ან გამონათქვამი, რომელიც ამჟღავნებს აზრის მეტაფორიზაციის ნიშნებს, რაც ფაქტობრივად ფრაზეოლოგიზმის ერთ-ერთ კატეგორიალურ ნიშნადაა მიჩნეული, რამდენად განეკუთვნება ფრაზეოლოგიზმის კატეგორიას და საკუთრივ რომელ სახეობას შეიძლება მიეკუთვნებოდეს იგი – შენაზარდს, ფრაზეოლოგიურ მთლიანობას, შესიტყვებას თუ ფრაზეოლოგიურ გამონათქვამს, მით უფრო, რომ თვით სპეციალურ ლიტერატურაშიც საზღვრები ამ ერთეულთა შორის ხშირად საკმაოდ არამყარია. ამდენად, უარის თქმით ტიპოლოგიური სიზუსტის დაცვაზე საშუალება გვეძლევა შევაჩეროთ ყურადღება არა მარტო ისეთ ენობრივ წარმონაქმნებზე, რომლებიც უცილობლად განეკუთვნებიან საკუთრივ ფრაზეოლოგიზმებს, არამედ ისეთებზეც, რომლებიც შესაძლოა აღმოჩნდნენ ფრაზეოლოგიური სისტემის პერიფერიებზე ან წარმოადგენდნენ ს ა ხ ე ო ბ რ ი ო ბ ი ს ნ ი შ ნ ი თ ა ღ ბ ე ჭ დ ი ლ ი ნ დ ი ვ ი დ უ ა ლ უ რ წ ა რ მ ო ნ ა ქ მ ნ ე ბ ს, რომლებიც ზოგიერთი ავტორის მიერ შესაძლოა არც იქნენ მიჩნეული ფრაზეოლოგიზმებად.

ამდენად, ჩვენი დაკვირვების ფოკუსში ექცევა ისეთი ენობრივი ფორმები, რომლებიც ორიგინალის ტექსტში ავლენენ მეტაფორიზაციის ან მეტაფორული პარაფრაზის ნიშნებს. ჩვენთვის საინტერესოა, შესაძლებელია თუ არა ამ ენობრივ ფორმათა ისეთი ტრანსპოზიცია თარგმანში, რომ არც მათი ინფორმაციული ღი-

რებულება გაუფასურდეს თარგმანის ადრესატის აღქმაში და არც მათი ფიგურალურობა იქნეს ნეიტრალიზებული.

ფრაზეოლოგიზმთა შეცნობა, რეცკერის მიხედვით, მივიჩნიეთ უპირველეს სირთულედ მათი თარგმნის პროცესში. როგორც ამას ხშირად ადასტურებს მთარგმნელობითი პრაქტიკა, ეს მართლაც საკმაოდ პრობლემატურია. ამის მიზეზი, ერთი მხრივ, ამ ენობრივ წარმონაქმნში ლექსემათა მოჩვენებითი დამოუკიდებლობაა. *ფრაზეოლოგიზმის კომპონენტები მეტწილად არ შეიცავს ისეთ ფორმალურ მარკერებს, რომლებიც განასხვავებდა მათ ჩვეულებრივი სიტყვებისაგან და მთელ გამონათქვამს – ჩვეულებრივი შესიტყვებისაგან.* მეორე მხრივ, ზოგიერთ ფრაზეოლოგიზმში გამოთქმული აზრი, ლოგიკური თვალსაზრისითაც და კონტექსტის ფონზეც, შესაძლოა სრულიად მარტივად იქნეს გაგებული არა გადატანით, არამედ პირდაპირი მნიშვნელობით. მაგალითად, ისეთი ფრაზეოლოგიზმი, როგორცაა “to give somebody a good business” (რომელიც ვისიმე ცემას, მისთვის ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენებას ნიშნავს), ქვემოთ მოყვანილ კონტექსტში სავსებით დასაშვებია, რათა არ იქნეს აღქმული ფრაზეოლოგიზმად:

“The fact that the Police had given him a good business was talked about everywhere.”

წარმოდგენილ ნაწყვეტში ის, ვისზედაც საუბარია, საყოველთაო ყურადღების საგანი შეიძლებოდა გამხდარიყო იმ მიზეზითაც, რომ მას პოლიციაში ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს, და იმის გამოც, რომ პოლიციამ იგი კარგ სამუშაოზე გაამწესა. ბუნებრივია, რომ ცდომილების მიზეზი, პირველ ყოვლისა, შეიძლება მთარგმნელის არაკომპეტენტურობა იყოს, მაგრამ ისიც ცხადია, რომ ფრაზეოლოგიზმის სტრუქტურულმა მსგავსებამ თავისუფალ შესიტყვებასთან, მით უფრო, თუ დაეუშვებთ, რომ ეს კონტექსტის ლოგიკასთან არ მოდის წინააღმდეგობაში, შეიძლება შეაცდინოს მაღალპროფესიული მთარგმნელიც.

ამ ჰიპოთეტური შემთხვევიდან გადავიდეთ რეალურ მაგალითზე: ჯეკ ლონდონის „მარტინ იდენში“ ეკითხულობთ ასეთ სტრიქონებს:

“He was the fellow who had burnt the midnight oil, bedded with a spur and written books himself” (2-408).

თარგმანში კი ნათქვამია:

„ღამეებს ათენებდა, ნათს დაუზოგავად წვაედა, ლოგინში
ღეზებს იგდებდა და წერდა წიგნებს“ (16-687).

ფრაზა “bedded with a spur”, — ჩვენი აზრით, ინდივიდუალური საავტორო ვარიანტია, წარმოქმნილი იმ ფრაზეოლოგიზმთა ნიადაგზე, რომლებშიც ფიგურირებს კომპონენტი “spur” და რომლებშიც სიჩქარის, გადაუღებლობის, აჩქარების, იმწამიერობის სემბოა აქტივიზებული: to need the spur, to put spur, on the spur of time. აქედან გამომდინარე, ზემოთ მოყვანილი ავტორისმიერი მეტაფორაც უნდა ნიშნავდეს სიჩქარეს, დროის მოგებას ძილის ხარჯზე, თვალის მოტყუებას და ა. შ. მაგრამ თარგმნით ვარიანტში გამონათქვამის ასეთი მეტაფორიზაცია არ იგრძნობა, რის გამოც აზრი კურიოზული თუ არა, ბუნდოვანი მაინც არის.

ფრაზეოლოგიზმთა კომპონენტურ და კონოტაციურ ეკვივალენტურობაზე სიტყვას აღარ გავაგრძელებთ, რამდენადაც წინა განაკვეთში, ბიბლეიზმებისა და მითოლოგიური წყაროებიდან სხვადასხვა ენაში დამკვიდრებულ ფრაზეოლოგიზმთა მაგალითზე ნაჩვენები იყო, თუ რა იგულისხმება ამ ენობრივ წარმონაქმნთა ეკვივალენტურობაში. როცა ვლაპარაკობთ ფ რ ა ზ ე ო ლ ო გ ი ზ მ თ ა კ ო მ პ ო ნ ე ნ ტ უ რ ი დ ო ნ ი ს ე კ ვ ი ვ ა ლ ე ნ ტ უ რ ო ბ ა ზ ე, არ ვგულისხმობთ, რომ წყარო ენის ფრაზეოლოგიზმი ყველა ენობრივი პარამეტრით მეორდება მის ეკვივალენტურ თარგმნით ვარიანტში. განსხვავებული გრამატიკული ნიშნები, სინტაქსური წყობა ან ფრაზეოლოგიზმის სინტაქსური ფუნქცია ამ შემთხვევაში არ არის არსებითი. *მთავარია ის, რომ თარგმანში აქტივიზებული ვარიანტი თავისი დენოტაციური და კონოტაციური მნიშვნელობით იყოს ეკვივალენტური, რაც იმას ნიშნავს, რომ მასში არ უნდა იყოს განეიტრალებული არც აზრი და არც ხატოვანება.* ვნახოთ ამისი მაგალითი მხატვრული თარგმანიდან:

“I’m not in favour of this modern mania for turning bad people into good people at a moment’s notice. As a man sows let him reap” (4-306).

„არა მწამს დღევანდელი მანია ცუდი ადამიანის ერთბაშად

მორჯულებსა. და, რ ა ც დ ა თ ე ს ა, ი გ ი ვ ე
მ ო ი მ კ ა ს“ (18-159).

თარგმანში აღინიშნება მორფოლოგიური ცვლილება (ზმნის ახლანდელი დროის ფორმა ტრანსფორმირებულია წარსულის ფორმაში), მაგრამ შენარჩუნებულია სემანტიკურად ტოლფასი ელემენტებიც და ხატოვანების ეფექტიც. უფრო რადიკალური სტრუქტურული ცვლილებაა ქვემოთ მოყვანილ მაგალითში:

“I'd hoped to get through life without a case of this kind. But John

Taylor pointed at me and said, “You're it!”

“Let this cup pass from you, eh?”

“Right. But do you think I could face my children otherwise?” (10-93).

„ბოლო დრომდე იმედი მქონდა ამგვარ საქმეს თავიდან ავიცილებდი (იგულისხმება სასამართლოში შეაკანიანის დამცველად გამოსვლა – ნ. ს.), მაგრამ რაღა უნდა მექნა, როცა ჯონ ტეილორმა სწორედ ჩემსკენ გამოიშვირა თითი და მითხრა, – ეს სწორედ შენი საქმეაო. – შენ კი ნატრობდი – თუ შესაძლოა ა მ ა ც დ ი ნ ე ე ს ა ს მ ი ს ი ო, ხომ?

– მართალი ხარ, მაგრამ როგორ გგონია, უარი რომ მეთქვა,

შეძლებდი ჩემი შვილებისათვის თვალი გამესწორებინა?“ (24-88).

თანამოსაუბრის რეპლიკა, რომელშიც აქტივიზებულია ჩვენთვის საინტერესო ერთეული (ბიბლეიზმი – „ამაცდინე ეს თასი“ (სასმისი), ორიგინალში ელიფსურ წინადადებაშია ჩამონტაჟებული, თარგმანში კი – რთულ ქვეწყობილ წინადადებაში, რისი საჭიროებაც შეიქნა შორისდებული “eh”-ის ფუნქციის გამოხატვისათვის, რაც ინგლისურში მოსაუბრის საპასუხო რეპლიკის ერთგვარ სტიმულატორად ითვლება. ამავე ნაწყვეტის მეორე ფრაზეოლოგიზმი კი (“to face the children” – „შვილებისათვის თვალის გასწორება“) თარგმანში შენაცვლდა არა ფრაზეოლოგიური ეკვივალენტი, არამედ ფ რ ა ზ ე ო ლ ო გ ი უ რ ი ა ნ ა ლ ო გ ი თ. ამ უკანასკნელზე ვლადპარაკობთ მაშინ, როცა თარგმანში წყაროების ფრაზეოლოგიზმის ნაცვლად აზრი რეალიზებულია კომპო-

ნენტური შემადგენლობით განსხვავებული, მაგრამ სემანტიკურად ეკვივალენტური ფრაზეოლოგიზმით. მაგალითად, ქვემოთ მოყვანილი ინგლისური ფრაზეოლოგიზმი რუსულ თარგმანში გადავიდა თავისუფალი შესიტყვებით, ქართულში კი – ფრაზეოლოგიური ანალოგიით:

“What was the use of having half a dozen of servants eating their heads off?”(1-50).

“Чего ради держать полдюжины слуг, которым совершенно нечего делать!”

„რა ჯანდაბად უნდა ექვს-ექვსი მსახური, რომლებიც უსაქმურობისგან მთქნარებაში ატარებენ დროს“
(15-30).

ბშირია, როცა თარგმანში ფრაზეოლოგიზმი ახალ მხატვრულ სახეზეა აგებული, მაგრამ ფიგურალურობის ეფექტი ნაწილობრივ მაინცაა შენარჩუნებული, თუმცა იცვლება იმპლიკაცია:

“But yet I run before my horse to market
Clarens still breathes, Edward still lives and reigns,
When they are gone, then must I count my gains” (14^d-44).

„მაგრამ რას ვჩმახავ, ურემს ხარებს უკან
რად ვუბამ, კლარენს ჯერ სუნთქავს, ედვარდ მეფეც
ცოცხალი არის,

როს გავისტუმრებ, მონაგებიც მაშინ აღენუსხო“ (28^e-13).

ინგლისური ფრაზეოლოგიზმი “to run before one’s horse”, ცნობილი შექსპირიზმი, რომელიც დამკვიდრებულია ინგლისური ენის ფრაზეოლოგიურ ფონდში, ნიშნავს სულსწრაფობას, მოუთმენლობას და ჯერეთ მოუხდენელით წინასწარტკობას.* მთარგმნელის ინტერპრეტაცია (ურმისათვის ხარების უკან მობმა), ჩვენი გაგებით, სხვა იმპლიკატურითაა დატვირთული, კერძოდ, საქმისათვის ხელის შეშლას, შეფერხებას უნდა გამოხატავდეს; თუმცა მთარგმნელ-

* New Webster’s Dictionary...

ის ინტერპრეტაცია შესაძლოა სხვა იმპლიკაციას შეიცავს – საქმის პირუკუ კეთებას, არასწორი საქციელის ჩადენას, მით უფრო, რომ გამონათქვამის საწყისი ფრაზაც „რას ვჩამახვ“; სწორედ ამაზე მიუთითებს. ასეა თუ ისე, გამონათქვამის ფიგურალურობა მაინც შენარჩუნებულია, თუმცა აქ უფრო მეტად თავისუფალ ინტერპრეტაციასთან გვაქვს საქმე, ვიდრე ფრაზეოლოგიურ ანალოგთან.

თ ა ვ ი ს უ ფ ა ლ ი ნ ტ ე რ პ რ ე ტ ა ც ი ა შ ი აზრობრივი სიზუსტე მაინც ნაწილობრივ დარღვეულია და მთარგმნელის ინტერპრეტაცია განსხვავებული შინაარსით იკითხება. ანალოგიური შემთხვევაა ქვემოთ მოყვანილ თარგმნით ვარიანტშიც:

“Bosinney looked clever, but he had also – and it was one of his great attraction – an air as if he did not quite know which side his bread were buttered, he should be easy to deal with in money matters” (1-78).

„ბოსინი ძალიან ჭკვიანია, ნიჭიერი კაცი უნდა იყოს, მაგრამ ყველაზე მოსაწონი მასში ისაა, რომ ფ უ ლ ე ბ ი თ გ ა უ რ ყ ვ ნ ე ლ ი კაცი ჩანს და ეს საკითხი მასთან ადვილად მოგვარდება“ (15-61).

ინგლისური ვარიანტი – “which side his bread were buttered” – ა ვ ტ ო რ ი ს მ ი ე რ ი პ ა რ ა ფ რ ა ზ ი ა ცნობილი ფრაზეოლოგიზმისა: “to butter one’s bread on both sides”, რომელიც ნიშნავს სიხარბეს, მეთავისებობას, საკუთარ გამორჩენაზე ზრუნვას და ა. შ.* ამდენად, ავტორის პარაფრაზი უნდა გავიგოთ ისე, რომ ეს ადამიანი ძალზე არაპრაქტიკულია, ვერ ხედავს იმას, თუ რა მოუტანს სარგებელს. მთარგმნელის თავისუფალი ინტერპრეტაციის თანახმად კი (ფულეებით გაურყვნელი კაცი), ეს უნდა იყოს ადამიანი, რომელიც ინარჩუნებს თავის ზნეობრივ სიწმინდეს, მორალურ სიმტკიცეს, მიუხედავად იმისა, რომ ობიექტურად ბევრი ცდუნება გააჩნია (მრავლად აქვს ფული, რომელმაც მაინც ვერ გარყვნა). ასეთი არაზუსტი თარგმანიც თავისუფალი ინტერპრეტაციაა და ვერ ჩაითვლება ფრაზეოლოგიურ ანალოგად, თუმცა გამონათქვამს გარკვეული ხატოვანება არ აკლია.

* New Webster’s Dictionary...

ცნობილი ფრაზეოლოგიზმების ავტორისმიერი პარაფრაზები საკმაოდ საინტერესოა იმ დამატებითი იმპლიკაციის გამო, რომელსაც ისინი იძენენ სწორედ რომელიმე კომპონენტის პირდაპირი მნიშვნელობის გაცოცხლებით. ვნახოთ ამის მაგალითიც:

“The amount of woman in London who flirt with their own husbands is perfectly scandalous... It is simply washing one's clean linen in public”(4-289).

ირონიული კონოტაცია, რომელიც შეიქმნა ცნობილი ფრაზეოლოგიზმის (to wash dirty linen in public) ერთ-ერთი კომპონენტის ანტონიმური ერთეულით ჩანაცვლების გზით, იმავე საშუალებითაა გადმოტანილი თარგმანშიც:

„საკუთარ ქმრებთან მორაშიყე ქალების რიცხვი ლონდონში კატასტროფულად იზრდება; ეს ო ჯ ა ხ უ რ ი გ ა ნ ძ ი ს გ ა მ ო მ ზ ე უ რ ე ბ ა ს ნიშნავს“ (18-148).

ადრე ლაპარაკი გვქონდა ფრაზეოლოგიზმთა შეცნობის სირთულეზე, რაც გამოწვეული იყო კომპონენტთა დამოუკიდებელი გაფორმებით. იგივე შეიძლება შეიქნას იმისი მიზეზი, რომ რედუცირებული ფრაზეოლოგიზმი თარგმანის მკითხველმა ვერ შეიცნოს და პირდაპირი მნიშვნელობით აღიქვას. ასეთ საფრთხეს შეიცავს „სათქმელის გაწყვეტა“ ფრაზეოლოგიზმზე. ასე მაგალითად, ასეთი შეკვეცილი, ანუ დაუმთავრებელი სახითაა რეალიზებული ცნობილი ინგლისური ანდაზა “while the grass grows the calf will die” შექსპირის „ჰამლეტში“ – „პავლეს ტყავს გააძრობენ“... ქართული ფრაზეოლოგიური ანალოგი, რომელიც მთარგმნელს შეურჩევია (სანამ პეტრე მოვიდოდა, პავლეს ტყავს გააძრობენო), მიუხედავად მისი ზედმეტად ქართული კოლორიტისა (გვულისხმობთ საკუთარ სახელთა ქართული წარმოთქმის ვარიანტებს), მაინც, როგორც ჩანს, აზრობრივად ერთადერთი თუ არა, ყოველ შემთხვევაში, ერთ-ერთია ქართულ ფრაზეოლოგიზმთა ფონდში. მაგრამ ამ შემთხვევაში უფრო მეტად გვიანტერესებს ანდაზის გაწყვეტის ტექნიკა თარგმანში. ივ. მაჩაბელს საგანგებოდ გადაუადგილებია ფრაზეოლოგიზმის კომპონენტები, რამდენადაც მეორე სეგმენტი (პავლეს ტყავს გააძრობენ) უფრო აშკარად გვაგრძნობინებს, თუ რომელი ანდაზა იგულისხმება, ვიდრე მისი პირველი სეგმენტი (სანამ პეტრე მოვი-

დოდეს), რომელიც მკითხველს შესაძლოა ვერც შეეცნო ანდაზის ნაწილად და პირდაპირი მნიშვნელობით გაეგო.

ა. თყაიშვილის დაკვირვებით, ქართულ ფრაზეოლოგიზმთა ერთ-ერთი გამორჩეული თვისება იმაში მდგომარეობს, რომ იდიომის საფუძვლის – მხატვრული სახის – აღქმა თითქმის ყოველთვის „ხელშესახებია და გამოთქმა თავისი მოდელით უტოლდება ენაში არსებულ ცოცხალ შესიტყვებებს“ (115-125). ეს ნაკლებ დამახასიათებელია ევროპული ენების, განსაკუთრებით კი – ინგლისური იდიომატიკისათვის, რომელშიც მოტივაცია ხშირად „დაბნელებულია“, გამქრალი. ამიტომ ბევრი, შედარებით არატრანსპარანტული, ბუნდოვანი მნიშვნელობის შემცველი გამონათქვამი ქართულ თარგმანში მეტ სიცხადეს იძენს:

Algermoon: I'm afraid, Aunt Augusta, I shall have to give up
the pleasure of dining with you to-night, after all.

Lady Bracknell: I hope not. It would put my table
completely out" (4-291).

ინგლისური ფრაზის "to put smth. out" ისეთი მნიშვნელობა, რომელიც მიუდგებოდა ამ კონკრეტულ კონტექსტს, არ დასტურდება არც ერთ ლექსიკონში. როგორც ჩანს, ეს არის ინდივიდუალური წარმონაქმნი ან დროებითი, მოდური, არადიფერენცირებული მნიშვნელობის ფრაზა. ქართულ თარგმანში გამონათქვამი მეტ ტრანსპარანტულობას იძენს და იმდენად დიდია მთარგმნელის მოწადინება აზრის „გაცხადებისა“, რომ თარგმანში აქტივიზებულია ზედიზედ ორი ურთიერთსინონიმური ფრაზეოლოგიზმი:

„ალჯერონი: ვწუხვარ, ჩემო დეიდა, რომ თქვენს ოჯახში
ამდამდელ სიამოვნებას გამოვაკლდები.

ლედი ბრეკნელა: იმედი მაქვს, არ მიღალატებ. უშენოდ

ყ ვ ე ლ ა ფ ე რ ი ხ ა ლ ი ს ს დ ა კ ა რ გ ა ვ ს,
ს უ ფ რ ა ს ე შ ხ ი მ ო ა კ ლ დ ე ბ ა“
(18-149).

ვფიქრობთ, ქართული ფრაზეოლოგიზმების ზემოხსენებული ტენდენციით (ვგულისხმობთ მათი მოტივაციის არაბუნდოვნობას) შეიძ-

ლება აიხსნას ის გარემოება, რომ ქართულ თარგმანში უცხოენოვანი არაგამჭვირვალე ფრაზეოლოგიზმები და ოკაზიური მეტაფორები მეტწილად უფრო ტრანსპარანტულია, რამდენადაც უმეტესად თავისუფალი (თუმცა გარკვეულწილად მეტაფორიზებული) შესიტყვებით არის ხოლმე გადმოტანილი.* ამდენად, საკვებით სწორია დ. ფანჯიკიძის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ „თარგმანის ენა თარგმანის ამბივალენტურობის გამო უფრო მკაცრად უნდა მოექცეს სალიტერატურო ენის ფარგლებში, ვიდრე ორიგინალური შემოქმედება“ (4-136).

დავუკვირდეთ ერთი ასეთი ოკაზიური შესიტყვების ტრანსფორმაციას თარგმანში:

“Everything betokened that love of beauty so deeply implanted in each family which has had its own way to make into society, out of more vulgar heart of nature” (1-61).

„სილამაზისკენ ასეთი ლტოლვა ღრმად მოიკიდებს ხოლმე ფეხს ყველა ოჯახში, რომლის წევრებიც მ და ბ ი ო წ ა რ მ ო შ ო ბ ი ს ა ა რ ი ა ნ და თვითონ იკაფავენ გზას საზოგადოებაში“ (15-42).

მოყვანილ ნაწყვეტში ორი უზუალური, კლიშირებული ფრაზეოლოგიზმი სრულიად უმტიკიენელოდაა ტრანსფორმირებული ასევე უზუალურ ფრაზეოლოგიურ ანალოგებში (ფეხის მოკიდება, გზის გაკაფვა საზოგადოებაში), რაც შეეხება მესამე, ნაკლებად უზუალურ, ავტორისმიერ მხატვრულ პარაფრაზს – vulgar heart of nature, რომელიც რუსულ თარგმანში შინაგანი ფორმით ეკვივალენტური შესიტყვებითაა გადატანილი, – из вульгарных недр мира, ქართულ თარგმანში ჩანაცვლდა დემეტაფორიზებული თავისუფალი შესიტყვებით (მდაბიო წარმოშობის ოჯახები).

უნიკალური ფრაზეოლოგიზმის თავისუფალ შესიტყვებაში

* ინგლისურენოვანი მხატვრული ტექსტების თარგმანებიდან ჩვენ მიერ ამოკრფილი შემთხვევების 70%-ზე მეტი სწორედ თავისუფალი შესიტყვების სახითაა ტრანსფორმირებული თარგმანში, თუმცა ცალკეულ შემთხვევებში მთარგმნელისმიერი ენობრივი წარმონაქმნები არ არის მოკლებული ფრაზეოლოგიზაციის უფექტს. შეიცავს ხატოვანებას ან დაუუშვათ, ანდაზისა და აფორიზმის ტიპის წარმონაქმნისათვის იმანენტურ თვისებებს (რიტმულ ორგანიზებას, ბგერით ინსტრუმენტირებას, ბინარულ კონსტრუქციას და სხვ.), რის საფუძველზეც შეიძლება მიჩნეულ იქნეს ფრაზეოლოგიურ ანალოგად.

ტრანსფორმაციის ერთ-ერთი სანიმუშო მაგალითია სპეციფიკური ინგლისური ფრაზის – “to be in one’s teens”, როგორც ერთ-ერთი უნიკალიზმის, თარგმანში ტრანსპოზიციის სახეობა ქვემოთ მოყვანილ მაგალითში:

“While the present century was in its teens, and one sunshiny morning in June there drove up to the great iron gate of Mrs. Pinkerton’s academy for young ladies a large family coach” (5-17).

„ამ საუკუნის მეორე ათწლეულის შუაწლებში, იენისის ერთ მზიან დღეს, ქალბატონ პინკერტონის დედათა სასწავლებლის რკინის ალაყაფის კარს დიდი საოჯახო ეტლი მიაღვა“ (19-23).

რუსულ თარგმანში, სადაც ჩვენთვის საინტერესო სეგმენტი უფრო კონკრეტიზებულია (начало нынешнего столетия), ასევე ქართულ თარგმანში, სადაც მეტი კონკრეტიზაცია აღინიშნება (ამ საუკუნის მეორე ათწლეულის შუა წლებში), გამონათქვამის ხატოვანება სრულიად ნეიტრალიზებულია და შენარჩუნებულია მართლოდენ აზრობრივი ინვარიანტი. *საერთოდ, ფრაზეოლოგიზმთა თუ ოკაზიური მხატვრული ზერზების თარგმანსთან დაკავშირებით მუდამ დგება საკითხი, თუ რისი შენარჩუნებაა უფრო მნიშვნელოვანი – აზრისა (დენოტაციური მნიშვნელობის), თუ ხატოვანებისა (კონოტაციური შეფერილობის) და სავსებით ბუნებრივია, რომ ზელოვნურ თარგმნით ვარიანტს, რომელსაც აკლია ბუნებრიობა თარგმანის ენისათვის, ჯობს ისეთ დანაკარგთან შეგუება, როგორცაა კონოტაციური შეფერილობა.*

ფრაზეოლოგიზმში, როგორც ადრე ითქვა, თვალსაჩინოა ენობრივ კოლექტივთა მიერ გარე სამყაროს მოვლენათა არაერთგვაროვანი ხედვა და მათ მიერ გამოწვეულ ასოციაციათა განსხვავებული ხასიათი. ეს გარემოება განსაკუთრებით საგრძნობია ე. წ. კომპარატიულ ფრაზეოლოგიზმში, რომელთა დიდი ნაწილი ეკვივალენტურია შინაგანი ფორმით და, ამდენად, მოვლენათა იდენტური ხედვითაც (as clear as day – დღესავით ნათელი; as cunning as a fox – მელასავით ეშმაკი; as firm as a rock – კლდესავით მაგარი (უტეხი) და მრავალი სხვ.). მაგრამ ხშირად დასტურდება ასოციაციის განსხვავებული

ხასიათი (as cool as cucumber — ყინულივით ცივი; as bald as a mushroom — კვერცხივით მოტიტვლებული; as like as two peas — გაჭრილი ვაშლივით, ტყუპის ცალივით (მსგავსი); as white as wool — თოვლივით (ბამბასავით) თუთი; as flat as a flounder — ფიცარივით ბრტყელი და სხვ.).

კომპარატიული ფრაზეოლოგიზმის ზუსტი თარგმანი მართო მაშინაა გამართლებული, როცა ახალი სახეობრიობა თარგმანის ენისთვისაც არ იქნება უცხო და ხელოვნური:

“Aunt Alexandra fitted into the world of Maycomb as a hand into a glove” (10-134).

„ამიდა ალექსანდრა ისე მოერგო მეიკომს, როგორც ხელი ხელთათმანს“ (24-127).

თარგმნითმა ვარიანტმა, ჩვენი აზრით, შეინარჩუნა ფრაზეოლოგიზმის ეფექტი (თუმცა, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ მეიკომი ქალაქია, სიზუსტისთვის აჯობებდა თქმულიყო — შეეწყო მეიკომის საზოგადოებას ან ცხოვრების წესს).

მაგრამ ისეთი ფრაზეოლოგიზმის კალკირებაც, რომელიც დაკავშირებულია რაიმე ეთნოკულტურულ რეალიასთან, ამკარად აბუნდოვნებს ან გაუგებარს ხდის აზრს. ასეთია, მაგალითად, ზუსტად კალკირებული ერთ-ერთი ფრაზის ბედი შექსპირის “მეთორმეტე ღამის” თარგმანში:

Olivia: Why, this is a very midsummer madness!” (14'-37).

„ოლივია: ღიახ! ეს ნამდვილი შუა ზაფხულის სიგიჟეა“ (28ა-271).

საქმე ის არის, რომ 23 ივნისის საღამო მაგიურ დღედ ითვლებოდა და მას, ძველებური რიტუალის მიხედვით, განსაკუთრებით თავდავიწყებული მხიარულებით აღნიშნავდნენ. აქედან დამკვიდრდა ინგლისური ენის ფრაზეოლოგიურ ფონდში “midsummer madness”, რაც თანამედროვე ხმარებაში დროსტარებასა და მხიარულებას ნიშნავს. ქართული მკითხველისათვის კი ასეთი ფრაზეოლოგიური კალკი, კომენტარის გარეშე, ვფიქრობთ, არ შეიცავს არავითარ ინფორმატიულობას.

ანალოგიურ შემთხვევებში ვლასპარაკობთ ორიგინალის ეროვ-

ნული კოლორიტის გადაჭარბებაზე. თარგმანის პრატიკაში არანაკლებ იშვიათია თარგმანის მიმღები კულტურის ეროვნული კოლორიტის გადაჭარბებაც. ქვემოთ მოყვანილ ნაწყვეტში აქტივიზებულ კომპარატიულ ფრაზეოლოგიზმს (as crisp as a toast), რომელიც ავტორისმიერი ინდივიდუალური წარმონაქმნი უნდა იყოს, ვფიქრობთ, საფუძვლად უდევს ზედსართავის – “crisp” ერთ-ერთი სემა; მისი პოტენციური მნიშვნელობებიდან: 1. easily broken; – possessing firmness and freshness; 3. fresh, brisk, stiff; 4. sparkling; 5. curling in small stiff or firm curls* აქტივიზებულია სემა “stiff” – გამომხმარი, გაფიჩხებული, გაშეშებული, მით უფრო, რომ ლაპარაკია უმოძრაო ჩრდილზე, რომელიც ბავშვს ჯერ ხეც კი ეგონა.

“Then I saw a shadow. It was the shadow of a man with a hat. At first I thought it was a tree. The shadow, **crisp as a toast**, moved across the porch towards Jem” (10-58).

„სწორედ ამ დროს ჩრდილი დავლანდე, ქუდიანი კაცის ჩრდილი იყო. ჯერ ვიფიქრე, ხე ხომ არ არის-მეთქი. ჩ უ რ ჩ ხ ე ლ ა ს ა ვ ი თ წ ა გ რ ძ ე ლ ე ბ უ ლ ი ჩრდილი ჯემის მიმართულებით დაიძრა“ (24-54).

მთარგმნელის მიერ აქტივიზებული შედარება (ჩურჩხელასავით წაგრძელებული), ვფიქრობთ, გაუმართლებელია სწორედ პრაგმატული თვალსაზრისით. ნაციონალური კოლორიტით შეფერილმა ასეთმა ერთეულმა შეუძლებელია არ გამოიწვიოს მკითხველის დეზორიენტაცია (ჩათვლის, რომ ამერიკაშიც აკეთებენ ჩურჩხელებს) ან გაცემა, რომ რაღაც ფიგურამ ამერიკელი ბავშვის აღქმაში აღძრა ასოციაცია „ჩურჩხელასთან“, რომელზეც, საეჭვოა, მას რაიმე წარმოდგენა ჰქონოდა.

ფრაზეოლოგიზმები განსაკუთრებული სიფრთხილით საჭიროებენ მოპყრობას თარგმანში, რამდენადაც, გავიმეორებთ ზემოთქმულს, ეს სპეციფიკური ენობრივი წარმონაქმნები უფრო მეტად ავლენენ ეთნოკულტურულ სპეციფიკას, ვიდრე ბუნებრივი ენის სხვა ერთეულები. ეს გარემოება კი აშკარად შეიცავს შეპირისპირებული ენების სოციალურ-კულტურული ფონის გაუმართლებელი კრე-

* New Webster's Dictionary...

ოლიზაციის პერსპექტივას და რომელიმე ერთის – ან ორიგინალის, არ თარგმანის – ნაციონალური კოლორიტის გადაჭარბების პოტენციურ შესაძლებლობას. სწორედ ასეთი წინააღმდეგობების განეიტრალებაში ვხედავთ თარგმანის პრაგმატული ასპექტის მოქმედების საჭიროებას, ამას ვგულისხმობთ, როცა ელაპარაკობთ პრაგმატულ-კომუნიკაციური წონასწორობის დამყარების აუცილებლობაზე.

ენის სოციალურად დეტერმინირებული
ვარიანტულობის ტრანსპოზიციის თარგმანში

გამონათქვამის პრაგმატულ-ფუნქციონალურ ტრანსფორმაცია-თა და სუპრასემანტიური დონის ადაპტაციური მოდიფიკაციის ერთ-ერთი მთავარი მიზეზია ორიგინალის ენის სოციალური ვარიანტულობის ტრანსპოზიციის საჭიროება თარგმანის ენაში. ის გარემოება, რომ თარგმანს, როგორც ენათშორისი და კულტურათშორისი კომუნიკაციის აქტს, უდიდესი საზოგადოებრივი მნიშვნელობა ენიჭება, რაც დასტურდება მისი რეალიზაციის ნებისმიერ სახეობაში, საგანგებო მტკიცებას არ საჭიროებს. თარგმანის საზოგადოებრივი დანიშნულების საკითხი, ისევე როგორც თარგმანის სოციალური ასპექტები, გარკვეულწილად მუდამ იყო ასახული თარგმანის შემსწავლელი მეცნიერების განვითარების შედეგებით ადრეულ საფეხურებზეც და მრავალ სპეციალურ გამოკვლევაში იმთავითვე დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა. მაგრამ ყოველივემ შედეგებით უფრო სისტემური ხასიათი მიიღო მას მერე, რაც შემუშავდა სოციოლინგვისტიკის ცნებითი აპარატი.

თარგმანი, როგორც სოციალურად დეტერმინირებული მოვლენა, შეუძლებელია არ შეიცავდეს მრავალ ისეთ ნიშანს, რომელიც შედის სოციოლინგვისტური კვლევის სფეროში. ამდენად, ლინგვისტიკის სხვა ქვედარგებთან შედარებით, როგორც ამას მართებულად შენიშნავს ა. დ. შვეიცერი (33-15), თარგმანის პრაგმატული ასპექტები უფრო მჭიდრო კავშირს ავლენენ სოციოლინგვისტიკასთან და ამ უკანასკნელის კვლევის სფეროში გაერთიანებულ ისეთ პრობლემებთან, როგორცაა ა) ენა და საზოგადოების სოციალური სტრუქტურა, ბ) ენა და პიროვნების სოციოლოგია, გ) ენა და კულტურა.

ენის სოციალური ვარიანტულობის თარგმანში ანალოგიზაციის საშუალებით გვექმნება წარმოდგენა უცხოენოვანი საზოგადოების სოციალურ დიფერენციაციაზე; თარგმანში ტრანსპონირებული უცხოური კულტურის რეალიათა ანალოგიზაციის გზით კი ვეცნობით უცხო ლინგვოეთნიკური კოლექტივის ცხოვრების წესს, მის კულტურულ და სოციალურ ყოფას, სამეტყველო ეტიკეტის სპეციფიკას განსხვავებულ სოციალურ სიტუაციებში და ადამიანთა ურთიერთობებში, ამ ენობრივი კოლექტივის დამოკიდებულებას

გარე სამყაროს მოვლენებთან და საერთოდ, უცხოური ეთნოკულტურული რეალობის მრავალ სხვა სპეციფიკას.

თარგმანის პრაგმატიკისთვის სოციოლინგვისტური ასპექტიბიდან განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ენის სოციალურად განპირობებული ვარიანტულობის ფუნქციონალური ანალოგიზაციის პრობლემა თარგმანში, ერთი მხრივ, და მეორე მხრივ, საწყისი ტექსტის ეთნოკულტურულ რეალიათ ტრანსპოზიციის პრობლემა განსხვავებულ ენასა და განსხვავებულ ეთნოკულტურულ რეალობაში, რაც ხშირად განაპირობებს თარგმანის ტექსტის ადაპტაციურ მოდიფიკაციას..

ო. კადე იყო პირველი, რომელმაც გაამახვილა ყურადღება ენათშორის კომუნიკაციაზე, როგორც საზოგადოებრივ მოვლენაზე, რომელიც დაკავშირებულია საზოგადოებრივი ცხოვრების მოთხოვნილებებთან და ემსახურება საზოგადოებრივ ინტერესებს (118). ო. კადეს იდეებმა შემდგომი განვითარება პოვა ნ. კ. ლატიშევის შრომებში (119, 120, 121). ნ. კ. ლატიშევი განსაკუთრებით ამახვილებს ყურადღებას იმ ეთნოკულტურულ ბარიერებზე (ნაციონალურ რეალიებზე), რომლებიც სწორედ იმის გამო, რომ დაკავშირებულია სხვადასხვა ენობრივ კოლექტივთა ისტორიული და სოციალური ცხოვრების განსხვავებულ პირობებთან, ხშირად ქმნის ძნელად დასაძლევ დაბრკოლებებს ენათშორისი კომუნიკაციის აქტის სრულყოფილებისათვის.

სხვა მკვლევართა ყურადღება, ადრეც და ამჟამაც, მეტწილად მიმართულია იმ სოციალურ-კულტურული ფონის რეალიებზე, რომელთა ენობრივი აღმნიშვნელები „უთარგმნელ ელემენტთა“ კატეგორიის უდიდეს ნაწილს შეადგენენ (ლ.ს. ბარხუდაროვი (25-125), ს.ს. პროკოპოვიჩი (122). ა. მ. კუზნეცოვი (123) ვლ. როსელსი (124), ა.ე. სუპრუნი (125) და სხვ.).

სოციალურ-კულტურული ფონის რეალიათა ფუნქციონალური ანალოგიზაციის საშუალებებს ეძღვნება ჩვენი გამოკვლევის მომდევნო თავიც. წინამდებარე განაკვეთში კი ყურადღებას შევაჩერებთ სოციოლინგვისტური პრობლემებიდან თარგმანის პრაგმატიკისთვის რელევანტურ ისეთ საკითხზე, როგორიცაა ენისა და პიროვნების სოციოლოგიის კავშირის ზოგიერთი გამოვლინება, რომელთაც ასევე თარგმანმცოდნეობაში ტრადიციულად „უთარგმნელ ელემენტთა“ სტატუსი აქვთ მინიჭებული. ამ კატეგორიას განეკუთვნება ენის სუბსტანდარტული ფორმები, რომლებიც უპი-

რისპირდება პრესტიჟულ სალიტერატურო ენის ფორმებს, ესენია: სოციალური ჟარგონი, პროფესიონალიზმები, დიალექტიზმები, მდაბიური არასალიტერატურო მეტყველება და ყოველივე ის, რაც ენის ნორმათა დარღვევის შემთხვევად შეიძლება ჩაითვალოს. ა. ვ. ფიოდოროვის განსაზღვრით, ეს „იმგვარი ენობრივი მოვლენებია, რომელთა არანორმატიულობა თვით შიდაენობრივ სისტემაშიც კი აშკარად იგრძნობა“ (19-123).

ი. ი. რეცკერს მიაჩნია, რომ ზემოხსენებული ენობრივი არანორმატიული მოვლენები ენის პერიფერიულ შრეებზეა განლაგებული და, წესით, უმართებულოა მათი განხილვა ნორმათა დარღვევის შემთხვევებად. ეს ფორმები საკუთარ ნორმებს ემორჩილება და არაფერი აქვს საერთო სასაუბრო მეტყველების განზრახ ან უნებლიე დამახინჯებებთან (90^ა-91).

დაახლოებით იმავე აზრს გამოთქვამენ ს. ვლახოვი და ს. ფლორინი, რომელთა ფუნდამენტურ გამოკვლევაში (126) წარმოდგენილია „უთარგმნელ ელემენტთა“ მაქსიმალურად სრული ინვენტარიზაცია. ეს ავტორებიც თვლიან, რომ ამ სპეციფიკურ ენობრივ ფორმებს, რომლებიც მართალია, არ ემორჩილება სალიტერატურო ენის ნორმებს, მაინც ახასიათებს გარკვეული კანონზომიერებანი, რომელთა საფუძველზე შესაძლებელია მათი ტიპიზაცია და, თუკი ამ რიგის მოვლენებს მაინც განვსჯით, სალიტერატურო ენის ნორმათა თვალსაზრისით უფრო მართებული იქნება ვილაპარაკოთ არა ნორმათა დარღვევა ან არამედ ნორმებიდან გადახრება.

ნორმებიდან გადახრის შემთხვევებში ზემოხსენებული ავტორები გამოყოფენ ორ ძირითად სახეობას: კოლექტიური და ინდივიდუალური ხასიათის გადახრებს. პირველ კატეგორიაში აერთიანებენ დიალექტიზმებს, ჟარგონიზმებს, არგოს, პროფესიონალიზმებს, ანუ არასალიტერატურო მეტყველების ისეთ გამოვლინებებს, რომლებიც ადამიანთა საზოგადოების მრავალრიცხოვანი კოლექტივებისთვისაა დამახასიათებელი, მეორე კატეგორიას მიაკუთვნებენ ენის მოხმარების ისეთ არანორმატიულ შემთხვევებს, რომლებიც ასევე მრავალრიცხოვანი ინდივიდების სამეტყველო ჩვევაა, იმ განსხვავებით, რომ ეს ინდივიდები არ არიან გაერთიანებული არც საერთო საქმიანობის და არც ინტერესთა თანაზიარობის ნიშნით. ამ კატეგორიაში ზემოხსენებული ავტორები აერთიანებენ უცხოელთა მეტყველებას, ბავშვთა მეტყველებას და ასევე დეფექტური მეტყველების სხვადასხვაგვარ გამოვლინებებს.

თუ ჩვენთვის საინტერესო მოვლენებს შევაფასებთ სოციო-ლინგვისტიკის ცნებებისა და ტერმინების გათვალისწინებით, მაშინ ყველა ის ენობრივი ფორმა, რომელშიც დასტურდება სალიტერატურო ენის ნორმებიდან გადახრა (ანუ თუ რომელიმე ენობრივი ფორმა შეიცავს მეტყველების ისეთ ხარისხობრივ მაჩვენებლებს, რომლებიც საზოგადოების განსხვავებული ფენებისათვისაა დამახასიათებელი), უნდა გაეაერთიანოთ ენის ს ტ რ ა ტ ი ფ ი კ ა ც ი უ ლ ი ვ ა რ ი ა ნ ტ უ ლ ო ბ ი ს სოციოლინგვისტურ კატეგორიაში. ცალკე ჯგუფად ენის სუბსტანდარტულ ფორმებში გამოვყოფთ ლოკალურ-ტერიტორიულ ვარიანტულობას (დიალექტებს), რომლებიც ასევე უთარგმნელ ელემენტებად უნდა მივიჩნიოთ. ამავე დროს, თარგმანის კომუნიკაციურ-პრაგმატული ეკვივალენტურობისათვის არანაკლებ მნიშვნელოვანია მ ე ტ ა ლ ი ნ გ ვ ი ს ტ უ რ ი ხასიათის მოვლენათა ანალოგიზაციაც მეორადი კომუნიკაციის ტექსტში. ამ კატეგორიას მივაკუთვნებთ სალიტერატურო ენის ნორმებიდან გადახრის ისეთ შემთხვევებს, როგორცაა არამშობლიური ენის ნორმებს ცუდად დაუფლებული უცხოელის მეტყველება და ასევე ბავშვური მეტყველება, რომელსაც საკუთარი „ენობრივი ლოგიკა“ და საკუთარი „ნორმები“ ახასიათებს. თარგმანის ეკვივალენტურობისათვის მნიშვნელოვანია ასევე ენის ს ი ტ უ ა ც ი უ რ ი ვ ა რ ი ა ნ ტ უ ლ ო ბ ი ს ანალოგიზაცია თარგმანის ტექსტში. ამ უკანასკნელში ვგულისხმობთ ისეთ ენობრივ მოვლენებს, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია კომუნიკანტთა სოციალურ როლებთან ურთიერთდამოკიდებულებაში და სოციალურ სიტუაციათა პარამეტრების ცვლასთან.

ენის ყოველი ზემოხსენებული ვარიანტულობის მარკერები უმეტესწილად მხატვრული ნაწარმოების პერსონაჟთა სამეტყველო პარტიებშია განფენილი. ანალოგიური მარკერები ხშირია ასევე მხატვრული. თხრობის ისეთ სახეობაში, რომელშიც თხრობას წარმართავს არა ავტორი, არამედ პერსონიფიცირებული მთხრობელი,* რომელთანაც ავტორი საკუთარ თავს არ აიგივებს. პერსონაჟის სამეტყველო პორტრეტი კი ხშირ შემთხვევაში, განსაკუთრებით კი თანამედროვე ეპიკურ ჟანრებში, მხატვრული ტექსტის

* თხრობის ამ სახეობას ლიტერატურის თორიაში აღნიშნავენ რუსული ტერმინით „Сказ“, ინგლისური ტერმინით – “entrusted narrative”, რომლებსაც ქართული ტერმინი „ნაამბობი“ შეესაბამება.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და არსებითი ფორმალური მახასიათებელია, რომლის გაუფერულება თარგმანში ნაწარმოების ავტორის პრაგმატული ინტენციისა და პოტენციური კომუნიკაციური ეფექტის გაუფასურების ტოლფასია.

მეორე მხრივ, ისიც აშკარაა, რომ ამ ენობრივი მოვლენების, დავუშვათ, თუნდაც, დიალექტიზმების ჩანაცვლება თარგმანში მეორე ენის იმავე კატეგორიის ენობრივი ფორმებით, შეიძლება ითქვას, თანამედროვე თარგმანის პრაქტიკაში „აღკვეცილი ილეთია“ და თუ ოდესმე მაინც იჩენს თავს, როგორც ეს ნაჩვენებია იქნება ქვემოთ, ერთ-ერთი შედარებით ადრეული თარგმანის მაგალითზე, იგი უნდა შეფასდეს როგორც აშკარად მცდარი მთარგმნელობითი სტრატეგიის ფაქტი.

§1. ენის სტრატეგიკაციული ვარიანტულობის ტრანსპოზიცია თარგმანის ტექსტში

სამეტყველო პორტრეტი, რომელიც პერსონაჟის დახასიათების, მისი მხატვრული სახის შექმნის ძალზე ეფექტური ხერხია, მეორე ენაზე ტრანსპოზიციას განსაკუთრებით ძნელად ემორჩილება იმ შემთხვევაში, როცა გმირის სამეტყველო პლანი უხვად შეიცავს ენის სტრატეგიკაციული ვარიანტულობის მარკერებს. ასე მაგალითად, ჯეკ ლონდონის რომანში „მარტინ იდენი“ ერთ-ერთი წამყვანი მხატვრული ხერხი, რომელიც მთავარი გმირის სხვა ადამიანად გარდაქმნის იდეას უფრო მეტ დამაჯერებლობასა და თვალსაჩინოებას მატებს, სწორედ მისი სამეტყველო პორტრეტია. ნაწარმოების საწყის თავებში, იქამდე ვიდრე გმირის „გარდაქმნა“ დაიწყებოდეს, მარტინის სამეტყველო პარტია უხვად შეიცავს მისი სოციალური წრისათვის დამახასიათებელი, არასალიტერატურო, მდაბიური მეტყველებების მარკერებს – არანორმატიულ გრამატიკულ ფორმებს, გაუძარ თავ სიტყვათა წყობას, დამახინჯებულ წარმოთქმას და სხვ. ნაწარმოების მომდევნო თავებში კი, როცა მისი მეტყველება თანდათან იხვეწება, ასევე თანდათან ჩნდება უკეთ ორგანიზებული ენობრივი ფორმები, ხოლო რომანის ბოლო თავებში, როცა გმირის მეტყველება განსაკუთრებით მდიდრდება სახეობრიობით, იგი პოეტურად ამღლებულ რეგისტრშიც კი არის წარმოდგენილი.

ენახოთ გმირის არანორმატიული მეტყველების რამდენიმე მაგალითი რომანის საწყისი თავებიდან:

a) “You was sayin’ that this man Swinburne failed bein’ a great poet.”

b) "I must a' missed' em. What I read was the real goods. It was all lighted up an' shinin' an' it shon right into me an' lighted me up inside, but I guess, I ain't much on poetry."

c) "The real fact is that I don't know nothin' much. It ain't in my class."

მოყვანილ ნაწყვეტებში მდაბიური, გაუნათლებელი კაცის მეტყველების მარკერები თავს იჩენს როგორც ფონეტიკის, ასევე გრამატიკისა და ლექსიკის დონეებზე:

1. არარეგულარული გრამატიკული ფორმებია: ა) ზმნა-შემასმენლისა და ქვემდებარის რიცხვში შეუთანხმებლობა (you was sayin'; I ain't; it ain't); ბ) ორმაგი უარყოფა ერთ წინადადებაში (I don't know nothing much); გ) გამონათქვამის ლოგიკით გაუმართლებელი მრავალკავშირიანობა, კერძოდ, მერთებელი კავშირის an' (and) მრავალგზის გამეორება წინადადებათა გასაყარზე იქ, სადაც აზრი ამას არ მოითხოვს.

2. სიტყვათა წარმოთქმის დამახინჯება ბოლოკიდური ან თავკიდური თანხმოვნების გაქრობით; ასეთია, მაგალითად, შემდეგ სიტყვათა რედუცირებული ფორმები: them ('em); and (an'); have missed (a'missed); being (bein').

3. არანორმატიული სიტყვათშეხამება (real goods; I ain't much on poetry; It ain't in my class).

მარტინის არასალიტერატურო ენით მეტყველების ეფექტი ქართულ თარგმანში მთელი სისრულით ვერ გადმოდის, მიუხედავად იმისა, რომ თარგმანი შესრულებულია საუკეთესო მთარგმნელისა და მწერლის ვ. ჭელიძის მიერ. ამ გარემოების მიზეზს არ ვხედავთ მარტოოდენ მთარგმნელის შემოქმედებით ინდივიდუალობასა და ლიტერატურულ კრეატივში.* იგი უფრო მეტად საძიებელია ენის სტრუქტურული ვარიანტულობის ეფექტის მეორე ენის ფორმებით ანალოგიზაციის სირთულეში რაც ხშირად შეუძლებელიცაა.

თვალსაჩინოა ამ მხრივ რუთისა და მარტინის ვრცელი დიალოგი იმავე ნაწარმოების მე-7 თავიდან.** ამ დიალოგში რუთი ენობრივ შეცდომებს უსწორებს მარტინს. აღნიშნული ეპიზოდი თვალსაჩინო მაგალითია იმისა, თუ რატომ არის შეუძლებელი

* საერთოდ, ვ. ჭელიძის თარგმანებისათვის დამახასიათებელია თარგმანის ტექსტის ისეთი პრაგმატული კონსტრუირება, მისი იმგვარი ადაპტაცია თარგმანის მიმღებ კულტურასთან და, რაც მთავარია, ენობრივ ფორმათა ისეთი ბუნებრიობა, რომ მის მიერ შესრულებული თარგმანი იკითხება სრულიად დაუძაბავად, ისე, თითქოს ნაწარმოები თავიდანვე ქართულ ენაზე ყოფილიყო დაწერილი.

** ეს კონკრეტული ეპიზოდი ადრეც მოიხსენიეთ (ნაშრომის მე-4 თავში) ფორმალურ-გრამატიკული ტრანსფორმაციების განხილვისას.

არანორმატიული მეტყველებისათვის დამახასიათებელი ყოველი ენობრივი მარკერის მექანიკური გადატანა თარგმანში იმავე ენობრივი დონის ერთეულებით.

ორიგინალის ტექსტში ქალი ბეჯითად უხსნის მარტინს მისი შეცდომების არსს, უსწორებს სიტყვათა წარმოთქმას და ცდილობს განუმარტოს მისი მეტყველებისათვის დამახასიათებელი ლექსიკური და გრამატიკული ფორმების არანორმატიულობის მიზეზები. მაგრამ სწორედ იმის გამო, რომ შეპირისპირებულ ენათა სტრუქტურული არაერთგვაროვნება არ აძლევს მთარგმნელს საშუალებას ასახოს თარგმანის ტექსტში ყოველი ცდომილი ფორმა მეორე ენის იმავე დონის ერთეულებში, მთელი ეს „შეცდომების გასწორების“ ეპიზოდი სრულიად კარგავს ფუნქციას თარგმანის ტექსტისათვის. ამიტომაც, რომ ორიგინალის ორ გვერდზე განფენილი „გრამატიკის გაკეთილის“ ტექსტი შეკუმშულია რუთის ერთადერთ მოკლე რეპლიკაში, რომლის შესაბამისი სეგმენტი ორიგინალის ტექსტში არ დასტურდება და ამჟამად მთარგმნელის მიერაა ჩამატებული. აი, ეს რეპლიკაც:

„ერთი სიტყვით, გრამატიკაში სცოდავთ, დროებს ურევთ, მრავლობითსა და მხოლოდით რიცხვსაც ვერ ათანხმებთ, უღვლილებაც გეშლებათ. მაგალითების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა. გრამატიკა უნდა ისწავლოთ“.

კომპენსაციის მეთოდი, რომელიც ლინგვოეთნიკური ბარიერების დაძლევაზეა მიზანმიმართული და ძალზე ეფექტურია სხვა შემთხვევაში, ზოგჯერ არასაკმარისი გამოდგება ხოლმე ისეთი დიდი მასშტაბის წინააღმდეგობათა დასაძლევად, რომლებიც შესაძლოა აღმოაჩნდეს ორიგინალის ტექსტს, რადგან კომპენსაციის საშუალებებსაც აქვს თავისი შეზღუდვები. სწორედ ამისი დასტურია ზემოთ განხილული შემთხვევა.

ტექსტის პრაგმატულ-ფუნქციონალური მოდიფიკაციის ასეთი სახეობა, რომელსაც ტექსტი ს კომპრესიის ნიმუშად მივიჩნევთ, ზოგჯერ უფრო გამართლებულია სწორედ პრაგმატული მიზნებით, ვიდრე დენოტაციური სიზუსტის დაცვის ცდაში არაბუნებრივი, ხელოვნური ენობრივი ექსპერიმენტით მანევრირება.

როცა ვლაპარაკობთ არანორმატიული ენობრივი ფორმების ზუსტი კალკირების შეუძლებლობაზე, ვგულისხმობთ, რომ ის, რაც მიგვანიშნებს ინგლისურ ტექსტში ენობრივი ნორმებიდან

გადახრაზე და რაც ინგლისური ენის სტრატეგიკაციული ვარიანტულობის მარკერად მიგვაჩნია, შესაძლოა სრულიად არ ავლენდეს იმავე ეფექტს თარგმანის ენაში, ისევე და ისევე, ენათა არაერთგვაროვნების გამო საკუთრივ პერიფერიულ შრეებშიც კი. ასე მაგალითად, არასალიტერატურო ენის ერთ-ერთ მარკერად ინგლისურში ითვლება ორმაგი უარყოფის რეალიზაცია ერთ წინადადებაში: "They never helped nobody". როგორც რუთი უხსნის მარტინს, ორმაგი უარყოფა სალიტერატურო ენაში საერთოდ ანეიტრალებს უარყოფით მნიშვნელობას" და საპირისპირო მნიშვნელობასაც კი იძენს:

"It is a rule that two negatives make a positive; "never helped nobody" means that not helping nobody, they must have helped somebody".

ქართული ენის ნორმათა მიხედვით, „არავის არ უწევენ დახმარებას“ (ანუ ორი უარყოფა) არც თუ სწორი ფორმაა და აჯობებდა თქმულიყო „არავის უწევენ დახმარებას“ (ანუ აზრი გამოხატული ყოფილიყო ერთი უარყოფითი ფორმით). ცხადია ისიც, რომ ასეთი ორმაგი უარყოფის შემცველი წინადადება ქართულში არასოდეს მტკიცებითობის მნიშვნელობას არ შეიძენდა ისეთნაირად, როგორც ეს ინგლისურში ხდება (they must have helped somebody); ქართულ სასაუბრო მეტყველებაში ხმარებადი ორმაგი უარყოფა მარტოოდენ ამბაფრებს გამონათქვამის ექსპრესიულობას.

იგივე უნდა ითქვას ბოლოკიდური ან თავკიდური თანხმობების რედუცირებაზე, რაც ასევე არაბუნებრივი იქნებოდა თარგმანის ენისათვის. ამდენად, სავსებით გამართლებულია, რომ მთარგმნელს თავი აურიდებია ასეთი ენობრივი ექსპერიმენტისათვის და ხელოვნურობის თავიდან ასაცილებლად, ამავე დროს, ორიგინალის ეფექტის თუნდაც ნაწილობრივი ანალოგიზაციისათვის, შეცდომათა მთელი სერიიდან თარგმანის ტექსტში გადმოუტანია ის, რაც უფრო მეტად დამყოლი აღმოჩნდა დამახინჯებისათვის – ეს არის დაბალი რეპუტაციის სიტყვის აქტივიზაცია და ისეთი გრამატიკული შეცდომა, როგორიცაა ქვემდებარისა და შემასმენლის შეუთანხმებლობა რიცხვში:

"By the way, Mr. Eden, what is b o o z e ? You used it several times, you know.

"Oh, booze," he laughed, "it's slang. It means whiskey and beer -

anything that will make you drunk”.

“And another thing”, she laughed back, “Don’t use y o u when you are impersonal. Y o u is very personal, and your use of it just now was not precisely what you meant” (2-84).

„– ჰო, მართლა, მისტერ იდენ, ყ ლ ა პ ვ ა რას ნიშნავს რამდენჯერმე ახსენეთ დღეს ეგ სიტყვა.

– ოჰ, ყლაპვა, – გაეცინა მარტინს, – უბრალო ხალხი ასე იტყვის ხოლმე... არაყს რომ დაღვევენ, ან ლუდს... ან ისეთ რამეს, რაც თ ქ ვ ე ნ დ ა გ ა თ რ ო ბ ს.

– აი, კიდევ ერთი შეცდომა, გაიცინა ქალმა... – რაკი თქვენობით მომმართავთ, ზმნაც მრავლობითში უნდა გეხმარათ, დ ა გ ა -
თ რ ო ბ თ ო უნდა გეთქვას“ (16-376).

ორიგინალის მიხედვით, როგორც ეს ჩანს მოყვანილი მაგალითიდან, ქალი მარტინს განუსაზღვრელი პირის ნაცვლასახელის არასწორ ხმარებაზე მიუთითებს, თარგმანში კი შეიცვალა შეცდომის ხასიათი და მასთან დაკავშირებული განმარტების შინაარსიც. მაგრამ ასეთ ცვლილებას არსებითი მნიშვნელობა არა აქვს. მთავარია, რომ თარგმანშიც აისახა მარტინის მდაბიური მეტყველების მარკერები, თუმცა ეს ეფექტი განსხვავებულ ერთეულებზეა გადაადგილებული. ე ფ ე ქ ტ ი ს გ ა დ ა ა დ გ ი ლ ე ბ ი ს ხერხი, ისევე როგორც ადრე განხილული ს ტ ი ლ ი ს ტ უ რ ი ი რ ა დ ი ა ც ი ი ს მოვლენის გამოყენება, ის პრაგმატული ოპერაციებია, რომლებიც უზრუნველყოფს შეპირისპირებული ტექსტების კომუნიკაციური ეფექტის წონასწორობას.

მოყვანილ ნაწყვეტში პრაგმატული თვალსაზრისით საინტერესოა ასევე სიტყვა “slang”-ის შენაცვლება განმარტებითი ინტერპრეტაციით („უბრალო ხალხი ასე იტყვის ხოლმე“). საქმე ის არის, რომ ინგლისურში სიტყვას “slang” არა აქვს ლინგვისტური ტერმინის შეფერილობა და უბრალო ადამიანის მეტყველებისათვის შეუფერებელ სიტყვად არ აღიქმება, მაშინ როცა მისი არცთუ ზუსტი, მაგრამ ერთადერთი ქართული შესატყვისი – „ჟარგონიზმი“ უფრო მეტად ავლენს ლინგვისტური ტერმინის შეფერილობა.

ბას და, ამდენად, მისი ხმარება იმ პიროვნების მიერ ვინც ელემენტარულ გრამატიკაშიც კი არ არის გათვითცნობიერებული, აშკარად უადგილო იქნებოდა. ისე, რომ ამ შემთხვევაშიც არ უმტყუნა მთარგმნელს მთარგმნელობითმა ალლომ.

ენის ვარიანტულობის ისეთი სახეობის ტრანსპოზიცია თარგმანში, როგორცაა ლოკალურ-ტერიტორიული დიალექტი, განსაკუთრებულ სიფრთხილეს საჭიროებს. თუ, ერთი მხრივ, სასურველი არ არის ორიგინალის ნაციონალური სპეციფიკის სრული განეიტრალება, ასევე არასასურველია გადაჭარბებული ეგზოტიზმიც და მით უფრო ნაკლებ სასურველია ორიგინალის დიალექტურ ფორმათა ანალოგიზაციის მიზნით თარგმანის ენის კილოკავთა ზედმეტი აქტივიზაცია და მკითხველისათვის უცხოური ეროვნული გარემოს ილუზიის შექმნის ნაცვლად, მშობლიური ეროვნული გარემოს სურათის დახატვა.

ზემოთქმულის საილუსტრაციოდ, ვფიქრობთ, უადგილო არ იქნება, თუ მაგალითად მოვიყვანთ ზემოთ ნახსენები ერთ-ერთი ადრეული თარგმანის ფრაგმენტებს. ეს არის შატრიანის რომანის — „გლეხი-კაცის ისტორია“ — ივ. მაჭავარიანისეული თარგმანი ფრანგულიდან. ქვემოთ მოყვანილი ფრაგმენტები ამოკრეფილია ალაღბედად შერჩეულ სულ ორიოდ გვერდიდან:

„ენკენისთვის დამდეგი იყო“, „გუთნი-დედა პეტრე ბარს მისცემს და ეტყვის, საქმეში მომეხმარეო“, „მე საკმარის ჭადსაც არ მარჩენდნენ, რომ იმას ლხინი გადაეხადა და ოცი ათასი თუმანი დაეხარჯა“, „გააღე კარი, ივანე, მე ვარ, ქრისტეფორე მღვდელი. ნათლიაჩემი კარებს ეცა, ნათლიჯალაბმა კი სანთელი გამოიტანა“, „აგრე შვილო, აგრე, შენ კი გენაცვალოს დედაშენი, აგრე უნდა გიყვარდეს მშობლები, მა!“, „ნეტაუი რად უნდა ე ფული, საჭმელსასმელს არ დააკლებენ და წინდა-პაჭიჭსა“, „ბიძაჩემს გაუმარჯოს, ბიძაჩემსა! წამო, ერთი ჩარეკი წამოვაქციოთ და ყელი გავისველოთ“, „რა გატირებს, კაცო, ცოცხალს ხო არ დაიტირებ ი ბიჭსა!“, „უკანასკნელი კაცი მეგონე, როცა მამაშენს ხარ-ურემი მოპარე და გაყიდე, რომ გექეიფნა“, „რა ქნას ღარიბმა კაცმა, იმან რომ აქეთ-იქით იაროს ქადა-ნაზუქებს ხომ არ ჩამოუყრის მაღლიდან ღმერთი?“, „დიდი უღმთოა ის ოჯახდასაქცევი, ისა!“, „აბა, ერთი ე თამასუქი წამაკითხე, ბიჭო, რომ დავრწმუნდე ერთი, რომ აღარაფერი გვმართებს იმ ურიის კერძისა“, აბა, ჰკითხე რასა ჩადიოდნენ აფიცრები, საცა ლამაზ ქალსა ნახამდნენ, თავიანთსა

მიათრევენენ“, „ერთი ისეთი თხა ვუყიდე დედაჩემსა, რომ ძირს დაათრევედა ჯიქანსა“.*

ა) ქართული რეალიები (გუთნი-დედა, ჭადი, თუმანი, ნათლიჯალაბი, წინდა-პაჭიჭი, ჩარეკი, ქადა-ნაზუქი).

ბ) ნაცვალსახელთა დიალექტური ვარიანტები (ი ბიჭი, ე ფული, ე თამასუქი).

გ) ქართლ-კახური დიალექტური ფორმები (ექეიფნა, ნახამდნენ, თავიანთსა).

დ) მიცემითი ბრუნვისათვის ასევე დიალექტური დაბოლოების „ა“-ს დართვა (ბიჭსა, დედაჩემსა, ჯიქანსა, ქალსა).

ე) უთუოდ რუსულიდან შემოსული სიტყვა „აფიცრის“ რუსული წარმოთქმის კალკირება, რაც ადრე გავრცელებული იყო ქართულ მდაბიურ მეტყველებაში.

ვ) გადმოქართულებული საკუთარი სახელები (ქრისტეფორე, ივანე, პეტრე. ტექსტის სხვა ნაწილებში ვხვდებით ასევე სახელებს: მარგალიტა, ნიკო და სხვ.).

ზ) წელიწადის თვეთა ქართული სახელწოდებანი (ენკენისთვე, ტექსტის სხვა მონაკვეთებში ვხვდებით ასევე: თიბათვესა და მკათათვეს, სახელწოდებებს, რომლებიც ბოლო დრომდე იხმარებოდა ქართულ სოფლებში).

თ) ქართულ ხალხურ მეტყველებაში გავრცელებული სალანძღავი ფორმები (ოჯახნასაქცევი, ურიის კერძი).

ყოველი ზემოთ ჩამოთვლილი დეტალი, რომ აღარაფერი ვთქვათ სხვა ანალოგიურ მოვლენებზე მთელი რომანის მასშტაბით, აშკარად სრულიად ანეიტრალებს ორიგინალის კოლორიტს და გვიქმნის ქართველი გლეხის ნაამბობის შთაბეჭდილებას.

ნიშანდობლივია, რომ ივ. მაჭავარიანის ეს თარგმანი შესრულებულია ქართულ ლიტერატურულ ცხოვრებაში ხალხოსან მწერალთა ნაკადის მოსვლის პერიოდში, როცა ლიტერატურული ენის განვითარებაში თავი იჩინა ახალმა ტენდენციამ – ეს იყო სასულიერო მწერლობის ძველი თარგმანებიდან შემორჩენილი მძიმე სინტაქსური მარწუხებიდან ენის განთავისუფლებისა და მსუბუქი, ხალხური მეტყველების გადმონერგვის ცდა სალიტერატურო ენაში. ზემოთ განხილულ თარგმანსაც ეტყობა ერთ-ერთი ექსტრალინგვისტური ფაქტორის – ეროვნული ლიტერატურის ტენდენციათა გავლენა ტექსტის ენობრივ ქარგაზე.

* ერკან შატრანი, „გლეხი-კაცის ისტორია“, სახელგამი, თბ., 1939.

დიალექტის ცნება მუდამ შეიცავს ენის ტერიტორიული მოხ-
მარების გაგებას. იგი, როგორც ცნობილია, მხოლოდ გარკვეულ
ტერიტორიულ საზღვრებში მოქმედებს. ინგლისურ ენაზე მოლა-
პარაკე ლინგვოეთნიკური კოლექტივები კი, მთელი რიგი ისტო-
რიული ფაქტორების გამო, ძალზე მრავალრიცხოვან და ერთ-
მანეთისაგან დიდად დაშორებულ ტერიტორიებზეა გაფანტული,
ამდენად, თუ ბრიტანეთის კუნძულებზე გავრცელებულ რამდენიმე
ათეულ დიალექტს დაეუმატებთ ასევე ლოკალურ-ტერიტორიულ
ვარიანტებსაც (ირლანდიური, შოტლანდიური) და იმ ე. წ. „პიბრიდ-
იზებულ ენებს“, ანუ ინგლისური ენის ისეთ ვარიანტებს, რომ-
ლებიც მრავლად ჩამოყალიბდა ამერიკის კონტინენტზე სხვადა-
სხვა ლინგვოეთნიკურ კოლექტივთა ხანგრძლივი თანაცხოვრების
პირობებში, აგრეთვე ინგლისური ენის კანადურ და ავსტრალიურ
ვარიანტებსაც, აღმოჩნდება, რომ ინგლისურის დიალექტებისა და
ენის ლოკალური ვარიანტების რაოდენობა განუზომლად დიდია.
ცხადია, რომ ყოველი ლოკალური სახეობა განსხვავდება წარ-
მოქმითაც, მორფოლოგიური მახასიათებლებითაც და ლექსიკური
ერთეულებითაც. ისიც ცხადია, რომ თანამედროვე ცხოვრების პი-
რობებმა (გველისხმობთ მოსახლეობის ინტენსიურ მიგრაციას პრო-
ვინციიდან პროვინციაში, ქვეყნიდან ქვეყანაში და მასობრივი ინ-
ფორმაციის წყაროთა საშუალებით სტანდარტული, სალიტერ-
ატურული ენის გავლენას) გამოიწვია, დიალექტთა ინტერფერენცია
და სწრაფი სახეცვლის პროცესი. მაგალითად, დღევანდელი თეა-
ტახედვით ზოგჯერ ძალზე ჭირს იმისი დადგენაც კი, თუ რას
წარმოადგენს ესა თუ ის ენობრივი ერთეული — დიალექტიზმს თუ
მოძველებულ, სალიტერატურო ენაში გაუჩინარებულ სიტყვას.*
მაგრამ თარგმანმცოდნეობისათვის დიალექტთა თუ ვარიანტთა
ლინგვისტურ განსხვავებას არსებითი მნიშვნელობა არა აქვს თუნ-
დაც იმ ელემენტარული მიზეზით, რომ თითოეულის სპეციფიკის
ანალოგიზაცია თარგმანში უნაყოფო ცდა იქნებოდა. *თარგმანის
ტექსტის პრაგმატულ-ფუნქციონალური მოდიფიკაცია, ამ შემთხ-*

* სპეციალისტთა აზრით (127, 128), ლონდონურმა დიალექტმა („კონი“), მაგალითად,
რომელსაც ზოგჯერ მიიჩნევენ არა დიალექტად, არამედ ქალაქური მდამიური მეტყველების
სახეობად (Encyclopedia Britannica of 1964), მისი განვითარების მე-19 საუკუნის სტადიასთან
შედარებით, რომელიც მთელი სისრულით აისახა ამ პერიოდის ინგლისურ ლიტერატურაში
(თეკერი, დიკენსი და სხვ.), იმდენად რადიკალური ცვლილება განიცადა, რომ მის ცალკეულ
ერთეულებს ავტორიტეტულ ლექსიკონებში უკვე არკაზიუმების სტატუსი აქვს მინიჭებული.

ვევებთან დაკავშირებით, მიზანმიმართულია ზოგადპროვინციული ან, უფრო სწორად, მდობიური, არანორმატიული მეტყველების ეფექტის შექმნაზე მეორე ენის საშუალებებით.

პერსონაჟის დიალექტური მეტყველების ტრანსპოზიციისას თარგმანში საჭიროა გამოინახოს ისეთი ზომიერი და ქართული ეროვნული კოლორიტით შეუფერავი საშუალებები, რომლებიც მარტოოდენ მიგვანიშნებენ პერსონაჟის მეტყველების სუბსტანდარტულ ხასიათზე.

ქართულ მთარგმნელობით პრაქტიკაზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ ასეთი ფორმების გამოინახვა პოტენციაში შესაძლებელია, თუმცა ბევრი მთარგმნელი თავს არიდებს ამ მძიმე ამოცანის გადაწყვეტას.* რიგ შემთხვევაში კი ასეთი „მინიშნება“ და თითო-ოროლა ელემენტის სპორადული ხმარების საფუძველზე ირადიაციის ეფექტის მოქმედებაც, თავის მხრივ, მაინც გვიქმნის მიახლოებით წარმოდგენას პერსონაჟის სამეტყველო ჩვევაზე. ეს „მინიშნება“ კი, ისევე და ისევე, კო მ პ ე ნ ს ა ც ი ი ს მეთოდითაა განხორციელებადი.

შედარებით უმტკივნეულოდ შეიძლება აისახოს თარგმანში სიტყვათა დამახინჯებული წარმოთქმა და როცა არ ხერხდება საკუთრივ იმ ერთეულის დამახინჯება, რომელიც ორიგინალში შეიცავს ამ ნიშანს, ეფექტი, როგორც ადრე ითქვა, შეიძლება გადავანაცვლოთ სხვა, დამახინჯებისათვის უფრო დამყოლ ერთეულზე, მაგრამ მთავარია რომ წარმოთქმის არანორმატიულობა არ დაემთხვეს რომელიმე ადგილობრივი კილოკავის ფორმას. ასეთი, შედარებით ნეიტრალური არასალიტერატურო ფორმებია: „ჯანაბას მაგისი თავი“, „ნაშხირი“, „ცალიერი ბოთლები“, „თუთხმეტი“, „კარქა ნახე“, „ხო გითხარი“, „სახს აშენებს“, „ცაცალკე დაალაგა“ და მრავალი სხვა არანორმატიული სიტყვა ან ფრაზა.

არანორმატიული ენობრივი ფორმების ანალოგიზაციის ხერხს ნეიტრალური და ეროვნული კოლორიტით შეუფერავი კოლორიტით ვხვდებით, მაგალითად, ქვემოთ მოყვანილ თარგმნით ვარიანტებში:

“If you don't say you'll do what we tell you, we ain't gonna tell you anything” (10-51)

* მხედველობაში გვაქვს, მაგალითად, ჩ. ლიქენის „პიკიკის კლუბის ჩანაწერების“ ქართული თარგმანი, მარკ ტვენის ნაწარმოებთა თარგმანები და სხვა.

თუ პირობას არ მოგვცემ, რო რასაც დაგავალეფთ
იმას შევასრულეფ, არაფერსაც არ გეტყვი (24-48).

ბგერათშენაცვლების ის შემთხვევები, რომლებიც ცოცხალი
სასაუბრო ენისთვისაა დამახასიათებელი, გადმოტანილი წერითი
მეტყველების ორთოგრაფიაში, ნაწილობრივ მაინც ახდენს სათანა-
დო ეფექტის კომპენსაციას. ანალოგიურადაა კომპენსირებული პერ-
სონაჟის არანორმატიული მეტყველება ქვემოთ მოყვანილ ტექსტშიც:

“Well, how'd you feel, if you'd been shut up for a hundred years with
nothin' but cats to eat? I bet he's got a beard down to here”. (10-52)

„— კ ა რ ქ ი რა! ნეტა როგორ იგძნობდი თავს, ვინმემ ასი
წლით რო ჩაკეტოს სახში და კატების მეტი საჭმელი
არაფერი გქონდეს? თავს და ვ დ ე ფ, წვერი კოჭებამდე
გექნებოდა ჩაზრდილი“. (24-48).

ასევე არახელოვნურად და ბუნებრივად შეიძლება აისახოს თარგ-
მანში გაუნათლებელი, უწიგნური კაცის ორთოგრაფიაც მის ნაწერ-
ში. ასეთი არანორმატიული ორთოგრაფიის ანალოგიზაცია ქვემოთ
მოყვანილი წერილის ქართულ და რუსულ თარგმანებში განხორცი-
ელებულია კვლავ ეფექტის გადაადგილებით ისეთ ელემენტებზე,
რომლებიც უფრო დაექვემდებარა ორთოგრაფიულ შეცდომებს:

“Sir Pitt Crawly begs Miss Sharp and baggidge be hear
on Tuesday, as I le af for Queen's Crawly tomorrow morning early”
(5-91).

„სერ პიტ კროული თხოულობს, მის შარპი და ბარგი-ბარხანა
აქ იყოს ს ა მ შ ა ფ ა თ ს, იმიტომ, რომა ხვალ სისხამ
დილით უნდა გავუტეო დედოფლის კროულისკენ“ (19-106).

„Сер Питт Кроули просит мисс Шарп и б а г а ш быть
здесь во вторник, так как я уезжаю в Королевское
Кроули з а ф т р а утром“ (30-85).

მცდარ ორთოგრაფიას ორივე თარგმნით ვარიანტში ბუნებრივი

და საკმაოდ გავრცელებული მოვლენა უდევს საფუძვლად — ეს არის ზეპირი მეტყველების ფონეტიკური კანონზომიერების, კერძოდ, სამეტყველო ბგერათა ცვალებადობის (ასიმილაცია, დისიმილაცია, ბგერათშენაცვლება და სხვ.) პირდაპირი გადატანა წერით მეტყველებაში, რაც ძალზე ტიპურია ნაკლებად განათლებული ადამიანებისათვის.

მაგრამ დიალექტის ანალოგიზაციის სხვა შემთხვევები, თუ ასეთმა მოვლენამ თავი იჩინა თარგმანის ტექსტში, გვარწმუნებს, რომ მეტყველების დიალექტური შეფერილობის ტრანსპოზიცია თარგმანში იშვიათად თუ ხერხდება ეროვნული კოლორიტის გადაჭარბების გარეშე.

ერთერთი პერსონაჟი (უ. თეკერეის „ამაოების ბაზარი“), თავად ავტორის ცნობით, ტლანქსა და უწმამურ ჰემპშირულ დიალექტზე მეტყველებს, უხვად იყენებს სალიტერატურო ენისათვის ისეთ არანორმატიულ ელემენტებს, როგორცაა:

ა) სიტყვათა დამახინჯებული წარმოთქმა: “relect” (recollect), “farden” (farthing), “nat’ral” (natural), “afor long” (before long), “valyble” (valuable), “evenue” (avenue), “nothink” (nothing) და სხვ.

ბ) გრამატიკულად არანორმატიული ფორმები: “I (he, we, she) ain’t”, “I says” იმ შემთხვევებშიც კი, როცა ზმნა ნამყო დროის ფორმას მოითხოვს; “has”, “is”, “was” ფორმათა ხმარება როგორც საუღლებელი, ასევე დამხმარე ზმნების ფუნქციაში, ქვემდებარის მრავლობითი რიცხვის ფორმასთან; ზმნის პერფექტულ დროთა წარმოება დამხმარე ზმნების გარეშე — “I done it”, “He gone there”; ზედსართავის ხარისხების არარეგულარული წარმოება — “much wickeder words”; ზმნის დროთა ფორმების არასწორი ხმარება — “I calls him Aroarer”, “I’ll beat him if it cost me a thousand guineas” და სხვ. ამას ემატება ისიც, რომ მისი ლექსიკა ძალზე უხეშია, საესე სალანძღავი სიტყვებით, სინტაქსური წყობა მეტწილად გაუმართავია და მრავლად შეიცავს ემოციური კონოტაციით დატვირთულ აზრნაცვალ კონსტრუქციებს.

მთარგმნელი მთელი ამ სპეციფიკის ანალოგიზაციის მიზნით დროდადრო, სპორადულად იყენებს მდაბიური მეტყველების ისეთ ფორმებს, რომლებიც ქართული ენის აღმოსავლური კილოებისთვისაა დამახასიათებელი (აფიქსაციის ფორმები, ბგერითი თავისებურებანი). ასეთია ქვემოთ მოყვანილი ფრაგმენტები:* „მ ა ი ტ ა,

* წარმოდგენილ ფრაგმენტთა შესაბამისი ადგილები ორიგინალის ტექსტიდან ამჯერად არ მოკვეთეს, რადგან. ფუქტის სხვა ერთეულებზე გადაადგილების გამო. ორიგინალის არანორმატიული ფორმები და მათი კომპენსაციის საშუალებები თარგმანში განსხვავებულ სემენტებშია განთავსებული.

აქ დადევნებთ, „ხო, ხელმოჭერილი იყო, ძაან ხელმოჭერილი, მაგრამ ჩემთვის კარგი დედაკაცი იყო და მოურავისთვის ფულს არ მახარჯებდა“, „მათგონე, რომ ერთი პინტი ლუდი გმართებს ჩემი“, „ნეტავ იგეთი კაცი მანახა, მე რომ რამეს გამოძრება“, „ეგ ჩემი ძმა არი, გენცვა“, „რა კქვიან იმასა?“, „ეგე, ემ ძალღმა კაცი მაახრჩო“, „მე აქ სასამართლოს საქმეებისთვის გახლავართ“, „აი, ი შავი გოჭი ახლა გვარიანად ჩათქვირებული იქნება“. თარგმანის ენის ეროვნული კოლორიტის ასეთი მოჭარბება აშკარად მცდარი მთარგმნელობითი სტრატეგიის მაგალითია.

* * *

ენის სტრატეგიული ვარიანტულობის ერთ-ერთი სახეობა, როგორც ითქვა, უარგონიზმებიცაა, ანუ სასაუბრო, სახუმარო და მეტწილად უხეში ერთეულები, რომელთაც სიანხლესა და ორიგინალურობაზე აქვთ პრეტენზია. ერთეულთა ეს კატეგორია მკვეთრად უპირისპირდება სალიტერატურო ენის ნორმატიულ ერთეულებს, რომელთა შორის უარგონიზმებს ყოველთვის მოეპოვებათ სინონიმური ფორმები, მაგრამ ამ სინონიმებისაგან უარგონიზმები მეტი ემოციურობითა და უხეში სახეობრიობით განსხვავდებიან. მათი სახეობრიობა დაფუძნებულია მოულოდნელობაზე, ენამახვილობაზე, კონვენციონალურ ენობრივ ფორმათა თავშესაქცევ დამახინჯებაზე და სხვ.

გაუმართლებელია ლაპარაკი უარგონიზმზე როგორც ერთ სიტყვა-ფორმაზე. იგი ხშირად ფრაზითაა გამოხატული, რომლის შემადგენლობაში შეიძლება შედიოდეს სრულიად ნეიტრალური სიტყვა ან სიტყვათშეთანხმება. (to shoot the bull, to chew the fat, to give (smb) a buzz, to give a pain in the neck).

ცნობილია, რომ უარგონიზმები თავდაპირველად კონკრეტულ სოციალურ წრეებში იქმნება, როგორც სხვებისათვის გაუგებარი „საიდუმლო ენა“, რასაც მისი ფრანგული სახელწოდებაც მოწმობს (jargon – განზრახ სახეცვლილი ენა). შემდგომ კი ვრცელდება უფრო ფართო ფენებში და არ არის გამორიცხული, როგორც აღნიშნავს ე. გ. რიზელი, „მათი ლიტერატურიზაცია და დამკვიდრება ენის ლექსიკურ ფონდში, როგორც სპეციფიკური ექსპრე-

სიული საშუალებებისა“ (129). მაგრამ ჟარგონიზმი მეტწილად დროებითი მოვლენაა მეტყველებაში და ხშირად თაობათა განსხვავების ენობრივ ნიშნადაც კი შეიძლება ჩაითვალოს. სწორედ ამის გამო, როგორც აღნიშნავენ ს. ვლახოვი და ს. ფლორინი, ჟარგონიზმისათვის არასათანადოდ შერჩეული შესატყვისი თარგმანის ენის ჟარგონიზმთა ფონდიდან, ხშირად ამ უკნასკნელის მოძველებულობის გამო, ანაქრონიზმის ეფექტს უფრო შეიცავს, ვიდრე სიახლისას (126-323).

ჟარგონიზმებში განსაკუთრებულ ადგილს იკავებს ე. წ. ინგლისურ-ამერიკული „სლენგი“, რომელშიც ზოგიერთი ავტორი აერთიანებს ექსპრესიული ხალხური მეტყველების გამოვლინების უფრო ფართო სპექტრს, ვიდრე ასაკობრივი ან სოციალური ჯგუფის მიერ ხმარებად სპეციფიკურ ერთეულებს (ლ. ს. სკვორცოვი (130), ვ. ნ. კრუპნოვი (131)).

თარგმანის ენაში ფუნქციონალური ანალოგების უქონლობის გამო, ჩვენი დაკვირვებით, ჟარგონიზმების კომპენსაციისათვის თარგმანში მეტწილად გამოიყენება ხალხური სასაუბრო მეტყველებისათვის დამახასიათებელი უხეში და ზოგ შემთხვევაში საზუმარო კონოტაციის შემცველი იდიომები, ფრაზეოლოგიზმები, სიტყვა-ფორმები, რაც თარგმანის ტექსტსაც ნაწილობრივ სალიტერატურო ენის ნორმებიდან გადახრის ეფექტს ანიჭებს.

“He got a Jaguar... It cost him damn near four thousand b u c k s .

He'd got a lot of d o u g h , now. He didn't use to” (7-27).

„ამას წინათ იყიდა „იაგუარი“... ბარე ოთხი ათასი დოლარი

დაუჯდა. იცოცხლე, ფ უ ლ ი ჩ ე ჩ ქ ი ვ ი თ ა ქ ვ ს

ახლა. უწინ ქ ე ს ა ტ ა დ გახლდათ“ (21-27).

ჟარგონიზმის სიტყვასიტყვითი თარგმნა იმ შემთხვევაში შეიძლება იყოს გამართლებული, როცა იგი საკმარისად ტრანსპარანტულია და თარგმანში არ გაუფასურდება მისი დენოტაციური და კონოტაციური მნიშვნელობები. ჟარგონიზმს ხშირად უშუალოდ იმავე კონტექსტში ახლავს განმარტება, რაც მეტი გარანტიაა იმისა, რომ თარგმანის ენაში დაქმდნოს მეტ-ნაკლებად ზუსტი ანალოგი, მაგალითად:

“They both agreed in calling him *O l d S c r e w*, which means a very stingy, avaricious person” (5-100).

„ერთმანეთს კვერი დაუკრეს, იგი ბებერი ქ ვ ა წ ვ ი ა არისო, რაც ერთობ ძუნწსა და ხარბ კაცსა ნიშნავს“ (19-116).

სიტყვა „ქვაწვია“ მესხური წარმოშობის დიალექტიზმია* და არა საკუთრივ ჟარგონიზმი, მაგრამ თავისი ხალხურობით, ვფიქრობთ, საკმაოდ კარგად მოერგო სათქმელს.

ჟარგონიზმები განსაკუთრებით გავრცელებულია ისეთ სოციალურ ჯგუფებში, რომლებსაც, მათი საქმიანობის სპეციფიკის გამო, ხშირად სჭირდებათ სხვებისათვის გაუგებარ ენაზე ლაპარაკი. ასეთია, მაგალითად, „ქურდების ენა“ (არგო), და, ვფიქრობთ, იმავე მიზეზით ეტანებიან ჟარგონს სასკოლო ასაკის ყმაწიელები, რომლებსაც ასევე ბევრი რამა აქვთ „გასაიდუმლოებული“ უფროსებისაგან (მასწავლებლებისა და მშობლებისაგან). ერთ-ერთი ასეთი სასკოლო ჟარგონი, რომელიც არ მოძველდა და ათწლეულებს გაუძლო ქართულში, არის, მაგალითად „შატალოზე წასვლა“, რომელიც კარგადაა გამოყენებული ერთ-ერთ თარგმანში ინგლისური ფრაზის “to play hooky”-ს ნაცვლად, რომელიც ინგლისური ენის ფონდში შესული სიტყვაა და ახლავს კვალიფიკაცია – „სასაუბრო“.

“Where are you two going at this time of day? - she shouted. playing hooky, I suppose? I'll call up the principal and tell him” (10-105).

„ – საით გაგიწევიათ თქვენ ორს ამ დილაუთენია, ჰა?

დაგვჩხავლა მან, – შატალოზე მიდიხართ, არა? ახლავე

დავურეკავ თქვენს დირექტორს“ (24-100).

ანალოგიურია ამერიკული “O. K.”-ის ხმარება არა მისი ძირითადი მნიშვნელობით (ყველაფერი რიგზეა), არამედ დათანხმების, მოლაპარაკების პირობებზე დასტურის მიცემის მნიშვნელობით, რომელსაც საკმაოდ კარგად ანაცვლებს ქართულ სასაუბრო ენაში ფართოდ გავრცელებული ჟარგონიზმი ქვემოთ მოყვანილ მაგალითში:

* „ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა“. გამომცემლობა „ჯანათლება“, 1984.

“Somebody comes down here every recess and hides his things and we come along and take ‘em away from him. Listen, let’s leave it and wait a couple of days. If it ain’t gone then, we’ll take it, o k a y? – O k a y” (10-63).

„ – ვილაც ბავშვი ყოველ შესვენებაზე მოდის აქ და რაღაცებს ინახავს, ჩვენ კი მიგვაქვს! იცი, რა გითხრა, მოდი, დავტოვოთ და ერთი-ორი დღე ვაცალოთ. თუ მანამდე არ წაიღებენ, ჩვენ ავიღოთ, მ ო ვ ი დ ა?
– მ ო ვ ი დ ა“ (24-59).

თარგმანის ენაში ასევე ფართოდ გავრცელებული ფარგონიზმითაა შენაცვლებული ორიგინალის ფარგონული გამოთქმა შემდეგ ნაწყვეტში:

“I told him that I had to write a composition for Stradlater and that he had clear the hell out” (7-59).

„ავდექი და ვუთხარი, სტრედლეიტერს დავალება უნდა დაეწერო და ახლავე ა ი თ ე ს ე - მ ე თ ქ ი “ (21-61).

ზემოთ ნახსენები ფრაზა “to shoot the bull”, რომელიც ზედმეტ ლაქლაქს, ყბედობას ნიშნავს, ყველაფრის წამოროშეას, რაც ენაზე მოგადგება, ახალგაზრდული ფარგონის კატეგორიას განეკუთვნება და ადრე განხილული, ენაში ფართოდ გავრცელებული ზატოვანი ფრაზეოლოგიზმების მსგავსად, შეიძლება შეგვხვდეს: ა) სრული კომპონენტური შემადგენლობით, ბ) ისეთი სახით, როცა არამდგრადი კომპონენტი ჩანაცვლებულია სხვა ერთეულით, გ) რედუცირებული სახით, როცა მხოლოდ მდგრადი კომპონენტია რეალიზებული. ვნახოთ სამივე შემთხვევა:

ა) “I’m luky though. I mean I could shoot the old bull to old Spencer and think about those ducks at the same time, though he interrupted me while I was shooting a bull” (7-37).

„ილბლიანი კაცი ვარ. კარგად გამომივიდა. რ ა ც ე ნ ა ზ ე მ ო მ ა დ გ ე ბ ა ყ ვ ე ლ ა ფ ე რ ს ვ ე უ ბ ნ ე ბ ი

მობუც სპენსერს, თან კი იხვევზე ვფიქრობ. ვ ა ყ რ ი
ს ხ ა პ ა - ს ხ უ პ ი თ ს ი ტ ყ ვ ე ბ ს და
უცებ შემაწყვეტინა“ (21-22).

ბ) “I started shooting the old crap around
a little bit”(7-74).

„იოცხლე, მ ო ვ ხ ს ე ნ ი თ ა ვ ი ტ ყ უ ი ლ ე -
ბ ი ს გ უ ღ ა ს“ (21-88).

გ) “Right that minute the conductor came around for the old Mrs.
Morrow’s ticket and it gave me a chance to quit s h o o t i n g i t.
I’m glad I s h o t i t for a while, though”(7-76).

„ამ დროს კონდუქტორი მოგვადგა მისის მოროუს ბილეთის
გასასინჯად და მეც გაჩუმების საბაბი მომეცა. თუმცა ჩემივე
თავის კმაყოფილი ვიყავი, რომ ამდენი რამე წ ა მ ო ვ რ ო შ ე“
(21-91).

ქართულ მთარგმნელობით პრაქტიკაზე დამკვირვებლებს არა-
ერთხელ გამოუთქვამთ აზრი იმის თაობაზე, რომ ადრეულ ქართულ
თარგმანებში მუდამ „შერბილებული“ ან გამოტოვებული იყო ორი-
გინალის სკაბრეზული მომენტები, რომ ქართული ლიტერატურუ-
ლი ტრადიციების თანახმად, რომლისთვისაც მუდამ უცხო იყო
უწმაწურობა, შიშველი ხორციელება, გადაჭარბებული ეროტიკა
ან ქალის მიმართ უპატივცემულო დამოკიდებულება (რაც ხშირად
ადინიშნებოდა ადრეული საერო ლიტერატურის იმ ნიმუშებში,
რომლებიც ითარგმნებოდა ქართულ ენაზე), ისინი არასოდეს ნატუ-
რალისტურად არ გადმოდიოდნენ თარგმანში. პირიქით, ამას იმ-
თავითვე უპირისპირდებოდა „ქალისადმი რაინდული დამოკიდე-
ბულება“ და უხამსი ორაზროვნების შერბილების ტენდენციები
(9, 14, 34).

მიუხედავად იმისა, რომ უახლოეს მთარგმნელობით პრაქტიკა-
ში შედარებით უფრო ხშირად დასტურდება საპირისპირო ტენ-
დენციაც, მაინც, ძველი მთარგმნელობითი ტრადიციის თანახმად,
უწმაწურობისათვის თავის არიდებისა და მისი შერბილების ცდებს

უფრო ხშირად ეხვდებით. მხედველობაში გვაქვს, მაგალითად, ჯ. სელინჯერის რომანის, „თამაში ჭვავის ყანაში“, ქართული თარგმანი, რომელშიც, შეიძლება ითქვას, მინიმალურადაა ასახული ის თავშეუკავებელი უწმაწურობა, რომელსაც ნაწარმოების დედანი შეიცავს. ამისი დასტურია თუნდაც ქვემოთ მოყვანილი ფრაგმენტები:

“You never knew if he was nodding a lot because he was thinking and all or just because he didn't know his ass from his elbow” (7-33).

„ვერც გაუგებ, რას აუტყდა ეს თავის კანტური – ჩაფიქრდა, თუ სიბერისაგან გ ა მ ო ფ შ უ ტ უ რ დ ა და აღარაფერი ესმის“ (21-14).

ენაში გავრცელებული ანალოგიური აზრის შემცველი ფრაზეოლოგიზმებიდან, რომლებიც გამოხატავენ ადამიანის უუნარობას გაერკვეს ელემენტარულ ჭეშმარიტებაში (not to know B from a broomstick; not to know cheese from chalk), როგორც ვხედავთ, ზემოთ მოყვანილ ნაწყვეტში ნაწარმოების გმირი ყველაზე უხამს ფრაზას ანიჭებს უპირატესობას, რაც თარგმანში საკმაოდ შერბილებულია.

იგივე უწმაწური ერთეული (“ass”) ყოველ ფეხის ნაბიჯზე გვხვდება აღნიშნულ ნაწარმოებში, რომელიც მთხრობელი პერსონაჟის გაბმული მონოლოგია, – ხან პირდაპირი (freezing my ass off; snapping his towel at people's asses), ხანაც გადატანითი მნიშვნელობით და შორისდებულის სახითაც კი, სხვადასხვაგვარი უარყოფითი ემოციის გამოსახატავად, როგორც ეს ქვემოთ მოყვანილ მაგალითშია:

“- Life is a game, boy!

- Yes, Sir. I know it.

Game, my a s s. Some game. If you get on the side where all the-hot-shots are, then it's a game” (7-33).

„– ცხოვრება მართლაც თამაშია, ყმაწვილო.

– ვიცი, სერ, განა არ ვიცი!

კაი თამაში კია, თ ქ ე ე ნ მ ა მ ზ ე მ! იმ მხარეს თუ მოხვდი, სადაც მაგარი ბიჭებია, არა გიშავს, მართლაც თამაშია“ (21-15).

თავისი უწმაწური მოულოდნელობითაა აღბეჭდილი ქვემოთ მოყვანილი შედარება, რომელიც თარგმანში კვლავ შედარებით ნეიტრალური ფრაზეოლოგიზმითაა შენაცვლებული:

“It was as cold as a witch’s tear” (7-30).

„ციოდა, ძ ა ლ ლ ი ა რ გ ა ი გ დ ე ბ ო ლ ა კ ა რ შ ი“
(21-8).

რაც შეეხება ისეთი მეტალინგვისტური მოვლენის ანალოგიზაციას, როგორცაა უ ც ხ ო ე ლ ი ს მ ე ტ ყ ვ ე ლ ე ბ ა, მისი რეპროდუქციისას თარგმანის ტექსტში მნიშვნელოვან როლს ასრულებს, პირველ ყოვლისა, ენათა კონკრეტული წყვილის (უცხოელი პერსონაჟის ენისა და თარგმანის ენის) სტრუქტურული განსხვავების გათვალისწინება და იმ ტრადიციის მხედველობაში მიღებაც, რომელიც დამოკიდებულია მიმღებ ენაში სხვადასხვა უცხო ენის მატარებელი ხალხის მეტყველების იმიტაციისთვის. უცხოელის მეტყველების არანორმატიულობა ძირითადად გამოიხატება ხოლმე მისთვის უცხო ენის ფონემათა ჩანაცვლებაში საკუთარი ენის ფონემებით, გამარტივებულ სინტაქსურ კონსტრუქციებსა და მორფოლოგიური დონის არანორმატიულ ფორმებში. მაგრამ ყოველ ცალკეულ შემთხვევაში გათვალისწინებულ უნდა იქნეს სწორედ იმ ენის სტრუქტურა და ჟღერადობა, რომელიც მისთვის მშობლიურია, რადგან იგი, ფაქტობრივად, საკუთარ ენაზე აზროვნებს და მექანიკურად თარგმნის სათქმელს მეორე, მისთვის არამშობლიურ ენაზე. ამის გამო უცხოელის მეტყველება მისთვის მშობლიური ენიდან მექანიკურად გადმოღებულ სტრუქტურულ ნიშან-თვისებებსაც შეიცავს და წარმოთქმით თავისებურებებსაც. ეს კი ყოველი ორი ენის შეპირისპირებულ წყვილში, რა თქმა უნდა, განსხვავებულ ხასიათს გამოავლენს.

ისეთ ენებში, რომლებზეც შედარებით ხშირად მეტყველებენ უცხო ეროვნების ადამიანები, გარკვეულად შემუშავდა განსხვავებული ეროვნების წარმომადგენელთა მეტყველების იმიტაციის ტრადიცია. მაგალითად, გერმანელის მეტყველებისათვის რუსულ ენაზე დამახასიათებელია რბილი „ჩ“-ს ნაცვლად მისი მაგარი ვარიანტის ხმარება, „ხ“ ბგერის ნაცვლად „ჩ“-ს წარმოთქმა და სხვ. ვ.გ. გაკის დაკვირვებით, გერმანული ეროვნების ადამიანების ფრანგულად მეტყველებისათვის ასევე შემუშავდა ლიტერატურუ-

ლი ტრადიცია, რაც მჟღერი თანხმობების გაყრუებასა და პირიქით, ყრუ თანხმობანთა გამჟღერებაში მდგომარეობს (132-138).

რუსულ ლიტერატურაში, სასცენო მეტყველებაში, ფილმებში, მაგალითად, მუდამ იგრძნობა ის სტერეოტიპები, რომლებიც უკვე მყარად დამკვიდრდა რუსულ ენაში მრავალი ეროვნების ადამიანთა მეტყველების იმიტაციისათვის. ქართულ ლიტერატურაში ასევე შეიქმნა რუსი, ოსი, სომეხი, იეზიდის, აისორი და სხვა ისეთი ეროვნების ხალხთა ქართულად მეტყველების სტილიზაციისათვის დამახასიათებელი „ნორმები“, რომლებსაც ქართველებთან თანაცხოვრების პირობებში ხშირად უხდებოდათ ქართულად მეტყველება. მაგრამ სწორედ იმის გამო, რომ ქართველ მთარგმნელს საეჭვოა, ჰქონდეს თუნდაც მიახლოებითი წარმოდგენა იმაზე, თუ როგორ დაამახინჯებდა ქართულს იმ ეროვნების კაცი, რომლის ქართული მეტყველება მას არასოდეს მოუსმენია, ქართული თარგმანის ტექსტში უცხოელის მეტყველების რეპროდუქცია ხშირად შეიცავს გარკვეულ ხარვეზებს. ასე მაგალითად, პორტუგალიელი ქალის მეტყველება ჯეკ ლონდონის „მარტინ იდენში“ ქვემოთ მოყვანილ ფრაგმენტებში ინგლისური ენის დამახინჯების „ნორმებშია“ ასახული; სტილიზაციას მიმართავს ქართველი მთარგმნელიც:

“What would you like to have right now?

– Shoe alla da roun’ for da childs, seven pairs da shoe.

– Think hard.

– Alla right, she answered, I like da house - all mine, no payn’ da rent, seven dollar da month... I like da have one milka ranch - good milka ranch, plenty cow, plenty land, plenty grass. I like da have near San-Le-an; my sister live dere” (2-230).

„– რას ინატრებდი-მეთქი, ახლა, ამ წუთში?

– შეიდი ცქვილა ფეხსაცმელს, ბავშობისათვის... შეიდი ცქვილა.

– კარგად მოიფიქრე.

– კარგი, – მიუგო ქალმა, – მოიფიქრა. ეს საქლი რომ ჩემი ქენა... სულ ჩემი. არც ქირა, არც შეიდი დოლარი თვე... და კიდევ... ერთ რზის ფერმა, ფვერი ზროხა მომესა, ფვერი მისა, ფვერი

ბალაპი. სან-ლუისის ახლოს იკას. ჩემი და სქოვრობ იქა“ (16-517).

ამგვარ სტილიზაციას ძალზე დიდი სიფრთხილე სჭირდება. დამახინჯება ძირითადად წარმოთქმაზე მოდის, მაგრამ სამწუხაროდ, არ არის დაცული კანონზომიერება და სტილიზაციის ლოგიკა. თუ ქალი ვერ წარმოთქვამს ისეთ ბგერებს, როგორიცაა:

„წ“ „ცქვილა“, „მისა“ (ნაცვლად სიტყვებისა – წყვილი და მიწა),

„ხ“ – „საქლი“, „აქლოს“, „ბალაპი“ (სახლი, ახლოს, ბალახი),

„ძ“ – „რზის“ (ნაცვლად სიტყვისა – რძის),

„ც“ – „მომესა“, „სქოვრობ“ (მომცა, ცხოვრობს),

„ბ“ – „ფევერი“ (ბევრი),

მაშინ გაუგებარია, თუ როგორღა წარმოთქვა მან დაუმახინჯებლად ისეთი სიტყვა, როგორიცაა „ფეხსაცმელი“, რომელიც „ხ“ ბგერასაც შეიცავს და „ც“ ბგერასაც. თუ იგი ვერ წარმოთქვამს „ბ“ ბგერას, მაშინ გაუმართლებელია მისი სწორი წარმოთქმა ისეთ სიტყვებში, როგორიცაა „ბალაპი“ და „ბავშობისთვის“, რომლებშიც „ბ“ უცვლელია და შეცვლილია სხვა ფონემები.

როცა ვლაპარაკობთ იმაზე, რომ სტილიზაციის პირობითობა არ არის დაცული, ვგულისხმობთ იმას, რომ იმავე ნაწარმოების („მარტინ იდენი“) მეორე გმირის, ეროვნებით კვლავ პორტუგალიელის მეტყველება ორიგინალში შეიცავს ზუსტად იმ ცდომილ ფონემებს, რომლებიც დამახასიათებელი იყო პორტუგალიელი ქალის მეტყველებისათვის ზემოთ განხილულ მაგალითში, მაგრამ თარგმანში, მოდიფიკაციას განიცდის განსხვავებული, არა ფონეტიკური, არამედ მორფოლოგიური დონის ელემენტები. პორტუგალიელი ბევრს სცოდავს გრამატიკაში და მთარგმნელიც არ აყოვნებს, რომ ეს ასახოს თარგმანში:

„იმიტომ რომ შენ სამუშაო დ ა კ ა რ გ ა, მე ფული ვერ ი შ ო ვ ა, ი შ ო ვ ა რამ საქმე, საჭმელიც ი შ ო ვ ა, არწმუნებდა პორტუგალიელი, – საქმე არა – საჭმელიც არა. ასეა ცხოვრებამ... – მოდი, ცოტა დ ა ლ ი ა, ოჯახი დ ა ლ ო ც ა, ჩვენ კარგი მეგობარი ვართ, შენ და მე“ (16-505).

როგორც ვხედავთ, უცხოელის მეტყველების სტილიზაციისას ძირითადი აქცენტი გადატანილია არა ბგერებზე, არამედ ზმნის პირიან ფორმათა არასათანადოდ ხმარებაზე. ყველა ზმნა, განურჩევ-

ლად იმისა, თუ რომელი პირის და კილოს რა ფორმაა საჭირო, მხოლოდ ნამყო დროის შესამე პირის მხოლოდობითნია ნახმარი (იშოვა, დაკარგა, დალია, დალოცა) რაც, ჩვენი აზრით, სტილიზაციის უფრო გამართლებული ხერხია.

თუკი თარგმანის პირობით სტილიზაციაში არ იქნება დაცული კანონზომიერება, ანუ თუ არანორმატიულობა ვერ იქნება გამოვლენილი ერთტიპურ ფორმებში, მაშინ, ვფიქრობთ, სავსებით სწორია ი. კაშკინი, როცა ურჩევს მთარგმენლებს, გაიზიარონ ის ტრადიცია, რომელიც რუსულ ლიტერატურაში დაამკვიდრეს ა. პუშკინმა და ლ. ტოლსტოიმ. ისინი მართოდენ პირველ ფრაზებში მიმართავენ უცხოელის მეტყველების სტილიზაციის ხერხს და შემდეგ ნორმატიული ფორმებით ასახავენ მათ მეტყველებას. მკითხველისთვის კი, კაშკინის აზრით, რასაც ჩვენც ვეთანხმებით, ეს პატარა მინიმუმებაც საკმარისია, რომ შეიქმნას ზოგადი წარმოდგენა პერსონაჟის არანორმატიულ მეტყველებაზე (30-460). მაგრამ აქვე უნდა დავძინოთ, რომ უცხოელის მეტყველების ზედმეტი „გალიტერატურულება“ ასევე მცდარი ხერხი იქნებოდა, თუ, რა თქმა უნდა, ამის საბაბს არ გვაძლევს ორიგინალი. კუბელი კაცის მეტყველება ჰემინგუეის „ჰარი მორგანში“ ასე გამოიყურება დედანში:

“ – When did you get married?

– Lasta month. Montha for last. You come the wedding?

– No, said Roger, – I didn’t come to the wedding.

– You missa something, said Hayzoz, – You missa damn fine wedding. What a matta you no come?” (13^ა-96).

რუსულ თარგმანში კუბელის მეტყველება ასეა სტილიზებული:

– Когда это вы женились?

– Прошла месяц. Нет, месяц, который до это. Вы не приходил на свадьба?

– Нет, – сказал Роджер, – Я не приходил на свадьбу.

– Вы много потерял, – сказал Хейсус. – Вы потерял весела свадьба. Почему так вы не приходил?

(32-370).

ქართულ თარგმანში ვკითხულობთ:

„ – ცოლი როდის შეირთუ?

– იმ თვეში, არა იქითა თვეში. ქორწილზე არ ყოფილხარ?

– არა, – მიუგო როჯერმა, – ქორწილზე არ ვყოფილვარ.

– ბევრი დაგიკარგავს, უთხრა პეისუსმა, – კაი ქორწილს

გამოკლებიხარ. რა მოგივიდა. რატომ არ მოხვედი?“ (27-83).

საქმე ის არის, რომ ქართულ თარგმანში ერთადერთი არასალიტერატურო, მაგრამ სასაუბრო მეტყველებაში ფართოდ გავრცელებული ფორმაა სიტყვა „კაი“. მაგრამ გაუმართლებლად მიგვაჩნია „დამტყვეულ ენაზე“ მოუბარი კაცისათვის ისეთი დახვეწილი ფორმების გამოყენება, როგორცაა I თურმეობითის ფორმები – „არ ყოფილხარ“, „გამოკლებიხარ“. მისი მეტყველების ასეთი ზედმეტი „გალიტერატურულება“, უთუოდ, საპირისპირო შთაბეჭდილებას შეუქმნის მკითხველს.

ჩვენი აზრით, უცხოელის მეტყველების სტილიზაციისას ქართულ თარგმანში, გამოძინარე ქართული ზმნის რთული მორფოლოგიური ბუნებიდან და ასევე ზოგიერთი ქართული ბგერის (მაგ. წ, ყ, ძ, ჭ) არტიკულაციის სპეციფიკიდან, ყველაზე მეტად სავარაუდოა, და ამდენად უფრო გამართლებული, სწორედ ზმნის არანორმატიული ფორმების აქტივიზაცია, სახელადი მეტყველების ნაწილების არასათანადო ბრუნვითი ფორმების გამოყენება და სპეციფიკურ ბგერათა შენაცვლება არტიკულაციურად ახლო მდგომი ბგერების გრაფემებით.

§ 2. ენის სიტუაციური ვარიანტულობის ტრანსპოზიცია თარგმანის ტექსტში

თარგმანის სოციოლინგვისტური ასპექტების ისეთ პრობლემასთან, როგორცაა „ენა და პიროვნების სოციოლოგია“ უშუალო კავშირშია აგრეთვე ენის ს ი ტ უ ა ც ი უ რ ი ვ ა რ ი ა ნ ტ უ ლ ო ბ ი ს გამოვლენის შემთხვევები. ამ უკანასკნელის ტრანსპოზიციისას თარგმანში მთავარია აისახოს ის სამეტყველო რეფლექსები, რომლებშიც ჩანს ადამიანთა პირადი ურთიერთობების ხასიათი, რაც განპირობებულია მათი ასაკობრივი სხვაობით,

გენეალოგიური დისტანციით, მათი სოციალური როლებით ურთიერთდამოკიდებულებაში (უფროსი – ქვეშევრდომი, მასწავლებელი – მოსწავლე, მომხმარებელი – მომსახურე პირი, ექიმი – პაციენტი, უცნობი – ახლო მეგობარი და სხვ.), მათი ფსიქოლოგიური განწყობით ერთმანეთის მიმართ, სამეტყველო სიტუაციის პირობებით (ოფიციალური – შინაურული) და სხვ. „ცხოვრებისეულ სიტუაციებში ადამიანს სოციალური როლების ფართო რეპერტუარის „გათამაშება“ უხდება“ (134-136). და ყოველივე ეს შეუძლებელია არ აისახოს ენობრივ საშუალებათა მის მიერ შერჩევაზე ყოველი კონკრეტული კომუნიკაციური აქტისათვის.

ინგლისურ და ქართულ ენათა შეპირისპირებულ წყვილში, ურთიერთდამოკიდებულების სხვა ინდიკატორთა შორის, პირველ ყოვლისა, განსაკუთრებულ პრობლემას წარმოადგენს სოციალური იერარქიის გამომხატველი, მეორე პირისადმი მიმართვისათვის დ ი ფ ე რ ე ნ ც ი რ ე ბ უ ლ ი ნ ა ც ვ ა ლ ს ა ხ ე ლ ე ბ ი ს (შენ – თქვენ) ე ნ ო ბ რ ი ვ ი ო პ ო ზ ი ც ი ა. რამდენადაც ინგლისური ენის სტრუქტურაში ასეთი ოპოზიცია არ არსებობს, ამდენად, ქართულ თარგმანში მთარგმნელმა თავად უნდა მიიღოს გადაწყვეტილება, თუ როგორ ალაპარაკოს ერთმანეთში პერსონაჟები – თქვენობით თუ შენობით. ეს გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნეს მთელი კონტექსტის გათვალისწინებით და იმ პირობითობის დაცვით, რომელიც თარგმანის ენისათვისაა დამახასიათებელი. ერთ-ერთი ასეთი პირობითობა თარგმანის ენაში არის, მაგალითად, ქალისა და მამაკაცის გადასვლა შენობით მიმართვაზე მას მერე, რაც ისინი სიყვარულში გამოუტყდებიან ერთმანეთს... ამ პირობითობას იცავს, მაგალითად, მთარგმნელი ო. უაილდის ერთ-ერთი პიესის თარგმანში:

“Jack – you really love me Gwendolen?

Gwendolen – Passionately!

Jack – Darling! You don't know how happy you've made me” (4-293).

„ჯეკი – ნამდვილად ასე გიყვარვარ, გვენდოლენ?

გვენდოლენი – ძალიან მიყვარხარ, გაგიჟებთ.

ჯეკი – შენ ვერც კი წარმოიდგენ რა ღიღი ბედნიერება მომანიჭე“ (18-151).

ანალოგიური შემთხვევაა ქვემოთ მოყვანილ ფრაგმენტშიც:

“Algernon – (crossing to her and kneeling) What a perfect angel you are, Cecily! (he kisses her and she puts her fingers through his hair)

Cecily – I hope your hair curls naturally, Does it?” (4-283).

„ალჯერნონი – (უახლოვდება და მუხლს მოიდრეკს)

– სრულქმნილი ანგელოზი ხარ, სესილი!

(ალჯერნონი ჰკოცნის მას. სესილი თმაში თითებს უყოფს და ეფერება)

სესილი – ვიმედოვნებ, რომ ბუნებრივად ხუჭუჭი თმა გაქვს“
(18-146).

ანალოგიური მაგალითების მოყვანა მრავლად შეიძლებოდა.

თარგმანისათვის რელევანტურია ასევე მიმართვის ფორმის შერჩევა იმ პირობითობის დაცვით, რაც ერთი და იმავე სოციალური წრის წარმომადგენელთა საუბარში პოულობს გამოხატვას. იმ ენებში, რომლებშიც ეს ოპოზიციური ფორმები მოქმედებენ, მაღალი საზოგადოების წრეებში დამახასიათებელია თქვენობით მიმართვა ახლო ნაცნობობის შემთხვევაშიც (მაგალითად, რუსულში, უთუოდ, ფრანგული ენის ინტენსიური გავლენით, რომელიც ერთ დროს სალონურ ენად გადაიქცა რუსი არისტოკრატიის ცხოვრებაში, ეს პირობითობა დამახასიათებელი იყო სწორედ ამ წრეებისათვის) და შენობით მიმართვა საზოგადოების დაბალ სოციალურ ფენებში სრულიად უცნობ პირებთან. ნიშანდობლივია ამ თვალსაზრისით ერთი ფრაგმენტი ლ. ტოლსტოის რომანიდან „ანა კარენინა“. ამ მომენტისათვის, რომელიც აღწერილია მოყვანილ ეპიზოდში, ანა და ვრონსკი უკვე ახლო, ინტიმურ დამოკიდებულებაში არიან ერთმანეთთან.

„მაპატიეთ, რომ მოვედი, მაგრამ თქვენს უნახავად ვერ შევძლებდი ამ დღის გატარებას – ისევ ფრანგულად უთხრა ვრონსკიმ. იგი ყოველთვის ამ ენაზე ელაპარაკებოდა ანას, რადგან არ უნდოდა ეხმარა რუსული „თქვენ“, რომელიც მეტისმეტად ცივი და აუტანელი იყო მისთვის და „შენსაც“ ერიდებოდა.*

თარგმანის მიმღები ლინგვოეთნიკური კოლექტივის სამეტყვე-

* ლევ ტოლსტოი, „ანა კარენინა“, სახელგამი. თბ., 1955, გვ. 264.

ლო რეფლექსთა გათვალისწინებას უნდა მივაწეროთ უთუოდ ის გარემოებაც, რომ „მარტინ იდენის“ მთარგმნელი მარტინს და რუთ მორზს თქვენობით ალაპარაკებს ერთმანეთთან კარგა ხანს, ლამის მას მერეც, რაც მათ შორის სამიჯნურო ურთიერთობა მყარდება. მაგრამ ამავე დროს, მარტინი და მისივე სოციალური წრის, სრულიად უცნობი ქალიშვილი, როგორც კი გამოელაპარაკებიან ერთმანეთს ქუჩაში, იმავე წამს შენობით მიმართავენ ერთიმეორეს. მთარგმნელის ასეთ გადაწყვეტილებას ხელს უწყობს ასევე ის კონტექსტი, რომელიც წინ უძღვის დიალოგის ამ ფრაგმენტს:

“There was no awkwardness on his part, no numb tongue. He was at home here, bristling with slang and sharpness.

– What’s your name?

– You ain’t told me yours, yet – she retorted.

– You never asked it. – he smiled” (2-68).

„არც ენის დაბმა უგრძენია ამათთან, არც დაბნეულობა.

როგორც თეზი წყალში, ისე გრძობდა თავს, ჟარგონსა და უწმაწურ სიტყვებს ისროდა,

– ხო, მართლა, რა გქვია?

– ჯერ ხომ შენი სახელი არ გითქვამს! – მოუჭრა გოგონამ.

– არც გიკითხავს, – გაეცინა მარტინს“ (16-362).

კონტექსტუალურ ინდიკატორებს, ისევე როგორც შემოხსენებულ სამეტყველო რეფლექსთა ანალოგიას, ძალზე დიდი მნიშვნელობა ენიჭება ნაცვალსახელთა ოპოზიციური ფორმების არჩევაში. ა. დ. შვეიცერს მოჰყავს ასეთი მაგალითი თ. დრაიზერის „ამერიკული ტრაგედიის“ რუსული თარგმანიდან: როცა კლაიდი ციხიდან ციხეში გადაჰყავთ, რკინიგზის პლატფორმაზე თავშეყრილი ქალიშვილები, მისი ძველი ნაცნობები, გამამხნეველები შეძახილებით აცილებენ მას:

“Hello, Clyde! Hope to see you again soon. Don't stay too long there!..”

რუსულად ეს ნაწყვეტი ასეა თარგმნილი:

‘Хэлоо, Клайд! Мы еще увидимся. С м о т р и т е
н е з а с и ж и в а й т е с ь т а м!’

როგორც წერს ა. დ. შვეიცერი, კონტექსტის მიხედვით აშკარაა, რომ კლაიდისა და ამ ქალიშვილთა ასაკი და სოციალური სტატუსი არ ამართლებს თქვენობით მიმართვის ფორმას (33-165).

საქმე ის არის, რომ სამეტყველო ეტიკეტის ფორმათა განზრახ დარღვევა, ანუ, სოციოლინგვისტიკის ტერმინს თუ ვიხმართ, „ასიმეტრიული თქვენ“, ისევე როგორც ოფიციალური მიმართვის ფორმები “Miss”, “Sir”, და სხვ. ისეთ კომუნიკაციურ სიტუაციაში, როცა თანამოსაუბრეთა შორის შეუძლებელია იყოს ოფიციალური ურთიერთობა, გამონათქვამს მუდამ სძენს ემოციურ კონოტაციას. მიმართვის ეს ფორმები შეიცავს უარყოფითი ემოციის გამძაფრების ეფექტს და მეტწილად გამოხატავს გაღიზიანებას, გაგულისებას ან ირონიას, დაცინვასა და სარკაზმს. ანალოგიურ ტონალობას შეიცავს, მაგალითად, მიმართვის განზრახ ოფიციალური ფორმა ქვემოთ მოყვანილ ფრაგმენტში:

“MISS JEMINA! exclaimed Miss Pinkerton, in the largest capitals,

“Are you in your senses? Replace the Dixonary in the closet and never venture to take such a liberty in the future.

“Well, sister, it’s only two-and-ninepence, and poor Becky will be miserable if she don’t get one.”

“Send Miss Sedley instantly to me”. – said Miss Pinkerton” (5-19).

„ – მის ჯიშინა! – უდიდესი აღშფოთებითა და გაგულისებით შესძახა ქალბატონმა პინკერტონმა, – ხომ არ გაგიჟდით? შედეთ ისეე თახჩაში ლექსიკონი და კვლავ აღარ გაბედოთ ასეთი თავხედობა“.

– მაგრამ, დაო, ეს მხოლოდ ორი შილინგი და ცხრა პენსი ღირს და საბრალო ბეკი ხომ ცოდო იქნება რომ არ ერგოს!

– ახლავე გამომიგზავნე მის სედლი! უბრძანა ქალბატონმა პინკერტონმა“ (19-26).

კონტექსტუალური ინდიკატორები მოყვანილ მაგალითში წინააღმდეგობრივია, რამდენადაც საუბარი მიმდინარეობს ორ დას შორის, რომლებსაც შეუძლებელია ერთიმეორესთან ასეთი ოფიციალური ურთიერთობა ჰქონდეთ. ამასვე მოწმობს ქალბატონი პინკერტონის ბოლო რეპლიკა, როცა აღშფოთების გამოხატვის შემდეგ იგი ოფიციალური რეგისტრიდან კვლავ ჩვეულ, არაოფიციალურ რეგისტრზე გადადის და შენობით აგრძელებს ლაპარაკს („გამომიგზავნე“). ამდენად, მთარგმნელის მიერ თქვენობითი ფორმის შერჩევა ამ რეპლიკისათვის განაპირობა სწორედ წინააღმდეგობრივმა კონტექსტუალურმა ინდიკატორმა – მიმართვის ოფიციალურმა ფორმამ – “Miss Jemina!”

მთარგმნის ენაში სირთულეს არ წარმოადგენს ფუნქციონალური ანალოგების დაძებნა ისეთი კულტურულ-ისტორიული ხასიათის მიმართვის ფორმებისათვის, რომლებიც სოციალურ იერარქიაში ზემდგომის მიმართ გამოიყენებოდა (your excellency, your majesty, your reverence). მაგრამ შედარებით რთულია ფუნქციონალურ ანალოგთა შერჩევა სასაუბრო ენაში გავრცელებული ფაშილიარულ-მოფერებითი ან პირიქით, უხეში ფორმებისათვის, კერძოდ, მიმართვის ისეთი ფორმებისათვის, როგორცაა “master” ან “governor” და სხვა, როგორადაც მიმართავენ სოციალურ კიბეზე მაღლა მდგომს – უფროსს, დამქირავებელს და რომლებიც ოდნავ ირონიული ზრდილობის ტონალობას შეიცავს. იგივე უნდა ითქვას ამერიკულ სასაუბრო ენაში გავრცელებულ ფორმებზე – “Mac” ან “Jack”, როგორადაც მიმართავენ მამაკაცს, რომლის სახელი უცნობია. ამ ფორმათა ანალოგიზაციისას მთავარია არ გაუფასურდეს ის ობერტონი, რომელიც მათ ორიგინალში ახასიათებთ. ასე მაგალითად, მიმართვა “old man” შეიძლება შეიცავდეს როგორც უხეშ ტონალობას, ასევე ნეიტრალურსაც, ამდენად, შეიძლება ითარგმნოს როგორც „ეი, შენ ბერიკაცი!“ ან როგორც – „მეგობარო“, „მშობილო“, ასევე სიტყვა „brother“ შეიძლება ითარგმნოს მოფერებითი ვარიანტითაც – „ძამია“, „ძამიკო“, ასევე ნეიტრალური სიტყვებით – „მეგობარო“, „ძმაო“, იმისდა მიხედვით თუ რაგვარ ტონალობას გვთავაზობს კონტექსტი.

ფუნქციონალური ანალოგების შერჩევისას ისეთი მიმართვის ფორმებისათვის, რომლებიც შეიძლება განსხვავებულ ტონალობას შეიცავდნენ (son, baby, child, buddy და სხვა), მკაცრად უნდა იქნეს გათვალისწინებული მიმღები ლინგვოეთნიკური კოლექტივის

სამეტყველო რეფლექსთა ბუნებრიობაც და ორიგინალის ტონალობაც. ამდენად, ჩვენი აზრით, გამართლებული არ არის, მაგალითად, ზემოხსენებული "Mac" და "Jack"-ის უცვლელად გადატანა თარგმანში, როგორც ეს ქვემოთ მოყვანილ მაგალითშია, რამდენადაც თარგმანის ადრესატისათვის შესაძლოა არც იყოს ცნობილი ამ საკუთარ სახელთა ასეთი აზრნაცვალი ფორმებით გამოყენების ფაქტი, თუ მას არ ახლავს კომენტარი.

"Hey, do you mind turning around when you get a chance?"

"I can't turn around here, Mac, This is a one-way" (7-78).

„ – ეი, ეუხთარი, შოფერს, – სადაც მოგიხერხდეს, მოაბრუნე მანქანა“.

– აქ ვერსად ვერ მოვაბრუნებ, მაკ, ცალმხრივი მოძრაობაა“ (21-96).

იგივე უნდა ითქვას მიმართვაზე "Son", რომელიც ასევე ენის სიტუაციური ვარიანტულობის ერთ-ერთი მარკერია, რამდენადაც ზოგიერთ კონტექსტში, კერძოდ მაშინ, როცა ასე მიმართავენ თანატოლს, იგი დესემანტიზებულია და დამცინავ, მფარველობით ტონალობას იძენს, ისევე, როგორც ქართული ირონიულ-მზრუნველობითი ტონალობის მქონე ფორმა „შვილოსან“, რომელსაც მეტწილად მამაკაცები იყენებენ საუბარში.*

"Don't worry, Dill, she ain't gonna get you, He'll talk her out of it.

That was fast thinkin', son!" (10-59).

„ნუ გეშინია, დილ, არაფერს არ გიზამს, მამაჩემი მალე

მოარჯულებს. ისე, რა ხოშიანად მოიფიქრე, ბიჭო!“ (24-56).

ჩვენთვის საინტერესო ერთეული შენაცვლებულია თარგმანის ტექსტში მეგობრული მიმართვით „ბიჭო“, ხოლო დაბალი რეპუტაციის სიტყვა „ხოშიანად“ აქტივიზებულია იმ არანორმატიული ფორმების კომპენსაციისათვის, რომლებსაც შეიცავს ორიგინალის შესაბამისი რეპლიკა.

ენის სიტუაციური ვარიანტულობის ერთ-ერთ მარკერად უნდა

* ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი არნ. ჩიქობავას რედაქციით, 1986.

მივიჩნით აგრეთვე შედგენილი სიტყვის ისეთ მოდელზე აგებული მიმართვა, როგორცაა საკუთარ სახელზე დართული საზოგადო სახელი. ასეთი დამატებული კომპონენტი შეიძლება იყოს: lad, kid, lass, babe და სხვ. მოფერებითი ტონალობის გარდა, რაც ასეთი მიმართვის იმანენტური თვისებაა, გარკვეულ სიტუაციაში მან შესაძლოა შეიძინოს დაცინვის, აბუჩად აგდების, დამცირების ობერტონიც:

“No, you wouldn't give them anything, A c k l e y - k i d, you Wouldn't.

“Don't call me Ackley-kid. I'm old enough to be your father” (7-46).

„არაფერც, შენ არაფერს აჩუქებდი ბ ა ლ ლ ო, არაფერს, – ბაღღოს ნუ მეძახი. სადაური ბაღღი ვარ, ლამის მამად გეკუთვნი“ (21-42).

თარგმანის ტექსტში შედგენილი სიტყვიდან ამოკლებულია საკუთარი სახელი, როგორც თარგმანის ენისათვის უჩვეულო მიმართვის ფორმა. საპასუხო რეპლიკიდან კი ჩანს, რომ იმან, ვისაც ასე მიმართეს, საწყენად მიიღო მიმართვის ეს ფორმა თავისი თანატოლისაგან.

ის, რომ ქართულისათვის არ არის ტიპური ასეთი მიმართვა და რომ საჭირო ხდება ფუნქციონალური ანალოგის აქტივიზაცია, ჩანს ქვემოთ მოყვანილი მაგალითიდანაც:

“Who is your date, if it isn't Fitzgerald? – I asked, – that Philly Smith- b a b e?” (7-53).

„მამ, ვის უნდა შეხვდე, ფიცჯერალდი თუ გაუშვი, ვკითხე მე, იმ გ ა წ ლ ი კ უ ლ ფილი სმითს?“ (21-50).

დაცინვითმა ტონალობამ თარგმანში გადაინაცვლა შეფასებით სიტყვაზე – „გაწლიკული“ და ამჯერადაც ფუნქციური კომპენსაციის მეთოდი ამოქმედდა.

აღამიანთა პირადი ურთიერთგანწყობის, ვინმესადმი უარყოფითი დამოკიდებულების ერთ-ერთი ენობრივი მარკერია მისი მოხსენიება არა უშუალოდ საკუთარი სახელით, არამედ საკუთარ სახელზე დართული აპოზიციური კომპონენტით: “that chap Soames”, “that fellow Bosinney”, “that lassie Jenny Hill”, “that man James” და სხვ. ან მარტოოდენ საზოგადო სახელით – “that chap”, “that fellow”.

აი, როგორაა გამოხატული ჯ. გოლზუორთის რომანის გმირის – მოხუცი ჯოლიონის ქედმაღლური დამოკიდებულება თავისი შვილიშვილის საქმროს – ბოსინის მიმართ, რომელიც თავისი სოციალური სტატუსით, ფორსაიტთა აზრით, არ არის შესაფერისი სასიძო მათი ოჯახისათვის:

“After June was married, if she ever did marry this fellow, as he supposed she would, he would let it (the house – ნ. ს.) and go into rooms” (1-50).

„ჯუნი რომ გათხოვდება, თუ მართლაც გაყვება ი მ ყ მ ა წ-
ვ ი ლ ს, შესაძლოა არც გაყვეს, სახლს გააქირავენს და
ოთახს იშოვის“ (15-30).

ადამიანის მოხსენიება სიტყვით „ყმაწვილი“, მაშინ როცა იმი-სთვის, ვისაც ეს სიტყვები ეკუთვნის, კარგადაა ცნობილი ამ ადამიანის სახელიც და გვარიც, თავისთავად უკვე მიგვანიშნებს უარყოფით განწყობილებაზე მის მიმართ. აღნიშნულ ფუქტს კიდევ უფრო აძლიერებს დესემანტიზებული ნაცვალსახელი. ჩვენი აზრით, ამ შემთხვევაში სათანადო ტონალობა უკეთ იქნებოდა შენარჩუნებული „ყმაწვილის“ ნაცვლად სიტყვა „ვაუბატონი“ რომ ყოფილიყო ნახმარი, რომელიც ასეთი მტრული დამოკიდებულების გამო-სახატავად უფრო შესაფერის ერთეულად გვესახება.

ანალოგიური უარყოფითი, დამამცირებელი დამოკიდებულების ინდიკატორია ოკაზიური სიტყვათქმნადობის მოდულებთან დაკავშირებით ადრე განხილული ფორმა, რომელშიც ადამიანი მოხსენიებულია არა საკუთარი სახელით, არამედ რთულ სიტყვა-ფორმაში მოქცეული მთელი წინადადებით, რაც ძალზე ტიპურია ინგლისურისათვის. ასეთი კონოტაციის ანალოგიზაციამ ქვემოთ მოყვანილ ქართულ ვარიანტში განაპირობა დაბალი რეპუტაციის სიტყვის აქტივიზაცია (ჯანდაბა):

“I shan't be able to give you very much, he said, /.../

Perhaps this Mr. What's - his - name will provide the cocoa”

(1-48)

„მე არ შემიძლია დიდი თანხის მოცემა, წარმოთქვა მოხუცმა

ჯოლიონმა, (...) იქნებ ეგ ბო ს ი ნ ი ა თ უ
რ ა ლ ა ც ჯ ა ნ დ ა ბ ა, ეყოს კიდეც კაკაოსათვის
ჩემგან მოცემული თანხა“ (15-27)

ენის სიტუაციური ვარიანტულობის მოვლენას განეკუთვნება ასევე მოფერებითი, მზრუნველობითი ტონალობის გამოვლინების ისეთი სახეობა, რომელიც თავს იჩენს ხოლმე ვისიმე საუბარში მასზე უმცროსთან, მისი მეურვეობის, მზრუნველობის ქვეშ მყოფ პირთან, მაგალითად, ექიმის საუბარში – პაციენტთან, მოზრდილი ადამიანისა – ბავშვთან და ა. შ. ეს არის ზმნის პირველი პირის მრავლობითი ფორმა, ნაცვლად მეორე პირის ფორმისა. How are we this morning? What are we complaining of? Have we done all the tasks for today? We'll have to take all these medicines და სხვ.

ქართულში ეს ფორმა ნაკლებ დამახასიათებელი ჩანს კითხვით კონსტრუქციებში, მაგრამ ძალზე ტიპურია იმპერატიულ წინადადებებში:

– მოდი, ახლა დავიძინოთ – ასე ეტყვიან ბავშვს, – მოდი ეს შევჭამოთ, მოდი, დავლიოთ ეს წამალი და ა. შ. ხოლო კითხვით კონსტრუქციაში გამოყენებული ეს ფორმები ქართულად შეიძლება ჩანაცვლებული იყოს ზმნის მესამე პირის ფორმით:

“Chasuble – “And how are we this morning Miss Prism?

You are I trust, well” (4-307).

ამ სიტყვებით მიმართავს მოძღვარი მისი მრევლის ერთ-ერთ წევრს, რაც ქართულში მესამე პირის ფორმითაა გადმოტანილი:

„ჩეზუბლი – როგორა გრძნობს თავს ამ დღით მის პრიზმი?

იმედია, კარგად ბრძანდება“ (18-156).

ზმნის ასეთი აზრნაცვალე პირიანი ფორმა ზოგჯერ ირონიულ და სახუმარო – ოფიციალურ ტონალობასაც იძენს:

“How is the beautiful red-faced Mr. Wilson? Are you feeling better,

Francis, my pearl?” (13^c-37).

„როგორ ბრძანდება მშვენიერი წითულსახიანი მისტერ

უილსონი? ფრენსის, ძვირფასო, უკეთ ხარ?“ (27^b-216).

პირველი, სახუმაროდ ოფიციალური ტონით დასმული შეკითხვით ქალი მიმართავს მამაკაცს, რომელთანაც წინა ღამე გაატარა, მეორე შეკითხვით კი – საკუთარ ქმარს, რომელმაც წინადღით, ნადირობისას, საშინელი სიმხდალე გამოავლინა, რითიც საბოლოოდ დაეცა საკუთარი ცოლის თვალში. ამდენად, მიმართვა „ძვირფასოც“ ერთგვარ ირონიულ შეფერილობას იძენს. ორივე შემთხვევაში კი ტონალობის ხასიათს კონტექსტუალური ინდიკატორები განსაზღვრავს.

ცნობილია, რომ **ზოომორფიზმი**, როცა იგი აქტივიზებულია ადამიანის დასახსნიათებლად, მუდამ შეიცავს მეტაფორულობის, ემოციურობის ეფექტს, ხან საწყენსა და დამამცირებელს, ხანაც – მოფერების. თუ ზოომორფიზმებს სინონიმებიც გააჩნია ენაში, მაშინ ეს სინონიმები ერთმანეთისგან განსხვავდება როგორც ინტენსიურობის, ასევე კონოტაციის ხასიათითაც. მაგალითად, ინგლისურში pig, donkey, monkey რბილი ირონიის გამომხატველია, ხოლო ass, swine, ape უხეში და უკიდურესად უარყოფითი დამოკიდებულების ინდიკატორია. გარდა ამისა, ამ ერთეულთა ეფექტის ტრანსპოზიციისას თარგმანში გასათვალისწინებელია ისიც, რომ ის ასოციაცია, რომელიც საფუძვლად უდევს ზოომორფიზმის გამოყენებას, ხშირად ძალზე განსხვავებულია შეპირისპირებულ ენებში. მაგალითად, სახედართან ქართულში დაკავშირებულია ისეთი თვისებები, როგორიცაა სიჯიუტე, უზრდელობა, გაუთლელობა, ინგლისურში კი – სიბრიყვე, უტყინობა, სიჩერჩეტე (as stupid as an ass (donkey)); to make an ass (a donkey) of oneself; to play the ass). ამითაა განპირობებული სიტყვა “donkey”-ის შენაცვლება თარგმანში მისი ფუნქციონალური ანალოგით, ქვემოთ მოყვანილ ნაწყვეტში, რაც სათანადო განწყობის, სასურველი ტონალობის მინიჭებისთვის, ანუ თარგმანის პრაგმატული ეკვივალენტურობისათვის გარდუვალი აღმოჩნდა:

“He clowned away, pretending that his trousers had inches to spare round his middle.

“Don’t be such a donkey, Bertie, said my mother irritably” (12-42).

„მამაჩემი ფეხზე წამოდგა და ხუმრობით შარვალზე ხელი

იტაცა, ვითომდა ისე გავძვალტყავდი, რომ შარვალი მძვრებო.

– ნ უ ს უ ლ ე ლ ო ბ, ბერტი, შეუტია ღედაჩემმა“ (26-56).

ზემოთ განხილული ფრაგმენტების ანალიზისას ხშირად ვიყენებდით მ. ა. კ. პელიდის მიერ შემოღებულ ტერმინს „ტონალობა“ (135), რომელიც ადამიანთა სოციალურ ურთიერთობებში „გათამაშებული როლების“ უმთავრესი სტილისტური კორელატიაა. ტონალობის შეცვლა, საერთოდ, დაკავშირებულია ან იმ კომუნიკაციური სიტუაციის შეცვლასთან, რომელშიც მიმდინარეობს კომუნიკაციის აქტი, ან კომუნიკაციის პრაგმატული ინტენციის შეცვლასთან. ქვემოთ მოყვანილ ნაწყვეტში ჩ. სნოუს რომანიდან “უამი იმედისა“, რომელშიც მოქმედება ვითარდება პირველი მსოფლიო ომის წლებში, ინგლისის ერთ-ერთი სკოლის გაკვეთილზე, როცა მიმდინარეობს ფულის შეგროვება „ფრონტის დასახმარებლად“, მისტერ პეკი – მასწავლებელი, ორ განსხვავებულ როლში წარმოგვიდგება. ქვემოთ მოყვანილ პირველ რეპლიკაში მისი პათეტიკური, ზეაწეული ტონალობა, რომლის ეფექტიც იქმნება ოფიციალური, პუბლიცისტური სტილის კლიშეებით გაწყობილი გამონათქვამით, აშკარად დამცინავია, შეიძლება ითქვას, სარკასტულიც კი, ერთი მხრივ, იმ ყალბი პათოსისადმი, რომელსაც იჩენს ვითომდა დემოკრატიის იდეებით გულალტკინებული სასკოლო ადმინისტრაცია და საერთოდ, საზოგადოება, და მეორე მხრივ, – გაღიზიანებული მოსწავლეთა დაბალი ინტერესით იმ საგნისადმი, რომელსაც თავად ასწავლის. მომდევნო რეპლიკაში კი, რომლითაც იგი მიმართავს ერთ-ერთ ხელმოკლე ოჯახიდან გამოსულ მოსწავლეს, თავის მოწონების მიზნით ყველაზე დიდი თანხა რომ შესწირა სასკოლო ფონდს, მისი როლი უკვე რადიკალურად საპირისპიროა, ტონალობა დაყვავებითი, დამრიგებლური და მზრუნველობითი, როგორიც შეეფერება მასწავლებელსა და ჭკუის დამრიგებელს, რაც, ვფიქრობთ, სათანადოდაა ასახული თარგმანშიც:

ა) “Well, the first item on the programme is to see how much this form is going to contribute to make the world safe for democracy.

... Well, I don't suppose for a moment that you want to turn what you are pleased to call your minds to the problems of geometry. However it is my unfortunate duty to make you do so without unnecessary delay. So we will dispose of this financial tribute as soon as we decently can”

(12-52).

„მამ ასე, ღღეს, ჩვენი პროგრამის პირველ ნომრად უნდა დავადგინოთ, თუ რა წვლილი შეაქვს თქვენს კლასს მთელს მსოფლიოში დემოკრატიის გამარჯვების უდიდეს საქმეში... ვერ გატყობთ, რომ ძალიან გეჩქარებოდეთ გეომეტრიის პრობლემებისაკენ მიმართოთ თქვენი ჭკუა-გონება (თუკი ასეთი ტვირთი მართლაც ამძიძებს თქვენს თავებს), მაგრამ ჩემი სამწუხარო ვალია სწორედ ამისკენ მოუხმოთ თქვენს ყურადღებას და რაც შეიძლება მალე. ასე რომ, მოდით მოვათავოთ ეს ფინანსური საკითხები და დავიწყოთ გაკვეთილი“ (26-57).

ბ) “Let me give you a piece of advice, my friend, it will be to your own advantage in the long run. You are a bright lad, aren't you? I'm thinking of your future, you know. That's why I'm giving you a piece of advice. It isn't a showy things that are most difficult to do, Eliot, It is Just plodding away and doing your duty and never getting thanked for it - that's the test for bright lads like you. You Just bear my words in mind” (12-53).

„ნება მომეცი, ერთი კეთილი რჩევა მოგცე, იმედი მაქვს გამოგადგება ცხოვრებაში. შენ ხომ ნიჭიერი ბიჭი ხარ და მეც, პირველ რიგში, შენს მომავალზე ზრუნვა მაღაპარაკებს. ასეთი სენსაციური საქციელის ჩადენაზე ადვილი არაფერია, ელიოტ. შენისთანა ჭკვიანი ბიჭისათვის კი ყველაზე დიდი ხასიათის გამოცდა ის იქნება, რომ თავდაუზოგავად იშრომო და ერთგული იყო შენი საქმისა, თუნდაც ამისათვის მაღლობას არავინ გეუბნებოდეს. აბა, შენ იცი, დაიმახსოვრე რაც გითხარი“ (26-57).

ის გარემოება, რომ ჩვენს საანალიზო მასალაში წარმოდგენილი იყო ფრაგმენტები მხატვრული ტექსტის პერსონაჟთა სამეტყველო პარტიებიდან, არ ნიშნავს თითქოს ენის სოციალურ ვარიანტულობას ვუკავშირებდეთ მხოლოდ პერსონაჟთა მეტყველებას.

ფაქტობრივად, იგი გამოხატავს პოვნებს ტექსტთა ფუნქციონალური ტიპების ნებისმიერ სახეობაში, რომლებიც სხვა არაფერია, თუ არა შეტყობინების ისეთი ფართო კლასებისათვის შემუშავებული სამეტყველო ნორმებით გაწყობილი ტექსტები, რომლებშიც ასახულია ადამიანთა მიერ განსხვავებული სოციალური როლების შესრულების ფაქტი. მაგალითად, სამეცნიერო-დარგობრივი ტექსტის კონსტრუირებისას მისი ავტორი ასრულებს მეცნიერის სოციალურ როლს, პუბლიცისტური ჟანრის ტექსტის ავტორი თავისი როლით ჟურნალისტია ან პოლიტიკოსი, მხატვრული ტექსტისა – მწერალი და ა. შ. და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში იკვეთება მისი როლის შესაბამისი ინტენციაც და ცოდნაც იმისა, თუ როგორი ენობრივი გამოხატვის ფორმები შეესაბამება მისი აზრის ექსტერიორიზაციას და მისი ადრესატის პოტენციურ რეცეპტორულ უნარს. ეს არის ადამიანის სამეტყველო აქტივობის უმთავრესი პრაგმატული ფაქტორები. მთარგმნელის პრაგმატული მიზანმიმართება კი, თავის მხრივ, იმაში მდგომარეობს, რომ ყოველი ფუნქციონალური ტიპის ტექსტის თარგმნისას იტვირთოს სწორედ ასეთი განსხვავებული როლები და იმავდროულად გაითვალისწინოს თავისი ადრესატის ფაქტორიც, რომელიც თვისებრივად განსხვავებული ლინგვოეთნიკური და ლინგვოკულტურული კოლექტივის წევრია. სწორედ ეს ფაქტორი უცილობლად მოითხოვს მისგან ტექსტის პრაგმატულ-ფუნქციონალური მოდიფიკაციის ისეთ საშუალებათა აქტივიზაციას, რომლებზედაც გავამახვილეთ ყურადღება. ეს იყო: ტექსტის კომპრესია, ფუნქციონალური კომპენსაციის საშუალებები – ეფექტის გადაადგილება, სტილისტური ირადიაციის ეფექტის გამოყენება, კომპენტირებული თარგმანი, ადაპტაციური ინტერპრეტაცია, რომელიც ითვალისწინებს მიმღები ენობრივი კოლექტივის სამეტყველო ჩვევებსა და რეფლექსებს სათანადო ტონალობის შესანარჩუნებლად განსხვავებულ კომუნიკაციურ სიტუაციებში.

თარგმანის ტექსტის მოდიფიკაციის
ექსტრალინგვისტური ფაქტორები

წინამდებარე ნაშრომის პირველ თავში, რომელშიც ვიხილავდით პრაგმატულ ასპექტთა მოქმედებას ენათშორისი კომუნიკაციის აქტზე, ნათქვამი იყო, რომ თარგმანის ტექსტის კონსტრუირებაზე, გარდა შეპირისპირებულ ენათა სისტემისმიერი ფაქტორებისა, მოქმედებს ასევე ექსტრალინგვისტური ფაქტორებიც, რომელთა შორის დავასახელებთ მთარგმნელის სუბიექტური ფაქტორი, გარეენობრივი სოციალურ-კულტურული ფონი და მასთან უშუალო კავშირში მყოფი თარგმანის მიმღები ეთნოკულტურული კოლექტივის ფაქტორი, რომლის რეცეპტორულ შესაძლებლობათა გათვალისწინება უმთავრესი მიზეზია ტექსტის მოდიფიკაციის იმ განსხვავებული შემთხვევებისა, რომლებიც თავს იჩენს თარგმანის ტექსტში ორიგინალთან შეპირისპირებისას.

გარეენობრივი რეალობის ფონში ვგულისხმობთ თარგმანის ტექსტის კონსტრუირების პროცესზე მოქმედ პირველადი კომუნიკაციური სიტუაციის ეთნოკულტურული სპეციფიკის ისეთ გამოვლინებებს, როგორცაა ისტორიული, პოლიტიკური, სოციალური, ეთნოგრაფიული და კულტურული რეალიები, რომლებსაც შეიცავს ორიგინალის ტექსტი. ეს მოვლენები იმდენადაა რელევანტური თარგმანისათვის, რამდენადაც თარგმანის მიმღები ენობრივი კოლექტივის სულიერ და მატერიალურ ყოფაში შეიძლება არ არსებობდეს ამ რეალიათა შესაბამისი ცნებები და მათი ენობრივი ექსპლიკატები. ეს გარემოება, ბუნებრივია, მოითხოვს ადრესატის ფაქტორის მკაცრ გათვალისწინებას მთარგმნელის მიერ და განსაკუთრებულ ძალისხმევას აღნიშნული სპეციფიკის თარგმანის ტექსტში რეპროდუცირებისათვის. ფაქტობრივად, ამ სპეციფიკაში იგულისხმება ყოველივე ის, რაც დაკავშირებულია ექსტრალინგვისტური ცოდნის იმ მარაგთან, რომელიც სავალდებულოა იმისათვის, რომ კომუნიკაციის აქტი სრულყოფილად განხორციელდეს და არ წარმოქმნას ანტიკომუნიკაციური ბარიერები.

§1. მთარგმნელის სუბიექტური ფაქტორის როლი თარგმანის ტექსტის კონსტრუირებაში

ადრე მოყვანილ ი.ს. სტეპანოვის ციტატაში (62-323) ნათქვამი იყო, რომ პრაგმატიკა ამჟამად მოაზრებულია როგორც დისციპლინა, რომელიც შეისწავლის ტექსტს მისი შემქმნელის "ეგო"-სთან კავშირში. სავსებით მართებულად შეიძლება გავავრცელოთ ეს დებულება თარგმანის ტექსტზეც და ვთქვათ, რომ *თარგმანის ტექსტიც პირველ ყოვლისა, შესწავლილი უნდა იქნეს მთარგმნელის სუბიექტურ ფაქტორთან კავშირში.*

მთარგმნელის სუბიექტური ფაქტორის პრობლემას თარგმან-ცოდნეობაში, განსაკუთრებით კი მხატვრული თარგმანის შემთხვევაში, უკავშირდება თარგმანის ტექსტის წარმოქმნის ფსიქოლოგიური იმპულსი, რომელიც განაპირობებს მთარგმნელის პრაგმატულ ინტენციას და წინ უსწრებს თარგმანის პრაქტიკული განხორციელების პროცესს. ეს იმპულსი არამხატვრული, ინფორმაციული ტექსტის თარგმნის შემთხვევაში სტიმულირებულია მთარგმნელის მიერ თარგმანის შესრულების ობიექტური საჭიროების შეგრძნებით, როცა მთარგმნელი, საზოგადოებრივი ცხოვრების საჭიროებიდან გამომდინარე აფასებს სათარგმნი ტექსტის ინფორმაციულ ღირებულებას და გადაწყვეტილებას იღებს იმისდა მიხედვით, თუ რა სახის ინფორმაცია შეიძლება შეიცავდეს ინტერესს თარგმანის პოტენციური ადრესატისათვის. მხატვრული ტექსტის თარგმნის შემთხვევაში კი - რაგვარი ნაწარმოების თარგმანი შეესაბამება მისი მკითხველის ლიტერატურულ ინტერესებს, მის საკუთარ გემოვნებას და შეასრულებს თუ არა ეს თარგმანი რაიმე როლს ერის ლიტერატურულ ცხოვრებაში. მთარგმნელის გადაწყვეტილებას ამ შემთხვევაში უთუოდ მართავს ასევე მისი ფსიქოლოგიური განწყობა ორიგინალის გაცნობის შემდეგ, ნაწარმოების შინაარსობრივ-კონცეპტუალური და ესთეტიკური ინფორმაციის სხვებისათვის გაზიარების სურვილი. არანაკლებ როლს ასრულებს ასევე საკუთარი შემოქმედებითი შესაძლებლობების გამოცდის ფაქტორიც.

თარგმანის ფსიქოლოგიური საფუძვლების წარმოჩენა აუცილებელი პირობაა თარგმნის ფენომენის საფუძვლიანი შესწავლისათვის. გამომდინარე იქიდან, რომ ფსიქოლინგვისტიკის შესწავლის სა-

განს შეადგენს ადამიანის სამეტყველო ქმედება, ხოლო თარგმანის თეორია შეისწავლის სამეტყველო ქმედების ისეთ განსაკუთრებულ სახეობას, როგორცაა თარგმანი, ამ დისციპლინათა ამოცანები გარკვეულწილად თანხვდება. მაგრამ სამწუხაროდ, ფსიქოლინგვისტიკის პოზიციებიდან თარგმნის პროცესი ჯერ კიდევ არ არის გლობალურად აღწერილი და ამიტომ ამ პროცესის თაობაზე არსებული თეორიული გამოკვლევებისათვის დამახასიათებელია ან ორიგინალური შემოქმედების ფსიქოლოგიურ საფუძვლებზე გამოთქმული მოსაზრებების ექსტრაპოლაცია შემოქმედების ისეთ სახეობაზე, როგორცაა ლიტერატურული ნაწარმოების თარგმანი, ან ადამიანის სამეტყველო ქმედების ფსიქოლოგიური მახასიათებლების ანალოგიის ძიება ენათშორისი კომუნიკაციის პროცესში.

პირველი ტენდენციის ანარეკლს ვხვდებით, მაგალითად, გ. გაჩეჩილაძის გამოკვლევაში, სადაც ავტორი იზიარებს ცნობილი ფსიქოლოგის დ. უზნაძის მიერ ორიგინალური შემოქმედების ფსიქოლოგიურ საფუძვლებთან დაკავშირებულ შეხედულებებს მხატვრულ თარგმანთან მიმართებაში. დ. უზნაძე ასე წარმოაჩენს ამ პროცესს: „პირველ საფეხურზე დაგროვილი მასალის საფუძველზე ყალიბდება განწყობა და შემოქმედში მწიფდება ნაწარმოების შექმნის იდეა. შემდეგ საფეხურზე, ინსპირაციის მდგომარეობაში იბადება კონცეფცია, ერთგვარი შინაგანი ფარული სურათი, რომლის ასლის გადმოღებასაც ცდილობს შემოქმედი. ასე გრძელდება შემოქმედებითი მუშაობა იქამდე, სანამ განხორციელებული არ იქნება ის ფორმა, რომელიც ხელოვანის განწყობის ადეკვატურ განხორციელებად იქნება განცდილი“ (136-1398). გ. გაჩეჩილაძე, თავის მხრივ, თვლის, რომ მთარგმნელის შემოქმედება ორიგინალური შემოქმედების ანალოგიურია იმ განსხვავებით, რომ ორიგინალურ შემოქმედებაში მწერალს წინ უდგას ობიექტური სინამდვილე, რაც მოქმედებს მის წარმოდგენით სამყაროზე და მის განწყობილების ჩამოყალიბებაზე. მთარგმნელს კი წინა აქვს მხატვრული მოდელი და მისი მიზანია ორიგინალის მხატვრულად მთლიანი მსგავსების შექმნა მისი საკუთარი განწყობისა და მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. გ. გაჩეჩილაძე სწორედ ამ გარემოებით ხსნის ის ფაქტს, რომ „ყოველ მთარგმნელს მისი ინდივიდუალურობისა და განწყობის შესაბამისი ნაწარმოების თარგმნა შეუძლია სრულფასოვანი სახით“ (14-187).

იმ მკვლევართა თვალსაზრისით, ვინც თარგმნის პროცესში ეძებს სამეტიყველო ქმედების ფსიქოლოგიურ მახასიათებლების ანალოგიას, ფსიქოლინგვისტიკაში დამუშავებული სამეტიყველო ქმედების სამფაზოვნების იდეა სავსებით მართებულად შეიძლება მიესადაგოს თარგმნის პროცესსაც. ეს ფაზებია: 1. პროგრამირება, 2. განხორციელება, 3. გადამოწმება (ანუ თვითკორექციის ფაზა). ზემოთქმულის საფუძველზე ს.ნ. სიროვატკინი თარგმნის პროცესის ფსიქოლოგიურ ბუნებას ხედავს მისი განხორციელების ანალოგიურ სტადიებში საწყისი ტექსტის გაცნობა, ორიგინალში აქტივიზებული ენობრივი საშუალებების საფუძველზე საკუთარი წარმოსახვის შექმნა და ბოლოს, თარგმანის ენაში შესაბამის ენობრივ საშუალებათა ძიება ორიგინალიდან მიღებული შთაბეჭდილების რეალიზებისათვის (137-83).

ასევე სამფაზოვან პროცესად ესახება თარგმნის პროცესი ი. ლევის, მაგრამ შემოქმედ-მთარგმნელსა და ხელოსან-მთარგმნელს შორის განსხვავებას იგი იმაში ხედავს, რომ პირველი, იმ შუალედში, სანამ ორიგინალის ტექსტზე მუშაობიდან თარგმანის ტექსტის კონსტრუირებაზე გადავიდოდეს, ორიგინალში ასახული სინამდვილის სურათს ააგებს თავის წარმოსახვაში, ჩაწვდება სიტუაციას, შეიმეცნებს პერსონაჟთა ხასიათებს, ნაწარმოების იდეას და ა.შ. მეორე კი - ხედავს მარტოოდენ ტექსტს და თარგმნის მარტოოდენ სიტყვებს. ეს, ი. ლევის თქმით, რა თქმა უნდა, უფრო შემოკლებული ფსიქოლოგიური პროცესია, უფრო მოკლე გზა ორიგინალიდან თარგმანამდე: შედარებით რთული და შემოქმედებითად უფრო სრულყოფილი გზა კი საკმაოდ გრძელია (ორიგინალიდან მიღებული ინფორმაცია - სინამდვილის წარმოსახვითი სურათი - თარგმანის ტექსტი). ბუნებრივია, რომ მთარგმნელი მისწრაფვოდეს უფრო მოკლე გზით სიარულისაკენ, რადგან მეორე გზა მოითხოვს წარმოსახვის დიდ უნარს და ტექსტის ღრმა, კარგად მოაზრებულ ინტერპრეტაციას (26-64). ყოველივე ზემოთქმულისათვის, რა თქმა უნდა, მთარგმნელს მოეთხოვება ფართო ერუდიცია, ორიგინალის ეპოქისა და ყოფითი სინამდვილის ყოველმხრივი ცოდნა, რომ შემთხვევით „არ წამოსცდეს“ ისეთი რამ, რაც ავტორს აზრადაც არ ჰქონია.

თარგმანზე მუშაობის შემეცნებით და ფსიქოლოგიურ პროცესთა სამფაზოვნების იდეას გვთავაზობს ასევე დ. ფანჯიკიძე. ფსიქოლოგიური ფაქტორი, მისი გაგებით, თარგმნის პროცესის

წინმსწრები პირობაცაა და ორიგინალის პროფესიული შესწავლის თანმდევი ფაქტორიც. პირველი ფსიქოლოგიური იმპულსი, ნაწარმოებიდან მიღებული ესთეტიკური და ემოციური შთაბეჭდილების საფუძველზე, მისი მშობლიურ ენაზე ამეტყველების განწყობას ბადებს. ამას მოსდევს მეორე, ორიგინალის შემეცნების ფაზა, როცა საბოლოოდ ყალიბდება მთარგმნელის ფსიქოლოგიური განწყობა, ხოლო მესამე ფაზად ავტორს მიაჩნია საკუთრივ თარგმნა, როგორც სინთეზური შემოქმედებითი პროცესი. დ. უზნაძის განწყობის თეორიის საფუძველზე, ავტორი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „ფსიქოლოგიური მზადყოფნა არის ის ძალა, რომელიც თარგმნის პროცესში ქვეშეცნეულად მოქმედებს და მთარგმნელის ყველა ძიებას დედანთან თარგმანის მხატვრული შესაბამისობის მთავარ მიზანს უქვემდებარებს (5-65).

ზემოთ წარმოდგენილ მოსაზრებათა პარალელურად, ჩვენი მხრივ გვინდა გავამახვილოთ ყურადღება თარგმანის ტექსტის კონსტრუირების პროცესში მთარგმნელის ფსიქოლოგიური ფაქტორის მოქმედების ერთ ისეთ გამოვლინებაზე, რაც განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს თარგმანის კომუნიკაციურ-პრაგმატული ეკვივალენტურობის პირობებისათვის. ეს არის ის არაზუსტი და ტენდენციური ინტერპრეტაცია, რომელიც ხშირად იჩენს ხოლმე თავს თარგმანის ტექსტში. მთარგმნელის სუბიექტური ფაქტორის მოქმედების ეს მარკერები თარგმანის ტექსტში განპირობებულია არა მისი ენობრივი კომპეტენციის არასრულყოფილებით, რაზედაც საუბარი გვექნება შემდგომ, არამედ იმ წინასწარი ფსიქოლოგიური განწყობით, რომლითაც იგი ახდენს მიღებული შეტყობინების ხელახალ კოდიფიცირებას. შემოქმედი მთარგმნელის წინასწარი განწყობა, ანუ, თუ ვინმართ დ. უზნაძის ტერმინებს, მისი „მისი საკუთარი კონცეფციის“ ერთგვარად „ფარული სურათი“. როგორც თქმული იყო, იქმნება ნაწარმოების წინასწარი გაცნობისას, მისი კონცეპტუალური ინფორმაციის მოაზრებისა და შეფასების საფუძველზე. ამ წინასწარი ფსიქოლოგიური შემართებით მთარგმნელი იწყებს უკვე საკუთარი განწყობის გამოსახატავად ადეკვატური ენობრივი ფორმების ძიებას. აქედან გამომდინარე იგი მისდღაუნებურად ამძაფრებს იმას, რაც თავად მიაჩნია არსებითად და გვერდს უვლის ისეთ დეტალებს, რომლებიც მის წარმოდგენაში ნაკლებ მნიშვნელოვანია. თარგმანის ისტორიამ იცის არაერთი ისეთი ტენდენციური თარგ-

მანი, როცა მთარგმნელი სათარგმნ მასალაში ეძებს იმას, რაც სურს რომ იპოვოს ან რასაც წინასწარი ვარაუდით მოელის. ასეთმა მიდგომამ შეუძლებელია არ იჩინოს თავი აქცენტთა გადაადგილებაში ერთი მხატვრული დეტალიდან მეორეზე, მათ გამძაფრებასა ან პირიქით – შესუსტებაში. როცა მთარგმნელის ასეთი შემოქმედებითი ინიციატივა მთელი ნაწარმოების მასშტაბით დასტურდება, თარგმანი უკიდურესად ჰეტეროვალენტურია და ტენდენციური. მაგრამ მთარგმნელის ფსიქოლოგიურმა განწყობამ ტექსტის კონსტრუირებისას შესაძლოა თავი იჩინოს მარტოოდენ სპორადულად, ამა თუ იმ მხატვრული დეტალის გამძაფრებაში, ამა თუ იმ ენობრივი გამოხატვის ფორმის სუბიექტურ ინტერპრეტაციაში. ვნახოთ ამისი მაგალითი:

ჟ. გოლზუორთის რომანი „მესაკუთრე“ ასეთი შესავლით იწყება:

“Those privileged to be present at a family festival of the Forsytes have seen that charming and instructive sight - an upper - middle class family in full plumage”. (1-29)

„ვისაც ფორსაიტთა საოჯახო ნადიმზე მიწვევა პღირსებია, საკუთარი თვალით ნახავდა ბურჟუაზიის ზედა ფენის წარმომადგენელთა მომაჯადოებელ, დოვლათითა და სიკეთით ავსებულ, აყვავებულ, სამაგალითო ოჯახს.“ (15-7)

რუსულ თარგმანში ვკითხულობთ: „Тем, кто удостоивался приглашения на семейные торжества Форсайтов, являлось очаровательное и поучительное зрелище – представленная во всем его блеске семья, принадлежащая верхушке английской буржуазии“ (32-7).

ავტორის იდეა ტექსტის ამ მონაკვეთში იმაში მდგომარეობს, რომ დაგვანახოს თუ ერთ-ერთ თავყრილობაზე როგორ უპირისპირდება ფორსაიტთა მთელი ოჯახი თავისი საზეიმო ჩაცმულობით დანარჩენ სტუმრებსაც და, რაც მთავარია, საზოგადოების სხვა ფენიდან მათ წრეში შემოჭრილ სასიძოს, რომლის დაუდევარი ჩაცმა-დახურვა განსაკუთრებული ჭორაობის საგანი გამხდარა ფორსაიტთა ოჯახში (იგი ოფიციალურ ვიზიტებზეც კი არა ცილინდრით, არამედ მტვრიანი, გაცვეთილი და უფორმო ქუდით ცხა-

დღეა, რომელიც ერთერთ მანდილოსანს „სკამზე მოკალათებულ კატაც კი ეგონა“). ეს მთავარი თემა დასტურდება ტექსტის შემდგომი გაშლისას, სხვა კონტექსტუალურ ინდიკატორებშიც, სადაც, რომ აღარაფერი ვთქვათ ფორსაიტთა ყოველი წარმომადგენლის სამოსის დეტალურ აღწერაზე, ისიცაა თქმული, რომ: “About the Forsytes there was a more than ordinary groomed look”, “In the bravery of light gloves, buff waistcoats, feathers and frocks the family were present” ან კიდევ: “Their resentment expressed itself in an added perfection of

raintment”. და ა.შ. სწორედ ამაშია ფრაზის “in full plumage”-ის იმპლიკაცია, რასაც უფრო მეტად შეესაბამება რუსული თარგმნით ვარიანტი - „во всем блеске“ ან, დაეუშვათ, ამ ინგლისური ფრაზის უფრო ზუსტი სალექსიკონო შესატყვისი „в полном оперении“.

ქართულ თარგმანში კი უფრო მეტად აქცენტირებულია ოჯახის დოვლათი და ფუფუნება, რასაც განსაკუთრებით ამძაფრებს მთარგმნელის მიერ დამატებული შეფასებითი ელემენტები: „დოვლათითა და სიკეთით ავსებულ“, „აყვავებულ“, „სამაგალითო ოჯახს“. მიუხედავად იმისა, რომ ეს თემა, შეიძლება ითქვას, წამყვანი, მთავარი თემაა ნაწარმოებში, მისი წარმოჩენა, კონტექსტის ლოგიკით, ნაადრევია. მთარგმნელის ასეთი ინტერპრეტაციის საფუძველი, როგორც ჩანს, საძიებელია მის წინასწარ ფსიქოლოგიურ განწყობაში. ასეთი არც თუ უსაფუძვლო შეფასება აშკარად ნაადრევად „წამოსცდა“ მთარგმნელს, ბევრად ადრე, ვიდრე ორიგინალის ტექსტი მისცემდა ამის საბაბს. ასეთი უმნიშვნელო დეტალი ძნელია მივიჩნიოთ მიუტევებელ ცოდვად, მით უფრო, რომ იგი არ ეწინააღმდეგება ფართო კონტექსტის ლოგიკას, მაგრამ არის შემთხვევები, როცა მცდარი ფსიქოლოგიური პრესუპოზიცია, როგორც შევეცდებით ამის ჩვენებას ქვემოთ, ზოგიერთი კულტურულ-ლოგიური ხასიათის შეცდომათა მაგალითზე, უფრო სერიოზულ დარღვევებში იჩენს ხოლმე თავს.

საერთოდ, საკითხთა ასეთი რიგი, ისევე როგორც თარგმანის ტექსტის კონსტრუირებაზე მთარგმნელის სუბიექტური ფაქტორის მოქმედების სხვა ნიშნები, კერძოდ, საკუთარი ინდივიდუალური სამწერლო ტექნიკისა და ესთეტიკური მრწამსის ერთგულება, ისევე, როგორც ეროვნული ლიტერატურის ტრადიციათა გავლენის ნიშნები, უმეტესად უკავშირდება მხატვრულ თარგმანს და ტრადი-

ციულად თარგმანის ლიტერატურათმცოდნეობითი თეორიის პრე-როგატივად ითვლება, მაგრამ არანაკლებ რელევანტურია თარგმანის პრაგმატული ასპექტებისათვის, რამდენადაც მთარგმნელობითი სტრატეგიის სწორი ან არასწორი არჩევანი არის სწორედ ის პირობა, რომელიც ამ პროცესის რეზულტატის ავტორიანობის საზომად მიგვაჩნია.

იდეალურ შემთხვევაში მთარგმნელი, როგორც მეორადი შეტყობინების პროდუცენტი, მთლიანად უნდა გარდაისახოს ორიგინალის ავტორის სახეში და მაქსიმალურად გაიზიაროს ავტორის ესთეტიკური იდეალი, მაგრამ, როგორც ადრე ითქვა, ეს მართოდენ იდეაშია შესაძლებელი. როგორც მსახიობი, გარდასახული რომელიმე დრამატული ნაწარმოების გმირის სახეში, არ კარგავს პირადულ ნიშნებს, ასევე მხატვრული ტექსტის მთარგმნელიც მუდამ გარკვეულწილად ინარჩუნებს თავის ხელწერას. მისმა შემფასებლურმა პოზიციამ და ინდივიდუალურმა ხელწერამ შეუძლებელია თავი არ იჩინოს მისი შემოქმედების რეზულტატში. ეს გარემოება განსაკუთრებით თვალშისაცემია პოეტურ თარგმანში, თუმცა არც პროზაული თარგმანია ამისაგან დაზღვეული.*

საერთოდ, მთარგმნელის შემოქმედებითი ინიციატივის სხვადასხვაგვარ გამოვლინებაზე მხატვრულ თარგმანში ისევე, როგორც თარგმანის მხატვრული ფორმის, ანუ მისი სტილისტური ეკვივალენტურობის საკითხზე მსჯელობისათვის აუცილებელი პირობაა ორიგინალის ავტორის ინდივიდუალური სამწერლო სტილის ნიშანთვისებათა წარმოჩენა და ყოველი ენობრივი ფორმისათვის თუ მხატვრული დეტალისათვის ადგილის მიჩენა ნაწარმოების მხატვრულ მთლიანობაში. სწორედ ამ თვალსაზრისითაა გაანალიზებული თარგმანის ნიმუშები ჩვენი ნაშრომის ბოლო განაკვეთში. ამჯერად კი სიტყვას გაავარძელებთ მთარგმნელის სუბიექტური

* ამ თვალსაზრისით, ბოლო დროს გამოქვეყნებული წერილებიდან თარგმანის პრაქტიკოლოგიის საკითხებზე განსაკუთრებით გვინდა გამოვყოთ თ. კობახიძის კრიტიკული წერილი თ. ელიოტის „ნაყოფი მიწის“ ო. ჩხეიძისეული თარგმანის თაობაზე (35), რომლის უმთავრეს ნაკლად წერილის ავტორი სწორედ მთარგმნელობითი სტრატეგიის არასწორ არჩევანს მიიჩნევს. მისი აზრით, თარგმანის არქაული სტილიზაცია და გადაჭარბებული მაღალფარდოვნება, ანუ მთარგმნელის მიერ უარის თქმა ელიოტის ესთეტიკური იდეალის გაზიარებაზე, რადიკალურად ცვლის ნაწარმოების ტონალობას და სტილისტურ იერსახეს, რამდენადაც ოციანი წლების მოდერნისტული ლიტერატურა, რომელსაც მიეკუთვნება ელიოტის შემოქმედებაც, ძირფესვიანად უარყოფს რომანტიკულ იდეალებს. ხოლო თარგმანი, რომელიც გვიქმნის სრულიად განსხვავებულ წარმოდგენას ორიგინალის ავტორის ლიტერატურულ კრეატივზე, ბუნებრივია, რომ მთარგმნელობით გამარჯვებად ვერ ჩაითვლება.

ფაქტორის გამოვლინების ისეთ შემთხვევებზე, რომლებშიც თავს იჩენს მისი რეცეპტორული შესაძლებლობები და რეპროდუცირების მისმიერი უნარი.

* * *

კომუნიკაციის აქტის განხორციელება, როგორც ნათქვამი იყო ადრე, უშუალოდაა დამოკიდებული ორ ძირითად პირობაზე. ესენია: კომუნიკანტთა ენობრივი კომპეტენიცია (ანუ კომუნიკაციაში აქტივობის უნარი) და კომუნიკანტთა თეზაურუსის ფარდობითი ტოლფასოვნება. ეს უკანასკნელი, ნებისმიერი კომუნიკაციის აქტში, გულისხმობს კომუნიკანტის ერუდიციას, მის წარმოდგენას გარე სამყაროს მოვლენებზე, მის დამოკიდებულებას ამ მოვლენებთან, ანუ საგნობრივი სიტუაციის ცოდნას, იმპლიკაციათა ამოცნობის მისმიერ უნარს და ა.შ. როგორც ერთი, ასევე მეორე პირობა ხელს უწყობს კომუნიკაციის აქტის სრულყოფილებას. ხოლო როცა კომუნიკანტი არ აკმაყოფილებს რომელიმე პირობას, ეს აუცილებლად წარმოქმნის გარკვეულ დაბრკოლებებს კომუნიკაციის არხში, ანუ ტექსტში. ეს გარემოება იწვევს კომუნიკანტის ცნობიერებაში ალბათურ პრესუპოზიციასთა გადარჩევის საჭიროებას, რომელთაგან ერთერთი შესაძლოა, სწორი აღმოჩნდეს და კომუნიკაციის აქტიც სათანადოდ განხორციელდეს. ცოცხალ საუბარში გაუგებრობის ნეიტრალიზაციის პერსპექტივა, რა თქმა უნდა, მეტია (ჩაკითხვისა და დაზუსტების გზით), მაგრამ კომუნიკაციის წერით სახეობაში, როცა უკუკავშირი გაწყვეტილია, ასეთი შესაძლებლობა არ არსებობს. ამდენად, ინფორმაციის წერილობითი გადაცემის ფორმა უფრო მეტად შეიცავს კომუნიკანტის მხრივ აზრის არაზუსტი ამოცნობის საფრთხეს.

ზემოთ თქმული იყო ისიც, რომ ის ორი პირობა, რომელზედაც დამოკიდებულია კომუნიკაციის სრულყოფილება, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ენათშორისი კომუნიკაციისას, რამდენადაც თარგმანი, ენათშორისი კომუნიკაციის გარდა, კულტურათშორისი კომუნიკაციაა, რომლის მონაწილენი განეკუთვნებიან განსხვავებულ ეთნოკულტურულ კოლექტივებს, აქვთ განსხვავებული სოციალურ-კულტურული გამოცდილება და განსხვავებული ეთნოფსიქოლოგიური მონაცემები. ეს ყოველივე ასახულია მათ ზოგად თეზაურუსში. მთარგმნელიც ისევე, როგორც თარგმანის

ადრესატი, განეკუთვნება ამ განსხვავებულ ეთნოკულტურულ კოლექტივს. აქედან გამომდინარე, მისი, როგორც პირველადი შეტყობინების რეცეპტორის მცდარი ინტერპრეტაცია, ასახული თარგმანის ტექსტში, ბუნებრივია, იწვევს მეორადი კომუნიკაციის აქტში კომუნიკაციური ბარიერების წარმოქმნას.

ადრე გამოთქმულ დებულებათა გამეორება დაგვიჭირდა იმდენად, რამდენადაც მომდევნო პარაგრაფში საუბარი გვექნება ზემოხსენებული კომუნიკაციური ბარიერების წამოქმნის სწორედ იმ მიზეზებზე, რომლებიც უშუალოდ უკავშირდება მთარგმნელის კომუნიკაციური კომპეტენციის არასრულყოფილებას.

§2. მთარგმნელის კომუნიკაციური კომპეტენციის როლი თარგმანის ტექსტის კონსტრუირებაში

ენათშორისი ორეტაპოვანი კომუნიკაციის პირველ ფაზაში მთარგმნელი პირველადი შეტყობინების რეცეპტორია – ($P_1-T_1-R_1$); მეორე ფაზაში კი – მეორადი შეტყობინების პროდუცენტი – ($P_2-T_2-R_2$). ამდენად, თარგმნის პროცესში იგი ორი ფუნქციით მონაწილეობს – R_1/P_2 მთარგმნელი ისევე უნდა აკმაყოფილებდეს კომუნიკაციის აქტის ზემოაღნიშნულ პირობებს, როგორც ნებისმიერი კომუნიკაციის ადრესატი და, ამავე დროს, მეორე ფაზაში, მისი ფუნქციიდან გამომდინარე, როცა იგი ტექსტის ხელახალ კოდიფიცირებას ახდენს, მას ისევე უნდა ჰყავდეს გათვალისწინებული თავისი ადრესატი, როგორც ნებისმიერი კომუნიკაციის სუბიექტს.

თარგმანის ტექსტი ისეთი ენობრივი წარმონაქმნია, რომელშიც ერთდროულად აირეკლება მთარგმნელის რეცეპტორული შესაძლებლობებიც და პროდუცირების მისმიერი უნარიც.

პირველ ფაზაში, როცა მიმდინარეობს კომუნიკაციის აქტი საწყისი შეტყობინების პროდუცენტსა და მთარგმნელ-რეცეპტორს შორის, თავს იჩენს მთარგმნელის რეცეპტორული შესაძლებლობანი, რაც იმას ნიშნავს, რომ ეს ფაზა მთარგმნელი-ბილინგვას ენობრივი კომპეტენციისა და მისი ერუდიციის საცდელი ეტაპია. მეორე ფაზა კი, როცა მთარგმნელი-პროდუცენტი ამყარებს კომუნიკაციას თარგმანის ადრესატთან, ის ეტაპია, რომელიც წარმოაჩენს რეპროდუცირების მისმიერ უნარს, რაც, თავის მხრივ, განაპირობებს საბოლოო რეზულტატის – თარგმანის ტექსტის კომუნიკაციური ეფექტისათვის შექმნილ წინაპირობას.

პრაქტიკოს მთარგმნელთა აზრით (138, 139), თუ თარგმანი სრულდება უცხოური ენიდან მშობლიურზე, მთარგმნელის წინაშე გაცილებით მეტია საწყისი ტექსტის დეკოდირებასა და ანალიზთან დაკავშირებული სიძნელეები, ვიდრე ისეთი სიძნელეები, რომლებიც დაკავშირებულია შეტყობინების ხელახალ კოდიფიცირებასთან მშობლიური ენის ნიშნებში. შესაძლოა, ეს ინდივიდუალური გრძნობაც იყოს, მაგრამ ისიც უტყუარი ფაქტია, რომ ამისი შედეგი, ორიგინალისა და თარგმანის პარალელური კითხვისას, ხშირად დასტურდება ცალკეულ უზუსტობათა და სერიოზულ შეცდომათა სახით. ეს გარემოება საეხებით ბუნებრივია, რადგან, როგორც ზემოთ ითქვა, მთარგმნელი მეტწილად არ არის იმ ენობრივი კოლექტივის წევრი, ვისთვისაც იქმნებოდა ორიგინალი. ამდენად, წყარო ენაც და გარეენობრივი ფონიც, ენობრივი კომპეტენციის იდეალურ ვარიანტშიც კი, მისთვის მაინც უცხო ენობრივი და უცხო გარეენობრივი სამყაროა. ბერტრან რასელს ერთ დროს უთქვამს, რომ შეუძლებელია გაიგო, თუ რას ნიშნავს სიტყვა „ყველი“, თუ არა გაქვს ამ ყველთან არალინგვისტური ნაცნობობაო. ფაქტია, რომ მეორე ენობრივი კოლექტივის ეთნოკულტურული რეალობა მრავალ ისეთ რეალიას შეიცავს, რომელთანაც მთარგმნელს, თუ იგი ამ კოლექტივის წევრი არ არის, მართლაც არა აქვს „არალინგვისტური ნაცნობობა“.

თარგმანის პროცესის პირველი ფაზა ორიგინალის პროფესიული თვალთ წაკითხვის ფაზაა. კითხვის ფსიქოლოგიის თეორეტიკოსის, ვ. ასმუსის აზრით, კითხვა შემოქმედებითი საქმიანობაა, რომელიც მკითხველისაგან მაქსიმალურ აქტიურობას მოითხოვს (140). თუ ეს ეხება ჩვეულებრივ მკითხველს, მით უფრო მოეთხოვება ეს მთარგმნელს, რომელიც ეცნობა ტექსტს ერთგვარი წინასწარი შემართებით მისი ამეტიყველებისათვის მეორე ენაზე.

უნდა ითქვას ისიც, რომ, საზოგადოდ, კომუნიკაციის სუბიექტისა და მისი ადრესატის კოდთა იდენტურობა მხოლოდ ფარდობითია და კომუნიკაციის აქტში, განურჩევლად იმისა, შინაენობრივია ის თუ ენათშორისი, ენობრივი ნიშნებით კოდიფიცირებული შეტყობინების ინვარიანტულობაც პოტენციური სიდიდეა, რაც განსხვავებული ინდივიდების მიერ განსხვავებული დეკოდირების ალბათობას შეიცავს. საქმე არა მარტო ენობრივ ნიშნებთან ინდივიდთა განსხვავებულ დამოკიდებულებაშია, კომუნიკაციის სრულყოფილი

რეალიზების ალბათობა ბევრადაა დამოკიდებული ენობრივ კოლექტივთა გარე სამყაროსთან არაერთგვაროვან დამოკიდებულებაზე, გარე სამყაროს მოვლენათა მათ მიერ შეფასების განსხვავებულ ხასიათზე. აქედან გამომდინარე, ერთმა და იმავე შეტყობინებამ შესაძლოა არაერთგვაროვანი ზეგავლენა მოახდინოს სხვადასხვა კატეგორიის ადრესატზე ისევე, როგორც ერთისა და იმავე აზრის შემცველი შეტყობინება, როგორც ინდივიდუალური წარმონაქმნი, როგორც „აზრთა ენობრივი ექსპლიკატების ინდივიდუალური სისტემის რეზულტატი“, როგორადაც ტექსტს მიიჩნევენ ფსიქოლინგვისტიკაში (141), შესაძლოა განსხვავებულ კოდებში იქნეს განსხეულებული სხვადასხვა ინდივიდის მიერ. საწყისი შეტყობინების კოდთა აბსოლუტური თანხვედრა ადრესატის კოდებთან თითქმის გამორიცხულია, ამას ეწინააღმდეგება ენის ბუნება, მისი სისტემის მოქნილობა და ენის ნიშანთა ვარიაციის დიდი უნარი.

„ფიზიოლოგიურად ადამიანის ტვინი ერთნაირადაა მოწყობილი, — წერს ი. ფხაკაძე, მიუხედავად ამისა არა მარტო დიდი ენობრივი კოლექტივები, არამედ კონკრეტული ინდივიდებიც კი განსხვავებულად აღიქვამენ გარემომცველ სამყაროს და ენობრივი აპარატის საერთოების შემთხვევაშიც კი, სხვადასხვანაირად, ინდივიდუალურად იყენებენ მას, რაშიც ჩანს მათი ინდივიდუალური დამოკიდებულება რეალობასთან. მაგრამ ამის მიუხედავად ისინი მაინც უკებენ ერთმანეთს და ამყარებენ კონტაქტს“ (142-43).

დეკოდირების აბსოლუტური სიზუსტე და, ამდენად, კომუნიკაციური ეფექტის აბსოლუტური ანალოგიურობა უფრო ნაკლებ მოსალოდნელია ენათშორისი კომუნიკაციის აქტში, როცა განსხვავებულია არა მარტო შეპირისპირებულ ენათა სტანდარტიზებული, კონვენციონალური ენობრივი ფორმები, არამედ კომუნიკანტთა ინდივიდუალური სისტემებიც. ასევე განსახვავებულია გარეენობრივი ფონიც და მასთან ენობრივ კოლექტივთა დამოკიდებულებაც. მაგრამ, მიუხედავად ზემოთქმულისა, *კომუნიკაციის აქტი მაინც განხორციელებადია, რადგან ნებისმიერი კოდებით გამოხატულ შეტყობინებაში ინვარიანტი მაინც ექვემდებარება შეცნობას ისევე, როგორც განსხვავებულ ენობრივ კოლექტივთა გარე სამყაროსთან ურთიერთობაშიც არსებობს ინვარიანტული მონაცემები.* ეს კი იმისი დასტურია, რომ კომუნიკაციის შესაძლებლობა პირობადებულია ინდივიდუალურ-საზოგადოებრივი შემეცნების არსებობით.

საწყისი შეტყობინების ტექსტში რომელიმე არატრანსპარანტული სეგმენტის დეკოდირებისას, როცა იგი არ იშიფრება ცალსახად და განსხვავებული ინტერპრეტაციის შესაძლებლობას შეიცავს, მთარგმნელი რეცეპტორი მიმართავს პრესუპოზიციას და იმპლიკაციათა სავარაუდო გადარჩევას. მაგრამ იმპლიკაციის მისმიერი ვერსია შესაძლოა მცდარი აღმოჩნდეს, თუ მთარგმნელი სათანადოდ არ ფლობს საგნობრივ სიტუაციას, თუ ნაკლებადაა გათვითცნობიერებული იმ ფაქტსა თუ მოვლენის არსში, რაც შეტყობინების ასახვის საგანს შეადგენს. ამაზე ამახვილებდა ყურადღებას ჯერ კიდევ ნ. ნიკოლაძე, როცა წერდა: „თარგმანის ღირსება იმაში მდგომარეობს, რომ რაც შეიძლება უფრო ახლოს და სწორად გადმოსცეს მწერლის აზრი და ამისათვის აუცილებლად საჭიროა მთარგმნელი იმოდენად მაინც გონებაგახსნილი და დამზადებული იყოს, რომ იმ აზრის გამოკვლევა და გაგება შეეძლოს; ამას ვილა დაეძებს, რომ მთარგმნელი მარტო ისეთი თხზულების გადმოთარგმნას ჰკისრულობდეს, რომ შინაარსი, დედააზრი და გარეგანი ფორმა მის ხასიათს და ტვინის მიმართულებას ეთანხმებოდეს ისე, რომ იმის თარგმნის დროს იგივე გრძნობა და იგივე მიმართულება გაუჯდეს ტვინში, რომელიც მწერალს ამოქმედებდა“.*

თარგმანთა ანალიზისას გამოვლენილ უზუსტობებს და, უფრო მეტიც, მთარგმნელობით კურიოზებს უმეტეს შემთხვევაში სწორედ გარეენობრივი ფონის ცოდნის დეფიციტი და მთარგმნელის მცდარად აგებული პრესუპოზიცია უდევს ხოლმე საფუძველად.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს მიზანს არ შეადგენს თარგმანში გამოვლენილ კურიოზულ შეცდომათა ძიება და ცალკეულ მთარგმნელთა კომპეტენციის კრიტიკული შეფასება, ზემოთ მოყვანილი მსჯელობის საილუსტრაციოდ საჭიროდ ვცნობთ რამდენიმე მაგალითის განხილვას.

პუბლიუს ოვიდიუს ნაზონის (ძვ. წელთაღრიცხვის I საუკუნე) „მეტამორფოზების“ ქართულ თარგმანში ვკითხულობთ ასეთ სტრიქონებს:

„გახურებული ჭრილობიდან რომ იძრო რკინა,

მიწას გულადმა დაენარცხა, იფეთქა სისხლმა,

ვითარცა მილი ნატყვიარი ოდეს გასკდება,

* ციტირებულია ქ. ბურჯანაძის წიგნიდან (17-127).

წერილი ხერელიდან მოსისინებს თქრიალით წყალი,
მჩქეფარე სითხე, ბიძგი მისი ჰაერს ასკდება.“*

დედანი ვკითხულობთ:

“... crou emicat alte,
non aliter, quam cum vitiato fistula plumbo
scinditur et tenui stridante foramine longas
cidculatur aquas atque ictibus aera rumpit”

ცხადია, რომ ორიგინალში ნახმარ შედარებაში ასოციაცია დამყარებულია არა „ნატყვიარ მილთან“ არამედ, „ტყვიის მილთან“ და „ტყვია“ ამ შემთხვევაში მეტალის სახეობაა, რომელსაც ძველ რომში იყენებდნენ წყალგაყვანილობის სისტემაში. „ნატყვიარი მილი“ კი აშკარად მცდარი ინტერპრეტაციის შედეგად გაჩნდა ტექსტში, რადგან ტყვიისა და საერთოდ ცეცხლსასროლი იარაღის გაჩენის ხანას „მეტამორფოზების“ შექმნის დროიდან მთელი თხუთმეტი საუკუნე ამორებს.

კულტურათა ისტორიული დისტანციის გაუთვალისწინებლობის ანალოგიურ შემთხვევასთან გვაქვს საქმე ერთ-ერთი მეცნიერული გამოკვლევის იმ განაკვეთში, რომელშიც საუბარია სხვადასხვა მკვლევართა მიერ გამოთქმულ მოსაზრებებზე ტიხრულ მინანქრებში ტიხართა ფიქსირების ტექნიკის შესახებ:

„Кондаков считал, что фиксирование перегородок
осуществлялось тестом, Молинье называл резину,
Рыбаков - воск или вишневый клей“**

როგორც ჩანს, ლაპარაკია რაიმე წებოვანი ნივთიერების გამოყენებაზე. დასახელებულ ავტორთა გვარები მოწმობს, რომ ტიხართა თითქოსდა „რეზინით“ ფიქსირების იდეა მოდის ფრანგი ავტორის წყაროდან (Молинье), რაც გვაფიქრებინებს, რომ შეცდომა დაშვებულია ფრანგული წყაროს თარგმანში. ფრანგულში “résine” ნიშნავს „смола“-ს (ფისს) და არა „резина“-ს – კაუჩუკის ტექნი-

* კუბლიუს ოვიდიუს ნაზონი, „მეტამორფოზები“, თსუ გამომცემლობა, თბ., 1980, გვ. 110.

** Хускивадзе Д. З., Грузинские эмали. „Мещниереба“, Тб., 1980, стр. 17.

კური დამუშავების შედეგად მიღებულ მასას, რაც მე-19 საუკუნე-
მდე არ იყო ცნობილი. მინანქრები კი, რომლებზედაც ლაპარაკია
ამ მეცნიერულ გამოკვლევაში, X-XI საუკუნეებითა დათარიღებუ-
ლი. მოყვანილი შემთხვევა, რაც ლექსიკოგრაფიაში „ფსევდონტი-
ერნაციონალური“ ლექსიკის სტატუსითაა ცნობილი, გამონაკლისი
არ არის. საერთოდ, ასეთ ჰეტერონიმულ ერთეულთა მცდარი ინ-
ტერპრეტაციის ალბათობა ძალზე დიდია თარგმანის პრაქტიკაში
და გამოწვეულია სიტყვათა ფორმალური მსგავსებით; მთარგმნე-
ლი, ვისთვისაც ცნობილია სიტყვის გრაფიკული და ფონეტიკური
ფორმა, თარგმნის მას ისეთი მნიშვნელობით, რომელიც სიტყვას
მიეწერება მის მშობლიურ ენაში.

მთარგმნელის სათანადო კომპენტენცია, მისი ზოგადი განათლების
დონე, როგორც პირველ, ასევე მეორე შემთხვევაში, დააზღვევდა
მას ასეთი შეცდომისაგან.

ფსევდონტიერნაციონალური ლექსიკური ერთეულის ასეთივე
მცდარი ინტერპრეტაციითაა გამოწვეული ქვემოთ მოყვანილი ნაწ-
ყვების უზუსტობაც:

“Although Maycomb was ignored during the War Between the States’,
Reconstruction Rule and economic ruin forced the town to grow”
(10-133).

„მართალია, შტატებს შორის გაჩაღებულ ომში მეიკომს
(ქალაქის სახელია – ნ. ს.) მონაწილეობა არ მიუღია,
რეკონსტრუქციის კანონისა და ეკონომიური კრიზისის
ზემოქმედებით მან მაინც განიცადა გარკვეული ცვლილება“
(24-126).

სემენტმა “Reconstruction Rule”, კონტექსტისაგან იზოლირებულმა,
შესაძლოა გვაფიქრებინოს, რომ ასეთი რეკონსტრუქციის კანონი
მართლაც არსებობდა. ეს ერთეული სწორედ ასეა გააზრებული
ქართულ თარგმანში. რუსულ თარგმანში კვითხულობთ:

„Но закон о восстановлении Юга и крах экономики
все же заставили город расти“

რუსი მთარგმნელის მიერ დამატებული სიტყვა „Юга“ უფრო

მეტად აკავშირებს რეკონსტრუქციის კანონს “შტატთან” და არა ქალაქთან, მაშინ როცა ქართული თარგმნით ვარიანტი უფრო მცდარ ალბათობაზეა აგებული და შთაბეჭდილება იქმნება, რომ ეს რაღაცა კანონი ქალაქის რეკონსტრუქციას უკავშირდება და არა შტატებისას. საქმე ის არის, რომ ასომთავრულით წარმოდგენილი ეს შესიტყვება სხვას არაფერს ნიშნავს გარდა იმ პერიოდს ამერიკის ისტორიაში, როცა მოხდა სამხრეთისა და ჩრდილოეთის შტატების გაერთიანება. ამერიკის ისტორის უკეთესი ცოდნა, უდავოდ, მისცემდა მთარგმნელებს გასაღებს ამ იმპლიკატურის სწორი ინტერპრეტაციისათვის.

მთარგმნელის არასათანადო ერუდიციამ წარმოქმნა ასევე შემდეგი ლაფსუსი ადრე ნახსენებ „მეტამორფოზების“ ქართულ თარგმანში:

„ადამის სახეს ვითარ იღებს დედის საშოში

ჩვილი და მუნვე თავის ასოთ შეკრებას იწყებს,

მხოლოდ სრულქმნილი იგი მზისა ნათულს იხილავს“.

დედანში ლაპარაკია არა „ადამზე“ არამედ „ადამიანზე“.

“Utque hominis speciem materna sumit in alvo

perque suos intus numerus componitur infans

nec nisi maturus communes exit in auras.”

თუ გავითვალისწინებთ „მეტამორფოზების“ შექმნის თარიღს და იმ გარემოებას, რომ ოვიდიუსი ამ თხზულებაში მარტოოდენ მითოლოგიური მასალით სარგებლობს (ქაოსის გარდასახვა ჰარმონიულ სიმწყობრედ, გიგანტთა აჯანყება სამყაროს გამგებლის, იუპიტერის წინააღმდეგ, მისი სისხლისაგან ბიწიერი ადამიანების წარმოშობა და ა. შ.) და არსად არ დასტურდება ბიბლიური აღუზია, ძალზე საეჭვოა, რომ „ადამის“ შემოტანა „ადამიანის“ ნაცვლად, რაც ლექსის საზომისათვის დასჭირდა მთარგმნელს, იყოს გამართლებული ისევ და ისევ კულტურული დროის აცდენის გამო.

მთარგმნელის არაკომპეტენტურობას, მცენარეული სამყაროს საკითხებში მისი ცოდნის დეფიციტს მოწმობს შარლოტა ბრონტეს „ჯეინ ეარის“ თარგმანის შემდეგი ნაწყვეტი: „ბაღში სველი ფორთოხლის ხეების ქვეშ დავეხეტებოდი, ქარიშხლისა და წვი-

მისგან წაღეკილ ბროწეულებისა და ანანასის ხეებს შორის“. ერთი რომ, ანანასი ხეზე არ იზრდება და მეორეც ის, რომ აღწერილი მოქმედების ადგილი, მთარგმნელს თუ დაუუჯერებთ, „ვესტინდიაა“ და არა „ვესტინდოეთი“. გეოგრაფიული სახელწოდების რუსული ვარიანტი, ისევე როგორც „ანანასის ხეები“ უთუოდ რუსული თარგმანის გავლენას მიეწერება („ВестИндия“, „ананасовые деревья“).

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ ევროპული ლიტერატურის ქართულ თარგმანებში, განსაკუთრებით კი ადრეულ ნიმუშებში, ხშირად ვხვდავთ შუალედრი, რუსული თარგმანის გამოყენების კვალს. მიუხედავად იმისა, რომ თარგმანს აწერია თითქოს იგი უშუალოდ ორიგინალიდან იყოს თარგმნილი. როგორც წერს ზ. ჭუმბურიძე, „ჭირი თავს არ მალავს და ამკარად ჩანს, რომ შეცდომათა სათავე შუალედური თარგმანია“. (143-129) უკეთეს შემთხვევაში რუსული თარგმანი შეიძლება მხოლოდ დამხმარე წყაროდ იყოს გამოყენებული ორიგინალის აზრის დეკოდირების ფაზაში, მაგრამ ასეა თუ ისე, ეს თარგმანის საზიანოდ მთავრდება. ვნახოთ რუსული თარგმანის გავლენის კიდევ ერთი მაგალითი:

“And thus sitting, a watch in his hand, fat, golden, like a globe of butter, he thought of nothing”. (1-64)

„Так он сидел с часами в руках – толстый, лоснящийся как расплющенный шар золотистого масла и ни о чем не думал“ (832-379)

„ასე იჯდა იგი საათით ხელში, ნაპატიები, ოქროსფრადმზინაეი, თითქოს კარაქის შ ა რ ი გაუბრტყელებიათო და არაფერზე არ ფიქრობდა“ (15-44).

„შარი“ ქართულ ენაზე მარტოოდენ ქიზიყურ ვარიანტში გვხვდება და ნიშნავს ვაზის ჩასაყრელად გავლებულ თხრილს.* ამდენად, „კარაქის შარს“ უთუოდ ქართული „კარაქის გუნდა“ აჯობებდა. ამ შეცდომის სათავეც ან შუალედური თარგმანია ან მექანიკურადაა ნახმარი ქართულ სასუბრო ენაში გავრცელებული ბარბარიზმი.

* ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა. გამოცე. „განათლება“. თბ., 1984.

ვიმეორებთ, რომ ზემოთ განხილული თარგმნითი ვარიანტები და-გვეჭირდა მთარგმნელის რეცეპტორული უნარის, მისი თუზაურუსის სიმწირის გამოსავლენად ორიგინალის იმპლიკატურის ამოკითხვის პროცესში, რისი შედეგიც არაზუსტი ან უკიდურესად მცდარი ინფორმაციის სახით გადაეცა თარგმანის ადრესატს. ეს გარემოება, საზოგადოდ, ამკარავდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა თარგმანის ადრესატის თუზაურუსი და ერუდიცია სჭარბობს მთარგმნელისას. ამის საფუძველზე თარგმანის მკითხველს (ან მსმენელს) უჩნდება ისეთი განცდა, რომ ან თარგმანის ტექსტი შეიცავს გაყალბებულ ინფორმაციას, ან ორიგინალის ავტორის ცოდვას ის, რისი სისწორეც მას ეეჭვება. მოყვანილ თარგმნით ვარიანტებში მთარგმნელის ერუდიცია არასაკმარისი აღმოჩნდა **კ უ ლ ტ უ რ უ ლ დ რ ო თ ა გ ა ნ ს ხ ვ ა ვ ე ბ ი ს შ ე ს ა ც ნ ო ბ ა დ.**

თარგმანის ტექსტი შეიცავს ასევე მთარგმნელის სუბიექტური ფაქტორის გამოვლინების სხვა კატეგორიის შემთხვევებსაც, კერძოდ, პირველადი შეტყობინების ინტენციის **რ ე პ რ ო დ უ ც ი რ ე ბ ი ს დ ა ბ ა ლ ი უ ნ ა რ ი ს მ ა რ კ ე რ ე ბ ს.**

თუ ზემოთ განხილული ვარიანტები იმისი მაჩვენებელი იყო, რომ კომუნიკაცია ვერ შედგა ორეტაპოვანი კომუნიკაციური აქტის პირველ რგოლში (საწყისი შეტყობინების სუბიექტსა და მთარგმნელ-რეცეპტორს შორის), ამჯერად მხედველბაში გვაქვს კომუნიკანტთა მეორე წყვილის კომუნიკაცია, (მთარგმნელ პროდუცენტსა და მის ადრესატს შორის), რაც ორეტაპოვანი პროცესის მეორე ფაზაში უნდა განხორციელდეს. ამ ფაზაში გამოცდას გადის მთარგმნელი-პროდუცენტის რეპროდუცირების უნარი. იმ შემთხვევაში, როცა კომუნიკაციის ადრესატის ფაქტორი არ არის გათვალისწინებული და საწყისი შეტყობინება არ განიცდის სათანადო პრაგმატულ ტრანსფორმაციას, თარგმანის რეცეპტორი პირისპირ რჩება მისთვის უცხო, ამოუხსნელი ენიგმების წინაშე და შუამავლის გარეშე (შუამავლად კი უნდა გამოდიოდეს მთარგმნელი), მიღებული შეტყობინების იმპლიკატურის მისმიერი დეკოდირება პოტენციაში უკვე მცდარია და კომუნიკაციის ეფექტი ამჯერადაც არასრულფასოვანი იქნება.

საზოგადოდ იდეალურ შემთხვევაში, მთარგმნელი, როგორც საწყისი შეტყობინების მიმღები, ტექსტის დეკოდირებას ახდენს არა მარტო ფაქტობრივი ინფორმაციის შეტყობის ან ესთეტიკური სიამოვნების განსაცდელად, არამედ, ჩვეულებრივი მკითხველისა-

გან განსხვავებით, მეორადი კომუნიკაციისათვის პრაგმატული მზადებით, ანუ, თუ გამოვიყენებთ ფსიქოლინგვისტიკის ტერმინს, — სამეცნიერო კმედების წინასწარი პროგრამირებით. მისი დამოკიდებულება მიღებულ შეტყობინებასთან მუდამ შემფასებლურია და, შეიძლება ითქვას, — ტენდენციურიც.

საწყის ტექსტთან შეხებისთანავე მთარგმნელი ცდილობს მოეზომოს მას, დასახოს მისი მეორე ენაზე ტრანსპონირების საჭიროებაც, შესაძლებლობაც და სამუშაო მეთოდიც. რაც მთავარია, იგი გზადაგზა აფიქსირებს თარგმანის ადრესატის ენობრივი თუ გარეენობრივი გამოცდილებისათვის უცხო და ამდენად ტრანსპონირებისათვის რთულ ფრაგმენტებს. ამაში ჩანს მისი პრაგმატული ორიენტაცია პოტენციური ადრესატის კრებით მოდელზე. ეს გარემოება, რასაც შეიძლება ეწოდოს თარგმანისწინა სტადია, როგორც მიუთითებენ ზეპირი თარგმანის პროცესზე დამკვირვებლები (138, 139), აშკარად ჩანს თარჯიმანთა სწრაფ, ფრაგმენტულ ჩანაწერებშიც კი, საწყისი შეტყობინების მოსმენის პროცესში რომ კეთდება. თუ ჩანაწერი გაკეთებულია თარგმანის ენაზე, მასში დროდადრო შეუძლებელია არ დაფიქსირდეს რომელიმე ერთეული ან მთელი სემანტი ორიგინალის ენაზე. ეს ის ენობრივი ფორმებია, რომლებიც იმწამიერ, დაუყოვნებლივ თარგმანს ადვილად არ ექვემდებარება და შემდგომ გააზრებას მოითხოვს. ეს ერთეულები, ე. წ. „ავტომატიზებული ლექსიკის“ სფეროს არ განეკუთვნება და მათი წინასწარი განამზადიც, თუ ასეთი გამოერია ჩანაწერში, ხშირად სხვა ვარიანტში გამოვლინდება ხოლმე თარგმანის გახშიერებისას, თვითკორექციის სათანადო ფაზის გავლის შემდგომ, რაც პირობადებულია არა მარტო აზრის ექსტერიორიზაციის უფრო ეფექტური ფორმის შერჩევით, არამედ ადრესატზე ორიენტაციითაც.

თარგმანის შესრულების წერით ვარიანტში, რა თქმა უნდა, თვითკორექციისათვის მეტი შესაძლებლობაა, მაგრამ ეს ლატენტური პროცესია და გარედან დაკვირვებისათვის ნაკლებ ხელმისაწვდომი, თუ ვარიანტთა გადარჩევის ტექნიკა არ შემორჩა მთარგმნელის ე. წ. „შავი ნაწერის“ სახით.*

* სათანადო ენობრივ ფორმათა ძიების პროცესზე დაკვირვებისათვის ძალზე საინტერესოა ი. მაჩაბლის პირად არქივში შემონახული შექსპირის ტრაგედიათა ორიგინალი, რომლის კვლებზე მთარგმნელის ხელით მრავლადაა მიწერილი განსხვავებული თარგმნით ვარიანტები, რაც საუკეთესო მაგალითია მთარგმნელობით პრაქტიკაში „ცდისა და ცდობილებათა“ მეთოდის გარდუვლი მოქმედებისა.

სათანადო პრაგმატული ტრანსფორმაციის გარეშე ამოუხსნელ ამოცანად რჩება თარგმანის მკითხველისათვის ქვემოთ მოყვანილი რეალიის კალკირებული ვარიანტი თარგმანის ტექსტში:

“For dessert you got *Brown Betty*, which nobody ate ...

May be guys like Akley that ate everything” (7-59).

„დესერტად ყ ა ვ ი ს ფ ე რ ბ ე ტ ი ს მოაყოლებდნენ ხოლმე, რომელსაც პირს არავინ აკარებდა გარდა ეკლისთანა ვაუბატონებისა, ყველაფერს რომ თქვლევდნენ“ (21-57).

„ყავისფერი ბეტი“ ყმაწვილების მიერ შერქმეული სახელია ორცხობილაზე წასმული ხილფაფისათვის. მაგრამ თარგმანიდან ვიტყობთ მხოლოდ იმას, რომ იგი ძალზე უგემური საჭმელი უნდა იყოს, თუ პირს არავინ აკარებს. ასევე ძნელი გასაგებია თარგმანის მკითხველისათვის ქვემოთ მოყვანილი თარგმანის ერთ-ერთი ერთული:

“I went so far as to pay a nickle for the priviledge of rubbing my head against the head of Miss Rachel’s cook’s son, who was afflicted with a tremendous *ringworm*. It didn’t take” (10-79).

„ისე ღრმად შევტოპე, რომ მის რეიჩელის მზარეულის ვაჟი-შვილს, რომელსაც თავზე მ კ რ ე ჭ ე ლ ი ლ ი ქ ე ნ ი ჰქონდა მოდებული, ატენტიანი ვაჩუქე, ოღონდ კი ნება დაერთო თავზე თავი მეხახუნებინა. ამანაც არ გაჭრა“ (24-75).

საქმე ისაა, რომ გოგონას, რომელსაც სკოლაში სიარული ეზარება, სურს გადაედოს მზარეულის ვაჟისაგან ეს ავადმყოფობა. ვფიქრობთ, „მკრეჭელ ლიქენს“, რაც რუსული სახელწოდების პირდაპირი თარგმანია (*Стригуший лишай*), „ქეცი“ ან „სირსველი“ აჯობებდა, რამდენადაც ეს სახელწოდებები უფრო ადვილი შესაცნობი იქნებოდა ქართველი მკითხველისათვის.

ამერიკული ყოფითი რეალიების სპეციფიკაში გაუთვითცნობიერებელ ქართველ მკითხველს უთუოდ გააკვირვებს ამერიკელი მწერლის, ჰარპერ ლის ნაწარმოების „ნუ მოკლავ ჯაფარას“ ქართული თარგმანის ქვემოთ მოყვანილი ნაწყვეტი, რომელშიც

მოქმედება მიმდინარეობს დაწყებითი სკოლის გაკვეთილზე:

„მის კეროლიანმა აიღო წიგნი და წაგვიკითხა ზღაპარი კატებზე
... იმ დროისათვის, როცა ქალბატონმა კატამ ა ფ თ ი ა ქ-
შ ი შეიარა შოკოლადში ამოვლებული წრუწუნების სა-
ყილლად, პირველკლასელები აწრიალებულ ჭიალუებს უფრო
ჰგავდნენ, ვიდრე მოსწაელებს“ (24-19).

“Miss Caroline began the lesson by reading us a story about cats ...
By the time Mrs. Cat called the d r u g s t o r e for an order of
chocolate malted mice the class was wriggling like a basketful of cara-
wba worms” (10-21).

სხვა აზრობრივ უზუსტობათა გარდა (კი არ „შეიარა აფთიაქ-
ში“, არამედ ტელეფონით შეუკვეთა; „ჭიალუებს“ კი არა, სა-
ტყუარა ჭიაყელებს, რაიმე ჭურჭელში ჩაყრილი რომ ფუთფუთებენ
(a basketful of carawba worms); არც „ჭიალუს“ მრავლობითი ფორმაა
გამართლებული ამ კრებითი სახელისათვის), მთავარი მაინც ინ-
გლისური “drugstore”-ის სიტყვა „აფთიაქით“ თარგმნაა, რასაც ვერ
ეუწონებთ მთარგმნელს ამ შემთხვევაში. „აფთიაქი“ ქართველი მკითხ-
ველისათვის ყველაზე ნაკლებ სავარაუდო ადგილია შოკოლადის
საყიდლად. საქმე ის არის რომ, “drugstore” თანამედროვე ამერიკა-
ში ათასი წვრილმანით მოვაჭრე პატარა მაღაზიაა, სადაც წამლებთან
ერთად შეიძლება საოჯახო საქონლის შეძენაც და ტკბილეულისაც.
ასეთ მაღაზიებს სახელწოდება შემორჩათ ძველი დროიდან, როცა
იქ მხოლოდ სამკურნალო დანიშნულების საქონლით ვაჭრობდნენ.

ქართველმა მკითხველმა შესაძლოა არ იცოდეს ის, რომ ინგ-
ლისში პარასკევი ხელფასის დღეა, ამდენად, მისთვის შეიძლება
გაუგებარი აღმოჩნდეს ქვემოთ მოყვანილი ფრაგმენტის თარგმანი:

“It was Friday and soon they'd go out and get drunk” (3-27).

„პარასკევი იყო. მალე გავიდოდნენ კარში და კარგად
გამოთვრებოდნენ“ (17-32).

თუ თარგმანში არ იქნა დამატებული განმარტებითი შ ი ნ ა-
ტ ე ქ ს ტ ო ბ რ ი ვ ი კ ო მ ე ნ ტ ა რ ი (პარასკევი

იყო, ხელფასის დღე ...), მკითხველისათვის უთუოდ გაუგებარი დარჩება გამონათქვამის იმპლიკაცია, მაშინ, როცა ინგლისელი მკითხველისათვის ასეთი განმარტება საჭიროებას არ წარმოადგენს.

არამერიკელი მკითხველისათვის შესაძლოა გაუგებარი აღმოჩნდეს დიალოგის ასეთი ფრაგმენტიც:

“Where are you girls from?

Seattle, Washington” (7-89).

„ – თქვენ საიდან ხართ, გოგოებო?

– სიეტლიდან, ვაშინგტონიდან“ (21-115).

თუ თარგმანში სიტყვას „ვაშინგტონი“ არ დაემატა განმარტებითი კომენტარი (ვაშინგტონის შტატიდან), მკითხველმა, რომლისთვისაც უცნობია ამერიკელთა სამეცხველო სტერეოტიპი – ქალაქის სახელწოდებას უშუალოდ მოაყოლონ შტატის სახელწოდებაც “state“-ის გარეშე (Buffalo – New York; Spokane – Washington და ა. შ.), მით უფრო, თუ შტატის სახელწოდება ემთხვევა ყველასათვის კარგად ცნობილი ქალაქის სახელს, შესაძლოა ვერ გაიგოს, თუ რომელ გეოგრაფიულ ადგილზეა ლაპარაკი – ქალაქ სიეტლზე თუ ქალაქ ვაშინგტონზე, ბუფალოზე თუ ნიუ-იორკზე.

ენახოთ ეთნოტექნიკური რეალიის არასათანადო ტრანსპოზიციის მაგალითიც:

„მიხვდით, რომ დედოფალი ელისაბედის დროინდელ

ძეგლებთან მქონდა საქმე, რადგან სახლის კედლები მთლიანი

კოჭებისაგან იყო შეკრული და არსად მოხჩანდა სატყევე

ყავარზე ლურსმნით მიჭედებული ბათქაში“ (17-47).

“I recognized them as genuinely Elizabethan, the beams integral part

of the structure instead of laths nailed on plaster” (3-38).

ნაგებობათა აღწერა ქართულ თარგმანში („მთლიანი კოჭებისაგან შეკრული კედლები“), ჯერ ერთი, ასოციაციას იწვევს ძველი რუსული სტილის ხის ნაგებობებთან. ამასთან, „ყავარზე ლურსმნით მიჭედებული ბათქაშის“ დანიშნულება, გარდა იმისა, რომ ტექნიკურად გაუმართლებელიც ჩანს და განუხორციელებელიც,

ვიზუალურადაც განსხვავებულ წარმოდგენას ბადებს: თითქოსდა, კედლები სატკეჩე ყავრით იყოს ნაგები და ამ ყავარს გარედან ჰქონდეს მიჭედებული ბათქაში, თანაც ლურსმნით.

ვისაც საკუთარი თვალით არ უნახავს ინგლისური არქიტექტურის ეს ძველი ნაგებობანი, ასეთი აღწერა, ვფიქრობთ, ვერავითარ წარმოდგენას ვერ შეუქმნის მათზე. ერთი მხრივ, მთარგმნელს სიტყვისათვის „ელისაბედი“ დაურთავს სიტყვა „დელოფალი“, რაც მკითხველს მიანიშნებს ისტორიულ ხანაზე, მაგრამ ეს საქმეს ვერ შეეღობის, ნაგებობის აღწერა მისთვის რებუსად რჩება. საქმე ის არის, რომ ორიგინალში აღწერილი ნაგებობანი, როგორც ისტორიული რელიქვია, მრავლადაა შემორჩენილი დღევანდელ ინგლისში. „მთლიანი ხის კოჭებით“ მთელი კედელი კი არ არის ნაგები, არამედ მხოლოდ შენობის კარკასი და შელესილია მარტო კოჭებს შორის სხვა სამშენებლო მასალით ამოშენებული ნაწილები. ამის გამო კოჭები მუქ, ჩაშავებულ ზოდებად დაჰყვება კედლებს გარედან. ისტორიული არქიტექტურული სტილის იმიტაციის მიზნით, შემდგომში ქვითკირით ნაგებ და თეთრად შელესილ შენობებს გარე კედლებზე აჭედებდნენ მუქფრად შეღებილ თხელ ფიცრებს, რაც კოჭებით შეკრული კარკასის შთაბეჭდილებას ქმნიდა.

რეალიის თარგმანი განსაკუთრებულ სიფრთხილეს მოითხოვს მთარგმნელისაგან. თუ ამ რეალიას არა აქვს მინიჭებული საგანგებო მნიშვნელობა საწყის ტექსტში, გვარწმუნებს ა. კურელა (144-121), ჯობს იგი საერთოდ გამოტოვო, ვიდრე გამოიწვიო მკითხველის დეზორიენტაცია. ამასთან დაკავშირებით ა. კურელას მოჰყავს ერთი სახუმარო ამბავი იმის თაობაზე, თუ როგორ იკითხა უსინათლო კაცმა, თუ რას ნიშნავს სიტყვა „თეთრი“. თეთრი — უთხრეს მას, — გედის ფერიაო. გედი რაღააო — იკითხა მან. — გედი ფრინველია, რომელსაც მოლუნული ყელი აქვსო — განუმარტეს მას. რა არის მოლუნულიო, ვერ გაიგო უსინათლომ. მაშინ მან, ვინც განმარტებას აძლევდა, გაუშვირა თავისი მოლუნული ხელი და როცა უსინათლომ ხელის ცეცებით მოსინჯა იგი, განაცხადა — ახლა კი გავიგე „თეთრი“ რა ყოფილაო. ანალოგიური ეფექტი შეიძლება გამოიწვიოს ყოველგვარი რეალიის თარგმანმა, თუ მთარგმნელს ლალატობს უნარი საწყისი შეტყობინების რეპროდუცირებისათვის სხვა ენის მასალაში.

ინგლისური „pilot fish“ საერთო სახელია იმ პატარა თევზებისა, რომლებიც ეტმასნებიან დიდ თევზებს, ძირითადად — ზვიგენს.

ცურავენ მის მუცელქვეშ და ამ გზით თავსაც იცავენ სხვა მტაცებელი თევზებისაგან და თავიანთი მფარველის ნასუფრალითაც იკვებებიან. ეს ერთეული ხშირად გამოიყენება გადატანითი მნიშვნელობით და გულისხმობს ადამიანს, რომელიც, ქართულად რომ ითქმის – „ვიღაცის კული“ არისო, „გვერდიდან არ სცილდებაო“. მისი ქართული და რუსული სალექსიკონო შესატყვისია „თევზი ლოცმანი“. ინგლისურ დედანში, სადაც ეს ერთეული გადატანითი მნიშვნელობით იხმარება, ნათქვამია:

“Judge Taylor was on the bench, looking like a sleepy old shark, his pilot fish writing rapidly in front of him” (10-167).

„მოსამართლის სავარძელში მოსამართლე ტეილორი იჯდა, იგი ნამძინარე ყანჩას წააგავდა, მის ქვემოთ კი თ ე ვ ზ ი ლ ო ც მ ა ნ ი გაცხარებით წერდა რაღაცას“ (24-25).

მთარგმნელი რომ მიხვდა ამ ხერხის იმპლიკაციას, ეს ცხადია იქიდან, რომ მან „თევზი ლოცმანი“ მოსამართლის სავარძლის ქვემოთ მოათავსა, მაშინ როცა დედანში იგი წინ ზის (in front), მაგრამ თუ არ განმეორდა გავრცობილი შედარების ეფექტი, როცა მოსამართლე ჰგავს ბებერსა და ძილმორეულ ზვიგენს, და თუ ზვიგენი შეიცვალა თარგმანში „ნამძინარევი ყანჩით“, რაც, სხვათა შორის, არანაკლებ შთამბეჭდავ სახეს ქმნის, მაშინ „თევზი ლოცმანის“ სახელით მისი მდივნის მონათვლა გაუმართლებელია.

აღნიშნული ერთეულის იმპლიკაციის უკეთეს ამოკითხვას ვხვდებით მეორე მთარგმნელის ინტერპრეტაციაში:

“The possession of charm wasn't in itself a guarantee of success, but it seemed to follow ambition like a pilot fish” (3-29).

„მომხიბვლელობა, რა თქმა უნდა, წარმატების საწინდარი არ არის, მაგრამ პატივმოყვარეობას თან სდევს, როგორც ზვიგენს თ ე ვ ზ ი შ ა თ ი რ ი“ (17-36).

სიტყვა „ზვიგენის“ ჩამატებით მთარგმნელმა უფრო ტრანსპარანტული გახადა ორიგინალის შედარება, მაგრამ ახლა მეორე დამბრკოლება შეიქმნა „შათირის“ სახით, რაც არაბულიდან ნასესხები სიტყვაა და არც თუ ხმარებადი „შიკრიკთან“, „მზვერ-

ავთან“, ან თუნდაც „მსტოვართან“ შედარებით. და მიუხედავად იმისა, რომ თევზს ეს ფუნქცია არ მიეწერება, როგორც ზემოთ ითქვა, მაინც „მზვერავი თევზი“ შესაძლოა უკეთესი ვარიანტი გამოიმდგარიყო, რაკილა მთარგმნელს კატეგორიულად უარი უთქვამს „ლოცმანზე“ და ერთეულის „გაქართულება“ განუზრახავს.

იმავე ერთეულის შედარებით უფრო ტრანსპარანტულ ქართულ ვარიანტს მესამე მთარგმნელთან ვხვდებით ე. ჰემინგუეის „მოხუცი და ზღვას“ ქართულ თარგმანში – „ტ მ ა ს ნ ი ა თ ე ვ ზ ი“: „სანამ თევზი წრეს უვლიდა, მოხუცმა დაინახა მისი თვალები და ორი ნაცრისფერი ტმასნია თევზი ... ტმასნია თევზები ლაღად დაცურავდნენ დიდი თევზის ჩრდილში“. ამ ვარიანტში კი აშკარაა, რომ ამოცანა მარტივად და ეფექტურად შეიძლებოდა გადაწყვეტილიყო.

თარგმანში გამოვლენილი ზოგიერთი მცდარი პრესუპოზიციის მიზეზი ხშირად უკავშირდება თარგმანის მიმღები კულტურისა და სოციალური სინამდვილის გავლენას მთარგმნელის პრესუპოზიციებზე. მოვიყვანთ ორიოდ მაგალითს:

„ – რობერტ ლი იუველ! – გაისმა მღვინის მჭკქარე ხმა.

მაყურებლებს ყოყლოჩინა იერის ტანმორჩილი მამაკაცი გამოეყო.

გაფხორილი გაეშურა მოწმის ადგილისაკენ. თავისი სახელის

გაგონებაზე კისერი წამოუწითლდა და, როცა ს ა ზ ე ი მ ო

ფ ი ც ი ს მისაცემად პირი ჩვენსკენ იბრუნა, დაინახეთ,

რომ სახეც კისერივით აწითლებული ჰქონდა“ (24-29).

“Robert E Lee EWELL! In answer to the clerk’s booming voice a

Little bantam cock of a man rose and strutted to the stand the back of

his neck reddening of the sound of his name. When he turned

around to take the oath, we saw that his face was as red

as his neck” (10-172).

სასამართლოში, წესით, ბიბლიაზე იფიცებენ, რომ ილაპარაკებენ მხოლოდ სიმართლეს და ა. შ. ამ პროცედურისათვის „საზეიმო ფიცის“ მნიშვნელობის მიწერა, ვფიქრობთ, უადგილოა. ეს სტანდარტიზებული კოლოკაცია, რომლის ხშირი გამოყენება დამ-

ახასიათებელი იყო ჩვენი უახლოესი წარსულისათვის, – პიონერული და კომკავშირული ორგანიზაციების არსებობისა და, საერთოდ, ჩვენი ცხოვრების ადრეული წესისათვის, უთუოდ, მთარგმნელის მეხსიერებაში დაღეჭილი კლიშეა, რამაც უადგილოდ, მექანიკურად იჩინა თავი.

სიტყვა „სიგარეტი“ უკვე კარგა ხანია ტრანსლიტერაციის წესით გადმოვიდა ქართულ ენაში, მას მერე, რაც ჩვენშიც გავრცელდა მოსაწვეი საშუალების ეს სახეობა, რომელმაც განდევნა ხმარებიდან ე. წ. „პაპიროსი“. ინგლისურში პაპიროსის შესატყვისი განსხვავებული სიტყვა არც არსებობს, რამდენადაც იგი ინგლისურენოვან ქვეყნებში არც ყოფილა გავრცელებული. მას ინგლისურად “Russian cigarettes” (რუსულ სიგარეტს) უწოდებენ. ამდენად, სიტყვა “cigarettes”-ის შენაცვლება თარგმანში „პაპიროსით“ ინგლისური ან ამერიკული ყოფის ამსახველ ტექსტებში, ჩვენი აზრით, უმართებულოა. არადა უთუოდ იმ დროიდან გამოყოფილი ჩვევით, როცა ჩვენში მხოლოდ პაპიროსი იყო პოპულარული, თარგმანში სშირად გვხვდება ასეთი შემთხვევები:

“And especially he must stop smoking cigarettes. She would make a point of that” (2-167).

„პირველ ყოვლისა მარტინმა პ ა პ ი რ ო ს ს უნდა გაანებოს თავი“ (16-484).

“I lay on my bed and lit a cigarette. You were not allowed to smoke in the dorm” (7-62).

„დავწეო საწოლზე და პ ა პ ი რ ო ს ს მოვუკიდე. საერთო საცხოვრებელში მოწვეა აკრძალული იყო“ (21-67).

თარგმანცოდნეობაში ასეთი შემთხვევები კ უ ლ ტ უ რ ა თ ა კ რ ე ო ლ ი ზ ა ც ი ი ს სახელწოდებითაა ცნობილი. ანალოგიურ შემთხვევას განეკუთვნება ასევე ქვემოთ მოყვანილ ნაწყვეტში ერთ-ერთი საკრავის სახელწოდების „გადმოქართულებული“ ვარიანტი:

“– Did you know, he can play a Jews’ harp?” (10-95).

„ – შენ იხიც არ გეცოდინება, რომ მამაშენი შესანიშნავად უკრავს ღ უ ღ უ კ ს“ (24-90).

„Jews' harp“ ცნობილი თვითმჟღერი საკრავია, ე. წ. „საწყმეტი ინსტრუმენტი“, პატარა მეტალის ენაკით, რომელიც ვიბრაციისას გამოსცემს ხმას. ქართული ხელოვნების ლექსიკონის მიხედვით, სხვადასხვა ენაზე მას განსხვავებული შესატყვისები აქვს: რუსული – „баран“, ბაშკირული – „кырмыз“, ხოლო ქართულში უკრაინულიდან ტრანსლიტერაციით შემოსული სიტყვითაა თარგმნილი – „დრიმბა“, * ამდენად, მისი შენაცვლება აღმოსავლური საკრავის სახელით – „დუდუკი“ უმართებულოდ მიგვაჩნია.

სხვადასხვა ეთნოკულტურული რეალობის ისეთ რეალიათა აღრევა, როგორცაა ზომა-წონის ერთეულები ან ფულადი ნიშნები, ასევე ყოვლად დაუშვებელი პრაქტიკაა. „პენი“, როგორც ცნობილია, ინგლისური ფულადი ერთეულია, „დოლარი“ და „ცენტი“ კი – ამერიკული. გარდა ამისა, დოლარში ასი ცენტია, ხოლო მისი მეოთხედი 25 ცენტი იქნება. აქედან გამომდინარე, სრულიად გაუგებარია ქვემოთ მოყვანილი თარგმანის ლოგიკა:

„It's a forty – dollar wheel, in good condition, Martin had argued.

“And you've only let me have seven dollars on it. No, not even seven. Six and a quarter” (2-294).

„ეგ ველოსიპედი სულ ცოტა, ორმოცი დოლარი მაინც ღირს: – არ მოეშვა მარტინი, – შენ კი შვიდი დოლარის მეტი ვერ გამოიმეტე. თუმცა არა, შვიდიც არა, ე ქ ვ ს ი დ ო ლ – ა რ ი დ ა ხ უ თ ი პ ე ნ ი“ (16-578).

ანალოგიურად, ეროვნული კოლორიტით შეფერილი ერთეულთაა გადატანილი თარგმანში ნამცხვრის ერთ-ერთი სახეობის სახელწოდება ქვემოთ მოყვანილ ნაწყვეტში:

“He ordered himself the very dinner the boy had always closen - soup, cutlets and tart” (1-52)

„მოხუცმა ჯოლიონმა მომტანს სწორედ იმ სადილის მორთმევა უბრძანა, რაც ბიჭს უყვარდა - სუპი, კატლეტი და ხ ა ბ ი - ზ გ ი ნ ა“ (15-32)

* ხელოვნების განმარტებითი ლექსიკონი. გამომცემლობა „განათლება“, თბ., 1985.

„ხაბიზგინა“ ქართული მკითხველის აღქმაში ოსური ნამცხვარია, რომელსაც გულად აქვს კარტოფილი, ნიგოზი ან ყველიანი ხაჭო. *

“tart“ კი ასეთნაირადაა განმარტებული: „a small pastry shell filled with cooked fruit or other sweetened preparation without a top crust“ **

როგორც ამ ორი განმარტებიდან ირკვევა, ეს ორი ნამცხვარი განსხვავდება ინგრედიენტებითაც და გარეგნულადაც, მაგრამ ასეთ უზუსტობაზე არ შევაჩერებდით ყურადღებას აღწერილი სიტყვა უფრო ნეიტრალური ერთეულით რომ ყოფილიყო ჩანაცვლებული (თუნდაც, მაგალითად, „ტკბილი ღვეზელით“) და არა ასეთი სპეციფიკური, ეროვნული კოლორიტით შეფერილი ერთეულით.

ამდაგვარი ხარვეზები განსაკუთრებით მაშინ იპყრობს ყურადღებას თარგმანში, როცა რეალიის არასათანადო ტრანსპოზიცია თარგმანის ტექსტში იწვევს სოციალურ-კულტურული ფონის ჩანაცვლებას სრულიად განსხვავებული ასოციაციური ფონით.

§2. ეთნოკულტურულ რეალიათა ტრანსპოზიცია თარგმანში

რეალიათა დეკოდირების პრობლემა მჭიდრო კავშირშია პრაგმატული პრეზუმპციის მოქმედებასთან, რომელიც პრაგმატული პრესუპოზიციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კატეგორიაა. პრაგმატულ პრეზუმპციაზე ლაპარაკი შეიძლება იმ შემთხვევაში, როცა კომუნიკაციის სუბიექტი აზრის გამოთქმისას თვლის, რომ იგი თავისთავად ცხადი უნდა იყოს კომუნიკანტისთვის. მაგრამ აზრის გაგებინებისათვის საჭირო წინაპირობა, დაფუძნებული ცოდნისა და რწმენათა საერთობაზე, ნაკლებ სავარაუდოა ენათმორისი კომუნიკაციის აქტში. ზოგიერთი იმპლიკაცია, რომელიც ინგლისურენოვანი ადრესატისთვის სწორედ პრაგმატული პრეზუმპციის საფუძველზე სავსებით გასაგებია, შესაძლოა ამოუცნობი დარჩეს თარგმანის ადრესატისთვის. ამდენად, *პრეზუმპცია, როგორც პირველადი შეტყობინების პრაგმატული ელემენტი, ხშირად მოითხოვს მთარგმნელისაგან გარეენობრივ კონტექსტში ჩაღრმავებას და მისი თარგმანში რეალიზებისათვის უფრო აღქმადი ფორმის ძიებას*. ერთ-ერთი ასეთი ეთნოკულტურული რეალიის სა-

* ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი. ქართული ენციკლოპედია. თბ.

** New Webster's Dictionary of the English Language. College Edition.

ინტერესო მაგალითი მოჰყავს ლ. კ. ლატიშევს (120-43). რემარკის რომანში „სამი მეგობარი“ ასეთი ეპიზოდი: პატრიცია ხოლმანი (პატი), რომელიც საზოგადოების მაღალ წრეს განეკუთვნება, საუბრით უმასპინძლებდა თავის შეყვარებულს – რობერტ ლოკამას. ეს უკანასკნელი შედარებით დაბალი წრიდანაა. მათ შორის ასეთი დიალოგი გაიმართება:

- „Итак, чего же ты хочешь, чаю или кофе?“
- Кофе, просто кофе, Пат, я ведь из деревни.
- И я вышью с тобой кофе.
- Ну, вообще-то, ты пьешь чай?
- Да.
- Я так и думал.“

მკითხველს, რომელმაც არ იცის იმ პერიოდის გერმანელთა სტერეოტიპული წარმოდგენა ამ ორ სასმელზე, უთუოდ გაუკვირდება ახალგაზრდა კაცის რეპლიკა იმის თაობაზე, რომ იგი, როგორც სოფლელი, ყავას სვამს და არა ჩაის. საქმე ისაა, რომ ჩაი იმხანად პრივილეგირებულ ხალხთა სასმელად ითვლებოდა, ყავა კი (მეტწილად მისი სუროგატი) უფრო უბრალო ხალხის სასმელი იყო.

სპეციალურ ლიტერატურაში ვხვდებით ასეთ ანექდოტურ მაგალითებსაც: სიგარეტ „უინსტონის“ გაჩენას მოჰყვა ასეთი რეკლამა:

“Winston tastes good like a cigarette should.”

ეს რეკლამა თავის დროზე გაუკრიტიკებია ამერიკულ პრესას იმის გამო, რომ იგი შეიცავდა გრამატიკულ შეცდომას (“like“-ის ნაცვლად უნდა ყოფილიყო კავშირი “as”). ამას მოჰყვა ახალი რეკლამა სახუმარო იმპლიკაციით: “Winston – no grammar, good taste”, რაც მათთვის, ვინც არ იცის წინა რეკლამის ბედი, და, მით უფრო არაამერიკელისათვის, ყოვლად ამოუხსნელი რებუსია, ისევე როგორც არარუსი პიროვნებისათვის ამოუხსნელი იქნებოდა ასეთი წარწერა სიგარეტის კოლოფზე:

„Не слушайте Минздрав, курите на здоровье“

მრავალი ისეთი მაგალითიდან, რომელშიც ჩანს, თუ რა დიდ როლს ასრულებს პრაგმატული პრეზუმპცია, მოვიყვანთ კიდევ ერთს. იმის დასტურად, თუ რამდენად განსხვავებულია სხვადასხვა საზოგადოებრივი მოვლენების შეფასება განსხვავებული ეთნოკულტურული კოლექტივების მიერ და რამდენად არაერთგვაროვანია ის ისტორიულად შეთვისებული სტერეოტიპები, რომელთა საფუძველზეც ყალიბდება მათი ეთნოფსიქოლოგიური ნიშნები, ცნობილ ლიტერატურათმცოდნეს ვ. შკლოვსკის მოჰყავს ასეთი მაგალითი — იაპონელი მკითხველი, რომელიც პირველად გაეცნო ლ. ტოლსტოის რომანის, „ადღვომის“ სიუჟეტს თარგმანში, იმან, კი არ გააოცა, რომ მასლოვა მეძავი იყო (რადგან ეს საქმიანობა არ არის საძრახისი მათ ეთნოკულტურულ რეალობაში), არამედ იმან, რომ მას უყვარდა ნეხლიუდოვი და მანც უარი თქვა მის ცოლობაზე.*

* * *

ადრე, ნოიბერტის მიერ შემუშავებულ, თარგმანისათვის რელევანტურ ტექსტთა ტიპოლოგიასთან დაკავშირებით აღვნიშნეთ, რომ ვიწროეთნიკური, ლოკალური დანიშნულების ტექსტი ყველაზე ნაკლებად ექვემდებარება თარგმანს, რამდენადაც უცხო ენობრივი კოლექტივისთვის ასეთი ტექსტი ნაკლებ ინტერესს შეიცავს. მაგრამ როგორც კი ელინდება ტექსტში კოდიფიცირებული ინფორმაციის მეორე ლინგვოეთნიკური კოლექტივისთვის გადაცემის საჭიროება, ჩნდება ადაპტაციური რეპროდუქციისათვის საჭირო მექანიზმიც. ენათშორისი შუამავლობის ერთ-ერთი ასეთი საშუალება ა დ ა პ ტ ა ც ი უ რ ი ი ნ ტ ე რ პ რ ე ტ ა ც ი ა ა, ანუ ასიმილაციური თარგმანი.

ასიმილაციური თარგმანის შექმნის საჭიროება განსაკუთრებით თვალსაჩინოა სხვადასხვა ხალხთა ენებზე ბიბლიის თარგმანის მაგალითზე. იმ მიზნით, რომ ბიბლიურ სიუჟეტებს ხელი შეეწყოს რწმენის გაღრმავებისათვის, საჭირო იყო თარგმანის ადრესატის ეთნოფსიქოლოგიისა და კულტურული სიტუაციის მაქსიმალური გათვალისწინება. ასე მაგალითად, როცა ითარგმნებოდა ჩრდილოეთ მექსიკის უდაბნოებში მცხოვრები ინდიელებისათვის ბიბ-

* ციტირებულია ს. ს. პროკოპოვიჩის სტატიიდან (122-79).

ლიური სიუჟეტი ზღვაზე მოგზაურობის შესახებ, იმის გამო, რომ მათ წარმოდგენა არ ჰქონდათ ზღვის ტალღებზე, საჭირო შეიქნა მოქმედების ადგილის გადატანა ზღვიდან ჭაობებში, რაც მათთვის უფრო ცნობილი რეალობა იყო. კონკრეტული ეთნოკულტურული გამოცდილების მქონე ადრესატისათვის განსაზღვრულ სწორედ ასეთ რადიკალურ ასიმილაციას გულისხმობს ი. ნაიდა, როცა ლაპარაკობს „დინამიკური ეკვივალენტურობის“ პრინციპზე თარგმანში.

მე-18 საუკუნემდე, ანუ ეროვნებათა შორის ნაკლები კულტურული სიახლოვის პერიოდში, ასე ფართოდ გავრცელებული თავისუფალი ინტერპრეტაციის მეთოდის ხელაღებით უარყოფის ტენდენცია, როგორც ჩანს, ხელახალ გადასინჯვას მოითხოვს, რამდენადაც ეს იყო საზოგადოებრივი ცხოვრების ერთ-ერთი გარდუვალი აუცილებლობა, ლინგვოეთნიკური და ეთნოკულტურული ბარიერის გადალახვის საჭიროებით, ეროვნებათა დაახლოების ისტორიული აუცილებლობით განპირობებული მოვლენა.

თანამედროვე ცხოვრების ობიექტურ პირობებში, ეთნოკულტურული დაახლოების მზარდი ტენდენციის მიუხედავად, ეს ბარიერები მაინც არსებობს და ამდენად, ტექსტის ინფორმაციის ადაპტაციურ ტრანსპოზიციასაც თავისი მნიშვნელობა დღესაც არ დაუკარგავს. მაგრამ არ უნდა წარმოვიდგინოთ ისე, თითქოს კულტურულოგიური გაუგებრობის ეს ბარიერი გაუვალი კედელივით იყოს აღმართული მთელი ტექსტის მაშსტაბით. ასეთი დაბრკოლებები მხოლოდ სპორადულად, ცალკეულ ელემენტთა სახით იჩენს თავს სათარგმნელ მასალაში და მათი ადაპტაციური რეპროდუქცია, მართალია, ნაწილობრივ აქვეითებს კომუნიკაციურ-პრაგმატული ეკვივალენტურობის ხარისხს, ამავე დროს არ ქმნის გლობალურ დაბრკოლებას კომუნიკაციური ეფექტის ანალოგიზაციისათვის. სტატისტიკურად ასეთი ელემენტების ზვედრითი წონა იმდენად მცირეა თარგმნად ელემენტებთან შედარებით, რომ მთელი ნაწარმოების მასშტაბით, ფაქტობრივად, ეს არც შეიგრძნობა და იქმნება შთაბეჭდილება, რომ ენათშორისი კომუნიკაცია თავისი ეფექტით, პრაქტიკულად, შინაენობრივი კომუნიკაციის ტოლფასია, თუმცა ეს ტოლფასოვნება მხოლოდ ფარდობითი მოვლენაა.

ეთნოკულტურული რეალიები, რა თქმა უნდა, განეკუთვნება ე.წ. „უეკვივალენტო ლექსიკას“, ანუ უთარგმნელ ელემენტებს. მაგრამ უნდა აღვნიშნოთ, რომ მათი თარგმანში ტრანსპოზიციის

მეთოდები არ მიგვაჩნია ტრანსფორმაციად ან შენაცვლებად, თუმცა ეს მეთოდები შეიცავენ როგორც ერთის, ასევე მეორის ნიშნებს. ჩვენი აზრით, მათი განხილვა საჭიროა ცალკე, როგორც ენობრივი და სოციალურ-კულტურული უნიკალიზმების თარგმანში ისეთი ტრანსპოზიციის შემთხვევებისა, რომელიც მიზანმიმართულია კულტურულოგიური გაუგებრობის ნეიტრალიზაციისათვის. ნეიტრალიზაციის საშუალებები კი მრავალგვარია, დაწყებული ტრანსლიტერაციით და დამთავრებული თარგმანის ტექსტის ფართო მასშტაბის მონდიფიკაციით.

ტ რ ა ნ ს ლ ი ტ ე რ ა ც ი ა, შეიძლება ითქვას, ყველაზე გავრცელებული საშუალებაა სამეცნიერო დარგობრივ და საზოგადოებრივ-საგანმანათლებლო ტექსტთა თარგმანში. *სადღეისოდ განსაკუთრებით მომრავლდა ისეთ ცნებათა ტრანსლიტერაციული გადმოღება თარგმანში, რომლებიც დაკავშირებულია ახალ ეკონომიკურ ურთიერთობათა ჩასახვა-განვითარებასთან ჩვენს პირობებში: სპონსორი, დივიდენტი, ბიზნესი, მარკეტინგი, ვაუჩერი, სუპერ-მარკეტი, ბროკერი, მენეჯერი. ახალშემოსულია ქართულში ასევე: პრეზენტაცია, ნომინაცია, დაიჯესტი და მრავალი სხვა სიტყვა, რომელიც ასე ინტენსიურად გავრცელდა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში.*

ტრანსლიტერაცია სავსებით გამართლებულია გეოგრაფიულ სახელთა თარგმანში გადმოღებისას ან ჟურნალ-გაზეთების სახელწოდებათა ტრანსპოზიციისას, მაგრამ ხშირად სავსებით შესაძლებელია ახალი ცნებისათვის ენის ფონდში არსებული ერთეულის მისადაგებაც. ასე მაგალითად, „შეიარალების ესკალაცია“ შეიძლება სრულიად უმტკივნეულოდ გამოიხატოს შესიტყვებით — „შეიარალების დაჩქარება“. ტრანსლიტერაციის გზით ენაში ახალშემოსული ერთეულის უარყოფითი ნიშანი ის არის, რომ პირველ ხანებში მაინც, მისი საგნობრივი მნიშვნელობა არც თუ ნათელია და მოითხოვს განმარტებას.

სიტყვის ტრანსლიტერაციული ტრანსპოზიციის მეთოდს თარგმანში მაშინ აქვს გამართლება, როცა იგი გამოხატავს ისეთ ეთნოკულტურულ რეალიას, რომელსაც არ გააჩნია ანალოგი თარგმანის მიმღები კოლექტივის ყოფაში. აი, რას წერს ამის თაობაზე ვლ. როსსელსი: „როცა მკითხველი რუსულ ტექსტში ხვდება სიტყვებს „паваш“ ან „чупек“ და კომენტარებიდან იტყობს, რომ ერთიც და მეორეც კავკასიაში გავრცელებული პურის სახეობაა,

იგი იმახსოვრებს ამ სიტყვებს, რადგან ისინი ამდიდრებენ მის წარმოდგენას ისეთ რაიმეზე, რაც ადრე უცნობი იყო მისთვის, მაგრამ როცა თარგმანში გვხვდება სიტყვა „xáπa“ და შევიტყობთ, რომ იგი აზერბაიჯანულ ენაზე „დეიდას“ ნიშნავს, გაუგონდებით და ვფიქრობთ, ნუთუ ასე საჭიროა ჩემთვის ამისი ცოდნა? და ეს სიტყვა გვრჩება მესხიერებაში როგორც ეგზოტიკური იეროგლიფი, რომელმაც ხელი შეგვიშალა კითხვის პროცესში (124-169).

რეალიათა თარგმანში ტრანსპოზიციის ისეთი სახეობაც, როგორცაა კ ა ლ კ ი რ ე ბ ა, ანუ სიტყვასიტყვით თარგმანი, ყოველთვის არ ამართლებს დანიშნულებას. საქმე ის არის, რომ სიტყვათა სალექსიკონო მნიშვნელობის რეალიზაცია თარგმანში არ ნიშნავს იმას, რომ კომუნიკაციური ეფექტი სრულყოფილად შეიძლება განხორციელდეს. ერთ-ერთ თარგმანში ვკითხულობთ:

„საქმე ძალზე სარფიანი იყო, თუმცა ესეც რომ არ ყოფილიყო, ბევრი არაფერი დააკლდებოდა, რადგან ამ დროისათვის უკვე შექმნილი ჰქონდა ვ ე რ ტ ი კ ა ლ უ რ ი ტ რ ე ს ტ ი“ (17-83).

“Business was booming; though even if it hadn't been, it wouldn't greatly have mattered, since he'd built up a vertical trust” (3-69).

როგორც ირკვევა ფართო კონტექსტით, იმ პიროვნების საკუთრებას, ვინც ეს „ვერტიკალური ტრესტი“ შექმნა, შეადგენდა თურმე პლასტმასის, ხელოვნური (საჩალითო) ტყავის, ავტომანქანის ძარების დამამზადებელი სამაქროები და სხვ. აქედან გამომდინარე, მკითხველისთვის ბუნდოვანი „ვერტიკალური ტრესტი“ თურმე სრულიად მარტივად შეიძლებოდა თარგმნილიყო როგორც საწარმოო კომბინატი ან კონცერნი და მიუხედავად იმისა, რომ ეს სიტყვებიც უცხოენოვანია, ისინი კარგა ხანია დამკვიდრებულია ენაში და უთუოდ უფრო ადვილი შესაცნობი იქნებოდა მკითხველისათვის. მაგრამ „ორიგინალის ჰიპნოზი“, რაც ასე ხშირია თარგმანის პრაქტიკაში, უთუოდ მართლაც ხელს უშლის მთარგმნელს იმაში, რომ უცხოურ სიტყვებში შეიცნოს საკმაოდ ტრივიალური მნიშვნელობა.

რეალიის ტრანსპოზიცია თარგმანში შესაძლებელია ასევე ფუნქციონალური ანალოგით, თუმცა, ამ შემთხვევაში, თარგმანი მუდამ დაახლოებითია, რამდენადაც მასში აქტივიზებულია კონკრეტიზაციის ან, მეტწილად, გენერალიზაციის პრინციპი. გენერალიზაციის შემთხვევაში, როცა სახეობა შენაცვლებულია გვართ, თარგმანში გარკვეულად იკარგება ლიფერენციალური ნიშნები. მაგალითად, ადამიანის საცხოვრებელი ადგილის გამომხატველი ინგლისური სიტყვების – "cottage, hut, peasant-house, farm-house" – ან რუსული სიტყვების – „хата, хижина, сакля-ს“ მნიშვნელობა შეიძლება გამოიხატოს ქართული ზოგადი სიტყვით „სახლი“, მაგრამ ყველა კონკრეტულ შემთხვევაში ლიფერენციალური ნიშანი დაიკარგება:

"... a' swept' yard that was never swept – where Jonson grass and rabbit tobacco grew in abundance" (10-13).

„... ეზო, რომელიც წესით სუფთა უნდა ყოფილიყო, მაგრამ უხსოვარი დროიდან აღარავის გაეწმინდა და ერთიანად სა-რეველაბახით დაფარულიყო“ (24-11).

ორიგინალში ნახსენები „ჯონსონის ბალახი“ და „ბაჭიების თამბაქო“, რომელიც ჩრდილო ამერიკის შტატების მოსახლეობისათვის ნაცნობი სახეობებია, თარგმანში შენაცვლებულია „სარეველა ბალახით“, რაც უფრო ზოგადი სახელწოდებაა ამ მცენარეებისათვის, რამდენადაც ქართველი მკითხველისათვის ასეთ სიზუსტეს არავითარი მნიშვნელობა არ ექნებოდა.

"I could see my mother going in Spauling's and asking a salesman a million doty questions" (7-71).

„წარმოვიდგინე, როგორ შედის დედაჩემი სპორტულ მაღაზიაში და ათსგვარ სისულელს ეკითხება ნოქარს“ (21-83).

ამ შემთხვევაში მაღაზიის მოხსენიება მისი პატრონის სახელით შესაძლოა რაიმე დამატებით ინფორმაციას შეიცავს ამერიკელი მკითხველისათვის – ან იმას, რომ ეს პრესტიჟული მაღაზიაა, ან – პირიქით, ხოლო თარგმანის ადრესატისთვის ეს არაფრის მთქმელი არ იქნებოდა.

“He was mostly the kind of a handsome guy that if your parents saw his picture in your year-book, they'd right away say, 'Who is this guy?' I mean he was mostly a year-book kind of handsome guy” (7-50).

„ისეთი სილამაზე ჰქონდა, რომ, როცა ბავშვების მშობლები ნახავდნენ სასკოლო ალბომში მის პორტრეტს, ხელადვე იკითხავდნენ – ეს ბიჭუნა ვინ არისო. ერთი სიტყვით, საალბომო სილამაზე ჰქონდა“ (21-48).

“year-book”, თუ უფრო დავაკონკრეტებთ მის მნიშვნელობას, ისეთი ალბომია, რომელშიც სკოლის მოსწავლეები აკადემიური წლის დასასრულს აკრავენ თავისი კლასის ჯგუფურ ფოტოსურათს. მისი ფუნქციონალური ანალოგი თარგმანის ტექსტში, ისევე როგორც სიტყვა „პორტრეტი“, რომელიც უფრო ნახატზე ითქმის და არა ფოტოსურათზე, განსხვავებულ ასოციაციას იწვევს და არცთუ ადეკვატური სუბსტიტუტია ორიგინალის რეალიისათვის, მაგრამ დიფერენციალური ნიშნის ამგვარი დაკარგვა, შეიძლება ითქვას, არ არის თარგმანისათვის მნიშვნელოვანი.

რეალიის თარგმანში ტრანსპოზიციის კიდევ ერთი საშუალება აღწერილობითი, განმარტებითი რექორდ უქციაა. ეს ის შემთხვევაა, როცა რეალიას თარგმანში მთლიანად ანაცვლებს ლექსიკოგრაფიული ტიპის განმარტება. ამ საშუალების დადებითი ნიშანი იმაში მდგომარეობს, რომ იგი შედარებით სრულყოფილად განმარტავს მოვლენის არსს, უარყოფითი კი ისაა, რომ იგი უფრო გადატვირთულია, ვიდრე ორიგინალის ერთეული – სიტყვა ან შესიტყვება. ამგვარი თარგმანის თვალსაჩინო მაგალითია რ. იაკობსონის მიერ აღწერილი ის ენობრივი ფორმები, რომლებსაც სხვადასხვა საგანთა სახელებისას იყენებდნენ ჩუქჩები – აღმოსავლეთ ციმბირის მკვიდრი მოსახლეობა, რომელსაც თანამედროვე ცივილიზაციისაგან დიდი კულტურული დისტანცია აშორებდა. ასეთი ფორმებია: „მბრუნავი ლურსმანი“ (ჭანჭიკი), „საწერი საპონი“ (ცარცი), „მაგარი რკინა“ (ფოლადი) „რბილი რკინა“ (თუნუქი) და მრავალი სხვა (145-20).

განმარტებითი თარგმანის კატეგორიას შეიძლება მივაკუთვნოთ ქვემოთ მოყვანილი თარგმანი:

“The white bearskin rug on the parquet floor was, I suppose, strictly

Metro-Goldwyn-Mayer, but it fitted in, added a necessary touch of frivolity, even a faint sexiness like *scented cachous*" (3-30).

„პარკეტის იატაკზე დაფენილი იყო თეთრი დათვის ტყავი, ჩემი ვარაუდით, „მეტრო-გოლდვეინ-მეირის“ ფილმების გაელენით, მაგრამ საერთო შთაბეჭდილებას არ არღვევდა, პირიქით, ოთახს ოდნავ ფუქსავატურ, მიმზიდველ იერს აძლევდა, როგორც სურ ნელოვანი აბები, პ ი რ შ ი კ ა რ გ ი გ ე მ ო ს დ ა ს ა ყ ე ნ ე ბ ლ ა დ რ ო მ ხ მ ა რ ო ბ ე ნ ხ ო ლ მ ე“ (17-37).

თარგმანი არცთუ ზუსტია, მაგრამ ამ შემთხვევაში, ჩვენთვის საინტერესოა ის ვრცელი განმარტება, რომელიც დასჭირდა შესიტყვების – “scented cachous” რეპროდუქციას თარგმანის ტექსტში.

ვფიქრობთ, სწორია ლ. ს. ბარხუდაროვი, როცა ვრცელი აღწერილობითი თარგმანის ნაკლად მიიჩნევს იმას, რომ „ენობრივ ფორმათა ნაკადის ფონზე ასეთ მრავალსიტყვიან განმარტებას მკითხველი, უთუოდ, ვერც შეიძნობს კონკრეტული ცნების აღმნიშვნელ ერთეულად“ (25-125).

აღწერილობით თარგმანთან ახლოს დგას რეალიის თარგმანის ტექსტში ტრანსპონირების კიდევ ერთი სახეობა, რომელსაც პირობითად შ ი დ ა ტ ე ქ ს ტ ო ბ რ ი ვ კ ო მ ე ნ ტ ი რ ე ბ ა ს ვუწოდებდით.

საერთოდ, თარგმანში ტრანსლიტერაციის პრინციპით ან პირდაპირი თარგმანის (კალკირების) გზით გადატანილი სიტყვა, თუ იგი საჭიროებს ექსპლიციტურობის უფრო მაღალ ხარისხს, განმარტებული არის ხოლმე კომენტარებში. მაგრამ ტექსტის გარეთ გამოტანილი კომენტარი და, საერთოდ, მთარგმნელის მიერ შენიშვნათა და გარეტექსტობრივ კომენტართა ჭარბი გამოყენება, გარკვეულად ეწინააღმდეგება თარგმანის ფენომენის არსს, მის დანიშნულებას. ლ.კ.ლატიშევის სამართლიანი შენიშვნით, კომენტართა სიმრავლის შემთხვევაში „იქმნება არაბუნებრივი კომუნიკაციური სიტუაცია, რადგან ერთი ტექსტის ნაცვლად, რომელსაც პირველად კომუნიკაციურ სიტუაციაში იღებს ორიგინალის ადრესატი,

თარგმანის ადრესატს სთავაზობენ ორ ტექსტს – საკუთრივ თარგმანსა და შენიშვნების ტექსტს, რაც ეწინააღმდეგება თარგმანის საზოგადოებრივ დანიშნულებას“. უთუოდ ამიტომ არისო, დასძენს იგი, რომ მხატვრული თარგმანის რედაქტორები, რომლებიც ინტუიციურად გრძნობენ ასეთი მეთოდის უმართებულობას, ასე კატეგორიულად ეწინააღმდეგებიან კომენტარების სიჭარბეს თარგმანში (120-25). მაგრამ თავად ამ სიტყვების ავტორიც აღიარებს, რომ უამისობაც გარკვეულად აქვეითებს თარგმანის ტექსტის ინფორმატიულობას მეორადი ადრესატისათვის.

ამიტომ ენიჭება უპირატესობა შიდატექსტობრივ კომენტარს, რომელსაც განმარტებითი თარგმანისაგან იმ ნიშნით ვანსხვავებთ, რომ ვრცელი და დეტალური განმარტების ნაცვლად (როგორც ეს ნაჩვენები იყო ბოლო მაგალითში), ტრანსლიტერაციის ან პირდაპირი თარგმანის (კალკირების) გზით ტრანსსონირებულ ერთეულს უშუალოდ კონტექსტშივე ახლავს ისეთი დამატებითი ელემენტი, რომელიც გარკვეულ ტრანსპარანტულობას ანიჭებს მას. ბოლო მაგალითი, ვრცელი განმარტებითი თარგმანის გარდა შინატექსტობრივ კომენტარსაც შეიცავდა. ეს იყო სიტყვები – „ფილმების გავლენით“, რომელთა გარეშეც მკითხველისათვის ამოუცნობ „ეგზოტიკურ იეროგლიფად“ დარჩებოდა ტექსტის ისეთი ფრაგმენტი, როგორიცაა “Metro-Goldwyn-Mayer”. ვნახოთ ასეთი შინატექსტობრივი კომენტარების კიდევ ორიოდე მაგალითი:

“But even without the maroon coat and copy of the “Queen” she’d said I’d recognize her by, I knew immediately who she was; She was exactly what I’d imagined from her thick white hand-made writing-paper and her near-copper-plate with its Greek “c”-s” (3-18).

„თუნდაც არ სცმოდა წაბლისფერი პალტო და ხელში ყ უ რ ნ ა ლ ი „ქეინი“ არ სჭეროდა, – მის მიერ დათქმული ნიშნები, – მე მაინც მაშინვე ვიცნობდი მას. იგი სწორედ ისეთი იყო, როგორც წარმოვიდგინე მაშინ, როცა მისგან თუთრ სქელ

ქალაქლზე კალიგრაფიული ხელით დაწერილი ბარათი მივიღე, რომელშიც ასო “E” ბერძნულ ე კ ს ი ლ ო ნ ს წააგავდა

(17-22).

სიტყვები – „ჟურნალი“, „ეპსილონი“ და ასევე თავად ეპსილონის გრაფიკული გამოსახულება, – ის დამატებითი ელემენტებია, რომლებიც ეხმარება რეალიათა გათვითცნობიერებაში თარგმანის მკითხველს, რომელმაც შეიძლება არ იცოდეს, რომ „ქვინი“ ერთ-ერთი ინგლისური ჟურნალის სახელწოდებაა და რომ, ბერძნული “E” განსხვავდება ლათინური დამწერლობის ვარიანტისაგან.

დაუუკვირდეთ თარგმანის ადრესატზე პრაგმატული მიზანმიმართების მარკერებს კიდევ ერთი ინგლისური რეალიის თარგმანში ტრანსპოზიციის მაგალითზე:

“No Forsyte has given a dinner without providing a saddle of mutton. There is something in its succulent solidity which makes it suitable to people of a certain position” (1-67).

„ცხვრის უნაგირას გარეშე არც ერთი ფორსაიტი არ მართავდა სადილს. ამ ცხარე, წვნიან და ყუათიან საჭმელში იყო რაღაც ისეთი, რაც მას „განსაკუთრებული მღვობარობის“ ხალხის შესაფერ კერძად ხდიდა“ (15-48).

თარგმნით ვარიანტში განმარტებითი ელემენტები – „ცხარე“, „საჭმელი“, „კერძი“, – რაც ფაქტობრივად ორიგინალში არ გვხვდება, გამოწვეულია სწორედ თარგმანის ადრესატის ფაქტორის გათვალისწინებით, რომლისთვისაც, ორიგინალის ადრესატისგან განსხვავებით (ვის მიმართაც, უდავოდ, მოქმედებს პრაგმატული პრეზუმპციის ფაქტორი), „ცხვრის უნაგირა“, უთუოდ, ძნელი გასაშიფრი იქნებოდა. კომენტირება არ იქნებოდა საჭირო, ეს ერთეული „ცხვრის ანტრეკოტით“ რომ ყოფილიყო თარგმნილი, მაგრამ ნეოლოგიზმით, რომლისთვისაც მთარგმნელს მიუნიჭებია უპირატესობა, აღნიშნულ ერთეულს შენარჩუნებული აქვს მხატვრული პარაფრაზის ეფექტი, რაც მას ახასიათებს ორიგინალში.

რეალიათა ერთ-ერთ განსაკუთრებულ სახეობას ინგლისურენოვან ტექსტებში წარმოადგენს აბრევიატურული

ნ ე ო ლ ო გ ი ზ მ ე ბ ი, რომლებიც სასაუბრო ენაში, განსაკუთრებით კი ენის ამერიკულ ვარიანტში, შეიჭრა პუბლიცისტიკიდან, როგორც აზრის კომპრესიის ძალზე ეფექტური საშუალება. სწორედ ამ ნიშნით გამოიყენება ეს ეკონომიკური ენობრივი ფორმები პუბლიცისტიკაში, რომელშიც ხშირად იქმნება ხოლმე რაიმე მოვლენის ოპერატიული გაშუქების საჭიროება საგაზეთო ფურცლებზე „მორჩენილი“ მცირე ზომის შეუვსებელ სვეტებში. ასე ჩამოყალიბდა ამ ტიპის ნეოლოგიზმთა მთელი სერია, რომელიც ფართოდ გამოიყენება პუბლიცისტურ სტილში და რომელთა ეტიმოლოგია შესწავლილია არაერთ სოციოლინგვისტურ გამოკვლევაში (73, 146, 147 და სხვ.). მხატვრულ ლიტერატურაში ასეთი ერთეულები ხშირად გვხვდება ჟურნალისტების ან საქმიანი ხალხის პროფესიული საუბრების ამსახველ დიალოგებში. მათი ჭარბი გამოყენება მოდურ სამეტყველო ჩვევად გადაიქცა სტუდენტი ახალგაზრდობის წრეებშიც.

რეალიათა ამგვარ სახეობას, რომელიც, შეიძლება ითქვას, ახალგაზრდების მეტყველების სოციოლინგვისტურ მარკერადაც კი შეიძლება მივიჩნიოთ, ძალზე ჭარბად ვხვდებით, მაგალითად, ჯ. სელინჯერის რომანში – „თამაში ჭვავის ყანაში“, რომელიც, როგორც ადრე ითქვა, 16 წლის ყმაწვილის „ნაამბობის“ სტილითაა დაწერილი. ეს არის ქალაქების, სასწავლებლების, სასკოლო ცხოვრებასთან დაკავშირებული მრავალგვარი მოვლენის სახელების აბრევიატურული ფორმები. აღნიშნული ერთეულები თარგმანის ტექსტში სრული ფორმით, დეკოდირებული სახითაა წარმოდგენილი.

“The first thing I did when I got off at Penn Station, I went into this phone booth” (7-77).

„ჩამოვხტი თუ არა პენსილვანიის სადგურზე, მაშინვე ტელეფონის ჯიხურს ვეცი“ (21-94).

“He stuck his head out of the window and told us to go back to the dorm and get ready for dinner” (7-30).

„თავი გამოყო ფანჯრიდან და ს ა ე რ თ ო ს ა ც ხ ო -
ვ რ ე ბ ე ლ შ ი წადითო, გადმოგეძახა, სადილისთვის
Pency Prep is this school that's in Agerstown. You've probably seen
the a d d s anyway...“ (7-28).

„სწორედ იმ დღიდან მინდა დავიწყო ჩემი ამბავი, როცა პ ე ნ -
ს ი დ ა ნ წამოვედი. პენსი ევერსტაუნის მ ო ს ა მ ზ ა -
დ ე ბ ე ლ ი ს კ ო ლ ა გახლავთ. ალბათ გაგეგონებათ,
რ ე კ ლ ა მ ე ბ ი მაინც გექნებათ ნახული“ (21-5).

“Does she go to BM now? She said she might go there” (7-53).

„სად სწავლობს ახლა, ბ რ ი ნ მ ო რ შ ი? ამბობდა, იქნებ
იქ მოვეწყო“ (21-51).

ორიგინალის აბრევიატურული ვარიანტი “BM” აღნიშნავს
ბრინმორის ცნობილ ქალთა კოლეჯს პენსილვანიის შტატში,
რომლის სრული სახელწოდებაა – “Bryn Mawr College”. თარგ-
მანში სიტყვა კოლეჯი არ აისახა, რამდენადაც კონტექსტუალური
ინდიკატორები („სად სწავლობს“) შეიცავენ ასეთ ინფორმაცი-
ას. მომდევნო ნაწყვეტში კი, – პირიქით, თარგმანში ამ აბრე-
ვიატურის სანაცვლოდ სწორედ სიტყვა „კოლეჯია“ აქტივიზე-
ბული, რამდენადაც კონტექსტი ასეთ ინდიკატორებს არ შეი-
ცავს:

“I started toying with the idea of giving old Jane a buzz - I mean
calling her long distance at B.M” (7-81).

„ვეფიქრობდი, ჯეინს როგორ დავურეკო-მეთქი. პირდაპირ
კ ო ლ ე ჯ შ ი მინდოდა დაკავშირება“ (21-101).

არანაკლებ დამახასიათებელია აბრევიატურათა ჭარბი გამოყ-
ენება სამხედრო პირთა პროფესიული საუბრებისთვისაც:

“He was a pilot in the R.A.R. Killed in a silly accident in Canada”
(3-21).

„ს ა მ ე ფ ო - ს ა კ ა ე რ ო - ძ ა ლ ე ბ ი ს მ ფ -

რ ი ნ ა ვ ი იყო. სულელური შემთხვევის გამო დაიღუპა
კანადაში“ (17-26).

“I don't count my cubicle in the N.C.O.'s quarters at Frinton Bassett”
(3-21).

„ჩემს საკუთრებად ვერ ჩავთვლიდი იმ პაწაწინა სენაკს,
ფრინტონ ბასეტის ყ ა ზ ა რ მ ა შ ი რომ მეკავა“
(17-26).

ამ შემთხვევებშიც აბრევიატურული რეალიები გაშიფრული
ფორმითაა პროცირებული თარგმანში, რაც კიდევ ერთხელ მოწ-
მობს თარგმანის მიმღები ადრესატის ფაქტორის, ანუ ერთ-ერთი
გარეენობრივი ფაქტორის მოქმედებას თარგმანის ტექსტის კონ-
სტრუირების მექანიზმზე.

ეხვედებით ისეთ შემთხვევებსაც, როცა მთარგმნელი საერთოდ
თავს არიდებს რეალიის რეპროდუქციას თარგმანის ტექსტში:

“I didn't let go, though, I had a pretty half-Nelson on him” (7-52).

„მინც არ გავუშვი, მაგრად მყავდა ჩაბლუჯული“ (21-50).

კონტექსტში აღწერილია ბიჭების ბლლარძუნის სცენა სკო-
ლის საერთო საცხოვრებელში. რეალია “half-nelson”, როგორც
ჩანს, რომელიდაც საჭიდაო ილეთია. მისი გამოტოვება თარგმანის
ტექსტში უმართებულო იქნებოდა, დაეუშვათ, ოფიციალური
სპორტული შეჯიბრების პრესაში გაშუქებისას, როცა ყოველ
სპორტულ ტერმინს თავისი დანიშნულება აქვს. ამ შემთხვევაში
კი ასეთ დანაკარგთან შეგუება ადვილია, თუმცა, უნდა ითქვას,
რომ სპორტული ტერმინის შენარჩუნება სპორტით გატაცებული
ყმაწვილის მეტყველების რეპროდუქციისას, მის სამეტყველო
პორტრეტს კიდევ ერთი შტრიხით შეავსებდა.

რეალიის ტრანსპოზიციისათვის თავის არიდება თარგმანში,
რაც ერთი შეხედვით დიდ დანაკარგად არ გვეჩვენება, მინც ნაკ-
ლებს სასურველია, რამდენადაც ყოველი ასეთი უმნიშვნელო დე-
ტალიც კი გარკვეულწილად უნარჩუნებს ნაწარმოებს ეროვნულ
კოლორიტს, აფართოებს ჩვენს ცოდნას უცხო ეთნოკულტურულ
სამყაროზე, მისი ცხოვრების წესსა და ტრადიციებზე და, რაც
მთავარია, განსაკუთრებით მხატვრულ ნაწარმოებში, რეალია შეი-

ძლება ერთ-ერთი მხატვრული დეტალის ფუნქციითაც იყოს დატვირთული.

საინტერესოა ამ თვალსაზრისით ერთი ფრაგმენტი ჯეკ ლონდონის „მარტინ იდენიდან“:

“The train was crowded with youths and young men who were singing songs and ever and again barking out college yells. Martin studied them curiously” (2-45).

„ვაგონი სავსე იყო მომღერალი ახალგაზრდებით. მარტინმა ცნობისმოყვარეობით შეათვალიერა ისინი“ (16-28).

თარგმანში უბრალოდ ნათქვამია „მომღერალი ახალგაზრდები“ და გამოტოვებულია ისეთი რეალია, როგორიცაა “college yells”, რომელიც, ჩვენი აზრით, ნაწარმოების ფართო კონტექსტის გათვალისწინებით ერთ-ერთი მხატვრული დეტალის ფუნქციას ასრულებს. ამ ერთეულის სალექსიკონო განმარტება ასეთია: “an organized rhythmic shout or cheer as used by university students”*.

საქმე ის არის, რომ ამერიკული უნივერსიტეტების ტრადიციის თანახმად, სტუდენტები თაობიდან თაობას გადასცემენ ხოლმე თავიანთი კოლეჯის ამ ტრადიციულ „რიტმულ შეძახილს“, რომელიც მათი საძმოს ერთგვარი „პაროლია“ და განსხვავდება სხვა კოლეჯების ასეთივე „პაროლებისაგან“. ეს, თითქოსდა უმნიშვნელო დეტალი, ერთი მხრივ, აშკარად ამდიდრებს ჩვენს წარმოდგენას განსხვავებულ ეთნოკულტურულ სამყაროზე, მეორე მხრივ კი, ამ კონკრეტულ ნაწარმოებში იგი განსაკუთრებულ იმპლიკაციასაც შეიცავს; მარტინისთვის ყველა წვრილმანი, ყველა ჩვევა, რაც დაკავშირებულია იმ საზოგადოებასთან, იმ გარემოსთან, რომელშიც თავად არ შეესვლება და, რომელიც რუთის – მისი შეყვარებულის – და ამ სტუდენტთა სამყაროა, განსაკუთრებულ ინტერესს შეიცავს, რადგან ეს „შეძახილებიც“ და ეს მხიარული ახალგაზრდებიც მისთვის საოცნებო სამყაროს ნაწილს წარმოადგენენ. ხოლო იმას, რომ ეს ახალგაზრდები სწორედ სტუდენტები არიან და არა უბრალოდ „მომღერალი ახალგაზრდები“, როგორც ნათქვამია თარგმანში, სწორედ ამ რეალიის საშუალებით ვიტყობთ და სწორედ ამის გამო იყო ისიც, რომ „მარტინმა ცნობის-

* New Webster's Dictionary...

მოყვარობით შეათვალიერა ისინი“.

ეთნოკულტურულ რეალიათა ტრანსპოზიციის მაგალითზე შევეცადეთ გამოგვევლინებინა თარგმანის ტექსტში გამოყენებული ის საშუალებები, რომლებიც მიზანმიმართულია კულტურულოგიური ბარიერების დაძლევაზე, როცა განსაკუთრებით აქტიურად მოქმედებს პრაგმატული ორიენტაცია თარგმანის ადრესატზე.

კომუნიკაციურად არამარკირებული და უმისამართო ტექსტი, როგორც კომუნიკაციის საშუალება, შეიძლება ითქვას, არ არსებობს. იგი მუდამ რაიმე მიზნით და ვისიმე მისამართით გაგზავნილი შეტყობინებაა. პარადოქსულია, მაგრამ უნდა ითქვას, რომ თარგმანის ადრესატი, რომელიც ცოცხალი კომუნიკაციის ადრესატისგან განსხვავებით, მხოლოდ პასიური, მხოლოდ მსმენელი ადრესატია, ამავედროულად ძალზე აქტიურად მონაწილეობს კომუნიკაციის პროცესში, რამდენადაც ენათშორისი კომუნიკაცია მაშინაა სრულყოფილი, როცა მთარგმნელი არ ივიწყებს მის არსებობას და მასში ხედავს არა თავისი სამეტყველო ქმედების პასიურ მოწმეს, არამედ შემფასებელს, დამფასებელს ან კონტრაგენტს.

თარგმანის ტექსტში აქტივიზებული ყველა ის საშუალება, რომელიც ადრესატის ფაქტორითაა განპირობებული, ძალზე დიდ სიფრთხილეს და ზომიერებას მოითხოვს მთარგმნელის მხრივ, მით უფრო, როცა საკითხი ეხება უცხოური სოციალურ-კულტურული გარემოს რეალიათა ტრანსპოზიციას თარგმანის ტექსტსა და, შესაბამისად, განსხვავებულ კულტურულ სამყაროში. *ყველა ზემოთ განხილული საშუალება გამართლებულია იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე რეალიის სუბსტიტუტი თარგმანის ტექსტში ნეიტრალურია, ეროვნული კოლორიტით შეუფერავი და, თუ მკითხველის წარმოდგენაში იგი არ არის დაკავშირებული კონკრეტულ ადგილსა და კონკრეტულ ისტორიულ დროსთან, მთარგმნელის ვალთა არა ის, რომ მისი მკითხველისათვის გაუგებარი და უცხო მოვლენა ან ცნება შეანაცვლოს მისთვის ნაცნობთა და ახლობელი მოვლენით, არამედ ის, რომ ერთგვარად განუმარტოს, შეეშველოს მას უცხო მოვლენის არსის გაგებაში.*

თუ პრაქტიკულად შეუძლებელია ორიგინალის მაქსიმალურად ადეკვატური ეფექტის მიღება თარგმანში, მაშინ იგი საპირისპირო ეფექტისაგან მაინც უნდა იყოს დაზღვეული.

თავი VIII

პრაგმატული ორიენტაცია მხატვრული ფორმის ანალოგიზაციაზე თარგმანში

საკამათო არ არის, რომ ნაწარმოების იდეურ-ესთეტიკური ინფორმაციის უკეთ შეცნობისათვის მისი ლინგვისტილისტური ანალიზი საუკეთესო კატალიზატორია, მაგრამ ანალიზი განუყოფელი უნდა იყოს სინთეზისაგან იმ შემთხვევაში, თუ უკეთ გვინდა დავინახოთ ყოველი ელემენტის ადგილი ნაწარმოების მხატვრულ მთლიანობაში და ამ ელემენტთა ანალოგიზაციის ხარისხი თარგმანში, რაც ორიგინალისა და თარგმანის ტექსტთა კომუნიკაციურ-პრაგმატული ეკვივალენტურობის აუცილებელი პირობაა. წინამდებარე განაკვეთში ჩვენი მიზანია გამოვავლინოთ მხატვრული ტექსტის ენობრივი ქსოვილისა და ზოგადი იდეურ-კონცეპტუალური ინფორმაციის, ანუ ავტორის ინტენციის, კორელაცია ჩვენ მიერ შერჩეული კომუნიკაციური მარკირებულობით განსხვავებული მასალის საფუძველზე.

საანალიზო მასალა იმდენადაა განსხვავებული, რომ ერთ შემთხვევაში ეს არის ავტოკომუნიკაციური მეტყველების, ფსიქოლოგიური მოვლენის — ცნობიერების ნაკადის მხატვრული რეპროდუქციის ნიმუში, მეორე შემთხვევაში კი საყმაწვილო ლიტერატურის ისეთი ნიმუშია, რომელშიც რეალიზებულია თხრობის ინტიმიზაციის მექანიზმი და, ამდენად, განსაკუთრებით ექსპლიციტებულია ავტორის პრაგმატული ორიენტაცია პოტენციური ადრესატის კრებით მოდელზე.

ასეთი არჩევანი შემთხვევითი არ არის, რამდენადაც მხატვრული თხრობის ამ ორივე სახეობაში განსაკუთრებით ჭარბად გვხვდება ყველა ის არაკონვენციონალური ენობრივი ფორმა, რომლებზეც შევაჩერეთ ყურადღება ნაშრომის წინა თავებში, გამომდინარე იქიდან, რომ თარგმანის პრაგმატული ასპექტების თვალსაზრისით, როგორც ადრე ითქვა, განსაკუთრებულ ინტერესს შეიცავს ენის ფუნქციონირების ის შემთხვევები, რომლებიც ჭარბად შეიცავს ენის სოციოლინგვისტურ და ფსიქოლინგვისტურ მახასიათებლებს, ანუ ისეთ ენობრივ ფორმებს, რომლებიც თავისი უნიკალურობისა და უთარგმნელობის გამო წარმოქმნიან ლინგვისტილისტური ხასიათის პრობლემებს თარგმანის პროცესში.

ცოცხალ საუბრებში რეალიზებულ სამეტყველო აქტთა და

პროზაულ მხატვრულ ტექსტებს შორის გარკვეული პარალელიზმი აღინიშნება. ლიტერატურულ კომუნიკაციას, ისევე როგორც ადამიანთა ყოველდღიურ საუბრებს, ისეთი პრაგმატული პარამეტრები ახასიათებს, როგორცაა: კომუნიკაციის სუბიექტი, მისი ინტენცია, გამოხატული შეტყობინების ტექსტის ფუნქციონალურ დომინანტებში, და ადრესატი, რომელსაც უკავშირდება კომუნიკაციის პერლოკუციური ეფექტი. ეს უკანასკნელი, მხატვრული ტექსტის შემთხვევაში, ესთეტიკურ ზემოქმედებაში მდგომარეობს.

ჩვენ მიერ საანალიზოდ წარმოდგენილი მასალა საინტერესოა იმ თვალსაზრისით, რომ მასში განსხვავებულადაა წარმოდგენილი როგორც კომუნიკაციის სუბიექტი, ასევე შეტყობინების ადრესატის ფაქტორი. საყმაწვილო ლიტერატურის ნიმუშში თხრობა მაქსიმალურადაა ორიენტირებული საყმაწვილო ასაკის ადრესატის თეზაურუსზე, ანუ, მეტაფორულად თუ ვიტყვი, მასში მკაცრადაა დაცული „ადრესატის უფლებები“. ცნობიერების ნაკადის მხატვრული რეპროდუქციის შემთხვევაში კი ადრესატი (მკითხველი) პირისპირ რჩება პერსონაჟის გაშიშვლებულ ქვეცნობიერ სამყაროსთან, ავტორისმიერი შუამავლობის გარეშე, რაც უჩვეულოა ეპიკური ჟანრებისათვის დამახასიათებელ ე. წ. აუქტორალურ თხრობას შეჩვეული მკითხველისათვის, რომელიც ერთგვარად განებრივებულიც კია ავტორის მიერ იმდენად, რამდენადაც ეს უკანასკნელი უადვილებს მას ნაწარმოების აღქმას, ამყარებს ერთმანეთზე გარდამავალ ფაბულურ ელემენტთა გამაერთიანებელ წესრიგს, თანმიმდევრულად განაღებებს მათ დროსა და სივრცეში და ერთგვარ მეგზურობას უწევს მკითხველს თხრობის პროცესში. ამდენად, ასეთი შუამავლის გარეშე დარჩენილი მკითხველის „უფლებები“ გარკვეულწილად „ილახება“.

მაგრამ მკითხველის უშუალო კონტაქტი პერსონაჟის ცნობიერებაში მიმდინარე პროცესების „რეპორტაჟთან“, რა თქმა უნდა, თავად ავტორის მიერ შექმნილი ილუზიაა და რაგინდ სუბიექტური და ამორფულიც არ უნდა იყოს გმირის სამეტყველო პლანი, იგი მაინც ემორჩილება შეცნობისათვის სავალდებულო პირობებს, რათა ლიტერატურული კომუნიკაციის აქტი სრულყოფილად განხორციელდეს. სწორედ ამას აწესრიგებს გმირის მონოლოგს ამოფარებული ავტორის ფარული ხელი.

* * *

„ცნობიერების ნაკადის“ სახელით ცნობილი ინგლისური მოდერ-
ნისტული ლიტერატურის ნიმუშებს და, კერძოდ, ჯ. ჯოისის იმ
ნაწარმოებებს, რომლებშიც ეს ტექნიკა გამოყენებული, ლიტერ-
ატურული და ენობრივი ექსპერიმენტის სტატუსი აქვთ მინიჭებუ-
ლი. ისინი თითქმის ერთხმადაა მიკუთვნებული უთარგმნელობის
ნიშნით აღბეჭდილი ლიტერატურის კატეგორიას. ეს ლიტერა-
ტურული საოცრება, შეიძლება ითქვას, სრულიად უცხოა და
გაუშინაურებელი ქართველი მკითხველისათვის, რამდენადაც ვერც
თხრობის სპეციფიკური ტექნიკის მხრივ და ვერც უკიდურესად
გამბედავი, უჩვეულო ესთეტიკითა და ენობრივი კურიოზებით აშკარად
ვერ მოვუძებნით მას ანალოგს ვერც ქართულ მთარგმნელობით
ლიტერატურაში და, მით უფრო, ეროვნულ მწერლობაში, რის
ბაზაზეც იქმნება საერთოდ მკითხველის ლიტერატურული გა-
მოცდილება და გემოვნება. უფრო მეტიც, ცნობიერების ნაკადის
მწერლობა დიდხანს გაუშინაურებელი რჩებოდა თავად ინგლისურ-
ენოვანი მკითხველისთვისაც და იმ ლიტერატურული კულტურ-
ისთვის, რომლის წიაღშიც იგი აღმოცენდა. ამდენად, ჯ. ჯოისის
ნაწარმოებების „ულისესა“ და „ჯაკომო ჯოისის“ თარგმანებმა,*
რომლებშიც მთარგმნელი ცდილობს შეგვიქმნას მაქსიმალურად
მიახლოებული წარმოდგენა ავტორის სტილურ სიახლეებზე, მო-
სალოდნელია, ქართველ მკითხველში უცხოობისა და უჩვეულო-
ბის განცდა გამოიწვიოს. არის ისეთი საფრთხეც, რომ ამ განცდის
მიზეზი მთლიანად გადაბრალდეს მთარგმნელს. არადა ჯოისის
სტილის ადაპტაცია რაიმე ნორმებთან და ლიტერატურულ
ტრადიციებთან მისი სტილის განადგურებას ნიშნავს. მთარგმნელ-
ის პრაგმატული მიზანმიმართება ამ შემთხვევაში იმაში მდგომარ-
ეობს, რომ ავტორს თარგმანშიც შეუნარჩუნოს სწორედ ის ნიშ-
ნები, რომლებშიც ვლინდება მისი ნოვატორობა და თვითმყოფა-
ლობა. ამიტომ ენობრივი კურიოზები თარგმანის ტექსტში არ
შეიძლება შეფასდეს როგორც ვისიმე დაუდევარი დამოკიდებულე-
ბა ენობრივ ფენომენტთან, ეს ის ფორმალური მახასიათებლებია,
რაშიც ვლინდება თავად ავტორის ენობრივი ექსპერიმენტი.

მიუხედავად იმისა, რომ მთარგმნელი არც თუ ბოლომდე შე-
ჰყვება ხოლმე ავტორს ამ ენობრივ ექსპერიმენტში, ცდილობს
შეარბილოს მისი სიმძაფრე იმით, რომ ხშირად გვერდს უვლის

* ორივე ნაწარმოების თარგმანი შესრულებულია ცნობილი ლიტერატორისა და მთარგმ-
ნელის ნ. ყიასშვილის მიერ.

თავდაყირა დაყენებულ სინტაქსურ კონსტრუქციას, ცდილობს თანდათან შეაჩვიოს მკითხველი შეუჩვეველს და შედარებით უმტკივნეულოდ შეიყვანოს იგი უჩვეულო ენობრივ სამყაროში, მაინც არსებითად ახერხებს ავტორისეული ტენდენციების ანალოგიზაციას სხვა ენობრივ მასალაში. ხელოვნების მოვლენებში ასეთ იმპულსებს, შესაძლოა, მეტი მნიშვნელობა ენიჭება, ვიდრე მაქსიმალურ სიზუსტეს (ამაში ვხედავთ სტილისტური ირადიაციის ეფექტის ძალას) და თუ რომელიმე წინადადება ან სიტყვათმავარმოებელი მოდელი არ ემორჩილება გამონათქვამის გაწყობის კონვენციონალურ ნორმებს, სწორედ ამ ნიშნითაა იგი ჯოისისებური.

კონკრეტულ ენობრივ ფორმათა განხილვამდე საჭიროდ ვცნობთ, ორიოდე სიტყვით განვმარტოთ, თუ ავტორის რა იდეურ-ესთეტიკური კონცეფცია უდევს საფუძვლად მის ჟანრულ და ენობრივ ნოვატორობას, რადგან ამისი გააზრების გარეშე ძნელია შეფასდეს თარგმანში რეალიზებული მეთოდი.

ავტორის მხატვრული ჩანაფიქრი, რომელიც განაპირობებს მისი ნაწარმოებების სტილისტურ სიახლეს, იმაში მდგომარეობს, რომ ადამიანის მოდემის ერთეულ და ამასთანავე მეტად განზოგადებულ წარმომადგენელთა შინაგანი სამყაროს გაშიშვლებით გამოამზეუროს თავისი დროის, კრიზისული ეპოქის ადამიანის ინერტული, პარალიზებული, უაზრო და უნიათო არსებობის ტრაგიკომიკურობა, მისი ბუნების შელამაზებისა და რომანტიზაციის გარეშე. მწერლის მიზანია იმგვარად გადაგვიშალოს წინ ადამიანის ცნობიერი და ქვეცნობიერი სამყარო, რომ მისმა მხატვრულმა მოდელმა, საავტორო ტექსტის მინიმალური ჩარევით, გამოავლინოს ადამიანის ფიზიკური და სულიერი ცხოვრების უაზრობა (148, 149).

რომანისტიკაში არაერთგზის ნაცადი თხრობის კომპოზიციური მოდელები, ისევე როგორც ფსიქოლოგიური პროზის ტრადიციული ხერხი – შინაგანი მონოლოგი, უკვე აღარ ესახება ჯოისს ტევად ფორმებად ასეთი ჩანაფიქრისთვის. მისი მიზანია არა თხრობა გმირის შინაგანი მდგომარეობის შესახებ, არამედ მისი შინაგანი სამყაროს უშუალო რეპროდუქცია, ადამიანის ცნობიერებაში მიმდინარე პროცესების „ფოტოგრაფირება“, გმირის „ფსიქოგრამის“ ჩაწერა. ამდენად, მთხრობელი ავტორის ტექსტი, რომელიც ასეთი არსებითია ეპიკური ჟანრებისათვის, ჯოისის კომპოზიციურ მოდელში ისეთივე უმნიშვნელო როლს ასრულებს, როგორც თვითონ რეალური პლანი – მოქმედებათა განვითარება. რომანში აღწერ-

ილი მოქმედება სხვა არაფერია თუ არა პერსონაჟის ერთდღიანი არსებობის მოსაწყენი რეალობა. რომანის მთელ დანარჩენ მოცულობას ამოავსებს მის ცნობიერებაში მიმდინარე ბუნებრივი პროცესის „რეპორტაჟი“, რომელშიც დაფიქსირებულია გმირის ყოველწამიერი რეფლექსი, მისი ემოციური რეაქცია მხედველობითსა თუ სმენით აღქმაზე, მისი შინაგანი მედიტაცია, ასოციაციათა უსასრულოდ გრძელი ჯაჭვი. ეს არის გმირის ცნობიერების აქტივობა ერთი დღის მანძილზე.

თავისუფალ ასოციაციათა დინებას მწერალი წარმოგვიდგენს ისეთივე იმანენტურად ქაოტური სახით, როგორადაც ისინი იბადებიან ადამიანის ცნობიერებაში მისი წარსული გამოცდილებისა და ახლანდელი არსებობის შეგრძნებათა მუდმივი შეჯახებისას. მაგრამ ქაოტურობის ილუზია საგანგებო მხატვრული ხერხია, გამოყენებული იმისათვის, რომ ცნობიერების ნაკადის მხატვრული ანალოგი რაც შეიძლება მეტად დაემსგავსოს თავის ფსიქოლოგიურ ანალოგს. სინამდვილეში მწერალი ცდომილი ასოციაციებიდან თავისი ფოტოკამერის ფოკუსში მოაქცევს მხოლოდ ისეთ რგოლებს, რომლებიც მხატვრული განზოგადებისთვისაა საჭირო. სხვაგვარად ამას ყველაფერს მხატვრული ღირებულება არ ექნებოდა.

ცნობიერების მხატვრულ ტრანსფორმაციას, რა თქმა უნდა, სჭირდება ისეთი პირობითი სამეტყველო გაფორმება, რომელიც შეუნარჩუნებს მას უკიდურესად სუბიექტურისა და პირადულის ილუზიას, მაგრამ ისე, რომ ეს ლატენტური პროცესი ვარგისი იყოს გარედან დაკვირვებისა და შეცნობისათვის. სათანადო გაფორმების საშუალებათა ძიებამ მწერალი მიიყვანა სპეციფიკურ ლინგვისტურ ფორმებთან. ამიტომაც ჯოისის სიტყვა ძალზე სუბიექტური მნიშვნელობით დატვირთული, ამით აიხსნება მისი სითამამე სიტყვათა თხზვაში, მისი ფრივოლური შეთამაშება სიტყვათა ხმოვანებასთან და ლექსიკურ სიახლეთა მრავალი სხვა მოვლენა.

იგივე უნდა ითქვას სპეციფიკურ სინტაქსურ ფორმებზე, რომლებიც ასევე მიმართულია იქით, რომ შეგვიქმნას აზრის ფორმირების მეტყველებამდელი დონის ილუზია. ასოციაციამ თუ გონებაში გაელვებულმა წამიერმა ხილვამ შეუძლებელია მიიღოს ლოგიკურად და სინტაქსურად ორგანიზებული გამონათქვამის სახე. ამიტომაც საგანგებოდ დახლეჩილი გამონათქვამი, ამით აიხსნება უზმნო ანუ უქვემდებარო წინადადებათა სიხშირე, რომლებშიც ისეა დაწინხილი აზრი, რომ, ერთი შეხედვით, ამოუხსნელ ენიგმად გვესახება.

ჯოისთან მრავლადაა ისეთი ენობრივი ფორმები, რომლებსაც ძნელია მისცე ზუსტი ლინგვისტური კვალიფიკაცია და მოურგო სათანადო ტერმინი. გრამატიკული თვითკორექციის ფაზას მოკლებული ამგვარი ფორმები ზოგჯერ სწრაფი, სპონტანური მეტყველებისთვისაცაა დამახასიათებელი და მით უფრო მოსალოდნელია აზრის გამონასკვის მეტყველებამდელი დონისათვის, რომლის მხატვრულ „სიმულაციასაც“ ცდილობს ავტორი.

საზოგადოდ, სტრუქტურათა კალკირება უცხო ენიდან არ ეპატიება მთარგმნელს, როცა ეს კალკა ორიგინალის ენობრივი ფორმების ინტერფერენციის შედეგია, მაგრამ თუ ნორმათა დარღვევა მარკირებულია თვით ორიგინალის ტექსტში, მაშინ მათი რეგულარიზაცია თარგმანში აშკარა შეცოდებაა დედნის მიმართ.

სუბიექტურ ხილვათა სხარტი ჩანახატები ჯოისთან ხშირად აისახება ერთმანეთთან დაუკავშირებელ სინტაქსურ კონსტრუქციებში. ერთწევრა ნომინაციურ წინადადებათა სწრაფი მონაცვლეობა და აჩქარებული ტემპი მიმართულია იმაზე, რომ დაგვანახოს იმ წამიერ შთაბეჭდილებათა და ფსიქოლოგიურ ასოციაციათა დინამიკა ადამიანის ცნობიერებაში, რომლებიც, ვირჯინია ვულფის სიტყვებით თუ ვიტყვი, „გამუდმებით აწვიმს ჩვენს ცნობიერებას ჩვენი არსებობის ყოველ მომენტში“. ასეთი ერთწევრა ნომინაციური წინადადებებით არის ხოლმე გაწყობილი ზოგჯერ მთელი ეპიზოდი, მაგალითად, „ჯაკომო ჯოისში“. გმირის ცნობიერებაში დალექილი წარსულის სურათების ასეთ ფრაგმენტულ რეპრეზენტაციას ვხედავთ ქვემოთ მოყვანილ ნაწყვეტში:

“Unreadiness. A bare apartment. Torbid daylight. A long black piano: coffin of music. Poised on its edge a woman’s hat, red – flowered, and umbrella, furled. Her arms: a casque, gules, and blunt spear on a field, sable” (9-62).

„მოუმზადებლობა. შიშველი ბინა, უღიმღამო დღის სინათლე. გრძელი შავი როიალი, მუსიკალური კუბო. ქალის ქუდი მის კიდზე, წითელყვავილგარჭობილი, ქოლგა, დაკეცილი. მისი საგვარეულო გერბი: მუზარადი, წითელი ფერი და ბლაგვი მახვილი შავზოლიან ფარზე“ (23).

იმ სპეციფიკას, რომელსაც ტექსტის რიტმული ორგანიზაციისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს, ვფიქრობთ, არა აქვს დაკარგული ესთეტიკური ღირებულება თარგმანშიც.

ანდა აი, როგორ აღიბეჭდება გმირის ცნობიერებაში ოპერის იაფფასიანი ქანდარა:

Sour reek of armpits, nozzled oranges, melting breast ointments, mastic water, the breath of suppers of sulphorescent farts, oppoponax, the frank sweat of marriageable and married womankind, the soapy stink of men" (9-52).

„იღლიების დამძარბული სიმყრალე, ხარბად გამოხრული ფორთოხლები, მკერდის დამღნარი ნელსაცხებლები, დანამასტიკის სითხე, ნიურიანი ვახშმების გოგირდოვანი სუნთქვა, ფოსფორსუნიანი მყრალი გაზები, ოპოპონაქსი, გასათხოვრად მომწიფებული და გათხოვილი საქალეთის წრფელი ოფლი, კაცების საპნიანი სიმყრალე“ (23).

სუნთა ამ უცნაური სიმფონიის შექმნისას, ვფიქრობთ, თარგმანშიც ჯოისისებური სითამამითა დადებული პალიტრაზე მჭახე, კონტრასტული ფერები.

ერთ-ერთი არსებითი კომპოზიციური ზერხი ჯოისთან, რომელიც გამუდმებით მოქმედებს მთელი ნაწარმოების საზღვრებში, არის საავტორო თხრობითი პლანისა და გმირის სამეტყველო პლანის ურთიერთშეხმიანებისა და ერთმანეთზე დაფენის ტექნიკა.

დავუკვირდეთ გამონათქვამში ამ ორი სამეტყველო პლანის ინტერფერენციის ტექნიკას ორიოდ ფრაგმენტის მაგალითზე. ქვემოთ მოყვანილი გამონათქვამის კონტექსტი, ურომლისოდაც ძნელი იქნებოდა მისი გაშიფვრა, შემდეგში მდგომარეობს: ვინმე ბატონმა დიზიმ სთხოვა სტივენ დედალოსს წაეღო მისი წერილი რედაქციაში. საგაზეთო წერილი ასეთი ფრაზით მთავრდებოდა: „გმადლობთ, რომ თქვენი გაზეთის ფურცლებიდან და ა. შ.“ ეს ფრაზა დიზის წერილიდან, რომელიც ნახსენები იყო ტექსტში რამდენიმე გვერდით ადრე, უეცრად, თავისუფალი ასოციაციის სახით, ამოტივტივდება სტივენის ცნობიერებაში სწორედ იმ წუთს, როცა

იგი, ზღვის ნაპირზე ლოდებზე მდგომი, ეძებს ჯიბეებში ფურცელს ლექსის სტროფის ჩასაწერად და ბოლოს წაახვეს სუფთა ადგილს დიზის წერილის ფურცელს. ამგვარად, „ფურცელი“ ერთგვარი შემაერთებული რგოლია რეალური პლანისა და გმირის ცნობიერებაში გაელვებული აზრისა. ჯოისის ტექნიკა რომ არა, ეს ორი პლანი გამიჯნული იქნებოდა სინტაქსურად დამოუკიდებელ გამონათქვამთა სახით, მაგრამ ტექსტში ვკითხულობთ:

“Old Deazy's letter. Here. Thank you for the hospitality tear the blank end off. Turning his back to the sun he lent over far to a table of rock and scribbled words” (8-40).

„ბატონი დიზის წერილი. აქ არის, გმადლობთ, რომ მომეცით საშუალება თქვენი გაზეთის ფურცლიდან სუფთა ნაწილი შეახვია, ზურგი შეაქცია მხეს, ლოდის მაგიდაზე დაიხარა და სიტყვების წერას შეუდგა“ (22-78).

ვხვდებით ასევე ორი პლანის – რეალურისა და ასოციაციურის ერმანეთზე დაფენის განსხვავებულ ტექნიკასაც. გმირის წამიერი აზრითი რეაქცია იმაზე, რასაც თვალით აღიქვამს რეალურ პლანში, ჩამონტაჟებულია საავტორო თხრობაში ერთწევრა წინადადებათა სახით და გვიქმნის შთაბეჭდილებას გმირის ცნობიერებაში განცდისა და გააზრების სწრაფ მონაცვლეობაზე. სასურსათო მაღაზიაში ბლუმის თვალს იზიდავს მადისაღმძვრელი ძეხვები და ასევე გამაღიზიანებელი მეზობლის ახალგაზრდა მოახლე:

„ღლაგაჩის ვიტრინასთან შეჩერდა. ძეხვის ასხმულას შეხედა. ორმოცდაათი გამრავლებული... გამოუთვლელი რიცხვები გონებაში გაიცრიცა და აღარ მისდია (...) დახლთან მეზობლის გვერდით იდგა. იქნებ იმანაც იყიდოს, ხელში რომ სია უჭირავს და საყიდელს იხსენებს. კანდამსკდარი. სარეცხის სოდა. კიდევ ძეხვი. გირვანქანახვევარი. თვალი ქალის თუძობზე შეაჩერა. უუღბო კაცის გვარი, ნეტავ რას შვრება. ცოლი მოუბერდა. ჯეელი სისხლი.

ჯოისის ენობრივი ექსპერიმენტი არა მარტო სინტაქსურ ფორმებში ვლინდება, არამედ სიტყვათა დონეზეც. სიტყვა მის სამწერლო სტილში ძალზე საინტერესო ფენომენია. სიტყვათა დატვირთვა ინდივიდუალური მნიშვნელობით, მათი ოკაზიური შეხამება, მათი ჰიბრიდიზაცია და სხვ. იმისი მაჩვენებელია, რომ მოვლენათა სუბიექტური აღქმა თითქოს სცილდება სიტყვათა დენოტაციურ მნიშვნელობებს და ვერ აისახება ყველასთვის გასაგებ ლექსებში. ამ გარემოებამ იყო, რომ მისცა საბაბი დასავლეთის ლიტერატურის ზოგიერთ მკვლევარს, დაეშვა ე. წ. „ექსტრალინგვალური ნექსუსის“ და „ჭკუამიღმური ენის“ არსებობაც კი.

უჩვეულოა, მაგალითად, ფერთა აღქმა ჯოისის გმირთა ცნობიერებაში, რამდენადაც ფერი ახასიათებს არა მარტო ფიზიკურ საგნებს, არამედ აბსტრაქტულ მოვლენებსა და ემოციებს. ფერი ძირითადად რთული სიტყვებით არის გამოხატული, რაც ასეთივე გამბედავი კომპოზიტივითაა გადატანილი თარგმანშიც: “shadows of the sindark nave” – ცოდვაშავი ნავის ჩრდილები; eggyolk yellow – კერცხისგულა ყვითელი; sagegreen pasturelands – შალამანდილმწვანე საძოვრები; peagreen cover – მუხუდოსფერმწვანე ფარდა; wheyhued shadows – შრატისფერი ჩრდილები და სხვ.

ავტორის ენობრივი ექსპერიმენტის თანამონაწილე მთარგმნელი ასევე თამამად თხზავს კომპოზიტებს ზოგჯერ ისეთი სიტყვების მაგალითზე, რომლებიც დედნის ერთეულებს არ შეესაბამება, მაგრამ ამით ახდენს იმ ერთეულთა კომპენსაციას, რომელთა გამეორება თარგმანში ვერ ხერხდება. ასე ჩნდება თარგმანში: „მოჟღალო-მოყავისფრო სევედა“. „სისხლისფერყვავილოვანი ხალათი“, „მუშკაბრსურნელოვანი სიმზიარულე“, „ტალღაქათქათა სიტყვების კიაფი“ და მრავალი სხვა.

საგანგებო აღნიშვნის ღირსია ტექსტის ბგერითი ინსტრუმენტირების სპეციფიკა ჯოისთან: ხმაბამბა, ალიტერაცია, ასონანსი, ბგერითი ასოციაციები და სხვ. ბგერათა მაგიურობის მუდმივი განცდა იმაშიც ვლინდება, რომ ყოველი უსულო საგანი მის ტექსტში რაიმე ხმას გამოსცემს. როცა კი არ უნდა დაიჭრიალოს კარმა, საწოლის ზამბარამ, დაიხრიალოს გრამაფონის ძველმა ფირფიტამ თუ ტელეფონმა, დაიშრიალოს ქალაღის ფურცელმა ან ფოთოლმა, დაიხრაშუნოს ქვიშამ და სხვა, ეს მაშინვე უნდა

დაფიქსირდეს გმირის ცნობიერებაში და გამოიწვიოს ახალ ასო-
ციაციათა მოზღვაება. ის, რომ ავტორი გულგრილი არ არის
სიტყვათა ხმოვანების მიმართ, ყოველ ნაბიჯზე შეიგრძნობა და
ასევე თითქმის უკლებლივ მეორდება იგივე ეფექტი თარგმანის
ტექსტშიც. ამისი მაგალითია თუნდაც ქვემოთ მოყვანილი ნაწყვე-
ტი, რომელშიც დამხრჩვალ კაცის გვამის დანახვით გამოწვეული
უსიამოვნო განცდა გადმოცემულია ცივი, სისინა ბგერის (ს) და
უსიამოვნო ჟღერადობის ხორხისმიერი ბგერის (ხ) შემცველი
სიტყვების თავმოყრით ამ პატარა ეპიზოდში:

„ზღვის ბინძურ წყალში დაბნალი, გვამის გაზით სახვე ტომარა.
დამპალი დელიკატესით დასუქებული ლიფსიტების დასტა ნა-
პერწყლებად გამოცეკვა შარვლის ღიღებს შორის (...) მკედრის
სუნთქვით ვსუნთქავ მე ცოცხალი, მკედრის მტვერს ვაბიჯებ,
მკედრების ფსუტიან სინსილას ვსანსლაგ ნავის კოჩოზე მიბმუ-
ლი, გაშეშებული, მწვანე სამარის სიმყრალეს ამოისუნთქავს,
მისი კეთრით გამობრული ცხვირის ნახვრეტი მზეს უხვრენს“
(22-68).

ქართულ თარგმანში ავტორის ენობრივი ნოვატორობის არც
ისეთი გამოვლინება რჩება უპასუხოდ, როგორცაა ან ა გ რ ა-
მ ე ბ ი (მეზობელ სიტყვებში ბგერათშენაცვლების შემთხვევები).
ანაგრამა “clamn dever” (damn clever) ტრანსფორმირებულია ქართულ
თარგმანში როგორც „ნკვიანურია ჭამეტანი“ (ჭკვიანურია ნამეტ-
ანი); „ფეხის სმა მეხმა“ (ფეხის ხმა მესმა). დამახასიათებელია
აგრეთვე ასეთნაირად შეტრიალებული შესიტყვებებიც: „სუფთა
ყლუპის ერთი ჰაერი“ (სუფთა ჰაერის ერთი ყლუპი). ამ ელემენ-
ტებთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ ბგერათშენაცვლება, თუ
ის გარკვეულ სტილისტურ მიზანს არ ემსახურება, მაგალითად,
კალამბურის ეფექტს, და თუ იგი სწრაფი, დაუდევარი მეტყველების
ბუნებრივი თვისების იმიტაციაა, მაშინ იგი მუდამ წარმოსათქმელად
უფრო მოსახერხებელი ვარიანტისკენ, ისეთ ბგერათკომპლექსი-
საკენ მისწრაფებაში ვლინდება, რომელიც უფრო ხშირია ენაში.
ამდენად, „ფეხის სმა მეხმა“ შესაძლოა მართლაც ბუნებრივი
ვარიანტი იყოს ქართულისათვის, მით უფრო, რომ ორივე კომპო-

ნენტი (ფეხი, სმა) ინარჩუნებს დენოტაციურ მნიშვნელობას, რასაც ვერ ვიტყვით მეორე შესიტყვებაზე (ნკვიანურია ჭამეტანი), რომელიც აშკარად უფრო ძნელი წარმოსათქმელია და კორექტურულ შეცდომად უფრო აღიქმება ნაბეჭდ ტექსტში, ვიდრე ანაგრამად.

რაც შეეხება შეტრიალებულ ფრაზას, დაუდევარი მეტყველება ამ შემთხვევაშიც მუდამ რაიმე სტერეოტიპული ფორმისკენ მიილტვის. ამიტომ „სუფთა ყლუპის ერთ ჰაერს“, ვფიქრობთ, აჯობებდა — ერთი ჰაერის სუფთა ყლუპი, მით უფრო, თუ გავისხენებთ სტერეოტიპულ ქართულ ფრაზებს: ერთი მუჭა მარილი, ერთი პეშვი წყალი, ერთი ყლუპი ღვინო და სხვა, რომლებშიც სიტყვა „ერთი“ არის ხოლმე პირველ პოზიციაში. ასეთი სიტყვათწყობა უფრო გაუადვილებდა მკითხველს სათანადო ეფექტის შეცნობას. ეფექტის გადანაცვლების შემთხვევათა სიხშირე ჯოისის ტექსტის თარგმანში იმისი მაჩვენებელია, რომ მთარგმნელი მექანიკურად და ნატურალისტურად არ იმეორებს ავტორის ენობრივ სპეციფიკას, უფრო მეტიც, ხშირ შემთხვევაში იგი თვითონვე ხდება ავტორის ენობრივი ექსპერიმენტის თანამონაწილე. ამ მხრივ ძალზე გაბედულ ინიციატივასაც ვხვდებით თარგმანებში, განსაკუთრებით კი — „ულისეში“. ასე მაგალითად, ჯოისისეულ პ ა ლ ი ნ დ რ - ო მ ს (“Madam I’m Adam”) მთარგმნელი ანაცვლებს პალინდრომის ქართული კლასიკური მაგალითით — „აერების სიბერეა.“ ეს კი საკმაოდ საზიფათო ინიციატივაა, რამდენადაც გალაკტიონის ასეთმა შეუნიღბავმა სტრიქონმა, ჯოისის ტექსტის მრავალრიცხოვან ლიტერატურულ აღუზიათა ფონზე, შეიძლება აფიქრებინოს მკითხველს, რომ ესეც აღუზიათა (?!), მაგრამ მეორე მხრივ, ინგლისური პალინდრომის ნატურალისტური გადატანა თარგმანში არავითარ შთაბეჭდილებას არ მოახდენდა ქართულ ენაზე და საეჭვოა, რომ მკითხველს საერთოდ შეეცნო პალინდრომის ეფექტი. ამას გარდა, „აერების სიბერეა“ კარგად შეეწყო „ეოლოსის“ ეპიზოდს თუნდაც იმიტომ, რომ ამ ნაწყვეტში აქცენტირებულ ქარის ქროლვას და ზოგად განწყობილებას აშკარად შეეხმიანა.

მთარგმნელის შემოქმედებითი ინიციატივის გამოვლენის სხვა მაგალითებსაც მრავლად ვხვდებით თარგმანის ტექსტში: კვლავ გალაკტიონისგან დასესხებული და ოდნავ სახეცვლილი ფრაზა — „გარდასულ დღეთა მოსაგონარად“ (“Links with bygone days of yores”), რომელიც ერთ-ერთი ქვეთავის სათაურად გამოუყენებია მთარგმნელს, ან, მაგალითად, გ. ლეონიძის „თოლიას“ ფრაზეოლოგია,

ასეთნაირად გამოყენებული: „სედიანი და მწყრალი თოლია ტალღებს ასკდება თითქოს თოვლია“ (“The dreamy, cloudy gull waves o'er the waters dull”). ეს ხერხი მთარგმნელს, როგორც ჩანს, გამოუყენებია როგორც მინიშნება გამონათქვამის პოეტურ განწყობაზე, თუმცა, ჩვენი აზრით, ასეთი თამამი „ლიტერატურული კრეოლიზაცია“ ერთობ საკამათო ხერხია.

საგულისხმოა ზოგიერთი არარეგულარული ენობრივი ფორმის შეგნებული კ ა ლ კ ი რ ე ბ ა თარგმანში. ეს ის შემთხვევებია, როცა არარეგულარულ ენობრივ ფორმას თავად ორიგინალშიც რაიმე იმპლიკაცია მიეწერება. ასეთია, კერძოდ, შემდეგი ფორმები: „თქვა მისმა მჭექარე ხმამ“. „მისი თვალები სარეკლამო სტენდს ათვალეირებდნენ“, „აუჩქარებელ ფეხებს მდინარისაკენ მიჰყავდა იგი“ და სხვ. (ნაცვლად უფრო გამართული ფორმებისა: „თქვა მან მჭექარე ხმით, სტენდს მიაჰყრო თვალი, აუჩქარებლად წავიდა მდინარისაკენ და სხვ.), მაგრამ საქმე ის არის, რომ ასეთი ფორმები წყარო ენისთვისაც გაუმართავია (“said his voice”; “his slow feet walked him riverward”). არადა დედანში მეთოდურად, ყოველ ფეხის ნაბიჯზე ეხვდებით მათ. ესეც ერთ-ერთი საჭირო დეტალია ჯოისის ტექნიკაში, რომელიც სხეულის ნაწილთა მოქმედებისა და თვით მეტყველების აქტის ან ქცევისა და მოძრაობის განსხვისების, სუბიექტისაგან დამოუკიდებლობის შთაბეჭდილებას გვიქმნის. ეს კი, თავის მხრივ, უფრო მეტად უსვამს ხაზს ადამიანის პასიურ, არაემოციურ დამოკიდებულებას იმისადმი, რასაც აკეთებს მისი ხელი, რასაც ამბობს მისი ხმა, ანუ აძლიერებს ამ მოქმედებათა უნებლიობისა და ავტომატურობის შთაბეჭდილებას.

ჯოისის პროზის კიდევ ერთი თავისებურება, რაც ასევე სათანადო ტრანსპონირებას მოითხოვს თარგმანში, არის მისი ტექსტის პ ო ლ ი ვ ა რ ი ა ნ ტ უ ლ ო ბ ა, მისი არაერთგვაროვანი ტონალობა, რომელიც იცვლება იმისდა მიხედვით, თუ რომელ გმირზეა კონცენტრირებული ავტორის ყურადღება ამა თუ იმ ეპიზოდში. ეს მოვლენა თავს იჩენს უმეტესად ორი გმირის — სტივენ დედალოსისა და ლეოპოლდ ბლუმის ცნობიერებაში მიმდინარე პროცესთა რეპროდუქციისას. სტივენი პოეტია, ფილოსოფოსი, მისი სამეტყველო პლანიც შესაბამისი ლექსიკონით ფორმდება. იგი ფილოსოფიური ცნებებით აზროვნებს, მისი ეპიზოდები გადატვირთულია მრავალგვარი ალუზიებით, ხშირია პოეტურ-მეტაფორული აზროვნების ფორმები. ბლუმის ეპიზო-

დები თვისებრივად განსხვავდება როგორც აზრობრივი დატვირთვით, ასევე სამეტყველო გაფორმებითაც. ამ საკმარად განათლებული, საშუალო ბიურგერის ცოდნა მაინც ქრესტომათიულია, საცნობარო ლიტერატურიდან შეძენილი. ამას მოწმობს მისი ფსევდოპეცნიერული მსჯელობანი, ხოლო ცხოვრებისეული პრაქტიციზმი, სულიერი და ფიზიკური იმპოტენცია გარკვეულწილად აირეკლება მისი აზროვნების შინაარსშიც და სამეტყველო ჩვევებშიც. ეს არის მძაფრი, ურცხვი და არადელიკატური, ხან კი – ბულვარული ლიტერატურის იაფფასიანი მხატვრულობით შეფერილი ერთეულები. ალუზიებიც ბლუმის ეპიზოდებში პოპულარული ოპერეტებისა და სიმღერების რეპერტუარს შეესაბამება.

ქვემოთ მოყვანილ ნაწყვეტს სტივენის ეპიზოდის თარგმანიდან აშკარად ეტყობა პოეტური სტილიზაცია. სათანადო ეფექტს კი ქმნის ჭარბი მეტაფორიზაცია, ნართანიანი ფორმების მოზღვავება, სინტაქსური პარალელიზმი, ზმნური ფორმების სიჭარბით შექმნილი დინამიკურობა და თითქოს წყალმცენარეთა ლივლივს აყოლებული რიტმი.

„ზღვის მოკტევის ტალღებში ხედავდა წამებისაგან დაგრეხილ წყალმცენარეებს, განაზებულნი ზანტ ხელებს რომ ასავსაებდნენ, კაბის კალთებს რომ იწვედნენ ზევით, წყლის ბუტბუტში რომ ირწვოდნენ და ვერცხლის მორცხვ ფოთლებს ატრიალებდნენ. ყოველდღე, ყოველდამ, აიწევა, მოედინება და ეცემა. ღმერთო, დაიღალნენ და ჩურჩულს ოხვრით პასუხობენ. წმინდა ამბროსიმ გაიგონა ფოთლებისა და ტალღების კვნესა, როგორ იცდიან, ელოდებიან, თუ როდის დადგება მათი ჟამი (...) უმიზნოდ შექუჩებულნი, მერმე ნებაზე მიშვებულნი, მომჩქეფარენი და უკან გაბრუნებულნი: მთვარის ნებაზე. ისიც მიჯნურია მზერით დაღალული, თავის სამფლობელოში აელვარებული შიშველი ქალი ზვირთებს იზიდავს თავისკენ“ (22-67).

აშკარად კონტრასტულია თავისი ტონალობით ქვემოთ წარმოდგენილი ნაწყვეტი ბლუმის შინაგანი მედიტაციიდან სასაფლაოზე ყოფნისას, სადაც ადამიანის მიწადქცევის ტრაგიკული რეალობა მოულოდნელად კომიკურადაა წარმოდგენილი და, შესაბამისად,

უფრო დაბალი რეპუტაციის ლექსიკით და უხეში სასაუბრო ფრაზეოლოგიითაა გაფორმებული:

„ბატონმა კენანმა საზეიმო ხმით წარმოთქვა – მე ვარ აღდგომა და ცხონება. კაცს შიგ გულში წვდება.

– ნამდვილად – თქვა ბლუმმა. შენს გულს შეიძლება წვდება, მაგრამ რა ჭირად უნდა იმას, ვინც სული განუტევა და ექვს ფუტ სიგრძესა და ორ ფუტ სიგანეს ზომავს? (...) დამსხვრეული გული. ბოლოს და ბოლოს ტუმბო, ყოველ დღე ათსობით გაღონ სისხლს რომ ტუმბავს. ერთ მშვენიერ დღეს დაეცობა და მოგჭამა ჭირი. აქ რამდენიც გინდა ყრია ფილტვები, გულები, ღვიძლები, ძველი დაჟანგული ტუმბოები: გათავდა და მორჩა. აღდგომა და ცხონება. ერთი რომ მოკვდები, მკვდარი ხარ და მკვდარი. ახლა კიდევ განკითხვის დღეო. ყველას საფლავებიდან ამოყრიან. ლაზარე, გამოვედ გარე! ისიც გამოვიდა და ადგილიც დაკარგა. აშვედით! განკითხვის დღეა! და ბიჭებიც გაფაციცებით დაეძებენ თავის ღვიძლს, ფილტვებს და სხვა ზარახურას“

(22-87).

ჯოისის შემოქმედებითი მეთოდი მკაცრად გამორიცხავს ამა თუ იმ სტანდარტიზებული ლიტერატურული სტილის ნორმების გამოყენებას. პირიქით, მისი პროზა ამ სტილთა უარყოფისკენაა მიმართული და მიუხედავად ამისა, ჯოისის ტექსტისთვის დამახასიათებელია სტილიზებული პოლივიარიანტულობაც. შეუძლებელია არ შევიგრძნოთ დროდადრო რომანტიკული პათოსი და ინტონაცია, ორატორული სტილის რიტორიკა და შემართება, გაცვეთილი საგაზეთო კლიშეებით დატვირთული. სტილი ან სასულიერო მწერლობის ზეაწეულობა. მხატვრული თუ არამხატვრული პროზის ამა თუ ის სტილის პაროდირება განსხვავებულ ექსპრესიულ მიზანს ემსახურება რომანის სხვადასხვა ნაწილში. პაროდირებული სტილი ზოგჯერ მისი გმირების განწყობას ესადაგება, ხანაც გამიზნულია ტექსტის ტრაგიკომიკური ეფექტის გასაძლიერებლად. ტექსტის სტილისტურ ნიშანთა ასეთი ყოველწამიერი შეცვლა

ძალზე დიდი გამოცდაა მთარგმნელის კომუნიკაციური კომპეტენციისათვის, რამდენადაც საჭირო ხდება ინერციიდან სწრაფი გამოსვლა და ახალ სტილისტურ შრეებზე გადასვლა, შესაბამისი რეგისტრის გამონახვა – პათეტიკურ-რიტორიკული ამაღლებული ჟანრიდან დაბალ ჟანრზე გადასვლა, რომელიც ხშირად უწმაწური ქუჩური სიმღერების სახითაა წარმოდგენილი.

ასეა, როგორც რომანტიკული სტილის პაროდირება შეიგრძნობა ქვემოთ მოყვანილ ზეაწეული ტონალობის ფრაგმენტში:

“That stony effigy in frozen music, horned and terrible, of the human form divine, that eternal symbol of wisdom and prophesy which, if aught that the imagination or the hand of sculptor has wrought in marble of soultransfigured and of soultransfiguring deserves to live, deserves to live” (8-115).

„გაქვავებული მუსიკა, ადამიანის ღვთაებრივი სახის ეს რქოსანი და საზარელი ქანდაკი, სიბრძნისა და გულთმხილველობის მარადი სიმბოლო, მოქანდაკის ხელითა თუ წარმოსახვით განსულიერებული და განმასულიერებელი, ღირსია უკვდავებისა“ (22-187).

ძნელი არ არის შევიცნოთ ორატორული მეტყველების ნიშნები მომდევნო ნაწყვეტში:

“Why will you jews not accept our culture, our religion and our language? (...) You pray to a local and obscure idol: our temples, majestic and mysterious, are the abodes of Isis and Osiris, of Horus and Ammon Ra. Yours serfdom, awe and humbleness: ours thunders and seas. Israel is weak and few are her children: Egypt is an host and terrible are her arms. Vagrants and daylabourers are you called: the world trembles at our name” (8-117).

ორიგინალის საზეიმოდ ზეაწეულ ტონალობას, რომელიც იქმნება სტილისტური ინვერსიისა და ელიფსური წინადადებების ჭარბი გამოყენებით, ვფიქრობთ, თავისი პათეტიკური ეფექტით არც თარგმანის ტექსტი ჩამორჩება. კონსტრუქციითა პარალელ-

იზმი, სიმეტრია, ლექსიკის დახვეწილობა, ნართანიანი მრავლობითის ფორმები და ინვერტირებული კონსტრუქციები თარგმანის ტექსტში უდავოდ ქმნის ანალოგიურ ეფექტს:

„რატომ არ გინდათ იუდეველნო, მიიღოთ ჩვენი კულტურა? ჩვენი რელიგია, ჩვენი ენა? (...) თქვენ თქვენი ადგილის ბნელ კერპს ეთყვანებით: ჩვენი ტაძრები, დიდებულნი, და იღუმალნი, ისიდასა და ოსირისისა, ჰორუსისა და ამონ რას სამყოფელებია. თქვენი ხედურია მონობა, ძრწოლა და მორჩილება: ჩვენი – ქუხილი და ზღვები. ისრაელი სუსტია და ცოტა ჰყავს ძენი: ეგვიპტე ლაშქარია დიდი და იარაღი მისი საშინელია. მაწან-წალებსა და მეღლეურებს გიხმობენ: მსოფლიო ძრწის ჩვენი სახელის ხსენებაზე“ (22-191).

უდავოდ კონტრასტული ტონალობა შეაქვს ტექსტში ქვემოთ მოყვანილი ქურუი სიმღერის ანალოგიურ სტროფებს:

“Oh, Mairy lost the pin of her drawers
She didn't know what to do,
To keep it up
To keep it up” (8-64).

„მარიამ იცის ნიფხვის ტოტების
დაბმის წესი და რიგი
ქინძისთავს მაინც ნურსად დაკარგავს
რომ არ ჩავარდეს იგი“ (22-103).

ორიოდე სიტყვით უნდა შევეხოთ ასევე ჯოისის სპეციფიკური სტილისტური ფიგურებისა და ტროპების თარგმანში ტრანსპოზიციის საკითხსაც. მწერალი საგანგებოდ ამბობს უარს სტანდარტიზებულ სტილისტურ ხერხებზე. „ულისეში“, მაგალითად, ამ საკმაროდ დიდი მოცულობის ნაწარმოებში, რომელშიც ხშირია შთამბეჭდავი ხატოვნება, მაინც თითებზე ჩამოსათვლელია ისეთი ტროპები, რომლებიც სტრუქტურულად მორგებულია ტრადიციულ მოდელებს.

ასე მაგალითად, ქვემოთ მოყვანილი შედარება აშკარად ექსპრესიულია, მაგრამ სტრუქტურულად მინც ტრადიციული: "On her cheek a soft stain of ink, recent and damp as a snail's bed" („ლოყაზე აჩნდა მელნის ლაქა, ახალი და სველი, როგორც ლოკოკინას ნაკვალევი“). ადვილად შესაცნობი მეტაფორაა ასევე ალიტერაციით გაწყობილ შემდეგ გამონათქვამში: "He had come nearer the edge of the sea and wet sand slapped his boots" („ზღვასთან ახლოს მივიდა და სველმა სილამ სილა გააწნა“). მაგრამ როგორც აღვნიშნეთ, ანალოგიური ტროპები ძალზე იშვიათია ჯოისთან და ხატოვანება მეტწილად უფრო ეკონომიურ, უფრო შეკუმშულ ფორმებშია რეალიზებული, უჩვეულო შესიტყვებებში, რომლებშიც მსაზღვრელი ორ ან სამფუძიანი სიტყვაა, რის გამოც შედარება შეკუმშულია რთული სტრუქტურის ეპითეტში: winedark sea – ღინომუქი ზღვა, cheeseparng nose – ყველისქერქა ცხვირი, peacocktwittering lashes – ფარშავანგციმციმა წამწამები, shamefaced peaches – მორცხვლაწვიანი ატმები.

შ ე კ ვ ე ც ი ლ ი მ ე ტ ა ფ ო რ ე ბ ი ს ეფექტი შეიგრძნობა ასეთ ეპითეტებშიც: „დანაცრულსუნთქვიანი ქალის ლანდი“, „დაშაქრული სუნთქვა“, „ნისკარტისისხლიანი ცხვირები“, რომლებსაც ავტორის კვალდაკვალ სიტყვათა მოულოდნელი შეჯვარებით ქმნის მთარგმნელიც.

ვფიქრობთ, პოეტურობით და მეტაფორულობით გამორჩეული ერთ-ერთი ფრაგმენტი დედალოსის ეპიზოდთან, რომელიც სწორედ იმ ნიშნითაა ჯოისისებური, რომ ერთ ლექსემაში ოთხი სიტყვის ძირია შეჯვარებული (თეთრი, ქარი, ლაგამი, ამოდება), იმისი დასტურია, რომ მთარგმანის ენამაც მაღალპროფესიული მთარგმნელის ხელში შეიძლება დაუძაბავად აიტანოს ჯოისისეული ენობრივი ექსპერიმენტის არაერთი გამოვლინება:

"Airs romped round him, nipping and eager airs. They are coming, waves. The whitemaned seahorses, champng, brightwind bridled, the seeds of Mananaan" (8-64).

„ქარმა დაუბერა. სუსხავს, თითქოს იკბინებო. მოდიან ტალღები, თუთრაფორიანი ზღვის ცხენები. ლაგამის კენტიო, თ ე თ რ ქ ა რ ლ ა გ ა მ ა მ ო ღ ე ბ უ ლ ი მანანანის ბედაურები“ (22-51).

ჯოისისებურად სუბიექტურია შეკვეცილ მეტაფორებში გამოხატული „ჯაკომო ჯოისის“ გმირის ასოციაციები, რომლებსაც მის ცნობიერებაში იწვევს დანახული ან გაგონილი: “witless shellfish swan in the gross lenses to and fro, seeking outlet” („უაზრო მოლუსკები დიდ ლინზებში დაცურავენ და უკან გამოსასვლელს ეძებდნენ“) – ასე აღიბეჭდება გმირის ცნობიერებაში სათვალისანი კაცის თვალები; “lush grass, the hair of graves” (ფუშფუშა ბალახი, საფლავების თმა); “a long black piano: coffin of music” (დიდი შავი როიალი, მუსიკალური კუბო).

არანაკლებ დამახასიათებელია ჯოისის სტილისათვის კ ა ლ ა მ ბ უ რ ე ბ ი, რომლებიც, როგორც ზემოთ ითქვა, საზოგადოდ უთარგმნელ ელემენტთა კატეგორიას განეკუთვნება. კალამბური ჯოისთან მეტწილად ინდივიდუალური სიტყვათწარმოების საშუალებით იქმნება, რაც კიდევ ერთი დასტურია მისი თავისუფალი, ყოველგვარ პირობითობას მოკლებული დამოკიდებულებისა სიტყვებთან. ჯოისის მთარგმნელი აქაც პოულობს გამოსავალს. მოვიყვანთ ამ უთარგმნელი ელემენტის თარგმანში ტრანსპოზიციის ერთ-ერთ მაგალითს:

“She used to say, Ben Dollard had a base barreltone voice. He has legs like barrels and you’d think he was singing into a barrel. Isn’t that wit. They used to call him big Ben. Not half as witty as calling him base barreltone. Appetite like an Albatross. Get outside of a bacon of beef. Powerful man he was at stowing away number one Bass. Barrel of Bass. See? It all works out” (8-126).

კალამბურის ეფექტი, როგორც ვხედავთ, იქმნება სიტყვების: “Bass” – ლუდის სახეობა, “base” და “barrel”-ის გათამაშებით – “base barreltone” მამაკაცის ხმის “base-baritone”-თან გართმული ნეოლოგიზმით. აქედან წარმოსდგა თარგმანში სიტყვა „კასრიტონი“, რომელიც ასევე „ბარიტონთან“ გართმული სიტყვაა:

„აკი იტყოდა ზოლმე, ბენ დოლარდს ბას-კასრიტონი აქვსო. ფეხები კასრებს მიუგავს და თანაც გეგონებათ კასრში თავჩაყოფილი მღერისო. განა ეს გონებამახვილობა არ არის? ბიგ ბენს ეძახდნენ, გაცილებით უფრო გონებამახვილურია

ბას-კასრიტონი, ალბატროსის მადა ჰქონდა. კარგა ზორბა როს-
ტბიფს მოუვლიდა ხოლმე და ბასის ლუდსაც გვარიანად ერეოდა.
ბასის კასრი. ხედავ? ყველაფერი სწორად აეწყო“ (22-205).

მრავალი სპეციფიკური ენობრივი ფორმის აქტივიზაცია ჯოისთან პირდაპირ კავშირშია ცნობიერების ნაკადის ტექნიკის საერთო ტენდენციებთან, რაც გამოიხატება, ერთი მხრივ, აზრის გამოხატვის მაქსიმალურად ეკონომიურ ფორმებში და, მეორე მხრივ, — საგანთა და მოვლენათა უკიდურესად სუბიექტურ ხედვასა და შეფასებაში. მთარგმნელის პრაგმატული ორიენტაცია ფორმის ანალოგიზაციაზე, ამ შემთხვევაში, ამართლებს როგორც თხრობის არაკონვენციონალური გაწყობის კომპოზიციურ ფორმებს, კურიოზულ პუნქტუაციას, არანორმატიულ პარალინგვისტურ საშუალებებს (ვგულისხმობთ შრიფტის ცვლას, ტექსტის დახლქანას მცირე სევმენტებად და სხვ.), ასევე ზოგიერთი ენობრივი ოკაზიონალიზმის ნატურალისტურ გადაღებას თარგმანის ტექსტში. ამ ფორმათა რეგულარიზაცია და ადაპტაცია თარგმანის მიმღები ლიტერატურის კომპოზიციურ და ჟანრულ ტრადიციულ ნორმებთან ავტორის ინდივიდუალური სამწერლო სტილის სრული განეიტრალების ტოლფასი იქნებოდა.

ჯოისის თარგმანის სირთულეს აპირობებს არა მარტო ის სპეციფიკა, რომელიც ნაწარმოების ზედაპირულ შრეებში იჩენს თავს, არამედ მხატვრული თხრობის ორგანიზაციის სიღრმისეული ფორმებიც. ტექსტუალურად დაშორებული პარალელები, ბიბლიურ-მითოლოგიური რემინისცენციები, არც თუ ადვილად გასაშიფრი პარაბოლები, სიმბოლიკა, ლიტერატურულ-ფოლკლორული რემინისცენციები და სხვა. ამდენად, ყოველ სიტყვასა თუ ფრაზაში შესაძლოა აღმოჩნდეს გასაღები ამა თუ იმ ენიგმის ამოსახსნელად. ამიტომ აშკარაა, რომ ტექსტის კვალიფიციური კომენტატორის დახმარების გარეშე ბევრი მნიშვნელოვანი დეტალი შეიძლება შეუცნობელი დარჩეს მკითხველს, რომელსაც ვერ მოვთხოვთ ერთნაირად იყოს გათვითცნობიერებული ფილოსოფიურ ცნებებსა და მეცნიერებისა და კულტურის მრავალგვარ დეტალებში. რეალიათა და ალუზიათა განუზომელი სიჭარბის გამო ტექსტის პრაგმატული მოდიფიკაციის ისეთი სახეობა, როგორიცაა განმარტებითი, ადაპტაციური თარგმანი (შინატექსტობრივი კომენტარები) თვისებრივად შეცვლიდა ტექსტის რიტმსა და თხრობის ტემპს. ამდენად,

ტექსტის გარეთ გამოტანილი კომენტარები აუცილებელ დანართად მიგვაჩნია არა მარტო თარგმანისათვის, არამედ ორიგინალისთვისაც. ორიგინალის მკითხველიც, ვისთვისაც შესაძლოა უფრო მეტად ნათელია და ახლობელი ესა თუ ის რეალია, მაინც საჭიროებს მეგზურს ნაწარმოების რთული, სიღრმისეული შრეების წვდომისათვის. არის ისეთი რიგის ლიტერატურა, რომელიც კომენტარების გარეშე ბევრად უფასურდება მკითხველისათვის (ასეთია, მაგალითად, დანტეს „ღვთაებრივი კომედია“, რომელიც ჯერ კიდევ მე-14 საუკუნეში საჭიროებდა კომენტარებს და მით უფრო დღეს საჭიროებს ამას; ასეთია გოეთეს „ფაუსტი“, განსაკუთრებით კი მისი მეორე ნაწილი, ელიოტის შემოქმედება და სხვა); მით უფრო საჭიროებს კომენტარებს „ულისე“, რომლის სიღრმეთა წვდომა ამის გარეშე შეუძლებელია. „ულისე“ არ არის სასხვათაშორისოდ წასაკითხი რომანი, იგი საჭიროებს ღრმად ჩაკვირებულ მკითხველს და, რაც მთავარია, ფართო ერუდიციის მთარგმნელს, რომელიც შემოქმედებით ნიჭთან ერთად, რაც ამ ნოვატორული პოეტიკის ღირსეული ქართული ადეკვატის შექმნისათვისაა აუცილებელი, საჭიროებს ასევე მეცნიერი მკვლევრის ალღოსა და მოთმინებას.

ნაშრომის ეს განაკვეთი გვინდა დავასრულოთ იმ სიტყვებით, რითაც მთავრდებოდა ჩვენი ერთ-ერთი წერილი, დაკავშირებული იმ ვნებათაღელვასთან, რომელიც „ულისეს“ თარგმანის პირველ გამოჩენას მოჰყვა ქართულ ლიტერატურულ წრეებში: „ცნობიერების ნაკადის“ ლიტერატურის მთარგმნელი სწრაფ და საერთო აღიარებას უთუოდ არ უნდა მოელოდეს. თარგმანს დასამკვიდრებლად გარკვეული „ბრძოლა“ მოუწევს, მაგრამ სხვაგვარი, იოლი გზით მოპოვებულ პოპულარობას ალბათ თვითონ ჯ. ჯოისიც არ მოუწონებდა მისი „ულისეს“ გზის გამკვლევს მისთვის სრულიად უცხო ენობრივ და კულტურულ სამყაროში“ (45).

* * *

ტექსტის პრაგმატული მოტივაციის განსაზღვრა და მასთან დაკავშირებული ესთეტიკური კატეგორიების ნიშნადობის გათვითცნობიერება თარგმანის პროცესის წინმსწრები ის აუცილებელი სტადიაა, რომელიც განაპირობებს მთარგმნელის სტრატეგიას კონკრეტულ ნაწარმოებზე მუშაობისას.

რ. კიპლინგის საყმაწვილო ზღაპრების, „Just so Stories“-ის პრაგმა-

ტული ინტენციის დადგენისათვის, ვფიქრობთ, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მათი წარმოშობის ისტორიას მწერლის შემოქმედებით ბიოგრაფიაში. ეს ზღაპრები თავდაპირველად შეიქმნა შინაურ, ოჯახურ ვითარებაში, როგორც ძილისპირული, ზეპირი მოთხრობები და მათი პირველი მსმენელები იყვნენ თავად ავტორის საკუთარი შვილები და ასევე ბავშვები მეზობელი ოჯახებიდან. ამდენად, ეს ნაწარმოებები იქმნებოდა პრაგმატულ ორიენტაციით პატარა მსმენელებზე, მათი თეზაურუსის, მათი სამეტყველო ჩვევებისა და ინტერესების გათვალისწინებით და მათი ცოდნის ჰორიზონტის გაფართოების მიზნითაც. ამის საფუძველზე გასაგები ხდება ჯერ ორიგინალის ავტორის და მერე მისი „ნდობით აღჭურვილი პირის“ — მთარგმნელის პრაგმატული მიზნები, მათი დამოკიდებულება ენობრივ ფორმებთან, ამ ფორმათა სელექციის პრინციპი, გასაგები ხდება თხრობის ინტიმიზაციის მექანიზმის დანიშნულებაც, მეტალინგვისტურ ელემენტთა აქტივიზაცია, თხრობის პროცესში უესტ-მიმიკის ფართოდ გამოყენების მარკერები, რომლებიც დასტამბულ ვარიანტშიც შემორჩა ტექსტს, და სხვა სტილისტური ნიშნები.

რ. კიპლინგის ბიოგრაფები გვამცნობენ, რომ მწერალს გადაწყვეტილი ჰქონია დაეწერა „ბუნების ისტორია“ — „საკითხავი წიგნი ბავშვებისათვის, მაგრამ თავისი ჩანაფიქრი ვერ მოუყვანია სისრულეში და ზოგიერთი ფაქტობრივი მასალა, რომელიც ამ წიგნისთვის ჰქონდა შერჩეული, შემდგომ გადაუმუშავებია, გადაუტანია ეგზოტიკურ სამყაროში, შეუმკია საზღაპრო დეტალებით და თავისი იშვიათი ფანტაზიის წყალობით გადაუქცევია ისეთნაირ მომაჯადოებელ „ტყუილად“, რომელიც უდავოდ უღვივებს ბავშვს გარემომცველი სამყაროსადმი ინტერესს და უვითარებს წარმოსახვის უნარს.

ზღაპართა ციკლი იმითაცაა შესანიშნავი, რომ თავისი პატარა მკითხველისადმი უადრესად გულისხმიერი ავტორი მარტივად, ბავშვისათვის გასაგებ ცნებებში აწვდის მას უხვ ინფორმაციას დედამიწის განსხვავებულ კონტინენტებზე, ზღვისა და ტყის ბინადარ ტომებზე, ცხოველებსა, თევზებსა თუ მცენარეულ სამყაროზე, რასაც საფუძვლად უდევს მწერლის მართლაც და ენციკლოპედიური ცოდნა მხარეთმცოდნეობასა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში.

რ. კიპლინგის ზღაპრებზე გარკვეული გავლენა იქონია, რა თქმა უნდა, იმ ეგზოტიკური ქვეყნების ფოლკლორმა, სადაც მწ-

ერალს უცხოვრია ან უმოგზაურია (ინდოეთი, აფრიკა, ავსტრალია, ახალი ზელანდია და სხვ.) ზოგიერთი ზღაპრის თემას და სათაურის სახეობას შეიძლება მოენახოს ანალოგი აფრიკულ ფოლკლორში („რატომა აქვს აქლემს კუზი“, „რატომა აქვს ავაზას ლაქები“), მაგრამ ამჟამად, რომ მისი ზღაპრები არ იმეორებენ არც აფრიკულ და არც სხვა რომელიმე ქვეყნის ფოლკლორში მთავრულ სიუჟეტებს. ყველა ზღომილება სრულიად განსხვავებულ, საკუთრივ კიპლინგისეულ ახსნას და ხორცშესხმას ქპოვებს მის ზღაპრებში. ამდენად უფლებამოსილი ვართ ვილაპარაკოთ მარტოოდენ სათაურთა ფოლკლორულ სტილიზაციაზე, რაც ასხვავებს კიპლინგის ზღაპრებს ინგლისური ლიტერატურული ზღაპრის ტიპური ნიმუშებისაგან.

რაც შეეხება ამ ზღაპართა ლიტერატურულ წინამორბედს, ასეთად შეიძლება ჩავთვალოთ ლუის კეროლის პოპულარული წიგნი „ალისა საოცრებათა ქვეყანაში“, რომლის გავლენა იგრძნობა კიპლინგისეულ კალამბურებსა და ენის გასატეხებში.* ესაა და ეს. ძნელია ლაპარაკი რაიმე უფრო სერიოზულ გავლენაზე მწერლის სტილისა და ლიტერატურული ოსტატობის თვალსაზრისით.

როგორც ითქვა, ზღაპრებს მაშინაც კი შემორჩათ ზეპირი მოთხრობების ნიშან-თვისება, რომელიც საფუძველად დაედო მათ ლიტერატურულ ვარიანტს. ამისი დასტურია ტექსტის მრავალი ისეთი დეტალი, რომელიც მთხრობელისა და ადრესატის უშუალო კონტაქტზე მიგვანიშნებს. ასეთია სიუჟეტის ჩარჩოებს გარეთ გატანილი მცირედი გადახვევები, რომლებიც ასე უხვადაა გაბნეული ტექსტში და სადაც მთხრობელი მოითხოვს მსმენელის დასტურს, რომ გაიგო ის, რაც მოისმინა; და უფრო მეტიც, ავტორი დროდადრო წამით აყოვნებს თხრობას და ჩართავს ხოლმე მსმენელთან გასაუბრების მომენტებსაც: იმეორებს თავისი მსმენელის შეკითხვას და ისეთნაირად პასუხობს, როგორც ცოცხალი, სპონტანური საუბრისას შეიძლებოდა ეპასუხა, რაც, უთუოდ, ასეც ხდებოდა ამ ზღაპართა ზეპირი ინსცენირებისას ბავშვების აუდიტორიის წინაშე:

“Towards evening there came up the man (with his own little girl-daughter?) yes, with his own best beloved little girl-daughter, sitting

* ინგლისური საბავშვო ლიტერატურის ჟანრისთვის იმანენტური სტილისტური ნიშან-თვისებები და მათი ფსიქოლოგიური მოტივაცია შესწავლილია თ. ჯაფარიძის ნაშრომში (151).

upon his shoulder and he said... “ (11-163).

„სლამოხანს მივიდა მათთან ადამიანი (შენ მეკითხები, შვილიკოც თუ მიიყვანაო?) – ჰო, შვილიკოც მიიყვანა. (გოგო-შვილი იყო თუ ბიჭი-შვილი?). გოგონა იყო ადამიანის უსაყვარლესი შვილი-იკო, იმიტომაც შეესვა მხარზე. მივიდა ადამიანი და იკითხა...“ (25-79).

ორიგინალიდან ვიტყობთ, რომ ბავშვს, რომელსაც მოუთხორობენ ამ ამბავს, სიტყვა “daughter”-ის მნიშვნელობა ესმის არა როგორც „ქალიშვილის“, არამედ როგორც „შვილის“ მნიშვნელობა, განურჩევლად სქესისა. ამის საფუძველზეა აქტივიზებული ქართულ თარგმანში ბავშვურ ყაიდაზე წარმოებული რთული სიტყვები „გოგო-შვილი“ და „ბიჭი-შვილი“. მიუხედავად იმისა, რომ ქართულში არსებობს ისეთი ოპოზიციური სიტყვები, როგორცაა – ქალიშვილი და ვაჟიშვილი, „მოზრდილთა ლექსიკონის“ ეს ერთეულები მთარგმნელს შეუფერებელ სიტყვებად მიუჩნევია ასეთი პატარა ბავშვის ლექსიკონისათვის და გარდა ამისა, ამ შემთხვევაში, ბავშვის რეპლიკა სრულიად დაკარგავდა იმ იუმორისტულ ეფექტს, რომელსაც ეს ფრაგმენტი შეიცავს მოზრდილი მკითხველისათვის.*

ზეპირი მოთხრობის კვალი ჩანს ასევე იმ თბილ, ლირიულ ინტონაციაში, რომელიც გამუდმებით შეიგრძნობა ტექსტში: დამრიგებლურ ტონში, პირდაპირ მიმართვებში („ჩემო საყვარელო“, „ჩემო პატარავ“), აღმზრდელობით შენიშვნებში, დროდადრო რომ იჩენს თავს თხრობაში. მოთხრობელი არ უშვებს ხელიდან შესაძლებლობას ზედმეტად შეახსენოს ბავშვს ის, რაც მას მუდამ ეკრძალება ან მოეთხოვება უფროსებისაგან ოჯახურ ვითარებაში. მარტორქაზე მოთხრობილ ზღაპარში, მაგალითად, მენამცხვრე პარსის ღუმელის ხსენებისთანავე, მწერალს არ ავიწყდება შენიშნოს, რომ ეს სწორედ ის ღუმელი იყო, რომლის მიკარება ბავშვებს ეკრძალებათ. საკმარისია ითქვას ტექსტში, რომ ტივზე მედომი მეხლვაური წყალში აჭყაპუნებდა ფეხებს, მოთხრობელი იქვე დასძენს, რომ ღედიკომ მისცა მას ამისი ნება. ასე შეუმჩნევლად, ხუმრობა-ხუმრობაში,

* აქვე უნდა აღვნიშნოთ კიბლინგის ტექსტის ის ორი პოტენციური კომუნიკაციური ეფექტი, რომელსაც იგი შეიცავს: საყმაწვილო ასაკის მკითხველისათვის მონათხრობი სერიოზული და დამაჯერებელია, მოზრდილი მკითხველისათვის კი – სახუმარო და თავშესაქცევი თავისი ოსტატური „სიმულაციით“.

ნათქვამია ისიც, რომ არც კიბორჩხალების შუშის ქილაში ჩამყვდევია მოსაწონი საქციელი („ამბავი კიბორჩხალასი“), არც კატა უნდა დავითროთ კუდით („ამბავი კატისა“). მრავალი ასეთი აღმზრდელობითი შენიშვნაა გამოთქმული, ხან პირდაპირ, ხანაც ქარაგმულად, თითქმის ყველა ზღაპარში.

პატარა მსმენელზე ორიენტაციითაა პირობადებული კიპლინგის ტექსტში ყოველი შედარება თუ ეპითეტი, რომლებიც ბავშვისთვის უფრო ადვილი შესაცნობიცაა და უფრო მეტად შთაბეჭდავიც. ესა თუ ის საგანი ხშირად შედარებულია ყოველდღიურ ყოფაში მოსახმარ ნივთებთან და ისეთ მოვლენებთან, რომლებსაც ბავშვი მუდამდღე აღიქვამს: სპილუკას ცხვირი, სანამ ზორთუმად გადაიქცეოდა, დაბალყელიანი ჩექმის სიგრძისა იყო; ძალლი დინგო – ვირთხის ხაფანგით ღრჭიალაა და მოგუზგუზე ღუმელივით ღრენია; კენგურუ ისე ხტის, როგორც დასახალავი მუხუდო ცხელ ტაფაზე; მარტორქას ტყავში ჩაყრილი ნამცხვრის ნაფშხვენი ისეთნაირად იბწყინება, როგორც ნამცეცები ლოვინში, რაც ძალზე ნაცნობი შეგრძნებაა ბაშვისათვის.

მოზრდილი მკითხველი შეუძლებელია არ გაამხიარულოს კიპლინგის კურიოზულმა გეოგრაფიამ, რომლის მიხედვით თითქოსდა უზუსტესად მითითებული გრძელი და განედი შესაძლოა უკიდურესად არაზუსტი გამოდგეს სინამდვილესთან შედარებით. გეამხიარულებს ასევე არარსებული კუნძულების ენის საღრძობი ეგზოტიკური სახელები („ვარიგაბორიგარუმა“); ზოგიერთი გეოგრაფიული ადგილი კი მწერალს ასტრონომიული ტერმინებით მოუნათლავს („დიდი ბუნიობის კონცხი“); უფრო მეტიც, კიპლინგის სახუმარო გეოგრაფიაში (რომელსაც, ფაქტობრივად, მხოლოდ მოზრდილი მკითხველი აღიქვამს) ერთ საზღვაო ან სარკინიგზო ხაზზე შეიძლება აღმოჩნდეს სხვადასხვა კონტინენტზე განლაგებული დასახლებანი. მაგალითად, ვეშაპი, ვეშაპის ამბავში, ინგლისის ნაპირებთან მიცურებისას გამოაცხადებს გადაჯღომას ისეთ სადგურებში მიმავალ მატარებლებზე, რომლებიც ოკეანის გადაღმა, ნიუ-იორკიდან ბალტიმორამდე გაჭიმულ სარკინიგზო ხაზზეა განლაგებული. ეს ის მარშრუტია, რომლითაც კიპლინგების ოჯახი მოგზაურობდა ნიუ-იორკიდან შინ დაბრუნებისას. საქმე ისაა, რომ ეს აბდაუბდა გეოგრაფია არც პატარა მსმენელს ეხამუშება და არც თავად ავტორს, ვისთვისაც მთავარია, რომ ბავშვმა ნაცნობი სადგურების სახელთა გაგონებისთანავე დაასკვნას, რომ ვეშაპის წამოძახილი მოგზაურობის დასრულებას მოასწავებს.

კიპლინგის ზღაპართა ეს ზოგადი დახასიათება დაგვეჭირდა იმისთვის, რომ გვეჩვენებინა, თუ რაოდენ საგრძნობია მათში ორიენტაცია პოტენციურ ადრესატზე და რამდენად მკაცრადაა „დაცული“ მისი, როგორც ადრესატის, „უფლებები“. ავტორის პრაგმატული ორიენტაცია ადრესატზე, რა თქმა უნდა, ტექსტის ენობრივ ქსოვილშიც იჩენს თავს.

ერთერთი სტილური თავისებურება, რომელიც განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს თარგმანის პრაგმატული წონასწორობისათვის, იმაში მდგომარეობს, რომ თავის ადრესატთან უფრო მეტი სიახლოვის მიზნით მწერალი აქტიურად იყენებს ბ ა ვ შ-ვ უ რ ი მ ე ტ ყ ვ ე ლ ე ბ ი ს ი მ ი ტ ა ც ი ი ს ხ ე რ ხ ს ა ც, რაც არცთუ ადვილია თარგმანში ტრანსპოზიციისათვის.

ბავშვური მეტყველების იმიტაციის ტენდენცია კიპლინგთან სხვადასხვა ფორმებშია რეალიზებული: ა) გრამატიკულად არანორმატიული ფორმების აქტივიზაციაში (არაწესიერი ზმნების ნამყო დროის ფორმის რეგულარიზაცია მათზე “ed” სუფიქსის დართვით: *thinked, drawed*); ზედსართავის ზარისხთა არანორმატიულ წარმოებაში (*beautifulest*); ბ) სიტყვათა რედუცირებულ ფორმათა გამოყენებაში, ანუ იმ თავკიდურ მარცვალთა შეკვეცაში, რომლებიც მკაფიოდ არ ისმის ხშიერ მეტყველებაში: (*“membered” – remembered; “scuse me” – excuse me; “fended” – offended*); გ) ბავშვური მეტყველებისათვის დამახასიათებელ მაღაპროპიზმებში, ანუ იმ შემთხვევებში, როცა ბავშვს ერთმანეთში ერევა „დიდების ლექსიკონიდან“ ატაცებული ყურმოკრული სიტყვები, რომელთა მნიშვნელობა მისთვის გაუგებარია (*“curtiosity” – curiosity; “barangement” – arrangement*); დ) არასწორად წარმოთქმულ სიტყვებში (*“leettle” – little; “tidy bit” – tiny bit; “a purpose” – on purpose*).

სიტყვათა გახლენა, ერთმანეთთან შეჯვარება, მათი არაზუსტი ხმარება, არარსებული სიტყვების თხზვა და, საერთოდ, ლექსიკურ ერთეულთა სახეცვლა ბავშვის მეტყველებაში არის ის, რაც მძიმე თავსამტკრევს უჩენს მთარგმნელს; მით უმეტეს, რომ დამახინჯებული სიტყვის ქართული შესატყვისი შესაძლოა სულაც არ გამოდგეს ისეთი ერთეული, რომელსაც ქართულ ენაზე მეტყველი ბავშვიც დაამახინჯებდა. ამდენად ეს სპეციფიკა მთელი სისრულით ვერ გადმოდის ქართულ თარგმანში, მაგრამ სასურველი ეფექტის გადა-

ნაცვლებით სხვა სეგმენტებში, სადაც გამოერევა დამახინჯები-სათვის უფრო შესაფერისი ერთეული, ნაწილობრივ შესაძლებელი ხდება ამ თავისებურების წარმოჩენა. ამით აიხსნება თარგმანში ისეთი არასწორი ფორმების ხმარება, როგორიცაა „განსაკუთრად ყვითელი“, საზიზღი მცონარა“, „ამიტომაც ვცნობისმოყვარეობ“, ან ე. წ. გადიების ლექსიკონის ერთეულთა გამოყენება „ასტიკი-დათ ბუცულები“, „ფაფუ, შენი სადილი“, „გთხოვ დამასხ-ოვრო“, ანდა ისეთი კურიოზული ჰიბრიდი, როგორიცაა „თქვენო უწმინდესობილებაე“, უცნაური შესიტყვებები: „საშინლად შე-მაშინებელი შიში“, „მარტოდ მარტოდ მარტო“ და სხვა, რამაც შესაძლოა, კიპლინგის დედანში ჩაუხედავი კაცის გაკვირება გამოიწვიოს.

რთულია ასევე იმ ნეოლოგიზმთა ანალოგიზაცია თარგმანში, რომლებშიც მწერალი სიტყვათა შეჯვარებით ან არარსებული სიტყვების შეწყვილებით კონკრეტული მნიშვნელობის სიტყვებთან ქმნის რთულ, შედგენილ ერთეულებს. მაგალითად შორეულ წარსულში, „ქვეყნიერების პირველქმნის ხანაში“ ბინადარ ცხოველებს, როცა ყოველი სულიერი ასევე „პირველქმნილი“ იყო და ჯერ თავის თავს არ ჰგავდა, ავტორი ასეთი კურიოზული, მაგრამ ამავე დროს შთამბეჭდავი, სახუმარო სახელებით ნათლავს: სპილოს, მაგალითად, უწოდებს — “Elephant-All-the-Elephant-there-was”, ძროხას იხსენიებს როგორც — “Cow-all-the-Cow-there-was”. ფრაზათა ასეთი ლექსიკალიზაცია შემდეგნაირადაა ტრანსპონირებული თარგმანში:

„დიდმა სასწაულქმედმა იხმო ცხოველი, სპილოს რომ ჰგავდა და ჯერ-მთლად-სპილო-რომ-არ-იყო და უთხრა, — წადი და ისე მოიქეც, ვითომ უკვე სპილო ხარ. მერე იხმო ცხოველი, ძროხას რომ ჰგავდა და ჯერ-მთლად-ძროხა-რომ-არ იყო და უთხრა, — წადი და ისე მოიქეც, ვითომ უკვე ძროხა ხარ“ და ა. შ.

საერთოდ ყოველი ცხოველი ან ადამიანი კიპლინგის ზღაპართა პერსონაჟებიდან ასეთი რთული, შედგენილი სახელითაა მონათლული. ავსტრალიელი ძაღლი — „დინგო — ყვითელი-ძაღლი-დინგო“, იაგუარი — „იაგუარი-დიდხალეა-იაგუარია“, კენგურუ — „კენგურუ-შეუპოვარი-კენგურუ“, ზებრა — „განსაკუთრად-მოყვითალო-მოყავისფრო-ნაცრისფერი ზებრა“, ჟირაფი კი — „განსა-

კუთრებულად მოწითალო-მოყვითალო-ოქროსფერი-ჟირაფია“. და დამახასიათებელია, რომ ყოველი ცხოველი, როცა კი არ უნდა გამოჩნდეს ტექსტის ფურცლებზე, ყოველ ჯერობაზე ასეთი ზედშერთულებიანი, მრავალსართულიანი სახელებითაა მოხსენიებული.

საერთოდ, სიტყვების გარითმევა ან ალიტერაციით შეწყვილება ეპითეტებში კიპლინგის ერთ-ერთი ყველაზე თვალმისაცემი ხერხია. რთულსიტყვიან ეპითეტებში მეტწილად შეწყვილებულია ხოლმე ან გარითმული კონტექსტუალური სინონიმები, რომელთაგან ერთ-ერთი კომპონენტი მეტწილად მწერლის საკუთარი ნეოლოგიზმია, რომელშიც პროდუქტიული სუფიქსების “y” და “ly”-ს დართვით ზედსართავ სახელადაა მოქცეული, ზმნა ან არსებითი სახელი (“musky-tusky mouth”, “twirly-whirly eel”, “stickly-prickly Hedgehog”), ან ალიტერაციის პრინციპით შერჩეული წყვილებია (“slow-solid tortoise”, “slippery-slidy shadows”, “speckly-spickly shedows”). არის ისეთი შემთხვევებიც, როცა ერთ-ერთი კომპონენტი დენოტაციური მნიშვნელობის მქონე, მოტივირებული სიტყვაა, ხოლო მეორე კომპონენტი – ენაში არარსებული, რაიმე ბგერათკომპლექსი, რომელიც უბრალოდ კარგად ერითმება მნიშვნელობის მქონე კომპონენტს (“patchy-blatchy shadows”).

სწორედ ამგვარ ელემენტებშიც დასტურდება ავტორის პრაგმატული ორიენტაცია თხრობის ინტიმიზაციაზე, რამდენადაც ასეთი უაზრო, აბსურდული გარითმული სიტყვებით „ჟონგლირება“ ნიშანდობლივი თვისებაა პოპულარული საბავშვო ენის გასატეხებისა და გასათვლელებისათვის ყველა ენაში და ყოველ ეთნოკულტურულ რეალობაში.

ენახოთ ამ სპეციფიკის ანალოგიზაციის რა საშუალებებია გამოყენებული თარგმანში.

ქვემოთ მოყვანილ ნაწყვეტში ზღაპრიდან „რატომ აქვს ავაზას ლაქები“ აღწერილია მხეცების გარემოსთან შეგუების პროცესი (მიმიკრია). ეს გარემო, რომელსაც მათ თავი შეაფარეს, ხშირი და გაუვალი ტყეა.

“They scuttled for days and days and days till they came to a great forest, ‘clusively full of trees and bushes and stripy, speckly, patchy-blatchy shadows, and there they hid” (11-59).

„მათ დიდხანს, დიდხანს ტკეპნეს შარავზები და ბოლოს მიაღწენ

ერთ თვალუწვდენელ ტყეს, რომელიც სავსე იყო ხეებით, ბუჩქებით და მათი განსაკუთრად გრძელი, ბრტყელი, ხაზოვანი და ლაქოვან-ხალოვანი ჩრდილებით პოდა, ლტოლვილებმაც იმ ტყეს შეაფარეს თავი“ (25-45).

თარგმანში სათანადო ეფექტს ქმნის გართმული, თანაბარმარცვლიანი სიტყვები (გრძელი, ბრტყელი, ხაზოვანი, ლაქოვანი, ხალოვანი). ორიგინალის მრავალკავშირიანობა (პოლისინდეტონი), რაც საერთოდ ზღაპრის ჟანრის ერთ-ერთი სტილური ნიშანია, თარგმანში კომპენსირებულია „ნაამბობის“ ტიპის თხრობისათვის დამახასიათებელი კავშირით „პოდა“.

ტყის ჩრდილების თემა კიდევ მეორდება კონტექსტში, ამჯერად ახალი შეწყვილებული კომპონენტებით:

“And after another long time, what with standing half in the shade and half out of it, and what with the slippery-slidy shadows of the trees falling on them, the Giraffe grew blotchy, and the Zebra grew stripy .. (...) They had a beautiful time in the ‘sclusively speckly-spickly shadows of the forest’” (11-59).

„გამოხდა ხანი და ცხოველები ძალიან შეიცვალნენ. ახლა გამიჭირდება იმის თქმა, თუ რა იყო ამის მიზეზი, ის, რომ ნახევარ დღეს ტყის ჩრდილში ატარებდნენ და ნახევარს – მზის გულზე, თუ ის, რომ მათ ზურგებზე გამუღმებით დასეირნობდნენ ტყის ბობლილა ფორთხილა ჩრდილები. ასე იყო თუ ისე, ჩვენი ჟირაფი დიდრონი ლაქებით დაიფარა, ზებრა – ზოლებით (...). ერთი სიტყვით, განსაკუთრად დალხინებული ცხოვრობდნენ იმ ხაზოვან-ლაქოვანი ჩრდილებით სავსე ტყეში“ (25-45).

საგანგებო ყურადღებას მოითხოვს კიპლინგის პოეტური პროზის მკაცრად რეგლამენტირებული რიტმი, რომელიც უმეტესად „ამოჩნებული“ სიტყვების, ფრაზებისა და მთელი აბზაცების განმეორებითაა გამოწვეული. ამ ტავტოლოგიებში ელინდება, ერთი მხრივ, ზღაპრის გამიზნული ფოლკლორული სტილიზაცია, მეორე მხრივ

კი — მწერლის სტილის ისეთი ნიშანდობლივი თვისება, როგორცაა ტექსტის ხმოვანების, სიტყვათა „მუსიკის“ ძალზე სათუთი განცდა. კიპლინგს განსაკუთრებით იტაცებს ალიტერაციისა და ასონანსის ეფექტი:

“Then Kolokolo Bird said, with a mournful cry: “Go to the banks of the great grey-green, greasy Limpopo River ...) and find out” (11-75).

„და კოლოკოლომაც უპასუხა ისეთი ხმით, თითქოს სვედიან სიმღერას მღერისო: „იარე, იარე და იპოვე ლიმპოპოს სველი, სიპი და სილიანი ნაპირი და იქ შეიტყობ ყოველივეს“ (25-13).

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ტექსტში დროდადრო ტიპური სალექსო მეტრიკა და შინაგანი რითმებიც შეიგრძნობა, რაც თანაბარმარცვლიანი სიტყვების სიმეტრიული განთავსებითაა შექმნილი. სიტყვების „შეხმატკბილების“ მიზნით მწერალი ძალზე ხშირად ტენდენციურად ასხვაფერებს მათ დამწერლობას და სულ სხვა, მისთვის საჭირო ყაიდაზე გვაიძულებს მათ წარმოთქმას. მკაცრად რეგლამენტირებული რიტმი და ტექსტის თავისებური მელოდიკის შემქმნელი სხვა კომპონენტები თითქმის ლექსივით გვაკითხებს კიპლინგის პროზას.

კიპლინგის პროზა, შეიძლება ითქვას, ისეთი კატეგორიის ლიტერატურას განეკუთვნება, რომელშიც პოეტურ ფუნქციას თითქმის მთლიანად მეორე პლანზე გადააქვს რეფერენციალური ფუნქცია. ამდენად თარგმანში ფორმალურ ელემენტთა პირველ პლანზე წამოწევა, ფაქტობრივად, ორიგინალის ფუნქციონალური დომინანტებითაა პირობადებული.

„მხატვრულ თარგმანში სიზუსტე და მხატვრულობა, — წერს გ. გაჩეჩილაძე, მუდმივ წინააღმდეგობაშია ერთმანეთთან. მათი ერთიანობის მიღწევა პირდაპირი თარგმანის მეშვეობით შეუძლებელი ხდება ... საჭიროა განისაზღვროს სიზუსტის ცნება, ანუ უფრო სწორად, სიზუსტის დარღვევის შესაძლებლობა მხატვრულობის სასარგებლოდ. მიზანი, რომლისადმი სწრაფვა აწონასწორებს ორივე ამ მხარის დარღვევის ხარისხს, არის დედნის სინამდვილე, მისი ფორმისა და შინაარსის ერთიანი მაქსიმალური გადმოცემა ახალ ენაზე“ (14-134).

თუ შევადარებთ ქვემოთ მოყვანილი ორიგინალის ნაწყვეტს და

მის თარგმნით ვარიანტებს, რომლებიც სხვადასხვა მთარგმნელების მიერაა შესრულებული, ნათელი ხდება ზემოთ გამოთქმული თეზისის სისწორე. ერთმანეთში გართმულ სიტყვათა ზოგიერთი წყვილი (ვგულისხმობთ ზღვის ბინადართა სახელწოდებებს) დენოტაციური მნიშვნელობით სრულიად არ ემთხვევა ორიგინალის წყვილებს არც პირველ და არც მეორე თარგმანში. მაგრამ ფორმის ანალოგიურობაზე მიზანმიმართული ტექსტის თარგმანში, ვფიქრობთ, სწორედ ფორმალური ნიშნების ანალოგიურობაა უფრო მთავარი და არსებითი, ვიდრე იქტიოლოგიური და ზოოლოგიური სიზუსტე.

“In the sea once upon a time, O, my Best Beloved, there was a Whale and he ate fishes. He ate the starfish and the garfish, and the crab and the dab, and the plaice and the dace, and the skate and his mate, and the mackereel and the pickereel, and the really truly twirly-whirly cel.

All the fishes he could find in all the seas he ate with his mouth - so!”

(11-30).

თარგმანის პირველ ვარიანტში ეს ნაწყვეტი ასე გამოიყურება:

„იყო და არა იყო რა, ჩემო საყვარელო, იყო ერთი ვეშაპი, რომელიც ზღვაში ცხოვრობდა და ზღვის ბინადრებით იტკბარუნებდა პირს. ყოველ ცისმარე დღეს მიირთმევდა ქამბალებსა და ზღვის ვარსკვლავებს, კიბობებსა და კიბორჩხალებს, ქორფა ქარიყლაპიებს, ქაშაყებს და ქაფშიებს, სკაროსებს და სკუმბრიებს, დიდ მელუზებს სუსხიებს, მფრინავ თევზებს პრანჭიებს და გველთევზებს კლაკნიებს. მოკლედ, ყოველ სულიერს, რომელსაც კი გადააწყდებოდა, უმაღვე სტომაქში გადაუძახებდა ზოლმე, ყლუპ, აი, ასე!“ (25-25).

მთარგმნელის პრაგმატულმა მიზანმიმართებამ — მოენახა ორიგინალის ფუნქციონალური დომინანტების ანალოგები თარგმანის ენაში, განაპირობა არაერთი ცვლილება თარგმანში: შეწყვილებული თანაბარმარცვლიანი სიტყვებით შექმნილი რიტმის ეფექტი კომპენსი-

რებულია ამ სიტყვებზე თანაბარმარცვლიანი მსაზღვრელების დამატებით (პრანჭიებს, კლაქნიებს, სუსხიებს), ალიტერაციით გაწყობილი ელემენტებიც, თავის მხრივ, მატებენ ნაწყვეტს მუსიკალობას (ქაშაყებს, ქაფშიებს, ქორფა ქარიყლაპიებს), ზღაპრის საწყისი ფრაზის გაქართულებით თარგმანში, ისევე როგორც ზღაპრისათვის დამახასიათებელი დინჯი თხრობის ტემპით, მსუბუქი იუმორის ეფექტისათვის დამატებული თითო-ოროლა ელემენტით (ნაცვლად სიტყვისა „სჭამდა“ ნათქვამია „პირს იტკბარუნებდა“, „მიირთმევდა“, „სტომაქში გადაუძახებდა ზოლმე), რის საფუძველსაც არ აძლევს მთარგმნელს ეს კონკრეტული კონტექსტი, მაგრამ ამას კარნახობს ზღაპართა მთელი ციკლისათვის დამახასიათებელი სახუმარო განწყობილება.

თარგმანის მეორე ვარიანტი ასეთია:

„უხსოვარ დროის თვალუწვდენელი ოკეანის უკიდევანო წყლებში ერთი ვეშაპი ცხოვრობდა, ჩემო პატარავ, და თევზებს შეექცეოდა. შეექცეოდა ვარსკლავას და გველთევზას, ბოლოგრძელას და ზღვის მელას, ყვითელზოლას, სალამურას, მთვარეთევზას და ზღარბთევზას და აგრეთვე ბზრიალ-ტრიალა გველთევზას. როგორც კი თევზს მოიხელთებდა, პირს ფართოდ გააღებდა – აი, ასე! და ხელად გადაუძახებდა მუცელში“.*

თარგმანის ამ ვარიანტშიც აღინიშნება ტექსტის გაზრდა დამატებული ელემენტების ხარჯზე (ვგულისხმობთ დასაწყისს), მაგრამ, რაც მთავარია, ამჯერადაც მხატვრული ფორმის ანალოგიზაციის ტენდენცია აშკარად სჭარბობს დენოტაციური ეკვივალენტურობის მიღწევის მიზანს, რაც კიდევ ერთი დასტურია ზემოთ გამოთქმული მოსაზრებისა.

არანაკლებ მნიშვნელოვანია თარგმანის თვალსაზრისით ს ა მ ე ტ ყ ვ ე ლ ო პ ო რ ტ რ ე ტ ე ბ ი ს ს პ ე ც ი ფ ი კ ა კაპლინგის ზღაპრებში. ყველა მხეცი ადამიანივით მეტყველებს, ადამიანივით აზროვნებს და მოქმედებს. ყველა მათგანი გამოირჩევა ინდივიდუალური ზნითა და ქცევით. ეს ასეც უნდა იყოს ზღაპარში, მაგრამ საინტერესო სწორედ ის არის,

* „ლიტერატურული საქართველო“, 13. 9. 1985.

რომ მწერალს თითოეულისათვის მისი ხასიათისა და ზნის შესაფერისი სამეტყველო ჩვევაც მიუწერია. „ერთობ თავაზიანი სპილუკას“ რეპლიკებსა და ქცევაში, მართლაც, მკაცრად და ცული თავაზიანი მოქცევისა და საუბრის ეტიკეტი, ბრიყვი და პრიმიტიულად მოაზროვნე პატარა იაგუარის ლექსიკონი შესაბამისად პრიმიტიულია, რასაც მოწმობს უცნობი საგნების მისებული სახელდება: “Prickles” (მჩხვლეტარები) მის ლექსიკონში ზღარბის ეკლებს ნიშნავს, „უმჩხვლეტარო ცხოველში“ კი – იაგუარი კუს გულისხმობს. მისი ფრაზა მოუქნელია და სასაცილო:

– „აღარაფერი მჯერა შენი: – მიუგო დიდხალეა იაგუარმა, – ჯერ იყო და სულმთლად დამაბნე, იმიტომ, რომ სულმთლად აურდაურიე ის რალაც-რალაცები, რაც დედაჩემმა მითხრა ვიდაც-ვიდაცებზე. და ისე სულმთლად უკულმა შეატრიალე ყველაფერი, რომ ახლა, მე მგონი, მე თვითონაც სულმთლად უკულმა ვარ შეტრიალებული, თავი უკან მახია და კული კი – წინ. ახლა კიდევ ისეთ რალაც-რალაცებს მეუბნები, რომ უკეთ მესმის, მაგრამ უფრო მახნევს... თუ შენ ასე ძალიან გინდა, რომ წყალში ჩაგაგლო, ეს ალბათ იმას ნიშნავს, რომ სინამდვილეში სულაც ძალიან არ გინდა“ (25-69).

თავისებურია ეშმაკი ზღარბისა და კუს მეტყველებაც, თავის უაზრო ენის გასატეხებით რომ აბრუებენ იაგუარს. ჭრელი პითონი – კლდის გველი კი თურმე მუდამ „ბრტყელ-ბრტყელად“ მეტყველებს:

“Rash and inexperienced traveller, we will now seriously devote our selves to a little high tension, because if we do not, it is my impression that yonder self-propelling man-of-war with the armour-plated upper deck (and by this, O Best Beloved, he meant the Crocodile) will permanently vitiate your future career” (11-82).

„უგუნურო და უმეცარო მოგზაურო, თუ მე და შენ დაუყოვნებლივ არ მივიღეთ გადამწყვეტი ზომები, ჩემი ღრმა რწმენით,

ვმ თვითმავალი ჯავშნოსანი (ამას, რა თქმა უნდა, ნიანგზე ამბობდა, ჩემო პატარავ) აქ, ამ წუმპეში დაგასრულებინებს სამუდამოდ შენს მოგზაურობას“ (25-17).

თავისებურია დედოფალ ბალკისის მეტყველებაც, სულიმან იბნ დაუდის გულის მოსაგებად წარმოთქმული, აღმოსავლურ ყაიდ-აზე აგებული, შიგ ჩართული მრავალსართულიანი მამებლური მიმართვებით:

„მეუფევ ჩემო და განძო ჩემი გულისა!“, „მეუფევ ჩემო და ჩემი სიცოცხლის გამგებლო!“, „მეუფევ ჩემო და სიტკობეავე ჩემი ყოფისა, ახლა კი შეგიძლია გაიხარო, იმიტომ, რომ ყველა ამ დედოფალს ეგვიპტისას, აბისინიისას, სპარსეთისას, ინდოეთისას თუ ჩინეთისას, ყველას, ყველას, სამუდამოდ ჭკუა ვასწავლეთ“ (25-126).

აშკარა და თვალშისაცემია პატარა ეშმაკი თევზის მლიქვნელური ინტონაცია დიდ ვეშაპთან მისი საუბრისას და თავნება კატის კატეგორიულობაც – კატის ზღაპარში. ასეთი პოლიფონიურობაც, რა თქმა უნდა, სათანადო ასახვას საჭიროებს თარგმანში და, ფაქტობრივად, ასეც ხდება. ეს სპეციფიკა ნაკლებადაა დაკავშირებული ორიგინალის ენის სტრატეგიკაციულ ვარიანტულობასთან, და მარტოოდენ სიტუაციური ვარიანტულობის მარკერებში აისახება, რაც შედარებით აადვილებს ფუნქციონალურად ანალოგიური ფორმების ძიებას თარგმანის ენაში.

მხატვრული ფორმის ანალოგიზაციაზე მიზანმიმართულ თარგმანში უფრო სერიოზულ დაბრკოლებას ქმნის კ ა ლ ა მ ბ უ რ ი ს ე ფ ე ქ ტ ი ს ტრანსპოზიცია მეორე ენაზე. კალამბურთა სიხშირე ინგლისურ ბელეტრისტიკაში და, მით უფრო, ასეთ თავშესაქცევ სახუმარო მოთხრობებში, განპირობებულია ინგლისურ სიტყვათა განუზომელად უფრო ხშირი პოლისემურობით, ვიდრე ეს ქართულ სიტყვებს ახასიათებს. გარდა ამისა, საქმეს ართულებს კალამბურში რეალიზებული რომელიმე სიტყვის იმ ლექსიკურ-სემანტიკური ვარიანტების მორგება კონტექსტთან, რომელიც წყარო ენის შესაბამისი ერთეულის სემანტიკურ სტრუქტურაში შედის, რადგან კალამბურის ეფექტს ხომ სწორედ

ამ ვარიანტთა განსხვავებული, კონოტაციური მნიშვნელობები ქმნის, ანუ ერთი და იმავე ერთეულის პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობების ერთდროული რეალიზაცია კონკრეტულ კონტექსტში.

კიპლინგის ზღაპართა სახუმარო ლექსიკონისთვის კიდევ ერთი, ზემოთ განხილული თხრობის ინტიმიზაციის სრულიად საპირისპირო ნიშანიცაა დამახასიათებელი — ბავშვისათვის გაუგებარი „დ ი დ ე ბ ი ს ლ ე ქ ს ი კ ო ნ ი დ ა ნ“ ნ ა ს ე ს ხ ე ბ ი ს ი ტ ყ ვ ე ბ ი ს ხ მ ა რ ე ბ ა. ცნობილია, თუ როგორი მაგიური ძალით იზიდავს ბავშვებს მათთვის უცხო, იდუმალებით მოსილი სიტყვები, როგორ სასაცილოდ, უადგილოდ ხმარობენ ხოლმე ისინი დიდების საუბარში ყურმოკრულ სიტყვებს. უბრალო, მარტივი სასაუბრო ლექსიკის ფონზე უეცრად ასეთი „იდუმალი“ სიტყვების წამოტივტივება მწერლის კიდევ ერთი ეშმაკური ფანდია, რითაც იგი ცდილობს მეტი დამაჯერებლობა და სერიოზულობა მიანიჭოს თავის გამონაგონს („ნაადრევი ბუნიობის ჟამი“, „ფლორა“, „ადგილობრივი ფაუნის მიგრაცია“, „სპინიფექსი“, „ალბიონის თეთრი ქარაფები“) ანდა ისეთი ეგზოტიკური სიტყვების შემოჭრა ტექსტში, როგორცაა: „ინდაბა“ და „პოუ-ვოუ“, რაც თურმე ხალხის საკრებულოს ნიშნავს რომელიღაცა კონტინენტის აბორიგენთა ენაზე; მაგიური სიტყვები, როლებითაც დიდი სასწაულქმედი და პირველქმნილი მხეცები ესაუბრებიან და უგებენ ერთმანეთს: „კან? — „პაია კან“ (სწორია? — სავსებით სწორია), „პუსატ-ტასეკი“ კი დიდ ორმოს ნიშნავს ზღვაში, სადაც ვეება „პაუ-ამა“ იმალება, ეს უკანასკნელი კი — უშველებელი კიბორჩხალის სახელია რომელიღაცა ეგზოტიკური ქვეყნის ენაზე და ა. შ., რაც ასევე „იდუმალების“ განეიტრალების გარეშე — ტრანსლიტერაციით, უთარგმნელად გადადის თარგმანში.

რ. კიპლინგის ზღაპართა პირველი მსმენელები შემდგომ, მოზრდილ ასაკში აღიარებდნენ, რომ ადრეულ ბავშობაში ამ ზღაპრების მოსმენით მიღებული შთაბეჭდილება სამუდამოდ წაუშლელი დარჩა მათ მეხსიერებაში. კიპლინგი თურმე ნამდვილი დეკლამატორი-მსახიობივით მოუთხრობდა მათ ამ მომხიბლავ ამბებს. მსმენელები აღტაცებით იგონებენ მის ზავერდოვან ხმას, რომელსაც იგი წარამარა იცვლიდა, მის გამომსახველ ჟესტ-მიმიკას და იმას, თუ როგორ განსხვავებულად განასახიერებდა იგი თავის პერსონაჟებს. მისი რიტმულად გამოზომილი თხრობის მან-

ერა და უცნაური სიტყვების მომაჯადოებელი ჟღერადობა ლამაზი სიმღერებივით შემორჩა მათ სმენით მეხსიერებას. ეს შთაბეჭდილება, ალბათ, უტყუარი იყო, რადგან კიპლინგის ტექსტის მკაცრი კომპოზიციური სისტემა, მწყობრი რიტმი და კეთილხმოვანი ბგერითი ინსტრუმენტირება ძალდაუტანებლად შეიგრძნობა მაშინაც, როცა ტექსტს თვალთ ვკითხულობთ და გონებაში ვახმოვანებთ.

ქართულ თარგმნით ლიტერატურაში ხელთა გვაქვს ზღაპართა ამ ციკლის მხოლოდ ერთი მეტნაკლებად სრული კრებული და ასევე სხვა მთარგმნელთა მიერ შესრულებული ორი ზღაპრის თარგმანი ამავე ციკლიდან, რაც გვაძლევს საშუალებას შევადაროთ, თუ როგორაა ინტერპრეტირებული კიპლინგის ტექსტი სხვადასხვა მთარგმნელებთან; და უნდა ითქვას, რომ განსხვავებულ მთარგმნელებს თითქმის ყველა შემთხვევაში შეუცდომლად შეუცნიათ ავტორის ტექსტის ფუნქციონალური დომინანტები. მცირედი განსხვავებებით, მაგრამ არსებითად გადატანილია ამ თარგმანებში ავტორის ინდივიდუალური ხელწერის ყველა ძირითადი ნიშანი. ამისათვისაა მობილიზებული ამ თარგმანებში კომუნიკაციურ-პრაგმატული ეკვივალენტურობის დამყარების ისეთი ხერხები, როგორცაა კომპენსაციის ხერხი და ეფექტის გადანაცვლების საშუალება. განსაკუთრებით ეხება ეს ისეთ ელემენტთა თარგმანში ტრანსპოზიციას, როგორცაა ენობრივი ანომალიები, საბავშვო ნეოლოგიზმები, ენობრივი ნოვატორობის სხვა გამოვლინებანი, რომლებიც მუდამ წარმოქმნიან ხოლმე თარგმანში ლინგვისტიკის-ტურ პრობლემებს.

როგორც ადრე განხილულ ჯოისის ტექსტთა თარგმანებში, ასევე კიპლინგის ზღაპართა გადმოქართულებულ ვარიანტებშიც დროდადრო დასტურდება მთარგმნელთა შემოქმედებითი ინიციატივის გამოვლენა.

თუ ენობრივი ნორმებიდან გადახვევა ორიგინალის ავტორის ინდივიდუალური სამწერლო სტილის ნიშანია (რაც მეტ-ნაკლებად ბევრი მწერლისთვისაა დამახასიათებელი), მაშინ მხატვრული ფორმის ანალოგიზაციაზე მიზანმიმართულ თარგმანში უთუოდ მთარგმნელსაც აქვს უფლება დაშორდეს ნორმას და მეტი შემოქმედებითი თავისუფლება გამოიჩინოს. მით უფრო გამართლებულია ეს, თუ ნორმიდან გადახვევა მოტივირებულია კონკრეტული ესთეტიკური მიზნებით. მაგრამ ამ შემთხვევაში ძალზე საჭიროა ზომიერების დაცვა. ვფიქრობთ, საგულისხმოა ის, რასაც წერს ე.

მ. გენასტი მთარგმნელის შემოქმედებითი ინიციატივის ზედმეტი გამოვლენის თაობაზე: „თარგმანის ადაპტაციის პრინციპი, ისევე, როგორც ნაწარმოების უცხოობის შთაბეჭდილების შექმნა, შეიძლება ზედმეტად იქნეს უტრირებული თარგმანში. მთარგმნელის გულმოდგინება იმაში, რომ ზუსტად გადაიტანოს თარგმანში ორიგინალის სახეთა სისტემა, რის გამოც იგი ბევრად სცილდება მიმღები ენის ჩვეულ ნორმებს, შეიძლება იმით დამთავრდეს, რომ მთარგმნელი მისივე მიერ შექმნილ ჟარგონზე ალაპარაკდეს“.*

თარგმანის შეფასებისას გასათვალისწინებელია ისიც, რომ როცა თარგმანის ტექსტში ენობრივი უზუსიდან გადახვევას წავაწყდებით, ხელაღებით ყოველთვის არ უნდა აღვიქვათ ეს როგორც მთარგმნელის არასრულყოფილი კომუნიკაციური კომპეტენციის გამოვლინება. იმ შემთხვევაშიც, კი როცა ნორმიდან გადახვევა თარგმანის ისეთ სემანტში იჩენს თავს, სადაც ორიგინალის მიხედვით ასეთი რამ არ დასტურდება, საჭიროა დავადგინოთ, ხომ არ არის ეს გადაადგილებული ეკვივალენტის შემთხვევა, ხომ არ არის ამით კომპენსირებული რაიმე დანაკარგი თარგმანის ტექსტის სხვა სემანტში. მთარგმნელს უფლება აქვს და ამისთვის მოწოდებულიც კია, რომ მკითხველი აზიაროს მისთვის ახალ ლიტერატურულ და ენობრივ სამყაროს, მაგრამ ეს უნდა მოხდეს ზომიერების ფარგლებში, ისე, რომ ეს სამყარო არ გადაეაქციოს მისთვის სრულიად უცხო, გაუგებარ და მიუღებელ რაიმედ, თუკი ეს, რა თქმა უნდა, არ არის თავად ნაწარმოების ავტორის ნება, მაგრამ არც ისე, რომ ეს სამყარო შეეცვალოს მისთვის მშობლიური და ახლობელი გარემოს სურათით.

* ციტირებულია კ. რაისის სტატიიდან (78-218).

მიმომავალი და ციტირებული ლიტერატურა

1. Виноградов В. В., К построению теории поэтического языка. Сб. "Поэтика", М. Л., 1927.
2. Реформатский А. А., Лингвистические вопросы перевода. Иностранные языки в школе, №6, 1952.
3. Топер П.М., Предисловие от редактора в кн. Поповича А. "Проблемы художественного перевода", М., "Высшая школа", 1980.
4. Попович А., Проблемы художественного перевода. М., "Высшая школа", 1980.
5. ფანჯიკიძე დ., თარგმანის ახალი თეორიები და სტილის ეკვივალენტურობის პრობლემა. გამომც. „განათლება“ თბ., 1995.
6. ქართული შექსპირიანა (ნ. ყიასაშვილის რედაქციით), ტ. I, 149. „ხელოვნება“, თბ., 1959.
7. ქართული შექსპირიანა (ნ. ყიასაშვილის რედაქციით), ტ. II, „ხელოვნება“, თბ., 1964.
8. ევროპული ლიტერატურის ქართული თარგმანები XIX საუკუნის მეორე ნახევარში. გამომც. „მეცნიერება“, თბ., 1979.
9. კეკელიძე კ., მთარგმნელობითი მეთოდი ძველ ქართულ ლიტერატურაში და მისი ხასიათი. ლიტერატურული ძიებანი. ტ. VII, თბ., 1951.
10. ბარამიძე აღ., ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან. ტ. I, თბ., 1945.
11. კობიძე დ., სპარსული ლიტერატურა. ტ. II, საგმირო ეპოსი. თბ., 1947.
12. იმედაშვილი გ., „ყაბუს-ნამეს“ ქართული ვერსია. ამირანიანი. ლიტერატურული ძიებანი. ტ. IX, თბ., 1955.
13. ასათიანი ლ., ვოლტერიანობა საქართველოში. ტფილისი, 1933.
14. გაჩეჩილაძე გ., მხატვრული თარგმანის თეორიის საკითხები. რეალისტური თარგმანის პრობლემა. თბ., გამომც. „განათლება“, 1959.
15. გაჩეჩილაძე გ., მხატვრული თარგმანის თეორიის შესავალი. თბ., გამომც. „განათლება“, 1966.
16. გაჩეჩილაძე გ., ესთეტიკური იდეალი და მხატვრული გამოხატვის ფორმები. საქ. სსრ. მეცნ. აკად. ქართული ლიტ-ის ინსტ., „მეცნიერება“, თბ., 1985.
17. ბურჯანაძე ქ., მე-19 საუკუნის ქართული მხატვრული თარგმანის ისტორიის საკითხები. თბ., თსუ გამომცემლობა, 1992.

18. Федоров А. В., Введение в общую теорию перевода. М., "Высшая школа", 1958.

19. Федоров А. В., Основы общей теории перевода. М., "Высшая школа", 1968.

20. Антокольский П. Г., Черный хлеб мастерства. "Литературная газета", №43, 1962.

21. Чуковский К. И., Высокое искусство. М., "Советский писатель", 1964.

22. Гачечиладзе Г. Р., Вопросы теории художественного перевода. Тб., 1964.

23. Ларин Б. А., О новых лингвистических исследованиях. Вестник Ленинградского Университета, №20, 1959.

24. Бархударов Л. С., Рецензия на книгу Федорова А. В. Тетради переводчика (Непериодическое издание). №3, М., Изд. "Международные отношения". 1960.

25. Бархударов Л. С., Язык и перевод. М., Изд. "Международные отношения". 1975.

26. Левый И., Искусство перевода. М., "Советский писатель", 1974.

27. Лилова А., Введение в общую теорию перевода. М., "Международные отношения", 1985.

28. ფანჯიკიძე დ., თარგმანის თეორია და პრაქტიკა. გამომც. „კანათლება“, თბ., 1988.

29. ფანჯიკიძე დ., წერილები. გამომც. „მერანი“, თბ., 1980.

30. Кашкин И., Текущие дела. Мастерство перевода, М., "Советский писатель", 1959.

31. Эткин Я., Поэзия и перевод, М.-Л., "Советский писатель", 1965.

32. Швейцер А. Д., Перевод и лингвистика. М., Воениздат, 1973.

33. Швейцер А. Д., Теория перевода. Статус, проблемы, аспекты. М., Наука, 1988.

34. ჭელიძე ვ., შექსპირის მარხაბლისეული თარგმანები. ქართული შექსპირიანა, ტ. I, „ხელოვნება“, თბ., 1959.

35. კობახიძე თ., ტომას ელიოტის პოემის ქართულად თარგმანის გამო. „კრიტიკა“, №3, 1986.

36. ბიბილეიშვილი კ., გერონტი ქიქოძე – ფრანგული ლიტერატურის

კრიტიკოსი და მთარგმნელი. „მეცნიერება“, თბ., 1978.

37. კავთიაშვილი ვ., ჰაინრიხ ჰაინე ქართულ ლიტერატურაში. „მეცნიერება“, თბ., 1978.

38. ორლოვსკაია ნ., დიმიტრი ყიფიანი – შექსპირის მთარგმნელი. ქართული შექსპირიანა, ტ. II, „ხელოვნება“, თბ., 1964.

39. კენჭოშვილი ირ. „მეფე ლირის“ ქართული თარგმანი. ქართული შექსპირიანა, ტ. II, „ხელოვნება“, თბ., 1964.

40. კაკაბაძე ნ., ჰაინეს პროზის პირველი ქართული თარგმანი ჟურნ. „მნათობი“, № 9, 1957.

41. კაკაბაძე ნ., გოეთეს „ფაუსტის“ ახალი ქართული გამოცემა. ჟურნ. „მნათობი“ № 8, 1963.

42. კაკაბაძე ნ., გოეთეს ლირიკის ახალი თარგმანის გამო. „საუნჯე“ № 3, 1974.

43. კაკაბაძე ნ., თომას მანის მოთხრობების პირველი ქართული გამოცემის გამო. „საუნჯე“, №2, 1976.

44. Гачечиладзе Г., Художественный перевод и литературные связи. М., “Советский писатель”, 1975.

45. საყვარელიძე ნ., „ულისე“ ქართულად. „ლიტერატურული საქართველო“, № 18, 1984.

46. საყვარელიძე ნ., „ჯაკობო ჯოისი“ ქართულ ენაზე. ჟურნ. „კრიტიკა“ № 4, 1981.

47. საყვარელიძე ნ., ჯაფარიძე თ., კიპლინგის ზღაპართა სამყაროში წიგნში „აი, როგორ და რატომ“, „მერანი“, თბ., 1988.

48. Пумпянский А. А., Перевод английской научной литературы. Грамматика. М., 1961.

49. Пумпянский А. А., Чтение и перевод английской научной и технической литературы. Лексика, грамматика, фонетика. М., 1962.

50. Бархударов Л. С. и др., Пособие по переводу технической литературы. Английский язык, М., 1964.

51. Ревзин И. И., Розенцвейг В. Ю., Основы общего и машинного перевода. М., “Высшая школа”, 1963.

52. Колшанский Г. В., Коммуникативная функция и структура языка. М., “Наука”, 1984.

53. Dickens, M., Speech Dynamic Communication. N.I. 1963.

54. Berlo Davud K., The Progress of Communication. N.I. 1967.

55. Berlung D.S., Interpersonal Communication. Boston, 1968.

56. Ross R.S., Speech Communication: Fundamentals and Practice. Englewood Cliffs. 1970.

57. Леонтиев А. А., Теория речевой деятельности. М., 1971.

58. Budd R. W., Ruben B.D., Approaches to Human Communication. N.I. 1972.

59. Лотман Ю. М., Структура художественного текста. М., "Искусство", 1970.

60. Гальперин И. Р., Информативность единиц языка. М., "Высшая школа", 1974.

61. Кухаренко В.Л., Интерпретация текста, М., "Просвещение", 1979.

62. Степанов Ю. С., Французская стилистика. М., "Высшая школа", 1965.

63. Арнольд И. В., Стилистика английского языка. М., "Просвещение", 1981.

64. Bauch K. R. Linguistique comparative, linguistique appliquée et translation. "Meta". Vol. 16. Nos 1-2. 1971.

65. Morris C., Writing in the general theory of signs. The Hague. 1971.

66. Нойберт А. Прагматические аспекты перевода. В кн.: Вопросы теории перевода в зарубежной лингвистике, М., "Международные отношения", 1978.

67. ფონხუა ბ., ქართული ენის ლექსიკოლოგია. თსუ გამომცემლობა. თბ., 1974.

68. Арутюнова Н. Д., Падучева Я. В., Истоки, проблемы и категории прагматики. Новое в зарубежной лингвистике. Вып. 16, М., "Прогресс", 1985.

69. Bates, E., Language and Context. The Acquisition of Pragmatics. N.I. 1976.

70. Почепцов Г. Г., Фатическая метакоммуникация. В кн.: Семантика и прагматика синтаксических средств. Калинин. 1981.

71. Степанов Ю. С., В поисках прагматики (Проблема субъекта). Изд. АН СССР, Серия лит. и яз., т. 40, №4, 1981.

72. Cherry C., Communication Theory and Human Behaviour. London, 1955.

73. Швейцер А. Д., Социолингвистические основы теории перевода. В.Я. №5, 1985.

74. Булыгина Г.В., О границах и содержании прагматики.

Изв. АН СССР. Серия лит. и яз., т. 40, № 4, 1981.

75. Oettinger A. G., Automatic Language Translation. Cambridge (Mass.) 1960.

76. Каде О., Проблемы перевода в свете теории коммуникации. В кн.: Вопросы теории перевода в зарубежной лингвистике. М., "Международные отношения", 1978.

77. Крупнов В. Н., Курс перевода. М., "Международные отношения", 1979.

78. Егер Г., Коммуникативная и функциональная эквивалентность. В кн.: Вопросы теории перевода в зарубежной лингвистике. М., "Международные отношения", 1978.

79. Райс К., Классификация текстов и методы перевода. В кн.: Вопросы теории перевода в зарубежной лингвистике. М., "Международные отношения", 1978.

80. Austin J., Now to do things with words. Cambridge, 1962.

81. Searle J., Speech Acts; An Essey in Philosophy of Language. N.Y. 1969.

82. Buler K., Sprachtheory. Iena, 1934.

83. Mukarsovsky I., Two Studies of Poetic Designation; In:— The Word and Verbal Art. New Haven and London. 1977.

84. Jakobson R., Linguistics and Poetics. In: Style and Language. Cambridge, 1975.

85. Виноградов В.В., Стилистическая теория поэтической речи. Поэтика, М. 1963.

86. Арутюнова Н. Д., Фактор адресата. Известия АН СССР, Серия лит. и яз., том 40, №4. 1981.

87. Комиссаров В. Н. Слово о переводе. М., "Международные отношения". 1973.

88. Mounin G., Die Übersetzung. Geschichte, Theorie, Anwendung. München, 1967.

89. Jumpelt R. W., Die Übersetzung naturwissenschaftlicher und technischer Literatur. Bd. I, Berlin – Schöneberg, 1961.

90. Рецкер Я. И. а) О закономерных соответствиях при переводе на родной язык.

Теория и методика учебного перевода, М., 1950.

б) Теория перевода и переводческая практика. М., "Международные отношения". 1974.

91. Catford J. A., Linguistic Theory of Translation. Oxford, 1965.
92. Halliday M. A. K., The Comparison of Languages. In: Patterns of Language, London, 1966.
93. Nida E. A., Toward a Science of Translation. Leiden, 1964.
94. Nida E. A., Taber C., The Theory and Practice of Translation Leiden, 1969.
95. Nida E. A., Linguistic Structure and Translation. Statford, 1975.
96. Koller W., Einführung in die Übersetzungswissenschaft. Heidelberg, 1979.
97. Комиссаров В.Н., Лингвистика перевода. М., "Международные отношения". 1980.
98. Гак В. Г., Львин Ю. И., Курс перевода. Французский язык. М., "Международные отношения". 1970.
99. Черняховская Л. А., Перевод и смысловая структура. М., "Международные отношения". 1976.
100. Кушин А. В., Фразеология современного английского языка. М., "Международные отношения". 1972.
101. ნათაძე მ., ინგლისურ-ქართული და გერმანულ-ქართული თარგმანის შეპირისპირების ლინგვოსტილისტიკური პრობლემები. გამოც. „განათლება“, თბ., 1986.
102. Виноградов В. В., Русский язык. Грамматическое учение о слове. М., "Учпедгиз". 1947.
103. Смирницкий А. И., Морфология английского языка. М., Издат. лит.-ры на иностр. яз., 1959.
104. თვარაძე რ., რა ენა წახდეს. კრებულში „წიგნი და მკითხველი“, „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1971.
105. წიბაზაშვილი გ., თარგმანის სტილისტიკის ზოგიერთი საკითხი. „კრიტიკა“ №2, 1975.
106. კობლატაძე თ., ჭუჭყბურიძე ზ., ქართული ენის ბუნებრიობის დასაცავად მხატვრულ თარგმანში. „მნათობი“ №2, 1957, „ცისკარი“ №2, 1959.
107. Соболев Л.Н., О переводе образа образом, в сб. "Вопросы художественного перевода", М, 1955, стр. 285-287.
108. Львовская З. Д., Теоретические проблемы перевода. М., "Наука", 1985.
109. Смирницкий А. И., Синтаксис английского языка. М., Изд. лит.-ры на иностранных языках, 1957.

110. Выготский Л. С., Избранные психологические исследования. М., 1956.

111. Суперанская А. В., Аппелятив-онома. В сб: Имя нарицательное и собственное. М., "Наука", 1978.

112. ესაკია მკ., კომუნიკაციური ლინგვისტიკა და ექსპრესიული სინტაქსის პრობლემები. სადოქტ. დის. ავტორეფერატი. თსუ, 1990.

113. ძიძიგური შ., ქართველ კლასიკოსთა ენობრივი მემკვიდრეობა. გამომც. „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1971.

114. ჭელიძე კ., ცხოვრება ივანე მანაბლისა. „ხელოვნება“ თბ., 1957.

115. თაყაიშვილი ა., ქართული ფრაზოლოგიის საკითხები. საქ. სსრ მეცნ. აკად. გამომცემლობა. თბ., 1961.

116. Виноградов В., Формально-обусловленный перевод каламбуров-созвучий. Тетради переводчика (под редакцией Л.С.Бархударова) "Международные отношения". М., 1972

117. საყვარელიძე ნ., სამეტყველო კომპონენტთა უკმარობა შინაგანი მეტყველების ამსახველ ტექსტში. უცხოური ენები სკოლაში, №3, 1972.

118. Kade O., Zu einigen Grundposition bei der theoretischen Erklärung der Sprachmittlung als menschlicher Tätigkeit // übersetzungswissenschaftliche Beiträge. №1, Leipzig, 1977.

119. Латышев Л. К., Проблема эквивалентности перевода. Автореферат. докт. дисс. М., 1983.

120. Латышев Л. К., Перевод: Проблемы теории, практики и методики преподавания. М., "Просвещение", 1988.

121. Латышев Л. К., Межъязыковые трансформации как средство достижения переводческой эквивалентности (Семантико-синтаксические проблемы теории языка и перевода). М., "Просвещение", 1986.

122. Прокопович С. С., Адекватный перевод художественной прозы: Возможен ли он? Тетради переводчика, вып. 15. 1978.

123. Кузнецов А. М., Объективные знания об окружающем мире и их отражение в лексике и лексикографии. Слово о грамматике и словаре. М., 1984.

124. Россельс Вл., Перевод и национальное своеобразие подлинника. Вопросы художественного перевода, т. I, М., "Советский писатель", 1955.

125. Супрун А.Е. Экзотическая лексика. Научные доклады высшей школы, "Филолог. науки", №2, 1958.

126. Влахов С., Флорин С., Непереводимое в переводе. М., "Высшая школа", 1986.

127. Ярцева В. Н., Об изменении диалектной базы английского национального языка. В сб.: "Вопросы формирования и развития национальных языков". Труды ИЯ АН СССР, т. 10. М., 1960.

128. Маковский М. М., Структурные особенности современных английских диалогов. Иностранцы языки в школе, №5, 1961.

129. Ризель Э. Г. Языковые нормы и так называемые "нарушения языковых норм". Уч. зап. I МГПИИЯ, т. XV, 1957.

130. Скворцов Л. И., Литературный язык, просторечие и жаргоны в их взаимодействии. Сб. Литературная норма и просторечие. М., 1977.

131. Крупнов В. Н., В творческой лаборатории переводчика. М., "Высшая школа", 1976.

132. Гак В. Г., "Коверканье" или "подделка" (Об одном опыте перевода варваризмов). Тетради переводчика, №3, 1966.

133. Кашкин И., Для читателя современника, М., "Художественная литература", 1977.

134. Швейцер А. Д., Современная социолингвистика, М., "Наука", 1976.

135. Хэллiday М. А. К., Место "функциональной перспективы предложения" в системе лингвистического описания. Новое в зарубежной лингвистике, вып. 8, М., "Прогресс", 1978.

136. უზნაძე დ., შრომები, ტ. VI, თბ., 1977.

137. Сыроваткин С.Н. Теория перевода в аспекте функциональной лингвистики. Калинин, Изд. Калининского ун-та, 1978.

138. Толстой С. С., Основы перевода. М., "Международные отношения", 1978.

139. Чернов Г. В., Теория и практика синхронного перевода. М., "Международные отношения". 1978.

140. Асмус В., Чтение как труд и творчество. Журн. "Вопросы литературы", №2, 1962.

141. Леонтьев А. А., Психологические единицы и порождение речевого высказывания. М., "Наука", 1966.

142. Пхакадзе И.И., Семантика возможности и языковая относительность. Автореф. докт. дис. ТГУ, Тб, 1991.

143. ჭუმბურიძე ზ. ნუ დავაგდებთ ძველსა გზასა. გამომც. „მერანი“, თბ., 1988.

144. Курелла А., Теория и практика перевода. Сб.: Мастерство перевода, М., Советский писатель, 1959.

145. Якобсон Р., О лингвистических аспектах перевода. В кн.: Вопросы теории перевода в зарубежной лингвистике. М., „Международные отношения“, 1978.

146. Швейцер А. Д., Социальная дифференциация английского языка в США. М., „Наука“, 1983.

147. Аристов Н. Б., Основы перевода. Издательство лит-ры на иностранных языках. М., 1959.

148. ყიასაშვილი ნ., ჯეიმს ჯოისის „ცნობიერების ნაკადის“ მეთოდის ზოგიერთი თავისებურება. თსუ შრომები. ჰუმანიტარული მეცნიერებანი. В (140), თ ., 1971.

149. ყიასაშვილი ნ., შესავალი წერილი „ულისეს“ ქართული თარგმანისათვის. გამომც. „მერანი“, თბ., 1983.

150. Леонтьев А.А., Об'ект и предмет психолингвистики и ее отношение к другим наукам о речевой деятельности. Теория речевой деятельности. М., 1968.

151. ჯაფარიძე თ.კ., თხრობის ინტიმიზაციის ფსიქოლინგვისტური მექანიზმი საყმაწვილო ლიტერატურაში (ინგლისურენოვანი ლიტერატურული ზღაპრის მაგალითზე). საკანდ. დისერტ. ავტორიფერატი, თსუ, თბ., 1996.

ლექსიკონები:

152. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ქართული ენციკლოპედია, თბ.

153. ქართულ კილო-თქმათა ლექსიკონი, გამომც. „განათლება“ თბ., 1984.

154. ხელოვნების განმარტებითი ლექსიკონი, შემდგენელი ა.ყიფშიძე. გამომც. „განათლება“, თბ., 1985.

155. New Webster's Dictionary of the English Language College Edition Surjeet Publication. Fifth Reprint 1983.

156. Англо-русский фразеологический словарь. Составитель А.В. Кушин. Гос. изд. иностранных и национальных словарей. М., 1955.

157. Ахманова О. С., Словарь лингвистических терминов. Изд. "Советская Энциклопедия", М., 1966.

საილუსტრაციო ლიტერატურა

1. Galsworthy J. , "The Forsyte Saga" Progress Publishers, Moscow, 1974.
2. Jack London, "Martin 'Eden" Foreign Languages Publishing House, Moscow, 1954.
3. John Brain, "Room at the Top" Foreign Languages Publishing House, Moscow, 1961.
4. Oscar Wilde, Plays ("The Importance of Being Earnest") Foreign Languages Publishing House, Moscow, 1951.
5. William Thackeray "Vanity Fair" Foreign Languages Publishing House, Moscow, 1951.
6. Charles Dickens, "Posthumous Papers of the Pickwick Club" Foreign Languages Publishing House, Moscow, 1949.
7. J. D. Salinger, "The Catcher in the Rye" Progress Publishers, Moscow, 1949.
8. James Joyce, "Ulysses" Vintage Books. A division of Random House, N.Y. 1986.
9. James Joyce, "Giacomo Joyce" Suhrkamp Verlag., Frankfurt am Main, 1968.
10. Harper Lee, "To Kill a Mockingbird" Fawcett Popular Library, N.Y. 1962.
11. Rudyard Kipling, "Just So Stories" Progress Publishers, Moscow, 1972.
12. Charles Snow, "Time of Hope". Penguin Books, London, 1963.
13. Ernest Hemingway, a) "To Have and Have not". Москва, "Международные отношения", 1979. b) "My old Man". Penguin Books. 1958. c) "A Short Happy Life of Francis Macomber". "Short Stories", Penguin Books, 1956.
14. Shakespeare: a) "Macbeth", b) "Hamlet", c) "Coreolanus", d) "Richard I I I", e) "Antony and Cleopatra". The Pelican Shakespeare, Penguin

Books. f) "The Twelfth Night", Signet Classic Shakespeare Series, USA 1982.g) "ALL is Well That Ends Well", Yale Shakespeare, New Haven, University Press, 1958.

15. ჯონ გოლზუორთი, „ფორსაიტების საგა“. გამომც. „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1965 (თარგმნეს ე. მალრაძემ და ვ. ჭელიძემ).

16. ჯეკ ლონდონი, „მარტინ იდენი“. გამომც. „საბჭოთა საქართველო“. თბ., 1973 (თარგმნა ვ. ჭელიძემ).

17. ჯონ ბრაინი, „გზა მაღალი საზოგადოებისკენ“, გამომც. „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1964 (თარგმნა ც. თოფურიძემ).

18. ოსკარ უაილდი, „დაირქვი ერნესტი ანუ სერიოზულობის მადლი“, ჟურნ. „ხელოვნება“, №5-6, 1993 (თარგმნა რ. კალანდაძემ).

19. უილიამ თეკერეი, „ამაოების ბაზარი“ გამომც. „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1973 (თარგმნა ალ. გამყრელიძემ).

20. ჩარლზ დიკენსი, „პიკვიკის კლუბის ჩანაწერები“, გამომც. „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1959 (თარგმნეს მ. იანქოშვილმა და ნ. კეშელავამ).

21. ჯერომ სელინჯერი, „თამაში ჭვავის ყანაში“, გამომც. „ნაკადული“, თბ., 1963 (თარგმნა ვ. ჭელიძემ).

22. ჯეიმს ჯოისი, „ულისე“ გამომც. „მერანი“, თბ., 1983 (თარგმნა ნ. ყიასაშვილმა).

23. ჯეიმს ჯოისი, „ჯაკომო ჯოისი“ ჟურნ. „ცისკარი“, №11, 1969 (თარგმნა ნ. ყიასაშვილმა).

24. პარპერ ლი, „ნუ მოკლავ ჯაფარას“. გამომც. „საბჭოთა აჭარა“, ბათუმი, 1985 (თარგმნა ლ. ღუმბაძემ).

25. რადიარდ კი პლინგი, „აი, როგორ და რატომ“. გამომც. „მერანი“, თბ., 1988 (თარგმნეს ნ. საყვარელიძემ და თ. ჯაფარიძემ).

26. ჩარლზ სნოუ, „უთაში იმედისა“, გამომც. „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1980 (თარგმნეს ნ. საყვარელიძემ, მ. ანთაძემ და ქ. დოლიძემ).

27. ერნესტ ჰემინგუეი, „თხზულებანი“: ა) ტ. III, „პარი მორგანი“, (თარგმნა ვ. ჭელიძემ). ბ) ტ. IV, „ჩემი მოხუცი“ (თარგმნა ნ. საყვარელიძემ), გ) ტ. IV, „ფრენსის მაკომბერის ხანმოკლე ბედნიერება“ (თარგმნეს ი. ყაჭვიშვილმა და ზ. ჩხაიძემ), გამომც. „ლიტერატურა და ხელოვნება“, თბ., 1965.

28. უილიამ შექსპირი, 1) „ტრაგედიები“ (გ. გაჩეჩილაძის რედაქციით), ტ. I-VI: ა) „ჰამლეტი“, ბ) „მაკბედი“, გ) „კორიოლანუსი“, დ) „რიჩარდ III“, ე) „ანტონიუსი და კლეოპატრა“ (თარგმნა ივ. მაჩაბელმა). გამომც. „საბჭოთა მწერალი“, თბ., 1953. 2) „თხზულებანი ხუთ ტომად“ (ნ. ყიასაშვილის რედაქციით): ვ) ტ. I, „მეთორმეტე ღამე“ (თარგმნა ს.

ფაშალიშვილმა), ზ) „ყოველივე კარგია, რასაც კეთილი ბოლო აქვს“ (თარგმნა ნ. საყვარელიძემ), გამომც. „ხელოვნება“, თბ., 1986 – გამოცემა გრძელდება.

29. Вильям Шекспир, “Полное собрание сочинений”, т. I. “Academia”, М. Л., 1937.

30. Вильям Теккерей, “Ярмарка тщеславия”, т. I. Гос. изд. БССР, Минск, 1956.

31. Эрнест Хемингуэй, Избранные произведения в двух томах, т. II. “Иметь не иметь”. Гос. изд. художественной литературы, М., 1959.

შინაარსი

შესავალი	3
პრაგმატული ასაქმები შიდაენობრივ და ენათშორის კომუნიკაციაში	17
§1. შიდაენობრივი კომუნიკაციის პრაგმატული ასპექტები	17
§2. თარგმანის პრაგმატული ასპექტები	28

თავი II

ენათშორისი კომუნიკაციის პროცესის მოდელირება და მთარგმნელობითი სტრატეგიის განმსაზღვრელი ფაქტორები	39
§1. თარგმნის პროცესის მოდელირება	39
§2. მთარგმნელობითი სტრატეგიის დეტერმინანტები (ტექსტთა ფუნქციონალური ტიპოლოგია)	52

თავი III

ეკვივალენტურობის პრობლემა თარგმანის უახლეს თეორიათა კონტექსტში	69
---	----

თავი IV

შეპირისპირებულ ენათა სისტემური სავსიშიკით დებარდნიერებადული თარგმნითი ტრანსფორმაციები	93
§1. ფორმალურ-სტრუქტურული ტრანსფორმაციები	96
§2. თარგმნითი ტრანსფორმაციები გამონათქვამის ლექსიკურ კომპონენტთა დონეზე	111

თავი V

პრაგმატულ-ფუნქციონალური ტრანსფორმაციების ლინგვისტური დებარდნიანობები	129
§1. ენობრივ უნიკალიზმთა ტრანსპოზიცია თარგმანში	130
§2. ენობრივ ფორმათა ექსპრესიულ-ემოციური კონოტაციის ტრანსპოზიცია თარგმანში	146

თავი VI

ენის სოციალურად დებარდნიერებადული პარიანტულობის ტრანსპოზიცია თარგმანში	180
§1. ენის სტრატეგიული ვარიანტულობის ტრანსპოზიცია თარგმანის ტექსტში	184
§ 2. ენის სიტუაციური ვარიანტულობის ტრანსპოზიცია თარგმანის ტექსტში	205

თავი VII

თარგმანის ტექსტის მოდიფიკაციის მასტრალიზაციის მეთოდური ფაქტორები	219
§1. მთარგმნელის სუბიექტური ფაქტორის როლი თარგმანის ტექსტის კონსტრუირებაში	220
§2. მთარგმნელის კომუნიკაციური კომპეტენციის როლი თარგმანის ტექსტის კონსტრუირებაში	228
§3. ეთნოკულტურულ რეალიათა ტრანსპოზიცია თარგმანში	246

თავი VIII

არაგვატული ორიენტაცია მსატრული ფორმის ანალოგიზაციაში თარგმანში	262
მიითვალე და ციტირებულე ლიტერატურა	298